

გ ე ქ ნ ტ ე  
ტ მ ჯ კ რ

ს ე უ ე უ ი  
ს ა მ ა რ ი  
ე ე ლ ე ე ზ ე ლ ე თ ე  
ა ხ ა რ ა ხ რ ა მ ს თ ა მ

ახალგაზრდული და სპორტული  
ლიტერატურის შესახებ

<ნ ე ქ ე ლ ე ი >  
19 თბილისი 67

შეადგინა და თარგმნა  
ბ ი ო რ ბ ი მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე შ

მაქსიმ გორკის ეს კრებული პირველად გამო-  
დის ქართულ ენაზე. წიგნში შევიდა დიდი რუ-  
სი მწერლის ძირითადი ნაშრომები, გამოსე-  
ლები, მიმოწერები, მოსაზრებანი ახალგაზრ-  
დულ და საბავშვო ლიტერატურაზე, ახალ-  
გაზრდა და ნორჩ შემოქმედთა ლიტერატუ-  
რულ მუშაობაზე.

მაქსიმ გორკიმ თავის ნაწარმოებებში, თეო-  
რიულ წერილებში განსაკუთრებული ადგილი  
დაუთმო მოზარდთა სამყაროს. ჯერ კიდევ  
ოთხმოდრეათიან წლებში იგი დიდ ინტერესს  
იჩენდა მომავალი თაობის აღზრდისადმი. საბ-  
ჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი  
ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის ლიტე-  
რატურის შექმნა მან მიიჩნია ახალი ადამიანის  
აღზრდის უმძლავრეს საშუალებად.

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის  
განვითარებასა და წინსვლას მიექმნა გორ-  
კის წერილები: „ისევ წიგნიერებაზე“, „ადა-  
მიანი, რომელსაც ყურში ბამბა უდევს“, „უპა-  
სუხისმგებლო ადამიანებსა და ჩვენი დროის  
საბავშვო წიგნზე“, „ლიტერატურა ბავშვებს“,  
„თემების გამო“, „ზღაპრების გამო“ და სხვა  
ძმრავალი. მოზარდის ცხოვრებაში წიგნის

არ აირჩიეს. იგი იყო ძლიერ მორწმუნე კაცი, დესპოტი და უკიდურესად ძუნწი. იტოცხლა ოთხმოცდათორმეტი წელიწადი და სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1888 წელს ჭკუაზე შეიშალა.

დედამ და მამამ ჯვარი „მალულად“ დაიწერეს, რადგანაც პაპაჩემს, ცხადია, არ სურდა თავისი საყვარელი ქალიშვილი უსახლკარო უპერსპექტივო კაცისათვის მიეთხოვებინა. დედაჩემს არავითარი გავლენა არ მოუხდენია ჩემს ცხოვრებაზე, რადგანაც მამაჩემის დაღუპვის მიზეზად მივაჩნდი და ამიტომ არ ვუყუარდი. იგი მალე მეორედ გათხოვდა და სავსებით მიმატოვა პაპასთან, რომელმაც დავითნითა და ჟამნით დაიწყო ჩემი აღზრდა. შვიდი წლისა რომ გავხდი, სკოლაში მიმაბარეს. მხოლოდ ხუთი თვე ვსწავლობდო. ვსწავლობდი ცუდად, მეჭავრებოდა სასკოლო წიგნები, ამხანაგებიც. რადგან განმარტოება მიყვარდა მუდამ. სკოლაში ყვავილი შემეყარა, სწავლას თავი მივანებე და ამის შემდეგ აღარც გამიგრძელებია. ამ დროს კლექით გარდაიცვალა დედაჩემი, ხოლო პაპა გაკოტრდა. მის დიდ ოჯახში, სადაც ცხოვრობდა მისი ორი დაცოლშვილებული ვაჟი, ბებიას გარდა არავის ვუყუარდი. იგი იყო საოცრად გულკეთილი და თავდადებული მოხუცი, რომელსაც მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ. მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით მოვიგონებ. ჩემს ბიძებს ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდათ, კარგი ქეიფი და სმა-ჭამა. როცა დათვრებოდნენ, ჩხუბის ხასიათზე მოდიოდნენ და ჩვეულებრივად, ან ერთმანეთს დაერეოდნენ, ან სტუმრებს, რომლებიც ჩვენთან მუდამ ბევრი იყვნენ. ან კიდევ — ცოლებს სცემდნენ. ერთმა ბიძამ ორი ცოლი ჩააწვინა კუბოში, მეორემ — ერთი. ხანდახან მეც მცემდნენ. ასეთ ვითარებაში რაიმე გონებრივ გავლენაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მით უმეტეს, რომ ყველა ჩემი ნათესავი გაუნათლებელი იყო.

რვა წლისა რომ გავხდი, ფეხსაცმლის მაღაზიაში მიმაბარეს „მოსამსახურე ბიჭად“, მაგრამ ორიოდ თვის შემდეგ შჩით ხელები დავიმღულრე და პატრონმა უკან გამომაბრუნა პაპაჩემთან. როცა გამოვჩანმართელდი, შორეულ ნათესავს — ერთ მხაზველს მიმაბარეს შეგირდად, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ცხოვრების ძალიან მძიმე პირობების გამო, აქედანაც გავიქეცი და გემზე დავიწყე მუშაობა მზარეულის შეგირდად. ეს იყო გვარდიის გადამდგარი უნტერ-ოფიცერი მიხეილ ანტონის ძე სმურნი; მას ჰქონდა ზღაპრული ფიზიკური ძალა; უხეში იყო და ძალიან ნაკითხი. მან გამიღვიძა წიგნის კითხვის სურვილი. მანამდე დასანახავად მეზიზღებოდა წიგნი და ყოველგვარი ნაბეჭდი ქალაღდი. მაგრამ ჩემმა მასწავლებელმა ცემითა და მოფერებით მაიძულა შემეგნო წიგნის უდიდესი მნიშვნე-

ლობა, შემეყვარებინა იგი. პირველი წიგნი, რომელიც ძალიან მომეწონა, იყო „ამბავი იმისა, თუ როგორ გადაარჩინა ჯარისკაცმა პეტრე დიდი“. სმურნის ჰქონდა უმთავრესად ტყავისუდიანი პატარა ტომებით ავსებული მთელი სკივრი; ეს ყველაზე საოცარი ბიბლიოთეკა იყო მსოფლიოში. აქ იპოვიდით ეკარტაუზუნსაც და ნეკრასოვსაც, ანა რაჯლიფსაც და „სოვრემენიკის“ ნომრებსაც; აქვე იყო 1864 წლის „ისკრაც“ და უკრაინულ ენაზე გამოცემული წიგნებიც.

ამის შემდეგ დავიწყე ყველაფრის კითხვა. რაც კი ხელში მომხვდებოდა; ათი წლისა შევეუდექი დღიურების წერას. სადაც შემჭონდა ცხოვრებისა და წიგნებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი. ჩემი შემდგომი ცხოვრება ძალიან კრელი და რთულია: მზარეულისაგან ისევ მზაზელს მიუვბრუნდი, შემდეგ ხატებით ვეაქრობდი, დარაჯად ვმსახურობდი გრიბაზე-ცარიცინის რკინაგზაზე. ვიყავი მეკრენდელე, მეფუნთუშე. მიცხოვრია ჟურნალებში. რამდენიმეჯერ ღეხით შემომივლია რუსეთი. 1888 წელს, ყაზანში ცხოვრების დროს, პირველად გავეცანი სტუდენტებს, დავდიოდი თვითგანვითარების წრეებში; 1890 წელს კიგრძენი, რომ ინტელიგენტთა შორის არ იყო ჩემი ადგილი და გავეშურე სამოგზაუროდ. ნიჟნიდან მოვედი ცარიცინში, გადავსერე დონის ოლქი, უკრაინა და ბესარაბიაში ჩავედი, აქედან, ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე გამოვლით მივალწიე ყუბანს და შავი ზღვისპირეთს. 1892 წელს, ოქტომბერში თბილისში ვცხოვრობდი, სადაც ვაზეთ „კავკაზში“ დავბეჭდე ჩემი პირველი ნარკვევი „მაქარ ჩუდრა“. ბევრი მაქეს მის გამო და, როცა ნიჟნში გადავედი. ვცადე პატარა მოთხრობების წერა ყაზანის ვაზეთ „ვოლჟსკი ვესტნიკისათვის“. მათ სიამოვნებით იღებდნენ და ბეჭდავდნენ. „რუსკიე ვედომოსტის“ გაუფგზავენე ნარკვევი „ემელიან პილიაი“; ისიც მიიღეს და დაბეჭდეს. აქვე უნდა შევნიშნო, რომ კეშმარიტად გასაოცარია ის გულგრილი დამოკიდებულება. პროვინციული ვაზეთები რომ იჩენენ „დამწყებთა“ ნაწარმოებების მიმართ. ვფიქრობ, ეს მოწმობს ან ბატონ რედაქტორთა განსაკუთრებულ გულკეთილობას, ან იმას, რომ მათ სრულებით არ გააჩნიათ ლიტერატურული ალღო.

1895 წელს „რუსკიე ბოგატსტვოში“ (წიგნი მე-6) დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა „ჩელკაში“. მას გამოეხმაურა „რუსკაია მისლი“, არ მახსოვს, რომელ ნომერში. იმავე წელს „რუსკაია მისლმა“ მოათავსა ჩემი ნარკვევი „შეცდომა“. რამდენადაც მახსოვს, არავინ გამოხმაურებია. 1896 წელს „ნოვოე სლოვოში“ გამოქვეყნდა ნარკვევი „კაეშანი“, რომელსაც სექტემბერში გამოეხმაურა „ობრაზოვანი“.

მიმდინარე წლის მარტში „ნოვოე სლოვოში“ დაიბეჭდა ნარკვევი „კონოვალოვი“.

აქამდე ჯერ კიდევ არ დამიწერია ისეთი ნაწარმოები, მე რომ დამაკმაყოფილებდა; ამიტომაც ჩემს ნაწარმოებებს არ ვინახავ. —  
ერგი:• ვერაფერს გამოგიგზავნით. რაიმე შესანიშნავი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში, ვფიქრობ, არ ყოფილა, თუმცა გარკვევით ვერც კაწარმომიდგენია, რას გულისხმობს ეს სიტყვები.

1897

---

• მაშასადამე (ლათ.) — რედ.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

„ახალი ბიბლიოთეკა“- მ. დოროშენკოს გამოცემა. კო-  
როლენკო, „ტყე ხმაურობს“, 6 ნახატის დართვით, ფ. 6 კაპ.;  
„მაკარის სიზმარი“, 6 ნახატის დართვით, ფ. 8 კ.; მამინ-  
სიბირიაკი, „ცელქი“, 4 ნახატით, ფ. 8 კ.; პროსპერ მერიმე,  
„მატეო ფალკონე“, 5 ნახატით, ფ. 5 კ.; ტუოდორ ევი, „გან-  
თიადისას“, ფ. 60 კ.; პეტერბურგი, კვატერინპოფის პროსპექ-  
ტი, სახ. 31, ბინა 21.

„ახალ ბიბლიოთეკაში“ შესულ ავტორთა სახელები და მათი ნა-  
წარმოებები ცნობილია მკითხველებისათვის და რეკომენდაციას არ  
საკიროებენ. ბ-ნ მ. დოროშენკოს გამოცემები გარეგნულად საკმა-  
ოდ რიგიანია. ყველა ზემოთ დასახელებული წიგნი კარგად არის  
ილუსტრირებული მხატვარ მალეშევის სურათებით. ექვს გარეშეა,  
რომ ბ-ნ დოროშენკოს მიერ წამოწყებული საქმე ერთ-ერთი იმ ლო-  
ნისძიებათაგანია, რომლებიც მიზნად ისახვენ ჭანსალი და ახალი  
სულიერი საზრდო მისცენ ახლად მოვლენილ ღარიბ მკითხველს,  
მუშასა და გლეხს. და თავისთავად ცხადია, რომ გულწრფელ მკითხ-  
ველზე სათანადო შთაბეჭდილებას მოახდენს ისეთი უბრალო და  
ტრაგიკული ნაწარმოები. როგორც არის მერიმეს ერთ-ერთი საუ-  
კეთესო კორსიკული მოთხრობა „მატეო ფალკონე“. მასში ლაპარა-  
კია კორსიკელ ფალკონეს შვილ ფორტუნატოზე; ავტორი მოგვი-  
თხრობს, თუ როგორ გასცა ბიჭმა კარაბინერების მიერ დაჭრილი  
ადამიანი და როგორ მოკლა მამამ, მატეომ თავისი მოღალატე შვი-  
ლი, რომელმაც დაარღვია კორსიკაზე აქამდე წმინდად დაცულა  
სტუმართმოყვარეობის წესი და რიგი. ექის დიდი -- თითქმის 15 ნა-  
ბეჭდი თაბახის მოცულობის -- მოთხრობა ასახავს თურქეთის წინა-  
აღმდეგ ბულგარეთის პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის

ეპოქას. ეეს ნაკლებად იცნობს ხალხი, მაგრამ იგი შესანიშნავი ადამიანია. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან მოახმარა ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლას; იყო გარიბალდიელი, იბრძოდა პრუსიელების მიერ გარშემორტყმული პარიზის გასათავისუფლებლად; მუშა იყო; დაწერა ბევრი ისტორიული რომანი პოლონეთის ისტორიაზე. მის გულში ახლაც — როდესაც იგი დაახლოებით 80 წლისაა — ისევ ანთია ადამიანის უფლებისათვის ბრძოლისაკენ სწრაფვას ჩაუქრობელი ცეცხლი. მან, როგორც თურქთა უღლისაგან ბულგარელთა განთავისუფლების მონაწილემ, შესანიშნავად შეისწავლა ამ ბრძოლის ეპოქა და თავის მოთხრობაში მას პირდაპირი უშუალოებით ხატავს. მკითხველი ეცნობა: თუ როგორ სდევნიდნენ თურქები ბულგარელებს, როგორ ამწყვედედნენ საპყრობილებში; როგორ დაჰკითხავდნენ. ავტორი დაწვრილებით აღწერს დევნილთა მოხერხებულობას მდევნელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. წიგნი არ სცილდება ისტორიულ ფაქტებს: მასში მოცემულია სინამდვილის ნათელი სურათები, მართლად არის დახატული იმ დროს უმეცარი და არაორგანიზებული ბულგარელების პოლიტიკური ჩაგვრა თურქების მიერ. ამ წიგნს უსათუოდ ბევრი მკითხველი ეყოლება. დასანანია, რომ იგი ცოტაოდენ ძვირია. ბ-ნ მ. დოროშენკოს გამოცემები მკითხველს თითო ნაბეჭდი თაბახი ოთხ კაპიკად უჭდება. რასაკვირველია. თავისთავად, ეს ძალიან იაფია. მაგრამ წერა-კითხვის ს. — პეტერბურგის კომიტეტის გამოცემები დაახლოებით სამი კაპიკი ჯდება. როდესაც საქმე ეხება ისეთ მკითხველს, რომელსაც მძიმე შრომით უხდება ყოველი კაპიკის მოპოვება, იძულებული ვართ ბ-ნ გამომცემლებს გროშებიც მოვავსოთ, თუმცა უხედავთ და ვიცით, რომ გამომცემლები გამსჭვალულნი არიან ღრმა სიმპათიურა მისწრაფებით — იაფად მიაწოდონ ახალ მკითხველს კარგი წიგნი. მაგრამ საჭიროა კიდევ უფრო იაფად...



## დ. ბ. ალექსეევის ბამოცემები

რუბაკინი. „მოთხრობები ცხოველთა სამეფოზე“. 35 კაპ.

რუბაკინი. „ორი ხომალდის ამბავი, ანუ მოთხრობები მუდმივი სიცილის სამეფოზე“. 25 კაპ.

„გარიბალდიელნი“ — ისტორიული მოთხრობა.

პირველ ორ წიგნს რეკომენდაცია არ ესაჭიროება: იმათ არსებობს ღირებულებაზე ლაპარაკობს ავტორის სახელი და ის ფაქტი, რომ ორივე ისინი უკვე მესამედ გამოდის...

„გარიბალდიელნი“ არის ნარკვევი წითელხალათიანთა ბრძოლისა სიცილიის განსათავისუფლებლად. ნარკვევში მოთხრობილია მარცია რომანოსა და ერთ-ერთი გარიბალდიელის სიყვარულის ამბავიც. საინტერესო წიგნია, უეჭველად ეყოლება მკითხველი, მაგრამ უნდა შევნიშნოთ. რომ გარიბალდის გმირული ეპოქა უფრო ნათლად გაშუქებული და უფრო მთლიანი სახით უნდა ეხილა რუს მკითხველს.

და ბოლოს, დიდი წარმატება უნდა ვუსურვოთ ახალ გამომცემლობას, რადგან. როგორც ამას მოწმობს მის მიერ გამოშვებული წიგნები, მისი მიზანი და მიმართულება ჩინებულია.

## ცხოვრების ზღაპარი

(წერილი ოჯახური აღზრდის საკითხებზე ბრიუსელში მოწვეული მესამე საერთაშორისო კონგრესისადმი)

მე არც ისე კომპეტენტური გახლავართ პედაგოგიკის საკითხებში, რომ ჩემს თავს უფლება მივცე ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრებებით შემოვიჭრე სპეციალისტთა შორის. როგორც ვიცი, ბევრმა მათგანმა აღზრდის დიდ საქმეს მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა და სავსებით დამსახურებულად დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

მაგრამ, ყველასავით, მეც ვიყავი ბავშვი, ძალიან მიყვარს ბავშვები, ბევრს ვფიქრობ მათზე და მზადა ვარ, მოკლედ მოგახსენოთ ჩემი აზრი იმ საგანზე, თუ რა უნდა იყოს — როგორც მე, პროფანს, მგონია — აღზრდის საფუძველი.

კაცობრაობა არის ერთი მთლიანი საერთაშორისო ოჯახი, როცა მელსაც სულ უფრო და უფრო აერთიანებს მისი ყველა წევრის სერთო მისწრაფება კეთილდღეობისაკენ, — აი, რას უნდა ვეუბნებოდეთ ბავშვს, აი, რა უნდა იცოდეს მან უპირველეს ყოვლისა.

კულტურის ისტორია არის ყველაზე მეტად შესანიშნავი და გონებისა და სულის გამაყვითელშობილებელი ზღაპარი ყველა იმ ზღაპარსა და ლეგენდას შორის, ხალხს რომ შეუქმნია.

პატარა ადამიანმა ცხოვრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების პირველი დღეებიდანვე თანდათანობით უნდა გაიგოს ყველაფერი, რაც კი მანამდე შეუქმნიათ ადამიანთა აურაცხელ თაობებს; ამას რომ გაიგებს, იგი მიხვდება, რომ ყველაფერი, რაც მის მოსვლამდე შექმნილა, მისთვის იქმნებოდა.

გულწრფელად და უბრალოდ მოეუთხროთ ბავშვებს წარსულის დიდი ზღაპარი. მოეუთხროთ ჩენი წვალებისა თუ გამარჯვებათა.

შეცდომებისა თუ დამარცხებათა ამბები, ჩვენი იმედები — მოვეუბნოთ... როთ ყველაფერი, რაც აწვალბდა და ახარებდა ჩვენს წინაპრებს, რაც გვაწვალბებს ჩვენ და რაც სიმხნევეს გვინერგავს გულში.

ადამიანი პატივს უნდა სცემდეს მის წინა თაობათა შრომას. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება კულტურის განუწყვეტელი განვითარება და ცხოვრების ახალი, უფრო თავისუფალი, უფრო გონიერი ფორმების შექმნისათვის საერთო-საკაცობრიო მუშაობის მემკვიდრეობითობა.

„წარსული აღსავსეა შეცდომებით“, — საფუძვლიანად და ხშირად გვეუბნებიან ჩვენ. მაგრამ ამ ძველ სიტყვებს უპირისპირდება ასევე ძველი და ჩინებული საწინააღმდეგო გამოთქმა: „არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს“.

შეცდომები უდიდესი ტანჯვა-წვალების ფასად უჩვენებოდა კაცობრიობას, ხოლო ადამიანის წამება, მისი შემოქმედებითი ტანჯვა პატივისცემას მოითხოვს ჩვენგან და ჩვენი შეილებისაგან. ბავშვებს ძალუძთ ამის გაგება: აზიარეთ ბავშვები საერთო-საკაცობრიოს, რომ მათ შეძლონ თაობათა წმიდა შრომის დაფასება და სიყვარული.

ადამიანები ბავშვობიდან უნდა მივაჩვიოთ შეგნებული სიცრუის განსხვავებას არასწორი დასკვნისაგან; ძალიან ცოტა რომ გვჭკრა ერთმანეთისა და არასაკმაო პატივისცემით რომ ვეკიდებით ერთმანეთს, ყოველთვის გამოვყოფთ მას, რაც ამტყუნებს ადამიანს და სათანადოდ ვერ ვხედავთ, რაც ამართლებს მას. ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ ცუდსა და ბნელ მხარეებს და არა იმდენად ვებრძვით მათ, რამდენადაც გვეშინია მათი. — აი, რატომ არის ისინი ასე ბევრი და რატომ ასე ბატონობენ ჩვენზე!

ბავშვები აუცილებლად უნდა დავიცვათ ამ სამწუხარო შეცდომისაგან, რომელიც გვლრნის.

საჭიროა ბავშვი მივაჩვიოთ იმას, რომ თავს სამყაროს და მისი ყველა სიკეთის ბატონ-პატრონად გრძნობდეს, — ჩვენ თვითონ უნდა ვამაყობდეთ საუკუნეთა მემკვიდრეობით, თვითონ უნდა შევიყვაროთ ჩვენი წინაპრების საარაკო შრომა. მათი ნაღვაწით ავსებულია ჩვენი მუზეუმები, კულტურულ მონაპოვართა საგანძურები, ჩვენი ქალაქები. ეს სიამაყე წარსულით და მისი სიყვარული იძლევა კულტურის ისტორიის ცოდნას, კაცობრიობის ცხოვრების ცოდნას; ჩაუნერგეთ წარსულის ეს სიყვარული და მით სიამაყე ბავშვებს — მსოფლიოს მთელი შრომის მემკვიდრეებს — გულში!

დაე, იცოდეს ბავშვმა, რომ მისი სათამაშოდან ღმერთის ცნებაზე და პრომეთედან საყოველთაო ძმობის იდეამდე ყველაფერი ამ დედამიწაზე მისი წინაპრების შექმნილია, ყველაფერი უდიდეს

შრომად, ძალ-ღონის უდიდეს დაძაბვად დაჭდა, — ვიმეორებ, დაე-  
ისწავლოს ბავშვმა გარდასულ თაობათა, თავისი წინაპრების შრო-  
მის პატივისცემა.

მან უნდა იცოდეს თავისი ოჯახის, თავისი სამშობლოსა და თავი-  
სი მიწა-წყლის ცხოვრება, მისი მიწა-წყალი ეს მთელი დედამიწა!  
დედამიწა ბავშვებს, ყოველთვის ბავშვებს ეკუთვნით! ჩვენ, მოქან-  
ცულნი, ვკედებით; ჩვენს ადგილას კაშკაშა ცეცხლად ისინი ანთია —  
ცხოვრების შემოქმედების ალი არ ქრება მათი წყალობით; მე ვი-  
ტყობდი, რომ მხოლოდ ბავშვები არიან უკვდავნი!

კიდევ ერთხელ და შეათასედ! ვიმეორებ: რაც მეტად იცნობს  
ადამიანი წარსულს, მით უფრო ადამიანია იგი. არაფერი ისე არ აკე-  
თილშობილებს, ამსუბუქებს და ამხნეებს სულს. როგორც კაცობ-  
რიობის დიადი ისტორიის, გასულ საუკუნეებში გაწეული შრომის  
ცოდნა.

რასაკვირველია, მე ახალი არაფერი ნიტქვამს, აქ მხოლოდ გა-  
მოთქმულია პიროვნებისადმი და თვითუელის შრომისადმი საერთო  
პატივისცემის საფუძველზე ადამიანთა გაერთიანების შესაძლებლო-  
ბის ძველი რწმენა; რწმენა იმისა, რომ გაიმარჯვებს გონება. გაიმარ-  
ჯვებს ყოველივე, რაც ნამდვილად ადამიანურია, რაც ჩვენ მიერ —  
ადამიანთა მიერ — არის შექმნილი და რითაც ვამაყობთ.

— გიყვარდეს მოყვასი შენი, — უთქვამთ ჩვენთვის.

— რისთვის? — კითხულობენ სკეპტიკოსები და პესიმისტები.  
უნდა ვუპასუხოთ:

— საუკუნეებში გაწეული დიდი შრომისათვის, იმ შრომისათ-  
ვის, რომელიც განუწყვეტლივ, დღითიდღე სრულყოფილი ხდება.  
კეთილისაყენ იმ განუხრელი მისწრაფებისათვის, რომელიც ყოველ  
ჩვენთაგანში ცოცხლობს და ერთხელაც იქნება, გულკეთილ, ძლიერ.  
ბედნიერ ადამიანებად აქცევს ჩვენს შთამომავლებს.

ადამიანი — ყოველი ჩვენთაგანი — წარსულის წანამძღვრე-  
ბის შედეგი და მომავლის აუცილებელი წანამძღვარია; ჩვენ ყველა-  
ნი ადამიანები ვართ. მე არ მეგულება სხვა სახელი, რომლის წარ-  
მოთქმაც შეიძლებოდეს დიდი სიამაყითა და სიყვარულით, ვიდრე  
ადამიანის სახელისა! მე მგონია, ეს აუცილებლად უნდა ჩავუნერ-  
გოთ ბავშვებს.

გზა ბავშვებს — კაცობრიობის მთელი გრანდიოზული მუშაობის  
შემკვიდრებებს!

წარუძეხით მათ მომავლისაყენ. ასწავლეთ წარსულის პატივის-  
ცემა და დაფასება, — ასე შევქმნით შემოქმედებითი ენერჯის გა-  
ნუწყვეტელ ტალღას.

ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა. წარსულის ტანჯვა-წვალებათა განცდა, შეცდომების გაგება და მათი პატიება.

იბრძოლეთ ინტერნაციონალური ოჯახური აღზრდისათვის. მის ყველა მონაწილეს ვუსურვებ სულის მინეობას და იმ ნათელი მომავლის რწმენას, რომელსაც ჩვენ ყველანი შეძლებისამებრ ვემსახურებით და რომელიც სიხარულით. ბედნიერებით და სიყვარულით აავსებს ჩვენი ბავშვების ცხოვრებას.

1010

სიტყვა „სოციალური აღზრდის ლიგის“  
საჯარო სხდომაზე 1917 წ. 25 ივნისს

ჩვენი მეცნიერების მიერ ცხოვრების საიდუმლოებათა ამოცნობის მიზნით წამოყენებულ ჩინებულ ვარაუდებს, მხატვართა მიერ ადამიანის სულის მრავალგვაროვანი მშვენიერების გახსნის მისწრაფებათ, პრაქტიკულ მოღვაწეთა გრანდიოზულ მუშაობას, — ბუნების ბნელ ძალებზე ადამიანის გონებისა და ნების გამარჯვების ყველა ჩვენს ოცნებას, დედამიწაზე სოციალური სამართლიანობის დამყარების ჩვენს ოცნებას, მთელს ჩვენს სულიერ სიმდიდრეს ჩვენ გადავცემთ შვილებს — ცხოვრების ხვალისდელ შემოქმედთ.

მაგრამ კეთილ საწყისებთან ერთად, რომელთა მარცვლიც ყოველ ჩვენთაგანშია, ბავშვებს მხრებზე ავკიდეთ ჩვენი შეცდომების მთელი სიმძიმე, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა სიმძიმე, ჩვენი სიცრუისა და პირმოთნეობის მთელი ნაგავი. მთელი მასა ბოროტებისა, რაც თვითეული ჩვენთაგანის სულში დაგროვილა.

ჩვენი სიტყვებისა და ოცნებების შესანიშნავ თაიგულს გადავცემთ ბავშვებს ჩვენი საქმეების უხამიან ნაყოფთან ერთად; ჩვენი აზრის თაფლუქი მათთვის მოწამლული იქნება ჩვენი სკეპტიციზმის, ეგოიზმის, საკუთარი ძალისადმი რწმენის დაკარგვის უხამით.

მწარეა ამაზე ფიქრი, მძიმეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ გვახსოვდეს ეს განსაკუთრებით ახლა. ამ დღეებში, რომელთა ტრაგიზმის სიღრმესაც სათანადოდ ვერ ვწვდებით.

არასოდეს იმგვარად არ მოუხამულა ბავშვების სული, როგორადაც იშხამება იგი ჩვენ მიერ შექმნილი პირობებით, და არასოდეს არ ექცეოდა ბავშვებს ასე მცირე ყურადღება, როგორც ჩვენს დღეებში.

ახლა კრეტინებიც კი თვალნათლივ ხედავენ. თუ როგორ ძირ-ფესვიანად შეირყა და იმსხვრევა კაცობრიობის მიერ წამებით გამო-მუშავებული ჰუმანიტარული იდეების — ამ სოციალური აღზრდის საფუძვლის — მთელი წყება; კაცთმოყვარეობის იდეალების პროპა-განდა ადამიანთა გაჟლეტის პროპაგანდამ შეცვალა.

კაცობრიობის აზრის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა — ფრთიანი კაცი — განხორციელებული ლაშაზი ბავშვური ოცნება კაც-ფრინ-ველზე — ეს გონებით ფრთაასხმული ადამიანი ციდან ბომბებს უშენს მშვიდობიან ქალაქებს და ხშირად ხოცავს პატარა ბავშვებს, რომლებიც გულწრფელი აღტაცებით შეხვდნენ აეროპლანის გამო-გონებას, რადგან ტექნიკის ამ გამარჯვებაში ცხოვრების ბედნიერე-ბისათვის განხორციელებული ზღაპარი დაინახეს; კაპიტან ნემოს „ნაუტილუსმა“ და ბავშვების საყვარელმა ბევრმა სხვა საგანმა, ამ-ჟამად აზრი დაკარგა, რადგანაც სხვა მიზანს დაუქვემდებარეს.

აზრი დაკარგა მსოფლიოს საუკეთესო ოცნებაჲც — ყველა ადა-მიანის ძმობის ოცნებაჲ; ყველაფერმა დაკარგა აზრი სასტიკი ხოც-ვა-ჟლეტის ამ წლებში, როდესაც მიწის უნაყოფიერესი ველები ჩვე-ნი პლანეტის ყველაზე უფრო შრომისუნარიანი და ნიჭიერი ტო-მების — ევროპის ხალხთა უძვირფასესი სისხლით არის გაჟღენთილი. დანთხეული ტვინით არის მოსვრილი და გახრწნილი გვაშებით არის ნოწამლული.

ჩვენ ვესწრებით რაღაც შემზარავი ღორის ზეიმს, რომელიც გა-ცოფდა და ბლაგვი დინგით მთელ მსოფლიოს ანადგურებს.

აღარ მოგაგონებთ, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს ეს თვითამოჟლეტა, ევროპის ეს ხანგრძლივი თვითმკვლელობა ბავშვის მგრძნობიარე სულზე. თქვენ უკვე გიამბეს, თუ როგორ თამაშობდ-ნენ პოლონელი ბავშვები გაყინული ჭარისკაცების გვაშებით, „ჭა-შუშობანას“ თამაშის დროს როგორ ახრჩობდნენ ერთმანეთს გალი-ციელი ბიჭები, რუსეთის სოფლებში როგორ აწყობდნენ ბავშვები „ომს“, სასტიკად სცემდნენ ერთმანეთს ჯოხებით და აწამებდნენ „ტყვედ წამოყვანილ“ ამხანაგებს. ყოველივე ეს ბუნებრივია. — ომს არ შეუძლია კეთილი გრძნობების აღძვრა, იგი მხოლოდ მხე-ცურ ინსტინქტებს აღვიძებს.

მაგრამ როგორ ვებრძოლოთ ბავშვების გაველურებას? ფიქ-რობ, მოზრდილთა გაველურების წინააღმდეგ ბრძოლით უნდა და-ვიწყოთ. ცხოვრების მესვეურნი ხომ ჩვენა ვართ; ჩვენ გავმსკვა-ლავთ ცხოვრებას გრძნობებით, განწყობილებებით, აზრებით და სულის ამშღვრევი გაუფრთხილებელი სიტყვებით, რომლებიც ში-

შით, გაბოროტებით. შურიანობით გამოწვეული სიძულვილით არის აღსავსე.

ბავშვები ისევე გრძნობენ ომის საშინელ არსს, როგორც შით გატაცებული მოზრდილები: გმირი ხომ ის არის, ვინც ბევრი ადამიანი დახოცა, ხოლო თვითონ ცოცხალი გადარჩა! მათ ასე ფიქრი ასწავლეს კახაკ-კუხმა კრიუჩკოვის გმირობამ, დაჭრილთა მონათხრობმა, ომიდან ხეიბრად დაბრუნებული მამების ნაამბობმა. ბევრი რამ ასწავლეს მათ აგრეთვე მოთხრობებმა ქალებზე ძალადობის, მცირეწლოვანი ქალიშვილების და მოხალისე ბიჭების გახრწნის თაობაზე.

წერა-კითხვის მცოდნე ბავშვები ალტაცებით კითხულობენ გაზეთში ყოფილი მღვდლის შემდეგ სიტყვებს:

„ტყვეები ამოად ითხოვდნენ შეწყალებას, ჩვენმა ვაჟკაცებმა საკადრისი მიუზღეს მათ“. ბავშვები ხვდებიან, რას ნიშნავს ეს: ვაჟკაცებმა დახოცეს ტყვეები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა გრძნობებს აღძრავს ბავშვში ასეთი შთაბეჭდილებანი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ გრძნობებით აღჭურვილნი შევლენ იაინი ცხოვრებაში. არ უხდა დაგვაფიწყდეს — ამას მე განსაკუთრებით აღვნიშნავ — რომ რუსებს დიდი ხნის განმავლობაში დაყინებით ასმევენენ არაყს და რომ ჩვენ საქმე გვაქვს ალკოპოლიკთა შთამომავლობასთან, შთამომავლობით მოწამლული ადამიანების მასასთან, რომელიც ადვილად ითვისებს ავადმყოფური ხასიათის შთაბეჭდილებებს.

ახლა, როდესაც სოციალური კატასტროფების ხანაში, რევოლუციის ატმოსფეროში შევედით, განსაკუთრებით მტკიცედ უნდა დავიხსოვოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ფსიქოლოგიურად არცთუ ისე ჯანსაღ ქვეყანაში. იმ ხალხში, რომლის ჯანმრთელობაც შელახულია.

ძალაუფლებისათვის ბრძოლა, ერთი მხრივ, ცოდნით შეიარაღებულ, პოლიტიკურ ემნაკობას მიჩვეულ, თავისი ძალების სწრაფად შემკრებ ცენზოვან კლასებსა და, მეორე მხრივ, დაქუცმაცებულ, ნახევრადმშიერ, უცოდინარ, ანარქიისაკენ ორგანულად მსწრაფ და სხვადასხვა პროგრამებით დაყოფილ დემოკრატიას შორის ხანგრძლივი და მძიმე იქნება. ატმოსფერო, რომელშიაც ბავშვები იცხოვრებენ, — ეს არის სიცრუის. პირმოთენობისა და მოტყუების, ცილისწამების, ურთიერთდევნის, ადამიანის უპატივცემულობის მძიმე ატმოსფერო. თავს წამოყოფენ სიხარბის; შურის, ბოროტებისა და შურისძიების შავი ურჩხულები. ძალაუფლებისათვის ბრძოლა — ბრძოლა პურის გემრიელი ნაჭრისათვის, ადამიანის ღირსების დამამცირებელი მზრძანებლობის უფლებისათვის — ეს საუკუნო ბრძოლა ჩვენში განსაკუთრებით არაადამიანური, დაუნდობელი იქნება. ბავშვები დამლუპველ მონაწილეობას მიიღებენ მასში, თუ ჩვენ ვერ



გამოვიჩინოთ საკმაო ქვეყანა და ნებისყოფას, რათა შეძლებისდაგვარად დავიცვათ ისინი ამ ბრძოლის სულისგამხრწნელი შთაბეჭდილებებისაგან.

ყოველივე აქ თქმული განსაკუთრებულ ღრმა მნიშვნელობას მიიღებს. თუ ქუჩის ბავშვებს გაეიხსენებთ.

აუცილებელია ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც დღევანდელი დღის უხამიანი და გამხრწნელი შთაბეჭდილებებისაგან ბავშვების დაცვას იკისრებენ. უნდა მოვაგონოთ ბავშვებს, — და საკუთარ თავსაც. — ყოველივე ადამიანური, ჯარგი, რითაც ჩინებულია ცხოვრება.

საზოგადოება ძალიან ცდება, როცა ფიქრობს, რომ ძველი ტიპის სკოლა ბავშვის, ადამიანის უნარის ყოველმხრივ განვითარებას ისახავს. თვითუღმა ჩვენგანმა საკუთარი მაგალითით უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო სკოლას ეს ამოცანა არ აკისრია, — სახელმწიფოს ესაჭიროება მის ნებას დამორჩილებული მუშაკი და არა შემოქმედებითად თავისუფალი ადამიანი, სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმათა დამცველი და არა ახალი პირობების შემქმნელი. ბავშვს რომ აღზრდას, სახელმწიფო მისი ნებისყოფისა და ინიციატივის განვითარებას კი არ ცდილობს, არამედ იმას, რომ თავის ინტერესებს დაუქვემდებაროს ეს ნებისყოფა. სახელმწიფოსათვის სასარგებლოა ადამიანში ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის განვითარება — რაც უფრო ეგოისტურია პიროვნება, მით უფრო მტრულად ეკიდება იგი კოლექტიური მთლიანობის ინტერესებს.

სახელმწიფოს მითითებებით ბავშვის აღზრდა ნიშნავს ისეთ იარაღად მის გადაქცევას, რომლის შემწეობითაც სახელმწიფო აფართოებს და ამტკიცებს თავის ძალაუფლებას.

მე არ უარყოფ სახელმწიფოს. რიგორც მათგანიზებელ საწყისს; მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მხოლოდ სოციალურად გათვითცნობიერებულ პიროვნებას შეუძლია სწორად გაიგოს სახელმწიფოს მნიშვნელობა, რომ ეს შეგნება შინაგანად, ინსტინქტით უნდა გამოძინარეობდეს; არ შეიძლება მისი გარედან თავს მოხვევა პიროვნების უნარის არაბუნებრივი განვითარების გზით.

აღზრდა სოციალური უნდა იყოს; იგი უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდუალისტური ინსტინქტების გადაზრდას სოციალურ ინსტინქტებად. სოციალურად აღზრდილი ადამიანი ისეთი პიროვნება

როდია, რომელიც თუნდაც ჰუმანიტარული დოგმატის კარნახით სწირავს თავის ენერჯიას საზოგადოებას; დიადი ამოცანების სამსახურისათვის მას არ სჭირდება ძალდატანება საკუთარი თავისადმი, როგორც ამას სჩადიოდა ჩვენთვის ცნობილი ბევრი ადამიანი.

ბევრი ასეთი ადამიანი, რომელმაც საზოგადოების სამსახურს შეაღია მთელი ძალ-ღონე, საყვედურობს, რომ ამ საზოგადოებამ საკმაოდ არ დააფასა მისი მუშაობა, ბრალს სდებს საკუთარ თავს ნეცდომისათვის; არასწორად განვლილი გზისათვის; ბევრი დოგმატიკოსი ღალატობს თავის დოგმას და ცთუნება, გაზრწნა შეაქვს ადამიანთა გონებასა და გულში; დოგმის ერთგული ბევრი ადამიანი იქცევა გულცივ და ბრმა ფანტიკოსად, ხოლო ფანტიზმი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სამწუხარო სიმახინჯეა.

მომავლის ადამიანისათვის ცხოვრება და შრომა სიამოვნება იქნება და არა მსხვერპლი, ან გმირობა. თავისივე საზოგადოება ეყოლება გარშემო. სავსებით თავისუფლად იგრძნობს თავს და გარშემო მყოფებთან დააკავშირებს ინსტინქტები. სიმპათიები. საზოგადოების მიერ მეცნიერებაში, ხელოვნებაში, შრომაში დასახული ამოცანების სიდიადის შეგნება.

შეიძლება თუ არა ამის მიღწევა? შეიძლება თუ არა ასეთი ადამიანის აღზრდა?

დიახ, შეიძლება, თუ ამას მოვისურვებთ. კულტურის ისტორია — ეს არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის წინაშე დასახული მიზნების მიღწევის ისტორია; კულტურის ისტორია მსოფლიო მშობაზე, მთელი კაცობრიობის ბედნიერებაზე ჩვენი ოცნების განხორციელების ისტორიაა.

კულტურის ისტორია — ეს არის სავსებით რეალური მოთხრობა თავისი მატერიალური და სულიერი განვითარების გზაზე ადამიანის მიერ განცდილი აურაცხელი გაჭირვებისა; მაგრამ თუ გრძნობით ჩაწვდებით დიდი ტრაგიზმით გამსჭვალული ამ მოთხრობის არსს, იგი ჩვენს წინაშე წარმოსდგება ჩვენი ნებით სინამდვილედ ქცეულ ჯადოსნურ ზღაპრად, გასაოცარ უტოპიად. ექვს გარეშეა. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ყველაფერი. რაც კი გვსურს. მაგრამ ჭერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ძლიერი მონდომება.

\*

ბავშვების დაცვა კულტურის დაცვაა.

კულტურის მნიშვნელობა მდგომარეობს მის იმ მისწრაფებაში, რომ შეამსუბუქოს არსებობისათვის ჭერ აუცილებელი ბრძოლის

ფორმები და საშუალებანი. რაც უფრო უკეთ ჩაწვდებიან ადამიანე-  
ბი კულტურის ამ არსს, მით უფრო დაჩქარდება მისი წინსვლა სა-  
ბოლოო მიზნისაკენ — ადამიანის განთავისუფლებისაკენ მისი ყო-  
ფის პოლიტიკურ-ეკონომიური პირობების მიერ შექმნილი ცრუ-  
რწმენების ტყვეობისაგან.

ისტორიის მიერ შექმნილი თვითეული ჩვენგანი გამომდინარე-  
ობს წარსულიდან და მომავლის წინამძღვარია. ადამიანს მთელი  
სულიერი სიმდიდრე, მისი ფსიქიკის ყველა სიმახინჯესთან ერთად;  
ზემკვიდრეობით აქვს მიღებული მისი წინამორბედი თაობებისაგან;  
წარსულით გაპირობებული მისი ინსტიქტები წინ ელობებიან მისი  
ინტელექტის განვითარებას; მისი მისწრაფება ცხოვრების ახალ,  
უკეთესი ფორმებისაკენ, მისი პირადი შემოქმედება წინააღმდეგო-  
ბას აწყდება. უპირველეს ყოვლისა, თვითონ მასში.

ამ დებულებების აღიარებით ჩვენ უნდა ვცნოთ. რომ ადამიანი-  
სათვის ძნელია სხვაგვარი იყოს, ვიდრე იგი არის, რომ თანამედ-  
როვე საზოგადოების მახინჯი წყობილება უფრო აღრმავებს ამ სიძნე-  
ლეს და რომ მხოლოდ ნებისყოფის გაძლიერებულ აღზრდას შეუძ-  
ლია წარსულის ფაქტებისადმი მონობისაგან ადამიანის განთავისუფ-  
ლება, ახალი ფაქტების შემოქმედად მისი გადაქცევა.

ასეთმა შეხედულებამ ადამიანებზე, რომელიც სწორად ხსნის —  
მაგრამ არ ამართლებს — მათ ანტიზაზოგადოებრივ მიდრეკილე-  
ბებსა და მისწრაფებებს და გვიჩვენებს მათ ფესვებს, ერთგვარად  
უნდა შეცვალოს ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება; უფრო სათნო,  
მომთქმენი უნდა გავხდეთ, უფრო ფართოდ უნდა განვიხილოთ ადა-  
მიანი.

ადამიანი პასუხს აგებს მისი ცხოვრების ყველა ცოდვასა და უმს-  
გავსობაზე, მაგრამ ჩვენ უნდა გვწამდეს უკეთესისაკენ მისი მისწრა-  
ფების გულწრფელობა და ამ მისწრაფებათა გამარჯვება წარსულის  
გადმონაშთებზე. ამ რწმენის გარეშე, სოციალური იდეალიზმის ამ  
გრძნობის გარეშე, ჩვენ განწირულნი ვიქნებით უმოქმედობისათვის,  
ჩვენს ცხოვრებას აზრი ეკარგება.

თუ ადამიანი საკმაოდ აქტიური არ არის, საკმაო ნებისყოფა არა  
აქვს, მის ცხოვრებასა და მის მომავალს გარდუვალად განსაზღვრავს  
წარსული; გამომუშავებულსა და განვითარებულ ნებისყოფას კი  
თავისი მისწრაფებანი შეაქვს სამყაროში, იგი ახალ საქმეებს იწყებს  
და ახალ კანონებს ქმნის.

აუცილებელია ფართო გზა მივცეთ ყველა ადამიანის ინტერესთა  
ერთიანობის შეგნებას, ყველაფრის მსოფლიო, პლანეტური კავში-  
რის იდეას. ადამიანთა საბოლოო ინტერესია ბუნების ძალთა და-

შორჩილება, იძულებითი შრომისაგან თავის განთავისუფლება, ჩვენი ფიზიკური ენერჯის გარდაქმნა სულიერ ენერჯიად, რათა თავისუფლად და წარმოდგენლად ფართოდ განვაფითაროთ ჩვენი თვისებები და უნარი.

ჰელაგოგი არა ვარ და, შესაძლოა, სწორად ვერ ვამბობდე, მაგრამ ჩემი აზრით, აღზრდა სამ ამოცანას ისახავს: ადამიანის აღჭურვა თავისი თავისა და გარემომცველი სამყაროს ცოდნით; ხასიათის ჩამოყალიბება და ნებისყოფის განვითარება; უნარის განვითარება.

ცოდნა მარტო ფაქტების მექანიკური დაგროვება კი არ უნდა იყოს, არამედ თვითეული ფაქტის კეშმარჩების დადასტურების კრიტიკაც. განზოგადებათა წყობაც, აზროვნების პროცესის ანალიზიც.

ხასიათის ჩამოყალიბება, ნებისყოფის განვითარება შესაძლებელია შრომაში, მეცადინეობაში, თამაშში ბავშვთა მხოლოდ ფართო თვითმოქმედების პირობებით.

უნარის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამა თუ იმ უნარის მთელი სრულყოფით განვითარება წარმოშობს ნიჭიერ და გენიალურ ადამიანებს. აღზრდა ყველას ესაჭიროება, — გენიოსებსაც.

ადამიანთა უმეტესობა ბავშვობაში ავლენს მეტნაკლებ ინტერესს სხვადასხვა სპეციალობისადმი. ამ ინტერესს ჩვეულებრივად ახშობს ხოლმე აღზრდის მიღებული სისტემა. ეს კი ადამიანის წინააღმდეგ ცხოვრების წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი ცოდვია.

მე შესახება — შესაძლოა, უტოპიური — გეგმა ისეთი საბავშვო დაწესებულებისა, სადაც ბავშვები უპირველეს ყოვლისა თავისი ცხოვრების სრული ბატონ-პატრონები, თავისუფალი მშენებლები იქნებიან.

იღინა თვითონ უძღვებიან თავიანთი სახლის მთელ მეურნეობას, თვით იცავენ სისუფთავესა და წესრიგს, თვითონ ანაწილებენ მუშაობის. მეცადინეობის, თამაშის დროს. მათ შორის ფართოდ არის განვითარებული არჩევითობა, არსებობს ამხანაგური სასამართლო და, საერთოდ, ყველაფერი, რაც კი საჭიროა კოლექტიური ცხოვრებისათვის. ამ დაწესებულებაში თავი უნდა მოვეუყაროთ სხვადასხვა კლასების ბავშვებს 6-დან 12 წლამდე ასაკისა, და რაც უფრო სხვადასხვაგვარი იქნებიან ინდივიდუუმები. მით უფრო დაძაბულად უნდა ხლებოდეს თვითეული მათგანის სულიერი ზრდა.

რასაკვირველია. ბავშვთა შორის უნდა იმყოფებოდეს მათი სათუთად და შეუმჩნეველად წარმმართველი მოზრდილი ადამიანი, მაგრამ — მხოლოდ წარმმართველი და არა ნების ჩამხშობი გონება.

ამ გონების როლი თითქმის მხოლოდ ტექნიკურ როლად ვესა-  
ნება: იგი ბავშვებს უზიარებს თავის გამოცდილებას, მაგრამ არ და-  
ლებს მათ საკუთარ იდეებსა და მოსაზრებებს.

იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უნარის განვითარე-  
ბას, შრომისადმი მისწრაფებას, ინიციატივის, აქტიურობის დანერგ-  
ვას. შრომითი საწყისი ცხოვრების საფუძველია.

ამ პირობებში ბავშვი ისე ცხოვრობს, თითქოს „ცხოვრებას თა-  
ნაშობსო“, და სანამ ბუნება ბავშვობის ბედნიერებით დატკობის  
ნებას მისცემს, იგი ბავშვად დარჩება. მაგრამ როდესაც სინამდვი-  
ლე თავის მკაცრ მოთხოვნებს წაუყენებს, ცხოვრების ბატონ-პატ-  
რონად, თავისუფალ პიროვნებად აღზრდილი, შეძლებს გულმშვე-  
რად და მარჯვედ შეეგებოს სინამდვილის რთულ საქმეებს. აი, რა  
მიმართა მე არსებითად მნიშვნელოვან და მისალწვე საქმედ აღზრ-  
დის აღნიშნულ პირობებში.

ძირითადი სასწავლო ან სასაუბრო საგანი ასეთ დაწესებულებაში  
კულტურის ისტორია უნდა იყოს. კაცობრიობის განვითარების  
პროცესს რომ ვსწავლობთ, აშკარად ვხედავთ. თუ როგორ გარღუ-  
ვალი იყო ადამიანების მტრებად გამყოფ კლასობრივ და სხვა  
წინააღმდეგობათა აღმოცენება და როგორ აუცილებლად საჭიროა  
მათი გადალახვა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევისწავლით სახელმწიფოებად.  
საზოგადოებებად. კლასებად კაცობრიობის ორგანიზაციის პრო-  
ცესს. თუ გავიგებთ, როგორ აუცილებელია ყველაფერი, რაც კი  
ჩვენს შიგნით ან ჩვენს გარეთ არსებობს. უკეთესისაკენ ადამიანის  
შეუპოვარი მისწრაფებით აღფრთოვანებულნი ამ ძლევამოსილ წინ-  
სვლაში აღმოვაჩინთ საკუთარი თავით სიამაყის იმ გრძნობას, საკუ-  
თარი თავისადმი იმ პატივისცემას, რაც აუცილებლად გვესაჭირო-  
ება.

ამ გრძნობის საფუძველზე წარმოიშობა სოციალური იდეალიზ-  
მი — თვითეული ადამიანის მნიშვნელობის, ყველა ადამიანის სა-  
ბოლოო ინტერესთა ერთიანობის შეგნება და შეცნობა.

როდესაც ამაზე ვოცნებობდი, მე არ ვიცოდი. რომ ამ ტიპის საბ-  
ლი — სკოლები უკვე არსებობენ რუსეთში. ერთი მათგანი თორ-  
მეტი წლის წინათ დაუარსებია მოსკოვში ს. ტ. შაკის, ხოლო მეო-  
რე — 1907 წელს ნ. ა. ვუკოტიჩს. აქ ვერ შევჩერდებით ამ ადამიან-  
ების მოღვაწეობაზე და ვერ შევაფასებთ აღნიშნული სკოლების  
მნიშვნელობას, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს. რომ ეს არის უდიდესი  
სოციალური მნიშვნელობის ცდები და ისინი ფართოდ უნდა გავა-  
ვრცელოთ.

და აი, საჭიროდ მიმაჩნია, რომ საზოგადოებამ, მისმა ძალებმა სოციალური მღელვარების ამ დღეებში, როცა ადამიანის სულში გაიღვიძა, დულს და იწვის ყოველივე ბოროტი და კეთილი, დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი ქუჩის ბავშვების აღზრდას. მე მგონია, საჭიროა ახლავე მოვაწყოთ „სოციალური აღზრდის ლიგა“, ბავშვების სიყვარულის ძალით შევავართოთ ის ადამიანები. ვისაც მართლაც გულწრფელად უყვარს ბავშვები და ნამდვილად ესმის ინსტიქტთა კიდილს აყოლილი ქუჩის გამხრწნელი გავლენისაგან ბავშვების დაცვის აუცილებლობა.

თუ ჩვენ მართლაც გვინდა ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა, ძველი წყობილების ფსიქოლოგიური საფუძვლების შეცვლა, ეს რთული და ძნელი საქმე სწორედ ამით. ბავშვების აღზრდით უნდა დავიწყოთ.

რა ამოცანები აკისრია „ბავშვთა სოციალური აღზრდის ლიგას“?

პირადად მე „ლიგის“ ამოცანები ძალიან ფართოდ მესახება, ძლივს ვხედავ მისი საქმიანობის ფარგლებს — ისე ყოველმხრივი შეიძლება იყოს ეს საქმიანობა.

„ლიგა“ ერთგვარად წარმოადგენს აღზრდისა და განათლების სრულიად რუსეთის ორგანოს. იგი საზოგადოების თავისუფალი ძალების მიერ არის შექმნილი და თუმცა ქვეყნის უმაღლესი ძალაუფლების კონტროლს ექვემდებარება, მოქმედების სრული თავისუფლებით სარგებლობს.

„ლიგა“ ივალებს შექმნას საჭირო ფონდი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის აუცილებელი სახლის მოსაწყობად. რასაკვირველია, თანხების დიდი ნაწილი მთავრობამ უნდა გაიღოს, მაგრამ საზოგადოებამაც უნდა გაიღოს საჭირო მსხვერპლი იმ საქმისათვის, რომლის წარმატებითაც იგი არსებითად არის დაინტერესებული.

„ლიგა“ ახდენს ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა აღმზრდელობითი დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციას, სცეპს ბიულეტენებს, ანგარიშს, ჟურნალებს და წიგნებს. რომელთა საშუალებითაც პედაგოგიურ სამყაროს აცნობს მის მიერ გაწეულ მთელ მუშაობას; იგი განიხილავს სასკოლო შენობათა ახალ პროექტებს, პედაგოგთა, თეორეტიკოსთა ახალ თეორიებს, იდეებსა და მოსაზრებებს; სძლევს პრაქტიკოსთა სიძნელეებს, ზრუნავს მათი ცოდნის შევსებასა და გაშუქებაზე და ა. შ.

„ლიგა“ თავისი წევრებისაგან ქმნის „სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო კომიტეტის“ მსგავს ორგანოს

და ავალებს ამ კომიტეტს სახელმძღვანელოების შედგენას ცოდნის ყველა დარგში.

იგი აწყობს სასწავლო ნივთების სახელოსნოებს და მათ მუშაობაში იზიდავს ბავშვებს; აწყობს ექსკურსიებს გეოლოგიური, ბოტანიკური, ენტიმოლოგიური კოლექციების შესადგენად და, საერთოდ, ცდილობს უფრო ფართოდ ჩააბას ბავშვები საკუთარი თავისათვის, თავისი განათლებისათვის მუშაობაში.

„ლიგა“ ბავშვებისათვის აწყობს განსაკუთრებით ჩვენში, რუსეთში ასე საჭირო ეთნოგრაფიულ ექსკურსიებს; იგი მასობრივად აგზავნის ბავშვებს საზღვარგარეთ სამოგზაუროდ.

დაბოლოს „ლიგა“ ახორციელებს ყველა სახელმძღვანელოს, სასწავლო ნივთების, პედაგოგიური თბზულებების გამოცემას; იგი ხელთ იღებს პედაგოგიური მოღვაწეობის მთელი სხვადასხვაგვარი იარაღების წარმოებას. საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად გააიაფებს ეს განათლების საქმეს, — მოისპობა გონებაზე შემოღებული უსირცხვილო გადასახადი, მილიონები, ახლა სახელმძღვანელოების გამომცემლები რომ ართმევენ ხალხს. „ლიგა“ უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც სათუთად და ღრმად გრძნობს ბავშვების სულია მთელ შერყევობას. ცხოვრებაში ახალი ენერგიით შესული პატარა ადამიანების ყველა მოთხოვნას.

ბავშვთა ენერგიის დაზოგვა ამ ენერგიის დაგროვებისა და განვითარების პერიოდში „ლიგის“ წმიდათა წმიდა მოვალეობაა, რასაც იგი გარკვევით უნდა ხედავდეს. რაც უფრო დავიცავთ ამ ენერგიას უნაყოფო ხარჭვისაგან, მით უფრო მშვენიერი და მდიდარი იქნება ადამიანის მომავალი, მით უფრო მეტად შემოქმედებითი იქნება მუშაობა დედამიწაზე.

რაც უფრო გონივრული იქნება ჩვენი სიყვარული და ყურადღება ბავშვებისადმი, მით უფრო ბრწყინვალე და მშვენიერი იქნება ცხოვრება.

ბოლოს და ბოლოს, ყველანი მათთვის ეცხოვრობთ, ვინც დღეს ჩვენ უკან მოდის, ხოლო ხვალ წინ გაგვისწრებს ბედნიერების გზაზე.

ჩვენ წავალთ ამ ქვეყნიდან, ბავშვები დარჩებიან. მაშ, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მათ ჩვენზე უფრო იოლად იცხოვრონ; რომ ისინი ისევე არ ეწამონ ჩვენი დანაშაულობების წყალობით. როგორც ვეწამებით ყველანი, ვინც ძველ შეცდომებს ვასწორებთ და ახალს კი ვუშვებთ.

მემკვიდრეობად ვუანდერძოთ ბავშვებს, რაც საუკეთესო გავაჩნია — საყოველთაო ძმობის ჩვენი მომხიბვლელი ოცნება, ჩვენა

იდეალიზმი, გონებისა და სილამაზის ჩვენი სიყვარული. გვიჭირს ცხოვრება და დასატრაბახებელიც არა გვაქვს რა; ჩვენს ბევრ ცუდ ჩვევას შეიძლება მოვუნახოთ ახსნა, მაგრამ არაფრის გამართლება არ შეიძლება. შევეცადოთ ჩვენი ბავშვებისაგან ახალი კაცობრიობის აღზრდას; ახლა თავისუფლად მუშაობის ჩინებული შესაძლებლობა გვაქვს. — მოვახმაროთ ჩვენი ძალ-ღონე უკეთეს საქმეს — მომავალს!

ჩვენ ასე ადვილად და უზრუნველად ვბადებთ ბავშვებს, მაგრამ რა ცოტას ვზრუნავთ ადამიანის ჩამოყალიბებაზე!

მოგიწოდებთ, შეეუქმნათ ბავშვებს ყველა შესაძლებელი პირობა, რომ ისინი, რაც შეიძლება, ნაკლებად დაგვემსგავსონ ჩვენ. ჩვენ ყველას გვენატრება საუკეთესო, იდეალური ადამიანი, ძალიან გვენატრება. ასე არ არის?

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ იგი ამ ქვეყანაზე! მაშ, მოვახმაროთ ჩვენი ძალ-ღონე ადამიანის აღზრდას, შესაძლოა, ამის ჯილდოდ ვიხილოთ იმათი ჰაბუკი წინამორბედნი, ვინც, დიდი ხანია, ასე ენატრება ჩვენს სულს.



## წერილები რომენ როლანს

ძვირფასო და დიდად პატივცემულო ამხანაგო რომენ როლან!  
ძალიან გთხოვთ ბავშვებისათვის დაწეროთ ბეთჰოვენის ბიოგრაფია. ამასთანავე, თხოვნით მივმართავ ჰ. უელსს დაწეროს „ედისონის ცხოვრება“. ფრიტიოფ ნანსენი მოგვცემს „ქრისტეფორე კოლუმბის ცხოვრებას“, მე დავწერ „გარიბალდის ცხოვრებას“, ებრაელი პოეტი ბიალიკი — „მოსეს ცხოვრებას“ და ა. შ.

სურვილი მაქვს, საუკეთესო თანამედროვე მწერლების მონაწილეობით შევქმნა კაცობრიობის დიდი მოაზროვნეების ბიოგრაფიებისადმი მიძღვნილ წიგნთა მთელი სერია ბავშვებისათვის. ყველა ამ წიგნს მე გამოვცემ.

დარწმუნებული ვარ, თქვენ — „უან კრისტოფისა“ და „ბეთჰოვენის“ ავტორი, დიდი ჰუმანისტი, ვისაც ასე ჩინებულად გესმით დიდი სოციალური იდეების მნიშვნელობა, უარს არ იტყვიტ და ხელს შეუწყობთ ამ კარგ და მნიშვნელოვან საქმეს.

თქვენ თვითონ ჩინებულად გესმით, რომ არავე ისე არ ესაჭიროება ახლა ჩვენი ყურადღება, როგორც ბავშვებს.

ჩვენ მოწიფული ადამიანები ვართ და მალე წავალთ ამ ქვეყნიდან. ჩვენს ბავშვებს კი დაუტოვებთ უზადრუკ მემკვიდრეობას. ძალიან სევდიან ცხოვრებას. ეს უაზრო ომი — ჩვენი მორალური სისუსტის, კულტურის დაცემის ბრწყინვალე დადასტურებაა. მოვაგონოთ ბავშვებს, რომ ადამიანები ყოველთვის როდი იყვნენ ასე სუსტნი და ცუდები, როგორებიც — წარმოიდგინეთ! — ჩვენ ვართ ახლა; მოვაგონოთ მათ, რომ ყველა ხალხს ჰყავდა და ახლაც ჰყავს დიდი ადამიანები, კეთილი გულის ადამიანები! ეს აუცილებლად

უნდა გაკეთდეს სწორედ ახლა, მომპლავრებული სისასტიკისა და მხეცობის ღლეტებში.

დაბეჯითებით გთხოვთ, ძვირფასო რომენ როლან, ბეთჰოვენის ამ ბიოგრაფიის დაწერას, რადგან დარწმუნებული ვარ, თქვენზე უკეთ მას ვერავინ დაწერს!

და კიდევ, გეთაყვა, თუ შეიძლება, მიმითითეთ, რომელ ფრანგ მწერალს მივმართო თხოვნით — ბავშვებისათვის დაწეროს ენა ღარკის ისტორია. თავისთავად ცხადია, იგი უნდა იყოს ნიჰიერი კაცი და არაკათოლიკე. იმედი მაქვს, გამიგებთ.

ძვირფასო დამრიგებელო, ყურადღებით წავიკითხე ომის დროს დაბეჭდილი ყველა თქვენი სტატია და მსურს გითხრათ, რომ მათ დიდი პატივისცემა და სიყვარული აღმიძრეს თქვენდამი. თქვენ ერთ-ერთი ის იშვიათი ადამიანი ბრძანდებით, ვისი სულიც ვერ დააძაბუნა ამ ომის უგუნურებამ. დიდად სასიხარულოა იმის ცოდნა, რომ თქვენს კეთილ გულში ინახავთ კაცობრიობის საუკეთესო პრინციპებს.

ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მიპასუხოთ, აღნიშნოთ აგრეთვე თქვენი პირობები და წიგნის სავარაუდო მოცულობა.

ნება მიბოძეთ, შორიდან ჩამოგართვათ ხელი, ძვირფასო ამხანაგო. და კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი ღრმა პატივისცემა და გულწრფელი აღტაცება თქვენდამი.

გისურვებთ ხანგრძლივსა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი

პეტროგრადი

მაქსიმ გორკის

„პარუსი“

ბოლშაია შონეტაია, 18,

[იანვრის დასაწყისი, 1917]

## II

უჩქაროვით გიპასუხოთ, ძვირფასო რომენ როლან. წიგნი ბეთჰოვენზე განკუთვნილია მოზარდი ახალგაზრდობისათვის (13—18 წლისა). ეს უნდა იყოს გენიოსის ცხოვრების, მისი სულის ევოლუციის, მისი ცხოვრების უმთავრესი მოვლენების, მის მიერ დაძლეული ტანჯვა-წამებისა და მიღწეული დიდების მიუყვარძოებელი და საინტერესო მოთხრობა. სასურველია ყველაფრის ცოდნა, რაც კი

შეიძლება ბეთჰოვენის ბავშვობის წლებზე. ჩვენი ამოცანაა, ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას ცხოვრების სიყვარული და რწმენა. ჩვენ გვსურს გვირობა შევასწავლოთ ადამიანებს. ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ იგი სამყაროს შემოქმედი და ბატონ-პატრონია, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა დედამიწაზე მომხდარი ყველა უბედურებისათვის და მასვე ეკუთვნის დიდება ცხოვრებაში არსებული ყოველი კეთილისათვის. ადამიანს დახმარება ესაჭიროება ინდივიდუალიზმისა და ნაციონალიზმის ბორკილების დამსხვრევაში. ადამიანთა შორის მსოფლიო კავშირის პროპაგანდა ქეშმარიტად რომ აუცილებელია.

ძალიან გამახარა სოკრატეს ცხოვრების აღწერის თქვენმა იდეამ; გააკეთეთ ეს საქმე, გეთაყვა! სოკრატეს თქვენ დახატავთ ანტიკური ცხოვრების, ათენის ცხოვრების ფონზე, ხომ?

თქვენი ესოდენ მახვილი შენიშვნები მოსეს გამო ემთხვევა ჩემს მოსაზრებას რელიგიური ფანატიზმის როლზე ცხოვრებაში, რომელსაც ეს ფანატიზმი ანგრევს. მაგრამ მოსეს მე განვიბილაე, როგორც მხოლოდ სოციალურ რეფორმატორს და მისი ბიოგრაფიის მასალები მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა შეირჩეს.

ვიფიქრე ენა დ'არკზეც, მაგრამ ეწიშობ, ამ თემამ არ გამოიწვიოს ლაპარაკი „ხალხის მისტიკურ სულსა“ და სხვა საგნებზე. ეს საკითხი მე არ მესმის და ძალიან მკენედ მივიჩნევ ჩვენთვის, რუსებისათვის.

სხვა საქმეა ფრანცისკ ასიზელის ცხოვრება... თუ ამ წიგნის ავტორი განიზრახავდა ფრანცისკ ასიზელისა და აღმოსავლეთის წმიდანთა, რუს წმიდანთა შორის არსებული დიდი განსხვავების ჩვენებას, ეს ძალიან კარგი და სასარგებლო იქნებოდა. აღმოსავლეთი პესიმისტური, პასიურია; რუს წმინდანებს არ უყვართ ცხოვრება, ისინი უაოყოფენ და წყევლიან მას. ფრანცისკი რელიგიური ეპიკურიკლია. იგი ელინია. მას ღმერთი უყვარს, როგორც მის მიერ შექმნილი, როგორც მისი სულის ნაყოფი. იგი გამსჭვალულია ცხოვრების სიყვარულით და არ იცის დამამცირებელი შიში ღმერთის წინაშე. რუსი ის ადამიანია, ცხოვრება რომ არ იცის, მაგრამ იცის სიკვდილი... გეშინია, რუსეთი ჩინეთზე უფრო აღმოსავლეთით არ აღმოჩნდეს. მისტიციზმი ძალიან მოგვედო...

საერთოდ, საჭიროა ადამიანებს ჩავუნერგოთ მოქმედების სიყვარული, აღვუძრათ პატივისცემა გონებისადმი, ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი.

გმადლობთ, გულითადად გმადლობთ თქვენი მეგობრული წერილის გამო. დიდი ნუგეშია, როცა იცი, რომ სადღაც, შორს არის

აღამიანი, ვისაც შენაერთ სტკივა გული და უყვარს ის. რაც ძვირფასია შენთვის. მეტად კარგია ამის გაგება ძალადობისა და სიგიჟის დღეებში!

გართმევთ ხელს. ძვირფასო მეგობარო.

მ ა ქ ს ი მ გ ო რ ც ო

1917, მარტი. პეტროგრადი.

III

ძალიან მინდა საფრანგეთში გამოიციეს პრიშვინის მოთხრობების წიგნი ....პრიშვინი ძლიერ საოცრად ფლობს რუსულ ენას და ასევე საოცრად ხატავს ძაღლებს, ფრინველებს, პეიზაჟს...

6 აპრილი, 1928. ხორენტი

IV

ძ ვ ი რ ფ ა ს ო მ ე გ ო ბ ა რ ო

ათი დღის შემდეგ მივემგზავრები მოსკოვს და, თქვენი სურვილისამებრ, დაუყოვნებლივ მოვაგვარებ კავშირში კულტურული მუშაობის მიმდინარეობის ცნობების გამოგზავნას თქვენთვის. როგორც ვფიქრობ, თქვენ უპირველესად გაინტერესებთ ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედება, ლიტერატურის ახალი ავტორები და ამასთანავე ლიტერატორთა ცხოვრება, ფერწერა, სამხატვრო — „კუსტარული“ — წარმოება. ყოველივე ამას მიიღებთ აღწერისა და ნიმუშების სახით.

გიგზავნიან ჩემი პორტრეტის ფოტოს; პორტრეტს ხატავს კორინი და მას იგი ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია; მოსკოვში დაამთავრებს. ძალიან გამიხარდა, რომ ნება დართეთ კორინს, დახატოს თქვენი პორტრეტი საბჭოთა კავშირისათვის.

კიდევ ერთი მინდა გთხოვოთ: დავოსში, სანატორიუმ „ჰელიოს-ში“ ცხოვრობს ერთი ჩვენი ახალგაზრდა მწერალი, კონსტანტინე ფედინი („ქალაქები და წლები“), რომელსაც ძალიან სურს თქვენი ნახვა. მან იცის გერმანული ენა. ხომ არ დართავდით ცოტა ხნით თქვენთან მოსვლის ნებას? ამით ძალიან გაახარებთ. იგი საინტერესო კაცია.

თქვენთან შეხვედრაზე ოცნებობს აღექსეი ტოლსტოიცი, რომე-

ლიც ახლა ჩემთან სტუმრად იმყოფება. იგი ავტორია ჩვენში პირველი, ჰემშარიტად ისტორიული და შესანიშნავი რომანისა „პეტრე I“. ისიც ჩემთან ერთად მიემგზავრება მოსკოვს. ჩემი სტუმარია აგრეთვე აფინოგენოვი, რომლის პიესაც „შიში“ ამჟამად ლენინგრადისა და მოსკოვის თეატრებში იდგმება.

საბჭოთა ლიტერატორები „ჩვენს რომენ როლანს“ გიწოდებენ თქვენ და ამ „ჩვენში“ თქვენდამი დიდი, გულწრფელი სიყვარულია ჩაქსოვილი.

რასაკვირველია, სიამოვნებით მივიღებ იპონელ მოქანდაკეს, რადგანაც თქვენ ეს გსურთ.

ილანი — ავტორი „მოთხრობისა დიად ვეგმაზე“ — მთელი რიგი საბავშვო წიგნების ავტორის, მარშაკის ძმაა. ორივე ძალიან ნიჭიერია. ილანის წიგნი გამოვიდა გერმანულ ენაზე: „Die fünf Jahre, die die Welt verändern“\*. ხოლო ინგლისურად გამოვიდა სხვა, ასევე საინტერესო წიგნი: „100.000 რატომ?..“

მაგრად გართმევთ ხელს. მოგესალმებიან ტოლსტოი და აფინოგენოვიც.

მ. გორკი

სორენტო, 11 აპრილი, 1932 წ.

V

ამ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურისა და ბავშვების აღზრდის საკითხებს. ხდება სწავლების მთელი სისტემის რეორგანიზაცია. შემოღებულ იქნა ახალი სახელმძღვანელოები, სკოლები გადაკეთდა ათწლედებად, შექმნილია საბავშვო წიგნების სპეციალური გამომცემლობა — ასეთი წიგნები გამოვა 100, 200 და 500 ათასიანი ტირაჟით. არა მგონია, რომ ამ ცაფრებმა დააკმაყოფილოს მოთხოვნილება. რამდენიმე დღის შემდეგ გამოგიგზავნით მარშაკის მოხსენებას პიონერი ბავშვების მიერ წიგნების მოთხოვნაზე; ძალიან საინტერესო მოხსენებაა; მისი ნაწილი „პრავდაში“ დაიბეჭდა. მოხსენებას საფუძვლად უდევს პიონერების ხუთი ათასზე მეტი კოლექტიური და ერთპიროვნული წერილი...

გულითადი სალამი მარია პავლეს ასულს.

მ. გორკი

მ. წ. 24

\* მ. ილანის წიგნი „მოთხრობა დიად ვეგმაზე“ გერმანიაში გამოიცა სათაურით „ხუთი წელი, რომელიც შეცვლის მსოფლიოს“.

## ჰერბერტ უელსს

(ნაწყვეტი წერილიდან)

### ძ ვ ი რ ფ ა ს ო მ ე გ ო ბ ა რ ო!

ახლა კი შემდეგი რამ მინდა მოგახსენოთ. ჩემმა ორმა მეგობარმა — ალექსანდრე ტიხონოვმა და ივანე ლადიენიკოვმა დააარსეს საბავშვო გამომცემლობა. შესაძლოა, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ბავშვები ამქვეყნად ყველაფერზე მეტად საუკეთესო და საჭირონი არიან. რუს ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ მსოფლიოს ცოდნა, მისი დიდი აღამიანების და კაცობრიობის საბედნიეროდ მათ მიერ გაწეული შრომის გაცნობა. უნდა გაეწმინდოთ ბავშვთა გულები ამ სულელური და საშინელი ომის სისხლიანი ქანგისაგან; საჭიროა აღვადგინოთ ბავშვების გულში კაცობრიობისადმი რწმენა, მისი პატივისცემა; ჩვენ კვლავ უნდა გავაღვივოთ სოციალური რომანტიზმი, რომელზეც ასე შესანიშნავად ლაპარაკობდა მისტერ ბრიტლინგ ლეტი და წერდა ჰაინრიხის მშობლებს პომერანიაში.

გთხოვთ, უელს, ბავშვებისათვის დაწეროთ წიგნი ელისონზე, მის ცხოვრებასა და შრომაზე. თქვენ კარგად იცით, როგორ აუცილებელია ისეთი წიგნი, რომელიც მეცნიერებისა და შრომის სიყვარულს ასწავლის ბავშვებს. მე ასევე ვთხოვ რომენ როლანს დაწეროს წიგნი ბეთჰოვენზე, ფრიტიოფ ნანსენს — კოლუმბზე. ხოლო თვითონ მე დაწერა წიგნს გარიბალდიზე. ამგვარად, ბავშვები მიიღებენ დიდი აღამიანების პორტრეტთა მთელ გალერეას. გთხოვთ, მაცნობოთ ინგლისელ მწერალთაგან ვის შეუძლია დაწეროს წიგნი ჩარლზ დიკენსზე, ბაირონსა და ნეელიზე? ხომ ვერ დამისახელებ-

ღით რამდენიმე კარგ საბავშვო წიგნს. რომ რუსულად ვათარგმ-  
ნინო?

იმედი მაქვს. უარს არ მეტყვით ამ დახმარებაზე.

გულწრფელად თქვენი  
მ. გორკი

ჩ ე მ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი ა: პეტროგრადი, ბოლშაია მონეტნაია,  
18, „პარუსი“, მაქსიმ გორკისათვის.

1910 წ. დეკემბრის ბოლო  
[1917 წ. იანვრის დასაწყისი].  
პეტროგრადი.

## როგორ ვსწავლობდი

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი)

შეგნებულ კითხვას თოთხმეტი წლის ასაკიდან მივეჩვიე. ამ დროს მარტო წიგნის ფაბულა — ასახულ მოვლენათა მეტ-ნაკლები ინტერესით განვითარება — კი აღარ მაინტერესებდა, არამედ აღწერილის მშვენიერების გაგებაც; ვუფიქრდებოდი მოქმედ პირთა ხასიათებს, ბუნდოვნად ვხვდებოდი წიგნის ავტორის მიზანს და გულისტკივილათ ვგრძნობდი სხვაობას წიგნში ამოკითხულსა და ცხოვრებით ნაკარნახევს შორის.

აღბათ ვერ შევძლებ საკმაოდ ნათლად და დამაჯერებლად გადმოვცე, თუ რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც ვგრძნობდი, რომ თათქმის თვითეული წიგნი ახალი, უცნობი სამყაროს ფანჯარას მიღებს და მომიტხრობს ჩემთვის უცნობ, არნახულ ადამიანებზე, გრძნობებზე, აზრებსა და ურთიერთობებზე. მე ისიც კი მეგონა, რომ ჩემი გარემომცველი ცხოვრება, ყოველივე ის მკაცრი, ბინძური და სასტიკი, რასაც ყოველდღიურად ვხედავდი, — არც ნამდვილია და არც საჭირო; ნამდვილი და საჭირო მხოლოდ წიგნებშია, სადაც ყველაფერი უფრო გონივრულად, ლამაზად და ადამიანურად არის წარმოდგენილი. წიგნებში ადამიანთა უხეშობასა და სიბრიყვეზეც, მათს ტანჯვა-წვალებაზეც წერდნენ, ხატავდნენ ბოროტსა და ფლიდ ადამიანებსაც, მაგრამ მათ გვერდით იდგნენ სხვა ადამიანები, რომლებიც არც მინახავს და მათზე არც რამე მსმენია. ესენი იყვნენ პატიოსანი, სულით ძლიერნი, გულმართალი ადამიანები. ისინი სიმართლის გამარჯვებისათვის, ნამდვილი გმირობისათვის სიკოცხლესაც არ დაიშურებდნენ.



პირველ ხანებში, წიგნებში აღმოჩენილი სამყაროს სიახლითა და დიდი სულიერი მნიშვნელობით გაბრუნებულს, მე ისინი ადამიანებზე მეტად საინტერესოდ და მახლობლად მეჩვენა: სინამდვილეს წიგნებიდან რომ ვუტკებოდი, თითქოს, ერთგვარად დავბრმავდი კიდეც. მაგრამ მკაცრმა გონიერმა ცხოვრებამ მალე გამომათხიზლა ამ სასიამოვნო სიბრმავისაგან...

ვატყობდი, რომ ცხოვრებისაგან მოყენებული ყველაზე მეტი წყენისა და იმედგაცრუების დღეებში, ჩემ მიერ განცდილ ძალიან ბევრ მძიმე დღეებში, განსაკუთრებით მემატებოდა სიმხნევისა და სიჭიუტის გრძნობა მიზნის მისაღწევად. ამ დღეებში განსაკუთრებული ძალით მეუფლებოდა ცხოვრების ავგიისეული თავის გაწმენდის პერკულესისებური სურვილი. ეს აქამდე, ორმოცდაათი წლის ასაკშიც. შემომჩრა და სიკვდილამდეც თან გამყვება; ამ თვისებას ეაცობრიობის სულის უწმინდეს გამოვლენას: ადამიანის მზარდი სულის დიადი წამებისა და წვალების ამსახველ წიგნებს, გონების პოეზიას — მეცნიერებას და გრძნობების პოეზიას — ხელოვნებას უნდა ვუმაღლოდე.

წიგნების მეშვეობით განვაგრძობდი ახალი მოვლენების აღმოჩენას; განსაკუთრებით ბევრი რამ შემძინა ორმა ილუსტრირებულმა ჟურნალმა: „მსოფლიო ილუსტრაციამ“ და „ფერწერის მიმოხილვამ“. ამ ჟურნალებში დაბეჭდილი, საზღვარგარეთის ქალაქების, ადამიანებისა და მოვლენების ამსახველი სურათები სულ უფრო აფართოებდნენ ჩემს წინაშე გადამლილ სამყაროს და ვგრძნობდი, თუ როგორ იზრდება ეს უდიდესი, საინტერესო, დიდი საქმეებით აღსავსე სამყარო.

ჩენი ეკლესიებისა და სახლებისაგან განსხვავებული ტაძრები და სასახლეები, სხვაგვარად ჩაცმული ადამიანები, ადამიანის მიერ სხვაგვარად დამშვენებული დედამიწა, შესანიშნავი მანქანები, გასაოცარი ნაკეთობანი — ყოველივე ეს რალაც უჩვეულო სიმხნევის გრძნობას მინერგავდა და რალაცის გაკეთების, აგების სურვილს აღმიძრავდა.

არაფერი არა ჰგავდა ერთმანეთს, მაგრამ მაინც ვგრძნობდი ბუნდოვნად, რომ ყველაფერი ერთი და იმავე ძალით — ადამიანის შემოქმედებითი ძალით არის გამსჭვალული. თანდათან მიძლიერდებოდა ადამიანებისადმი ყურადღების, პატივისცემის გრძნობა.

ძალზე გაოცებული დავრჩი. როდესაც რომელიღაც ჟურნალში ვნახე ცნობილი მეცნიერის ფარადეის პორტრეტი. წავიკითხე ჩემთვის გაუგებარი, მასზე დაწერილი სტატია და აქედან შევიტყ-

ვე. რომ ფარადეი უბრალო მუშა იყო. ამან შესძრა ჩემი გონება. ზღაპარი მეგონა ეს ამბავი.

„ნუთუ? — ეჭვით ვფიქრობდი. — მაშასადამე, რომელიმე მიწისმთხრელიც შეიძლება მეცნიერი გახდეს? მეც ხომ შეიძლება ასეთი გავხდე?“

არ მჯეროდა. დავიწყე იმის ძიება, სხვა გამოჩენილი ადამიანიც ხომ არ ყოფილა თავდაპირველად მუშა? ჟურნალებში ვერაფერს აღმოვაჩინე. ნაცნობმა გიმნაზისტმა მითხრა, რომ ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი წინათ მუშა იყო, და რამდენიმე მათგანი დამისახელა კიდევ. სხვათა შორის — სტეფენსონი, მაგრამ არ დავუჯერე.

რაც უფრო მეტს ვკითხულობდი, მით უფრო მანათესაებდა წიგნები სამყაროსთან, მით უფრო ნათელი და მნიშვნელოვანი ხდებოდა ჩემთვის ცხოვრება. მე ვხედავდი, რომ ბევრი ადამიანი ჩემზე უარესად, უფრო გაჭირვებით ცხოვრობს. ეს კი რამდენაღმე მანუგეშებდა. თუმცა ამას არ შეეძლო სინამდვილესთან ჩემი შერაცხვა. იმასაც ვხედავდი, რომ არიან სხვა ადამიანებიც; ისინი ისე საინტერესოდ და ბრწყინვალედ ცხოვრობენ, როგორაც ცხოვრება არ შეუძლია ჩემს გარშემო მყოფ არც ერთ ადამიანს. თითქმის ყოველ წიგნში ხმადაბლა უღერდა რაღაც შემამფოთებელი გრძობა; რომელიც შეუცნობელისაკენ მეწეოდა, სულსა და გულს ხედებოდა. ყველა ადამიანი მეტნაკლებად იტანჯებოდა. ყველა უკმაყოფილო იყო ცხოვრებით, რაღაც უკეთესს ეძებდა. და ყველა ისინი უფრო მახლობელი, უფრო გასაგები ხდებოდა ჩემთვის. წიგნები უკეთეს ცხოვრებაზე ნაღვლიან ოცნებებში ხვევდნენ მთელ დედამიწას, მთელ სამყაროს; თვითუფლი მათგანი თითქოს ქალაქზე ნიშნებითა და სიტყვებით აღბეჭდილი სული იყო: ეს ნიშნები და სიტყვები ჩემი თვალებისა და გონების შეხებისთანავე თითქოს ცოცხლდებოდნენ.

კითხვის დროს ხშირად მიტირია — ისე კარგად იყო მოთხრობილი ადამიანების ცხოვრება და ისე ძვირფასი და მახლობელი ხდებოდნენ ისინი ჩემთვის. და მე — სულელური მუშაობით გაწვალებული, ბრავუელი ლანძღვა-გინებით შეურაცხყოფილი ბიჭუნა — ფიცს ვდებდი, რომ როცა გავიზრდებოდი, დავეხმარებოდი ადამიანებს, პატიოსნად ვემსახურებოდი მათ.

ზღაპრების ჯადოსნური ფრინველებივით გალობდნენ წიგნები იმაზე, თუ როგორ მრავალმხრივი და მდიდარია ცხოვრება, როგორ გაბედულად მიისწრაფვის ადამიანი კეთილისა და მშვენიერისაკენ. სულ უფრო სიჩანსალე და მხნეობა მეუფლებოდა. უფრო დავმშვიდ-

დი, რწმენა მომემატა, უფრო გონივრულად ვიწყე მეშაობა და ნაკლებ ურადლებას ვაქცევდი ცხოვრებისაგან მოყენებულ აურაცხელ წყენას.

თვითეული წიგნი ჩემთვის პატარა საფეხური იყო. ამ საფეხურებით თანდათან ვმაღლდებოდი პირუტყვის მდგომარეობიდან ადამიანის მდგომარეობამდე. წიგნი მიქმნიდა წარმოდგენას უკეთეს ცხოვრებაზე და მიძლიერებდა ამ ცხოვრების წყურვილს. წაკითხულით გადატვირთული ვიყავი მაცოცხლებელი ტენით პირამდე აღსავსე ჭურჭელივით და ხშირად ვეწვეოდი ხოლმე დენშჩიკებს, მიწის მთხრელებს და შოვუთხრობდი სხვადასხვა ამბებს.

წიგნები ფრთებს ასხამდნენ გონებასა და გულს; ისინი დამეხმარნენ თავი დამეღწია აშშ-ში არსებული ქაობისათვის, სადაც სისულელესა და უხამსობაში აუცილებელი ჩახრჩობა მელოდა. წიგნები ჩემთვის სულ უფრო აფართოებდნენ სამყაროს საზღვრებს და მიჩვენებდნენ, თუ როგორ დიდი და შესანიშნავია უკეთესისაკენ მსწრაფი ადამიანი, რა ბევრი რამ გააკეთა მან ამ ქვეყანაზე და რა წარმოუდგენელ ტანჯვა-წვალებად დაუჭდა ეს.

და ჩემს სულში იზრდებოდა ყურადღება ადამიანისადმი — ვიმატივალდებოდი პატივისცემით ყველას შრომისადმი, სიყვარულით მისა მოუსვენარი სულისადმი. ცხოვრება მიაღვივდებოდა, იგი უფრო სასიხარულო ხდებოდა — ცხოვრებას უდიდესი აზრი ეძლეოდა... წიგნებმა ჩამინერგეს ცხოვრების ყველა ბოროტეპინათვის პასუხისმგებლობის გრძობა და ადამიანის გონების შემოქმედებითი ძალის თაყვანისცემა.

ჩემი მრწამსის ჭეშმარიტებაში ღრმად დარწმუნებული ვეუბნები ყველას: გიყვარდეთ წიგნი, იგი შეგიმსუბუქებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ არეულ-დარეული ფიქრების, გრძობების, მოვლენების გარკვევაში, იგი გასწავლით ადამიანისა და საკუთარი თავის პატივისცემას, იგი სამყაროსადმი. ადამიანისადმი სიყვარულის გრძობით აღაფრთოვანებს გონებასა და გულს.

გიყვარდეთ წიგნი — ცოდნის წყარო, მხოლოდ ცოდნას შეუძლია ხსნა, მხოლოდ იგი გვაქცევს სულიერად ძლიერ, პატიოსან, ჭკვიან ადამიანებად, ვისაც შეუძლია გონივრულად უყვარდეს ადამიანი, პატივი სცეს მის შრომას და გულწრფელად შეჰხაროდეს მისი განუწყვეტელი დიადი შრომის ნაყოფს.

ყველაფერში, რაც კი შეუქმნია და რასაც ქმნის ადამიანი, ყოველ საგანში ცოცხლობს ადამიანის სული; ეს წმინდა და კეთილშობილი სული უფრო მეტად მეცნიერებასა და ხელოვნებაშია. უფრო მკვივრებულურად და გასაგებად იგი წიგნებშია ამტყველებული.

**[წერილობითი მოხსენება  
რუსული მხატვრული ლიტერატურის  
ბამოცემის თაობაზე]**

გამომცემლობა „მსოფლიო ლიტერატურასთან“ იდენტურად და ორგანიზაციულად დაკავშირებული გამომცემლობა „რუსული ლიტერატურა“ შემდეგ ამოცანებს ისახავს:

1) შესაძლო უმოკლეს ვადებში ხალხის მასებისათვის მისაწვდომი გახადოს XVIII და XIX საუკუნეების ლიტერატურა;

2) მისცეს ერთიან შრომით სკოლას მისთვის აუცილებელი დამხმარე მასალა რუსული ლიტერატურის შესწავლის დარგში.

ამ ამოცანათა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი შესრულება შეიძლება მხოლოდ ცენტრალიზებული მუშაობით, რომლის გეგმაც სისტემატურად უნდა სრულდებოდეს.

რუსი კლასიკოსების ნაწარმოებები ბაზარზე სრულებით არ მოიპოვება, ხოლო ანტიკვარები მათ სპეკულანტურ ფასებში ჰყიდიან. სახალხო განათლების კომისარიატის გამომცემები ვერ აკმაყოფილებს სოფლისა და ქალაქის მოთხოვნილებებს რუსული ლიტერატურის წიგნებზე; თავი რომ დაფანებოთ იმას, რომ კლასიკოსთა წიგნებს არავითარ რედაქციას არ უკეთებენ, ისინი ძალიან დიდტანიანი და მკითხველთა ფართო დემოკრატიული წრეებისათვის მიუწვდომელია. ახალ მკითხველს „თხზულებათა სრული კრებულები“ არ ესაქირება: იგი იხლართება ჩერნიშევსკის, ჩენოვის, ყუკოვსკისა და სხვ. ათეულობით უზარმაზარ ტომებში. რასაკვირველია, თხზულებათა სრული კრებულები აუცილებელია, მაგრამ მათი გამომცემა უნდა მიენდოს განსაკუთრებულ სამეცნიერო დაწესებულებას, მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის მეორე განყოფილებას. რომელიც უნდა გადავახალისოთ და შევავსოთ ახალი ძალებით. პუშკინის,

დერჟავინის, ლომონოსოვის ტიპის ეს გამოცემები უნდა დაიბეჭდოს ავტორის ტექსტზე ხელნაწერების მიხედვით სერიოზული აკადემიური მუშაობის შემდეგ და ისინი საფუძვლად უნდა დაედოს რუსული ლიტერატურის შესწავლას.

მაგრამ მკითხველთა ფართო მასებისათვის უნდა შეიქმნას რუს კლასიკოსთა ბიბლიოთეკა, რომელშიც შევა XVIII და XIX საუკუნეების ყველა მეტ-ნაკლებად გამოჩენილი მწერალი. ამ გამოცემაშიც აუცილებელი არ არის აბსოლუტური „სისრულის“ დაცვა. საკმარისი იქნება, თუ ყოველ ავტორს წარმოვადგენთ მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებით. ეს იქნება აბსოლუტურად ძვირფასი, მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელმაც თვალსაჩინო გავლენა მოახდინა ჩვენს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ განვითარებაზე. ახალი მკითხველი ვერ გაერკვევა ლესკოვის, ჩერნიშევსკის ათტომიან გამოცემებში. მას უნდა დავეხმაროთ ყველაზე მნიშვნელოვანისა და კარგის ამორჩევაში.

„რუს კლასიკოსთა“ ძირითად „ბიბლიოთეკასთან“ ერთად უნდა შევექმნათ სახალხო გამოცემების სერიები. აქ უნდა დაიბეჭდოს ყველა ავტორის ცალკეული, მცირე მოცულობის ნაწარმოები.

თვითუფრო ავტორის რჩეულ თხზულებათა კრებულს (ძირითადი სერია) უნდა დაერთოს: ბიოგრაფია, პორტრეტი და ერთი-ორი კრიტიკული წერილი (ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკისა და სხვ.). რომელშიც მოცემული იქნება მათი ისტორიული მნიშვნელობის მოკლე შეფასება. მოკლე ბიოგრაფია შეიძლება სახალხო გამოცემებსაც წარუშემდგაროთ, თუ ავტორი არ შესულა ძირითად სერიაში (აუკა ამ სერიით გამოიცა, საკმარისი იქნება, სათანადო ტომზე მითითებით დავკმაყოფილდეთ).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძირითადი სერიის წიგნებს უმთავრესად მოიხმარენ სოფლების, ქარხნების, ლეგიონებისა და ასეულების, საზღვაო და სამდინარო გემების. შორი მიმოსვლის მატარებლების, საავადმყოფოების, სკოლების და სხვ. ბიბლიოთეკები. მეორე სერიის გამოცემები კი განკუთვნილ იქნება ხელზე და ვოჯზლებში, კომუნალურ სავაჭროებში გასაყიდად (აქ ყველა სავაჭრო უნდა გამოვიყენოთ, განსაკუთრებით სოფლად, სადაც წიგნების საწყობები არ არსებობს).

სკოლების საჭიროებისათვის ძალიან სასწრაფოდ უნდა გამოიცეს ჩრდილოეთის ოლქების კომუნათა კავშირის სახალხო განათლების კომისარიატის პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებები. ამ სერიის გამოცემისას საჭიროა გავცდეთ XVIII და XIX საუკუნეების ფარგლებს; გამოვცეთ უფრო ადრინდელი ეპოქების ნაწარმო-

ებები, კერძოდ, ზეპირი პოეზიის რამდენიმე კრებული, რომელთაც, რასაკვირველია, გამოიყენებენ კლასგარეშე საკითხავად.

საარსებო ამოცანას წარმოადგენს რუსული ლიტერატურის მხატვრულად ილუსტრირებული ნაწარმოებების გამოცემა სკოლებისათვის. თანამედროვე ტექნიკა იმის საშუალებას იძლევა, რომ ისინი ხელმისაწვდომი გავხადოთ ფართო დემოკრატიული მასებისათვის და არა მხოლოდ რამდენიმე ასეული ესთეტიკისა და სნობისათვის, როგორც ეს ხდებოდა ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში. რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, საჭიროა ძველის ხელახალი გამოცემა, ხოლო შემდეგ — ახლის შექმნა. ძველი გამოცემებიდან შეიძლება გავიმეოროთ, მაგალითად, პუშკინის ნაწარმოებების („პიკის ქალი“, „ბაინჯაოს მხედარი“) ბენუასეული დასურათება, ლერმონტოვისა — ვრუბელისეული, გოგოლისა და ოსტროვსკისა — აგინისა და ბოკლევისეული, გრიბოედოვისა — კარდოვსკისეული, კრილოვისა — ტრუტოვსკისეული და სხვ. დასურათებანი. ასეთი გამოცემებიც იპოვნიან სათანადო ადგილს მშობლიურ ენისა და ლიტერატურის ყოველ სასკოლო კაბინეტში.

აქვე ვადგენთ სერიული გამოცემის სანიმუშო პროსპექტს.

## სტატიიდან „სიტყვა მოზრდილებს“

„შემოთავაზებულ ჟურნალში\* ჩვენი შეძლებისდაგვარად შევეცდებით ჩავუნერგოთ ბავშვებს აქტიუობის სულისკვეთება, ინტერესი და პატივისცემა გონების ძალისადმი, მეცნიერული ძიებისადმი, ხელოვნების იმ დიადი ამოცანებისადმი, რომ ძლიერი და ლამაზი გახადოს ადამიანი.“

ამიტომ გასაგებია, რომ უმთავრეს ყურადღებას ქალაქს დავუთმობთ, რადგანაც ქალაქი გონივრულა ძალების, ზღაპრული შთანაფიქრების, უდიდესი მიღწევების თავისებური სათავესა. აქ როგორც ცეცხლი მჭედლის ქურაში, — ანთებულან ადამიანები, აქ დნება წარსულის შავი მადანი, იქედება ახალი ცხოვრების ფორმები და ადამიანი გაბედულად უცქერის მომავალს.

სოფლის ცხოვრების პოეზიას როდი უარყოფთ. მაგრამ ბავშვებს აუცილებლად უნდა ვუთხრათ, რომ მისი პროზა მძიმე და საშინელია.

ჩვენ ვიცით, რომ ჟურნალის პირველი ნომრები მთლიანად ვერ გამოხატავენ ამ მიმართულებას. მაგრამ იმედი გვაქვს მიხვდებით, რომ ზემოთქმულის მიხედვით ჟურნალის წარმატებით გასამართავად მისმა თანამშრომლებმა აუცილებლად უნდა უკუაგდონ ზოგიერთი ჩვევა და სიმპათია, რომლებიც ასე ღრმად გამჭდარა თვითუფლი ჩვენგანის სულში და არცთუ ისე ამშვენებენ მას.

\* ჟურნალი „სევერნოე სიანიე“. 1919 წ.

## ზ. ი. ბრჰმბინის გამომცემლობის კატალოგი

პეტერბურგი — ბერლინი, 1921. 8. გორკის, ალექსანდრე ბენუას, აკად ს. ფ. ოლდენბურგის და პროფ. ა. პ. პინკევიჩის საერთო რედაქციით.

### განყოფილება მეშვიდე

წიგნები ბავშვებისათვის.

ალექსანდრე ბენუას, მ. გორკის, ვ. დ. ზამირაილოს, აკად. ს. ფ. ოლდენბურგის. პროფ. ა. პ. პინკევიჩის, ა. ა. რადაკოვის, პროფ. ბ. ე. რაიკოვის, კ. ი. ჩუკოვსკის აქტიური მონაწილეობით.

გამოსაცემად გათვალისწინებული წიგნების ქვემომოყვანილი სია ნათელყოფს, რომ გამომცემლობა, რომლის მიზანია უპირველეს ყოვლისა, ბავშვებში აქტივობის, შემოქმედებისადმი პატივისცემის, შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვაა, ვარაუდობს მაქსიმალურად ფართოდ მოაწყოს ეს საქმე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალაქის, როგორც კულტურული შემოქმედების ცენტრის, ცხოვრებას — ცენტრისა, სადაც ადამიანი უფრო ძლიერად და მშვენივრად ავითარებს თავის სულიერ ძალას და სადაც ცხოვრებისათვის ბრძოლის გამძაფრება მოითხოვს ჰუმანიზმის, ადამიანის სიყვარულის. მისი დამსახურებისა და ღირსების ზუსტი შეფასების განსაკუთრებით გეგმაზომიერ ქადაგებას.

ბავშვის სულიერი საზრდო განსაკუთრებით ფრთხილად უნდა შევარჩიოთ. ბავშვები პასუხს არ აგებენ მამების ცოდვებისა და შეცდომებისათვის; ამიტომაც პირველ პლანზე ის კი არ უნდა წამოვიწიოთ, რასაც შეუძლია ადამიანისადმი უარყოფითი დამოკიდებულება შთააგონოს პატარა მკითხველს, არამედ ის, რაც ადამაღლებს ადამიანს ბავშვების თვალში. სიმართლე აუცილებელია, მაგ-



როლზე კარგადაა მოთხრობილი ავტობიოგრაფიულ წერილებში: „ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი, ფსევდონიმი მაქსიმ გორკი“, „როგორ ვსწავლობდი“, „როგორ ვსწავლობდი წერას“. შესანიშნავი მოსაზრებები აქვს გამოთქმული საბავშვო ლიტერატურაზე მწერალს პირად წერილებში მწერლებთან, მეცნიერებთან, პიონერებთან.

თავის წერილებში საბავშვო ლიტერატურაზე გორკი აყენებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა წიგნის როლი ბავშვის გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაში; ფართოდ მიმოიხილავს საბავშვო ლიტერატურის თავისებურებებს; ლაპარაკობს მწერლის ოსტატობაზე, დადებითი გმირის პრობლემაზე, სატირისა და იუმორის მნიშვნელობაზე საბავშვო ლიტერატურაში, ზღაპრის მნიშვნელობაზე ბავშვის შემოქმედებითი წარმოსახვის განვითარებაში; განსაზღვრავს მეცნიერულ-მხატვრული და მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურის აღმზრდელობით მნიშვნელობას. მთელ რიგ ნაშრომებში მაქსიმ გორკი რჩევას აძლევს ახალგაზრდა მწერლებს, ასწავლის მათ ლიტერატურულ შემოქმედებას, მხატვრულ ოსტატობას. კრებულს სწორედ ერთერთი ასეთი ნაშრომის („საუბარი ახალგაზრდებთან“) სათაური ჰქვია.

## ალექსი ბაქსიშვილი და პეშაოვი, ფსევდონიმი ბაქსიშვილი ბოროტი

დავიბადე 1869 წლის 14 მარტს, ნიჟნი-ნოვგოროდში. მამა — ჯარისკაცის შვილი იყო, დედა — მეშჩანი. პაპაჩემი (მამის მხრივ) იყო ოფიცერი, რომელსაც ნიკოლოზ პირველმა ხარისხი აპყარა ხელქვეითებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის. იგი იმდენად მკაცრი ხასიათისა იყო, რომ მამაჩემი, ათიდან ჩვიდმეტ წლამდე ასაკში, ხუთჯერ გაექცა. უკანასკნელად იგი სულ გაიქცა სახლიდან — ტობოლსკიდან ფეხით ჩავიდა ნიჟნი და იქ შევირდა დაუდგა მომფარდაგებელს. როგორც ჩანს, იგი უნარიანი კაცი იყო, წერა-კითხვა იცოდა და ოცდაორი წლის ახალგაზრდა კოლჩინის (ახლა კარპოვას) ნაოსნობის ასტრახანის კანტორის მმართველად დანიშნეს. აქვე გარდაიცვალა 1873 წელს ქოლერით, რომელიც ჩემგან გადაედო. როგორც ბებიაჩემისგან გამიგონია. მამა ჭკვიანი, გულკეთილი და ჯალიან მხიარული ბუნების კაცი ყოფილა.

პაპაჩემმა (დედის მხრივ) თავისი კარიერა ვოლგაზე ბურლაკობით დაიწყო; თევზაობის სამი სეზონის შემდეგ იგი უკვე ბალახნელი ვაჭრის ზაფხვის ნოქარი გახდა, ხოლო მერე ნართის ღებვას მიჰყო ხელი, გამდიდრდა და ნიჟნიში დიდი სამღებრო საწარმო გახსნა. მალე მას ქალაქში უკვე ჰქონდა რამდენიმე სახლი და მატერიალური დასაჩითი და შესაღები სამი სახელოსნო; არჩეული იყო საამქროთა მამასახლისად; ამ თანამდებობაზე დაჰყო ცხრა წელიწადი და შემდეგ უარი თქვა იმის გამო განაწყენებულმა, რომ ამქართა შეთაურად

რამ ბავშვს იგი მთელი სისრულით არ ესაქიროება, რადგანაც ხშირად შეიძლება მისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდეს.

ადამიანი ბავშვს უნდა ვუჩვენოთ, პირველ ყოვლისა, როგორც გმირი, როგორც აქამდე უცნობი ქვეყნების გულადი მოგზაურა, როგორც სულის რაინდი, სიმართლისათვის მებრძოლი, რევოლუციონერი და იდეებისათვის წამებული; როგორც თავის ოცნებაზე შეყვარებული ფანტაზიორი, რომელიც თავისი წარმოსახვით ახორციელებს ამ ოცნებას; აცოცხლებს მას თავისი ნების ძალით. მხოლოდ საკუთარი თავისადმი რწმენით აღჭურვილი ადამიანი ახორციელებს თავის ნებას, უშუალოდ ამკვიდრებს მას ცხოვრებაში.

ბავშვები: პატარაობიდანვე უნდა შევიაიარალოთ სწორედ ადამიანისა და მისი შემოქმედების დიდი დანიშნულების რწმენით, — ეს მისცემს მათ სულიერ სიმტკიცეს და უშიშარ მებრძოლებად აქცევს. რეალური ცხოვრება მცირედით განსხვავდება კარგი ფანტასტიკური ზღაპრისაგან, თუ მას შეიგნიდან, იმ სურვილებისა და მოტივების მხრიდან განვიხილავთ, რომლებითაც ადამიანი ზელმძღვანელობს თავის საქმიანობაში. ზღაპრული ურჩხულები დააბიჯებენ ქუჩებში და ცხოვრობენ სახლებში; მაგრამ ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ეს ურჩხულებიც უფრო მეტად შექმნილია გონების სისუსტით, ვიდრე ბოროტი ნების ძალით.

აი, იმ საფუძვლების მოკლე სქემა, რომლითაც ზელმძღვანელობს გამომცემლობა საბავშვო წიგნების განყოფილების შექმნისას.

## საბავშვო წიგნები

### წიგნები ყრმა ბავშვებისათვის

დასურათებული ანბანი.

რა არის ეს? (უტექსტო სურათები).

გასაფერადებელი სურათები.

წიგნი — სურათები (გრძელი წიგნები) მხატვარ ჰეჰინდორფის სისტემისა.

ერთი-ორი-სამი-ოთხი-ხუთი (არითმეტიკა ყრმებისათვის).

მხიარული უცნაურობანი (რა არის არასწორი აქ?).

სამხეცე.

საბავშვო სიმღერები (ნოტები, სურათები და სიმღერები).

მოსწრებელი სიტყვები (ილუსტრირებული ანდაზები, თქმულებები, ნართები, ზღაპრები).

ჩექმებიანი კატა.

თხუნია გოგონა.

წითელქუდა.

ცეროდენა.

პოფმანი — ჩლაჩუნა სტიოპა.

ვ. ბუში — მაქსი და მორიცი. ყვავის ბახალა. პლიმი და პლუმი.  
ვანა. მელა. ფრანი. მწიკვი ბურნუთი. ციგაობა. სპილოს შურისძიე-  
ბა. ჟაკოს თავგადასავალი. ღორი. იხეები და ბაყაყები. მამლები.  
გლეხი და ხბო. კვიანი ვირთაგვა.

დელავის, უოლტერ კრენის, ედმონდ დიუგანის, რ. კალდეკო-  
ტის, ქეთ ჰრინგის, ა. რეკემის, ე. კრენფორდის, ს. ვ. მალიუტი-  
ნის, ი. ი. ბილიბინის, ალექსანდრე ბენუას, ვიქტორ ვასნეცოვის სუ-  
რათებით ილუსტრირებული წიგნები.

რაბიესი — ფრინველები და მხეცები.

კალდეკოტისა — ინგლისური საბავშვო სიმღერები.

ფრანსის ენტომისა — თოჯინების თავგადასავალი.

პლეჩისა — პატარა დიასახლისები.

პაულ დემელისა — თაფლაკვერი.

ქეთ ჰრინგისა — დღეობა.

კარლეიგელისა — ავტომობილი.

ფრელიხისა — აგარაკზე.

ბასკოვისა — მოცვის პაპა.

## წიგნები 5-დან 9 წლამდე ბავშვებისათვის

### ზ ლ ა კ რ ე ბ ი

რუსული ხალხური ზღაპრები

ზღაპრები პატარებისათვის. ამ სერიაში უნდა შევიდეს უმცრო-  
სი ასაკის ბავშვებისათვის გასაგები, უფრო ელემენტარული ზღაპ-  
რები. ფორმატი — დიდი, შრიფტი — მსხვილი; მჭეტი ნახატები, ნაკ-  
ლები ტექსტები.

ზღაპრები — პუშკინის, ეუკოვსკის, გრიმების, ანდერსენის, ჰაუ-  
ფის, ნიუბლომის. გორკისა და სხვ.

უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გადმოკითვა

ჰომეროსი — ილიადა.

ჰომეროსი — ოდისეა.

ვირგილიუსი — ენეიდა.  
კლასიკური წარსულის მითები.  
ათას ერთი ღამე.  
ისლანდიური საგები.  
კალევალა.  
მფრინავი ჰოლანდიელი.  
ლოენგრინი.  
ტრისტანი და იზოლდა.  
ჰორები და გოლიათები (სკანდინავური ეპოსი).  
რუსული ბილინები.  
ბოკაჩო — დეკამერონი.  
მოროლი — მრგვალი მაგიდის რაინდები.  
კოსტერი — ულენშპიგელი.  
სერვანტესი — დონ-კიხოტი.  
დეფო — რობინზონ კრუზო.  
სვიფტი — გულივერი.  
რუდოლფ რასპე — მიუნჰაუზენი.

#### 9-დან 15 წლამდე ბავშვებისათვის

ბიჩერ სტოუ — ძია თომას ქოხი (მცირეოდენი შემოკლებით)  
ელიზა ოქეშკო — მარტელა. ჯადოქარი.  
ელიზა ოქეშკო — ზამთრის საღამო ხანს.  
ელიზა ოქეშკო — მიგდებული ბავშვი. იულიანკა.  
ელიზა ოქეშკო — იასის თავგადასავალი.  
მარია კონოპნიცკაია — მენდელ გდანელი და სხვა მოთხრობები.  
მარკ ტვენი — ტომ სოიერის თავგადასავალი.  
მარკ ტვენი — ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი.  
მარკ ტვენი — უფლისწული და მათხოვარი.  
ჩ. კინგსლი — წყლის ბავშვები.  
ალფონს დოდე — კატუნა.  
ალფონს დოდე — ჭეკი.  
ჰექტორ მალო — უსახლკარო.  
მერი დოჯი — ვერცხლის ციგურები.  
ლ. ოლკოტი — პატარა მამაკაცები.  
ლ. ოლკოტი — პატარა დედაკაცები.  
ნ. გარინი — ტიომას ბავშვობა.  
ე. დე ამიჩისი — მოსწავლის დღიური.  
ბერნეტი — პატარა ლორდი ფაუნტლერი.

ბერნეტი — სარა კრუ.  
 თომას კიუზი — ტომ ბრაუნის მოწაფეობის წლები.  
 ტალბოტი — ვილბაისის სკოლის მამასახლისები.  
 თომას ოლდრიჩი — პატარა ცელქის დღიურები.  
 ჯ. გრინვუდი — პატარა კონკია.  
 ჯემისონი — ლედი ჯენი.  
 ჯემისონი — შავი ანტუანეტას შვილობილი.  
 ჰეიერსტამი — ჩემი ბიჭები.  
 ლიხთენბერგე — პატარა ტროტი.  
 ჩ. დიკენსი — ოლივერ ტვისტი.  
 ჩ. დიკენსი — დომბი და მისი შვილი.  
 ჩ. დიკენსი — ნიკოლას ნიკლბი. (მცირეოდენი შემოკლებით).  
 ჩ. დიკენსი — სიძველეთა საგაჯრო.  
 ჩ. დიკენსი — დავით კოპერფილდი.  
 ჩ. დიკენსი — დიდი მოლოდინი.  
 ჩ. დიკენსი — შობის ღამე.  
 ლონგფელო — ჰაიაგათა.  
 ლამოტ-ფუჟე — უნდინა.

### მ ო თ ხ რ ო ზ ა ზ ი

თავგადასავლები და მოგზაურობანი.  
 მეცნიერული ფანტასტიკა.  
 ფ. კუპერი, მაინ რიდი, ეიულ ვერნი, პო, ჰიუგო, კიპლინგი. ე-  
 კოლიო, ბუსენარი, სტანიუკოვიჩი, უელსი და მრ. სხვ.

### ხ ა ლ ხ უ რ ი ზ ლ ა პ რ ე ზ ი

აკად. ს. ფ. ოლდენბურგის საერთო რედაქციით.  
 ამ სერიის ამოცანაა, მისცეს ბავშვებს ახალი ზღაპრები, გაამ-  
 დიდროს მათი ღარიბი საზღაპრო ფონდი. ხალხური ზღაპრების  
 მდიდარი მატრიანიდან ამორჩეულია ის, რაც თემატურად და ინტე-  
 რესის მიხედვით შეეფერება საბავშვო ასაკს; ამ სერიის ზღაპრებს  
 შერჩევას ეთნოგრაფიულად კი არ ვუდგებით. არამედ მხედველო-  
 ზაში გვყავს ბავშვი — მკითხველი, რომელსაც უნდა ეუჩვენოთ  
 ზღაპრების მთელი მრავალფეროვნება და სხვადასხვა ხალხის სხვა-  
 დასხვაგვარი დამოკიდებულება მათ მიმართ.

## წინასიტყვაობა ფენიმორ კუპერის წიგნისა „ქვალის მამიებელი“

„ნადირთმელეტი“, „ქვალის მამიებელი“, „უკანასკნელი მოპიკანი“, „ტყუვის წინდა“ და „ტრამალი“ — ეს ხუთი წიგნი სამართლიანად ითვლება ფენიმორ კუპერის გონიერებისა და გულის საუკეთესო ნაწარმოებებად. ისინი დაიწერა თითქმის ასი წლის წინათ და ამერიკისა და ევროპის საყოველთაო აღტაცება გამოიწვია; მათ გატაცებით კითხულობდა ცნობილი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი; ამ ნაწარმოებებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბევრი გამოჩენილი რუსი ადამიანი აღუფრთოვანებია...

ამ ხუთ წიგნს ერთმანეთთან აკავშირებს თავისუფალი მონადირის ნათი ბამპოს პიროვნება. რომან „ნადირთმელეტიდან“ მოყოლებული მკითხველის წინაშე ცხოვრობს და მოქმედებს საოცარი ადამიანი — იგი წერა-კითხვის უცოდინარი და ნახევრადველურია, მაგრამ ზედმიწევნით ფლობს ჰემმარიტად კულტურული ადამიანის საუკეთესო თვისებებს: უმწიკლო, პატიოსან დამოკიდებულებას იჩენს ადამიანებისადმი, უსაზღვრო სიყვარულით ეპყრობა მათ, ღღენიდაც იმას ცდილობს, ძალ-ღონის დაუზოგავად დაეხმაროს ნოყვასს, გაუადვილოს ცხოვრება.

თავისი წიგნების წინასიტყვაობებში კუპერი არა ერთხელ მიუთითებდა, რომ ნათი ბამპო — ცოცხალი პიროვნება, ნამდვილად არსებული ადამიანია. მაგრამ მკითხველისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან წარმოსახული — იდეალური — მოვლენები და საგნები რეალურ მოვლენებსა და საგნებზე არანაკლებ წარმატებით უნერგავენ ადამიანს ჰემმარიტად ადამიანურ თვისებებს. ცხოვრება მიდის სრულყოფისაკენ; იგი ხელმძღვანელობს იდეალით — იმით, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს, მაგრამ რის განხორციელებასაც შესაძლებლად ვრაცხთ და წარმოვისახავთ.

სინამდვილე ყოველთვის იდეალის ხორცშესხმაა. როცა რაიმეს უარყოფთ, ვცვლით, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული იდეალი უკვე აღარ გვაქმნაოფილებს და წარმოსახვაში შექმნილი სხვა, უკეთესი იდეალი გვაქვს. ამიტომ ვამბობ: მნიშვნელობა არა აქვს იმას. ცხოვრობდა თუ არა ნათი ბამპო ამერიკის მიწა-წყალზე, როგორც სისხლ-ხორციეული, ცოცხალი ადამიანი, — მთავარი ის არის, რომ მასზე დაწერილია ხუთი წიგნი, რომლებშიც იგი ცოცხლობს, როგორც ადამიანური სულის საუკეთესო თვისებათა ხორცშესხმა.

„ნადირთმელეტი“ პირველ წიგნში, „კვალის მაქიებელი“ ან „მზვერავი“ — მეორეში, ინდიელთა ბელადის, მოპიკანთა ტომის „უქანასკნელი“ წარმომადგენლის ერთგული მეგობარი — მესამეში, „ტყავის წინდა“ — მეოთხეში, და ბოლოს, მეხუთე წიგნში — დაჩაჩანაკებული ეული მაწანწალა ტრაპერი — ნათი ბამპო ყოველთვის სიმპათიას უღვიძებს მკითხველს თავისი უბრალო აზრებითა და მამაცური მოქმედებით.

მან, „ახალი ქვეყნის“ ტყეებისა და ველების მკვლევარმა, გზა გაუკაფა ადამიანებს. მათ კი შემდგომ დაძნალებასათვის დაგმეს იგი, რადგან დაარღვია მისი თავისუფალი გრძობებისათვის გაუგებარი ანგარებითი კანონები ამ ადამიანებისა. მთელი თავისი სიცოცხლე იგი შეუვანებლად ემსახურებოდა ველური ადამიანების ქვეყანაში მატერიალური კულტურის გეოგრაფიული გავრცელების დიად საქმეს და — ცხოვრება კი ველარ შეძლო ამ კულტურის პირობებში, რომელსაც პირველმა გაუკაფა ბილიკები

ასეთია ხოლმე ხშირად ბევრი პიონერ-მზვერავის ბედი. იმ ადამიანთა ბედი, რომლებიც თავიანთ თანამედროვეებზე უფრო ღრმად სწავლობენ ცხოვრებას. ამ თვალსაზრისით, გაუნათლებელი ბამპო თითქმის ალგორიული ფიგურაა; იგი კაცობრიობის იმ ქეშმარიტ ენგობრების რიგში ღვება, ვისი ტანჯვა და გმირობა ასე შესანიშნავად ამშვენებს ჩვენს ცხოვრებას.

კუპერის წიგნების აღმზრდელიობითი ხასიათი ექვს გარეშეა. ისინი თითქმის ასი წლის მანძილზე ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის საყვარელი საკითხავი წიგნებია. რუსი რევოლუციონერები თავიანთ მოგონებებში ხშირად მიუთითებენ, რომ კუპერის წიგნები დიდ დახმარებას უწევდა მათ პატიოსნების, სიმამაცის გრძობას გამოუმუშავებაში, აღძრავდა მათში მოქმედების სურვილს.



## წერილები ა. ს. მაკარენკოს

I

ა. მაკარენკო

მივიღე კოლონისტებისა და თქვენი წერილები. ძალიან მახარებს ეს, რომ ჩემი და კოლონიის ურთიერთობანი მართებულ ხასიათს რღებს. გთხოვთ თქვენც და კოლონისტებსაც წერილი მომწეროთ ყოველთვის. როცა ამის სურვილი აღგებდრით და მით უმეტეს — თუ ეს საჭირო იქნება.

კოლონიას გამოუფუგზავნე ნეაპოლისა და სორენტოს სურათები; მიიღეთ თუ არა? მოსკოვშიც მივწერე, რომ კოლონიას გამოუფუგზავნონ ყველა ჩემი წიგნი.

ჩემი სურვილია, რომ შემოდგომაზე საღამოობით კოლონისტებმა წაიკითხონ ჩემი „ბავშვობა“; იგი დაინახებებს. მათ, რომ მეც სრულებით ისეთივე ვიყავი, როგორც ისინი არიან, ხოლო ჭაბუკობიდანვე გამომყვა სწავლის დაეინებითი სურვილი და არავითარ შრომას არ ვთავილობდი. მწამდა, რომ ჭეშმარიტად „სწავლა და შრომა ყველაფერს დაძლევს“.

ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი რჩევა, ურთიერთდახმარების საზოგადოების მოწყობის თაობაზე, მოგწონებიათ თქვენ და კოლონისტებს. განსაკუთრებით მუშფაქებში წასულთ უნდა დაეხმაროთ, — მუშფაქელებს განსაკუთრებით უჭირთ ცხოვრება. ხომ ასეა?

ჩემი გულითადი მადლობა გადაეცით კოლონისტებს, რომელთაც წერილი მომწერეს. მოუტლელობის გამო არ შემიძლია ახლავე ვუპასუხო მათ. ვუსურვებ ყოველივე კეთილს და სულიერ მხნეობას. თქვენც — ასევე.

იყავით ჭანმრთელად.

მ. გორკი

ქვირფასო ამხ. მაკარენკო —

„წარმოსახვის“ უნარი მეხმარება წარმოვიდგინო, თუ რა ძნელია თქვენთვის სამი ასეული ისეთი ქაბუჯის უფროსობა, რომლებსაც არცთუ ისე დიდი მიდრეკილება აქვთ დისციპლინისა და ორგანიზებული შრომისადმი. მაგრამ ამის წარმოდგენა, რასაკვირველია, ვერ მაგრძნობინებდა თქვენი მდგომარეობის სირთულეს.

ახლა კი ამას ვგრძნობ და მესმის. იმის შეგრძნება და გაგება, თუ რა ხარტ თქვენ და რა ჯოჯოხეთური სამუშაო გაკისრიათ. მასწავლა ორმა ყოფილმა ქურდმა, პანტელეევმა და ბელისმა — მეტად საინტერესო წიგნის „შკიდის რესპუბლიკის“ ავტორებმა. „შკიდი“ — „დოსტოევსკის სახელობის ძნელად აღსაზრდელთა სკოლის“ შემოკლებული სახელწოდებაა\*. მათ — ამ სკოლის აღზრდილებმა — აღწერეს მისი ყოფაცხოვრება, მათი მდგომარეობა ამ სკოლაში და სკოლის გამგის, დიდი მოწამისა და ნამდვილი გმირის, ვიქტორ ნიკოლოზის ძე სორინის ჭეშმარიტად მონუმენტური ფიგურა დახატეს. რომ გაიგოთ, თუ რა მსურს გითხრათ სულითა და გულით, თქვენ თვითონ უნდა წაიკითხოთ ეს გასაოცარი წიგნი.

მე კი, აი, რა მსურს გითხრათ: ვფიქრობ, თქვენ სწორედ ვიკინქსორივით დიდი ადამიანი ბრძანდებით, თუ მასზე მეტი არა; სწორედ ისეთივე წამებული და ბავშვთა ნამდვილი მეგობარი. მიიღეთ ჩემი მოწიწებული სალაში. მაოცებს თქვენი ნებისყოფის ძალა. არის რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასში, რომ თქვენს შეგრძნებაში, თქვენი მუშაობის გაგებაში დამეხმარენ ისეთივე ბიჭები. როგორც თქვენი „აღსაზრდელნი“, თქვენი კოლონისტები არიან. ხომ სწორია?

აი, რისი თქმა მსურდა თქვენთვის.

წაიკითხეთ „შკიდის რესპუბლიკა“ — სახელმწიფო გამომცემლობის მიერ არის გამოშვებული, — მომწერეთ თქვენი მოსაზრებანი ან წიგნზე და მის მთავარ გმირ ვიკინქსორზე.

....კოლონისტებსაც ვწერ; ამასთანავე ერთად ვუგზავნი მათ წერილს.

კიდევ ერთხელ მაგრად გართმევთ ხელს.

ა. ჰ.

№8. 111. 27

Sorrento

\* Шкид — «Школа имени Достоевского для трудновоспитуемых».  
შტარკენ. შენიშვნა.

## ძვირფასო ანტონ სიმონის ძვე!

გუშინ წავიკითხე თქვენი წიგნი „30 წლის მარში“. ვკითხულობდი მღელვარებითა და სიხარულით; თქვენ ძალიან კარგად დახატეთ კომუნა და კომუნარები. ყოველ გვერდზე იგრძნობა თქვენი სიყვარული ბავშვებისადმი, თქვენი განუწყვეტელი ზრუნვა და ბავშვის სულის ესოდენ ზედმიწევნით ცოდნა. გულწრფელად გილოცავთ ამ წიგნის გამო. ალბათ ცოტაოდენ რამეს დავწერ მასზე.

კურიუჟის კოლონისტები არაფერს მწერენ. მათი ამბები აღარ ვიცი. ეს სამწუხაროა — რა კარგი ბიჭები იყვნენ იქ!

მაგრად გართმევთ ხელს.

გადაეცით ბავშვებს ჩემი სალამი; უთხარით, რომ ძალიან გამახარა მათი ცხოვრების ამბებმა, იმან, თუ როგორ ჩინებულად მუშაობენ და ჰეშმარიტად მეგობრულად ეპყრობიან ერთმანეთს.

მ. გო რ კ ი

17. XII. 32.

Sorrento.

## IV

## ძვირფასო ანტონ სიმონის ძვე!

სხვებისგან გავიგე, რომ თქვენ მოაქანცეთ და აუცილებლად გესაჭიროებათ დასვენება. კაცმა რომ თქვას მე თვითონ უნდა მივმხვდარიყავი ამას, რადგან ერთგვარად თქვენი შეფი ვარ და ზოგიერთი უბრალო რამ თვითონ უნდა მესმოდეს. თორმეტი წელიწადი იშრომეთ და თქვენმა მუშაობამ ფასდაუღებელი შედეგი გამოიღო. ვინ იცის ეს ამბავი და ვინ გაიგებს მას. თუ თვითონ თქვენ არ მოუთხრობთ ხალხს! თქვენს უდიდესი მნიშვნელობისა და საოცრად წარმატებით დაგვირგვინებულ პედაგოგიურ ექსპერიმენტს, ჩემი აზრით, მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

გაემგზავრეთ სადმე თბილ ადგილას და დაწერეთ წიგნი, ჩემო ძვირფასო მეგობარო. მე ვთხოვე ამხანაგებს, რომ მოსკოვიდან ფული გამოგიგზავნონ.

კარგად იყავით. მაგრად გართმევთ ხელს. გისურვებთ ყოველივე კეთილს.

ა. პ ე შ კ ო ვ ი

20. I. 33.

### ძვირფასო ანტონ სიმონის ძეგ!

ჩემი აზრით, „პოემა“ ძალიან კარგი გამოგივიდათ. მისი „სიუჟეტის“ მნიშვნელობაზე, მის მეტად საინტერესო მასალაზე რომ არაფერი ვთქვათ, თქვენ ძალიან წარმატებით დაამუშავეთ ეს მასალა და თხრობას მიუსადაგეთ მართებული, ცოცხალი, გულწრფელი ტონი, რომელსაც ჩინებულად ეხამება თქვენი იუმორი. მე მგონია, რომ ხელნაწერს არ სჭირდება რაიმე სერიოზული გასწორება, საჭიროა მხოლოდ კოლონისტთა თანდათანობითი რიცხობრივი ზრდის ჩვენება, თორემ „მეთაურებზე“ ბევრი რამ არის ნათქვამი, არმია კი არ ჩანს.

ხელნაწერი უნდა გამოიცეს. კიდევ ბევრს მიუშატებთ? ხომ არ შეიძლება პირველი ნაწილი კურიაჟში გადასვლის გადაწყვეტილებით დაამთავროთ?

მ. გორკი

(1933 წ. ბოლო)

### VI

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ანტონ სიმონის ძეგ — გმადლობთ წერილისათვის!

ძალიან გამახარა მთავრობის განზრახვამ — ფართოდ მოაწყოს ზავშეთა შრომის კომუნები; ძალიან ცხადად მესახება თქვენი აუცილებელი მონაწილეობა ამ შესანიშნავ საქმეში, მაგრამ მეტად მწყინს, რომ თქვენი „პედაგოგიური პოემის“ მეორე ნაწილი „ნელა იწერება“.

ასე მგონია, საკმაოდ სწორად ვერ აფასებთ ამ ნაშრომის მნიშვნელობას. რომელმაც უნდა გაამართლოს და განამტკიცოს ბავშვების აღზრდის თქვენი მეთოდი. რაღაც უნდა მოიმოქმედოთ „პოემის“ დასამთავრებლად, რომ იგი წაიკითხონ ახალი კომუნების ორგანიზების მომენტისათვის. ამით დაეხმარებით საქმის სწორად მოწყობას, როგორადაც იგი ორგანიზებული იყო კურიაჟსა და ძერჟინსკის კომუნაში. დაბეჭდვით გთხოვთ ძალ-ღონე დაძაბოთ და დაამთავროთ „პოემის“ მეორე ნაწილი. ამას მოვიტხოვ არა როგორც მხოლოდ ლიტერატორი, ზემოთ გაპოთქმული მოტივის გამოც.

მაგრად გართმევთ ხელს. გისურვებთ ჭანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას!

მ. გორკი

(1934)

## VII

ძვირფასო ანტონ სიმონის ძე!

„პოემის“ მეორე ნაწილი გაცილებით ნაკლებად „აქტუალურია“, ვიდრე პირველი; აქ ლაპარაკი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანებთან და მიწაზე მუშაობის ჩვენება. მასში ბევრია იუმორი. „ლაპარაკი“ მსიარულ ტონს აძლევს „პოემას“, — ეს, რასაკვირველია, მანკი როდია, თუ არ ვნებს კოლონიის სოციალური გამოცდილების ძლიერ სერიოზულ თემატურ და აგრეთვე ისტორიულ მნიშვნელობას.

ვფიქრობ, „პოემის“ ეს ნაწილი ძალიან მოიგებს, თუ შეამცი-რებთ. მისგან უნდა ამოიღოთ უმნიშვნელო ამბები, რომ უფრო ნათ-ლად გამოჩნდეს უმნიშვნელოვანესი. ცოტა გაჭიანურებულია ცხე-ნის შექენის სცენა. ძალიან კარგია ქორწილი...

იმიტომ „ეშარიანობ“, რომ ღრმად მწამს „პოემის“ სერიოზუ-ლი მნიშვნელობა, მეთოდის სიმართლე, გამოცდილების სარგებლია-ნობა. მაგრამ გამოცდილება რომ გასაგები იყოს მკითხველისათ-ვის, — მაშინაც კი, როდესაც იგი პროფესიონალი პედაგოგი არ არის, — აუცილებელია უფრო მკაფიოდ გამოხატოთ ბავშვების თან-დათანობითი გარდაქმნა. „პოემის“ ამ ნაწილში კი პირადად თქვენა ფიგურა და მუშაობა ერთგვარად ჩრდილავს ბავშვებს. ეს იმიტომ, რომ მუშაობას სიტყუაერად აჩვენებთ, საქირო კი არის ფაქტები. არ ჩანს, როგორ მიდიან ბიჭები მუშაობაში სწავლის აუცილებლო-ბის შეგნებადღე; მათი ეს გადაწყვეტილება მოულოდნელია.

საერთოდ, ძალიან გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ხელნაწე-რი; ალაგ-ალაგ შეამციროთ იგი, ხოლო ზოგიერთ ადგილას შეაესოთ კიდევ. მეტად საქიროა, თქვენი ეს ნაშრომი — შეძლებისდაგე-რად — სრულყოფილი ფორმით მიაწოდოთ მკითხველს.

მაგრად გართმევთ ხელს.

მ. გო რ კ ი

10. IX. 84 წ.

## VIII

ძვირფასო ანტონ სიმონის ძე!

„პოემის“ მესამე ნაწილი პირველ ორ ნაწილზე მნიშვნელოვანი ჩანს.

დიდი მღელვარებით ვკითხულობდი გორკელთა და კურიაჟელთა შეხვედრის სცენას და, საერთოდ, ბევრი რამ მალეღებდა. „სოც-

აღზრდის მოღვაწეები“ თქვენ მართებულად დახატეთ; თავება „ოლიპის ძირში“ და „დაეხმარეთ ბიქს“ — უნდა დარჩეს.

კარგი „გული“ გაქვთ. მან ჩინებულად იცის სიყვარულიც და სიძულვილიც. ხელნაწერში რაღაც მცირეოდენი შესწორებანი შევიტანე და იგი მოსკოვში გავგზავნე.

თქვენ მეკითხებით, „როგორ შევინარჩუნო სტილის ელემენტებიო“ და სხვ. ძალიან უბრალოდ: ყოველდღე აკურატულად ჩაიწერეთ უფრო მკაფიო აზრები, დამახასიათებელი ფაქტები, სიტყვათა თამაში: მარჯვე ფრაზები, აფორიზმები, „მოქნილი სიტყვები“. ყოველდღე დაწერეთ თუნდაც ათიოდე სტრიქონი, მაგრამ ისე ეკონომიურად და მჭიდროდ, რომ შემდგომში შეგეძლოთ მათი გაშლა ორ, სამ გვერდზე. მიეცით გასაქანი თქვენს იუმორს. ამგვარად, თქვენ არა მარტო შეინარჩუნებთ „პოემაზე“ მუშაობისას შეძენილ ჩვევებს, კიდევ გააფართოებთ მათ.

მოგაგონებთ „პოემაში“ „ჩეკისტებზე“ ნათქვამს. მეც თქვენსავით მაღალ შეფასებას ვაძლევ და პატივსაც ვცემ ამ დარგის ადამიანებს. ჩვენში მათზე ცოტას და უვარგისად წერდნენ; წერდნენ არა მათი გმირობის, არამედ როგორც ჩანს, — „შიშის გამო“. თვითონ ისინი. სამწუხაროდ, თავმდაბლობის გამო სდუმან. კარგი იქნებოდა, რომ დაკვირვებოდით შინსახკომელთა ცხოვრებას და დაგეწერათ ნარკვევი ან მოთხრობა „ჩეკისტი“. სცადეთ. თქვენ გიყვართ გმირული ამბები და იცით მათი გამოხატვა.

„ბიუროკრატიული“ სამუშაო თუ გამძიმებთ და მისგან თავის დაღწევა გსურთ, მოდი, შევეცადოთ...

მაშ ასე. მოგილოცავთ კარგ წიგნს, გულმხურვალედ მოგილოცავთ.

მ. გორკო

P.S. თქვენ, რასაკვირველია, ბევრი მასალა დაგრჩათ გამოუყენებელი — კარგი იქნება, თუ უპატრონო ბავშვთა რამდენიმე პორტრეტს მოგცემთ. ამბობენ, რომ ახლა ისინი უფრო წიგნიერნი არიან, ადვილად ებმებიან მუშაობაში, უფრო სწრაფად ეჩვევიან დისციპლინას და რომ სახლიდან ბავშვთა გაქცევის მიზეზებია: დედინაცვლები, მამინაცვლები და ოჯახში გამეფებული „მოსაწყენი ცხოვრება“; მამებს, დედებს შეილებისათვის ვერ მოუცლიათ, ხოლო შეილებს მშობლებთან სალაპარაკო ვერა გამოუნახავთ რა.

მ. გ.

ნიკოლსკ-უსურიის რეინიგზის სახელოსნოებთან არსებული  
საფაბრიკო შვიდწლიანი სასწავლებლის  
ლიტერატურულ წრეს

საფაბრიკო შვიდწლიანი სასწავლებლის  
ლიტერატურულ წრეს

გმადლობთ, ამხანაგებო, თქვენი წერილისათვის.

ძალიან მოხარული ვარ. რომ ჩემი წიგნები მოგწონთ. ასლა ეწერ  
კიდევ ერთს, ძალიან დიდ წიგნს; ამ წიგნში მსურს ვუჩვენო, თუ  
როგორ ცხოვრობდნენ, რას ფიქრობდნენ, რას აკეთებდნენ რუსი  
აღაპიანები 80-ანი წლებიდან 1919-მდე. და როგორი იყვნენ შინა-  
განად ისინი. თქვენ ამ წიგნს ორი წლის შემდეგ წაიკითხავთ და შეი-  
ძლება მან სარგებლობა მოგიტანოთ.

ჩემი ჯანმრთელობის საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც გაზეთე-  
ბი წერენ, თუმცა ზამთარში ძალიან ავად ვიყავი. ასლა გამოვჯანსაღ-  
დი; შემძლია დღეში ათი საათი ვიმუშაო, ზეზეულად კი სულ  
თხუთმეტ საათს ვატარებ.

ჯანმრთელად იყავით, ამხანაგებო! გისურვებთ წარმატებებს  
სწავლაში და კარგ მეგობრობას. გაუფრთხილდით ერთმანეთს.

მ. გორკი

## მ. მ. პრიშვინის შმსახემ

თქვენზე წერა, მიხეილ მიხეილის ძევ, ადვილი არაა: რადგან ისევე ოსტატურად უნდა წერდე, როგორც თქვენი; ამას კი, ვიცო, ვერ შეეძლება.

ერთგვარი უხერხულობაც კი არის, რომ მ. გორკი რაღაც განმარტების მსგავს სტატიას წერს მ. პრიშვინის თხზულებებზე; იმ ძალზე ორიგინალური მხატვრის თხზულებებზე, რომელიც აგერ ოცდახუთი წელიწადია ჩინებულად მუშაობს რუსულ ლიტერატურაში; თითქოს ეჭვი მეპარებოდეს მკითხველთა ცოდნაში, გაგების უნარში.

მეუხერხულება კიდევ იმიტომაც, რომ, მე უფრო ადრე დავიწყე წერა, მაგრამ, როგორც გულისყურიან მკითხველს, ბევრი რამ მისწავლია თქვენი წიგნებით. არ იფიქროთ, რომ ამას თავაზიანობა, ან „მოჩვენებითი თავმდაბლობა“ მალაპარაკებს. არა. ეს სიმართლეა — ვსწავლობდი. დღემდე ვსწავლობ და არა მარტო თქვენგან — დასრულებული ოსტატისაგან, არამედ იმ ლიტერატორებისაგანაც კი, ჩემზე ოცდათხუთმეტი წლით ახალგაზრდები რომ არიან, იმათგან, ვინც ეს-ეს არის დაიწყო მუშაობა, ვისი ნიჭიც ჭერ კიდევ არ შეხამებია უნარს, მაგრამ მათი ხმა უჩვეულოდ ძლიერად და ახლებურად გაისმის.

და ვსწავლობ მარტო იმიტომ კი არა, როგორც ნათქვამია, სწავლა სიბერემდეო, არამედ იმიტომაც. რომ ადამიანისათვის სწავლა ბუნებრივი და სასიამოვნოა; უპირველეს ყოვლისა, კი იმიტომ, რომ მხატვარს შეუძლია ოსტატობა მხოლოდ მხატვრისაგან ისწავლოს.

თქვენგან სწავლა, მიხეილ მიხეილის ძევ, მე დავიწყე „შავ არაბს“, „კოკორს“, „უშიშარი ფრინველების მწარეს“ რომ წერდით, იმ დროიდან. თქვენ მიმიზიდეთ თქვენი წიგნების უზადო და ხალასი



რუსული ენით და თქვენთვის დამახასიათებელი იმ სრულყოფილი ოსტატობით, რომ უბრალო სიტყვების მოხდენილი შეხამებით თითქმის ფიზიკურად შეგარძნობადი გახადოთ ყველაფერი, რასაც ასახავთ. ბევრ ჩვენს მწერალს როლი აქვს ამის უნარი და ძალა.

მაგრამ თქვენი წიგნების სიღრმეს რომ ჩაეწვდი, მათში აღმოვაჩინე კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი ღირსება, იგი მხოლოდ და მხოლოდ თქვენ გეკუთვნით; არც ერთი სხვა რუსი მხატვრის ნაწარმოებში არ შემინიშნავს.

სიტყვით პეიზაჟის დახატვა ჩვენში ბევრმა მშვენიერად იცოდა და იცის. მოვიგონოთ ი. ს. ტურგენევი, აქსაკოვის „თოფიანი მონადირის ჩანაწერები“, ლევ ტოლსტოის ჩინებული სურათები. ა. პ. ჩეხოვმა თავისი „ტრამალი“ ხომ თითქოს ფერადი მძივებით მოჭარგა. სერგეევ-ცენსკი, ყირაშის პეიზაჟს რომ ხატავს, გგონია შოპენს უკრავს სალამურზეო. არის კიდევ ბევრი ოსტატური, წარმტაცი და ძლიერი სიტყვით დახატული პეიზაჟი.

ძალიან დიდხანს ვიყავი ალტაცებული ბუნებისადმი ღირიკული საგალობლებით. მაგრამ შემდეგ ამ ჰიმნებმა აღმიძრეს გარძნობა გაცბუნებისა და პროტესტისაც კი. მე გგონია, როცა მომხიბლველი ენით „ბუნების მშვენიერებაზე“ ლაპარაკობენ, ამით სურათ მხარის უქციონ ლევიათანს — თევზს, რომელიც უაზროდ ჰყრას აურაცხელ ცოცხალ ქვირითს და ასევე უაზროდ ყლაპავს. ამაში არის ადამიანის მიერ ჭერ აუხსნელი ზოგიერთი გამოცანის წინაშე საკუთარი თავის დამცირების მსგავსი რაღაცა. არის რაღაც „პირველყოფილი და ატავისტური“ ადამიანის ქედის მოხრაში ბუნების სილამაზისადმი, — სილამაზისადმი, თვითონ მას, თავისი წარმოსახვის ძალით რომ შეუტანია და შეაქვს ბუნებაში.

აკი მშვენიერება არ არის უდაბნოში, მშვენიერება — არაბის სულშია. ფინეთის პირქუშ პეიზაჟშიც არ არის მშვენიერება, — ეს ფინმა მოიგონა და უბოძა თავის პირქუშ ქვეყანას. ვილაცამ თქვა: „ლევიტანმა რუსულ პეიზაჟში აღმოაჩინა სილამაზე, რომელიც მანამდე არავის დაუნახავსო“. და არც შეეძლო ვინმეს დაენახა. რადგან ეს სილამაზე არ ყოფილა, და ლევიტანს კი არ „აღმოუჩინია“ იგი, არამედ თვით უბოძა, როგორც თავისი საჩუქარი, დედამიწას. მის დედამიწას წინათ უხვად აჯილდოვებდნენ სილამაზით რუისდალი, კლოდ ლორენი და ფუნჯის კიდევ ათეული დიდი ოსტატი. ჩინებულად ამკობდნენ მას მეცნიერებიც, ისეთები, როგორიც იყო „კოსმოსის“ ავტორი ჰუმბოლდტი. მატერიალისტმა ჰეკელმა იხება ზღვის წყალმცენარეთა უმახინჯეს გადახლართვასა და მედუზებმა აღმოეჩინა „ფორმათა სიმშვენიერე“; მან აღმოაჩინა და თითქმის

დაგვარწმუნა, ლამაზიო! სიმშვენიერის ფაქიზად მცოდნე ძველ ელინელთ კი მიაჩნდათ, რომ მედღუზა შემზარავად საზიზღარია. ადამიანი მიეჩვია მშვენიერი, კეთილზმოვანი სიტყვებით ლაპარაკს ზამთრის ქარბუქის ველურ ღმუილსა და ზუზუნზე, ზღვის დამლუპველი ტალღების სტიქიურ როკვაზე, მიწისძვრაზე, ქარიშხალზე. ადამიანმა დიდებაც იმიტომ მოიხვეჭა და ალტაცებაც დაიმსახურა, რომ მისი ნებისყოფის, მისი წარმოსახვის ძალა დაუცხრომლად გარდაქმნის უნაყოფო კოსმოსს თავის სამყოფელად; თავისთვის უფრო მოსახერხებლად აწყობს დედამიწას და ცდილობს თავის გონებაში მოაქციოს მისი ყველა საიდუმლო ძალა.

მამ ასე, მიხეილ მიხეილის ძე, თქვენს წიგნებში მე ადამიანა ვერ დავიხახე ბუნების წინაშე მუხლმოდრეკილი. და, ჩემი აზრით, თქვენ წერთ არა ბუნებაზე, არამედ მასზე უფრო დიდზე — დედამიწაზე, ჩვენს დიდ დედაზე. არც ერთი რუსი მწერლის ნაწარმოებებში მე არ შევხვედრივარ, არ მიგრძენია დედამიწისადმი სიყვარულისა და მისი ცოდნის ისეთი ჰარმონიული შეთანხმება, როგორც ამას ვხედავ და ვგრძნობ თქვენს ნაწარმოებებში.

ჩინებულად იცნობთ თქვენ ტყეებსა და ჭაობებს, თევზსა და ფრინველს, ბალახსა და მხეცებს, ძაღლებსა და მწერებს, — საოცრად მდიდარი და ვრცელია თქვენ მიერ შეცნობილი სამყარო. და უფრო საოცარია იმ უბრალო და ნათელი სიტყვების სიუხვე, რომლებითაც ხორცმეხსმულია თქვენი სიყვარული დედამიწისა და ყოველივე ცოცხალისადმი, მთელი „ბიოსფეროსადმი“. „ფეხსაცმელებში“ თქვენ ამბობთ: „იმაზე უფრო ძნელი არაფერია, ვიდრე კარგზე ლაპარაკი“. ვფიქრობ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც იქვე ამბობთ, „გსურს სიტყვის ძალა აიყვანო ფიზიკური ძალის სიცხადემდე“.

„ბერენდის წყაროებს“ რომ ვკითხულობ, მე თქვენ ნატიფი ჭაბუკი ან სასიძო მგონიხართ, ხოლო თქვენი სიტყვები „მიწის საიდუმლოებაზე“ ისე ჩაქესმის, როგორც მომავალი ადამიანის, დედამიწის უფლებამორჩვეული მბრძანებლისა და მოღვაწის, მისი საწაულებისა და ბედნიერებათა შემოქმედის სიტყვები. აი, სწორედ ეს არის ის სრულიად ორიგინალური, რაც თქვენს შემოქმედებაში დავინახე და რასაც ვთვლი ახლად და მეტად მნიშვნელოვნად.

ჩვეულებრივად, ადამიანები ეუბნებიან მიწას:

— ჩვენ შენი ვართ.

თქვენ ეუბნებით მას:

— შენ ჩემი ხარ!

ეს მართლაც ასეა: დედამიწა უფრო მეტად არის ჩვენი, ვიდრე

ამაზე ფიქრს მივჩვეულვართ. შესანიშნავი რუსი მეცნიერი ვერნადსკი ნიჟიერად და მტკიცედ აყენებს ახალ ჰიპოთეზას, როცა ამტკიცებს რომ ჩვენს ქვესა და ლითონის პლანეტაზე ნაყოფიერი ნადაგი შექმნილია ორგანული ელემენტების, ცოცხალი ნივთიერებებს მიერ. ეს ნივთიერება უხსოვარი დროიდან ფიტაედა და შლიდა პლანეტის მყარსა და უნაყოფო ზედაპირს, სწორედ ისევე, როგორც დღემდე ზავსურა—„ქვატენიები“ და ზოგიერთი სხვა მცენარე შლიან მთის ქანებს. მცენარეებმა და ბაქტერიებმა არა მარტო გააფხვიერეს მიწის ქერქი, არამედ შექმნეს კიდევ ის ატმოსფერო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რომლითაც ვსუნთქავთ. უანგზადი მცენარეთა ცხოველქმედობის პროდუქტია. ნოყიერი ნადაგი. რომელიც პურს გვაძლევს. შექმნილია მწერების, ფრანველებს. ცხოველების აურაცხელი ორგანიზმებისაგან, ზეების ფოთლებისა და ყვავილთა ფურცლებისაგან. მილიარდობით ადამიანს გაუნოყიერებია დედამიწა თავისი სხეულით; ქვეშაბრტად რომ ეს ჩვენი დედამიწაა.

და დედამიწის ეს შეგარძნება, როგორც საკუთარი სხეულისა. საოცრად დამაჯერებლად გაისმის ჩემთვის თქვენს წიგნებში. დიდი დედის პეულღევ და შვილო.

სისხლის აღრევააღდ მივედი? მაგრამ ეს ხომ ასეა: მიწის მიერ შობილი ადამიანი ანაყოფიერებს მას თავისი შრომით და აწვადრებს თავისი წარმოსახვის სილამაზით.

სამყარო? სამყაროს კეთილმოწყობისათვის ოსტატურად და მონდოვნებით იღვწიან კოსმოლოგები. ასტრონომები. ასტროფიზიკოსები. მხატვრის გონებისა და გულისათვის უფრო მახლობელი და მნიშვნელოვანია დედამიწის კეთილმოწყობა. კოსმოსური კატასტროფები ისე მნიშვნელოვანი როდია, როგორც სოციალური. იმის გამო, რომ სადღაც ცის—იკანკლედის წიაღში ჩაქრება ჩვენი ვს უცხო მზე, ჩვენი ცა ამით არ დაცარიელდება და არ ჩაბნელდება. მზე კვლავ გამოანათებს, მაგრამ, აი, უკვე გავიდა ოთხმოცდაათი წელი, და ახალი პუშკინი არ შობილა.

კოსმოსის საიდუმლოებანი ისე საინტერესო და მნიშვნელოვანი როდია, როგორც განსაცვიფრებელი გამოცანა: რა სასწაული ვარდაქმნის არაორგანულ ნივთიერებას ცოცხალ არსებად. ხოლო ეს ცოცხალი, ადამიანამდე რომ ვითარდება, გვაძლევს ლომონოსოვებსა და პუშკინებს. მენდელეევა და ტოლსტოებს, პასტერს. მარკონისა და ასობით დიდ მოაზროვნეს, პოეტებს — ჩვენი ადამიანური აზრით, ჩვენი ნებით გაჩენილი მეორე ბუნების შემქმნელ მუშაკებს?

თქვენი წიგნები, მიხეილ მიხეილის ძე, ძალიან კარგად ნათელყოფენ, რომ თქვენ ადამიანის მეგობარი ხართ. ბევრ მხატვარზე ვერ

ვიტყვი ამას ისე ადვილად და მთლიანად, როგორც თქვენზე. ადამიანის მეგობრობის თქვენი გრძნობა ესოდენ ლოგიკურად უბრალოდ გამომდინარეობს დედამიწისადმი თქვენი სიყვარულიდან, თქვენი „გეოფილოზიდან“, „გეოოპტიმიზმიდან“. ხანდახან გგონია, რომ თქვენ რომელიღაც ერთი საფეხურით ადამიანზე მაღლა დგახართ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მას. ეს სავსებით გამართლებულია თქვენი გულითადად ფხიზელი მეგობრობით მისადმი, მიუხედავად იმისა, თუ როგორია იგი: გაჭირვებით გაბოროტებული თუ უღონობით გულკეთილი, ტანჯვის მძულვარებით წამებული თუ ფაქტების მორჩილების ჩვეულების მსხვერპლი. თქვენი ადამიანი ძალიან მიწიერია და კარგად არის შეგუებული დედამიწასთან. თქვენთან იგი უფრო „გეო და ბიოლოგიურია“, ვიდრე მის სხვა გამომგონებლებთან, იგი თქვენთან დიდი დედის ნამდვილად კანონიერი შვილია და „კაცობრიობის წმინდა სხეულის“ ნამდვილი ცოცხალი მცირე ნაწილია. თქვენ როგორღაც განსაკუთრებით ღრმად და მუდამ გახსოვთ, რაოდენ მოწამებრივი და სასწაულებრივი იყო მისი გზა კაჟის ნაჯახის ეპოქიდან აეროპლანამდე.

და მთავარი — რაც მე მზიბლავს — ეს ის არის, რომ თქვენ იცით ადამიანის აწონ-დაწონვა და დაფასება მისი არა ცუდი, არამედ კარგი თვისებებით. ამ უბრალო სიბრძნეს ადამიანები ძნელად ითვისებენ, და ითვისებენ კი? ჩვენ არ გვინდა დავიხსომოთ. რომ კარგი ადამიანში ყველაზე უფრო განმაცვიფრებელია მის მიერ შექმნილ ყველა სასწაულთა შორის. არსებითად, ადამიანს ხომ არავითარი საფუძველი არა აქვს იმისა, რომ „კარგი“ იყოს; კეთილია, ადამიანურს მასში არ წაახალისებს ხოლმე არც ბუნების კანონები; არც სოციალური ყოფის პირობები. და მაინც ჩვენ ვიცნობთ ბევრ ქეშმარიტად კარგ ადამიანს. რა აქცევს მათ ასეთებად? მხოლოდ სურვილი. სხვა მოტივებს მე ვერა ვხედავ: ადამიანს სურს იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე არის და იგი აღწევს ამას. რა არის ჩვენს დედამიწაზე უფრო ჩინებული და განმაცვიფრებელი, ვიდრე ეს ურთულესი არსება, რომელიც თუმცა აღსავსეა წინააღმდეგობებით, მაგრამ საკუთარ არსებაში შეუქმნია წარმოდგენის საშინელი ძალა და იმის სატანური უნარი, რომ ყოველმხრივ დასცინოს საკუთარ თავს?

ადამიანისადმი ტრფიალებას, მასზე ფიქრს ბევრისაგან ვსწავლობდით და ასე მგონია, თქვენთან, მხატვართან ნაცნობობამაც მასწავლა ადამიანებზე ფიქრი — არ ძალმიძს ვთქვა, როგორ, მაგრამ იმაზე უკეთ, ვიდრე აქამდე ვფიქრობდი.

განსაკუთრებით რუსი ადამიანი მას შემდეგ, რაც მან განიცადა,

და რასაც იგი ახლაც განიცდის, იმსახურებს რაღაც სხვა. უფრო დიდ დამოკიდებულებას, — მეტ ყურადღებასა და პატივისცემას. რასაკვირველია, ძალიან კარგად ვიცი, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის ანგელოზი, მაგრამ — არც მინდა. რომ ანგელოზი იყოს, მე მსურს ვხედავდე მას მხოლოდ როგორც მუშაკს. ვისაც უყვარს თავისი საქმე და ესმის მისი უდიდესი მნიშვნელობა.

ყველა ჩვენგანმა, ვინც ახალი ცხოვრების შექმნის გზას დავადექით, თავი უნდა ვიგრძნოთ ერთმანეთის ფრიალ მშობლიურ და მანლობელ ადამიანებად. ამას მოითხოვს ის მკაცრი დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ის უზარმაზარი სამუშაო, რომელსაც ხელი მოვკიდეთ.

აღბათ რაღაც შეგეშალა და რაღაც გადავაჭარბე კიდევ. მაგრამ მე ვიცოდი, თუ რას ვაკეთებდი, რადგან, როგორც ცნობილია, ადამიანი მოაზროვნეა და რამდენადმე დიდგულა. ვფიქრობ, იმ მხრივ შეცდომა, როგორადაც მე ვცდები, — საზიანო არ არის, რადგან ამას ჩავდივარ არა იმიტომ, რომ ნუგეში ვცე საკუთარ თავს ან მახლობლებს „ამმალღებელი სიცრუით“, არამედ იმის წინაგრძნობით, რომ ვიხრება იმ სიმათლის მხარეზე, რომელიც აუცილებლად განხორციელდება, რომელიც სწორედ აუცილებელია ადამიანებისათვის, და რომლითაც დედამიწის მოღვაწეებმა უნდა აღაფრთოვანონ საკუთარი თავი.

## გორაძის სახელობის კურიატის კოლონიის აღსაზრდელებს

ჩ ე მ ო ძ ვ ი რ ფ ა ს ო ბ ა ვ შ ე ე ბ ო !

თქვენი წერილების მიღება მესიამოვნა: ცხადია, ძალიან გამახარა თქვენმა წარმატებებმა.

თქვენ გსურთ, რომ კოლონიაში გესტუმროთ. ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა თქვენთან საუბარი, იმის ნახვა, თუ როგორ ცხოვრობთ. მაგრამ, მგონი, მოგწერეთ კიდევ, რომ დიდ სამუშაოს მოვკაღე ხელი და მისი შეწყვეტა არ შემოძლია. ვიცი, ახლა რომ სსრკავშირში გამოვემგზავრო, უკან ველარ დავბრუნდები; სსრკავშირში კი ვერ ვიმუშავებ, ერთი კუთხიდან მეორეში — მოსკოვიდან ასტრახანში, კავკასიიდან ციმბირში — მოგზაურობას გადაეყვები, რომ ჩემი თვალით ვნახო, როგორ გაიზარდა ჩვენი ქვეყანა, ვნახო რაც შეიძლება მეტი თქვენისთანა ადამიანი.

რატომ სწორედ თქვენისთანა? იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ის ადამიანები, რომელთაც ცხოვრებამ პატარაობიდანვე ბევრი წიპურტი უთავაზა შუბლზეც და კეფაშიც.

ორმა ასეთმა ადამიანმა ამას წინათ დაწერა და გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი, — ა. ს. მაკარენკო, ალბათ გაგაცნობთ თქვენ ამ წიგნს. ავტორები ახალგაზრდები არიან. ერთი 17, ხოლო მეორე, მგონი, 19 წლისაა; წიგნი კი ნიჭიერი გამოუვიდათ, იმაზე გაცილებით უკეთესი, რასაც მომწიფებული ასაკის ბევრი მწერალი წერს.

ეს წიგნი ჩემთვის დღესასწაულია: იგი ადასტურებს ჩემს რწმენას ადამიანისადმი — დედამიწაზე მყოფი ყველაზე საოცარი, ყველაზე დიდი არსებისადმი.

ჩემი სურვილი ის არის, ძვირფასო ამხანაგებო, რომ თქვენც

გწამდეთ ერთმანეთი; გწამდეთ, რომ თვითეულ თქვენგანში არის უამრავი ძვირფასი შესაძლებლობა, ჯერ კიდევ გაუღვიძებელი ნიჭი, ორიგინალური აზრები, რომ თვითეული თქვენთაგანი — დიდი ღირებულებაა.

ეს ყველაზე დიდი რწმენაა; მხოლოდ იგი უნდა გვექონდეს. ყოველთვის უკეთესია ერთმანეთისგან კარგ რამეს მოველოდეთ და არა ცუდს; როდესაც ცუდს ველით ადამიანებისაგან, ამით ვაფუჭებთ მათ. ადამიანები იმიტომ არიან ცუდები, რომ ცუდად უყურებენ ერთმანეთს.

მიხარია, რომ ორკესტრის ჩამოყალიბება გადაგიწყვეტიათ და თეატრიც კარგად მოაწყვეთ; მუშაობაც ჩინებულად მიდის.

ყოველი მუშაობა ასევე თამაშია, თუ ნამდვილად გიყვარს იგი. გისურვებთ ჯანმრთელობას, ამხანაგებო, ყოველივე კეთილს და სულის სიმხნევას.

მაგრად გართმევთ ხელს ყველა 350 აღსაზრდელს სათითაოდ.

მ. გორკი

29. III. 27.

სორენტო

## სტატიიდან „მკითხველის შენიშვნები“

ასე მგონია, ახალგაზრდა ლიტერატურა საეხეობით ნათლად ვერ ხედავს განსხვავებას დროებითსა და მუდმივ გმირობას შორის, მას ჯერ კიდევ არ ესმის შრომის პოეტიზაციის აუცილებლობა; არ ესმის, რომ კაცის მოკვლა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე სხვადასხვა ცრურწმენებით დაბნელებულ და დამძიმებულ მის გულში მისთვის უჩვეულო იმ აზრის ჩანერგვა, რომ ადამიანი არაარაობა როდია.

პატარა მაგალითი ამის საილუსტრაციოდ. „კარგ“ ძველ დროში არ უყვირდით ქურდი ბავშვების არსებობა; მათთვის „მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიებს“ აწყობდნენ. სადაც თავისუფლად მოქმედებდა „ერთიმეორის სწავლების მეთოდი“ და საიდანაც მოზარდები სრულიად მომწიფებული და გამოცდილი ქურდები გამოდიოდნენ.

საბჭოთა რუსეთშიც არსებობს „სოციალურად საშიშთა“ კოლონიები. შე ძალიან კარგად ვიცნობ ზოგიერთი მათგანის, კერძოდ, ხარკოვის მახლობლად მდებარე კოლონიის ცხოვრებას; ვიცი, რომ ყოფილი „სოციალურად საშიში“ ბავშვები აქედან მუშფაყებსა და აგრონომიულ სკოლებში მიდიან. ბევრი საინტერესო ამბის მოთხრობა შეიძლება ამ კოლონიის ადამიანებზე, სამწუხაროდ, ჩემთვის ეს უნერსულა.

მაგრამ ამ დღეებში წაუვიკითხე შესანიშნავი წიგნი „შკიდის რესპუბლიკა“. მისი ავტორები არიან ორი მოზარდი, ყოფილი ქურდები. „დოსტოევსკის სახელობის ძნელად აღსაზრდელთა სკოლის“ აღზრდილები. ამ წიგნში მისი ავტორები ჩინებულად, ხანდახან ბრწყინვალედაც კი. მოგვითხრობენ, თუ რა გამოსცადეს პირადად მათ და მათმა აშხანაგებმა სკოლაში ყოფნის დროს. მათ შეძლეს საოცრად ცოცხლად დაეხატათ მთელი რიგი ხასიათები და სკოლის



ბელმძღვანელის: „ვიკინიკსორის“ თითქმის მონუმენტური ფიგურა. ამ წიგნის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია; იგი კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ რუსეთში არსებობს კეშმარითად ახალი ადამიანების შემქმნელი პირობები. შეიძლება თქვან: ყველაფერი ეს განონაკლისია. მე კი დაეუმატებ: რომელიც წესად იქცევა...

## სტატიიდან „ახალსა და ძველზე“

(ნ ა წ ვ ე ტ ე ბ ი)

ბევრ დედას აქამდე ვერ გამოუნახავს ბავშვის მოფერების დრო და ხშირად თავიდან იცილებს მას. შვილების სიყვარული ქათამსაც კი შეუძლია. მაგრამ მათი აღზრდა უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმეა, ნიჭსა და ცხოვრების კარგად ცოდნას მოითხოვს. ბავშვს თუ მის კითხვაზე უპასუხე: „ნუ ჩქარობ, როცა გაიზრდები, გაიგებ“, ეს იმას ნიშნავს. რომ უსპობდე მას ცოდნისაკენ სწრაფვას. გონივრული პასუხი ბავშვის შეკითხვაზე დიდი ხელოვნებაა და იგი სიფრთხილეს მოითხოვს.

წარსულზე წიგნები უკეთ და უფრო ჰკვიანურად მოუთხრობენ ბავშვებს, ვიდრე მამები და დედები. წიგნი არა მარტო მოუთხრობს მათ, თუ როგორ ცუდად ცხოვრობდნენ ძველად. არამედ უხსნის კიდევ, რატომ იყო ეს ასე და არა სხვაგვარად. ყველა მშობელს როდი შეუძლია სათანადოდ ახსნა. მით უმეტეს ახლა, როდესაც ცხოვრებაში გარდატეხა ხდება და ბევრს ნათლად ვერც წარმოუდგენია მომავალი, შიშით მოელის ხვალისდღელ დღეს და კვლავ ებლაუჭება ბებელს, ყოველივე იმას, რაც ათი წლის წინათ ტანჯავდა და აწვალებდა მათ.

არასოდეს ბავშვები ასე ძვირფასნი არ ყოფილან. როგორც ახლა, როდესაც მათ წინაშეა მსოფლიო მნიშვნელობის საქმე — მათი დედებისა და მამების მიერ ესოდენ წარმატებით დაწყებული საქმე. რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელებს თანდათანობით უღვიძებს ახალი ცხოვრებისაკენ მსწრაფ გონებასა და ნებას.

## კომკავშირულ გაზეთ „სმენას“ რედაქციას

გულითადად მოგილოცავთ. ამხანაგებო! გაზეთი ძალიან კარგი გამოვიდა — ცოცხალი. ფხიზელი, მასალა საინტერესოა და ჩინებულად განლაგებული: ამასთან, იგი ზოგიერთ პროვინციულ „მოზრდილ“ გაზეთზე უფრო წიგნიერად კეთდება.

შესაძლოა ეს იმიტომ მეჩვენება, რომ ჩემთვის ახლა დრო ძლიერ სწრაფად გარბის და იმიტომაც, რომ ძალიან კარგად მახსოვს წარსულის აუტანელი წელი ნაბიჯი, მაგრამ მაინც მგონია, რომ თქვენ, კომკავშირი. საოცრად სწრაფად იზრდებით. ეს იმ აღამიანის ქათინაური როდია, თავს რომ იწონებს, არამედ ჩემი ნამდვილი შთაბეჭდილებაა. იგი გამოწვეულია, ცხადია, არა მარტო თქვენი გაზეთით. მე მხედველობაში მაქვს ის, თუ როგორ გადაჭრით ამბობენ უარს კომკავშირელები თავიანთ ზოგიერთ მცდარ გატაცებაზე, მაგალითად, თანამედროვე ლიტერატურის დარგში, რომელიც ხანდახან ძალიან ნაჩქარევად ცდილობს ყოფა-ცხოვრების ბნელი მხარეების ხაზგასმით გამოყოფას. ავიღოთ თუნდაც სქესთა ურთიერთობა. სასამართლოებრივ უარყოფით მოვლენებს რომ გამოკყოფს, ლიტერატურა ავადმყოფურად ამახვილებს ყურადღებას მასზე, რაც ჭანსალსა და აქტიურ ბრძოლას მოითხოვს. ვფიქრობ. კომკავშირელებს ესმით. თუ როგორ უმართებულო და შეურაცხმყოფელია მათთვის ნაჩქარევი დასკვნები.

მეძნელება გირჩიოთ, ჩემი რომელი მოთხრობა დაბეჭდოთ „სმენაში“. მთლად ნათლად ვერ წარმომიდგენია, თუ შინაარსისა და ფორმის მიხედვით რა უფრო საინტერესო იქნება თქვენი მკითხველისათვის.

შეიძლება გამოდგეს „აღამიანი“, „სიმღერა შევარდენზე“, „ქარიშხალა“? იქნებ „დედა“ დაბეჭდოთ „იტალიური ზღაპრებიდან“.

ვფიქრობ, ახლა დედების წინაშე დასმულია ახალი და უდიდესი ამოცანები ბავშვების გაზრდის საქმეში და რომ კომკავშირელმა ქალიშვილებმა უნდა იფიქრონ ცხოვრებაში მათი ამ როლის თაობაზეც. შესაძლოა ჩემმა „დედამ“ აიძულოს ისინი იფიქრონ ამაზე.

თუ გსურთ, „სმენის“ შკითხველებს ჩემი ბიოგრაფია გააცნოთ, გირჩევთ ამხანაგ ილია გრუზდევის იმ სტატიის დაბეჭდვას, რომელიც გამოქვეყნებული იყო „მოლოდაია გვარდიის“ 1927 წლის 1-ლ და მე-5 წიგნებში.

ახალგაზრდობისადმი მიმართვას იანვარში დავწერ; უფრო ადრე არ შემიძლია, ბევრი სამუშაო მაქვს.

მიიღეთ ჩემი ამხანაგური სალამი.

ა. პეშკოვა

18. XI. 1927 წ.

სორენტო.

## წერილი რედაქციას

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო! „პრავდის“ 1928 წლის 1 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ნ. კ. კრუპსკაიას რეცენზია კ. ჩუკოვსკის „ნიანგზე“. რეცენზიის ავტორი შიგადაშიგ აკრიტიკებს ჩუკოვსკის ჩინებულ ნაშრომსაც ნეკრასოვზე. ვფიქრობ, კრიტიკა ძალიან სუბიექტურია და ამიტომ უმართებულო. არ შეიძლება ჩუკოვსკის ნეკრასოვის „სიძულვილი“ დავწამოთ იმ საფუძველზე, რომ იგი აღნიშნავს: ბავშვობაში ნეკრასოვი „ჩვეულებრივი მემამულის შვილი იყო“, ხოლო 17 წლის ასაკში — „ნაკლებ განვითარებული მოზარდი“. ფაქტები ასეთია. „სიძულვილის“ ნიშანს არ ვხედავ იმაშიც, რომ ჩუკოვსკი აღნიშნავს ნეკრასოვის „მემამულურ“ წარმოშობას. არ მესმის, როგორ შეიძლება „ჩირად არა ღირსო“, ვთქვათ ჩუკოვსკის იმ ფრაზებზე, რეცენზიის ავტორს რომ ამოუწერია: „მას ჰქონდა ტალანტების მოძებნისა და მიზიდვის უდიდესი ნიჭი“, ან „მოწინავე ახალგაზრდობის ახალმა განწყობილებებმა ძლიერი გავლენა მოახდინა ნეკრასოვის შემოქმედებაზე“. ან კიდევ — „როდესაც ნეკრასოვი ავად გახდა, მან კიდევ უფრო ძლიერად მოიხარა ქედი ხალხის წინაშე“.

ყოველივე ეს სრულებით გამოუსადეგარია იმისათვის, რომ ჩუკოვსკის დავაბრალოთ ნეკრასოვის „სიძულვილი“ და იდეური მტრობა. არასწორად მეჩვენება იმის აღნიშვნაც, რომ ჩუკოვსკიმ „ნიანგს წარმოათქმევინა მგზნებარე პაროდია ნეკრასოვზე“. ჭერ ერთი: რატომ არის ეს „მგზნებარე პაროდია“? და თუ მაინცაღამაინც პაროდიაა, იგი ლერმონტოვის „მწირსა“ ან ზოგიერთ სხვა ლექსებზე უფრო ძალიან საოცარი და ძალიან უმართებულო რეცენზიაა.

მანსოვს, როცა ვ. ი. ლენინმა ჩუკოვსკის რედაქციით გამოშვებული ნეკრასოვის პირველი გამოცემა გადაათვალიერა, იგი „კარგი ნიჭიერ ნამუშევრად“ მიიჩნია. ხოლო ვლადიმერ ილიას ძემ იცოდა მუშაობის დატყაობა.

მ. გორკი

25 თებერვალი, 1929  
სორენტო

## სტატიიდან „წიგნიერების სარგმბლიანობაზე“

წიგნიერება აუცილებელია.

ამას სერიოზულად ვამბობ: წიგნიერება სავსებით აუცილებელია ყველა ადამიანისათვის; განსაკუთრებით კი მათთვის არის საჭირო, ვისაც ლიტერატურისათვის მოუკიდია ხელი.

ამის გახსენება იცით, რად დამჭირდა: ახალგაზრდა რუსი ლიტერატორი, „ვეროპა რომ ქენებით შემოიარა“ და იყო ნეაპოლს მიღამოებში, მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში მოგვითხრობს: „გვერდით ადრიატიკის ზღვის ყურე მდებარეობს, მისი მეორე მხრიდან ჩინებულად მოჩანს ვეზუვი“. ძველთაგანვე ცნობილია, რომ ნეაპოლი მდებარეობს ტირენის ზღვის ყურეში და ამ ყურეს ნეაპოლის ყურე ეწოდება: რაც შეეხება ადრიატიკის ზღვას, იგი სხვა ადგილას მდებარეობს. ამგვარად, ახალგაზრდა ვწერალმა. „ქენებით“ რომ მოგზაურობდა, ტყუილი გააქენა. ხოლო გაზეთის რედაქტორი ვერ ამინევს სიცრუეს და აქვეყნებს.

შეიძლება, კაცმა არც კი ათხოვო ყური ამ „ანეგდოტს“, მაგრამ მე ხშირად ვხვდები ახალგაზრდა მწერლებს და, სამწუხაროდ, ყველა ისინი. მეტნაკლებად, სწორედ ასეთი ანეკდოტებისადმი მიდრეკილებას იჩენენ. ამიტომაც უნებურად გამოთქვამ სინანულს, რომ ისინი დაჰყენაობენ და არ დადიან ფეხით. როგორც ამას აკეთებენ გერმანელი სტუდენტები.

საერთოდ, თანამედროვე რუსი ადამიანები თითქოს მხოლოდ იმიტომ მიდიან ეროპაში, რომ დაინახონ მისი ნაგრევა და განსაზღვრონ მალე იქცევა თუ არა იგი ნაცარტუტად. ჰკითხავ ქენებით მოგზაურს:

— როგორ მოგწონთ ზღვა?

იგი ამაყად გიპასუხებთ:

— ჩვენ რა, საკუთარი ზღვები არ გაგვაჩნია თუ?!

ეს სიამაყე საკუთარი ზღვებით და სხვათა ზღვების სიძულვილი სხვა რამეზეც ვრცელდება, რითაც მდიდარია ევროპა. მაგალითად, მუზეუმები. მათში ბევრი რამ შეიძლება შეისწავლო, გაიგო. მაგრამ „ამაყი რუსი“, მედიდურად რომ დააბიჯებს ნეაპოლის მუზეუმის ჰომპეის დარბაზებში, მოწყენილი ბუზღუნებს:

— არ მესმის. არ მესმის.

ბუნებრივი ის იქნება, თუ არ გესმის — შეეცადე გაიგო; გაგება. ეს ძალიან კარგი, ადამიანური საქმეა. ხოლო ახალგაზრდა რუს ლიტერატორს „არ ესმის“ იმიტომ, რომ დაე ყველა მიხვდეს: ყველას. რაღაც ესმის, ბევრი გაოცებულია, მას კი — მოსკოველს — არ ესმის. და არც სურს გაიგოს.

მეორეს, დაოთხილი რომ დაჰქრის უფიცის დარბაზებში. შეუძლია თავზარი დაგცეთ ასეთი დასკვნით:

— ეშმაკმა დალახვროს, რამდენი საღებავი დაუხარჯავთ!

მუზეუმებისა და ძველი დროის შესანიშნავი ნანგრევების გარდა, რომლებიც აგრეთვე ჩინებულად გვეხმარებიან ხალხის წარსულის, წისი შემოქმედების, მისი მუშაობის გაგებაში, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპელი ადამიანები აქამდე ძალიან ბევრს, დაეინებით, მრავალმხრივად შრომობენ. სამხრეთ იტალიის გლეხი მთელი წლის განმავლობაში მუშაობს თავის მიწაზე და არა ხუთი-ექვსი თვე, როგორც რუსი გლეხი. ეს საინტერესო ფაქტია და მას შეუძლია საკმაოდ ჰკუთისასწავლი აზრების აღძვრა. არ ეტყობა, რომ ამ ფაქტს ჩაეფიქრებინოს ადამიანები, ისევე, როგორც დაოთხებით მოგზაურები ვერ ამჩნევენ იტალიელ გლეხთა ფრიად ოსტატურ და მძიმე ქვის სამუშაოებს. საერთოდ. მუშაობა, ყოფა-ცხოვრება — ცნობისმოყვარეობას არ აღუძრავს ახალგაზრდა რუსებს. და როდესაც მათი მოგზაურობის ნარკვევებს კითხულობ, გაოცებული რჩები. რა ცოტა რამ უნახავთ და როგორ ცუდად დაუნახავთ ის, რასაც პრაქტიკული — აღწერის — მიზნით შეხვდეს. ძალიან ცოტა ინტერესს იჩენენ ახალგაზრდა მოგზაურები უცხო ქვეყნების წარსულისა და აწმყოსადმი.

შესაძლოა, არის ისეთი მოვლენები და საგნები. რომელთა უცოდინარობა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ცოდნა. მაგრამ მე ყველაფრის ცოდნის მომხრე ვარ. მწერალი მოვალეა, რაც შეიძლება მეტად იცოდეს.

ახალგაზრდა მწერლებმა ცოტა იციან. ალბათ ამიტომ ისინი ცუდად ითვისებენ საგნების, ბევრების, საღებავების, ბუნების მოვლენების მსგავსებასა და სხვაობას...



შეინიშნება, რომ ახალგაზრდა პოეტები არ კითხულობენ თავი-  
ანთი პროზაიკოსი ამხანაგების ნაწარმოებებს, ხოლო პროზაიკოსე-  
ბი — პოეტებისას. ურთიერთობა მყარდება თითქოს მხოლოდ პირა-  
დი ნაცნობობით ან რეცენზიების კითხვისას; რეცენზიებს კი ხში-  
რად ისეთი აღმანიები წერენ, რომელთაც არ იციან ყურადღებით  
წაკითხვა, — წერენ დაუდევრად, არაღამაჯერებლად, მკითხველის  
წინაშე პასუხისმგებლობას არ გრძნობენ.

ახალგაზრდა მწერალი გზავნის თავისი შემოქმედების ნიმუშებს  
და თან აყოლებს რეცენზიას, მასში უხეშად არის მითითებული,  
რომ რეცენზირებული წიგნის ავტორი არარუსია. როდესაც მას ეკი-  
თხებიან: როგორ ვერ გაუგია, რომ ასეთი რამის დაწერა არ შეიძლე-  
ბა? — იგი უპასუხებს: „მე ჯერ ვსწავლობ“.

მაგრამ ამ გაუგებრობას რომ სწავლობს, იგი უკვე წერს სასტიკ  
რეცენზიებს ამხანაგებზე და, მსუბუქად რომ ვთქვათ, „გულმონწყა-  
ლე“ რედაქტორები ბეჭდავენ მათ.

როცა ლიტერატორს ეკითხები სხვა ლიტერატორის ამბავს. იგა-  
მის შემოქმედებას კი არ გიხასიათებს, არამედ გუბუნება:

„კარგი ბიჭია“. „მხიარულია“. „ჭანმრთელია“. „სვამს“. „მუსუ-  
ლია“.

ეს ფაქტი რ. მ. რილკეს მაგონებს. როდესაც მას ჰკითხეს, თუ  
რას ფიქრობს იგი პიტერ ალტენბერგზე. უპასუხა:

„ვეგონებ. მასთან ერთად ერთხელ პრატერზე ვისაუბრე“.

ახლა ახალგაზრდა ლიტერატურა იმ კლასის კოლექტიური საქ-  
მეა, რომელმაც ხელთ აიღო, თავის ნებას დაუმორჩილა უდიდესი  
ქვეყნის მართვა და ენერგიულად, წარმატებით ჰქმნის მასში ახალ  
კულტურას, ახალ ყოფაცხოვრებას. ამ მუშაობას მთელი მსოფლიოს.  
მშრომელთათვის უდავო აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა  
ჰქონდეს და აქვს კიდევ! რუსეთის მუშათა კლასს უფლება აქვს  
თქვას, რომ იგი „ზოგადსაკაცობრიო“ ცნებას ავსებს მართლაც რომ:  
ზოგადსაკაცობრიო შინაარსით. ამ შინაარსს ყველა ქვეყნის პროლე-  
ტარიატი ითვისებს. — აუცილებელია, შრომისა და შემოქმედების  
ყოველ დარგში, მიუხედავად სხვადასხვაგვარობისა; ნათლად მოჩან-  
დეს და იგრძნობოდეს ეს ერთსულოვანი, კოლექტიური, ერთიანი  
ძალა, სამყაროს რომ ჰქმნის.

ლიტერატორებთან საუბრებში და ჟურნალების კითხვისას გარ-  
კვევით იგრძნობა უბოროტესი „წოვობანას“, ჭკუფური ინტერესე-  
ბის ვიწრო ჩარჩოებში შავნე ჩაკეტვის დამყაყებელი ატმოსფერო,  
იმის ცდა, რომ, რაღაც არ უნდა დაუჭდეთ, მოიკალათონ ხელმძღვა-  
ნელობაში. ეს განსაკუთრებით ახასიათებს „ლექს“; აქ რამდენიმე;

მკვებარა ცდილობს გზა-ევალი აუბნიოს ახალგაზრდა ლიტერატორებს ქადაგებით, რომ მხატვრული ლიტერატურა საჭირო არ არის თუ ა ეკუთვნის ბ-ს ჯგუფს, ანბანის ყველა დანარჩენი ასო მისთვის ან მტრულია ან არ არსებობს. ეს წინათაც იყო. მაგრამ არა ამგვარად და ასეთი ზომით. „რეალისტებსა“ და „სიმბოლისტებსაც“ არ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მათ საამისო უფრო საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდათ. ლეონიდ ანდრეევმა ერთ-ერთ თავის წერილში კარგად თქვა, რომ სიმბოლისტები „ვაქრობისთვის ქმნიან ლიტერატურას, ნერგავენ ვერლენს ოსტროვსკისდროინდელ მდინარე მოსკოვის ნაპირებზე. სადაც ლიპიან ადამიანებს მოსწყინდათ აზარტული თამაში“. რეალისტებისათვის სავსებით გასაგები იყო, თუ რატომ უხაროდა ასე აშკარად პროფესორ ე. ანიჩკოვს წიგნის ბაზრიდან „ზნანიეს“. „მწვანე კრებულების“ გაქრობა და რატომ იჭერდა მათ აღვილს სხვა ტონის აღმანახები. მაგრამ მტრები კითხულობდნენ და იცნობდნენ ერთმანეთს; და თუ ა. ა. ბლოკი წერდა რეცენზიას, ვთქვათ, გორკიზე. ამ რეცენზიაში გორკი პოულობდა მისთვის ტექნიკურად სასარგებლო რჩევას. მტერი კარგი მასწავლებელია. მეგობრებიც უნდა კითხულობდნენ და იცნობდნენ ერთმანეთს; მეგობარიც კარგი კრიტიკოსი უნდა იყოს. ამას კი ვერ ვხედავთ.

მაგალითად, ა. ს. სერაფიმოვიჩი გადაქრით აცხადებს, გერასიმოვი და კირილოვი — „დაიღუპნენო“. ვფიქრობ, ძველი მწერალი ძალიან ნაადრევად აპირებს ამ ნიკიერი მუშა-პოეტების ამოშლას ლიტერატურიდან. ესოდენ მკაცრი განცხადება უკვე კრიტიკა აღარ არის; იგი „სასაკვდილო განაჩენს“ უფრო ჰგავს. მე მიმაჩნია, რომ ადამიანების ასე მიყრა-მოყრა არ შეიძლება, რომ ასეთი განაჩენი — ცუდი მაგალითია ახალგაზრდა კრიტიკოსებისათვის.

ადვილი შესაძლებელია, ვიღაც ხანინი — როგორც ჩანს, ძალიან ახალგაზრდა კაცი — სწორედ ასეთი მაგალითით ხელმძღვანელობდა, როცა ეურნალში — „ნა ლიტერატურნომ პოსტუ“ — ბეჭდავდა თავის შენიშვნას „იოსებ უტკინის შემოქმედებაზე“. იგი „წვრილბურჯუაზიულ გადახარას“ აბრალებს უტკინს და ამბობს: „არ არსებობს ადამიანი. საერთოდ, არამედ არის ადამიანი. რომელიც ამა თუ იმ კლასს ეკუთვნის“. ეს ახალი აღმოჩენა როდია. მაგრამ მე ნებას მოვცემ ჩემს თავს. ერთგვარი ერეტიკული „შესწორება“ შევიტანო მასში. კომუნისტურ პარტიაში არცთუ ისე ცოტაა სხვა კლასებიდან გამოსული ადამიანები; ეს ალბათ იცის ხანინმა. პარტიის დამაარსებელი და გენიოსი წინამძღოლი — მუშა არ ყოფილა. „კლასობრივი შეგნების“ გარდა არსებობს კიდევ კლასობრივი შეგნების კე შემარტებისა და შემოქმედებითი ძალის შეგ-

ნება. შეგნება მისი იმ ისტორიული აუცილებლობისა, რომ ახალი სახელმწიფოს, ახალი კულტურის შემოქმედი იყოს. სწორედ ამ შეგნებამ ჩააბა მუშათა ცხოვრებაში სხვა კლასების ადამიანები და მისცა პარტიის შექმნის ძალა. კომუნისში სწორედ ამიტომ არის ნამდვილად ერთადერთი და მთლიანად რევოლუციური ძალა, იგი მიზნად ისახავს კლასობრივი საზოგადოების, კლასობრივი ადამიანის მოსპობას.

კომუნისტი მწერალი და კრიტიკოსი უნდა იბრძოდნენ ცნება „ზოგადსაკაცობრიოს“ ძველი მნიშვნელობის წინააღმდეგ. ეს უდავოა; მაგრამ ეს არის ბრძოლა ადამიანის შეუფასებლობის წინააღმდეგ-ფიზიკური და გონებრივი სიზანტისა და სინამდვილისადმი განურჩეველი დამოკიდებულების წინააღმდეგ, ტრაბახის წინააღმდეგ. ქალისადმი უპატივცემულობისა და მეშინური გარყვნილების წინააღმდეგ. ასეთ დამოკიდებულებას შეედომით „პირუტყველს“ ეძახიან მაშინ, როდესაც პირუტყვები გარყვნილები არ არიან. ეს არის ბრძოლა იმ საზიზლარი მანკიერების წინააღმდეგ, კლასობრივმა სახელმწიფომ რომ ჩაგვიჩერვა. ყველა ეს და ბევრი სხვა სისაძაგლე „ზოგადსაკაცობრიულია“, მაგრამ ძველი და დასალუპავად განწირულია.

ამ ქვეყანაზე უკვე იქმნება სხვა „ზოგადსაკაცობრიო“; ძველ ცნებას ახალი აზრი ავსებს. ამ შემთხვევაში აღარ ვარგა ანდერძი — „ძველი გუდა ახალი ღვინისათვის არ გამოდგება“, რადგან ღვინოცა და გულებიც ერთნაირად ახალია. თითქოსდა, იმ ქვეყანაში, სადაც მუშა სახელმწიფოს სრული ბატონ-პატრონი ხდება და სადაც მრავალ „ზოგადსაკაცობრიულ“ უკეთურთა შორის სულ უფრო მეტად იზრდება საოცარი შემოქმედებითი ენერჯის, სულიერად სპეტაკი და ნიჭიერი ადამიანები, ამ ქვეყანაში საჭიროა ძალიან კარგად გვახსოვდეს ახალი და ნამდვილი ზოგადსაკაცობრიოს წარმოშობა.

უმართებულოა ხანინის პროტესტიც უტკინის შექმდეი სიტყვების წინააღმდეგ:

ჩქვეს, იფერჩქნება სამშობლო,  
შენ კი არ ძალგის მღერა,  
სქობს, არ გაშოროს სიკვდილი,  
უქნარას ბედისწერამ.\*

ადამიანებს, რომელთაც „არ მოსწონთ“ „სამშობლოს მჩქეფარე ცხოვრება და გაფურჩქნა“. რომლებიც თვით ცნობენ თავიანთ უვარგისობას ცხოვრებისა და შრომისათვის, — ამ ადამიანებს არ შეიძლება წავართვათ სიკვდილის უფლება. ემიგრანტებს ალბათ ხანინი არ წაართმევს სიკვდილის უფლებას.

\* ამ კრებულში მოყვანილი ლექსები თარგმნა მირიან აბულაძემ.

ახალგაზრდა და დამწყებ მწერლებს ფრთხილად, საკმაო მზრუნველობითა და ყურადღებით ვერ ეკიდებიან. კრიტიკა მათ პოლიტანბანს ასწავლის, როცა ლიტერატურულ ტექნიკას უნდა ასწავლიდეს. პოლიტანბანის მასწავლებლებად კრიტიკოსებსა და რეცენზენტებზე უფრო მცოდნე და ნიჭიერი ადამიანები გვეყავს. „ლედი“ უსაფუძვლოდ არწმუნებს ახალგაზრდებს — კლასიკოსებისაგან არ ისწავლოთ. ლიტერატურული ტექნიკა, ენა სწორედ ტოლსტოისაგან, გოგოლისაგან, ლესკოვისაგან, ტურგენევისაგან უნდა ვისწავლოთ: მათ მე მივეუმატებდი აგრეთვე ბუნინს, ჩენოვს, პრიშკინს. იდეოლოგიური დაავადების შიში იმას ნიშნავს, რომ კლასობრივი თვითშეგნების ძალა არ გეწამდეს.

ლიტერატორები, რომელთაც ნაკლებწიგნიერებაზე მივუთითე, არ უნდა გამინაწყენდნენ. რადგან არ ვაპირებ მათ დაცინვას. ეს არ შემიძლია. რადგან თავის დროზე თვით განმიცდია მცირემცოდნეობის მტანჯველი სირცხვილი. ამ ნიმუშების მოშველიებით მე მივმართავ იმ ყურნალთა რედაქტორებს, რომლებმაც დაბეჭდეს ლიტერატურული ტექნიკისა და ენის მხრივ თვალსაჩინო ცოდვების შემცველი მოთხრობები.

როგორღა ასწორებენ ისინი ხელნაწერებს, თუ მათში იპარება ანეთი შეცდომები? რედაქტორი ბევრს ასწავლის მწერალს, ზრდას მას. ასე ზრდიდა ხოლმე სალტიკოვ-შჩედრინი სერგეი ატავ-ტერპიგორეცს, ასე ეხმარებოდა იგი ოსიპოვიჩ-ნოვოდვორსკის და მთელ რიგ სხვა მწერლებს. ასევე წარმატებით ზრდიდნენ ახალგაზრდობას ვ. გ. კოროლენკო და ა. გორნფელდი, ასეთ მუშაობას ეწეოდნენ ვიქტ. ოსტროგორსკი, ა. ბოგდანოვიჩი, ვიქტ. შიროლიუბოვი.

ჩვენს დროში კიდევ უფრო იზრდება რედაქტორის მოვალეობა — დაეხმაროს დამწყებ მწერალს. რედაქტორიც უფრო მეტად უნდა იყოს შეიარაღებული ტექნიკურად, ვიდრე ჩემ მიერ დასახელებული რევოლუციამდელი ყურნალების რედაქტორები. იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ რედაქტორმა მწერალზე მეტი უნდა იცოდეს, იგი განუწყვეტლივ უნდა სწავლობდეს თავის საქმეს. ჩვეინთან მიმდინარეობს ჯერ არსახული პროცესი — ლიტერატურაში შემოდის კავისა და დაზვის ასობით ადამიანი, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის ბევრი ასნახევარი მილიონი ადამიანი დასახლებული ქვეყნისათვის. ბევრი ახალგაზრდა დაჯილდოვებულია უეჭველი ტალანტით. თითქმის ყველა მათგანს აქვს ცხოვრების უდიდესი გამოცდილება, რაც არ ჰქონდათ ჩემი თაობის მწერლებს, რომლებიც გინა-

ზიებიდან, უნივერსიტეტებიდან, კარგი წიგნების წაკითხვის შემდეგ მოდიოდნენ მწერლობაში, ესე იგი ისინი ტექნიკურად სავსებით მომზადებული იყვნენ თავიანთი საქმისათვის. წმემიძლია დავასახელო ძველ მწერალთა შორის რამდენიმე კაცი, რომელთაც სრულებით არ გააჩნდათ ტალანტი, მაგრამ მაინც მოიპოვეს საპატიო სახელი და კარგად ემსახურნენ რუსულ ლიტერატურას მხოლოდ იმის წყალობით. რომ ჩინებულად იცოდნენ ენა. ახლა კი არიან ათეულობით თვალსაჩინო ნიჭიერი ადამიანები. მათ თითქმის არ შეუძლიათ უნარიანად წერა თავიანთი ტექნიკური უილაჯობის გამო. სრულებით შესაძლოა, ეს ტალანტები ისე დაიღუპონ, რომ ვერ მოახერხონ იმის გაკეთება, რაც მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ ჩინებულად და მტკიცედ.

ახალგაზრდა ლიტერატორებს მეტი ყურადღება. მეტი ზრუნვა ესაჭიროებათ!

## მაქსიმ გორკის წერილი „რაბოჩი კრაის“

პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო !

დაბეჭიბებით გთხოვთ „რაბოჩი კრაის“ ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ამ პასუხს „იუნი ტექსტილშიჩის“ მიერ ჩემს სახელზე დაბეჭდილი „ღია წერილის“ გამო.

ამ წერილის სათაურია: „როგორ მოატყუა ხაპაევმა გორკი“. ეს სათაური, რომლითაც მხილებულია ბიჭუნას „სიცრუე“, უსაფუძვლო და უმართებულოა. ხაპაევმა დახმარება მთხოვა. ჩემი აზრით, ყველა ადამიანი იმსახურებს დახმარებას და განსაკუთრებით ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა; მით უმეტეს დაიმსახურა იგი ბიჭუნამ, მან უკვე 13 წლისამ დაიწყო „შენიშვნების“ ბეჭდვა გაზეთში. ვფიქრობ, ასეთი ბავშვები ცოტანი როდი არიან; მით უმეტეს მზრუნველობა და ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ მათ. რასაკვირველია, ფულით დახმარება უმნიშვნელო დახმარებაა, მაგრამ მეც ვიყავი 13 წლის ბიჭუნა და კარგად ვიცი, რას ნიშნავს თავის დროზე მიღებული შაურიანი.

„ხაპაევის ასაკის ბავშვებს“, როგორც ამას „იუნი ტექსტილშიჩი“ წერს, „მატყუარები“, „აფერისტობის კანდიდატები“, „გაიძვერები“, რომ უწოდეს, დანაშაულია. რატომ აკრავენ სამარცხვინო ზომზე ამ ბიჭებს? იმიტომ, რომ ისინი „ფუტობით“ წერენ ლექსებს? იმიტომ. რომ „არც ერთ ქვეყანას არა ჰყავს ამდენი პოეტი?“ — აი, დანაშაული, რასაც სისხლის სამართლის არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს. გარდა მხოლოდ „იუნი ტექსტილშიჩის“ რედაქციისათვის ცნობილი კანონისა! ხომ არ სურს ამ რედაქციას თავის კლასს მოწყვეტილი ადამიანების — ხულიგნების, უმართებულოდ განაწყენებულთა და, ბოლოს, თვითმკვლელთა — ჩაოდენობის გა-

დიდება? ისეთი წერილებით, როგორც მისი „ღია წერილია“, იგა  
ადვილად შესძლებს ამის გაკეთებას. იცის თუ არა „იუნი ტექსტილ-  
შიკის“ რედაქციამ, რამდენ ნამდვილად ნიკიერ ფიგურას წამოს-  
წევს ხოლმე ჩვენი დრო თვით „უპატრონო“ და „სოციალურად სა-  
შიშთა“ წრიდანაც კი? საიდან გაუჩნდა მას ეს მეშხანური ქედმაღ-  
ლობა „ფუთობით ლექსების“ მწერალი მოზარდებისადმი?

„ღია წერილის“ მთელი ტონი სევერნისა და ხაპაევის მიმართ  
სწორედ რომ მეშხანური ტონია. თავს მოვალედ ვრაცხ დაეუმტკი-  
ოცო ეს „იუნი ტექსტილშიკის“ რედაქციას სტატიით, რომელსაც  
დავწერ მოზარდთა ჩემთვის სავსებით გაუგებარი დევნის ამ უკიდუ-  
რესად სამწუხარო ფაქტის გამო; მოზარდებს განა უპასუხისმგებ-  
ლო, უხეში და უმართებულო ლანძღვა-გინებით უნდა ვზრდიდეთ?  
ვინ ილანძღება და განსჯის? განმსჯელებმა პატიოსნად უნდა ჰკი-  
თხონ საკუთარ თავს — აქვთ კი მათ უფლება მათზე არანაკლები  
ძვირფასი ადამიანების ამგვარი განსჯისა?

## პროლეტარული მწერლის შესახებ

წერილი ქალაქ პოკროვსკის პროფტექნიკური სკოლის  
ლიტერატურული წრის წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო! პირადად მე არ მაინტერესებს კრიტიკოსთა დავა იმის თაობაზე, „პროლეტარული“ მწერალი ვარ მე თუ არა „პროლეტარული“. უამრავ საიუბილეო მილოცვებში, კავშირის ყველა კუთხიდან რომ მიგზავნიან მუშებში, ერთსულოვნად მიწოდებენ: „ჩვენს“. „პროლეტარულს“ და „ამხანაგს“. მუშების ხმა, რასაკვირველია, უფრო დამაჩერებელია ჩემთვის, ვიდრე კრიტიკოსებისა. ძლიერ ვამაყობ იმით, რომ მუშები თავიანთ კაცად, თავიანთ „ამხანაგად“ მთვლიან. ეს ჩემი გულწრფელი სიამაყეა და უდიდესი პატივია ჩემთვის.

ხოლო ტერმინი „პროლეტარული“, ჩემი შეხედულებით, უკვე მთლიანად აღარ უპასუხებს საბჭოების კავშირის მშრომელი მასის ნამდვილ მდგომარეობას.

როგორც იცით, „პროლეტარიატი“ ეწოდება იმ ადამიანთა კლასს, რომლებიც ცხოვრობენ პირადი გამომუშავებით და სხვა საარსებო საშუალება არა აქვთ. მაგრამ მიუდგება თუ არა ეს სახელი საბჭოების კავშირის მუშებსა და გლეხებს, მშრომელ მასას, რომელმაც ხელთ აიღო პოლიტიკური ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში და ამჟამად თანდათან ეუფლება მთელი ქვეყნის მეურნეობას, ყველა საუნჯეს? ეს საკითხი თვით თქვენ უნდა გადაწყვიტოთ.

მეკითხებით: „რა ნიშნებით შეიძლება ნამდვილად პროლეტარული მწერლის განსაზღვრა?“ ვფიქრობ, ასეთი ნიშნები არცთუ ისე ბევრია. მათ განეკუთვნება: მწერლის აქტიური სიძულვილი ყოველივე იმისა, რაც ჩაგრავეს ადამიანს გარედან, აგრეთვე შიგნიდანაც; ყოველივე იმისა, რაც აფერხებს ადამიანის უნარის თავისუფლად



განვითარებასა და ზრდას, დაუნდობელი სიძულვილი ზარმაცებისა, პარაზიტებისა, უხამსებისა. მლიქვნელებისა და, საერთოდ, ყველა ფორმისა და ჯურის არამზადებისადმი;

მწერლის პატივისცემა ადამიანისადმი, როგორც შემოქმედებითი ენერჯის წყაროსადმი, ყველა საგნის, დედამიწის ყველა სასწაულის შემოქმედისადმი. როგორც ბუნების სტიქიური ძალების წინააღმდეგ მებრძოლისა და იმ ახალი, „მეორე“ ბუნების შემოქმედისადმი, რომელიც იქმნება ადამიანის შრომით, მისი მეცნიერებითა და ტექნიკით, რათა გაათავისუფლოს იგი კლასობრივი სახელმწიფოს პირობებში ფიზიკური ძალების გარდუვალი სულელური და ცინიკური უნაყოფო ხარჯვისაგან;

მწერლის მიერ იმ კოლექტიური შრომის პოეტიზაციის მიზანა, ცხოვრების ისეთი ახალი ფორმების შექმნა, რომლებიც სრულებით გამოორიცხვენ ადამიანის ბატონობას ადამიანზე და მისი ძალ-ღონის უაზრო ექსპლოატაციას;

მწერლის მიერ ქალის დაფასება არა მარტო როგორც ფიზიოლოგიური სიამოვნების წყაროსი, არამედ როგორც ერთგული ამხანაგისა და თანაშემწისა;

დამოკიდებულება ბავშვებისადმი, როგორც ისეთი ადამიანებისადმი. რომელთა წინაშეც ჩვენ ყველანი პასუხისმგებელნი ვართ ჩვენი გაკეთებული საქმეებით;

მწერლის მისწრაფება იმისაკენ, რომ ყოველნაირად აამაღლოს მკითხველებს აქტიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, შთაუწერგოს მათ საკუთარი ძალების რწმენა, რწმენა მათი შესაძლებლობისა — დაამარცხონ როგორც საკუთარ თავში, ისე საკუთარი თავის გარეშეც ყოველივე, რაც კი ხელს უშლის ადამიანებს გაიგონ და შეიგრძნონ საცოცხლის უდიდესი არსი, შრომის უდიდესი მნიშვნელობა და ბედნიერება.

ა. მოკლედ ჩემი შეხედულება იმ მწერალზე, შრომის სამყაროს რომ ესაჭიროება.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ მშრომელი ადამიანების ამ სამყაროში ილვიძებს ნებისყოფა ძალაუფლებისადმი, რომ ამ ნებისყოფის გაღვიძების პროცესი ვითარდება მთელ დედამიწაზე. არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიც, აფრიკაშიც.

და თქვენ — საბჭოების კავშირის მშრომელი ძალის ავანგარდმა — უნდა იცოდეთ, რომ მთელი ჩვენი პლანეტის მშრომელი მასისათვის თქვენ ხართ მაგალითი და გაკვეთილი, რომ თქვენ გიცქერით ათეული მილიონობით თვალი, გასმენთ ათეული მილიონობით ყურა.

ისტორიამ თქვენ, ახალგაზრდობას, დაგაცისრათ დიდი სამუშაო — იყოთ ადამიანისადმი ახალი დამოკიდებულების მქადაგებელნი, ახალი ცხოვრების შენების მასწავლებელნი. ეს გავალებთ ერთსულოვნად და მონდომებით ისწავლოთ, უპირველეს ყოვლისა — ისწავლოთ. რაც მეტი იცის ადამიანმა, მით უფრო ძლიერია — ეს უდავოა. ხოლო როდესაც ადამიანმა იცის, როგორ დიდი და ღირებულია მის მიერ დასახული ამოცანა, იგი კიდევ უფრო ძლიერი ხდება.

მაშინ მისთვის არ არსებობს უხამსი „ცხოვრების წერილმანები“, მისი მთელი ძველი ხარახურა, ჭუჭყი და „საუკუნეების მტვერი“. — ყოველივე ის, რაც კმნის „მეშინობის“, „წერილბურჟუაზიულობის“ სამარცხვინო ფსიქოლოგიას. არ არსებობს და არ შეუძლია მწერლის დაავადება.

მწერალი არ უნდა დაემორჩილოს „ყოფითობის“ შხამს, არამედ უსასტიკესად ებრძოდეს მას; არ უნდა წუწუნებდეს და ოხრავდეს იმის გამო, რომ „ცხოვრების წერილმანები“ ავიწროვებენ მას. ცოტა ხელს უშლიან; მან უნდა იცოდეს, რომ ყოფაცხოვრების სიმანხინჯენი ყველას უშლიან ხელს და რომ წუწუნით მათ ვერ გადალახავ; მხოლოდ გაბედული ბრძოლა, მხოლოდ შეუპოვარი და ხალისიანი შრომა ძლევს ჩვენი ცხოვრების ყველა სიმანხინჯეს.

მწერალმა მტკიცედ უნდა იცოდეს და ახსოვდეს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით კი არ არის „არამზადა“, არამედ კლასობრივი სახელმწიფოს საზიზღარი ორგანიზაციის მიერ გაფუჭებული არსებობა, კლასობრივ სახელმწიფოს ისე არ შეუძლია არსებობა, თუ ძალა არ იხმარა ადამიანებზე, არ აღძრა მათში შური, სისარბე, ბოროტება. სიზანტე: სიძულვილი მოწერი და ხშირად უაზრო შრომისადმი, მისწრაფება იოლი საშოვარისადმი, ლტოლვა იაფფასიანი და საძაგელი სიამოვნებისაკენ, გარყვნილებისა, ლოთობისა და ყოველგვარი სისაძაგლისაკენ.

თქვენ — ახალგაზრდობამ — უნდა იცოდეთ, უნდა გახსოვდეთ, რომ არიან ისეთი ადამიანები, ვისთვისაც ხელსაყრელი და აუცილებელია იმის მტკიცება. რომ „არამზადობა“ არის ადამიანის, როგორც ისინი ამბობენ, „თანდაყოლილი“ თვისება, რომ იგი აღმოცენებულია ადამიანის ზოოლოგიურ, მხეცურ ინსტინქტებზე, რომ ამა „ეშმაკი“ უნერგავს ადამიანს და რომ ადამიანის ყველა მოქმედება — „გამოხატულება ეშმაკის მარადიული ბრძოლისა ღმერთთან ადამიანის სულის დასაუფლებლად“.

ამ ქადაგებას საფუძვლად უდევს ფარული მისწრაფება იმისაკენ. რომ შეზღუდოს, ჩაჰკლას უკეთესი ცხოვრების, შრომისა და

შემოქმედების თავისუფლების სურვილი ადამიანში; რომ აღზარდოს ადამიანი კლასობრივი სახელმწიფოსა და საზოგადოების მონად; ეს ქადაგება ადამიანს განიხილავს, როგორც მხოლოდ ნედლ მასალას, როგორც მადანს, რომლითაც შეიძლება ნაჯახის, ჭაჭვის, ბიშტის, უთოს — ერთი სიტყვით, იარაღის, ხელსაწყოს — გაკეთება.

ამ მოძღვრების მქადაგებელნიც ასევე „არამზადები“. ესე იგი, პატიოსანი, აქტიური, შრომითი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარად ადამიანები არიან. მათ არ შეუძლიათ და არც სურთ წარმოიდგინონ ცხოვრება სხვაგვარად. თუ არა ცინიკური, ხალხის დამამცირებელი ფორმით. „თანდაყოლილი“ ან ეშმაკისაგან შთაგონებული ბოროტი ინსტინქტების მოძღვრებას ძალიან ადვილად უარყოფს ის ფაქტი. რომ აფრიკის ზანგთა ეგრეთ წოდებული „ველური“ ტომები, ან ჩვენი ციმბირელი ტომები — იაკუტები, ბურიატები, ტუნგუსები. არსებითად, ძალიან გულკეთილი ადამიანები არიან, როგორც ამას ამტკიცებენ ეთნოგრაფი მეცნიერები.

უკელაზე უკეთესი, რაც ამ მქადაგებელთაგან უფრო სინდისიანმა ან ეშმაკმა ადამიანებმა მოიფიქრეს, ეს არის „ევოლუციის თეორია“, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფორმების წელი. თანდათანობითი განვითარების თეორია.

მაგრამ სინდისი და სიეშმაკე თითქმის ერთი და იგივეა. თქვენ უკვე იცით, რომ კაპიტალისტური საზოგადოების „ევოლუციამ“ მიგვიყვანა ოთხწლიან სისხლისღვრამდე, რომელმაც ათეულობით ბილიონი ყველაზე ჯანმრთელი ადამიანი მოსპო; ამ სისხლისღვრაში ჩაითრია მუშები, სოციალისტები, ვინც დაიჭრა „ევოლუციური“ ხსნა; გამოიწვია „კულტურული“ ევროპის გაუგონარი გაველურება; წარმოშვა უამრავი სისხლით გასუქებული ყალთაბანდი და ახალი. უფრო მძვინვარე ომით იმუქრება.

დაბოლოს, თქვენ მოგვხსენებათ, რომ საბჭოების კავშირის მიერ შეტანილი საყოველთაო განიარაღების პროექტი უარყოფილია კულტურული ადამიანების მიერ, რომელთაც სწამთ ევოლუციის თეორიის დამხსნელი მისია.

თქვენ უნდა გაიგოთ და სამუდამოდ დაიხსომოთ. რომ ერთა ლიგის ეს საზიზღარი სიმხდალე მეტი არაფერია, თუ არა საბოლოო გაკოტრება ევროპული კულტურისა და კლასობრივი საზოგადოებისა. რომელმაც მთლიანად გააშვივლა თავისი ჰეგემარტი, ანტიკაცობრიული არსი.

და თუ თქვენ გსურთ პატიოსანი ადამიანები იყოს, რევოლუციონერები უნდა გახდეთ.

## სტატიიდან „ისამ წიგნიერებაზე“

ახალგაზრდა ავტორმა მოთხრობა გამომიგზავნა და თანდართული წერილით იტყობინება:

„მოთხრობა მოეწონა თვით ფრიჩეს; იგი მოწონებულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ“.

მოთხრობა 250 — 300 საგაზეთო სტრიქონის მოცულობისაა, ხოლო მისი შინაარსი ის არის, რომ „ძველი რეჟიმით სულ ერთიანად გაქვნილი დიდება“ თავის პიონერ შვილიშვილს წაჰყვია რომელიღაც საბჭოთა დღესასწაულზე; იქ შეფუნთუშე მუშები რაღაც სასწაულის ძალით მიხვდნენ, რომ იგი „ფრანგული ფუნთუშის უპირველესი ოსტატის“ — სიმონის დედაა; მიხვდნენ და შეუგროვეს მას „სამი თუმანი და კიდევ ხურდის სახით — სამი მანეთი და ჩვიდმეტი კაპიკი“. ამის გამო დიდდამ „მსხვილი, სიხარულნარევი ცრემლები გადმოაწვიმა“.

ავტორმა არაფერი თქვა იმაზე, თუ რამდენი პროცენტით შემცირდა აცრემლებულ დიდებაში „ძველი რეჟიმით“ გაქვნილობა. მოთხრობა შეთხზულია იმ მიზნით, რომ შეაქოს შვილიშვილი, ეს პატარა მლიქვნელი, საოცრად რომ აგონებს მკითხველს ოთხმოცი ოთხმოცდაათიანი წლების „საბავშვო ლიტერატურის“ ზნეკეთილ ბავშვებს. იმ დროს გამოდიოდა ეურნალი „ვატრუშეჩკა“ და მის უოველ გვერდზე გამოხატული იყო სწორედ ასეთი საზიზღრად მომხიბლავი ბიჭები, როგორც ეს აცრემლებული დიდების შვილიშვილია...

ეს საცოდავი დიდება, ავტორის სრული უილაჯობის წყალობით. ათჯერ არის მოხსენიებული თხუთმეტ სტრიქონში, სულ კი მისი სახელი, დაახლოებით, ორასჯერ გვხვდება ოც გვერდ ხელნაწერში. კითხულობ და ყველგან: დიდება, დიდების, დიდებას...

ის ფაქტი, რომ „სამეცნიერო საბჭომ მოიწონა“ მოთხრობა, ავ-

ტორის სინდისს მივანდოთ. მაგრამ, ვგონებ, ავტორი არ სცოდაეს ჰეშმარიტების წინააღმდეგ და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს საბავშვო წიგნის კომისიას მართლაც „მოწონებული“ აქვს მოთხრობა. ამ საბჭოს ლენინგრადის განყოფილების მიერ განსახკომის კოლეგიაში შეტანილი განცხადებიდან ჩანს, რომ ამ კომისიაში არიან ისეთი ადამიანები, რომელთა მსჯელობა ლიტერატურაზე სავსებით უსაფუძვლო და უპასუხისმგებლოა, ხოლო ცეცხლს, წყალს, ეს აღამიანები „აბსტრაქტულ ცნებებზე“ თვლიან.

ყოველთვის, როდესაც ხვდები ანეკდოტური უცოდინარობის ასეთ საოცარ გამოვლინებებს, იგი გეჩვენება არა უბრალო უწიგნურობად, არამედ „საგანგებო“ ბოროტგანზრახვად. იგი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ადამიანები შეგნებულად ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებისათვის სახელის გატეხას. მე ხაზს ვუსვამ: სწორედ ასეთი შთაბეჭდილება გრჩება, როცა კომისიის დასკვნებს კითხულობ, რომელიც იწუნებს კარგ საბავშვო წიგნებს.

„ნაკლებადმხატვრულია“, „მხატვრულობისაგან შორს დგას“, „ნაკლებად საინტერესოა“, „საინტერესო არ არის“. მაგრამ რატომ არის „ნაკლებადმხატვრული“, რატომ „დგას მხატვრულობისაგან შორს“, — კომისია ამაზე ღუმს. ღუმილი დაუშვებელია. თუ კომისიას სურს იხილოს „დიდად“ მხატვრული საბავშვო წიგნები, იგი უნდა განმარტავდეს, რამდენად „დიდად“ და როგორ მხატვრულობას მოითხოვს იგი მის მიერ დაწუნებული წიგნებისაგან. ვფიქრობ, კომისიას არ ესმის მხატვრულობის ცხება. ამაში მარწმუნებს ის ფაქტი, რომ კომისია ზოგიერთ წიგნს იმიტომ იწუნებს, რომ მათში ხედავს „გამონაგონს“.

„მფრინავი ხალიჩის“ ზღაპარიც გამონაგონია, ისევე როგორც ძველი მითი ჰაერში გაფრენილი პირველი ადამიანების — დედალოსა და მის შვილ იკაროსზე. ეს „გამონაგონი“ წარმოშვა ადამიანის მისწრაფებამ ფრენისაკენ. კომისიამ ალბათ იცის, რომ ეს „გამონაგონი“ ახლა აეროპლანების ფაბრიკებში განხორციელებული რეალობაა. ეიულ ვერნის წყალქვეშა ნავიც ასევე გამონაგონია. მთვარეზე გაფრენა გიჟური ფანტაზიაა, მაგრამ ჩვენს დროში ამისათვის სავსებით სერიოზულად ემზადებიან. გამონაგონია არქიმედის უსასრულო ხრახნი, საქსოვი დაზგა, ორთქლმავალი, დინამომანქანა. შიდაწვის ძრავი. ის, რასაც კულტურა ეწოდება, სულ მთლიანად ადამი-

ანის „გამონაგონია“. ხელოვნება სულდგმულობს გამონაგონით, მეცნიერება ხორცს ასხამს გამონაგონს. სწორედ გამონაგონი და ნავარაუდევნი აყენებს ადამიანს ცხოველზე მაღლა. კიები და ხარები ყოველთვის დარჩებიან ისეთნი, როგორიც არიან, რადგან არ გააჩნიათ აზროვნების — „გამოგონების“, „ვარაუდის“ უნარი. „მხატვრობა“ „გამონაგონის“ გარეშე შეუძლებელია, არ არსებობს. და თუ საბავშვო წიგნის კომისიას სურს, რომ ახალ რუსეთში გაიზარდონ ნამდვილად ახალი მხატვრები, კულტურის ახალი შემოქმედნი, — მან არ უნდა უარყოს „გამონაგონი“. არ ჩაკლას ბავშვებში ფანტაზია, რადგან ადამიანებმა უკვე ისწავლეს სინამდვილედ აქციონ თავიანთი ფანტაზია — „გამონაგონი“; დანაშაული იქნებოდა ბავშვებში ადამიანის ამ ჩვევის — შემოქმედებითი ჩვევის ჩაქრობა. დროა შევიგნოთ უბრალო და ცხადი ჭეშმარიტება, შრომა რომ ქმნის: რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო ადვილად აქცევს თანამედროვე ტექნიკა გამონაგონსა და ვარაუდს, ფანტაზიასა და ჰიპოთეზებს — რეალობად, რაც აიარაღებს ადამიანს ცხოვრებაში საზრდოლველად.

## ა. შ. პიჭულაძე

პატივცემულო ანა ვაცლავის ასულო!

გთხოვთ მაპატიოთ, რომ მხოლოდ დღეს მოგმართავთ მაღლობით თქვენ და ამნ. სისოევას. ორეხოვო-ზუევეოს სკოლის მოსწავლეთა მიერ ჩელკაშსა და გავრილაზე დაწერილი მოთხრობების გამო, თქვენ რომ გამომიგზავნეთ. მსურდა პატარა სტატიით გამოსვლა; სულ ვაპირებდი დაწერას და ვერ მოვახერხე — აწი ველარც დავწერ. ხელს ის მიშლის, რომ სასკოლო დისციპლინის გავლენა არ განმიცდია და ამიტომაც ცუდად ვერკვევი პრაქტიკული პედაგოგიკის საკითხებში, თანაც ეჭვით ვეკიდები პედაგოგიკის ფილოსოფიას...

სამწიკების კავშირში ბავშვთა აღზრდის მდგომარეობაზე აქედან, ასე შორიდან მსჯელობის უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ. მაგრამ ასეთი ფაქტი შემიძლია აღვნიშნო: აი. უკვე სამი წელია ათობით და ასობითაც კი ბავშვი — არ ვაჭარბებ — კოლექტიურ და პირად წერილებს მიგზავნის; ისინი მომითხრობენ სწავლაზე, წაკითხულ წიგნებზე და საერთოდ თავიანთ ცხოვრებაზე. არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რა უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს ამ ძვირფასი „ბატიფეხურის“ კითხვა; არც იმას მოგაგონებთ, რომ ძველ დროში ასეთი მიმოწერა ლიტერატორთან შეუძლებელი იყო, ხოლო იმ პედაგოგს, რომელიც მოსწავლეებს, ვთქვათ, შჩედრინთან, მიხაილოვსკისთან ან უფრო ნაკლებ პოპულარულ მწერალთან მიმოწერის უფლებას მისცემდა. ალბათ მასწავლებლობას აუკრძალავდნენ, ისიც — უკეთეს შემთხვევაში.

აღვნიშნავ იმას, რომ ბავშვების ეს წერილები არ მცქმნიან ნორჩთა ნაადრევი განვითარების შთაბეჭდილებას — არ წარმოადგენენ ბავშვებს „ვუნდერკინდებად“; ისინი აღმიძრავენ ბავშვების ში-

ნაგანი თავისუფლებისა და მათ მიერ რუსული სინამდვილის ჩინებული გაგების გრძნობას. ამასთან, — თუ არ ვცდები, — სინამდვილე მათ რეალისტურად ესმით, ხოლო ამ სინამდვილისადმი მათი მიდგომა „რომანტიკულია“.

ვგონებ, არ ვცდები. უნდა განვმარტო ჩემი დამოკიდებულება „რომანტიზმისადმი“; მე მას ორ ტიპად ვყოფ: არსებობს ინდივიდუალური რომანტიზმი, ნაცვალსახელ „მეს“ რომ აუცილებლად განსაკუთრებული მნიშვნელობით ხმარობს და ცხოვრებას წყვეტს ადამიანს, განიხილავს მას როგორც პირადი ცხოვრების ამ პირობებში გადაუწყვეტელი პრობლემის პირისპირ მდგომ ეულ და უღონო არსებას. ინდივიდუალური ამ თვითმოშხამვის გვერდით, როგორც ფიქრობ, ცოცხლობს ადამიანისათვის ბიოლოგიურად დამახასიათებელი სოციალური რომანტიზმი — ის ფსიქიკური ძალა. წინათ რომ მხოლოდ ერთეულებს აძლევდა კულტურის შემოქმედთა. ცხოვრების ახალი ფორმების შემოქმედთა ძალას, — და ისინი მართლაც იყვნენ ასეთები, — ხოლო ახლა მთელ კლასს უნერგავს ასეთი მოღვაწეობის უნარს.

მე, ყოფილი ბავშვი, ვის სულშიც 60 წლის სიცოცხლემ ვერ შეარყია ადამიანისადმი „რომანტიკული“ დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვხედავ რუსული თანამედროვეობის უარყოფით მხარეებსაც, და — იდეალისტების გამოთქმა რომ ვინმართ — მიუხედავად მისი „უხეში“ მატერიალიზმისა, ვაფასებ ამ თანამედროვეობას, როგორც ყველაზე უფრო „რომანტიკულ“ ეპოქას ევროპის კაცობრიობის მიერ გამოვლილ ყველა ეპოქათა შორის.

ფიქრობ, ამხ. სისოევას მიერ განხორციელებული ცდა მეტად საინტერესო და ჭკუნის სასწავლია.

ამხ. სისოევამ კითხვა დაუსვა მოსწავლეებს: „როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ჩელკაში და გავრილა“ მათ შორის მომხდარი დრამის „ათი წლის შემდეგ?“ ამ ხერხით მან მარჯვედ გაატარა ბავშვები ლიტერატურაში ასახული ცხოვრების გზაზე და გამოიყვანა ისინი ცხოვრების პირისპირ უკვე არა როგორც ამ ცხოვრების „მკითხველები“, არამედ როგორც ახალი სინამდვილის ერთგვარი აქტიური შემოქმედნი.

იმ თოთხმეტი ავტორიდან, რომლებმაც დაწერეს თხზულება თემაზე: „ჩელკაშის, და გავრილას შეხვედრა ათი წლის შემდეგ“, თორმეტმა მოსწავლემ კეთილ მეგობრებად აქცია ქურდი და მეურნე მუჟიკი: ირონიულად განწყობილ ადამიანებს ეს შემთხვევა სასაცილოდ გამოადგებათ.

თოთხმეტი წლის გუსევმა შეხვედრის დრო ოც წლამდე გაადიდა,



რათა ჩეკაში მახნოს წინააღმდეგ მებრძოლად გამოეყვანა. მხოლოდ პანკოვამ გავრილა ჩეკაშის გავლენას დაუქვემდებარა და ისიც ქურდად აქცია, ხოლო ვეკშინამ ორივე გმირი მოკლა.

ამგვარად, 14 ბავშვი-ავტორიდან 12 „სოციალური რომანტიკოსი“ გამოდგა. თავისთავად ცხადია, რომ ეს გულუბრყვილობაა და ა. შ.

მაგრამ ამ გულუბრყვილობის მიღმა სოციალური დრამების უარყოფა ხომ არ იმალება? ხომ არ იფარება მემკვიდრეობით მიღებული ან ეპოქის ძლიერი და ჭანსადი მოწოდებებით შთაგონებული სძულელი სოციალური დრამებისადმი? შესაძლოა, მათი გარდუვალობა კლასობრივ სახელმწიფოში უკვე ინსტინქტურად გასაგები გახდა ჩვენი დროის ბავშვებისათვის. ეს რომ ასე იყოს, შეიძლება და საბჭოთა პედაგოგებისათვის ზიგველოცა რუსეთის წინაშე უდიდესი დამსახურება, რადგან ჩემთვის ამ შემთხვევაში სავსებით ნათელია ახალი პედაგოგიკის გავლენა ბავშვებზე.

გულითადად გმადლობთ იმის გამო, რომ გამაცანით ბავშვების მეტად საინტერესო თხზულებანი, და გისურვებთ ყოველივე კეთილს.

ა. პ. შ. კ. ო. ვ. ი.

1928. 20 მაისი,  
ხორენტო.

## ბანდიღებულთა და „ღამყეობთა“ შესახებ

გულითად მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მომილოცა: მუშებს, ძველ ამხანაგ ბოლშევიკებს, კომკავშირელებს, ლიტერატორებს, მეცნიერებს, მუშკორებს, სოფლკორებს და სულითა და მუშაობით ჩემს მონათესავე სხვა ადამიანებს. განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი სიტყვებით მსურს მადლობა მოვახსენო მოსწავლე ბავშვებს, მაგრამ ასეთ სიტყვებს ვერ ვპოულობ. ვიტყვი უბრალოდ: გმადლობთ თქვენ, ყმაწვილებო, გმადლობთ! ვიცი, რომ თქვენგან გაიზრდება ჩემზე უფრო მნიშვნელოვანი ასობით ადამიანი.

ამ დღეებში მივიღე ორასზე მეტი დეპეშა და ალბათ ამდენივე წერილი. ეს ისე ბევრია, რომ არც ველოდი. ვამაყობ იმით, რომ მუშა ხალხი, კომუნისტების პარტია და საბჭოთა ინტელიგენცია სასარგებლოდ მიიჩნევენ ჩემს მუშაობას. ეს „მაახალგაზრდაებს“. ზოგიერთი მომლოცავი „დიდს“ მიწოდებს. ექვი არ მეპარება, რომ ამას გულწრფელად სჩადიან, მაგრამ უნდა მოვახსენოთ. რომ ეს ზედმეტი სიტყვაა სიმღერაში. მე სავსებით ნორმალური სიმალლის ადამიანი ვარ და არავითარ სიდიდეს ჩემს ფიგურაში არა ვგრძნობ. შემძლია ვაღიარო, რომ ცუდი მუშაკი არა ვარ, რადგანაც მიყვარს ჩემი და ყოველგვარი სხვა შრომა. მაგრამ ამ მხრივაც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც ძალიან ბევრია, კიდევ ბევრი იზრდება, როგორც უნდა იყოს თვითეული მუშა. მუშის ჩინი მიმჩნია დიდ ჩინად; მასზე დიდი მხოლოდ „მეცნიერი მუშაკის“ ხარისხია.

მწერალიც დიდი არა ვარ, არამედ ისეთი, როგორც უნდა იყოს თვითეული დამწყები მწერალი ჩვენს დღეებში. ჭერ კიდევ ადრეა ლაპარაკი სიტყვის დიდ ოსტატებზე. ისინი იყვნენ წარსულში, მათგან უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ; სავსებით დარწმუნებული

ვარ. რომ მუშურ-გლეხური მასა შექმნის და წარმოაჩენს მათ უახლოეს მომავალში; მანამდე კი ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კარგსა და ცუდ ლიტერატორებზე.

საერთოდ, მშინშარა არა ვარ, მაგრამ „დიდება“ მათრთხობს. გამოცდილი ვარ და ასე ადვილად არ მოვტყუვდები. ამასთანავე, ცოტა როდი მინახავს და ახლაც ვხედავ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ განდიდებისაკენ. ეს მიდრეკილება დამლუბველია მისთვის, ვისაც ადიდებენ, ვინც ადიდებას თავის თავს. იგი, რასაკვირველია, ძალიან არასასიამოვნო პიროვნებაა მის გარშემო მყოფთათვის. ვშიშობ. უზომო ქებას მეც არ შემეყაროს ეს სენი, რომელიც შეიძლება „განდიდების მანიად“ იქცეს, რის შემდეგაც საგიეში ჩამსვამენ. „კარიერის“ ჩინებული დასასრული იქნება!

ეს ბუზღლენი ალბათ ზოგიერთებს ღიმილს მოჰკვირის; ბევრი დამწამებს პრანქვას, არაგულწრფელობას. დაე იცინონ და დაე დამწამონ. რაც უნდათ, მაგრამ — ყური მომაპყრონ.

ათეულობით წერილს ვიღებ მუშაოფლკორებისაგან, პროვინციების ლიტურეებისაგან; „დამწყები“ მწერლებისაგან. ისინი ერთხმად მოითხოვენ, გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, გვასწავლეთ მხატვრულად წერაო. მათ იმის კანონიერი უფლება აქვთ, რომ მოსთხოვონ ძველ მწერალს მუშაობის ტექნიკის გაცნობა. სამწუხაროდ, მე არ შემიძლია სწავლება; მხოლოდ იმის მოყოლა შემიძლია, თუ თვითონ როგორ ვსწავლობდი — ამას მალე ვუამბობ ახალგაზრდობას. სწავლების მოთხოვნის სერიოზულობა უდავოა; ამას ყველაზე უკეთ მეტყველებს საკუთარი ტექნიკური სისუსტის შეცნობა ახალგაზრდა ლიტერატორთა მიერ, მათ მიერ იმ საქმის სირთულისა და მნიშვნელობის შეგნება, რომელსაც სურთ ხელი მოჰკიდონ. სათქმელი ამ ადამიანებს საკმაოდ აქვთ; ისინი „ახალი გამოცდილების“ ადამიანები არიან, ვისთვისაც ძველი წყვეული მეშინაური წარსულის ბევრი რამ უკვე გაუგებარია, ხოლო ზოგი რამ ორგანულად უცხოა და მტრული. ახალგაზრდობას არ აკმაყოფილებს გაზეთებში კორესპონდენციებისა და შენიშვნების წერა, ცხოვრების ყოველდღიური უხამსი წერილმანების მხილების „შავი“ სამუშაო; მას ინსტინქტურად შეუგნია იმის აუცილებლობა, რომ სწორედ „მხატვრული“ სიტყვით გააშუქოს დანაგვიანებული ნიადაგი. სადაც წარმოიშობა ყოფაცხოვრებითი სისაძაგლე და ობი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი თავს არიდებენ საგაზეთო „შავ“ სამუშაოს, არ ესმით მისი მნიშვნელობა.

თქვენ, ამხანაგო, „ასენზატორები“ გვიწოდებენ ჩვენ,—მწერს ერთი მუშკორი. —თითქოს, საწყენია, მაგრამ, როცა ჩაუფიქრდები, გაიგებ: სწორია. ჩვენ ვართ შავი მუშები, ახალი ცოცხი ვართ, პირწმინდად რომ უნდა გამოგავოს ცხოვრებიდან ყოველივე ცუდი. რასაკვირველია, ძნელი საქმეა, ხელი ვადაგუველიფება, ტანსაცმელი შემოგაცვლება, მაგრამ უნდა გააქეთო, კია.

### მეორე იტყობინება:

ცხადია, ფრჩხილებით ქუქვს ვერ მოაყლი, აქ საკირია ცხელი ორთქლი და მღულარე წყალი; შჩედრინივით უნდა მოქმედებდე. ამასწინათ წავიციოთხე სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოშვებული მისი ორი წიგნი; ეპ, ეფიქრობ, ნეტავ, ასე წერა მასწავლა! თუმცა ყველაფერს გასაგებად როდი წერს და ენა:კ მძიმე აქვს, მაგრამ ქალაქ გლუბოვოს ისტორია და ზღაპრები შესანიშნავად არის დაწერილი.

მესამეს ურჩიეს ნევეროვისაგან ისწავლოს წერა, და იგი სავესე-ბით სამართლიანად ამბობს:

ჩემი აზრით, ეს მწერალი უსიციოცხო და მოსაწყენია; მისგან ვერაფერს ისწავლი, ყველაფერი ცნობილია— ფაქტებიცა და ენაც. უფრო მომწონს სერგეი სემონოვი და მამინ-სიბირიაკი, განსაკუთრებით — ეს უკანასკნელი; მინი წიგნი ჩინებულია; კაპიტალიზმის მავნებას იგი აშკარად ხედავს, ლაზათიც საკმაოდ აქვს.

ასეთი აზრების მოყვანა მე შემიძლია ათობით. ეს აზრები იმაზე მეტყველებენ, რომ მუშურ-გლეხური მასა, როგორც მოსალოდნე-ლი იყო, თავისი რიგებიდან გამოპყოფს ინტელექტუალურ ძალას, ათეული წლების შემდეგ თავის ხელში რომ უნდა აიღოს საბჭოების კავშირის პრესა და ლიტერატურა.

კარგად ვიცი, „დამწყებთა“ შორის არიან ბრიყუებიც. ისინი ფიქრობენ, რომ უკვე საკმაოდ განსწავლულნი და გენიალურებიც კი არიან; ისეთებიც მოიპოვებიან, მცდარად რომ ფიქრობენ, „მთხზვე-ლობა“ იოლი საქმეაო; უკვე გაჩნდნენ „გრაფომანიით“ დაავადე-ბულნიც; დაბოლოს, არიან ისეთი ყმაწვილები. რომლებიც წერენ მხოლოდ წითელი მეღნიით, ამასთან, ამგვარ რამეს:

თქვენ დაარღვიეთ ჩემი ცნობილი ფორმულა: ყველა ადამიანი ღორია.

ან კიდევ:

თქვენ ამბობთ, რომ მე ცუდად ვხედავ. ო, როგორ მძულს ეს ტურგენევი! მან „ინება“ ფუჰვად ეფლანგა ღრო ბუნების შესწავლაზე.

ან:

ვიცი, რომ უმეტარი ვარ, მაგრამ ბურჟუაზიული კულტურით დაავადებისა მე-შინია.

უკვე გაჩნდნენ ყმაწვილები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ შეუძლიათ „რამდენადმე გაასწორონ აინშტაინის ფარდობითობის თეორია“; „გამსწორებელი ხაზები შეიტანონ ფიზიკურ მეცნიერებაში“, და საერთოდ, გაჩნდა ბევრი უმწიფარი მეცნიერი, ფილოსოფოსი და სხვადასხვაგვარი ყბედი ადამიანი. მათი უმრავლესობა რევოლუციის მიერ დანგრეული „საზოგადოების“ ნამსხვრევებია; ის ვისაც „ბურჟუაზიული“ კულტურისა ეშინია, ტყავის მექარხნის შვილია. აინშტაინის თეორიაში შესწორებათა შეტანა სურს ბანკის ჩინოვნიკის შვილს და ა. შ. ამ ტიპის მახინჯები ყოველთვის იყვნენ; მათი ძირითადი თვისებაა იმის სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე გამოხტნენ წინ, შესამჩნევი გახდნენ, რადაც უნდა დაუჯდეთ ეს. ისინი, ჩემი აზრით, არ ჰგვანან იმ ყმაწვილებს, რომლებიც ძველი დროის ერთი ფილოსოფოსის მსგავსად მოითხოვენ: „გვცემეთ: მაგრამ გვასწავლეთ!“

ეს ადამიანები დიდ ყურადღებასა და ყოველგვარ დახმარებას იმსახურებენ, რადგან, ვიმეორებ, ისინი არიან მშრომელი ხალხის ინტელექტუალური ძალა, მომავალი „კარგი“ ეურნალისტები, მწერლები, რევოლუციურ-კულტურული საქმის ადამიანები, მეშხანობის კვლავ აუყვანებელი ბაყაყებისა და გომბეშოების წინააღმდეგ ბრძოლის ბურჯნი.

მათ სიამოვნებით სცემენ, მაგრამ ცუდად ასწავლიან და თითქმის ყოველთვის სასტიკად ეპყრობიან. ამგვარია ჩემი შთაბეჭდილებების ერთი წყება.

მეორე კი ასეთია:

საშუალო ხნის, აღიარებული და საკმაოდ განდიდებული ერთი ლიტერატორი ნაწყენი წერს მეორე ლიტერატორს:

„თქვენ რეკომენდაციას უწევთ ვილაც...“

წიგნი ამ „ვილაც“ მწერლისა მას არ წაუეკითხავს და ალბათ არ იცის, რომ იგი მუშებმა დადებითად შეაფასეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოხმაურება საგამომცემლო, რეკლამური მოსაზრებებით არ დაბეჭდილა. მისი არაფერი წაუეკითხავს და თავისი დიდების სიმალლიდან კი უკვე უპატივცემულოდ „ვილაცას“ უწოდებს მისთვის უცნობ „დამწყებ“ მწერალს.

ფაქტი უმნიშვნელოა, ერთეული რომ იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შინაარსის ფაქტები მრავალია. მათში სავსებით გარკვევით იგრძნობა აღიარებულთა და განდიდებულთა არისტოკრატიული დამოკიდებულება „დამწყებთადმი“. პირადად მე ეს „არისტოკრატიზმი“ მეშხანობად მიმაჩნია და ეკვი არ მეპარება — ხომ არ ცვლის იგი ლიტერატურულ პატიოსნებას პროფესიული შურით. აქ

იგრძნობა აგრეთვე ალერსით განებივრებული მეშჩანის აშკარად დიდი წარმოდგენა თავის თავზე და, შესაძლოა, იმის შიშიც, რომ ვერ შეინარჩუნოს ის ადგილი, სადაც იგი დააყენეს გაუფრთხილებელმა და ფუსფუსა კრიტიკოსებმა. ისინი დარწმუნებული არიან. სწორედ ხვენ ვქმნით ნიკიერსა და „გენიალურ“ ლიტერატორებსო. სხვა სიტყვები ვერ მიპოვია და ამიტომ მე „ლიტერატურულ სინდისს“ ვუწოდებ კმაყოფილების იმ გრძნობას, რომელიც აღიძვრის ყოველთვის, როდესაც მშრომელთა მასა შობს და წამოსწევს შრომის ამა თუ იმ დარგში მოღვაწეობის ნიჭით აღჭურვილ კიდევ ერთ ჩვილს.

ამ კმაყოფილებას, ამ სიხარულს იმის გამო, რომ „ჩვენ გვემატებოდეს“, ვერ ვამჩნევ სახელმოხვეცილ მწერლებს „დამწყებთა“ მიმართ. ვფიქრობ, რომ — როგორც ყოველგვარი შრომა საბჭოების კავშირში — ლიტერატურაც უნდა იყოს კოლექტიური, მეგობრული შრომა. ამისათვის აუცილებელია მშრომელთა თანაზიარი, ამხანაგური მხარდაჭერა.

„კალმით თანამოსაგრე“ საპატიო მწერლებს, ჩემი აზრით, ძალიან ჩქარა ეხვევათ თავბრუ დიდების გამო. ისინი ძალზე წარმოაჩენენ თავისი „მეს“ დიდებას. „დამწყებთა“ საყურადღებოდ უნდა ვთქვა, რომ დიდება მღვრე ფერის, მომყავო გემოს სითხეა და რომ დიდი დოზით მისი მიღება ცუდად მოქმედებს სუსტ ადამიანებზე, „ლუდივით“ მძიმედ ათრობს მის მსმელებს. ეს ნაყენი ფრთხილად უნდა შეისვას, წელიწადში არა უმეტეს ერთი ჩაის კოვზისა; გადაქარბებული დოზა გულს ქონს მატებს, კაცს აყოყონებს. ქედმაღალს ხდის. საკუთარ თავზე დიდ წარმოდგენას უქმნის, საერთოდ, ყოველგვარ ავადმყოფურ სიმახინჯეს აჩენს.

„უბრძოლველად ვერ იარსებებ“, — ამბობდა ვ. ი. ლენინი. იგი ყოველთვის იმას ამბობდა, „რაც საჭიროა“, — ჩინებული ჩვეულება ჰქონდა!

„ჩვენ არ უარვყოფთ მემკვიდრეობას“, — თქვა მან ოცდათხუთმეტი წლის წინათ და მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი თავისი მუშაობით დაამტკიცა, რომ მართლაც არ უარყოფს არაფერს ძვირფასს. რაც კი ბურჟუაზიულ კულტურას მოეპოვება. მე მგონია, რომ ამ კულტურაში ყველაზე უფრო ძვირფასად ლენინს მიაჩნდა ტექნიკა. „ოსტატობა“ შრომის ყველა დარგში და ლიტერატურის დარგშიც.

ღიან. „უბრძოლველად ვერ იარსებებ“. ამიტომ, ლიტერატურულ ჯგუფთა შორის არსებული უთანხმოებანი სავსებით ბუნებრი-

ვია. ისინი გაცილებით უფრო კუკუსისასწავლი და სასარგებლო იქნებოდა, რომ „აღიარებული ტალანტები“ და ლიტერატურული მოძღვრება არ ამწვავებდნენ მათ თავიანთი თავმოყვარეობით, თავიანთი ყოყოჩობით და არ შექჳონდეთ მასში თავიანთი ადგილის დაკარგვის ის შიში, ზევით რომ მოგახსენებდით. ცნობილია, რომ „ტონი ჰქმნის მუსიკას“. ცალკეული ლიტერატურული ჯგუფების წარმომადგენლები ერთმანეთს ისეთი ტონით ეკამათებიან, რომელიც შეუფერებელია იმ ამხანაგებისათვის, ადამიანებისათვის, ვინც ერთიან, კოლექტიურ საქმეს აკეთებს. ლიტერატურული კამათი იდეოლოგიურად უფრო მტკიცე, უფრო სერიოზული და მშვიდი ტონით, ნაკლები ფართი-ფურთით და უხეში პირადი გამოზღომების გარეშე რომ მიმდინარეობდეს, — პროვინციების ლიტერატურულა წრეები არ დასწერდნენ ასეთ სამართლიან განცხადებებს:

ჩვენი სწავლის ერთ-ერთი ხელისშემშლელი დაბრკოლებაა ლიტერატურული ჯგუფებისა და მიმართულებების მკვეთრი ბრძოლა. ძალიან ახელია წერო და კიდევ უფრო ახელი — ისწავლო წერა განუწყვეტელი ჩხუბისა და ურთიერთ ჩასაფრების ატმოსფეროში.

ასეთი საყვედური ბევრი მსმენია, და ყველა ისინი გარკვევით ადასტურებენ, რომ დავის აზრი, მისი ტონის წყალობით, ახალგაზრდობისათვის გაურკვეველი რჩება, ხოლო ურთიერთ „ჩასაფრებას“ ახალგაზრდობა კარგად გრძნობს. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ პირადული მოტივები კამათში ძლიერ ცხადად და იმდენად შეუფერებლად გაისმის, რომ ერთი მუშკორი პირდაპირ წერს: „... წმინდა პროლეტარული სული კარგად ხედავს ამ ხმაურში ბაზრობასა და ვაქრუჳანობას“.

თუ მართლაც გვსურს შექმნათ ახალი, ადამიანთა შორის უფრო „ადამიანური“ ურთიერთობა, ჩვენ, როგორც ჩანს, უნდა დავიწყოთ „ახალი კულტურის“ შექმნა საკუთარ წრეში. ახალი კულტურა იწყება მშრომელი ადამიანისადმი პატივისცემით, შრომისადმი პატივისცემით.

ყველა შეცდომა და წამონაცდენი როდია ერესი. მაგრამ ავიდოთ ბუნხარინის მიერ ციტირებული მაიაკოვსკის ლექსი:

და მე როდესაც მეუბნებიან, შრომას უმატე კიდევ და კიდევ,  
თითქოს ეანგიან საფხეელათი მწარე ძირხენას ფხეკედე წმინდად,  
აღერსიანად მათ ვეკითხები, მხარზე ხელს ვეიდებ:  
„ისეც ფორას ხარო, მეტი რა ვინდაო?“

ეს კი მართლაც რომ უბოროტესი ერესია, იმიტომ, რომ მეუჩა-  
ნური ანარქიზმია. ხოლო როდესაც ბეზიმენსკი მრისხანედ მიმარ-  
თავს ადამიანს:

ბამია, ღირსი არ ხარ ქუხილის,  
არც მუშტი-კრივში გაბერტყვის ღირსი...

— ეს, ჩემი აზრით, ხულიგნობაა.



## [სიტყვა თბილისის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომაზე]

ამხანაგებო, მე დღეს ბედნიერი კაცი მიწოდეს. ეს მართალია; თქვენს წინაშეა მართლაც ბედნიერი კაცი — ადამიანი, რომლის ცხოვრებაშიც ხორცი შეისხა მისმა საუკეთესო ოცნებებმა, მისმა საუკეთესო იმედებმა. შესაძლოა, ეს იყო ბუნდოვანი ოცნებანი, გაურკვეველი იმედები, მაგრამ სწორედ ამ იმედებითა და ოცნებებით ვსულდგმულობდი.

კრიტიკოსი რომ ვიყო და მაქსიმ გორკიზე წიგნს ვწერდე, იმას ვიტყვოდი, რომ ის ძალა, რომელმაც გორკი იმად აქცია, რაც იგი არის და როგორიც იგი თქვენს წინაშე ამჟამად, იმ [მწერლად] აქცია, ვისაც თქვენ ასე ზედმეტ პატივსა სცემთ და ასე გიყვართ, — [ეს ძალა ის არის, ამხანაგებო, რომ], მან პირველმა რუსულ ლიტერატურაში, და შესაძლოა, პირველმა ცხოვრებაში, აი, ასე, პირადად, გაიგო შრომის უდიდესი მნიშვნელობა, — შრომისა, რომელიც ქმნის ყოველივე ძვირფასს, ყოველივე მშვენიერს, ყოველივე ღიადს ამ ქვეყანაზე.

აქ ისიც კი თქვეს, რომ ბუნებამ რაღაც განსაკუთრებული თვისებებით დამაჯილდოვა. არ მგონია ასე იყოს. ვფიქრობ, მეც ისეთი დავიბადე, როგორიც ზუსტად თვითთული თქვენგანი. ვგონებ, ეს ასეა. ვფიქრობ, ჩემი ოცნებანი არ შეიცავენ იმ ბუნებას, რომელშიც ძალიან ბევრია სილამაზე, ბუნებას, რომლითაც აღტაცებულნი ვართ, და გამოვხატავთ სიტყვებით, საღებავებით, მუსიკით, კულტურით. ეს ბუნება გვაწუხებს ჩვენ ხან დიდი სიციხეებით, ხან სიცივეთ, ხან შიმშილით, ხან წყალდიდობით, ხან მიწისძვრებით, ხან ავადმყოფობით. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენია ამ ბუნებაში ჩვენი შტერი, მისი ყოველგვარი სტიქიური ძალა! თუ თქვენ ჩაუფიქრებთ ამას, ღამეთანხმებით. მაგალითად, ავიღოთ პური, გლუხა

რომ თესავს; მას ხომ სულ ერთიანად ესევიან პარაზიტები, როგორცაა ვთქვათ, ლამაზი ღიღილო; ისინი იმ წვენს წოვენ მიწას, ქერის მარცვალს რომ უნდა ხმარდებოდეს.

მე, ამხანაგებო, ყველა თქვენგანით აღტაცებული ვარ ამ ბუნებით. მაგრამ ჩემთვის მასზე უფრო მშობლიური ის ბუნებაა, პატრის რომ ვცემ, და — გეტყვით ამჟამად უკუგდებული სიტყვით, — ვეთაყვანები. ეს ადამიანის ხელით შექმნილა ბუნებაა. ეს ის მეორე ბუნებაა, ჩვენ, ადამიანები რომ ვქმნით დედამიწაზე პირველი ბუნების საწინააღმდეგოდ.

ამხანაგებო, მე როგორღაც ძალიან ადრე და არა წიგნების საშუალებით შევიტყვე ეს. თავის დროზე, ასე 23—24 თუ 25 წლამდე, ისეთივე შრომით ვცხოვრობდი, როგორითაც ჩემი ეპოქის, ჩემი თაობის ყველა მშრომელი ადამიანი ცხოვრობს. მე იგივე გამოვცადე, რაც თქვენ — ბრძოლა იგივე პარაზიტებთან ბუნებაში, იმავე სიცივესა და შიმშილთან. მაშინაც ვფიქრობდი, რომ სოციალურ სფეროშიც აგრეთვე არიან პარაზიტები, როგორც სხვა სფეროებში.

ეს უფრო ადრე გავიგე, ვიდრე მარქსის მოძღვრებას გავეცნობოდი. საერთოდ, ამას ადამიანი უფრო ადრე იგებს, ვიდრე მარქსის ან სხვა მსგავს წიგნებს წაიკითხავდეს. იგი მას ინტუიციით გებულობს. ასევე, ინტუიციით გავიგე მეც.

ამხანაგებო, ყოველივე ის, რასაც ადამიანი ქმნის, იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, რასაც ბუნება აკეთებს — ბუნება, რომელსაც მხოლოდ იმას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ ქვეყანაზე გაგვაჩინა; იგი ჩვენ გვაჩენს! ხოლო დანარჩენი ყველაფერი ჩვენგან მოქდინარეობს. ყველაფერი, რასაც კი ჩვენს საკეთილდღეოდ ვაკეთებთ, ყველა მატერიალური ფასეულობა, რომელიც გვეხმარება ცხოვრებაში, ყველა მანქანა, რომელიც შრომას უმსუბუქებს მუშას, — ყოველივე ამას კაცის ხელი ქმნის.

ეს ადამიანის შრომაა, ჩვენი შექმნილია, ეს ჩვენა ვართ — მეორე ბუნების შემოქმედნი.

და აი, ჩვენ, მეორე ბუნების შემქმნელნი, ახლა, როდესაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მუშათა კლასმა ხელთ აიღო ძალაუფლება, როდესაც იგი დაეპატრონა წარმოების იარაღებს, ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი გავხდით.

ახლა მუშათა კლასი, რომელმაც ასე ბევრი გამარჯვება მოიპოვა, ყოველ ეჭვს გარეშეა, აუცილებლად შეძლებს შექმნას ის იდეალური, სამართლიანი, მშვენიერი ცხოვრება, რაც დიდი ხანია დაიმსახურა და რისი უფლებაც აქვს. მან ეს დაიმსახურა უფროსი თაობის დალუპვის ფასად.

აი, ამხანაგებო, ის ფიქრები, ის განწყობილებანი, ის ძალა, რომლებიც მამხნეებდნენ; მასულდგმულებდნენ. მასულდგმულებენ და სიკვდილამდე გამამხნეებენ.

იმას მოგახსენებთ. ამხანაგებო, რომ სავსებით არაფერი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ალექსი პეშკოვი, რომელიც განსაკუთრებული მიზეზების შედეგად, მაქსიმ გორკად იქცა. ამას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი, ამხანაგებო, არის მხოლოდ ადამიანის ნებისყოფა, მიზნისაკენ მიმართული.

ადამიანისათვის მნიშვნელობა აქვს სურვილს, რომ მიადწიოს მას, რაც მიზნად დაუსახავს. ჩვენ სწორედ ეს პირობები გვაქვს მონიჭებული.

კვლავ ვიმეორებ დაყინებით, რომ რაღაც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული არ დავბადებულვარ. ამას გულწრფელად გუებნებით და რამდენიმეჯერ მითქვამს კიდევ. თქვენს წრეში არის ჩემზე გაცილებით უფრო მძიმე წარსულის მქონე ბევრი ადამიანი. იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ახლა ახალ კულტურულ ცხოვრებას აშენებენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, ასეთები ძალიან ბევრია; ისინი უკვე ათასობით, ათეული და ასეული ათასობით არიან. ეს არის ბოლშევიკთა ძველი გვარდია, ვინც მოაწყო ეს უდიდესი ამბოხება, რომლის მსგავსიც აქამდე ქვეყანას არ უნახავს. ისინი ჩემზე უარესები როდი არიან; მათ, ჩემი აზრით, დედის მუცლიდან არ დაჰყოლიათ ბუნებით მონიჭებული რაღაც განსაკუთრებული უნარი. მუშაობაში შეიძინეს იგი.

ამხანაგებო, ამ აზრის შეთვისება ფრიად მნიშვნელოვანია. ადამიანს ყველაფერი შეუძლია გააკეთოს თავისათვის, რასაც მოინდომებს. თუ იგი მართლა მოინდომებს, თუ მისი ნებისყოფა მიმართულია ამ მიზნისაკენ, მაშინ იგი შეძლებს, იგი გააკეთებს, იგი გაიმარჯვებს.

თქვენ, ამხანაგებო, სრულიად სხვა პირობები გაქვთ, ვიდრე ჩემი თაობის ადამიანებს ჰქონდათ. თქვენ დაეუფლეთ ძირითად ძალებს, თქვენ დაამსხვრიეთ პოლიტიკური და ეკონომიური მონობის მძიმე ხუნდები. თქვენ უკვე თავისუფალი ადამიანები ხართ. თქვენ აღარ გიკირთ, ამხანაგებო, და თქვენი პირდაპირი მოვალეობაა — და ეს, ამავე დროს, თქვენი უფლებაც არის — განაგრძოთ თქვენი საქმე. განაგრძეთ იგი ერთსულოვნად, გაბედულად, არ დაიქსაქსოთ, მოერიდეთ ძველ ჩვევებს — ამ უბადრუქსა და ბოროტ რამეს, რაც მძიმე ლოდან აწვება სულიერ კეთილდღეობას.

წავიდა, ამხანაგებო, ის დრო, როდესაც შეიძლებოდა ერთეულები დაპირისპირებოდნენ მასებს. დასავლეთშიც ველარ ვხედავთ

ამას, მაგრამ თუ მაინც კიდევ სადმე დარჩენილა, არსებითად, მოსკოვის გზით მიემართება.

იმსხვერვეა ძველი სამყარო და იმსხვერვეა ყველგან, ყველა დარგში. დასავლეთის ბურჟუაზიას ხელთ შერჩა მხოლოდ მუშა ძალა, ვისი ექსპლოატაციაც მას შეუძლია. თქვენ ჩინებულად იცით, რომ დასავლეთის პროლეტარიატი ისეთი არ არის, როგორც ხართ თქვენ, მაგრამ იგი მაინც თვალყურს გადევნებთ. რასაც აკეთებთ, ისიც გააკეთებს, უნდა გააკეთოს, მოვალეა გააკეთოს ისე, როგორც ისტორია უკარნახებს, ხოლო ისტორია ისეთი ძალაა, წინ რომ ვერ აღუდგები.

მე მსურს, ამხანაგებო, ამ, შესაძლოა, ტლანქი სიტყვებით გადმოგცეთ თქვენ იმ ძალის, იმ ენერჯის მცირე ნაწილი მაინც, რომელსაც თქვენ, სწორედ თქვენ, მაძლევთ ამ ორი თვის მანძილზე, რაც თქვენთან ვიმყოფები. მთელს ამ გზაზე — მოსკოვიდან ერევნამდე და უკან — მე ცეხოვრობ თქვენი ენერჯით; თქვენ უნდა იცოდეთ და უნდა გაითვალისწინოთ ეს. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ახალ ადამიანებს ქმნით; თქვენ თვითონ ხართ იმ ატმოსფეროს შემქმნელი, სიცოცხლის ნებისყოფასაც, ცხოვრების სინარულსაც, მუშაობის სურვილსაც რომ იძლევა. ეს ქმნის რაღაც საზეიმო განწყობილებას, სინამდვილედ აქცევს ჩვენს ოცნებებს. ამ დიად დღეებში თქვენ აკეთებთ დიდ საქმეს, და თქვენს მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვისაც. არარატიდან მურმანსკამდე და აღმოსავლეთიდან ლენინგრადამდე — ამ ველებზე, ამ უდიდეს სივრცეებზე — ახლა ახალი ხალხი დაიბადა. ეს ახალი ხალხი. ეს დიდი ძალა თქვენა ხართ. ყოველივე, რაც ახლა იქმნება, თქვენი შექმნილია. თქვენ ნათელი მიზანი გაქვთ. თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, თქვენ ყურს გიგდებენ, თქვენგან სწავლობენ.

თქვენ გაიმარჯვებთ და გამარჯვებისაკენ მოუწოდებთ მსოფლიოს ყველა მშრომელს.

აი, ვინა ხართ თქვენ, ამხანაგებო! აი, თქვენი მიზანი, აი, ის მშვენიერი ცხოვრება, რომელიც თქვენს წინაშეა გადაშლილი!

მსურს მოგილოცოთ, ამხანაგებო, რომ თქვენ ასეთები ხართ და მინდა ცოტაც გისაყვედუროთ იმის გამო, რომ ნაკლებად აფასებთ საკუთარ თავს.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ, ამხანაგებო, გადასინჯოთ თქვენი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, უფრო მეგობრულად იცხოვროთ, ყურადღებით ჩაუფიქრდეთ თვითეული თქვენგანის მუშაობას, უფრო მეტად აფასებდეთ მას, ყოველთვის გახსოვ-

დეთ, რომ თქვენ აკეთებთ დიად საქმეს, რაც აქამდე არავის უკეთებია. განდევნეთ თქვენი ცხოვრებიდან ყველაფერი, რაც ხელს გიშლით ახალი, ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების მშენებლობაში.

ისტორია თქვენთან არის, ამხანაგებო! ისტორია თქვენს სასარგებლოდ მოქმედებს, რადგან თქვენ მისი შემქმნელი ხართ.

აი, რა მინდოდა მეტქვა თქვენთვის, ამხანაგებო.

იყავით მხნე, იყავით ბედნიერი და ჭანმრთელი; უფრო მაგრად გწამდეთ ერთმანეთი, ვიდრე აქამდე გწამდათ!

## სიტყვა კუხმისტიკონის სახელმწიფის კლუბში გამართულ კომპაზმირელთა კრებაზე, 1928 წ.

ძვირფასო ამხანაგებო, აქ წაკითხულმა ლექსებმა დამარწმუნა, რომ თქვენს შორის დიდად ნიჭიერი ადამიანები იბადებიან. ახალი ტალანტების წინაშე დგას ამოცანა: ლიტერატურაში ასახონ გმირი — შესანიშნავი, თვით ზღაპრებშიც კი არარსებული გმირი, რომელსაც სამყაროს გარდაქმნა სურს. მე, მოხუცი, თავს ვერ ვართმევ ამ ამოცანას. ჩემი საქმეა — წესი ავუგო წარმავალ კლასს.

მაგრამ ამ გმირს გარდა კიდევ არის სხვა „გმირიც“ — მეშჩანი; იგი იქითკენ მიისწრაფვის, რომ აიშენოს ბალჩიანი სახლი, ხოლო კვირადღეობით ღვეზელები მიირთვას.

ჩვენს წინაშე დასმულია ამოცანა — ვაჩვენოთ პირველი გმირი, თავი მოეუყაროთ ერთ ადამიანში დიდი კოლექტივის ყველა ღირსებას. ეს იქნება უდიდესი ძალის ტიპი, მგონი იმაზე ძლიერიც, შექსპირი რომ ჰქმნიდა ოდესღაც. ამ საოცარი ძალის გმირი უნდა ვაჩვენოთ ახალი მეშჩანობის წინააღმდეგ ბრძოლაში: შეჯახება სამყაროს გარდაქმნის გაბედულ სურვილსა და საღდაც დიადის ნაპრაღში თავისი „ბუდის“ შექმნის უმნიშვნელო მისწრაფებას შორის. ეს იქნება სასტიკი ბრძოლა, რადგან ადამიანებს ძალა შეემატათ. ძლიერი და მოხერხებული გახდა ახალი მეშჩანიც. იგი უკვე აღარ არის ისეთი, ჩემი ჰაბუკობის დროს რომ იყო.

მაგრამ ყოველივე ამის განხატებას ლიტერატურული ტექნიკა და კულტურა ესაჭიროება. ეს კი უნდა შევიძინოთ. მაგალითად, აქ წაითხნეს ერთი ლექსი — „შრომა“. მასში არის ასეთი გამოთქმა:

„მიწა გავარვარდა, ვით დახშული ვეზუვი“.

რატომ არის ვეზუვი დახშული? მე მის პირდაპირ ვცხოვრობ და ვიცი, რომ იგი სანახევროდ ვენახებით არის დაფარული, ირგვლივ სოფლებია... ვეზუვი სრულებით არ არის დახშული.

ან: შით უფრო გიჟია ხელი“. ადამიანის ხელი გიჟი არ არის.  
ან კიდეც: „... ხვატი ფართხალით მოედინებოდა...“ ქათამი ფართხალებს და არა ხვატი.

ასევე არ შეიძლება ვთქვათ: „ჯიუტური უღონობით“. თუ არის სიჯიუტე, იგი უღონო ვერ იქნება. ეს არ ვარგა.

წერისათვის ენის ცოდნაა საჭირო. და არა მარტო უნდა იცოდე, არამედ ახალ სიტყვებსაც უნდა ჰქმნიდე, რადგანაც ჩვენში ახალი ცნებები გაჩნდა. მე მხარს ვუჭერ სწავლას! საჭიროა სწავლა და სწავლა! როგორც ხაზატი სწავლობს რკინის გაჩარხვას, თქვენც ისე უნდა ისწავლოთ საკუთარი გამოცდილების გაჩარხვა. ისე უნდა წეროთ, რომ სახე ხელშესახები იყოს ფიზიკურად. მე ღრმად მწამს, რომ თქვენ შეგიძლიათ და დაწეროთ კიდეც კარგ ნაწარმოებებს.

## როგორ ვსწავლობდი წერას

ამხანაგებო!

ყველა ქალაქში, სადაც კი თქვენთან საუბრის საშუალება მქონდა. ბევრი თქვენგანი მეკითხებოდა სიტყვიერად თუ წერილობით: როგორ ვისწავლე წერა? ამასვე მეკითხებოდნენ წერილებით სსრკავშირის ყველა კუთხიდან მუშსოფლკორები, სამხკორები და, საერთოდ, დამწყები ახალგაზრდა ლიტერატორები. ბევრი მთხოვდა, დამეწერა წიგნი იმაზე, „თუ როგორ უნდა შეთხზა მხატვრული მოთხრობები“; მთხოვდნენ დამეწერა „ლიტერატურის თეორია“, გამომეცა „ლიტერატურის სახელმძღვანელო“. ასეთი სახელმძღვანელოს შექმნა მე არ შემიძლია, თანაც ასეთი სახელმძღვანელოები — თუმცა არცთუ ისე ძალიან კარგი, მაგრამ მაინც სასარგებლო — უკვე არის.

დამწყები მწერლებისათვის აუცილებელია ლიტერატურის ისტორიის ცოდნა, ამ მხრივ სასარგებლოა ვ. კელტუილას წიგნი „ლიტერატურის ისტორია“, გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ; მასში კარგად არის ნაჩვენები ზეპირი — „ხალხური“ და დამწერლობითი — „ლიტერატურული“ შემოქმედების განვითარების პროცესი. ყოველ საქმეს თავისი ისტორია აქვს და საჭიროა ეს ისტორია ვიცოდეთ. წარმოების ყველა დარგის, უფრო მეტი — თვითუფილი ფაბრიკის მუშებმა რომ იცოდნენ, თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი მათ ფაბრიკას, როგორ თანდათანობით ვითარდებოდა, როგორ აღმჯობესებდა წარმოებას, — მუშები უკეთ იმუშავებდნენ, ვიდრე მუშაობენ, იმუშავენდნენ მათი შრომის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობის უფრო ღრვა შეგნებით, მეტი გართაცებით.

ასევე საჭიროა საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის ცოდნა, რადგან ლიტერატურული შემოქმედება, არსებითად, ყველა ქვეყანას, ყველა ხალხს ერთნაირი აქვს. აქ საქმე მარტო ფორმალური, გარეგნული კავშირი როდია. საქმე ის კი არ არის, რომ პუშკინმა მისცა გოგოლს „მკვდარი სულების“ თემა, ხოლო თვითონ პუშ-



კინმა ეს თემა ალბათ აიღო ინგლისელი მწერლის სტერნისაგან, წიგნიდან „სენტიმენტალური მოგზაურობა“; მნიშვნელობა არა აქვს „მკვდარი სულების“ თემატურ ნათესაობასაც დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებთან“; საქმე ის არის — დავრწმუნდეთ, რომ ოდითგანვე ყველგან იქსოვებოდა და იქსოვება ბადე „ადამიანის სულის დასაქვრად“, რომ ყოველთვის, ყველგან იყვნენ, ყველგან არიან ადამიანები, რომლებიც თავისი მუშაობის ამოცანად ისახედნენ და ისახევენ ადამიანის განთავისუფლებას ცრურწმენებისაგან; ცრუ შეხედულებათა და წინასწარ შეგონებათაგან. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყველგან სურდათ და სურთ ადამიანის დამშვიდება მისთვის სასიამოვნო მცირე რაიმეთი და ყველგან, ყოველთვის იყვნენ და არიან მემამბოხენი, რომლებიც ისწრაფოდნენ და ისწრაფვიან აუჩანყდნენ ბინძურ და საზიზღარ სინამდვილეს. და ფრიად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ეს მემამბოხენი უჩვენებენ ადამიანებს მომავლის გზას, ეწევიან მათ ამ გზისაკენ და ბოლოს და ბოლოს მაინც სძლევენ კლასობრივი სახელმწიფოს, ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ შექმნილი სინამდვილის სისაძაგლესთან შეგუების მქადაგებლთ. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ სიხარბის, შურის, სიზანტის, შრომის სიძულვილს უსაზიზღრესი სენით დაასწებულა და ასწებოვნებს მშრომელ ზალხს.

ადამიანის შრომისა და შემოქმედების ისტორია გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ადამიანის ისტორიაზე, — ადამიანი ისე კვდება, რომ ას წელსაც ვერ აღწევს, ხოლო მისი საქმეები საუკუნეობით ცოცხლობენ. მეცნიერების ზღაპრული მიღწევები, მისი სწრაფი ზრდა სწორედ იმით აიხსნება, რომ მეცნიერმა იცის თავისი სპეციალობის განვითარების ისტორია. მეცნიერებასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის ბევრი რამ არის საერთო; ერთშიც და მეორეშიც ძირითად როლს ასრულებს დაკვირვება, შედარება; შესწავლა; მხატვარს, ისევე როგორც მეცნიერს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარმოსახვის და მიხვედრილობის — „ინტუიციის“ უნარი.

წარმოსახვა. ვარაუდი ავსებს უკმარ, ჯერ კიდევ მოუნახავ რგოლებს ფაქტების ჩაქვეში და საშუალებას აძლევს მეცნიერს, შექმნას „ჰიპოთეზები“ და თეორიები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად შეუმცდარად და წარმატებით მიმართავენ გონების ძიებას. გონება კი სწავლობს ბუნების ძალებსა და მოვლენებს და ადამიანის აზრისა და ნებისადმი მათი თანდათანობითი დამორჩილება ჰქმნის კულტურას, რომელიც არის ჩვენი ნებისყოფით, ჩვენი გონებით შექმნილი ჩვენი „მეორე ბუნება“.

ამას ყველაზე უკეთ ადასტურებს ორი ფაქტი: სახელმწიფოებრივმა ქიმიკოსმა დიმიტრი მენდელეევმა ყველასათვის ცნობილი ელემენტების — რკინის, ტყვიის, გოგირდის, ვერცხლისწყლის და ა. შ. — შესწავლის საფუძველზე შექმნა „ელემენტთა პერიოდული სისტემა“. იგი ამტკიცებდა, რომ ბუნებაში უნდა არსებობდეს ჯერ კიდევ აღმოუჩენელი, მიუგნებელი ბევრი სხვა ელემენტი; მენდელეევმა მიუთითა ჯერ კიდევ უცნობი თვითნებური ამ ელემენტის ნიშანზეც — ხვედრითს წონაზე. ახლა ყველა ისინი აღმოჩენილია და, მათ გარდა, მენდელეევის მეთოდით ნაპოვნია კიდევ ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელთა არსებობას თვითონ არც ვარაუდობდა.

მეორე ფაქტი: ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი, ფრანგი რომანისტი ჰონორე ბალზაკი აკვირდებოდა ადამიანთა ფსიქოლოგიას და ერთ-ერთ რომანში მიაუთითა, რომ ადამიანის ორგანიზმში ალბათ რომელიღაც ძლიერი, მეცნიერებისათვის უცნობი სხვადასხვა წვენი მოქმედებს და ორგანიზმის სხვადასხვაგვარი ფსიქოფიზიკური თვისებანი ამით აიხსნება. გავიდა რამდენიმე ათეული წელი, მეცნიერებამ ადამიანის ორგანიზმში მართლაც აღმოაჩინა წინათ უცნობი რამდენიმე ჯირკვალი, რომლებიც ამ წვენებზე — „ჰორმონებს“ — გამოიკეთებებიან, და შექმნა მეტად მნიშვნელოვანი მოძღვრება „შინაგან სეკრეციაზე“. ასეთი თანადამთხვევანი მეცნიერთა და დიდ ლიტერატორთა შემოქმედებითს მუშაობაში ცოტა როდია. ლომონოსოვი, გოეთე ერთსა და იმავე დროს იყვნენ პოეტებიცა და მეცნიერებიც, ისევე როგორც რომანისტი სტრინდბერგი, ვინც პირველად თავის რომანში „კაპიტანი კოლი“ ივარაუდა ჰაერის აზოტის მიღების შესაძლებლობა.

სიტყვიერების ხელოვნება, ხასიათებისა და „ტიპების“ შექმნის ხელოვნება მოითხოვს წარმოსახვას, ვარაუდებს, „გამოგონებას“. ლიტერატორმა თუ თავისი ნაცნობი ერთი მედუქნე, ჩინოვნიკი, მუშა აღწერა, მოგვცემს სწორედ ერთი კაცის ცოტად თუ ბევრად კარგ ფოტოგრაფიულ სურათს. მაგრამ ეს იქნება სოციალურ-აღმზრდელობით მნიშვნელობას მოკლებული, მხოლოდ ფოტოგრაფიული სურათი და თითქმის არაფრით არ გააფართოვებს და გააღრმავებს ადამიანის ცოდნას ცხოვრებაზე.

მაგრამ თუ მწერალი შეძლებს ოცი-ორმოცდაათი, ასი მედუქნისაგან, ჩინოვნიკისაგან, მუშისაგან გამოარჩიოს უფრო დამახასიათებელი კლასობრივი ნიშნები, ჩვევები, გემოვნება, ყესტი, რწმენა, საუბრის კილო და ა. შ., — გამოარჩიოს და შერწყმას ისინი ერთი მედუქნის, ჩინოვნიკის, მუშის სახეში, ამ ხერხით მწერალი შექმნის „ტიპს“, — ეს ხელოვნება იქნება. დაკვირვებათა სისრულე, ცხოვ-

რების გამოცდილების სიმდიდრე ხშირად აძლევს მხატვარს ძალას, დასძლიოს პირადი დამოკიდებულება ფაქტებისადმი, თავისი სუბიექტივიზმი. ბალზაკი სუბიექტურად ბურჟუაზიული წყობილების მომხრე იყო, მაგრამ თავის რომანებში მან გასაოცარი, დაუნდობელი სიცხადით გამოხატა მეშჩანოვის უხამსობა და სისაძაგლე. არის იმის მაგალითიც, როცა მხატვარი არის თავისი კლასის, თავისი ეპოქის ობიექტური ისტორიკოსი. ამ შემთხვევებში მხატვრის მუშაობას იმ მეცნიერ-ბუნებისმეტყველის მუშაობის თანაბარუფასოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც სწავლობს ცხოველთა არსებობისა და კვების პირობებს, გამრავლებისა და გადაშენების მიზეზებს, გამოხატავს სიცოცხლისათვის მათი გააფთრებული ბრძოლის სურათებს.

თავდაცვის ინსტინქტმა სიცოცხლისათვის ბრძოლაში ადამიანს განუვითარა ორი ძლიერი შემოქმედებითი ძალა: შემეცნება და წარმოსახვა. შემეცნება — ეს არის უნარი იმისა, რომ დააკვირდე; შეადარო, შეისწავლო ბუნების მოვლენები და სოციალური ცნობების ფაქტები, მოკლედ რომ ვთქვათ: შემეცნება აზროვნებაა. წარმოსახვაც ასევე, არსებითად, არის აზროვნება სამყაროზე, მაგრამ აზროვნება უმეტესად სახეებით, „მხატვრული“; შეიძლება ვთქვათ, რომ წარმოსახვა უნარი არის იმისა, რომ მივცეთ ბუნების სტიქიურ მოვლენებსა და საგნებს ადამიანური თვისებანი, შეგრძნება, განზრახვანიც კი.

ჩვენ ვკითხულობთ და გვესმის: „ქარი ტირის“, „კენესის“, „ჩაფიქრებული ანათებს მთვარე“, „მდინარე ბუტბუტებდა ძველ ბილინებს“, „ტყე მოიღუშა“, „ტალღას სურდა ლოდის დაძვრა, ლოდი იკმუხნებოდა ტალღის დარტყმებისაგან, მაგრამ არ ნებღებოდა“, „სკამმა დაიყიყინა მამალი იხვივით“, „წაღებს არ სურდა ფესს წამოცმოდა“, „შუშებს ოფლმა დაასხა“, — თუმცა შეშას საოფლე ჯირკვლები არა აქვს.

ყველივე ეს როგორღაც უფრო გასაგებს ხდის ბუნების მოვლენებს ჩვენთვის და „ანთროპომორფიზმი“ ეწოდება ბერძნული სიტყვების მიხედვით: ანთროპოს—ადამიანი და მორფე—ფორმა, სახე. აქ ჩვენ ვაჩვენებთ. რომ ადამიანი ყველაფერს, რასაც ხედავს, თავის ადამიანურ თვისებებს მიაწერს, — წარმოსახავს, შეაქვს ისინი ყველგან — ბუნების ყველა მოვლენაში, მისი შრომით, მისი გონებით შექმნილ ყველა საგანში. არიან ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ანთროპომორფიზმი უადგილო და მავნეც კი არის სატყვიერების ხელოვნებაში. მაგრამ ეს ადამიანები თვითონვე ამბობენ: „ყინვა ყურებს სწვავდა“, „მზე იღიმებოდა“, „მოვიდა მისი“. მათ არ შეუძლიათ არ თქვან: „წვიმა მოდის“, თუმცა წვიმას ფეხები

არა აქვს; „საძაგელი ამინდია“, თუმცა ბუნების მოვლენები არ ექვემდებარება ჩვენს მორალურ შეფასებებს.

ერთ-ერთი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი — ქსენოფანე ამტკიცებდა: ცხოველებს რომ წარმოსახვის უნარი ჰქონდეთ, ლომები ღმერთს წარმოიდგენდნენ ვეებერთელა და უძლეველ ლომად. ვირთხები — ვირთხად და ა. შ. ალბათ კოლოს ღმერთი კოლო იქნებოდა, ხოლო ტუბერკულოზის ბაცილისა — ბაცილა. ადამიანმა წარმოიდგინა თავისი ღმერთი ყოვლისმცოდნედ, ყოვლისმძლედ, ყოვლისშემოქმედად, ესე იგი, აღჭურვა იგი თავისი საუკეთესო მისწრაფებებით. ღმერთი მხოლოდ ადამიანის „გამოგონებაა“. იგი შედგება „ილაჯის გამწყვეტი ლატაკური ცხოვრებისა“. და ადამიანის მოუსვენარი მისწრაფებებისა — უფრო მდიდარი, იოლი, სამართლიანი, ლამაზი გახადოს ცხოვრება. ღმერთი ადამიანებმა ცხოვრების მალა დააყენეს იმიტომ, რომ ადამიანების საუკეთესო თვისებებსა და სურვილებს, რომლებიც მათი შრომის პროცესში იბადებოდა, ადგილი არ ჰქონდა სინამდვილეში, სადაც ლუკმაპურისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული.

ჩვენ ვხედავთ, რომ, როდესაც მუშათა კლასის მოწინავე ადამიანებმა შეიგნეს, როგორ უნდა გარდაიქმნას ცხოვრება, მათი საუკეთესო სურვილები თავისუფლად განვითარდნენ — ღმერთი ზედმეტი გახდა. გაქრა იმის საჭიროება, რომ ღმერთის სამოსელში გაეხეიათ ის, რაც მათთვის სასურველი იყო, რადგან გაიგეს, თუ რა გზით შეიძლება ამ სასურველის, კარგის დამკვიდრება ამქვეყნად.

ღმერთი შექმნილია ისევე, როგორც იქმნება ლიტერატურული „ტიპები“, აბსტრაქციისა და კონკრეტიზაციის კანონებით. „აბსტრაგირებულაა“ — გამოყოფილია ბევრი გმირის დამახასიათებელი სიმამაცე; შემდეგ ეს ნიშნები „კონკრეტდება“ — განზოგადდება ერთი გმირის სახით, ვთქვათ — ჰერკულესის ან რიაზანელი მუჟიკის ილია მურომელის სახით; გამოიყოფა თვითეული ვაჟკრის, აზნაურის, მუჟიკის ყველაზე უფრო ბუნებრივი ნიშნები და ხდება მათი განზოგადება ერთი ვაჟკრის, აზნაურის, მუჟიკის სახეში; ამგვარად ვლერბულობთ „ლიტერატურულ ტიპს“. ასე არიან შექმნილნი ფაუსტის ჰამლეტის, დონ-კიხოტის ტიპები; ასევე დახატა ლევ ტოლსტოიმ ღვთისმორჩილი პლატონ კარატაევი, დოსტოევსკიმ — სხვადასხვა კარამაზოვები და სვიდრიგაილოვები, გონჩაროვმა ობლომოვი და ა. შ.

ასეთი ადამიანები ცხოვრებაში არ ყოფილან; იყვნენ და არიან მათი მსგავსნი, უფრო პატარა, უფრო ნაკლებფასოვანნი; და აი, მათგან, პატარებდაგან, როგორც კოშკებს და სამრეკლოებს აგებენ

ზოლმე აგურებისაგან, სიტყვის მხატვრებმა მოიფიქრეს, „გამოიგონეს“ ადამიანთა განმანათლებელი „ტიპები“ — ზოგადი ტიპები. ყოველი ჯურის მატყუარას ჩვენ უკვე ვუწოდებთ ხლესტაკოს, მლიქვნელს — მოლჩალინს, ფარისეველს — ტარტიუფს, ექვიანს — ოტელოს და ა. შ.

ლიტერატურაში ორი ძირითადი „მიმდინარეობა“ ან მიმართულება არსებობს: რომანტიზმი და რეალიზმი. რეალიზმი ეწოდება ადამიანებისა და მათი ცხოვრების პირობების მართალ, შეულამაზებელ გამოხატვას. რომანტიზმს რამდენიმენაირად განსაზღვრავენ, მაგრამ ზუსტი, სავსებით ამომწურავი განსაზღვრება, რომელსაც დაეთანხმებოდა ლიტერატურის ყველა ისტორიკოსი, ჯერ კიდევ არ არსებობს, არ არის გამომუშავებული. რომანტიზმში აუცილებელია განევასტავოთ ასევე ორი, მკვეთრად გამორჩეული მიმართულება: პასიური რომანტიზმი, — იგი ცდილობს ან შეარივოს ადამიანი სინამდვილეს, რომელსაც აღაშაზებს, ან მოსწყვიტოს ამ სინამდვილეს, ჩაეცტოს მხოლოდ მის შინა სამყაროში, გამსკვალოს ფიქრით „ცხოვრების საბედისწერო გამოცანებზე“, სიყვარულზე, სიკვდილზე, — იმ გამოცანებზე, „გონების კვრეტი“ რომ არ ამოიხსნება. მათი ამოხსნა შეიძლება მხოლოდ მეცნიერების საშუალებით. აქტიური რომანტიზმი ისწრაფვის გააძლიეროს ადამიანის წყურვილი სიცოცხლისადმი, გააღვიძოს მასში შეამბოხე სული სინამდვილეში არსებული ყოველგვარი ჩავკრის წინააღმდეგ.

მაგრამ ძნელია საკმაო სიზუსტით ვთქვათ, თუ ვინ არიან ისეთი კლასიკოსი მწერლები, როგორცაა ბალზაკი, ტურგენევი, ტოლსტოი, გოგოლი, ლესკოვი, ჩეხოვი — რომანტიკოსები თუ რეალისტები? დიდი მწერლების შემოქმედებაში რეალიზმი და რომანტიზმი ყოველთვის თითქოს შეერთებულია. ბალზაკი რეალისტია, მაგრამ, მან დაწერა ისეთი რომანებიც, როგორცაა რეალიზმს ძალიან დაშორებული ნაწარმოები „შაგრენის ტყავი“. ტურგენევიც ასევე წერდა რომანტიკული სულისკვეთების ნაწარმოებებს, ისევე როგორც ყველა სხვა ჩვენი მწერალი, გოგოლიდან მოყოლებული ჩეხოვითა და ბუნინით დამთავრებული. რომანტიზმისა და რეალიზმის ეს შერწყმა განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩვენი დიდი ლიტერატურისათვის; სწორედ იგი აძლევს მას იმ ორიგინალობას, იმ ძალას, სულ უფრო აშკარა და ღრმა გავლენას რომ ახდენს მთელი მსოფლიოს ლიტერატურაზე.

რეალიზმისა და რომანტიზმის ურთიერთობა უფრო ნათელი გახდება თქვენთვის, ამხანაგებო, თუ ყურადღებას მიაქცევთ კითხვას: „რატომ გებადება წერის სურვილი?“ ამ კითხვას ორი პა-

სუბი აქვს. ერთ მათგანს იძლევა ჩემი კორესპონდენტი, მუშის შვილი, თხუთმეტი წლის გოგონა. იგი თავის წერილში ამბობს:

15 წლისა ვარ, მაგრამ ასე ახალგაზრდას აღმომაჩნდა მწერლის ნიჭი, რომლის მიზეზია ილაჩის გამწყვეტი ლატაკური ცხოვრება.

რასაკვირველია, უფრო ზუსტი იქნებოდა, „მწერლის ნიჭის“ ნაგერად ეთქვა, სურვილი დამებადა ჩემი „გამონაგონით“ გავამშენიერო, გავამდიდრო „ილაჩის გამწყვეტი ლატაკური ცხოვრება“. იბადება კითხვა: რაზე შეიძლება წერა „ლატაკური ცხოვრების“ პირობებში?

ამ კითხვაზე უპასუხებენ ვოლგისპირეთის, ურალისპირეთის, ციმბირის ეროვნებები. ბევრ მათგანს ჯერ კიდევ გუშინ დამწერლობა არ ჰქონდა, მაგრამ ათეულობით საუკუნის წინ ისინი თავიანთ „ილაჩის გამწყვეტ ლატაკურ ცხოვრებას“ უღრან ტყეებში, ჰაობებში, აღმოსავლეთის უდაბნო სტეპებსა და ჩრდილოეთის ტუნდრებში ამდიდრებდნენ და ალამაზებდნენ გმირებზე შეთხზული სიმღერებით, ზღაპრებით, ლეგენდებით. ღმერთებზე გამოგონილი აპებებით; ამ გამონაგონებს „რელიგიური შემოქმედება“ ეწოდება, მაგრამ თავისი არსით ისინიც ასევე მხატვრული შემოქმედებაა.

ჩემს თხუთმეტი წლის კორესპონდენტს მართლაც რომ გამოაჩნდეს ნიჭი, — რასაც, რასაკვირველია, მთელი სულითა და გულით, ვუაჟურებ მას, — იგი ალბათ დაიწყებდა ეგრეთ წოდებული „რიტანტიკული“ ნაწარმოებების წერას, შეეცდებოდა „ილაჩის გამწყვეტი ლატაკური ცხოვრების“ გამდიდრებას ლამაზი გამონაგონით, დახატავდა ადამიანებს იმაზე უკეთ, ვიდრე ისინი არიან. გოგოლმა დაწერა „როგორ წაეჩხუბა ივან ივანოვიჩი ივან ნიკიტოროვიჩს“, „ბეელი დროის მემამულენი“, „მკვდარი სულები“; მანვე დაწერა „ტარას ბულბაც“. პირველ სამ ნაწარმოებში მან გამოხატა „მკვდარი სულის“ ადამიანები და ეს შემზარავი სიმართლეა; ასეთი ადამიანები ცხოვრობდნენ და აქამდე ცხოვრობენ; მათ გოგოლი ხატავდა, როგორც „რეალისტი“.

მოთხრობა „ტარას ბულბაში“ ზაპოროჟიელნი მან გამოიყვანა ლეთისმოყვარულ რაინდებად და ძალოვან ადამიანებად, ისინი შუბებზე აგებენ ხოლმე მტერს, თუმცა შუბის ტარი ვერ გაუძლებს ზეთ ფეთ სიმძიმეს. გადატყდება. საერთოდ, ასეთი ზაპოროჟიელნი არ ყოფილან, და გოგოლის მოთხრობა მათზე — ლამაზი გამონაგონია. აქ ისევე, როგორც „რუდი პანკოს“ ყველა მოთხრობაში და ბევრ სხვაშიც, გოგოლი რომანტიკოსია და ალბათ იმიტომ არის რომანტიკოსი, რომ მოიქანცა „მკვდარი სულების“ „ილაჩის გამწყვეტი ლატაკური ცხოვრების“ ცქერით.

ამხანაგმა ბუდიონმა გაკილა ბაბელის „ცხენოსანი არმია“: — ვფიქრობ, უმართებულოდ: თვითონ ამხანაგ ბუდიონს უყვარს გარეგნულად არა მარტო თავისი მებრძოლების, არამედ ცხენების გალამაზება. ბაბელმა გაალამაზა მისი მებრძოლები შინაგანად და, ჩემი აზრით, უკეთ, უფრო მართლად, ვიდრე გოგოლმა ზაპოროჟიელნი.

აღამიანი ბევრის მხრივ ჭერ კიდევ მხეცია, მაგრამ ამასთანავე კულტურულად ჭერ ისევ მოზარდია, და შელამაზება, შექება—დიდად სასარგებლოა: უძლიერდება საკუთარი თავის პატივისცემა, თავისი შემოქმედებითი ძალებისადმი ნდობა. ამასთანავე, აღამიანი საქებიცაა, — ყოველივე კარგი, საზოგადოებისათვის ძვირფასი აღამიანის ძალით, აღამიანის ნებით იქმნება.

ნიშნავს თუ არა, რომ ყოველივე ამით მე ვამტკიცებ რომანტიზმის აუცილებლობას ლიტერატურაში? დიას. მაგრამ იმ პირობით, თუ „რომანტიზმს“ არსებობად შევავსებთ.

ჩემი მეორე კორესპონდენტი, ჩვიდმეტი წლის მუშა, მომმართავს: „ისე ბევრი შთაბეჭდილება მაქვს, არ ვწერო, არ შემიძლია“.

ამ შემთხვევაში წერის სურვილი აიხსნება უკვე არა ცხოვრების „სილატაკით“, არამედ მისი სიმდიდრით, უამრავი შთაბეჭდილებით, იმის შინაგანი კარნახით, რომ დაწერო მათზე. ჩემი ახალგაზრდა კორესპონდენტების დიდ უმრავლესობას სურს წეროს სწორედ იმიტომ, რომ ისინი აღსაქსენი არიან ყოფიერების შთაბეჭდილებებით. „არ ძალუძთ დუმილი“ იმაზე, რაც ნახეს, განიცადა. მათგან ალბათ ბევრი „რეალისტი“ გამოვა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათ რეალიზმში იქნება ზოგიერთი ნიშანი რომანტიზმისა, რომელიც გარდუვალი და კანონიერია ჭანსალი სულიერი აღმავლობის ეპოქაში, ხოლო ჩვენ სწორედ ასეთ აღმავლობას განვიცდით.

მაშ ასე, ვუპასუხებ კითხვას: რატომ დავიწყე წერა?: ჩემი „ილაქის გამწყვეტი ლატაკური ცხოვრების“ გამო და იმიტომ, რომ მქონდა ისეთი ბევრი შთაბეჭდილებანი — „არ შემეძლო“, არ მეწერა. პირველმა მიზეზმა მაიძულა მეცადა „ლატაკურ“ ცხოვრებაში ისეთი გამონაგონის, „შენათხზის“ შეტანა, როგორცაა „შეგარდენისა და ანკარას ზღაპარი“, „ანთებული გულის ლეგენდა“, „ქარიშხალა“, ხოლო მეორე მიზეზის გამო დავიწყე „რეალისტური“ ხასიათის მოთხრობების წერა — „ოცდაექვსი მამაკაცი და ერთი ქალი“, „ცოლ-ქმარი ორლოვები“, „თავზე ხელაღებული“.

ჩვენი „რომანტიზმის“ თაობაზე საჭიროა ვიცოდეთ კიდევ შემდეგი. ჩეხოვამდე (მოთხრობები—„მუყიეები“, „ხრამში“) და ბუნიინამდე („სოფელი“, მისი ყველა მოთხრობა გლეხებზე) ჩვენს თა-

ვადანაურულ ლიტერატურას უყვარდა და ჩინებულად იცოდა გლეხის გამოსახვა რაღაც ზემიწიერ „ქრისტეს სიმართლისადმი“ შეყვარებულ მორჩილ, მომთქენ ადამიანად. ეს სიმართლე სინამდვილეში არ არსებობს, მაგრამ მასზე მთელი სიცოცხლე ოცნებობენ ტურგენევის მოთხრობის „ხორი და კალინიჩის“ გმირის — კალინიჩისა და ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ გმირის — პლატონ კარატაევის მსგავსი მუყიეები. ასეთ მორჩილ და ამტან, „ღვთის სიმართლეზე“ მეოცნებე ადამიანებად დაიწყეს გლეხის გამოხატვა ბატონყმობის გაუქმებადღე ოცი წლით ადრე, თუმცა იმ დროს ბატონყმური სოფელი უკვე უხვად გამოჰყოფდა თავისი გაუნათლებელი წრიდან მრეწველობის ნიჭიერ ორგანიზატორებს: კოკორევებს, გუბიონინებს, მოროზოვებს, კოლჩინებს. ეურავლიოვება და ა. წ. ამ პროცესთან ერთად ეურნალისტიკაში სულ უფრო ხშირად მოიხსენიებოდა მუყიეებიდან გამოსულის — პოეტისა და ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის — ლომონოსოვის უზარმაზარი, ლეგენდარული ფიგურა.

ჭერ კიდევ გუშინ უუფლებონი — მეფაბრიკეები, გემთმშენებლები, ვაჭრები — გაბედულად იჭერდნენ ცხოვრებაში ადგილს თავადანაურობის გვერდით და, ძველრომაულ „გააზატებულ“ მონათა მსგავსად, ერთ მადიდას უსხდებოდნენ თავიანთ მბრძანებლებთან ერთად. გლეხთა მასა, ასეთ ადამიანებს რომ წამოსწევდა, თითქოს ამით ნათელჰყოფდა მასში, მასაში ჩამალულ ძალასა და ტალანტს. მაგრამ თავადანაურული ლიტერატურა თითქოს არ ხედავდა, არ გრძნობდა ამას; ეპოქის გმირად არ ხატავდა ნებისყოფიან, ცხოვრებას დახარბებულ, ყველაზე უფრო რეალურ ადამიანს — მშენებელს, მომწვექს, „მეპატრონეს“. იგი კვლავ სიყვარულით ხატავდა მორჩილ მონას, სინდისიერ პოლიკუშკას. 1852 წელს ლევ ტოლსტოი წერს ძლიერ ნაღვლიან ნარკვევს „მემამულის დილას“, რომელშიც შესანიშნავად აჩვენებს, თუ როგორ არ უჭერებენ მონები გულკეთილ, ღიბერალ ბატონს. 1862 წლიდან ტოლსტოი იწყებს გლეხთა შვილების აღზრდას, უარყოფს „პროგრესსა“ და მეცნიერებას და ირწმუნება: ისწავლეთ კარგად ცხოვრება მუყიკისაგანო. სამოცდაათიანი წლებიდან კი წერს მოთხრობებს „ხალხისათვის“. რომლებშიც ხატავს ქრისტესმოყვარულ, რომანტიზებულ მუყიეებს. ქადაგებს, რომ ყველაზე უფრო ალაღმართალი და ნეტარი ცხოვრება სოფელშია, ყველაზე უფრო წმინდა შრომა მუყიკური შრომაა „ამ ქვეყანაზე“. ღოლო შემდეგ მოთხრობაში — „განა ბევრი მიწა სჭირდება ადამიანს“, იგი ამბობს, რომ ადამიანს სჭირდება მხოლოდ სამი არშინი მიწა საფლაუისათვის.



მორჩილ ქრისტესმოყვარულთაგან ცხოვრება უკვე ქმნიდა ეკონომიური ცხოვრების ახალი ფორმების მშენებლებს, ნიჭიერ მსხვილ და პატარა „ბურჟუებს“ — სალტიკოვ-შჩედრინისა და გლებ უსპენსკის მიერ დახატულ მტაცებელ რაზუვაევებსა და კოლუპაევებს და მტაცებელთა გვერდით — შეამბოხეთაც, რევოლუციონერებს, მაგრამ ყველა ამ გმირს ვერ ამჩნევდა თავადაზნაურული ლიტერატურა. გონჩაროვმა „ობლომოვში“ — ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო რომანში — კჟუანაკლებობამდე გაზარმაცებულ რუს ბატონს დაუპირისპირა გერმანელი და არა ერთ-ერთი „ყოფილი“ რუსი მუჟიკი. გონჩაროვი მათ შორის ცხოვრობდა და ისინი უკვე იწყებდნენ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გამგებლობას. თუ თავად-აზნაური მწერლები ხატავდნენ რევოლუციონერს, იგი იყო ან უცხოელი — ბულგარელი ან მხოლოდ სიტყვით შეამბოხე — რუდინი. ნებისყოფიანი, აქტიური რუსი ადამიანი, როგორც ეპოქის გმირი, ლიტერატურას განზე რჩებოდა, ლიტერატორთა საღდაც „თვალთახედვის საზღვრებს მიღმა“ იღვავ, თუმცა იგი საკმაოდ ხმა-მალლა — ბომბებით — იუწყებოდა თავის მოსვლას. შეიძლება მოვიყვანოთ იმის ბევრი საბუთი, რომ აქტიური, სიცოცხლისაყენ, მოქმედებისაკენ მომწოდებელი რომანტიზმი უცხო იყო რუსული თავადაზნაურული ლიტერატურისათვის. შილერი მან ვერ შექმნა და „ყაჩაღების“ ნაცვლად ჩინებულად ხატავდა „მკვდარ სულებს“, „ცოცხალ ლემს“, „მკვდარ სახლებს“, „ძვალტყავად ქცეულ ადამიანებს“, „სამ სიკვდილს“ და კიდევ უამრავ სიკვდილს. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ აგრეთვე დაწერილია თითქოს შილერის „ყაჩაღების“ საპირისპიროდ, ხოლო მისი „ქაჯები“ — ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე ბოროტი ცდაა სამოცდაათიანი წლებსა რევოლუციური მოძრაობის სახელის გასატეხად.

რაზნოჩინელ — ინტელიგენტთა ლიტერატურისთვისაც ასევე უცხო იყო აქტიური სოციალურ-რევოლუციური რომანტიზმი. რაზნოჩინელი ძალიან მოუცლელი იყო თავისი პირადი ბედის, ცხოვრების დრამაში თავისი როლის ძიებით. რაზნოჩინელი „ორ ცეცხლს შუა“ იმყოფებოდა: ერთი მხრივ თვითმპყრობელობა იყო, მეორე მხრივ — „ხალხი“.

სლევკოვის „ძნელი დრო“ და ოსიპოვიჩ-ნოვოღვორსკის „ჩანაწერები“ — ეს ძალიან მართალი და ძლიერი ნაწარმოებები — ასახვენ ჰკვიანი ადამიანების ტრაგიკულ მდგომარეობას. ამ ადამიანებს მტკიცე დასაყრდენი არა აქვთ ცხოვრებაში, ან სვებედნიერ ზემოხანებად იქცევიან, როგორც ამაზე მოგვითხრო კუშჩევსკიმ და ზესანინსკის ნაწარმოებში. ჰკვიანმა, სათანადოდ დაუცხასებელმა პო-

მილოვსკიმ თავის მოთხრობებში — „მოლოტოვი“ და „მეშჩანურო ბედნიერება“. სხვათა შორის, მისი ორივე მოთხრობა ძალიან თანადროული და სასარგებლოა ჩვენი დღეებისათვის, როდესაც გამოცოცხლებული მეშჩანი საკმაოდ წარმატებით იწყებს საკუთარი იაფფასიანი კეთილდღეობის შექმნას იმ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასმა თავისი სისხლის ნიაღვრებით მოიპოვა სოციალისტური კულტურის შენების უფლება.

ეგრეთ წოდებული ნაროდნიკი-მწერლები — ზლატოვრატსკი, ზასოდისკი, ვოლოდინი, ლევიტოვი, ნეფედოვი, ბაჟინი, ნიკოლოზ უსპენსკი, ერტელი, ნაწილობრივ სტანიუკოვიჩი, კარონინ-პეტროპავლოვსკი და ბევრი სხვა — მონდომებით და თავადაზნაურული ლიტერატურის ტონით აცხადებდნენ სოფლის, გლეხის იდეალიზაციას; გლეხი მათ წარმოედგინათ თავისი ბუნებით სოციალისტად, რომელმაც სხვა სიმართლე არ იცოდა, გარდა „თემის“ — კოლექტივის სიმართლისა. პირველი, ვინც დანერგა ასეთი შეხედულება გლეხობაზე, იყო მეტისმეტად ნიჭიერი ბატონი ა. ი. გერცენი. მისი ქადაგება გააგრძელა ორი სიმართლის: „სიმართლე-ქეშმარიტებისა“ და „სიმართლე-სამართლიანობის“ გამომგონებელმა ნ. კ. მიხაილოვსკიმ. ლიტერატორთა ამ ჯგუფის გავლენა „საზოგადოებაზე“ არამყარია და ხანმოკლე იყო; მათი „რომანტიზმი“ მხოლოდ სუსტი ნიჭიერებით განსხვავდებოდა თავადაზნაურთა რომანტიზმისაგან, მათი მეოცნებენი — მუჟიკები მინაი, მიტიაი — პოლიკუშკას, კალინიჩის, კარატაევისა და სხვა მსგავსი მუჟიკების პორტრეტთა ცუდი ასლებია.

ამ ჯგუფს ემხრობოდა და მუშაობდა, მაგრამ სოციალურად უფრო ფხიზელი და სხვებზე — ერთად აღებულ ყველა ნაროდნიკზეც კი — უფრო ნიჭიერი იყო ორი ძალიან დიდი ლიტერატორი: დ. ნ. მამინ-სიბირიაკი და გლებ უსპენსკი. მათ პირველებმა შეიგრძნეს და აღნიშნეს ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა, მუშისა და გლეხის სხვადასხვაობა. განსაკუთრებით ცხადი იყო ეს უსპენსკისათვის, ორი შესანიშნავი წიგნის: „რასტერიავის ქუჩის ზნეჩვეულებანისა“ და „მიწის ძალის“ ავტორისათვის. სოციალური ღირებულება ამ წიგნებს არ დაუკარგავთ ჩვენს დროშიც; საერთოდ, უსპენსკის მოთხრობებს არ დაუკარგავთ თავიანთი აღმზრდელობითი მნიშვნელობა; ლიტერატურულ ახალგაზრდობას შეუძლია კარგად ისწავლოს ამ მწერლისაგან დაკვირვება და სინამდვილას ღრმა გაგება.

სოფლის იდეალიზაციისადმი მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ა. პ. ჩეხოვმა ზემოთ დასახელებულ მოთხრობებ-

ში — „მუყიკები“, „ხრამში“ და მოთხრობა „ახალ აგარაკში“, ხოლო განსაკუთრებით მკვეთრად ეს დამოკიდებულება გამოთქვა ი. ბუნიძე მოთხრობაში — „სოფელი“ და მის ჟველა მოთხრობაში, რაც კი გლახებზე დაუწერია. განსაკუთრებით დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ასევე დაუნდობლად ხატავენ სოფელს გლეხი მწერლები სიმონ პოდიაჩევი და ივანე ვოლნოვი — ეს ძალიან ნიჭიერი, სულ უფრო თვალსაჩინოდ მზარდი მწერალი. თემები — სოფლის ცხოვრება, გლეხის ფსიქიკა ჩვენი დღეების ცოცხალი და ძალიან მნიშვნელოვანი თემებია, ეს კარგად უნდა გაიგონ დამწყებმა ლიტერატორებმა.

ყოველივე აქ ნათქვამიდან საკმაოდ ნათელია, რომ ჩვენს ლიტერატურაში არ ყოფილა და კიდევ არ არის „რომანტიზმი“, როგორც სინამდვილისადმი აქტიური დამოკიდებულების ქადაგება, როგორც ქადაგება შრომისა და სიცოცხლისადმი სწრაფვისა, მისი ახალი ფორმების პათოსისა და იმ ძველი სამყაროს მძულვარებისა. რომლის ბოროტი მემკვიდრეობა ასე ძნელი და ასეთი მტკივნეული აღმოსაფხვრელია. ეს ქადაგება კი აუცილებელია, თუ არ გვინდა დავუბრუნდეთ მეშჩანობას, და შემდეგ — მეშჩანობის გზით — კლასობრივ სახელმწიფოს, პარაზიტებისა და მტაცებლების მიერ გლეხებისა და მუშების ექსპლოატაციის აღორძინებას. სწორედ ასეთ „აღორძინებას“ ელის, მასზე ოცნებობს საბჭოთა კავშირის ყველა მტერი. სწორედ იმისათვის, რომ აიძულონ მუშათა კლასი, აღადგინოს ძველი კლასობრივი სახელმწიფო, ისინი ახორციელებენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ბლოკადას. მუშა-ლიტერატორს ნათლად უნდა ესმოდეს, რომ წინააღმდეგობა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის შეუირიგებელია, რომ მას გადაწყვეტს სრული გამარჯვება ან დაღუპვა. ამ ტრაგიკული წინააღმდეგობიდან, ისტორიის მიერ მუშათა კლასისათვის ნაბრძანები ამოცანების სიმძნელისაგან უნდა აღმოცენდეს ის აქტიური „რომანტიზმი“, შემოქმედების ის პათოსი, ნებისა და გონების ის შეპართება და ყველა ის რევოლუციური თვისებანი, რომლითაც მდიდარია რუსი მუშა-რევოლუციონერი.

რასაკვირველია, მე ვიცი, რომ გზა თავისუფლებისაგან ძალიან ძნელია და ჯერ არ დამდგარა იმის დრო, რომ მთელი ცხოვრება მშვიდად შევექცეოდეთ ჩაის ლამაზი ქალიშვილების სასიამოვნო კომპანიაში ან გულხელდაკრეფილნი ვისიღეთ საკრის წინ და „ჩვენსი სილამაზით ვტკბებოდეთ“, რისი მიდრეკილებაც ბევრ ახალგაზრდა ადამიანს აქვს. სინამდვილე სულ უფრო დაყინებით შთაგვაგონებს, რომ თანამედროვე პირობებში მშვიდად ვერ იცხოვრებ, ბედნიერი ვერ იქნები ვერც გულისსწორთან. ვერც მარტო, რომ მეშჩანურ-

კულაკური კეთილდღეობა არ შეიძლება მყარი იყოს, — ამ კეთილდღეობის საფუძვლები მსოფლიოში ყველგან მომპალია. ამას დამაჯერებლად მოწმობს მთელი მსოფლიოს შემჩანთა გაბორცება, სასოწარკვეთა და შემოთება, ევროპის ლიტერატურის ოხვრა, თავაწვებული ღრეობა, რომლითაც მდიდარი შემჩანი ცდილობს ჩაახშოს თავისი შიში ხვალინდელი დღის წინაშე, იაფფასიანი სიხარულის ავადმყოფური წყურვილი, სქესობრივ გარყვნილებათა განვითარება. დანაშაულთა და თვითმკვლელობათა ზრდა. „ძველი სამყარო“ ქეშმარიტად სასიკვდილოდ დაავადდა, და აუცილებელია ძალიან ვიჩქაროთ „განყრა მტერისა ფეხთავან თვისთა“, რომ მისმა გახრწნილმა სიღამპლემ არ დაგვაავადოს ჩვენ.

იმ დროს, როდესაც ევროპაში მიმდინარეობს ადამიანის შინაგანი დაშლის პროცესი, ჩვენში, მშრომელ მასაში, ვითარდება მტკიცე რწმენა თავისი ძალისა და კოლექტივის ძალისადმი. თქვენ, ახალგაზრდობამ, საჭიროა იცოდეთ, რომ ეს რწმენა ყოველთვის წარმოიშობა უკეთესისაკენ მიმავალ გზაზე შექმნილ დაბრკოლებათა გადალახვის პროცესში და რომ ეს რწმენა ყველაზე ძლიერი შემოქმედებითი ძალაა. საჭიროა იმის ცოდნა, რომ „ძველ სამყაროში“ ადამიანურია და ამიტომაც უდავოდ ძვირფასია მხოლოდ მეცნიერება; ძველი სამყაროს ყველა „იდეა“ კი — სოციალიზმის იდეის გამოკლებით — არაადამიანურია, რადგან ისინი, ასე თუ ისე, ცდილობენ დაამყარონ და გაამართლონ ერთეულთა „ბედნიერების“ და ძალაუფლების კანონიერება მშრომელთა მასის კულტურისა და თავისუფლების საზიანოდ.

არ მახსოვს. რომ სიჭაბუკეში მესაყვედუროს ცხოვრებისათვის; ადამიანებს, რომელთა შორისაც მე დავიწყე ცხოვრება, ძალიან უყვარდათ წუწუნი, მაგრამ შევამჩნიე — ისინი ამას ეშმაკობით ჩადიოდნენ, რომ ამ წუწუნით დაეფარათ ერთმანეთისადმი დახმარების უნდობლობა, — და ვცდილობდი, არ მიმებაძა მათთვის. შემდეგ, საკმაოდ მალე დავრწმუნდი, რომ ყველაზე მეტად ის ადამიანები წუწუნებენ, რომელთაც არ შესწევთ წინააღმდეგობის უნარი, არ ძალუძთ ან არ სურთ მუშაობა, და, საერთოდ, ისინი, ვისაც თავიანთ მოყვასთა ანგარიშზე „აღვილი ცხოვრება“ უყვართ.

მე კარგად გამოვცადე შიში ცხოვრების წინაშე; ამჟამად ამ შიშს ბრმის შიშს ვუწოდებ. ძლიერ მძიმე მდგომარეობაში რომ ვცხოვრობდი — როგორც ამაზე მიაშინია — ბავშვობიდან ვხედავდი ადამიანთა უაზრო სისასტიკეს და ჩემთვის გაუგებარ მტრობას; გო-

ცებული ვიყავი ერთთა მძიმე შრომით და მეორეთა კეთილდღეობით; აღრე მივხვდი, რომ რაც უფრო „ღმერთთან ახლოს“ თელიან საკუთარ თავს მორწმუნენი, რაც უფრო შორს არიან ისინი იმათგან, ვინც მათთვის მუშაობს, მით უფრო სასტიკია მათი მოთხოვნები მუშა ხალხისადმი; საერთოდ, ცხოვრების გაცილებით მეტ სისაძაგლეს ვხედავდი, ვიდრე თქვენ ხედავთ. გარდა ამისა, მე მათ ვხედავდი უფრო საზიზღარი ფორმით; თქვენს წინაშე დაყიალობს რევოლუციით დამფრთხალი მეშჩანი. მას იმდენად აღარ სწამს თავისი უფლება — იყოს ისეთი, როგორც თავისი ბუნებით არის; მე კი ვხედავდი იმაში სავესებით დარწმუნებულ მეშჩანებს, რომ ისინი კარგად ცხოვრობენ და რომ მათი ეს კარგი, მშვიდი ცხოვრება მტკიცე და სამუდამოა.

იმ დროს უკვე ვკათხულობდი საზღვარგარეთული ენებიდან თარგმნილ რომანებს, ხოლო ხანდახან ხელში ჩამივარდებოდა ისეთი დიდებული მწერლების წიგნებიც, როგორცაა დიკენსი, ბალზაკი, აგრეთვე ენსკორტის, ბულვერ-ლიტონის, დიუმას ისტორიული რომანები. ეს წიგნები მომიტხრობდნენ ძლიერი ნებისყოფის, მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათის ადამიანებზე — იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ სხვა ბედნიერებით, იტანჯებიან სხვაგვარად, მტრობენ ერთმანეთს დიდ განხეთქილებათა გამო. ჩემს გარშემო კი კაცუნები ხარბობდნენ, შურიანობდნენ, ბრახობდნენ, ჩხუბობდნენ და ერთმანეთს უჩიოდნენ იმიტომ, რომ მეზობლის ბიჭმა ქვით ფეხი მოსტეხა ქათამს ან ფანჯრის მინა ჩაამტვრია; იმის გამო, რომ ღვეზელი მიიწვა, კომპოსტოს სუპში ხორცი გადაიხარშა, რძე ამჟავდა. მათ შეეძლოთ მთელი საათობით ედარდათ. რომ მედუქნემ გირვანქა შეაქარში, ხოლო ჩითებით მოვაქრემ არშინ ჩითში ერთი კაპიკით მეტი გადაახდევინა. მეზობლების პატარა უბედურება იწვევდა მათ გულწრფელ სიხარულს, რასაც ისინი ფარავდნენ ყალბი თანაგრძნობით. კარგად ვხედავდი, რომ სწორედ კაპიკი წარმოადგენს მეშჩანობის ცაზე მოკიაფე მზეს და რომ სწორედ იგი აღანთებს ადამიანთა გულში წვრილმანსა და ბინძურ მტრობას. ქოთნება, სამოვრები, სტაფილო, ქათმები, ბლინები, წირვა, დღეობები, დაკრძალვები, ღორმუცელობა სმა-ჭამაში, რასაც პირის ლებინება მოსდევს — აი, რა შეადგენდა იმ ადამიანთა ცხოვრების შინაარსს, რომელთა შორისაც მე დავიწყე ცხოვრება. ეს საზიზღარი ცხოვრება ბადებდა ჩემში ხან ძილისმომგვრელ, დამაჩლუნგებელ მოწყენილობას, ხანაც ანცობის სურვილს, რომ გამოემეღვიძა. ალბათ ასეთ მოწყენილობაზე მწერდა ამასწინათ ერთ-ერთი ჩემი კორესპონდენტი, ცხრაშეტი წლის კაცი:

მთელი ჩემი არსებით მძავს ნავთქურებით, კორებით, ძალღური წკაეწკაეი-თ შექმნილი ეს მოწყენილობა.

და აი, ხანდახან ეს მოწყენილობა იფეთქებდა ხოლმე გაცო-  
ფებული ანცობით; ღამით ავიდოდი სახურავებზე და ღუმელის მი-  
ლებს ჩერებითა და ნაყარ-ნუყარით ამოვტენიდი; კომბოსტოს  
სუპში ვყრიდი მარისს; ქაღალდის მილის მეშვეობით მტვერს ვყრა-  
დი კედლის საათის მექანიზმში, ერთი სიტყვით, ბევრ ისეთ რამეს  
ჩავდიოდი, რასაც ხულიგნობა ეწოდება; ამას იმიტომ ვაკეთებდი,  
რომ მსურდა თავი მეგრძნო ცოცხალ ადამიანად, მაგრამ არ ვიცო-  
დი, ვერ ვპოულობდი მასში დარწმუნების სხვა საშუალებებს. მე-  
ჩვენებოდა, რომ ხშირ ნაგრიგალევე, ჭაგნარით ვადახლართულ ტყე-  
ში გზა ამებნა, ნეშომპალიან ადგილას მოვხვდი და მუხლამდე ვეფ-  
ლობი-მეთქი.

მახსოვს ასეთი შემთხვევა: იმ ქუჩით, სადაც მე ვცხოვრობდი,  
მიჰყავდათ პატიმრები ციხიდან გემში ჩასასხდომად, რომ ვოლგაზე  
და კამაზე გავლით ციმბირში ჩაეყვანათ; ეს ფერდაკარგული ადა-  
მიანები ყოველთვის გასაოცრად მიზიდავდნენ. შესაძლოა, მშურდა  
ის, რომ ისინი თუმცა ბადრაგით, ხოლო ზოგიერთები — ბორკი-  
ლებგაყრილინც, მაგრამ მაინც მიდიან საღდაც; მე კი მარტო დარ-  
ჩენილ ვირთხასავით უნდა ვიცხოვრო სარდაფში, აგურისიატაკიან  
ბინძურ სამზარეულოში. ერთხელ დიდი პარტია მიდიოდა. ბორ-  
კილთა ჩხარუნით მიაბიჭებდნენ კატორღელები; ტროტუარის მხრი-  
დან პირველი მიდიოდა ხელფეხშებორკილი ორი კატორღელი;  
ერთი მათგანი დიდი იყო, შავწვერა, ცხენისთვალეზიანი, შუბლზე  
ღრმა, წითელი ნაიარევი აჩნდა, დამახინჯებული ყური ჰქონდა, სა-  
შიში შესახედავი იყო. მე ავედევნე და ვუთვალთვალე. მან  
მოულოდნელად მხიარულად და ხმამაღლა დამიძახა:

— აბა, ბიჭუნავ, გამოისეირნე ჩვენთან ერთად!

ამ სიტყვებით თითქოს ხელი ჩამკიდა.

მაშინვე მივირბინე მასთან. მეზადრაგემ დამიყვირა და ხელი  
მკრა. ხელი რომ არ ეკრა, როგორც სიზმარში, ისე გავყვებოდი ამ  
საშიშ კაცს, გავყვებოდი სწორედ იმიტომ, რომ იგი არაჩვეულებ-  
რივი იყო — არ ჰგავდა იმ ადამიანებს, მე რომ ვიცნობდი; ამ საშიშ,  
ბორკილებიან კაცს მაინც გავყვებოდი, ოღონდ კი სხვა ცხოვრება-  
ში გადავსულიყავ. დიდხანს მახსოვდა ეს ადამიანი და მისი მხია-  
რული, კეთილი ხმა. მის ფიგურასთან არის დაკავშირებული ჩემი  
მეორე, კიდევ ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება: ხელთ ჩამივარდა  
სქელტანიანი წიგნი, დასაწყისი აკლდა; დავიწყე მისი კითხვა და  
ვერაფერი ვერ გავიგე, გარდა ერთი მეფის ამბისა. ამ მეფემ უბრა-

ლო მსროლელს შეაძლია აზნაურის წოდება, მსროლელმა მეფის ლექსად მიუგო:

ეჲ, ნება მომეც, თავისუფალი სოფლელი კაცის განვლიო დღენი,  
მე მამა მყავდა უბირი გლეხი — გლეხი იქნება თვით ვაჟი ჩემი.  
ის უფრო მეტად საქებარია, როცა ჩვენსაჲთ მდაბიო კაცი  
თავს გამოიჩენს ბატონზე უფრო ქველი საქმენით და სიზამაცით.

მე გადავიწერე ეს მძიმე ლექსი რვეულში და იგი მრავალ წელს შემსახურებოდა მოხეტიალის ჯოხივით, შესაძლოა — ფარადაც, რომელიც მიცავდა ცთუნებათაგან და მეშჩანთა — იმდროინდელ „წარჩინებულ ბატონთა“ — საძაგელი შოძღვრებისაგან. ალბათ ბევრი ახალგაზრდის ცხოვრებაში გვხვდება სიტყვები, რომლებიც მამოძრავებელი ძალით ადავსებენ ახალგაზრდულ წარმოსახვას, როგორც ზურგის ქარი გაბერავს ხოლმე იალქანს.

ათი წლის შემდეგ გავიგე, რომ ეს ლექსი ამოღებულია „მხიარული მსროლელის ჯორჯ გრინისა და რობინ ჰუდის კომედიიდან“. რომელიც შექსპირის წინაპარმა რობერტ გრინმა დაწერა XVI საუკუნეში. ძალიან გამიხარდა, ეს რომ გავიგე და კიდევ მეტად შევიყუარე ლიტერატურა, ოდითგანვე ერთგული მეგობარი და თანაშემწე აღამიანებისა მათს ძნელ ცხოვრებაში.

ღიახ: ამხანაგებო, შიში ცხოვრების სისაძაგლისა და სიმკაცრის წინაშე მე კარგად გამოვცადე; თვითმკვლევობის ცდამდეც კი მივედი, და შემდეგ მრავალი წლის მანძილზე, როცა ვიგონებდი ამ სისულელეს, მრცხვენოდა და საკუთარი თავი მძულდა.

ამ შიშს თავი მას შემდეგ დავალწიე, როცა გავიგე, რომ აღამიანები ისე ბოროტნი როდი არიან, როგორც უვიცნი, და რომ არა ისინი და არა ცხოვრება მაშინებს, არამედ შეშინებული ვარ ჩემი სოციალური და სხვადასხვაგვარი მცირემცოდნეობით, ჩემი უმწეობით ცხოვრების წინაშე. სწორედ ასე. მე მგონია, თქვენ განსაკუთრებით კარგად უნდა ჩაუფიქრდეთ ამას იმიტომ, რომ ზოგიერთი თქვენგანის შიში, კვნესა და ჩივილი ასევე მეტი არაფერია, თუ არ მოწუწუნეთა მიერ ცხოვრების წინაშე უმწეობის შეგრძნების შედეგი. იმის უნარის ურწყენობის შედეგი, რომ ებრძოლოს ყოველივეს, რითაც გარედან — აგრეთვე შიგნიდანაც — ჩაგრავს აღამიანს „ძველი სამყარო“.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩემგვარი აღამიანები „საზოგადოების“ ერთეულები და გერები იყვნენ. თქვენ კი — ასობით ხართ, და

თქვენ — მშრომელი კლასის ღვიძლი შვილები ხართ, რომელმაც შეიძინო თავისი ძალები, ხელთ უბყრია ძალაუფლება და სწრაფად სწავლობს ერთეულების სასარგებლო შრომის დამსახურებისამებრ დაფასებას. თქვენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახით ისეთი ხელისუფლება გაქვთ, რომელიც უნდა დაგეხმაროთ თქვენი უნარის სრულყოფამდე განვითარებაში, რასაც იგი თანდათან აკეთებს კიდეც. გაცილებით უფრო წარმატებით გააკეთებდა ამას, ცხოვრებასა და მუშაობას რომ არ უშლიდეს ბურჟუაზია — მისი და თქვენი მოსისხლე მტერი.

თქვენ უნდა აღიჭურვოთ საკუთარი თავის, საკუთარი ძალების რწმენით. ამ რწმენას კი მიაღწევთ დაბრკოლებათა გადალახვით, ნებისყოფის აღზრდით, მისი „ვარჯიშით“. საჭიროა ისწავლოთ წარსულის საძაგელი მემკვიდრეობის დამარცხება საკუთარ თავშიც და მის გარეთაც. სხვაგვარად როგორღა „უარყოფთ ძველ სამყაროს“? რა ფასი აქვს ამ სიმღერას, თუ ძალა და სურვილი არ გაგაჩნიათ იმის გაკეთებისა, რასაც იგი გასწავლით. პატარა გამარჯვებაც კი ბევრად უფრო ძლიერს ხდის ადამიანს. მოგეხსენებათ, რომ თავისი სხეულის ვარჯიშით ადამიანი ჯანმრთელი, ამტანი, მოქნილი ხდება, ასევე გავარჯიშება სჭირდება საკუთარ გონებას, საკუთარ ნებისყოფას.

აი, ერთ-ერთი შესანიშნავი მიღწევა ასეთი გავარჯიშებისა: ამას წინათ ბერლინში უჩვენებდნენ ქალს. მას ორივე ხელში ოთხი ფანქარი ეჭირა, მეხუთე კბილებში ჰქონდა და ერთდროულად შეეძლო სუთი სხვადასხვა სიტყვის დაწერა სხვადასხვა ენაზე. ეს სავსებით დაუჭერებელ ამბავს ჰგავს და არა იმიტომ, რომ ფიზიკურად ძნელია, არამედ იმიტომ, რომ მოითხოვს აზრის არაბუნებრივ დაქუცმაცებას. მაგრამ ეს ფაქტია. მეორე მხრივ, ეს ფაქტი იმას ნათლყოფს, თუ არსებითად როგორ უნაყოფოდ ფლანგავს ადამიანი თავის ბრწყინვალე ნიქს ქაოსურ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც, ყურადღება რომ მიიქციოს, მან ქუჩებში თავდაყირა უნდა იაროს, დაამყაროს — პრაქტიკულად არცთუ სასარგებლო — ჩქარი მოძრაობის რეკორდები, ეთამაშოს ჰადრაკი ერთდროულად ოც მოწინააღმდეგეს, მიაღწიოს არაჩვეულებრივ „ტრიუკებს“ აკრობატიკასა და ლექსთწყობაში, ერთი სიტყვით, თავგანწირვით და თავისმტკრევით იოინბაზოს მაძლარ ადამიანთა მოწყენილობის განსაქარვებლად.

თქვენ, ახალგაზრდობამ, უნდა იცოდეთ; რომ ყველაფერი ჰემ-მარითად ძვირფასი, სამარადისოდ სასარგებლო და მშვენიერი, რასაც კაცობრიობამ მიაღწია მეცნიერების, სელოვნების, ტექნიკის



დარგში, — შექმნილია ერთეულების მიერ. ისინი მუშაობდნენ წარმოუდგენლად ძნელ პირობებში, „საზოგადოების“ ღრმა უმეცრების პირობებში, ეკლესიის მტრული წინააღმდეგობის, კანტარლისტთა ანგარების პირობებში, „მეცენატთა“ — „მეცნიერების, ხელოვნების შექომაგეთა“ — ახირებული მოთხოვნილებების პირობებში. საჭიროა აგრეთვე განსოვდეთ, რომ კულტურის შემოქმედთა შორის ბევრია უბრალო მუშა, როგორც იყო ცნობილი ფიზიკოსი ფარადეი, როგორც არის ედისონი; რომ საქსოვი დაზგა გამოიგონა დალაქმა არკრაიტმა; ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარი-მეჭურჭლე იყო მჭედელი ბერნარ პალისი; მსოფლიოს უდიდესი დრამატურგი შექსპირი უბრალო აქტიორი იყო, ისევე როგორც დიდი მოლიერი. ასობით შეიძლება დავასახელოთ ადამიანების მიერ თავიანთი ნიჭის წარმატებითი „ვარჯიშის“ ასეთი მაგალითი.

ყოველივე ეს შეძლეს ერთეულებმა, რომლებიც მუშაობდნენ მეცნიერულ ცოდნათა იმ უდიდესი მარაგისა და ტექნიკურ საშუალებათა უქონლად, რაც ჩვენს თანამედროვეობას აქვს. აბა დააკვირდით, რამდენად გაადვილებულია კულტურული მუშაობის ამოცანები ჩვენში, სახელმწიფოში, სადაც დასახულია მიზნად ადამიანთა სრული განთავისუფლება უაზრო შრომისაგან, მუშა-ძალის განთავისუფლება ცინიკური ექსპლოატაციისაგან, რომელიც წარმოშობს მდიდრებს, სწრაფად რომ გადაგვარდებიან ხილმე და დაშენებას უქადის მშრომელ კლასსაც.

თქვენს წინაშეა „ძველი სამყაროს უარყოფისა“ და ახლის შექმნის სავესებით ნათელი და დიადი საქმე. იგი დაწყებულია და, ჩვენი მუშათა კლასის მაგალითის მიხედვით, ყველგან ძლიერდება. რა დაბრკოლებებსაც არ უნდა უქმნიდეს ამ საქმეს ძველი სამყარო, იგი განვითარდება. საამისოდ თანდათან ემზადება მთელი მსოფლიოს მუშა ხალხი. იქმნება ერთეულების მუშაობისადმი თანაგრძნობის ატმოსფერო — ერთეულებისა, რომლებიც ახლა კოლექტივის ნამსხვრევებს კი აღარ წარმოადგენენ, არაჰედ მისი შემოქმედებითი ნების მოწინავე გამომხატველნი არიან.

პირველად გაბედულად და ფართოდ დასახული ამ მიზნის ღროს აღარ შეიძლება დავსვათ კითხვა — „რა ვაკეთოთ?“ „ძნელია ცხოვრება?“ განა მართლა ასე ძნელია? და იმიტომ ხომ არ არის ძნელი, რომ გაიზარდა მოთხოვნილებანი, რომ ბევრი ისეთი რამ გინდათ, რომლებზეც თქვენს მამებს არც უფიქრიათ, რაც მათ არც კი უნახავთ? ზედმეტად მომთხოვნი ხომ არ გახდით?

რასაკვირველია, მე ვიცი, რომ თქვენს შორის არის უკვე ბევრი ისეთი, რომელთაც ესმით კოლექტიური შრომის სიხარული და

პოეზია, — შრომისა, რომლის მიზანი ის კი არ არის, რომ დაავროვოს მილიონობით კაპიკი, არამედ ის, რომ მოსპოს კაპიკის საძაგელი ბატონობა ადამიანზე — სამყაროს ყველაზე დიდ სასწაულზე და ამქვეყნიური ყველა სასწაულის შემოქმედზე.

უკვასუხებ კითხვას: როგორ ვსწავლობდი წერას?

შთაბეჭდილებებს ვიღებდი უშუალოდ ცხოვრებიდან და წიგნებიდანაც. შთაბეჭდილებათა პირველი რიგი შეიძლება შევეადაროთ ნედლეულს, ხოლო მეორე — ნახევარფაბრიკატს, ან — უხეშად რომ ვთქვათ, რათა უფრო ნათელი იყოს — პირველ შემთხვევაში ჩემ წინაშე იყო პირუტყვი, ხოლო მეორე შემთხვევაში — ჩინებულად დამუშავებული მისი ტყავი. მე ბევრად დავალებული ვარ საზღვარგარეთული ლიტერატურის, განსაკუთრებით — ფრანგული ლიტერატურის მიერ.

პაპა სასტიკი და ძუნწი მყავდა. მაგრამ მე ვერ ვხედავდი, ვერ გამეგო იგი, როგორც დავინახე და გავიგე მას შემდეგ, რაც ბალზაკის რომანი „ევგენია გრანდე“ წავიკითხე. ევგენიას მამა, მოხუცი გრანდე, აგრეთვე ძუნწია, სასტიკი და, საერთოდ, ჩემს პაპას ჰგავს, მაგრამ იგი — უფრო ბრიყვია და პაპაჩემზე ნაკლებად საინტერესო. ფრანგთან შედარების დროს რუსმა მოხუცმა, მართალია, მე არ ნიყვარდა. მაგრამ მოიგო, უფრო ამალდა. ამან ვერ მაიძულა შემეცვალა დამოკიდებულება პაპაჩემისადმი, მაგრამ ეს დიდი აღმოჩენა იყო — წიგნს აქვს იმის უნარი, რომ დამიმტკიცოს ადამიანზე ის, რასაც მე ვერ ვხედავ, ვერ გამიგია მასში.

ჯორჯ ელიოტის მოსაწყენმა წიგნმა „მიდლმარჩმა“, აუერბახის, შპილჰაგენის წიგნებმა დამანახვეს, რომ ინგლისისა და გერმანიის პროვინციებში ადამიანები ისე როდი ცხოვრობენ, როგორც ნიკინოვგოროდში. „ზევზდინის“ ქუჩაზე, მაგრამ — არცთუ ბევრად უკეთესად. ლაპარაკობენ იგივეს — თავიანთს ინგლისურ და გერმანულ კაპიკებზე, ღვთის წინაშე შიშსა და მისი სიყვარულის აუცილებლობაზე. მაგრამ მათ ისევე, როგორც ჩემი ქუჩის ადამიანებს, არ უყვართ ერთმანეთი და განსაკუთრებით არ უყვართ თავისებური ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ მხრივ არა ჰგვანან მათ გარშემო მყოფთა უმეტესობას. მსგავსებას უცხოელთა და რუსთა შორის მე არ ვეძებდი, მე განსხვავებას ვეძებდი, მაგრამ ვპოულობდი მსგავსებას.

პაპაჩემის მეგობრები, გაკოტრებული ვაჭრები ივანე შუროვი,

იაკობ კოტელნიკოვი მსჯელობდნენ იმაზევე და ისევე, რაზეც და როგორადაც თეკერეის ცნობილი რომანის „ამაოების ბაზრის“ ადამიანები. წერა-კითხვას დავითნის საშუალებით ვსწავლობდი და ძალიან მიყვარდა ეს წიგნი, — იგი შესანიშნავი მუსიკალური ენით მეტყველებს. როდესაც იაკობ კოტელნიკოვი, ჩემი პაპა და, საერთოდ, მოხუცები შესჩიოდნენ ერთმანეთს თავიანთი შვილების ამბავს, მე მაგონდებოდა დავით მეფის ჩივილი ღმერთთან თავისი შვილის — მემამბოხე აბესალომის — გამო, და მეჩვენებოდა, რომ მოხუცები ტყუიან, ერთიმეორეს რომ უმტკიცებენ, თითქოს ადამიანები, საერთოდ, ხოლო ახალგაზრდები, განსაკუთრებით, სულ უფრო ცუდად ცხოვრობენ, სულ უფრო ბრყვეები, ზარმაცები, ურჩები, არაღეთისმოშიშნი ხდებიან. ზუსტად ამასვე ლაპარაკობდნენ დიკენსის თვალთმაქცი გმირები.

ყურადღებით რომ ვუსმენდი სექტანტურ მედავითნეთა დავას მღვდლებთან, ვამჩნევდი, რომ ერთნიც და მეორენიც ისევე მაგრაღებლაუქებიან სიტყვას, როგორც სხვა ქვეყნების სასულიერო წოდების პირნი, რომ ყველა სასულიერო პირისათვის სიტყვა ადამიანის ლაგამია, და რომ არიან მწერლები, რომლებიც ძალიან ჰგვანან სასულიერო პირთ. ამ მსგავსებაში მე მალე ვიგრძენი რაღაც საეჭვო, თუმცა — საინტერესო.

არავითარი სისტემა და თანმიმდევრობა ჩემს კითხვას, ცხადია, არ ჰქონდა, ყველაფერი შემთხვევით ხდებოდა. ჩემი მეპატრონის ძმას ვიქტორ სერგეევს უყვარდა ქსავიე დე-მონტეპენის, გაბორიოს, ზაკონეს, ბუვიეს ფრანგული „ბულვარული“ რომანების კითხვა, ხოლო ეს ავტორები რომ წაიკითხა, წააწყდა რუსულ წიგნებს, მათში დაცინვითა და მტრულად იყენენ აღწერილნი „ნიპილისტიკეოლუციონერები“. მეც წავიკითხე ეს. კრესტოვსკის „პანურგის ჯოგი“, სტებნიცკი-ლესკოვის „არსაით“ და „დანასისხლად“, კლიუშნიკოვის „აჩრდილი“, პისემსკის „აღელვებული ზღვა“. საინტერესო იყო იმ ადამიანებზე კითხვა, რომელნიც თითქმის არაფრით არ ჰგავდნენ ჩემს გარშემო მცხოვრებ ადამიანებს, და უფრო იმ კატორღელს ჩამოჰგავდნენ, მე რომ შემომთავაზა მათთან ერთად „გასეირნება“. ამ ადამიანთა „რევოლუციურობა“, ცხადია, ვერ გავიგე და სწორედ ეს იყო ავტორთა ამოცანა, რომლებიც მხოლოდ შავი საღებავებით ხატავდნენ „რევოლუციონერებს“.

შემთხვევით ჩამივარდა ხელში პომილოვსკის მოთხრობები „მოლოტოვი“ და „მეშჩანური ბედნიერება“. და აი, როდესაც პომილოვსკიმ დამანახვა მეშჩანური ცხოვრების „ილაჩის გამწყვეტი სილატაკე“, მეშჩანური ბედნიერების სიგლახაკე, მე თუმცა ბუნ-

დონად, მაგრამ მაინც ვიგრძენი, რომ პირქუში „ნიპილისტები“ რალაციტ სჯობიან სვებედნიერ მოლოტოვს. პომიალოვსკის წიგნის შემდეგ მალე წავიკითხე ზარუბინის ძალიან მოსაწყენი წიგნი „რუსული ცხოვრების ბნელი და ნათელი მხარეები“. ნათელი მხარეები მასში ვერ აღმოვაჩინე, ხოლო ბნელი მხარეები ჩემთვის უფრო გასაგები და უფრო საძაგელი გახდა.

ცუდი წიგნი უამრავი წამიკითხავს, მაგრამ ისინიც კი სასარგებლონი იყვნენ ჩემთვის. ცხოვრებაში არსებული ცუდი ისევე კარგად და ზუსტად უნდა იცოდე, როგორც კარგი. უნდა იცოდე, რაც შეიძლება მეტი. რაც უფრო მრავალმხრივია გამოცდილება, მით უფრო ამაღლებს იგი ადამიანს, მით უფრო ფართოვდება თვალთახედვის არე.

საზღვარგარეთული ლიტერატურა, რომელიც უხვ მასალას მამლევედა შედარებებისათვის, მანციფრებდა თავისი შესანიშნავი ოსტატობით. იგი ისე ცოცხლად, ისე პლასტიკურად ხატავდა ადამიანებს, რომ ისინი ფიზიკურად შესაგრძნობად წარმომიდგებოდნენ, თანაც უფრო აქტიური მეგონენ ვიდრე რუსები — ისინი ნაკლებს ლაპარაკობდნენ, მეტს აკეთებდნენ.

ნამდვილი და ღრმა აღმზრდელიობითი გავლენა ჩემზე, როგორც მწერალზე, მოახდინა „დიდმა“ ფრანგულმა ლიტერატურამ — სტენდალმა, ბალზაკმა, ფლობერმა; მე ძალიან ვურჩევ „დამწყებთ“ ამ ავტორების წაკითხვას. ისინი მართლაც რომ გენიალური მხატვრებია, ფორმის უდიდესი ოსტატები. ასეთი მხატვრები რუსულ ლიტერატურას ჯერ არა ჰყავს. ისინი რუსულად წავიკითხე, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ვგრძნობდე ფრანგთა სიტყვიერი ხელოვნების ძალას. მრავალი „ბულგარული“ რომანის შემდეგ, მაინ-რიდის, კუპერის, გუსტავ ემარის, პონსონ დიუ-ტერაილის შემდეგ, დიდი მხატვრების მოთხრობებმა სასწაულის შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე.

მასხოვს ფლობერის „უბრალო გულს“ ვკითხულობდი სამება დღეს, საღამოს, ფარდულის სახურავზე წამომჯდარი, სადაც იმიტომ ავედი, რომ დაველოდი საზეიმოდ განწყობილ ხალხს. გაოცებული ვიყავ, თითქოს დამაყრუა და დამამბრმავა მოთხრობამ, გაზაფხულის ხმაურა დღესასწაული სულ ერთიანად დამავიწყა ჩვეულებრივი მზარეული დედაკაცის სახემ, დედაკაცისა, რომელსაც არ ჩაუდენია არავითარი საგმირო საქმე, არავითარი დანაშაული. ძნელი მისასვედრი იყო, რატომ ამაღლევს ასე ადამიანის მიერ მზარეული ქალის „უინტერესო“ ცხოვრებაზე დაწერილ მოთხრობაში? შეტანილმა უბრალო, ჩემთვის ნაცნობმა სიტყვებმა? ამაში იმაღე-

ბოდა მიუწვდომელი ოინბაზობა, და—ამას არ ვიგონებ—რამდენიმე-  
ჯერ: უნებლიეთ და ველურივით, სინათლეზე გავხედე ფურცლებს,  
თითქოს ვცდილობდი მეპოვნა სტრიქონებს შორის ოინის ამოხსნა.

მე ვიცნობდი ათეულობით წიგნს, რომლებშიც აღწერილი იყო  
საიდუმლო და სისხლისმღვრელი დანაშაულებანი. მაგრამ აი, ვკი-  
თხულობ სტენდალის „იტალიურ ქრონიკებს“ და კვლავ არ ძალ-  
ძიძს გავიგო — როგორ აკეთებს ამას? კაცი აღწერს სასტიკ ადამიან-  
ნებს, შურისმაძიებელ მკვლელებს, მე კი მის მოთხრობებს „წმინ-  
დანთა ცხოვრებასავით“ ვკითხულობ, ან ვისმენ მოთხრობას ლეთის-  
მშობლის მიერ ჭოჭოხეთში ადამიანთა „ტანჯვის გზაზე მიმოსვლის“  
შესახებ.

ძალიან განცვიფრებული ვიყავი, როდესაც წავიკითხე ბალზაქის  
რომანის „შაგრენის ტყავის“ გვერდები, სადაც დახატულია ღრეო-  
ბა ბანკირთან და სადაც ერთდროულად ლაპარაკობს ორი ათეული  
ადამიანი, რითაც კმნიან ქაოსურ ხმაურს, რომლის მრავალხმიანობა  
თითქოს ყურში ჩამესმის. მაგრამ მთავარი ის არის, რომ არა მარტო  
მესმის, ვხედავ კიდევ — ვინ როგორ ლაპარაკობს, ვხედავ ადამიან-  
თა თვლებს, ღიმილს, უესტებს, თუმცა ბალზაქს არ დაუხატავს  
ბანკირის არც ერთი სტუმრის სახე, ფიგურა.

საერთოდ, მე ყოველთვის მაოცებდა ხელოვნება ადამიანთა და-  
ჯატვისა სიტყვებით, იმის ხელოვნება, რომ ცოცხალი და გასაგონა  
გახადო მათი სიტყვა; მაოცებდა დიალოგის მეტად სრულყოფილი  
ოსტატობა. რაც ბალზაქს და ფრანგებს ახასიათებთ. ბალზაქის წიგ-  
ნები თითქოს ზეთის საღებავებით არის დაწერილი, და როდესაც  
პირველად ვიხილე რუბენსის სურათები, სწორედ ბალზაქი მომა-  
გონდა. დოსტოევსკის საშინელ წიგნებს რომ ვკითხულობ, არ შე-  
მიძლია არ ვიფიქრო, რომ იგი ბევრად უნდა უმაღლოდეს რომა-  
ნის სწორედ ამ დიდ ოსტატს. მომწონდა აგრეთვე მშრალი, ყალბით  
ნახატივით მკაფიო წიგნები გონკურებისა და მძიმე საღებავებით  
შესრულებული პირქუში ფერწერა ზოლასი. ჰიუგოს რომანები არ  
მიტაცებდნენ, „ოთხმოცდამეცამეტე წელიც“ კი გულგრილად წავი-  
კითხე; ამ გულგრილობის მიზეზი ჩემთვის გასაგები გახდა მას შემ-  
დეგ, რაც გავეცანი ანატოლ ფრანსის რომანს „ღმერთებს სწყუ-  
რიათ“. სტენდალის რომანები წავიკითხე უკვე მას შემდეგ, რაც  
ვისწავლე ბევრი რამის სიძულვილი, და მისმა მშვიდმა ხმამ, სკეპ-  
ტიკურმა ღიმილმა ძალიან განამტყიცა ჩემი მძულვარება.

წიგნებზე ყოველივე აქ თქმულიდან ის გამოდის, რომ მე ფრან-  
გებისაგან ვსწავლობდი წერას. ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ მიმაჩ-  
ნია, რომ კარგი იყო. ამიტომ ძლიერ ვურჩევ ახალგაზრდა მწერ-

ლებს შეისწავლონ ფრანგული ენა, რომ დედანში წაიკითხონ დიდი ოსტატები და მათგან ისწავლონ სიტყვის ხელოვნება.

„დიდი“ რუსული ლიტერატურა—გოგოლი, ტოლსტოი, ტურგენევი, გონჩაროვი. დოსტოევსკი. ლესკოვი—გაცილებით გვიან წაეიკითხე. ლესკოვი, უეკველია, გავლენას ახდენდა ჩემზე ენის საოცარი ცოდნითა და სიმდიდრით. ეს, საერთოდ, ჩინებული მწერალია და რუსული ყოფის დიდი მცოდნე, — მწერალი, რომლის დამსახურება ჩვენი ლიტერატურის წინაშე ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაფასებული. ა. პ. ჩეხოვი ამბობდა, რომ ბევრად არის დავალებული მისგან. იგივე შეეძლო ეთქვა, ჩემი აზრით, ა. რემიზოვსაც.

ამ ურთიერთკავშირსა და გავლენაზე იმიტომ მივუთითებ, რომ გავიმეორო: მწერლისთვის აუცილებელია საზღვარგარეთული და რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორიის ცოდნა.

ოცი წლის ასაკში მივხვდი, რომ ბევრი რამ, რაც მინახავს, განმიცდია, გამიგონია, საჭიროა და აუცილებელიც მოვეუთსრო ადამიანებს. მე მეჩვენებოდა, რომ ვიცი და ვგრძნობ ზოგ რავეს არა ისე, როგორც სხვები; ეს მალეღვებდა, მოსვენებას არ მაძლევდა, სასაუბროდ განმაწყობდა. ისეთი ოსტატების წიგნებსაც კი როგორცაა ტურგენევი, რომ კვითხულობდი, ხანდახან ვფიქრობდი, თითქოს შემეძლო სხვაგვარად მომეთხრო, მაგალითად, ასე ვფიქრობდი „მონადირის ჩანაწერებზე“. ამ დროს უკვე ვითვლებოდი ამბის საინტერესო მთხრობელად, ყურადღებით მისმენდნენ მტვირთავეები, მეფუნთუშეები, მაწანწალები, ღურგლები, რკინიგზის მუშები, „წმინდა ადგილებში მოგზაურნი“, ერთი სიტყვით, ის ადამიანები, რომელთა შორისაც მე ვცხოვრობდი. წაკითხულ წიგნებზე რომ ვუამბობდი, სულ უფრო ხშირად ვამჩნევდი, რომ მართალს არ ვყვები, ვამახინჯებ წაკითხულს, რაღაცას ჩემი მხრივ, საკუთარი გამოცდილებიდან ვუმატებ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ცხოვრების ფაქტები და ლიტერატურა ერთ მთლიანობაში მერეოდა. წიგნი ცხოვრების ისეთივე მოვლენაა, როგორც ადამიანი, ისიც — ცოცხალი, მოლაპარაკე ფაქტია, და იგი უფრო ნაკლებად არის „საგანი“, ვიდრე ადამიანების მიერ შექმნილი და შექმნადი ყველა სხვა საგანი.

მისმენდნენ ინტელიგენტები და მიჩივიდნენ:

— წერეთ! სცადეთ დაწერა!

ხშირად მთვრალი მეგონა თავი და მეწყებოდა სიტყვახევისიანობის შეტევა, განვიცდიდი შინაგან მშფოთვარებას, მინდოდა მეთქვა ყველაფერი, რაც გულზე მაწვა ან მახარებდა, მინდოდა მომეთხრო,

რომ „განეტვირთულიყავ“. იყო მომენტები ისეთი მტანჯველი და-  
ძაბულობისა, როდესაც სათქმელი „უელში მქონდა მოწოლილი“ და  
ისტერიით შეპყრობილივით მსურდა მეყვირა, რომ მინის ჩამსმელი  
ანატოლი — ჩემი მეგობარი, უნიკიერესი ყმაწვილი — დაიღუპება,  
თუ არ დავეხმარე; რომ მეძაფი ტერეზა კარგი ადამიანია და უსა-  
მართლობაა, რომ იგი მეძაფია, ხოლო სტუდენტები; რომლებიც მას-  
თან დადიან, ვერ ხედავენ ამას, ისევე როგორც ვერ ამჩნევენ, რომ  
მოხუცი მათხოვარი ქალი მარტინა — უფრო კვიანია, ვიდრე ნა-  
კითხი მეანი ქალი იაკოვლევა.

ჩემს ახლო მეგობარს, სტუდენტ გური პლეტნიოვსაც კი ვუმა-  
ლავედი, რომ ლექსებს ეწერდი ტერეზაზე, ანატოლაზე, იმაზე, რომ  
თოვლი გაზაფხულზე იმიტომ კი არ დნება, რომ ქუქკიან წყლად  
იქცეს, ქუჩიდან სარდაფში ჩავიდეს; სადაც მეფუნთუშეები მუშაო-  
ბენ. რომ ვოლგა ლამაზი მდინარეა. მეკრუნდულე კუზინი გამცემი  
იუდაა. ხოლო ცხოვრება ერთიანი უწმინდურება და გულას მომკვ-  
ლელი კაეშანია.

ლექსებს იოლად ეწერდი, მაგრამ ვხედავდი, რომ სისაძაგლეს  
ეწერდი და მძულდა საკუთარი თავი უგერგილობის. უნიკობის გა-  
მო. კკითხულობდი პუშკინს, ლერმონტოვს. ნეკრასოვს. კუროჩკი-  
ნის თარგმნილ ბერანყეს ლექსებს და ძალიან კარგად ვხედავდი, რომ  
არც ერთ პოეტს არაფრით არა ვგავდი. პროზისათვის ხელის მოკი-  
დება ვერ გადამეწყვიტა, ეს ლექსებზე უფრო ძნელ საქმედ მეჩვე-  
ნებოდა: იგი მოითხოვდა განსაკუთრებით გამახვილებულ ხედვას.  
იმის გამპირიან ხუნარს, რომ დაინახო და შეამჩნიო სხვებისათვის  
დაუნახავი. მოითხოვდა სიტყვების რაღაც არაჩვეულებრივ მჭიდ-  
რო, მყარ წყობას. მაგრამ მაინც ვცადე თავი პროზაში. ამასთან.  
ავირჩიე „რიტმული“ პროზის სტილი. რადგანაც მიმაჩნდა, რომ  
უბრალოს ვერ დავძლევდი; უბრალოდ წერის ცდები სამწუხაროდ  
და სავალალოდ შთავრდებოდა. რიტმული პროზით დავწერე ვეებერ-  
თელა „პოემა“ „ძველი მუხის სიმღერა“. ვ. გ. კოროლენკომ ათიო-  
დე სიტყვით სულ ერთიანად დაანგრია ეს მოუხეშავი ნაწარმოები,  
რომელშიც მე, მგონი. გადმოვეცი ჩემი ფიქრები სტატია „ცხოვრე-  
ბის ჩარხის“ გამო. ეს სტატია დაბეჭდილი იყო, თუ არ ვცდები, მეც-  
ნიერულ ჟურნალ „ზნანიეში“ და მასში ლაპარაკი იყო ევოლუციის  
თეორიაზე. მისგან მეხსიერებაში ჩამჩნა მხოლოდ ერთი ფრაზა:

„მე მოველ ამქვეყნად, რათა არავის არ დავეთანამო“, - და,  
ვგონებ, მართლაც არ ვეთანხმებოდი ევოლუციის თეორიას.

მაგრამ კოროლენკომ ვერ მისხნა „რიტმული“ პროზისაკენ მიდ-  
რეკილებისაგან და, ხუთი წლის შემდეგ, როცა ჩემი მოთხოვნა

„პაპა არხიპი“ შეაქო, მითხრა, ტყუილუბრალოდ გააპოხიერე მო-  
თხრობა „ლექსის მსგავსი რაღაცითო“. მე არ დავუჯერე, მაგრამ  
როცა შინ დაბრუნების შემდეგ დავაკვირდი მოთხრობას, დავრ-  
წმუნდი: რომ მთელი გვერდი — ველზე მოვარდნილი კოკისპირული  
წვიმის აღწერა — დაწერილია სწორედ ამ წყეულ „რიტმულად“.   
რიტმი დიდხანს მდევდა; შეუძრწველად და უადგილოდ შექონავდა  
ხოლმე მოთხრობებში. მოთხრობებს ვიწყებდი რაღაც ელერადი  
ფრაზებით, მაგალითად, ასე: «Лучи луны прошли сквозь ветви  
кизилья и цепкие кусты держидерева», და შემდეგ, პრესაში,  
ჩემთვის სამარცხვინო იყო იმის აღმოჩენა, რომ „лучи луны“ იკო-  
თხება, როგორც лучины, ხოლო «прошли» ის სიტყვა არ არის,  
რომელიც აქ უნდა იყოს. მეორე მოთხრობაში ვწერდი: «извозчик  
извлек из кармана кисет». ერთმანეთის გვერდით დასმული ეს  
საში «из» არცთუ ისე შეენოდა „ილაჯის გამწყვეტ ლატაქურ ცხოვ-  
რებას“. საერთოდ, მე ვცდილობდი „ლაშახად“ წერას.

„მთვრალი მიყრდნობოდა ფარნის ბოძს და ღიმილით უცქერო-  
და ჩრდილს თავისას, ხოლო იგი ცახცახებდა“; ღამე კი — ჩემივე  
სიტყვებით — იყო წყნარი, მთვარიანი; ასეთ ღამეებში ფარნებს არ  
ანთებდნენ; ჩრდილს არ შეეძლო ცახცახა, თუ არ იყო ქარი და ფა-  
რანი წყნარად ენთო. ასეთი „შეცდომები“ და „წამონაცდენები“  
თითქმის ყველა ჩემს მოთხრობაში შეგვხვდებოდათ, და მე სასტიკად  
ვტუქსავდი საკუთარ თავს ამის გამო.

„ზღვა იცინოდა“, — ვწერდი მე და დიდხანს მჯეროდა, რომ ეს  
კარგია. სილამაზეს რომ მივდევი, თითქმის მუდამ ვცოდავდი  
აღწერის სიზუსტის მიმართ, არასწორად ვალაგებდი საგნებს, არა-  
სწორად ვაშუქებდი ადამიანებს.

„ღუმელი თქვენ თავის ადგილას არ გიდგათ“, — შემნიშნა  
ტოლსტოიმ, მოთხრობა „ოცდაექვსი კაცისა და ერთი ქალის“ გამო  
რომ ლაპარაკობდა. აღმოჩნდა, რომ საკრენდლო ღუმელის  
ტეცხლს არ შეეძლო მუშების იმგვარად განათება, როგორც მე  
შქონდა აღწერილი. პ. ჩეხოვმა კი „თომა გორდეევის“ მედინს-  
კაიანზე მითხრა:

„მას, გეთაყვა, სამი ყური აქვს; მესამე ყური ნიკაპზეა, აბა შეხე-  
დეთ!“ ეს მართლაც ასე გამოდიოდა. — ისე მოუხერხებლად დავ-  
სვი ქალი სინათლესთან.

ასეთ, თითქოსდა პატარა შეცდომებს, დიდი მნიშვნელობა აქვს,  
რადგან ისინი არღვევენ ხელოვნების სინამდვილეს. საერთოდ, უკრ-  
დურესად ძნელია ზუსტი სიტყვების მონახვა და იმგვარად დალა-  
გება, რომ მკირელით ბევრი თქვა, „რომ სიტყვები იყვნენ მჭიდროდ,



აზრები — ფართოდ“, რომ სიტყვეებმა მოგვეს ცოცხალი სურათი, მოკლედ მოხაზოს ფიგურის ძირითადი სახე, მკითხველის ხსოვნაში უმაღლეს განამტკიცოს გამოსატყუელი პიროვნების მოძრაობა, სიტყვების მიმდინარება და ტონი. ერთი საქმეა ადამიანთა და საგანთა „შეღებვა“ სიტყვებით, მეორე გამოხატო ისინი ისე „კლასტიკურად“, ცოცხლად, რომ გამოსატყუელის ხელით შეხება მოგინდეს, როგორც ზშირად მოგინდება ხელს შეახო ტოლსტოია „ომისა და მშვიდობის“ გმირებს.

რამდენიმე სიტყვით უნდა დაძვინჯოს რუსეთის შუა ზოლის სამაზრო ქალაქის გარეგნული სახე. ალბათ სამი საათი მაინც ვიჭეკო, მანამ შევძელ სიტყვების მონახვა და ამგვარად განლაგება:

„ტალღებისებური ველი სულ ერთიანად დასერილი იყო ნაცრისფერი გზებით, და ჭრელი ქალაქი ოკუპირი იდგა მის შუა როგორც თავსატეხი სათამაშო ფართო. დანაოქებულ ხელისგულზე“.

მეგონა, კარგად დავწერე, მაგრამ როცა მოთხრობა დაიბეჭდა, დავინახე, რომ გამიკეთებია რაღაც, აქრელებული თავლის პურის ან კამფეტის ლამაზი კოლოფის მსგავსი.

საერთოდ, სიტყვების ხმარება საჭიროა უსასტიკესი სიზუსტით.

მაგალითი სხვა დარგიდან: ნათქვამია, „რელიგია ოპიუმიაო“.

მაგრამ ექიმები ოპიუმს ავადმყოფებს აძლევენ, როგორც ტივილის დაყუჩების საშუალებას. მაშასადამე — ოპიუმი სასარგებლოა ადამიანისათვის, ხოლო, რომ ოპიუმს თამბაქოსავით ეწვეიან, და რომ ოპიუმის წვეისაგან ადამიანები იღუპებიან, რომ ოპიუმი შხამია, იგი არაყ-ალკოჰოლზე გაცილებით უფრო საზიანოა, ფართო მასებისათვის ეს ცნობილი არ არის.

ჩემი ყველა მარცხი მაიძულებს მოვიგონო პოეტის მწარე სიტყვები:

„არ არის ქვეყნად ტანჯვა უქეტეს — ოდენ სიტყვისა“.

მაგრამ ამის თაობაზე ჩემზე უკეთ ამბობს ა. გ. გორნფელდი წიგნში «Муки слова», რომელიც სახელმწიფო გამომცემლობამ 1927 წელს გამოსცა.

დაჟინებით ვურჩევ, ახალგაზრდა თანამოკალმე ამხანაგებს წაიკითხონ ეს ძალიან კარგი წიგნი.

„ცივია და უბადრუკი დატაკი ჩვენი ენა“, — თქვა: ვგონებ. ნაღსონმა; იშვიათად, თუ რომელიმე პოეტს არ გამოუთქვამს საყვედური ენის „სილატაკის“ გამო.

მე მგონია, რომ ეს არის საყვედური არა რუსული, არამედ.

საერთოდ, ადამიანის ენის „სილატაკეზე“ და მას ის იწვევს, რომ არსებობს ისეთი შეგრძნებანი და აზრები, რომელთაც სიტყვით ვერ დაიქვრ. ვერ გამოთქვამ. სწორედ ამაზე შესანიშნავად ლაპარაკობს გორნფელდი. მაგრამ, თავს თუ დავანებებთ „სიტყვით გამოუთქმელს“ — ქრუსული ენა ამოუწურავად მდიდარია და სულ უფრო მდიდრდება საოცარი სისწრაფით. ენის ზრდის სისწრაფეში რომ დავრწმუნდეთ, საკმაოა ერთმანეთს შევადაროთ სიტყვების მარაგი — ლექსიკონი — გოგოლისა და ჩეხოვისა; ტურგენევისა და, მაგალითად, ბუნიჩისა. დოსტოვესკისა და, ვთქვათ, ლეონოვ ლეონოვისა. ამ უკანასკნელმა თვითონ განაცხადა პრესაში, რომ დოსტოვესკის ენათესავენ: მან შეეძლო ეთქვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში — მაგალითად გონებრივ შეფასებაში — დამოკიდებულა ლევ ტოლსტოინზე. მაგრამ ორივე ეს დამოკიდებულება ისეთია, რომ მოწმობენ მხოლოდ ახალგაზრდა მწერლის ღირსებას და სრულებითაც არ ჩრდილავენ მის თავისებურებებს. რომანში „ქურდი“ მან სავსებით უდავოდ ნათელჰყო, რომ მისი ენობრივი სიმდიდრე გასაოცარია: მან უკვე მოგვცა მთელი რიგი თავისი, ძალიან ზუსტი სიტყვებისა, რომ არაფერი ვთქვათ მისი რომანის აგებულებაზე, რომელიც განცვიფრებთ თავისი ძნელი და საინტერესო კონსტრუქციით. მე ვფიქრობ, რომ ლეონოვი რაღაც ძალიან ორიგინალური „თავისი ხმის“ ადამიანია; მან ეს არის დაიწყო თავისი სიმღერა და ზღეს ვერ შეუშლის ვერც დოსტოვესკი; ვერც სხვა ვინმე.

მართებული იქნება მოგაგონოთ, რომ ენას ხალხი ქმნის. ენის დაყოფა ლიტერატურულ და ხალხურ ენებად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს, ასე ვთქვათ, „ნედლი“ და ოსტატების მიერ დამუშავებული ენა. პირველი, ვინც შესანიშნავად გაიგო ეს, იყო პუშკინი: მანვე პირველმა გვიჩვენა, როგორ უნდა ვისარგებლოთ ხალხის ლიტყვიერი მასალათ, როგორ უნდა დავამუშაოთ იგი.

მხატვარი — თავისი ქვეყნის, თავისი კლასის გრძნობების გამო-მხატველია. მისი ყური, თვალი და გულია; იგი თავისი ენოქის ხმაა. ის ვალდებულია იცოდეს, რაც შეიძლება მეტი; რაც უფრო უკეთ ეცოდინება წარსული, მით უფრო გასაგები იქნება მისთვის ახლანდელი დრო. მით უფრო ძლიერად, ღრმად იგრძნობს ჩვენი დროის უნივერსალურ რევოლუციონერობას და მისი ამოცანების სიდიადეს. აუცილებლად საჭიროა ხალხის ისტორიის ცოდნა და ასევე აუცილებელია მისი სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების ცოდნა. მეცნიერები — კულტურის ისტორიკოსები, ეთნოგრაფები — მიუთითებენ, რომ ეს აზროვნება გამოხატულია ზღაპრებში, ლეგენდებში, ანდაზებსა და თქმულებებში. სწორედ ანდაზები და თქმულებე-

ბი გამოხატავენ ხალხის მასების აზროვნებას განსაკუთრებული ჰკუისსაწავლი სისრულით და დამწყები მწერლებისათვის მეტად სასარგებლოა გაეცნონ ამ მასალას არა მხოლოდ იმისათვის, რომ იგი ჩინებულად ასწავლის მათ სიტყვის ეკონომიას. საუბრის დაწურულობას და ხატოვნებას, არაჟედ აი, რატომ: საბჭოთა ქვეყნის რეცობრივად ჰარბო მოახლოება გლუხობაა — ის თიხა, რომლიდანაც ისტორია ქმნიდა მუშებს, მეშჩანებს, ვაკრებს, ხუცებს. ჩინოვნიკებს, აზნაურებს, მეცნიერებსა და მხატვრებს. გლუხობის აზროვნებას განსაკუთრებული მონდომებით ზრდიდნენ სახელმწიფოებრივი ეკლესიის მსახურნი და მისგან გამდგარი სექტანტები. იგი გველთაგან მიჩვეულია აზროვნებას მზამზარეული. გაშეშებული ფორმებით. აი. თუნდაც ანდაზებისა და თქმულებების უმეტესობა მეტი არაფერია. თუ არ ეკლესიის მსახურთა მოკლე ჰადაგება. «Сильную руку — богу судить», «Подумаешь — горе, раздумаешь — божья воля», «Где смерд подумал, там бог не был», «Ты богу угоди, а сам думать — погоди!», «Тише едешь — дальше будешь», «Не в свои сани не садись». «Всяк сверчок знай свой шесток» — არსებობს ასობით ასეთი ანდაზა და თვითეულ მათგანში ადვილად შეიძლება აღმოაჩინო სიტყვების მიღმა დამალული. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა. „ეკლესიის მამათა“ — იოანე თქროპირის, ეფრემ სირინოზის, კირილე იერუსალიმელისა და სხვათა ჰადაგებანი.

როდესაც მე ვკითხულობდი „კონსერვატორთა“, „თვითმპყრობე-ლური წყობილების დამცველთა“ წიგნებს, იქ ვერ ვპოულობდი ჩემთვის ვერაფერ ახალს სწორედ იმიტომ. რომ მათი ყოველი გვერდი იმეორებდა გაშლილი ფორმით — ფართო მსჯელობით — ჩემთვის ბავშვობიდან ცნობილ ამა თუ იმ ანდაზას. სავსებით ნათელი იყო, რომ კონსერვატორების — კ. ლეონტიევის, კ. პობედონოსცევისა და სხვათა — მთელი დიდი სიბრძნე გაელენთილია იმ „ხალხური სიბრძნით“, რომელშიც ყველაზე უფრო შეკუმშულად გადმოცემულია საეკლესიო მოძღვრება.

არის, რასაკვირველია, სხვა შინაარსის ანდაზათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაგალითად, «Нам — жить в кротости. а нас палкой по кости», „Богом барину — телятинка жарена, а мужику — хлебушка краюха да — в ухо», «Живем — не тужим, бар не хуже, они — на охоту, мы — на работу. они — спать, а мы — опять, они выспятся да — за чай, а мы — цепами качай».

საერთოდ, ანდაზები და თქმულებები სანიმუშოდ აყალიბებენ

მშრომელი ხალხის მთელ ცხოვრებით, სოციალურ-ისტორიულ გამოცდილებას, და მწერლისათვის საესტეტიკო აუცილებელია გაცნობა მასალისა. რომელიც მას ასწავლის სიტყვების შეკუმშვას, როგორც თითების შეკვრას მუშტად, და სხვების მიერ ძლიერად შეკუმშული სიტყვების იმგვარად გაშლას, რომ გამოშვლებულ იქნას მათში ჩამალული ეპოქის ამოცანების მტრული, უსიცოცხლო აზრი.

მე ძალიან ბევრს ვსწავლობდი ანდაზებით, სხვაგვარად — აფორიზმებით აზროვნების. — საშუალებით. მასხოვს ასეთი შემთხვევა: ჩემი მეგობარი, ოხუნჯი მეეზოვე იაკობ სოლდატოვი ქუჩას გვის. ცოცხი ახალი აქვს, სუფთა. შემომხედა იაკობმა, მხიარულად თვალი ჩამიკრა და თქვა:

— ახალი ცოცხი კარგია, მაგრამ — ბევრს არას მარგია, დავასუფთავებ ქუჩასა, სხვები დაჰყრიან ნაგავსა.

მე მივხვდი: მეეზოვემ მართალი თქვა. მეზობლებმა რომც დაგავონ თავიანთი უბნები, ქარი სხვა ქუჩიდან მოიტანს მტვერს; ქალაქის ყველა ქუჩაც რომ დაასუფთაონ, მტვერი მინდვრებიდან მოვა, გზებიდან, სხვა ქალაქებიდან. საკუთარ სახლთან მუშაობა. ცხადია, აუცილებელია. მაგრამ იგი უფრო შედეგიანი იქნება, თუ მთელ ქუჩაზე, მთელ ქალაქში, მთელ დედამიწაზე გაიშლება.

ასე შეიძლება განავრცო ანდაზა. აი, იმის მაგალითი, თუ როგორ იქმნება იგი: ნიუნი-ნოვგოროდში ქოლერა გაჩნდა და რომელიც მეშინა ხმა დაარბია, თითქოს ექიმები კლავენ ავადმყოფებს. გუბერნატორმა ბარანოვმა ბრძანა, მეშინი დააპატიმრეთ და ქოლერის ბარაკში სანიტრად გაგზავნეთო. რამდენიმე ხანს რომ წაიმუშავა, მეშინმა თითქოს მადლობა მოახსენა გუბერნატორს გაკვეთილისათვის; ბარანოვმა კი უთხრა:

— ვინც სიმართლე იგემა, ტყუილს ვეღარ გაბედავს!

ბარანოვი უხეში კაცი იყო, მაგრამ ბრიყვი არა. ვფიქრობ, მას შეეძლო ასეთი სიტყვების თქმა. თუმცა, ხომ სულ ერთია, ვინაეც თქვა.

აი, ასეთი ცოცხალი აზრებით ვსწავლობდი ფიქრსა და წერას. მეეზოვეთა, ადვოკატთა: „ნაკაცართა“ და ყველა სხვა ადამიანთა ამ აზრებს ეპოულობდი სხვა სიტყვებით შებურვილ წიგნებში. ამგვარად: ცხოვრებისა და ლიტერატურის ფაქტები ავსებდნენ ერთმანეთს.

იმაზე, თუ როგორ ქმნიან სიტყვის ოსტატები „ტიპებსა“ და ხაზიათებს. უკვე ვილაპარაკე ზემოთ. მაგრამ შესაძლოა საჭირო იყოს ორ საინტერესო მაგალითზე მითითება.

გოეთეს „ფაუსტი“ — ერთ-ერთი უშესანიშნავესი პროდუქტია იმ მხატვრული შემოქმედებისა, რომელიც ყოველთვის „გამოგონებაა“; გამონაგონი ანუ, უფრო ზუსტად: „მიმონაგონია“ და აზრის ხორცშესხმაა სახედ. „ფაუსტი“ მაშინ წავეყიებზე, ოცი წლის რომ ვიყავი, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ გერმანელ გოეთეზე ორასი წლით ადრე ფაუსტზე წერდა ინგლისელი კრისტოფერ მარლოუ; რომ პოლონური -ბაზრული“ რომანი „პანი ტვარდოვსკი“ ასევე „ფაუსტია“, როგორც ფრანგ პოლ მიუსესი რომანი „ბედნიერების მაძიებელიც“, და რომ ფაუსტის შესახებ ყველა წიგნის საფუძველია შუასაუკუნეობრივი ხალხური თქმულება ადამიანზე, რომელმაც, პირად ბედნიერებას და ბუნების საიდუმლოებებსა და ადამიანებზე მბრძანებლობას მოწყურებულმა, ეშმაკს მიჰყიდა სული თვისი. ეს თქმულება წარმოიშვა შუასაუკუნეობრივი მეცნიერი „ალქიმიკოსების“ ცხოვრებასა და მუშაობაზე დაკვირვების შედეგად. ისინი ცდილობდნენ ოქროს მიღებას, უკვდავების ელექსირის გამომუშავებას. ამ ადამიანთა შორის იყვნენ პატროსანი მეოცნებენი, „იდეების ფანატკოსები“, მაგრამ იყვნენ შარლატანებიც, მატყუარებიც. სწორედ ამ ერთეულთა იმ მისწრაფების კრახი, რომ მიეღწიათ „უმალღესი ძალაუფლებისათვის“. იყო გაბიაბრუებული შუასაუკუნეების დოქტორ ფაუსტის ისტორიაში, ვისაც თვით ეშმაკიც კი ვერ დაეხმარა ყოვლისმცოდნეობის, უკვდავების მისაღწევად.

ხოლო ფაუსტის საცოდავი ფიგურის გვერდით შეიქმნა ასევე ყველა ხალხისათვის ცნობილი ფიგურა: იტალიაში — ეს არის პულჩინელო, ინგლისში — პონჩი, თურქეთში — კარაპეტი. ჩვენში — პეტრუშკა. ეს სახალხო თოჯინური კომედიის უძლეველი გმირია; იგი ამარცხებს ყველასა და ყოველივეს: პოლიციას, ზუცებს. თვით ეშმაკსა და სიკვდილსაც, თვითონ კი უკვდავია. ამ უხეშსა და გულუბრყვილო სახეში მშრომელმა ხალხმა გამოიყვანა თავისი თავი და თავისი რწმენა, რომ ბოლოს და ბოლოს სწორედ იგი დააძლევს ყველაფერს და ყველას.

ეს ორი მაგალითი ერთხელ კიდევ ადასტურებს ზემო თქმულს: „ანონიმური“ შემოქმედება, ესე იგი ჩვენთვის უცნობი ვიღაც ადამიანების შემოქმედება\* აგრეთვე ექვემდებარება აბსტრაქციის კანონებს. ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის დამახასიათებელი ნიშნების განვრცობას, და ამ ნიშნების კონკრეტიზებას. განზოგა-

\* ჩვენ უფლება გვაქვს „ხალხური“ ეუწოდოთ ამ შემოქმედებას იმიტომ, რომ იგი ალბათ ხელოსანთა საამქროებში წარმოიშვა საამქრო დღესასწაულების დღეებში სცენაზე წარმოსადგენად.

დებას ამ ჯგუფის ერთ სახედ. მხატვრის მკაცრი დაქვემდებარება ამ კანონებისადმი ეხმარება მას „ტიპების“ შექმნაში. ასე შექმნა წარლ დე-კოსტერმა „ტილ-ულენშპიგელი“ — ფლამანდიის ეროვნული ტიპი. რომენ როლანმა — ბურგუნდიელი „კოლა ბრუნიონი“, ალფონს დოდემ — პროვანსელი „ტარტარენი“. „ტიპიურ“ ადამიანთა ასეთი მკვეთრი პორტრეტების შექმნა შესაძლოა მხოლოდ კარგად განვითარებული დაკვირვების პირობებში, მსგავსებათა მიგნების, განსხვავებათა დანახვის პირობებში, მხოლოდ აწავლის, სწავლის და სწავლის პირობებში. სადაც არ არის ზუსტი ცოდნა, იქ მოქმედებს ვარაუდი, ხოლო ათი ვარაუდიდან ცხრა მცდარია.

მე თავს არ ვთვლი იმგვარ ოსტატად, რომ შემეძლოს ისეთი ხასიათები და ტიპები შევექმნა, რომლებიც მხატვრულად ობლომონის. რუდინია, რიაზანოვის\* და ა. შ. ტიპებისა და ხასიათების თანაბარფაოვანი იქნებიან. მაგრამ მაინც იმისათვის, რომ „თომა გორდევი“ დამეწერა, უნდა დამენახა არა ერთი ათეული ვაჭრის „შვილები. რომლებსაც არ აკმაყოფილებდათ თავიანთი მამების ცხოვრება და მუშაობა; ისინი ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ ამ ერთფეროვან „ილაჩის გამწყვეტ ლატაკურ ცხოვრებაში“ ცოტა აზრია. ასეთი. თომასავით მოსაწყენი ცხოვრებისათვის განწირულნი და მოწყენილობით შეურაცხყოფილი, ჩაფიქრებული ადამიანებისაგან, ერთი მხრივ. გამოდიოდნენ ლოთები, „მფლანგველები“, ხულიგნები. ხოლო, მეორე მხრივ, ამოფრინდებოდნენ ხოლმე „თეთრი ყვავები“. როგორც სავა მორაზოვი, რომლის სახსრებითაც იცემოდა ლენინური „ისკრა“, როგორც პერმელი გემთა მფლობელი ნ. ა. მეშკოვი. რომელიც ფულით ამარაგებდა ესერების პარტიას, კალუგელი მემანქანე გონჩაროვი, მოსკოველი ნ. შმიტი და კიდევ ბევრი სხვა. მათგანვე გამოდიოდნენ ისეთი კულტურული მოღვაწენი, როგორც ჩერეპოვეცელი ქალაქის თავი მილიუტინი და მთელი რაგი მოსკოველი და აგრეთვე პროვინციელი ვაჭრები, რომლებიც ძალიან უნარიანად და ბევრს მუშაობდნენ მეცნიერების, ხელოვნების და სხვ. დარგში. თომა გორდევის ნათლია მაიაკინიც ასევე შექმნილია სხვადასხვა ნაშნით, „ანდაზებისაგან“; მე არ შეგმცდარვარ: 1905 წლის შემდეგ. მას შემდეგ. რაც მუშებმა და გლეხებმა მაიაკინებისათვის თავიანთი გვამებით მოკირწყლეს ძალაუფლებისაკენ მიმავალი გზა. მაიაკინები, როგორც ცნობილია, მცირე როლს როდი ასრულებდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში, და ახლაც კვლავ ოცნებობენ ძველ ბუდეებში დაბრუნებაზე.

\* სლუპკოვის მოთხრობა „მძიმე დროში“ ძალიან კარგადაა დახატული ინტელიგენც-რახნოხინელის ტიპი.

ახალგაზრდობა შეკითხება: რატომ ვწერდი მაწანწალებზე?

იმიტომ, რომ ეცხოვრობდი წერილი მეშჩანობის წრეში, ვხედავდი ადამიანებს, რომელთა ერთადერთ მისწრაფებას შეადგენდა ადამიანისაგან ყალთაბანდურად გამოეწოვათ სისხლი, ექციათ იგი კაპიკებად, ხოლო კაპიკებიდან მიეღოთ მანეთები და მეც, ჩემი ცხრამეტე წლის კორესპონდენტივით, „მთელი არსებით“ შევიძულე ჩვეულებრივ ადამიანთა ეს კოლოსებური ცხოვრება. ეს ადამიანები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს. როგორც ერთ წელს მოქრილი სპილენძის შაურიანები.

მაწანწალები ჩემთვის იყვნენ „არაჩვეულებრივი ადამიანები“. არაჩვეულებრივი მათში ის იყო, რომ ეს „დეკლასირებული ადამიანები“ მოწყდნენ თავიანთ კლასს, დაკარგეს თავიანთი კლასობრივი სახის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები. ნიუნში, „მილიონკაში“, „ოქროს ასეულში“ ყოფილი შეძლებული მეშჩანები შეგობრულად ცხოვრობდნენ ჩემს ბიძაშვილთან, უწყინარ მეოცნებე ალექსანდრე კაშირინთან; იტალიელ მხატვარ ტონტინისთან, გომნაზიის მასწავლებელ გლადკოვთან. ბარონ ბ.-სთან — პოლიციის ბოქაულის თანამემწესთან, რომელიც დიდხანს იჯდა ციხეში, ძარცვის გამო, და ცნობილ ქურდ „ნიკოლა-გებერალთან“, რომლის ნამდვილი გვარიც ფან-დერ-ფლიტი იყო.

ყაზანში, „შუშის ქარხანაში“ ცხოვრობდა ოცამდე ასეთი სხვადასხვა ჯურის ადამიანი: „სტუდენტი“ რადლოვი თუ რადუნოვი; მეძველმანე-მონხუცი, რომელსაც ათი წელი კატორღაში გაეტარებინა; გუბერნატორ ანდრიევსკის ყოფილი ლაქია ვასკა გრაჩიკი; მემანქანე როძიევიჩი, მღვდლის შვილი, ბელორუსი; ვეტერინარი დაეიდოვი. უმეტეს წილად ესენი იყვნენ ავადმყოფი ადამიანები — ალკოპოლიკები; ხშირად ერთმანეთთან ჩხუბიც კი მოსდიოდათ, მაგრამ კარგად ჰქონდათ განვითარებული მეგობრული ურთიერთდახმარების გრძნობა. ყველაფერს. რის გამოიმუშავენას ან მოპარვასაც ახერხებდნენ. — ერთად ხარჯავდნენ სმასა და ჰამაში. მე ვხედავდი, რომ თუმცა ისინი ცხოვრობენ „ჩვეულებრივ ადამიანებზე“ უფრო ცუდად. მაგრამ თავს მათზე უკეთესად გრძნობენ, და ეს იმიტომ, რომ ხარბები არ არიან, ერთმანეთს არ აპრჩობენ. ფულს არ აგროვებენ. ზოგიერთ მათგანს კი შეეძლო დაგროვება. მათ კიდევ შერჩენოდან „მეურნეობრიობის“ ნიშნები და „წესიერი“ ცხოვრების სიყვარული. დაგროვება მათ შეეძლოთ იმიტომ, რომ მოხერხებულ და იღბლიან ქურდს ვასკა გრაჩიკს მათთვის ხშირად მოჰქონდა თავისი ნადავლი და აბარებდა „ხაზინადარ“ რომიევიჩს,

რომელიც უკონტროლოდ განაგებდა ქარხნის „მეურნეობას“ და საოცრად რბილი, უნებისყოფი კაცი იყო.

მანსოვს რამდენიმე ასეთი სცენა: ვიღაცამ მოიპარა და მოიტანა კარგი სანადირო ჩექმები. გადაწყვიტეს, გაეყიდათ და ექვიფათ. მაგრამ ავადმყოფმა რომივეიჩმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ პოლიციამ სცემა, თქვა რომ ჩექმის ყელი შეიძლება გავყიდოთ, მაგრამ პირი „სტუდენტს“ უნდა მივცეთ, რადგან სულ მთლად დახეული წაღებით დადისო.

— გაცივდება, ფეხებს გაფშეკს. კარგი ადამიანი კია.

ჩექმებს ყელები დააქრეს, მაგრამ ძველმა კატორღელმა არჩია. ყელებისაგან ორი ქალამანი შეეკერათ, ერთი — მისთვის, მეორე — რომივეიჩისათვის. ამგვარად, ვეღარ იქეიფეს ჩექმებით. გრაჩიკმა ამ ადამიანებთან თავისი მეგობრობა და მათთვის გულუხვი დახმარება ახსნა თავისი სიყვარულით „განსწავლულთადმი“.

— მე, ჩემო ძმაო, განათლებული კაცი ლამაზ ქალს მირჩევენია, — მითხრა მან. იგი საოცარი კაცი იყო, შავთმიანი, დახვეწილი ლამაზი სახისა: ჩინებული გაღიმება იცოდა; მუდამ ჩაფიქრებულს, სიტყვაძვირს, უეცრად დაეუფლებოდა ხოლმე შმაგი, თითქოს გიჟური მხიარულება; ცეკვავდა, მღეროდა, ყვებოდა თავის წარმატებათა ამბებს, ეხვეოდა ყველას, თითქოს ომში, სასიკვდილოდ მიდისო. იგი თავისი რესურსებით „ზადნაია მოკრაიას“ ქურაზე, — სადაც ახლა მოსკოვის ვოგზალია, — ბუტოვის ტრაქტირის სარდაფში ინახავდა რვა მათხოვარს, მოხუცებს; მათ შორის იყო ერთი ახალგაზრდა შეშლილი ქალი, ერთი წლის ბავშვი ჰყავდა. ქურდობა გრაჩიკმა ასე დაიწყო: გუბერნატორის ლაქიად ყოფნის დროს თურმე ერთი ღამე შეყვარებულთან დარჩა. როცა ნაბახუსევო, დილით შინ ბრუნდებოდა, მერძევე ქალს ერთი კათხა რძე გამოჰგლიჯა და შესვა; ხელი სტაცეს; ჩხუბი ატეხა; მკაცრმა მომრიგებელმა მოსამართლემ კოლონტაევმა, დიდმა ლიბერალმა, ციხეში ჩასვა. სასჯელი რომ მოიხადა, ვასკა კოლონტაევის კაბინეტში შეიპარა. ქაღალდები დაუხია და წამოიღო შალვიძარა საათი, დურბინი. კვლავ ციხეში ამოჰყო თავი. მე იმ დროს გავიცანი, როდესაც მარცხიანი ქურდობის შემდეგ, თათრების გარეუბანში ღამის დარაჯები მოსდევდნენ; ერთ მათგანს ფეხი დავეუდე და ამით დავეხმარე ვასილს, გაქცეულიყო. მეც მასთან ერთად გავიქეცი.

საოცარი ხალხი იყო მაწანწალათა შორის და ბევრი რამ არ მესმოდა მათი, მაგრამ ძალიან მომწონდა, რომ ისინი არ უჩიოდნენ ცხოვრებას, ხოლო „ობივატელთა“ კეთილდღეობაზე დაცინვით ლაპარაკობდნენ — ირონიით და არა დაფარული შურისძიების.



გრძნობით; ლაპარაკობდნენ არა იმიტომ. რომ „კატა ვერ შესწვდა ძეხესაო...“ არამედ თითქოს სიამაყით. იმის შევნიშნა. რომ ისინი — თუმცა ცუდად ცხოვრობენ, მაგრამ თავისთავად მათზე უკეთესნი არიან, ვინც „კარგად“ ცხოვრობს.

ჩემ მიერ „ყოფილ ადამიანებში“ გამოყვანილი ლაპარაკისათვის მუხატრონე კუვალდა პირველად მომრიგებელი მოსამართლის კოლონტაევის კამერაში ვნახე. გამოაცა საკუთარი ღირსების იმ კრძანობამ, რომლითაც ეს ჩამოძინებული კაცი უნასუბებდა მოსამართლის კითხვებს, ზიზღმა, რომლითაც იგი ევამათებოდა პოლიციელს. ბრალმდებელს. და დაზარალებულს — მიკიტანს, ვინც მას გაელახა. ასევე გამოაცა ოდნეული მაწანწალას უწყინარმა დაცინვამ, ვინც მომითხრო „ჩელკაში“ აღწერილი შემთხვევა. ამ კაცთან ერთად მე ვიწეკი ქალაქ ნიკოლაევრს (ხერსონისა) საავადმყოფოში. კარგად მახსოვს მისი ღიმილი, ჩინებული თეთრი კბილები ვამოუჩინდებოდა ხოლმე.

გაიღიმა მან, როცა მიახმობოდა ბიკის ამბავი.

მან მომაგონა დიუმას „კეთილშობილი“ გმირები. საავადმყოფოდან ერთად გამოვედი. ბანაკის ლუნეტში რომ ვიჭეკით ქალაქგარეთ, მან ნესვი მომიკითხა და წინადადება მომცა:

„გინდა, ჩემთან ერთად ხელი მოაკალო კარგ საქმეს? როგორც ვფიქრობ, გამოდგები“.

ძალიან მესიამოვნა ეს წინადადება, მაგრამ იმ დროს უკვე ვიცოდი, რომ არსებობს უფრო სასარგებლო საქმე, ვიდრე კონტრაბანდა და ქურდობა.

აი, რით აიხსნება ჩემი გატაცება მაწანწალებით — სურვილი მქონდა დამეხატა „არაჩვეულებრივი“ ადამიანები, და არა მათხოვრები, მეშჩანები.

ამ საქმეში, ცხადია, გამომკლავნდა საზღვარგარეთული, უპირველესად, ფრანგული ლიტერატურის გავლენა, რომელიც რუსულზე უფრო კოლორიტული და ნათელია. მაგრამ აქ უმთავრესად მოქმედებდა იმის სურვილი, რომ ჩემი მხრივ „გამონაგონით“ შემელამაზებინა „ილაქის გამწყვეტი ლატაკური ცხოვრება“, რაზეც ლაპარაკობს თხუთმეტი წლის გოგონა.

ამ სურვილს, როგორც უკვე ვთქვი, „რომანტიზმი“ ეწოდება. ზოგიერთ კრიტიკოსს ჩემი რომანტიზმი ფილოსოფიური იდეალიზმის გამონატულებად მიაჩნდა. ვფიქრობ, ეს მართალი არ არის.

ფილოსოფიური იდეალიზმი ქადაგებს, რომ ადამიანზე, ცხოველებზე და ყველა საგანზე მალა, რომელთაც ადამიანი ქმნის, დგას და ბატონობს „იდეები“. ისინი წარმოადგენენ სრულყოფილ

ნიმუშებს ყოველივესი, რასაც კი ადამიანები ქმნიან, და ადამიანი თავის მოქმედებაში სავესებით დამოკიდებულია მათზე; მთელი მისი მუშაობა არის ნიმუშების. „იდეებისადმი“ მიბაძვა, რომელთა არსებობას იგი თითქოს ბუნდოვნად გრძნობს. ამ აზრის თანახმად, საღლაც ჩვენს მაღლა არსებობს ბორკილებისა და შიდაწვის ძრავის იდეა. ტუბერკულოზის ბაცილისა და სწრაფმსროლელი თოფის იდეა. იდეა გომბეშოს, მეშჩანის, კირთხის და საერთოდ ყველაფრისა. რაც კი არის ამქვეყნად და რასაც ადამიანი ქმნის. სავესებით ცხადია, რომ აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ აღიარებულ იქნას არსებობა ყველა იდეის შემოქმედისა, რომელიც არსებობს, რომელიც რატომღაც ქმნის არწივსა და ტილს, სპილოსა და ბაყაყს.

ჩემთვის არ არსებობენ იდეები ადამიანის გარეშე: ჩემთვის სწორედ ადამიანი და მხოლოდ ადამიანი არის ყველა საგნისა და ყველა იდეის შემოქმედი; სწორედ იგი არის სასწაულმოქმედი და მომავალში ბუნების ყველა ძალის მბრძანებელი. ყველაზე მშვენიერი ჩვენს ქვეყანაზე ის არის. რაც შექმნილია შრომით, გონიერი ადამიანის ხელით, და ყველა ჩვენი ფიქრი, ყველა იდეა წარმოიშობა შრომითი პროცესისაგან, რაშიც გვარწმუნებს ხელოვნების. მეცნიერების, ტექნიკის განვითარების ისტორია. აზრი ჩნდება ფაქტის შემდეგ. ადამიანის წინაშე მე იმიტომ „ვიდრეკ მუხლს“, რომ მისი გონების, მისი წარმოსახვის, მისი ვარაუდის ხორცშესხმის გარეშე ვერ გრძნობ და ვერ ხედავ ვერაფერს ჩვენს სამყაროში. ღმერთი ადამიანის ისეთივე გამონაგონია, როგორც, მაგალითად „შუქბეჭდვა“. იმ განსხვავებით, რომ „ფოტოგრაფია“ აღბეჭდავს სინამდვილეში არსებულს, ხოლო ღმერთი კი — სურათს ადამიანის გამონაგონისა საკუთარ თავზე, როგორც არსებაზე, რომელსაც სურს — და შეუძლია — იყოს ყოველისმცოდნე, ყოველისმძლე და სავესებით სამართლიანი.

და თუ საჭიროა ლაპარაკი „წმინდაზე“, — წმინდა მხოლოდ ადამიანის უკმაყოფილებაა საკუთარი თავით და მისი მისწრაფება — იმაზე უკეთესი იყოს. ვინემ არის, წმინდაა მისი ზიზღი მის მიერვე შექმნილი ყოველგვარი ხარახურისადმი ცხოვრებაში; წმინდაა მისი სურვილი. — მოსპოს ამქვეყნად შური, სიხარბე, ბოროტება, ავადმყოფობა. ომი და ყოველგვარი მტრობა ადამიანთა შორის. წმინდაა მისი შრომა.

## დამწყებ მწერლებზე

ამას წინათ გაზეთი „ჩიტატელ ი პისატელ“ იტყობინებოდა, რომ ჩვენში „სულ ცოტა თხუთმეტი ათასამდე ისეთი ადამიანია, რომელიც თავის თავს მწერალს უწოდებს“. რასაკვირველია, ეს არცთუ რსე ბევრია ასორმოცდაათმილიონიანი ქვეყნისათვის. მაგრამ ამ ცნობის ავტორ ამხანაგ ბელეცკისთან ერთად უნდა ვთქვათ:

„სჯობს ცოტა და უკეთესი“.

მე მონდომებით ვადევნებ თვალყურს ქალაქისა და მელნის მომხმარებელთა ამ მასის მუშაობას და დიდი სინანულით უნდა ვაღიარო, რომ მათ უმრავლესობას ძირითადად უწიგნურობა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ახასიათებს. აი, სხვადასხვა წიგნებიდან აღებული რამდენიმე მაგალითი:

«Вавилонская башня, у которой смешались языки».

«Отец умер, когда ему было девять лет».

«Она ему нравилась с головы до кончика ножек», — თუ იგი ინვალიდი არ არის, მის ფეხებს ერთი კი არა ორი „წვერი“ უნდა ჰქონდეს.

«Он отказал рабочему, у которого умирал ребенок, в незначительном авансе».

«Бывало бы, когда еще бабы домотканные сарафаны носили, а мужики штаны и рубахи посконные, туда сюда, а теперь обойди все Синеборье наредь в какой избе стан увидишь, ситцем да миткалем обходились, а как пришла нужда и о нем вспомнили».

აღბათ ამ ლიტერატორს ჰგონია, „ხალხური“ ენით ვწერო. მაგრამ რას ნიშნავს «бывало бы»? რატომ არ უნდა ითქვას უბრალოდ რედკო ნაცვლად «наредь»-ისა? «Наредь»-ს ეძახიან მსხვილად ნაქ-

სოვ ბადეს, და გარდა ამისა — ფეხსაწმენდსაც. «Стан»-ი ზოგიერთ გუბერნიაში ფორანის ოთხ თვალს ჰქვია.

რუსული ენა ჩვენში ძალიან ცუდად იცინა. ახალგაზრდა პოეტი წერს: «*Может быть, вы будете смеяться около моих стихов*». აფსუს! აღიარებული პოეტებიც კი ისე წერენ ლექსებს, რომ სიცილს ვერ შეიკავენ, მაგალითად:

«*О вещи! Дано вам могущество власти, дано вам оттапливать, радовать, сечь*». როგორც ჩანს, პოეტი ჯეროვნად არ გაუწყებლავთ<sup>1</sup> და მან არ იცის, რომ სკამით, კარადით ან სკივრით გაწყებლვა არ შეიძლება.

ერთი რეცენზენტი საყვედურობს მოლექსეს, რომელიც მეტი სტრიქონების გულისათვის ლექსს „კეპავს“:

...შენ, ამხანაგო მწერალო,  
ჩვენში  
ჩაც უნდ იყვირო,  
მოკყვე გოდებას,  
ჩვენს ქარხნებში და  
მალაროებში  
ეგ შენი წიგნი მოგვეპოვება...

გამოდის რვა სტრიქონი!

რა საჭიროა ეს? განა გაცილებით უკეთესი არ იქნება წასაკითხადაც და, ბოლოს, ეთიკური და ესთეტიკური მოსაზრებითაც, ასე რომ იყოს:

შენ, ამხანაგო მწერალო, ჩვენში  
ჩაც უნდ იყვირო, მოკყვე გოდებას,  
ჩვენს ქარხნებში და მალაროებში  
ეგ შენი წიგნი მოგვეპოვება.

ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ შინაარსის, მუსიკალობის, მოხდენილი განლაგების და ა. შ. თვალსაზრისით, „დანაწევრებული სტრიქონები“ უკეთესია?

მაგრამ კრიტიკოსი ვერ ხედავს, მას არ ესმის, რომ «*как ни*» არა მარტო ბრძანებითს კილოში, ფონეტიკურადაც არა „მუსიკალურია“. შეუძლიათ მიგვითითონ: „აღდგომის“ პირველ სტრიქონებში ლევ ტოლსტოიმ ერთ ფრაზაში სამჯერ იხმარა «*как ни*». მაგრამ ამ შემთხვევაში ტოლსტოისაც კი არ უნდა მივბაძოთ.

ახალგაზრდა მწერლები გაზეთების მეტს არაფერს კითხულობენ და საგაზეთო სტატიების მშრალი ენის ტყაცანით დარეტიანებულთ, სავსებით არ ესმით ცოცხალი მეტყველებითი ენის ბგერითი კაპრიზები.

<sup>1</sup> Сечь — წკებლვა.

ერთ ლიტერატორს, დიდი რომანის ავტორს, რომ მივეუთითებდი თუ ერთმანეთის გვერდით ნახმარი ორი სიტყვა როგორ წარმოშობს ზედმეტ და, ხშირად, სასაცილო მესამე სიტყვას, მე მას მოვაგონე ანდაზური თქმა: «*Кишка кишке кукиш кажет*». მან გამოაქვეყნა ჩემთან გამართული საუბარი და ანდაზური თქმა ამგვარად გაიმეორა «*Кишка кишке кажет кукиш*», ამასთან, ვერ შეამჩნია, რომ ორი უკანასკნელი სიტყვით მესამედ შეიქმნა «*кишка-же*», — ენის თამაში, რომელიც საინტერესოს ხდის თქმას, გარდა მისი სახეობისა. ასეთი სიყრუე ახალგაზრდა მწერლებს იშვიათად როდი სჩვევიათ. ერთ ხელნაწერში წავიკითხე:

«*Сняв комнату на день раньше ее*»...

მეორეში:

«*Он писал стихи, хитроумно подбирая рифмы, ловко жонглируя пустыми словами*», — ავტორს არ ესმის თავის ფრაზაში «*жихиканья*», იგი ვერ ამჩნევს «*мыло*»-ს.

მესამე წერს:

«*Сквозь чашу кустарника продирался мокрый Василий и истошно кричал: «Братцы, щуку пымал, ей-богу!»* პირველი «*щука*» — აშკარად ზედმეტია. ასეთი სიყრუის ნიშნები აურაცხელია დამწეები მწერლების „შემოქმედებაში“.

მათი სოციალური მცირემცოდნეობა ლიტერატურულზე უფრო თვალსაჩინოა. ლიტერატურის ისტორია მათ არ იციან, კლასიკოსებს ცოტას კითხულობენ, სინამდვილეს ისინი სწავლობენ გაზეთებით და თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ საგაზეთო სტატიებში იპოვონ „საუღლისო ჭირვარაშის აჰსახველი“ ლექსების თემა. მათ მიერ გამოგზავნილი წერილები და ის ბარათები, რომლებსაც საუბრების დროს მაწოდებენ, გასაოცრად ანეკდოტურია. მაგალითად, ერთი მათგანი ჩივის:

მე დაწერე:

გაზაფხულს მწვანე წიწვნარი ხმაურობს,  
მწვანე წიწვნარი გუგუნებს გაზაფხულს.

რედაქტორმა კი მითხრა: ეს ნეკრასოვიდან ავიღეო. ნეკრასოვი ქერ არც წაზიკითხაეს. როგორ ვუპასუხო რედაქტორის შეცდომას?

შეიძლება ასეთი რჩევა მისცე: წაიკითხეთ ნეკრასოვი. მაგრამ ასეთ ბარათს ჩვეულებრივად არ პასუხობ, არ გინდა, რომ მელექსე სასაცილოდ აიგდონ. ძალიან ხშირად მეკითხებიან:

„ნუთუ მწერლისათვის აუცილებელია ნიჭი, ტალანტი?“

ან კიდევ:

რა უნდა მოიმოქმედოს თვითუელმა მწერალმა საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის? ნუთუ საქირაო მათემატიკის, ასტრონომიის და კიდევ სხვა რაიმე ასეთის შესწავლა?

არის ასეთი შეკითხვებიც:

რა აზრისა ხართ მწერალ ქალებზე, მართლა მწერლები არიან ისინი?

ბარათები, რომლებსაც მე მაძლევდნენ სხვადასხვა ქალაქებში გამართულ კრებებზე, ორ ჯგუფად იყოფა. ერთში ჭარბობს, ასე ვთქვათ. ხელოსნური, „საამქრული“ შინაარსის ინტერესები: რედაქტორებით, მომიჯნავე ლიტერატურული ჯგუფებით განაწყენება, საყვედური ახალგაზრდა ლიტერატურისადმი „საბჭოთა საზოგადოებრიობის“ ნაკლები ყურადღების გამო. მეკითხებიან: „როგორ უყურებთ თქვენ ფ-ს წარმატებას, ნაადრევად ხომ არ აქებენ მას?“, რატომ არაფერს წერთ ესენინის დასაცავად მის პოეზიაზე იდიოტური თავდასხმებისაგან?“, „განა მართალია, რომ ანატოლ ფრანსი ჟორესის ფსევდონიშია?“, „კლასიკოსად მიგაჩნიათ თუ არა კოროლენკო?“, „ტოლსტოის გარდა კიდევ ვინ იყო თქვენი მასწავლებელი?“, „გწამთ თუ არა ღმერთი?“, „რამ დაგაწყებინათ წერა — გამომუშავების სურვილმა თუ ეს თქვენი მოწოდებაა?“, „ძნელია წერის შესწავლა, როდესაც მწერლები ათ ნაბიჯზე არ გიკარებენ“, „ლიტერატურა გაადემიანეს. ჩვენთან, საქართველოში, ხელოვნურად ქმნიან, ხოლო შემდეგ ახალისებენ უნიკო „პროლეტმწერლებს“, რომელთა ნაწერებსაც ჩვენ არ ვკითხულობთ. თქვით ამაზე სადაც ჯერ არს. მუშა“.

ძალაუნებურად ფიქრობ: „რა... საოცარი მუშაა!“

მეორე ჯგუფის ბარათები უფრო საინტერესოა. მათში ჭარბობს კითხვები ლიტერატურულ ტექნიკაზე.

„რომელი კლასიკოსისაგან უნდა სწავლობდნენ მუშსოფლკორები?“. „როგორ უნდა წერო, გრძელი თუ მოკლე ფრაზებით?“. „როგორ უნდა გახდეს კარგი და ნამდვილი მწერალი?“. „რას გვირჩევდით სოფლკორთა მუშაობის გასაუმჯობესებლად?“. „გჯერათ თუ არა თქვენ, რომ მუშსოფლკორებისაგან შეიძლება გამოვიდნენ მხატვარი მწერლები?“ „რას მოელით მუშსოფლკორებისაგან? გთხოვთ დაწეროთ ამაზე. მუშ. სოფლკ. ჯგუფი“, „ხომ არ ეტანებიან მწერლები ახალ ფორმებს მკითხველთა მასების საზიანოდ?“, „დაწერეთ წიგნი იმაზე, თუ როგორ უნდა ვწერდეთ“.

ბევრი შეკითხვა იტალისა მუშათა მდგომარეობას შეეხება. ხარკოვში მკითხეს: „როგორ უყურებთ იმ საშიშროებას, რომ გლეხურმა სტიქიამ შეიძლება წალეკოს მუშათა კლასი?“ ეს კითხვა გამომეორეს თბილისსა და ყაზანშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ბარათები დაკვარგე და კითხვები ზუსტად აღარ მახსოვს.

ბარათების ამ ორ ჯგუფს რომ ერთმანეთს ვადარებ, მოულოდნელ შედეგს ვღებულობ, თითქმის პარადოქსულსაც კი: მუშსოფლკორების ბარათები შინაგანად უფრო კულტურულია, ხოლო ინტერესთა მიხედვით — უფრო ფართო, ვიდრე იმ ადამიანთა ბარათები, რომლებიც ალბათ საკუთარ თავს უკვე „ლიტერატურულ ამქარში“ თვლიან.

ამ ამქარის ადამიანებს, სოციალური ინტერესების შეზღუდულობის გარდა, საკუთარ თავზე უზომოდ დიდი წარმოდგენა და უღონო ქალიშვილების ავადმყოფურად გაძლიერებული მგრძნობელობა ახასიათებთ. პატარა მოთხრობა თუ დაწერეს ან ორი-სამი ხეირიანად გარითმული ლექსი დაბეჭდეს, ისინი უკვე ჭედმალურად ლაპარაკობენ თავიანთ შემოქმედებაზე და თუ რედაქტორი უარს იტყვის ამ „შემოქმედების“ დაბეჭდვაზე, ისტერიულად ჩივიან:

და მეც წავედი, წავედი ვიჟ ნაცემი და დამდურული ძალი.

ძალი აქ ვერ არის კარგად მოგონილი. თუ მას სცემეს, იგი წავა კი არა, გაიქცევა, იმას როდი დაელოდება, რომ მდულარეც გადაასხან; ხოლო თუ იგი დამდურეს, აღარც იმას დაელოდება, რომ სცემონ.

ასევე რედაქტორის გულგრილობით გულმოკლული მეორე ახალგაზრდა გაპყვირის: „ვევედრებოდი ადამიანური დამოკიდებულება გამოეჩინა ჩემს მიმართ კი არა, ჩემი ნაწარმოებისადმი, რომელსაც სიხარულით ვწერდი. აი, განსაჩეთ, ა. მ., სოციალისტური ადამიანის თვისება. ეს რაღა ჭანდაბის სოციალიზმია!“ ერთ მწერალს იმაზე მივუთითე, რომ ჟურნალები ცოტა გვაქვს და რედაქტორები გადატვირთული არიან ასობით ხელნაწერებით, ვერ ასწრებენ მათ წაკითხვას-მეთქი. მან კი ასე მიპასუხა:

„ეს მე არ მეხება. მათ დაავალეს საქმე; კეთილ ინებონ, იმუშაონ და თვითმკვლელობის განზრახვამდე ნუ მიიყვანენ ადამიანებს“. თვითმკვლელობით საკმაოდ ხშირად იმუქრებიან. რედაქტორები, დამწყები მწერლების წარმოსახვით, — უმზაკვრესი ადამიანები და ლიტერატურის უსასტიკესი მოძულენი არიან. ახალგაზრდა მწერლების მიერ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ძალიან კარგად არის გამოხატული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან მიღებული ორი ბარათის შემდეგი სიტყვებით:

როგორც ბუნებისგან დიდი ტალანტით დაჯილდოებული, მე მოვითხოვ განსაკუთრებული ყურადღება მომაქციოთ. ვიცი, რომ თქვენ არ ზოგავთ დროს, რათა იჩახიროთ უნიკობებთან, როგორცაა... და ა. შ.

მე გლახი მწერალი, მოსახლეობის ყველაზე უფრო მკიდრო მასის წარმომადგენელი ვარ და, მაშასადამე, უპირატესობის უფლება მაქვს. დაუყოვნებლივ განიხილეთ ჩემი ხელნაწერი.

ესპანური სიამაყის ამგვარი გამოვლინებანი — ცოტა როდია რაეისი ფორმით ისინი თუმცა სასაცილოა, მაგრამ მათი ამოწერა მაინც მოსაწყენია.

ერთ-ერთი ასეთი შეურაცხყოფილი „ესპანელი“ ამტკიცებს, რომ მისი ნაკვეთები იბეჭდებოდა პროვინციულ პრესაში და, თითქოს, „კომსომოლსკაია პრავდაშიც“ კი. იგი განაწყენებულა გამომცემლობებზე, რომლებსაც არ სურთ მისი ნაკვეთების შექცენა, და ძალიან დამახასიათებელ რამეს მწერს:

ასი დამწყები და იმედისმომცემიდან ასივე კაცი გახდებოდა, ამ დამწყებათ და იმედისმომცემთ საზიზრად, ხეპრულად და ქედმაღლურად რომ არ ეპყრობოდეს ბევრი რედაქტორი და მათ მიმართ გულცივობას რომ არ იჩენდნენ სახელმოხვეპილი მწერლები.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რაც უფრო კულტურულად მცირემცოდნეა მწერალი, მით უფრო მონდომებით და აშკარად ესწრაფვის იგი „კაცად გახდომას“. აი, ახალგაზრდა კაცი მთხოვს მიუუთითო: „როგორ შეიძლება ძალიან სწრაფად გაიგოს ყველაფერი ის, რაც მწერალმა უნდა იცოდეს?“ ეს თხოვნა ზუსტად გამოხატავს ძალიან ბევრი მწერლის მისწრაფებას — რაც შეიძლება მალე გაიგოს რაღაც, რაც საჭიროა იმისათვის, რომ „კაცი გახდეს“.

თითქოს დროა ვიცოდეთ: „კაცად კი არ ხდებიან“. არამედ გამოდიან დაკვირვების, შედარების შესწავლის გზით. ადამიანი დაითხოვილი დადიოდა ათეულობით ათასი წელიწადი, იმ დრომდე, სანამ წინა თათებში არ აიღო ცოდნის მაგარი კვერთხი. მაგრამ უკანა ფეხებზე რომ დადგა, მან დაუჭერებლად სწრაფად — მის ისტორიამდელ წარსულთან შედარებით — შექმნა ჰომეროსები, შექსპირები, ბალზაკები, ლომონოსოვები, პასტერები, მენდელეევიები, ლენინები.

აშკარად შეიმჩნევა, რომ ცოდნისაკენ მისწრაფება სუსტად არის განვითარებული დამწყებ მწერალთა შორის. ისინი ცოტას კითხულობენ. პოეტებს ზედმეტად მიაჩნიათ პროზის კითხვა, პროზაიკოსები ლექსებს არ კითხულობენ, მაგრამ ერთნიც და მეორენიც ერთნაირად ჩქარა წერენ არაფრისმთქმელ რეცენზიებს ერთმანეთზე. თუ მიუთითებ, რომ აუცილებელია კულტურის ისტორიის შესწავლა, ფიცხად შეგვეკამათებინ: „ეს ჩვენ არ გვესაჭიროება, ჩვენ საკუთარს ვქმნით“ ან: „ჩვენ საკუთარი გვაქვს“, — თითქოს მათ



სხვისი ძროხის მოწვევლას ავალებენ. ხშირად ასე ხდება: გამოგზავნის პოეტი ლექსებს და მათ წაკითხვას გთხოვს. წაკითხვამ, მისწერ შენს აზრს მის „შემოქმედებაზე“ და პასუხად ასეთ ბარათს ღებულობ:

ლექსების ფოსტო მიღებული ატესტაციის პასუხად შემიძლია ჩამოვაყენო საღი ლოგიკურობისა და საკუთარი სიმარჯლისადმი რწმენის საბუთები, კერძოდ: ჩემი ლექსები ხატოვნად უპასუხებენ განწყობილებისა და სინამდვილის სულს, ზოგიერთი ლექსის რიტმი ლერმონტოვისეულია, ხოლო სხვებში მოჩანს რუსი პოეტი-ნაროდნიკების სული. მუსიკაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ლექსებში იმ ადამიანის სული არის ჩაქსოვილი, ვინც რუსი ხალხის როგორც საერთო, ასევე კერძო ცხოვრების განწყობილების მიხედვით იტანჯება. უბრალოება და ცხოვრებასა და პოეზიაზე გულდებრყვილო შეხედულება უოველგვარი შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი. აზრის გადაცემასა და სულის აღტაცებაში ტექნიკას არა ვცნობ. ლექსების წერას გაეაგრძელებ შემუშავებული საკუთარი ზნეობის სულისკვეთებით, ვფიქრობ, არ შევცდები, ხოლო მონანიება, წინასწარ ვიტყვი, არ დაშვირდება.

მისი „შემოქმედება“ კი ასეთია: იგი თხზავს ლექსებს „ნატურალიდან“:

#### ბარათზე ამოსულ გირილასადმი

შენ შეათარე თავი ბარჯას, სიმშვიდე კპოვე,  
ჩანს, შენი თესლი განგების ნებით ქარიშხლის ფრთებმა  
აქ მოაქროლეს.  
იზრდები, მქრქალო, კიჩოს გვერდით დალექილ ქუქუში.

აქვს მას ასევე მშვენიერი მიძღვნა „მანანასადმი, რომელიც ბაზარზე სამ კაპიკად იყიდა“.

მეორე „შემოქმედი“ წერს:

ვალთარებ, რომ მე არა მაქვს ნიქი, მაგრამ ვესწრაფვი ამ საქმეს და წარმატებაც მაქვს; დაებეჭდე ერთი ლექსი გახეთში.

სამწუხარო იუმორისტიკაა, ძალიან სამწუხარო! ხოლო ძლიერ სავალალო ის არის, რომ ახალგაზრდობა ცუდად იცნობს სინამდვილეს; ამიტომაც, „კაცად გახდომას“ რომ ცდილობს, თითქოს სავსებით გამოვარდა სინამდვილიდან და არ გრძნობს, რომ უდიდესი რევოლუციის ეპოქაში, ტრაგიკული, დიდი კატასტროფების წინა დღეს ცხოვრობს.

მომრავლდნენ ყბედები, ისინი მხოლოდ იმიტომ კითხულობენ, რომ ვინმეს „შეეკამათონ“, თავიანთი რევოლუციონურობა ყვირილით გვამცნონ და უფრო თავმდაბალი, უფრო სერიოზული ადა-

მიანების წინ გამოხტენ. ერთ სტატიაში მე ვიკითხე: რატომ არ უნდა მიუახლოვდნენ „დამწყები“ მწერლები სინამდვილეს, რატომ არ უნდა გამოდიოდნენ ისინი ლუდხანების ესტრადებზე, რატომ არ უნდა უსმენდნენ იმ, უმეტეს შემთხვევაში, ასევე ახალგაზრდა ადამიანების კრიტიკას, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ იმიტომ კი არ დადიან ლუდხანებში, რომ სვან, არამედ იმიტომ, რომ უკვე მოსწეინდათ კინოს უფერული, მუნჯი აჩრდილები?“

ორი იალტელი პოეტი წინააღმდეგია:

თქვენი რჩევა დიდად მცდარ და მავნე აზრად, ესენინშინის წაქეზებად მიგვაჩნია. თქვენ ობიექტურად აშართლებთ ესენინშინას, აღიარებთ მას, მის წინააღმდეგ ბრძოლისაგან ხელის აღებისაგან უბიძგებთ საბჭოთა საზოგადოებრიობას.

შემეკამათნენ და დაამტკიცეს, რომ ყურადღებით კითხვას ისინი ჭერ კიდევ ვერ მიჩვეულან; ვერ გაუგიათ, რომ ლუდხანებში, ისევე როგორც მუშათა კლუბებში, არა მარტო ლუდის სმა, ლექსების კითხვაც შეიძლება. მუშათა კლუბებშიც ახალგაზრდა პოეტები დიდი ხალისით არ დადიან. ორი პოეტის მყვირალა ფრაზებს მათ მართლმორწმუნეობაზე აბათილებს „მოსკოვის პოეტთა საინიციატივო ჯგუფის“ განცხადება; ისინი „იზვესტიაში“ წერენ:

ჩვენ ახალგაზრდა პოეტებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებას მივაქცევთ ა. შ.-ს წინადადებას. ეს არის ესტრადის გაჯანსაღების ერთ-ერთი გზა. ემარა განსახკომის კისერზე ჯდომა! საჭიროა მოეწყოს „ღია ესტრადის პოეტთა სექცია“.

მაგრამ, ვგონებ, ეს კეთილი განზრანვაც მხოლოდ ხმამაღლა წამოძახებად დარჩა. ასეთი შემთხვევა მიამბეს: ახალგაზრდა მწერლებს უთხრეს ორი თვით სწვეოდნენ კოლმეურნეობებს, ენახათ მათი მუშაობა. თქვესმეტ მწერალს შესთავაზეს წასვლა. ლიტერატურულ ჯგუფებს შორის მაშინვე გაიმართა ბრძოლა „ადგილები-სათვის“, გაჩაღდა დავა: რამდენი კაცის გაგზავნა შეუძლია ამა თუ იმ ჯგუფს? დავის შედეგად კი კოლმეურნეობაში გაემგზავრა ორი თუ სამი მწერალი. კიდევ მითხრეს: მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილებამ სთხოვა მწერლებს გაეწიათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა „დასასვენებელ სახლებში“, სადაც, როგორც ცნობილია, თავს იყრის ძალზე სხვადასხვაგვარი ხალხი და დაკვირვების ფართო შესაძლებლობა არსებობს. არც ეს განხორციელდა რატომღაც. ახალგაზრდა პროზაიკოსები და პოეტები იშვიათად თუ ეწვევიან ხოლმე მუშათა კლუბებს.

დამწყებ მწერალთა ინტერესი სინამდვილისადმი აშკარად შენელებულია, მათ სუსტად აქვთ განვითარებული დაკვირვების უნა-

რბ. ადამიანები, საერთოდ და ყოველთვის რამდენადმე ჩქარობენ „საბოლოო დასკვნის“ გამოტანას. ეს ნაკლი განსაკუთრებით დამახასიათებელია ახალგაზრდობისათვის. სიჩქარე იწვევს რაოდენობრივად ჭარბი აქტების აღნუსხევას, ხოლო ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია — როგორც ყველგან მსოფლიოში — უარყოფითი ხასიათის ფაქტები. რასაკვირველია, ამ ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, აუცილებელია მათი დაუნდობელი მხილება. ამას სატირა გააკეთებდა, მაგრამ ჩვენს პოეტთა და პროზაიკოსთა შორის არ მოიძებნებინან სატირიკოსები, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მწერლებს არ გააჩნიათ „ჭარბი“ ფაქტებისადმი სიძულვილის პათოსი.

შემდეგ: ჩვენს სინამდვილეში სავსებით აუცილებელია ყველა იმ თვისობრივად მნიშვნელოვანის, ახლის, „დადებითის“ აღნიშვნა, გაშუქება, გამოხატვა. რაც მასში განუხრელად იზრდება. ამ ახალს ცუდად გრძნობენ დამწყები მწერლები. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ისინი არ იცნობენ ძველს და უფრო ბეჭითად უსმენენ სიტყვებს, ნაცვლად იმისა, რომ ისწავლონ ახლის დანახვა საქმეებში — წარსულისა და დრომოკმულის დრამატულ ბრძოლაში დღევანდელთან, ცხოვრებაში რომ მკვიდრდება. ისინი შეამჩნევდნენ ამ ახალს, თვალყურს რომ ადევნებდნენ მეცნიერების მუშაობას და მუშათა ცხოვრებას. რომლებიც მარტო არაყს კი არ სვამენ, არამედ ნამდვილად გმირულად, ზღაპრულად ძნელ პირობებში აშენებენ თავიანთ სახელმწიფოს. როცა თანამედროვე პოეტების ლექსებს კითხულობ — ეს ლექსები გაოცებს გულცივი, ბრიუსოვი-სეული რიტორიკით ან სისხლნაკლული „რევოლუციური ლირიკის“ სიჭარბით, რომელშიც სავსებით არ ჩანს ჯანრი. ფაქტი. მოქმედი ადამიანი. ხომ დროა გავიგოთ, რომ ჩვენი სამყარო შექმნილია არა სიტყვით, არამედ ქმედობით, შრომით.

აი, ერთი მახინჯი ნიშანი წარსულის ცუდი ცოდნისა: ამას წინათ მივიღე „მწერალთა ასოციაციის წევრის“ მიერ გამოგზავნილი ბარათი:

ა. მ! ჩვენთან ახლა ცხარე დისკუსია მიმდინარეობს თემაზე — „რა და ემართათ გორკის მაწანწალებს?“ დავობენ: მუშები, კომკავშირი, მოსწავლეები, ერთი სიტყვით, ყველა დავობს, მაგრამ არსს მაინც ვერ ჩაეწვდით, რა მოუვიდათ: ყველანი „კომისრები“ გახდნენ თუ მუშათა კლასს შეერწყნენ. აუცილებლად გვიბასუხეთ და ჩვენ კვლავ ეძღავეთ (ხაზგასმულია ღია ბარათის ავტორის მიერ).

შესაძლოა, ეს ხუმრობა იყოს. მაგრამ მაშინ ეს ისეთი ხუმრობაა, რომლისთვისაც ლაზღანდარებს უურებს აუწივენ ხოლმე. მე

მგონია, რომ „ღია ბარათი“ უბრალოდ მისი ავტორის უცოდინა-რობის შედეგია, რომელიც ალბათ არ იცნობს კომისართა ბიოგრაფიებს. მათ გმირულ წარსულს, და, გარდა ამისა, „მწერალთა ასოციაციის წევრი“, თავისი სულიერი სიბეცის ვამო, ვერ ხედავს იმ მუშაობას, მუშათა კლასის ბელადებმა რამ შეასრულეს და ასრულებენ ახლა.

შესამჩნევად მრავლდებიან პარაზიტები. მათ შეუძლიათ მუშათა კლასს კანის სხვადასხვა სახის დაავადებანი შეჰყარონ. სულ უფრო ხმამაღლა სისინებს ისტორიის მიერ განაწყენებული მეშჩანი, მას „კომფორტი“ და „ცხოვრების როგორღაც მოწესრიგება“ სწყურია. არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების „როგორღაც“ „მოწესრიგების“ თავიანთ სურვილს კულტურული რევოლუციის ღოჭუნგით ნიღბავენ.

ყოველივე ეს სოციალურად ფხიზელ მუშებში არასასიხარულო აზრებს ბადებს. დონბასელი ამხანაგი მწერს:

მძიმეა იმის შეგნება, რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების წრეში ეგოისტური სახელმოხვევის, უხეში ეკვიანობისა და ერთმანეთისადმი შურიანობის, კინკლაობის ტენდენცია ვითარდება.

ერთი ურალელი კაცი, მამინ-სიბირიაკის წიგნის წაკითხვის შემდეგ მწერს:

როგორ კარგად წერდა მამინი! ხოლო ჩვენი წიწილები? აიღებ გაზეთს, წაიკითხავ კრიტიკას, გამოიწერ წიგნს, ხედავ — კრიტიკა ნათლიმამას დაუწერია. წიგნი არაფრად ვარგა, მოსაწყენია, მასში ვერაფერს ვაიგებ, თითქოს რუსულად დაწერილი არც არის. რაღაც უნდა მოუხერხოთ ამ ხარახურას, რაღაც უნდა უთხრათ მწერლებს, ასწავლოთ მათ ადამიანური წერა.

ქალაქ კალნიკოვოში მცხოვრები ამხანაგი იწერება:

ცხადია, ყველაფერს ვერ გარდაქმნი ათ წელიწადში; მაინც ჩვენი ახალი ძალები თეორიას მალე ითვისებენ, ხოლო პრაქტიკაში ძალიან გამოუცდელნი არიან და ძველი ამხანაგების გამოცდილებასაც არ უკვირდებიან. ცუდია ეს, საშიშია. რა უნდა ჰქნას ჩვენმა ახალგაზრდობამ, როცა ჩვენი ბელადები მოიქანცებიან?

მეტად სერიოზული კითხვაა, რადგანაც შესაძლებელია: ახალგაზრდობის ნაწილი, სხვადასხვა ყაიდის „ლაზღანდარები“ — ესე იგი ხულიგნები — გულცივად ან ავხორცული სიამოვნებითაც კი დაუწყებენ ყურებას, თუ როგორ ცდილობს მეშჩანი, ნამუსი ახადოს ისტორიას; ისევე დაუწყებენ ყურებას, როგორც ორი კომკავშირელი და „სოფლიდან ქალაქში ამასწინათ ჩამოსული მცირემკოდნე ახალგაზრდები“ უყურებდნენ ტრიოხგორნაია მანუფაქტურის მუშების საერთო საცხოვრებლის ეზოში ორი არამზადის საზიზღარ ძალადობას თოთხმეტი წლის გოგონას მიმართ.

ყოველივე ეს იმიტომ არის ნათქვამი, რომ გაძლიერდეს ყურადღება დამწყებ მწერალთა მრავალათასიანი არმიის ცხოვრებისადმი. თავისთავად ცხადია, რომ არ ვაპირებ მთელ ამ მასას ხელაღებით დაეაბრალო ნაკლებწიგნიერობა. კარგად ვიცი, ნაკლებწიგნიერი და უკულტურო ადამიანების სიმრავლის მიუხედავად, დამწყებ მწერალთა შორის ბევრი ნიჭიერი, კემშარიტად სწავლას მოწყურებული ადამიანი არის. მათ შორის არიან დიდი ტალანტებიც. მაგრამ ყველა მათგანს აუცილებლად სჭირდება საქმის ტექნიკის შესწავლა; მათი დიდი უმეტესობა ტექნიკურად შეუიარაღებელია და ეს აუცილებლად დაღუპავს ბევრ მათგანს, ნიჭის სრული სიმშვენიერითა და ძალით გაშლის საშუალებას არ მისცემს მათ. მათთვის აუცილებელია „ლიტერატურული ტექნიკის კურსები“. მუშოთფლკორებიც უნდა ჩავაბათ ამ კურსებში; ეს ურთიერთსასარგებლო იქნება ორივე ჯგუფისათვის. ვფიქრობ, საჭირო არ არის ასეთი შეერთების აშკარა სარგებლიანობის მტკიცება. კურსებზე უნდა წაიკითხონ ლექციები რუსული ლიტერატურული ენის შესახებ ეგრეთ წოდებულ „სახალხო“ ენასთან დაკავშირებით და ლექციები რუსულ ლიტერატურაზე დასავლეთის ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებით. არავითარი „შემოქმედების თეორია“ და სხვა დიდი სიბრძნე საჭირო არ არის; საჭიროა მუშაობის ნათელი წარმოდგენის შექმნა, რისი მიღწევაც ყველაზე უკეთ არა ფილოსოფიით, არამედ ფაქტებით შეიძლება.

ასეთი კურსები, უეჭველია, მიიზიდავს ახალგაზრდობისა და მუშოთფლკორთა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც ნამდვილად და სერიოზულად სურს სწავლა. ხოლო ყველა ისინი, ვინც ლიტერატურას ისე უყურებს, როგორც ადვილ საშოვარს და როგორც „კაცად გახდომის“ საშუალებას — ყველა ეს „წიწილები“ ჩამოშორდებიან მას. და აი, მაშინ საბჭოების კავშირს ეყოლება ლიტერატორი „უფრო ცოტა“, მაგრამ „უფრო უკეთესი“. მათდამი ახლანდელი დამოკიდებულების — უდარდელი და გულგრილი დამოკიდებულების — ვითარებაში კი ჩვენ ხელს ვუწყობთ ძალიან მავნე შოკლენის განვითარებას — უკმაყოფილოთა ფაბრიკაციას. მუშათა კლასმა უნდა შეიგნოს, რომ ლიტერატორთა სოციალური, კულტურული აღზრდა — ეს მისი ღვიძლი, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ძვირადღირებული „შრომის სასახლეების“, „კულტურის სასახლეების“ მშენებლობა. მუშათა კლასმა უნდა შეიგნოს, რომ იმ ქვეყნის ცხოვრებაში, სადაც იგი ბატონ-პატრონია, არაფერი არ უნდა იქმნებოდეს მისი ყურადღებისა და მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე.

## მუშათა კლასმა უნდა აღზარდოს თავისი კულტურის ოსტატები

ეს ისტორიის განაწესია, ეპოქის ლოზუნგია. ამ მიზნის მისაღწევად საბჭოთა ხელისუფლებამ გახსნა და კვლავ ხსნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს და ტექნიკუმებს; ამ მიზნის მისაღწევად პარტია აიარაღებს მუშათა და გლეხთა მასებს პოლიტიკური ცოდნით, ნერგავს მასში კლასობრივი ინტერესების შეგნებას, შთააგონებს მუშებსა და გლეხებს ზუსტად გაიგონ თავიანთი ისტორიული ამოცანა. შექმნან თავიანთი, თავისუფალი, სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოების ქვეყანაში მიმდინარეობს უდიდესი და ძნელი მუშაობა ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის წარმოებისა და ფორმების ძირფესვიანად შეცვლისათვის. ეს მუშაობა ასე სწრაფად და წარმატებით არ გაიშლებოდა, მშრომელთა ძირეული მასები რომ არ გრძნობდნენ, რომ ისინი აკეთებენ თავიანთსა და კუთარსაქმეს — აშენებენ თავიანთ სახელმწიფოს, ქმნიან თავიანთ კულტურას. ქვეყნის ინდუსტრიულად გარდაქმნისას მშრომელთა მასები შესასრულებლად ისახევენ ისეთ ჭერარნახულ რთულსა და ძნელ ამოცანებს, როგორცაა ხუთწლედის უბრალო მუშა-მღებავი ამხანაგი სლობოდჩიკოვი თვითონ აყენებს „ინდუსტრიალიზაციის დღის“ შესანიშნავ იდეას; მე ვნახე, როგორ ერთსულოვნად და ალტაცებით შეხვდა მას ლენინგრადის 2500 მუშა კულტურის სახლის შესანიშნავ დარბაზში ნარვის საგუშაგოს გაღმა.

ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც საბჭოთა ქვეყანას განუწყვეტლივ ემუქრება, გაცოფებით თავს ესხმის ევროპის ბურჟუაზია, უკანასკნელ თავშესაფარსა და ხსნას რომ ფაშიზმში ეძიებს, თუმცა ფაშიზმი გარდუვალად და სწრაფად სპობს ყოველივე საუ-

კეთესოსა და უძვირფასესს, რაც კი ბურჟუაზიას შეუქმნია მუშათა კლასის მონური შრომით.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე პარტიული და უპარტიო ძალები ახალ სახელმწიფოს აშენებენ იმ დროს, როცა ქვეყნის შიგნით შეგნებულნი და შეუგნებელი „მაგნებლობაა“, საბოტაჟური ბიუროკრატიული გაქიანურებაა, „მექანიკური“ მოქალაქეები ბოროტად სისინებენ, ნეპის მიერ დროებით გამოცოცხლებული მეწიანები ზოოლოგიურ ზიზლს იწვევენ, საკუთარ მუშურ წრეებშიც ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მერყეობენ. მასებში მცირემცოდნეობა და უკულტურობაა გამეფებული; ეს უკულტურობა გამოიხატება ლოთობაში. გაცდენებში, ხულიგნობაში, დაუდევარ მუშაობაში, პროდუქციის ცუდ ხარისხში; მუშათა შეგნებაში ჩერ კიდევ არასაკმაოდ შეულწევი რწმენას, რომ ყოველგვარი შრომა მუშებისა და გლეხების ქვეყანაში — ეს არის მუშებისა და გლეხების შრომა საკუთარი ბედნიერებისათვის; იმის მიხედვით, თუ როგორ ფართოვდება ეს შრომა, მდიდრდება მათი სახელმწიფო და არა სხვა ვინმე.

მაგრამ ამ მძიმე პირობებში ქვეყანა მაინც იზრდება და მაინც ასეთი სისწრაფით მიდის წინ, რომ აოცებს ყოველ პატიოსან, არატენდენციურად განწყობილ ადამიანს.

ზემოთ ნათქვამს უნდა დაემატოს შემდეგი: ჩვენმა მუშათა კლასმა ბურჟუაზიისაგან მიიღო ფაბრიკებისა და ქარხნების ტექნიკურად უბადრუკი მოწყობილობა, გაცვეთილი მანქანები, ცხოვრების ბარბაროსული ჩვევები, ისტორიის ძალისადმი — ამ ძალის განმსახიერებელი მუშათა კლასის ნებისადმი — გაბატონებული კლასის მიერ გაწეული წინააღმდეგობით დანგრეული ქალაქები და სოფლები. მაგრამ, აი, ლენინგრადში მე ვნახე სიმბოლური „მინაშენი“: 20 ათასძალიან ელექტროსადგურს მიაშენებენ ხოლმე ბეორეს 90 ათასძალიანს. ეს უკანასკნელი, ცხადია, შენდება ელექტროტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ამ „მინაშენის“ გვერდით, როგორც მას ერთმა მშენებელმა მუშამ უწოდა, 20 ათასძალიანი სადგური ბაეშვის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც მოზრდილი ადამიანი მიუძღვის წინ. ასეთი „მინაშენები“ ცოტა როდია საბჭოთა ქვეყანაში, და ყველა ისინი დამაჭერებლად ნათელჰყოფენ საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასის შრომის დიად წარმატებებს. წარსულის ამ მეტად სერიოზულ და სოლიდურ შესწორებასთან ერთად უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს ისეთი ახალი გრანდიოზული და წარმატებითი წამოწყებები, როგორიცაა ჩვენი ქვეყნის სწრაფადმზარდი ელექტროფიკაცია, დნებრმშენი, ვოლგა-დონის არხი, თურქისების გზა, ლენინგრადის პორტის მე-

ქანიზაცია და გაფართოება, მურმანსკის პორტის გაფართოება, ხეტყის სამუშაოები და ტყის მეურნეობის ორგანიზაცია ჩრდილოეთ მხარეში, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების დიდი ზრდა, „სელ-მაშსტროი“, გიგანტური საბჭოთა მეურნეობები, „მაგნიტური“ ქარხანა ურალში, გემთ და ტრაქტორთმშენებლობის ორგანიზაცია; უამრავი ახალი ქარხანა და ფაბრიკა, მთელი რიგი ახალი კულტურების დანერგვა სოფლის მეურნეობაში და ა. შ. ყველაფერს ვერ ჩამოთვლი, თუმცა საჭირო კი არის ყველაფრის ჩამოთვლა, რადგან ჩვენ ძალიან ცუდად ვიცით და ცოტა, თუ რას ვაკეთებთ. განსაკუთრებით ცუდად იცის ეს მუშათა მასამ, საკუთარი წიალიდან რომ შობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ოსტატებს.

კიდევ უფრო ცუდად იცის მან, თუ როგორ აუცილებელია მისთვის კულტურის ოსტატთა შექმნა და რა ცოტა რამ კეთდება, რომ ეს ოსტატები რაც შეიძლება მოკლე ვადაში გამოჩნდნენ. ინდუსტრიული შეიარაღება მოითხოვს თანადროულად ინტელექტუალურ შეიარაღებასაც — გონების შეიარაღებას, შემოქმედებითი, რევოლუციური ნებისყოფის ორგანიზაციას. კულტურული ადამიანი ნელა და დიდი შრომის შედეგად ყალიბდება; ამას დამაჯერებლად ნათელჰყოფს ბურჟუაზიული კულტურის განვითარების მთელი მძიმე ისტორია, თუმცა ეს კულტურა სხვისი შრომით იქმნებოდა. მაგრამ ჩვენი მუშათა კლასი სწრაფად იზრდება, როგორც ამას, მრავალ ფაქტორთან ერთად, განსაკუთრებით ადასტურებს ორი ფაქტი: კომკავშირი და პიონერობა. კომკავშირმა საკმაოდ გარკვევით გამოავლინა და ავლენს თავის ცხოველუნარიანობას და ცხოველშემოქმედებას. მაგრამ, მე ვიტყვოდი, რომ პიონერობა, რომლის განვითარებასაც საკმაო ყურადღება არ ეთმობა და რომელსაც, ჩემი აზრით, ცოტა თანხები ხმარდება, უფრო სწრაფად იზრდება და იმაზე მეტს გვპირდება, რაც უკვე მოგვცა კომკავშირმა. პიონერებს არ განუცდიათ ის უძველესი დღეები და წლები, კომკავშირელთა უმეტესობამ რომ განვლო. ამ დღეებმა და წლებმა კომკავშირის მნიშვნელოვან ნაწილს მოუშალა ნერვები. ამიტომ პიონერები ჰპირდებიან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ასობითა და ათასობით ნერვულად და მორალურად ჯანსაღ, გასაოცრად ნიჭიერ მუშაკს. ამაზე სხვა ადგილას ვილაპარაკებ, ახლა კი დავუბრუნდები ჩემს თემას: მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი სისხლხორცეული კულტურის ოსტატები.

კულტურული ადამიანის აღზრდას განსაკუთრებით დიდად უწყობს ხელს ორი ძალა: ხელოვნება და მეცნიერება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ერთად ადამიანის გონებასა და ნებისყო-



ფაზე ზემოქმედების არანაკლები — თუ მეტი არა — ძლიერი სა-  
შუალებათა მხატვრული ლიტერატურა. არა მგონია, ვინმემ გაბედოს  
ამის უარყოფა, გარდა სხვადასხვა ჯურის ურჯულისა და იმ ადამიან-  
ებისა, რომლებიც, იმას რომ ქალაგებენ — „ყოფიერება ქმნის  
შეგნებას“, ვეღარ ხედავენ და არა სჯერათ, რომ შეგნებას თავის  
მხრივ გააჩნია ახალი სინამდვილის შექმნის ძალა. თუმცა ჩვენი ოქ-  
ტომბრის შემდგომი სინამდვილე ამაში უნდა არწმუნებდეს თვით  
ბრძასა და ყრუ ადამიანებსაც კი.

ჩვენში მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობით მნიშვნე-  
ლობას ყველგან სათანადო ყურადღებას როდი აქცევენ. ეს განსა-  
კუთრებით შეიმჩნევა პროვინციაში. აი, მაგალითიც: სამხარეო გა-  
ზეთ „სოვეტსკაია სიბირის“ რედაქტორი კურსი — როგორც ამბო-  
ბენ, ყოფილი ანარქისტი — დევნის მხატვრულ ლიტერატურას;  
ნისმა ერთ-ერთმა მომხრემ, ვილაც პანკრუშინმა განაცხადა, მხა-  
ტვრული ლიტერატურა თავისი ბუნებით რეაქციულია. ეს, ცხა-  
დია, აწგანსვენებული „ლუფის“ თეორიის პროვინციული გაგე-  
ბაა. ჩემი აზრით, — იმ ადამიანის აზრით, რომელიც ორმოცდაათი  
წელიწადი ადევნებდა და დღემდე ადევნებს თვალყურს ლიტერატუ-  
რის რევოლუციურ აღმზრდელობით მნიშვნელობას. — პანკრუშინი  
არა მარტო ნაკლებადწიგნიერა უკანაწილია, არამედ ისეთი ადამიან-  
ია, რომელსაც, ვფიქრობ, უფლება მაქვს ვუწოდო — შეუგნებელი  
„მავნებელი“ კულტურული მუშაობის დაზღვევა. შემდეგ: გაზეთში შე-  
მოდებული ჰქონიათ ლიტერატურული გვერდი. მაგრამ ვილაც ამხა-  
ნაგ გინდინს გამოუცხადებია ლიტერატურისათვის: პარტიამ და საბჭოთა  
ხელისუფლებამ იმიტომ კი არ მოგვცეს ქალაქი, რომ მასზე ლექ-  
სები და მოთხრობები ვებეჭდოთ და ლიტერატურული გვერდი გაუ-  
ქმმებია.

მუშათა კლასს არ შეუძლია კულტურის ოსტატებად მიიჩნიოს  
ასეთი „კეკუაშეტი“ ადამიანები, ძალიან რომ ჰგვანან კულტურული  
მუშაობის მავნებლებს. ხოლო ასეთი „მავნებლები“, მეტნაკლებად  
წელმძღვანელი პოსტები რომ უკავიათ პრესაში, ჟურნალისტიკაში  
და ა. შ., ცოტა როდია ჩვენში. ამ ადამიანებმა არ იციან, ან დაივიწყ-  
ეს ვ. ი. ლენინის, მარქსის, ენგელსისა და ბევრი ჩვენი ბოლშე-  
ვიკის, პარტიის ორგანიზატორების, მისი სულიერი ბელადების საფ-  
სებით გარკვეული დამოკიდებულება მხატვრული ლიტერატურის-  
ადმი. მათ დაივიწყეს აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის  
1925 წლის მაისის რეზოლუციაც.

ერთ-ერთ ჩვენს ჟურნალში ამხანაგმა ი. ლომოვმა მოათავსა  
სტატია — „უპარტიო კულტურულობის ხუთწლიანი გეგმა“. რო-

გორც ეს ყოველთვის ემართებათ ახალგაზრდა კრიტიკოსებს, ამ სტატიაშიც ძალიან ბევრი ციტატაა. მათი შემწეობით ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სახელმწიფო გამომცემლობა კლასიკოსების ბეჭდვით, მუშათა კლასის საზიანო საქმეს აკეთებს. ციტატებს გარდა, სტატიაში არაფერია ისეთი, რაც უშუალოდ ავტორის გამოცდილებიდან გამომდინარეობდეს. მე კი მგონია, რომ ავტორმა ციტატებს გარდა სხვა რამეც უნდა იცოდეს. მაგალითად, ბიბლიოთეკების ანგარიშები. ისინი კი მოწმობენ მუშათა მასების დადებით დამოკიდებულებას ძველი მწერლების ლიტერატურისადმი. საექვოა, ამხანაგმა ლომოვმა დაუმტკიცოს მუშას, რომ მას ზიანს მოუტანს, მაგალითად, „ბორის გოდუნოვი“, „მკვდარი სულები“, ბალზაკის „გლეხები“, ჩეხოვის „მუუიკები“, პომიალოვსკის „მემჩა-ნური ბედნიერება“, ბუნინის „სოფელი“ და კიდევ ორმოცდაათი ან ასი ასეთი მართალი მოთხრობა მახლობელ წარსულზე. ამხანაგ ლომოვების, პანკრუშინების, გინდინების ძალზე სუბიექტურ შეფასებათა სიუხვე და უსაფუძვლობა მხოლოდ აძლიერებენ სიტყვიერ ქაოსს, არევიდარევა შეაქვთ გარკვეული მიზნისაკენ — მუშათა მასებისაგან კულტურის ოსტატთა აღზრდისაკენ — პირდაპირი და უმოკლესი მიმართულებით წინსვლის საქმეში. სამყაროში ჯერ კიდევ არსებობს გაცილებით მეტი შეფასება, ვიდრე ქვეშაირი და უდავო ფასეულობანი, და ამიტომ თვითვე ციტატას შეიძლება დაუპირისპირდეს მათი უარისმყოფელი ორი-სამი ათეული ციტატა.

ამხანაგ ლომოვს მოჰყავს ციტატა: „ჩვენი პროლეტარიატი საკმაროდ მტკიცეა“ და ეს სიტყვები „ყალბი ლიბერალური თეორიის“ გამოხატულებად მიაჩნია. თუ ამხანაგი ლომოვი მუშაა, მისი დასკვნა მეტად საოცარია. როგორც ჩანს, ლომოვს არ სჯერა, რომ მისი კლასი „მტკიცეა“; მას ეშინია კლასიკოსებმა მარჯვნივ არ მიაბრუნონ მისი კლასი. მაგრამ ამხანაგმა ლომოვმა, როგორც ჩანს, დაივიწყა, რომ ჩვენი მუშათა კლასი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია: რომ იგი აშენებს სოციალისტურ სახელმწიფოს, აღჭურავს მას უახლესი საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და რომ ყოველივე ეს თავისი ძალით მარცხნივ აბრუნებინებს პირს მუშათა კლასს.

იგი ვერ ხედავს აგრეთვე, რომ მუშა-მკითხველს იტაცებს კლასიკოსების არა იდეოლოგია, არამედ — ფაბულა, წიგნის შინაარსი, დაკვირვებებისა და ცოდნის სიუხვე, მისი სიტყვიერი, სახვითი ოსტატობა, ესე იგი: სწორედ ყოველივე ის, რაც ჯერ არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდა მწერალთა უძეტესობას იმის გამო, რომ მათ ნაკლებად იციან ლიტერატურული მუშაობის ტექ-

ნიკა. ფადეევი, შოლოხოვი და მათი მსგავსი ტალანტები ჯერ კიდევ ერთეულებია. მაგრამ, როგორც ვხედავთ, მუშათა კლასმა საესე-ბით სწორად შეაფასა სიტყვის ამ ოსტატთა ღირსება.

მხატვრული ლიტერატურისა და კლასიკოსების აღმზრდელობით მნიშვნელობის უარისმყოფელებმა დროა შეიგნონ, რომ ბურჟუაზიულ ჰუმანისტთა იდეოლოგია სულ უფრო მეტად და ორგანულად გაუგებარი ხდება მუშათა კლასისათვის და, რომ ეს სრულიად ბუნებრივია. ასეც უნდა იყოს, რადგან ახალი, თვით მუშათა კლასის მიერ შექმნილი სინამდვილისათვის ყოველმხრივ და ღრმად უცხოა დრომოქმული, უსიცოცხლო, ნებისყოფის იმპულსებს მოკლებული ჰუმანიზმის იდეოლოგია. სრულებით უსაფუძვლოდ დავობს ამხანაგი ლომოვი მუშათა კლასში „იმუნიტეტის“ უქონლობაზე, იმის საფრთხეზე, რომ მუშათა კლასი შეიძლება დაავადდეს მისთვის უცხო კლასის ავადმყოფობით. მართალია, მუშათა კლასს ჯერ კიდევ აქვს ეს სენი, მაგრამ ამაზე უფრო მართალი ის არის, რომ იგი წარმატებით იკურნება მისგან. რომ არ იკურნებოდეს, მაშინ ვერ მიაღწევდა იქ, სადაც უკვე მივიდა და ვერ გააქეთებდა იმას, რაც უკვე გააქეთა.

კლასიკოსთა ლიტერატურისადმი დამოკიდებულების საკითხი ოსტატობის საკითხია. ყოველგვარ საქმეს სჭირდება ოსტატი. ძველებურ ანდაზას სავესებით სწორად აღუნიშნავს, რომ „ოსტატი ყოველგვარ საქმეს მოუვლის, მაგრამ ზოგიერთ ოსტატს საქმისა ეშინიაო“. საქმისა რომ არ გეშინოდეს, კარგად უნდა შეისწავლო მასალა. დაეუფლო მას. საქმის მხოლოდ მას ეშინია, ვინც საქმე არ იცის, ან ცუდად იცის. იმ ადამიანებს. რომელთაც საქმის სართულე აშინებთ, ცხადია, მისი ვაკეთების უნარი არ შესწევთ და მის გაუბრალოებას ცდილობენ. გაუბრალოების შედეგი კი. ჩვეულებრივ, ასეთია: „შეჰკრა, შემოჰქედა, გააქეთა თვალი! შეჭდა, გააქანა — თვისი მსრბოლი მალი! და რას ხედავს — მალე დაეშალა თვალი!“

გამაუბრალოებელთა რიცხვს ეკუთვნიან უნიჭო ადამიანები, აგრეთვე „წამგლეჯნი“, კაცუნები, რომლებიც თვალსაჩინო ადგო-ლებისაკენ მიისწრაფვიან, პარაზიტები, რომლებიც მუშათა კლასში, სამწუხაროდ, უკვე გაჩნდა.

უნდა ისწავლონ თუ არა მუშათა კლასის რიგებიდან გამოსულმა ახალგაზრდა ლიტერატორებმა ძველი ოსტატებისაგან სიტყვებით ფერწერა? სავესებით ცხადია, უნდა ისწავლონ, რადგანაც მათთვის აუცილებელია შეითვისონ და აითვისონ მუშაობის ხერხები, ოსტატობის „საიდუმლოებანი“. ლენინგრადელმა მუშებმა შეიძინეს პურის ქარხნის სამაგალითო ამერიკული მოწყობილობა, ხოლო შემ-

დგ, როცა შეისწავლეს ტექნიკურად სრულყოფილი მანქანები, გადაწყვიტეს ასეთივე მოწყობილობათა გაკეთება საკუთარი ხელით. სრულებით არ გამოიკვირდება, თუ ისინი კიდევ უფრო სრულყოფენ ამ მანქანებს. 20 ათასიანი სადგურის 90 ათას-ძალიან „მინაშენს“ რომ ჰქმნიდნენ, მუშებმა ქვაბების დასადგმელად მოიწვიეს გერმანელი ოსტატები. გერმანელებმა პირველი ქვაბი ექვს თვეში დადგეს. მეორე ქვაბი, რუსი მუშების დახმარებით, ერთი თვით უფრო მალე დაიდგა. მესამე, მეოთხე ქვაბები კიდევ უფრო ჩქარა დადგეს. მუშებმა მითხრეს, რომ უკანასკნელი, მეექვსე ქვაბი მათ ექვს კვირაში გამართეს. აი. რას ნიშნავს ოსტატობის სწავლა და აი. საიდან უნდა ავიღოთ ანალოგიები და მივიღოთ გაკვეთილები, — კლასობრივია შემოქმედების დარგიდან და არა მღვრიე. მოუფიქრებელი „მონაჩმახიდან“, არა მუშაობისადმი შიშისაგან და მეშხანური ანარქიზმიდან!

ჩვენში ძალიან გავრცელდა ისეთი კრიტიკა, საერთო რომ არაფერი აქვს კრიტიკოსთა თვითკრიტიკასთან, — პირადი, ინდივიდუალური მოქმედების კრიტიკასთან, საკუთარი აზრისა და თავის თავზე დიდი წარმოდგენის კრიტიკასთან. ზოგიერთ ადამიანს. რომელმაც ისწავლა ასე თუ ისე ხეირიანად წერა, და სხვების წიგნებიდან ამოკრეფილი ციტატების ერთიმეორისათვის ცოტად თუ ბევრად მოხერხებულად მიწებება, უკვე მუშათა კლასის რაღაც „სულიერ ბელადად“ წარმოდგენია თავი. ნაადრევია და ცოტა არ იყოს — სულელურიც! საჭიროა ძალიან დიდხანს და მონდომებით ისწავლო, რომ სხვებისათვის ფრთხილი რჩევა-დარიგების უფლება მოიპოვო. ხოლო, როცა სხვას ურჩევ, უნდა გახსოვდეს, რომ ყველაფერი არ იცი და, რომ, რაც მეტს ცხოვრობ, მით უფრო ძნელია ყველაფრის ცოდნა ჩვენს დროში, როდესაც სინამდვილე ასეთი გამალებული სისწრაფით იცვლება.

ჩვენში ზორციელდება სულ უფრო მეტი ცოცხალი, პრაქტიკული საქმეები. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ახალგაზრდა, დამწყები მწერლების დაოსტატება, ლიტერატურული ტექნიკის გაღრმავება. ახალგაზრდა მწერლებს უჭირთ, — მათ სურთ სწავლა, სიტყვიერი შემოქმედების ხერხების ცოდნა მათთვის აუცილებელია. მასწავლებლები კი არა ჰყავთ. ეურნალების რედაქტორები მათ უკან უბრუნებენ ასეთ წარწერებიან ხელნაწერებს: „სუსტია, არ დაიბეჭდება“, „მოისუსტებს, თუმცა მასში არის კარგი ადგილები“, „ისწავლეთ, მეტი იმუშავეთ“, „ორიგინალური არ არის, ბევრი შაბლონია“, „ისწავლეთ ტექნიკა“.

ეს სიტყვები არაფერს არ ეუბნებიან დამწყებ ავტორებს; ეს

სწავლება კი არა, ავტორთა განაწილებაა. რედაქციიდან ორ-სამ ხელნაწერს რომ მიიღებს ასეთი რეცენზიებით, ავტორი უკვე უცხო კაცად და თავის მტრადაც კი თვლის რედაქტორს. და ასეთ სისულელესაც კი წერს რედაქტორზე:

ზის რედაქციაში, რბილ სავარძელში მოკალათებული; მთელი დღე ჩაის სუამა და შემანჭანებლად ეკუჩრება, მაძლარი თვალეზი დაუჭყეტია. ჩვენ კი ისე გვიუბრებს, როგორც ხუცესი უცქერის კარიბჭეს მომდგარ მათხოვრებს.

ავტორმა არ იცის, რომ რედაქტორს არაადამიანური ამოცანა აკისრია — წაიკითხოს ასობით ხელნაწერი, და რომ ფიზიკურად შეუძლებელია ყველაფრის წაკითხვა მთელი ყურადღებით. მუშათა კლასი კი მაინც ვალდებულია ჰყავდეს სიტყვის თავისი ოსტატები, რომანისტები, ნოველისტები, დრამატურგები, ფელეტონისტები, სატირიკოსები და ისეთი იუმორისტები, ესტრადისათვის რომ დაწერენ; ესტრადიდან კი საჭიროა, რაც შეიძლება მალე გამოავადევეთ ძველებური მეშჩანური უხამსობა.

## ახალგაზრდა ლიტერატურა და მისი ამოცანები

ვილაცამ მითხრა მურმანსკში: „აქ კარგი საკითხავია ჯეკ ლონდონი“. ამ სიტყვებში ძალიან სწორი აზრია გამოთქმული. ყინულოვანი ოკეანის მკაცრ ნაპირებზე, სადაც ზამთრობით ადამიანებს პოლარული ღამე თრგუნავს, კაცს მოეთხოვება ნებისყოფის უდიდესი დაძაბვა, ხოლო ჯეკ ლონდონი ის მწერალია, ვინც კარგად ხედავდა, ღრმად გრძნობდა ნებისყოფის შემოქმედებით ძალას და იცოდა ნებისყოფიანი ადამიანების დახატვა.

საბჭოთა კავშირის სინამდვილე „ახალი სამყაროს“ თვითეული მშენებლის მთელი ძალ-ღონის, მთელი უნარის დაძაბვას ცხადია, არა მარტო მურმანსკში, არამედ კავშირის მთელ სივრცეზე, მის ყოველ წერტილში მოითხოვს. როგორ უპასუხებს ჩვენი ლიტერატურა სულის ძლიერების, მხნეობის ცხივრებისეულ მოთხოვნილებას? მე მგონია კრიტიკა მიმდინარე ლიტერატურულ მოვლენებს იმ საზომით უნდა განიხილავდეს, თუ რამდენად შეუძლია ამა თუ იმ წიგნს ჩაუნერგოს ადამიანს შემოქმედებითი, კულტურულ-რევოლუციური მოქმედების ნებისყოფა.

არც ლიტერატორებს, არც კრიტიკოსებს არასოდეს დაუსვამთ ეს საკითხი შეგნებულად და მტკიცედ; მათ ეშინოდათ, დიდაქტიკური, დამრიგებლური ხასიათი არ მიეცათ „თავისუფალი ხელოვნებისათვის“ და ამით არ შეებღალათ მისი საეკვო „თავისუფლება“. მაგრამ მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი წიგნი, რომელიც რამეს არ გვასწავლიდეს.

თუ ჩვენ ავიღებთ მთელ ძლიერ მსოფლიო ლიტერატურას, უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ეპოქის ლიტერატურაში ჭარბობდა და თანდათან ძლიერდებოდა კრიტიკული, მამხილებელი და უარმყოფელი დამოკიდებულება სინამდვილისადმი. სინამდვილით კმაყოფილნი

იყვნენ, მას ეთანხმებოდნენ და აქებდნენ მხოლოდ უხამსი, ნაკლებად ნიჭიერი ლიტერატორები, რომელთა წიგნებიც უკვე აღარავის ახსოვს. ის მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც სამართლიანად ეწოდება „დიდი“, არასოდეს უმღეროდა სახოტბო სიმღერებს სოციალური ცხოვრების მოვლენებს. ბოკაჩო, რაბლე, სვიფტი, სერვანტესი, ლოპე და ვეგა, კალდერონი, ვოლტერი, ბაირონი, გოეთე, შელი, ჰუშინი, ლევ ტოლსტოი, ფლობერი და ჯაჯი და მნიშვნელოვანი სხვა ადამიანები — აი, „დიდი ლიტერატურა“ შემქმნელნი, მაგრამ არც ერთ მათგანს ზოტბა არ შეუსხამა სინამდვილესათვის

ეს უდიდესი დამსახურებაა დიდი მხატვრებისა. ისინი დაუნდობლად მკვეთრად აშუქებდნენ ცხოვრების მანკიერებას, ადამიანთა ნაკლს და ამით აღძრავდნენ უკეთესის წყურვილს; ისინი ასწავლიდნენ ადამიანებს. კარლ მარქსი აღიარებდა, რომ მას ბევრი რამ ასწავლა ბალზაკმა. ემილ ზოლას რომანებით მთელი ეპოქის შესწავლა შეიძლება. ანატოლ ფრანსმა არ დატოვა ბურჟუაზიული სახელმწიფოს არც ერთი ძირითადი იდეა, რომ არ ეჩვენებინა მათი წინააღმდეგობრივი, თვალთმაქცური და არაადამიანური არსი; და როდესაც მისი დაკრძალვის დღეს რამდენიმე ლიტერატორმა გამოუშვა ბროშურა „ცხედრისათვის სილის გაწვნა“, — ეს იყო უსუსური და უბადრუკი შურისძიება ფრანსის მიმართ მის მიერ მანკიერებათა შესანიშნავად მხილების გამო.

ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ლიტერატურა სულ უფრო მკაფიო მამხილებელ ხასიათს იღებს. განა შეუძლია მას სხვაგვარი იყოს, სინამდვილეს ზოტბა შეასხას? ოსკარ უალდის შემდეგ და ბერნარდ შოუს დროს ზედმეტია დიკენსის გულდამშვიდებულობა; ნიჭიერი მასხარა და თუმცა ნიჭიერი, მაგრამ უხამსი შემრიგებელი ო' ჰენრი სინკლერ ლუისმა შეცვალა; და არ მოიპოვება არც ერთი გერმანელი, რომელსაც სურდეს ისე გაუთქვას სახელი მეშჩანობას, როგორც ეს მოიმოქმედა იულიუს შტინდემ „ბუჰოლცის ოჯახით“ — წიგნით. რომელიც ეხოდენძლიერ მოეწონა ბისმარკს და კარგა ხანს წერილი „ბიურგერობის“ სახარებად ითვლებოდა.

ევროპისა და ამერიკის თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით გამოწვეული შთაბეჭდილება ასეთია: ლიტერატორები მუშაობენ არაჩანსალი მასალით, მუშაობენ იმ იდეებით, რომლებმაც საესებით დაკარგეს ნუგეშისმცემელი ფორმით ცხოვრების ჩვენების მნიშვნელობა; „სოციალურად მანუგეშებელი მოვლენები სწრაფად მცირდება ჩვენს სამყაროში“. ბრკვალეებში ჩასმული სიტყვები

მომყავს ერთი ჟურნალისტის წერილიდან, რომელმაც კარგად იცის, რაზეც ლაპარაკობს. მის სიტყვებს დამაჯერებლად ადასტურებს ფაქტები და ციფრები. ამ დღეებში ერთ-ერთ ემიგრანტულ გაზეთში დაბეჭდილი იყო:

გამოვიდა დიდად მნიშვნელოვანი სტატისტიკური ანგარიში. აი, მისი დასკვნები: თუ ინგლისს თვითმკვლევლობათა ოფენობის მიხედვით 1914-18 წწ. ომამდენაკლებ საპატიო და თვალსაჩინო ადგილი ეკავა სხვა სახელმწიფოებს შორის, ახლა ეს ხარვეზი ამოვსებულია. დიდი ომის შემდეგ თვითმკვლევლობათა რაოდენობამ ინგლისსა და უელსში მოიმატა 80%-ით, ისე, რომ ეს პროცენტი 1928 წელს უდრიდა არა 7,5-ს ყოველ 100 000 სულზე, როგორც ეს 1918 წელს იყო, არამედ 12,4-ს. თვითმკვლევლობათა რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. ამავე მეთველებზე შემდეგი ციფრები: 1918 წელს ინგლისსა და უელსში თავისი ნებით ცხოვრებას ემშვიდობებოდა 7,5% ყოველ 100 000-ზე, 1919—8,8, 1920—9, 1921—9,9, 1922—10, 1923—10,3, 1924—9, 1925—10,5 1926—11,4, 1927—12,5 და 1928—12,4.

ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გაზეთში კვითხულობთ:

ერთ-ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა განგაში ატეხა: სულ უფრო მატულობს სულით ავადმყოფთა რიცხვი. მაგალითად, 1859 წელს 335 ნორმალურ ადამიანზე მოდიოდა ერთი გიჟი. 1891 წელს ერთი არანორმალური ადამიანი მოდიოდა უკვე 312 კაცზე. ხოლო 1926 წელს 2 — ყოველ 150 კაცზე.

საფრანგეთში კატასტროფულად მცირდება მოსახლეობა, როგორც ეს დეპუტატმა შარლ ლამბერმა განაცხადა.

1926 წლის მარტის აღწერის მიხედვით საფრანგეთის მოსახლეობა შეადგენდა 40 743 851 კაცს. ამ 40 მილიონს რომ გამოეყოლოთ დაბრუნებული ელზასის 1775 100 მცხოვრები, გამოვა, რომ საფრანგეთის მოსახლეობა 1911 წელთან შედარებით 2 მილიონ 221 775 კაცით შემცირებულა.

მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ აუცილებელია სასწრაფოდ. სეროენური გზით მივიღწიოთ მოსახლეობის მატებას.

ამ სამწუხარო ფაქტებს უნდა მივმატოს დანაშაულობათა და პრინციპიტუციის ზრდა, პომოსექსუალიზმის ლეგალიზაცია გერმანიაში და მთელი რიგი ასეთივე საშინელი სხვა მოვლენებისა. თავისთავად ცხადია, რომ სწორედ ეს ობიექტური მიზეზები გამსჭვალავენ თანამედროვე ლიტერატურას პესიმისტური, ან, უკეთეს შემთხვევაში, სკეპტიკური ელფერით. აქედან შეიძლება მხოლოდ ერთი — და არა ახალი — დასკვნის გამოტანა: ბურჟუაზია, რომელმაც შეინარჩუნა მექანიკური, სამეურნეო ინერცია, ჰკარგავს სიცოცხლისადმი ნებისყოფას და „ცხოვრების სარკე“ — ლიტერატურა — ამ პროცესს ასახავს.



საბჭოების კავშირში ფეხზე დგას და ამოძრავებულია მთელი შპრამელი ხალხი. მისი მოწინავე რაზმები შეუდგნენ თავისი ქვეყნის საწარმოო და კულტურულ აღორძინებას, განსაკუთრებული ენთუზიაზმი შეიტანეს ცხოვრებაში. იგი ძლევს ყველა დაბრკოლებას ახალი ისტორიული ძალის მიერ შეგნებულად დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. საკუთარი ენთუზიაზმის ეს ნაკადი რომ არ შეექმნა, ენერჯია ასე რომ არ დაეძაბა, მუშათა მასა ასე ძალიან მტირე დროში — 12 წელიწადში ვერ დარაზმავდა თავის ქვეყანას და ვერ მიაღწევდა ასეთ უდავო და ბრწყინვალე წარმატებებს გარედან — საერთაშორისო ბურჟუაზიის მხრივ და შიგნიდან — „ძველი სამყაროს“ ნაშთების მისადმი სიძულვილის პირობებში.

ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა ძლიერ სუსტად ასახავს ევებერთელა ქვეყნის აღორძინების ამ აქამდე არნახულ სწრაფ პროცესს, — ქვეყნისა, რომელსაც ჰყავდა „უკულტურო“ მოსახლეობა, ვის ნებასურვილსაც საუკუნეების მანძილზე დაუნდობლად თრგუნავდა ეკლესია და სახელმწიფო და ვისაც ხელოვნურად ზრდიდნენ ცხოვრებისადმი პასიური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

აღნიშნული სისუსტის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ლიტერატურის ყურადღებას უმთავრესად მიიქცევს ის, რაც კვდება და არა იგი, რამაც დაიწყო ცხოვრება და მოქმედება.

ლიტერატორს ისე უჭირავს თავი სულთმობრძავე ძველის წინაშე, როგორც თავისი ცოდნის ძალაში დაურწმუნებელ ახალგაზრდა ექიმს სიკვდილის პირას მისული ავადმყოფი მოხუცის სარეცელთან. ექიმი ფიქრობს: მოკვდება თუ გადარჩება?

და, შესაძლებელია, არა იმიტომ, რომ ნუგეში სცეს მომაკვდავს, არამედ იმისათვის, რომ გადაწყვიტოს თავისი პირადი კითხვა, იგი ეუბნება უიმედო ავადმყოფს: მისთვის ჩვეული პირობები კვლავ არსებობენ — ხელუხლებელია ძველებური სამაზრო ქალაქები, და სავსებით არ გამჭრალა ძველი დრო, რომელშიც შეიძლებოდა უპასუხისმგებლოდ ცხოვრება. საერთოდ, არსებობენ მთელი რიგი „უარყოფითი მოვლენები“. ისინი სჭარბობენ კიდევ საპირისპირო ხასიათის მოვლენებს, და ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალ ადამიანებს გზაზე ეღობება სხვადასხვაგვარი დაბრკოლებანი. ეს, რასაკვირველია, სიმართლეა და ყოფის ყოველგვარი ჭურის სისაძაგლეზე მითითებაც სიმართლის სამსახურად ითვლება.

ასე იყო ეს იმ დროს, როდესაც ლიტერატორი ჩინებულად ხედავდა სინამდვილის სიმახინჯეს, მაგრამ არ შეეძლო თავი დაეღწია მისი მანკიერი წრისათვის; ასევეა იმ ქვეყნებში, სადაც ეს მანკიერი წრე არ გარღვეულა.

ჩვენში რევოლუციამ გაარღვია ეს წრე, გახსნა გასასვლელი ახალ სინამდვილესთან, ახალ სიმართლესთან, რომელსაც მუშათა კლასი და გლეხობის ის ნაწილი ჰქმნის, სოციალისტურად რომ შეიგრძნობს ცხოვრებას.

მუშათა კლასი ძლიერ მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებს ხელოვნებას; იგი ხელოვნებას განიხილავს, როგორც მისთვის ან მის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს.

იგი მკაცრია, რადგან ამას ავალუბს მთელი რიგი მიზეზები, განსაკუთრებით კი ორი: იმ ამოცანის სიდიადე და სირთულე. მან რომ უნდა გადაჭრას, და ხრწნადი ძველის მტრული გარემოცვა: მან იცის, რომ ეს ძველი — სენივით გადამდებია და გრძნობს, რომ ჯერ თვითონ მთლიანად არ განთავისუფლებულა მისი შემკვიდრებინაგან.

მუშათა კლასი ამბობს: ლიტერატურა უნდა იყოს ეულტურის ერთ-ერთი იარაღი ჩემს ხელში, იგი უნდა ემსახურებოდეს ჩემს საქმეს, რადგან ჩემი საქმე საკაცობრიო საქმეა.

ეს ხმა ახალი ისტორიის ხმაა. კარგად ესმის იგი ახალგაზრდა ლიტერატურას? მე ვიტყვოდი: ცუდად ესმის. ცუდად იმიტომ, რომ პასიურად ექვემდებარება სინამდვილისადმი მამხილებელ და უარისმყოფელ დამოკიდებულების ძველ ტრადიციებს და არა საქმაოდ ნათლად ასახავს მეორე სინამდვილეს; ძველ სიმართლეს რომ ასახავს — ვერ ხედავს ახალს; დანგრეული ძველის ქაოსში ვერ ამჩნევს იმ ახალს ადამიანის სულში, რაც უკვე დაიბადა, საუკუნეებში იცოცხლებს და კი არ მოისპობა, არამედ უკეთესით შეიცვლება.

ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი ადამიანები, რომლებსაც ცხოვრების თავისუფალ შემოქმედებად და მბრძანებლებად მიაჩნიათ საკუთარი თავი. რასაკვირველია, ისინი სულ უფრო მრავლდებიან საბჭოების კავშირში; იმედი მაქვს, ეს დამტკიცება არ საჭიროებს.

ვფიქრობ, ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ცუდად ხედავს ამ ადამიანებს და ჯერ კიდევ ვერ უწყობს ხელს მათი შემოქმედებითი ცხოვრების ნებისყოფის განვითარებას. ლიტერატურას არ ჰყოფნის სიმხნევის, გმირობის სული, მაშინ, როდესაც სინამდვილე უკვე გმირულია.

შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ მგონია, რომ ამ კრებულის მოთხრობების ტონში ნათლად გაისმის მხნე ხმები. ერთ-ერთი მოთხრობის გმირი ქალი თავისი შიმშილობის ამბებს მოგვითხრობს და ამას იმიტომ აკეთებს, რომ გვიჩვენოს, — ეშმაკმა დალახვროს — როგორ ჩინებულად იგრძნო თავი, როცა დანაყრდა. მე მომწონს ეს კრიტიკოსები, რომლებიც შეუიარაღებელი თვალითაც კი ამჩნევენ

ლაქებს მზეზე, ალბათ ბევრ ნაკლს მოუნახვენ ახალგაზრდა მწერ-  
ლების ამ კრებულს. ეს კრიტიკოსთა პროფესიული მოვალეობაა,  
ისინი დარწმუნებული არიან, რომ სწორედ ამაშია მათი ხელობის  
არსი. მე კი ყოველ მოვლენაში მის დადებით თვისებებს, თვითეულ  
ადამიანში — მის ღირსებებს ვეძებ.

ამ ქვეყანაზე არაფერია ისეთი, ჰკუის სასწავლად რომ არ გამოდგეს, — არც ისეთი ზღაპარი მოიპოვება, რომელიც „დიდაქტიკის“. ჰკუის სწავლების, მასალას არ შეიცავდეს. ზღაპრებში ჰკუის სასწავლი, უპირველეს ყოვლისა, „გამონაგონია“ — ჩვენი გონების ის საოცარი უნარი, რომ ოცნებით, სინამდვილეს გაუსწროს. მეზღაპრეთა ფანტაზიამ აეროპლანის გამოგონებამდე ათეული საუკუნეებით აღრე იცოდა „მფრინავი ხალიჩების“ ამბავი, ორთქლმავლის, გაზისა და ელექტრომობტორის გამოგონებამდე გაცილებით აღრე წინასწარმეტყველებდა სივრცეში სასწაულებრივი სიჩქარით მოძრაობას.

/ ვფიქრობ, რომ სწორედ ფანტაზიამ, „გამოგონებამ“ შექმნა და დანერგა ადამიანის კიდევ ერთი საოცარი თვისება — ინტუიცია, ანუ „ვარაუდი“. კიგი ეხმარება ბუნების მკვლევარს იმ მომენტში, როდესაც, აწონ-დაწონის შემდეგ, მის გონებას აღარ ძალუძს საკუთარ დაკვირვებათა ურთიერთდაკავშირება, მათგან ზუსტი პრაქტიკული დასკვნის გამოტანა. სწორედ ამ დროს მას წამოეშველება ვარაუდი: „შესაძლოა, ეს ასეა?“ და, პირობითად დაშვების რგოლით რომ დააკავშირებს თავის დაკვირვებათა გაწყვეტილ ჯაჭვს, მეცნიერი ჰქმნის „ჰიპოთეზას“, რომელსაც ან ადასტურებს ფაქტებას შემდგომი შესწავლა — და მაშინ ჩვენ ვღებულობთ ზუსტ მეცნიერულ თეორიას, — ან ფაქტები, ცდები უარყოფენ ჰიპოთეზას.

ფანტაზიას, გამონაგონს, ინტუიციას ასევე გადამწყვეტი როლი ენიჭება მხატვრულ ლიტერატურაში. დაკვირვება, შესწავლა, ცოდნა როდი კმარა; ამასთანავე საჭიროა „გამოგონება“, შექმნა. შემოქმედება ეს არის მრავალ წვრილმანთა შეერთება ერთ, ცოტად თუ.

ბევრად დიდ, სრულყოფილი ფორმის მთლიანობად. ასე იქმნებოდა წსოფლიო ლიტერატურის ყველა უდიდესი ნაწარმოები, ყველა დიდი „ტიპი“ — რობინზონ კრუზო, დონ-კიხოტი, ჰამლეტი, ვერტერი, კარამაზოვები, ობლომოვები. ბეზუხოვები და სხვ., — ტიპები, ასე თუ ისე ეამგადასულნი, მაგრამ მაინც ჩვენს შორის მყოფნი.

ხალხური ზეპირსიტყვიერების ჩინებულ ძეგლთა შორის „შექ-რაზადეს ზღაპრები“ ყველაზე უფრო მონუმენტური ძეგლია. ეს ზღაპრები გასაოცარი სრულყოფით გამოხატავენ მშრომელი ხალხის მისწრაფებას, — „გაერთონ ტკბილი მონაგონით“, სიტყვათა თავისუფალი თამაშით; ისინი გამზახატავენ აღმოსავლეთის ხალხების — არაბების, სპარსელების, ინდოელების ნაირფეროვანი ფანტაზიის შმაგ ძალას. ეს სიტყვიერი ქსოვილი შორეულ ძველ დროში შეიქმნა; მისი ნაირფეროვანი აბრეშუმის ძაფები მთელ დედამიწას მოედო და სიტყვებით მოქსოვილი საოცარი მშვენიერების ნოხით დაფარა იგი.

ადამიანები ეცნობიან ახალ სავნებს არა მხოლოდ უშუალოდ, არამედ მათზე მონათხრობის მიხედვითაც.

აღბათ ზღაპრებმა შეუწყო ხელი ზოგიერთი ხელობის: მეკურკლეობის, მკედლობის, ფეიქრობის, მესაპურვლეობის და სხვათა განვითარებას. როგორც მუზეუმები მოწმობენ, ხელობა ხელოვნებად იქცევა ხოლმე. ვფიქრობ, რომ ზღაპრების კულტურული გავლენის კიდევ ბევრი საბუთი აღმოჩნდება. კულტურის, აგრეთვე ხელოვნების ისტორიკოსები ცოტას ლაპარაკობენ და, ისიც ბუნდოვნად, ზღაპრების კულტურული გავლენის მოცულობასა და ძალაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და უდავოა ზეპირი შემოქმედების გავლენა დამწერლობითს ლიტერატურაზე. ყველა ქვეყნისა და ყველა ეპოქის ლიტერატორები უძველესი დროიდან სარგებლობდნენ ზღაპრებითა და ზღაპრებას თემებით. აპულეუსის რომანი „ოქროს ვირი“ ზღაპრიდან არის ნასესხები. ზღაპრებით სარგებლობდა ჰეროდოტე. იტალია იყენებს მათ ბოკაჩოს „დეკამერონის“ სახით, XIV საუკუნიდან; ზღაპრების გავლენა სავსებით ცხადად იგრძნობა „პენტამერონში“, „ჰექტამერონში“, ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებში“. ზღაპრებს იყენებდნენ გოეთე, ჟან-ლისი, ბალზაკი, ჟორჟ სანდი. დოდე, კოპე, ლაბულე, ანატოლ ფრანსი, კარმენ სილეა, ანდერსენი, ტოპელიუსი, დიკენსი — ყველას ვერ მოიგონებ. ჩვენში ზღაპრები გამოყენებული აქვთ მთელ

რიგ დიდ მწერლებს. მათ შორის — ხემნიცერს, ეუკოესკის, პუშკინს, ლევ ტოლსტოის. მხატვრული ლიტერატურის ფორმალურა, სიუჟეტური და დიდაქტიკური დამოკიდებულება ხალხის ზეპირ შემოქმედებაზე არაავითარ ექვს არ იწვევს და მეტად ჭკუის სასწავლია.

პირადად მე უნდა ვაღიარო, რომ ზღაპრებს სავსებით დადებითი გავლენა ჰქონდათ ჩემს ინტელექტუალურ ზრდაზე, როდესაც მათ ბებიანაზე და სოფლელი მეზღაპრენი მიყვებოდნენ. განსაკუთრებით გამაოცა და ჩემს თვალში ზღაპრების მნიშვნელობა გაზარდა იმ ფაქტმა, რომ მათ ბეჭდავდნენ. თორმეტი წლისა რომ გავხდი, „ახალი არაბული ზღაპრების“ XVIII საუკუნის რომელიღაც პროვინციული გამოცემა წავიკითხე. მაშინ მე მეგონა, რომ ყველაფერი, რასაც წიგნებში ბეჭდავდნენ, სიმართლე იყო.

ღარწმუნებული ვარ, ზღაპრების და, საერთოდ, ხალხური ზეპირსიტყვიერების ამოუწურავი სიმდიდრის გაცნობა ძალზე სასარგებლოა ახალგაზრდა დამწყები მწერლებისათვის. ჩემს გარდა, სხვებსაც შეუნიშნავთ, რომ მათი უმრავლესობა ძალზე მშრალად, უსიცოცხლოდ, გულგრილად ასახავს სინამდვილეს, მორჩილად, უსიტყვოდ ექვემდებარება მას, ფოტოგრაფიულად აღბეჭდავს ლექსებითა და პროზით. დრო კი მოითხოვს პათოსს, მგზნებარებას, ირონიას. ცხადია, ზღაპრებს არ შეუძლიათ მისცენ ადამიანს ის, რაც მისთვის ორგანულად უცხოა. ვფიქრობ, არითმეტიკის მასწავლებელს შეუძლია მხოლოდ ძალიან ცუდი პოეტი იყოს. მაგრამ ზღაპრებს შეუძლიათ ძალიან განავითარონ მწერლის ფანტაზია, აიძულონ იგი შეიგნოს გამონაგონის მნიშვნელობა ხელოვნებისათვის და, რაც მთავარია, გაამდიდრონ მისი ღარიბი ენა, ღარიბი ლექსიკონი. მათს გაამდიდრებს კი იგი ხშირად წარუმატებლად და თითქმის ყოველთვის მახინჯად ცდილობს „პროვინციალიზმებით“, „აღვილობრივი გამოთქმებით“ ან „სახელდახელოდ“ გამოგონებული, უღლეური სიტყვებით.

მსურვალედ მივესალმები „აკადემიის“ მიერ არაბული დედნიდან „ათას ერთი ღამის“ პირველი თარგმანის გამოცემას. ეს — მთარგმნელის ძალზე დიდი კულტურული დამსახურება და გამომცემლობის მიერ შესრულებული კარგი, სავსებით დროული საქმეა.

## წერილები დამწყობ ლიტერატორებს

მოთხრობის დაწყება „დიალოგით“ — ბასით — ძველებური ხერხია; როგორც წესი, მხატვრულმა ლიტერატურამ დიდი ხანია დაიწუნა იგი.

მწერლისათვის იგი ხელსაყრელი არ არის, რადგან თითქმის ყოველთვის ვერ მოქმედებს მკითხველის წარმოსახვაზე.

როგორ მუშაობს ლიტერატორი? იგი წარმოსახავს — ალაგებს, სახეებად, სურათებად, ხასიათებად აქცევს — თავის დაკვირვებებს, შთაბეჭდილებებს, აზრებს, თავისი ცხოვრების გამოცდილებას. ლიტერატორის ნაწარმოები ცოტად თუ ბევრად ძლიერად მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს მკითხველზე, როდესაც იგი ხედავს ყოველივე იმას, რასაც ლიტერატორი უჩვენებს. ლიტერატორმა იმის საშუალება უნდა მისცეს მკითხველს, რომ მანაც „წარმოისახოს“ — თავისი მკითხველური, პირადი გამოცდილებით, მისი შთაბეჭდილებების, ცოდნის მარაგით შეავსოს, გაათართოვოს ლიტერატორის მიერ დაზატული სურათები, სახეები, ფიგურები. ლიტერატორის გამოცდილების შერწყმა, თანამხვევა მკითხველის გამოცდილებასთან იძლევა მხატვრულ სიმართლეს, განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს სიტყვიერ ხელოვნებას, რასაც დიდი გავლენა აქვს ადამიანებზე.

სასაუბრო ფრაზით მოთხრობის დაწყება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ლიტერატორს ისეთი ფრაზა მოეპოვება. რომელიც თავისი ორიგინალობით, არაჩვეულებრივობით მაშინვე მიაჩაქვავს მოთხრობაზე მკითხველის ყურადღებას.

აი მაგალითად. ამ ზაფხულს ვოლგაზე გემით ვმგზავრობდი. ერთ-ერთმა მგზავრმა ვილაყას უთხრა:

— მე შენ, ქაბუჯო, საიდუმლოს გავიმეღავენებ: ადამიანი შიშით

კვდება. მოხუცები კი, ცხადია, სხეულის დაშლის შედეგად იხო-  
ცებიან...

ფრაზის დასასრული არ გამიგონია და კაციც არ დამინახავს;  
ლამე იყო; მე მალლა, კიჩოზე ვიდექი, ის კი — დაბლა.

მოთხრობების დაწყება ასეთი ორიგინალური აზრის შემცველი  
სიტყვებით შესაძლებელიც არის და საჭიროც, მაგრამ ყოველთვის  
უკეთესია სურათით დაწყება — ადგილის, დროის, ფიგურების  
აღწერით მკითხველის უმაღლვე შეყვანა გარკვეულ ვითარებაში.

მოთხრობა „დედაკაცში“ მე, მკითხველი, ვერ ვხედავ ადამიან-  
ნებს. როგორია პროზოროვი? მაღალი, წვერიანი, მელოტი? გულ-  
კეთილი, დამცინავი, პირქუში? იგი ცუდად, უჩვეულოდ, გაცვეთი-  
ლი სიტყვებით ლაპარაკობს: „დედაკაცი დედაკაცად დარჩება“ —  
საჭირო იყო ეს წინასწარმეტყველება გაძლიერებულიყო სიტყვით  
„მუდამ“, რომ იგრძნობოდეს სიმტკიცე პროზოროვის შეხედულე-  
ბისა დედაკაცზე. ასეთი გაცვეთილი სიტყვების აზრის გაცოცხ-  
ლებისათვის, — იმისათვის, რომ მათი ბრიყვული, უხამსი ხასიათი  
უფრო ნათლად მოჩანდეს, — მწერალმა უნდა ეძებოს და იპოვოს  
საჭირო სიტყვები. მისთვის კარგი იქნებოდა მოენახა ხუთიოდე,  
ათიოდე დამცინავი სიტყვა; მას შეუძლია ანას «крысавица» უწოდოს,  
«красавица»-ს ნაცვლად. ავტორის ფრაზა: „ქარხნის მუშა,  
როპელმაც ორმოც წელზე მეტი იმუშავა ერთ ქარხანაში“ — ცუდად  
არის შედგენილი; სიტყვა „ქარხანაში“ — ზედმეტია; „მუშა, რო-  
პელმაც იმუშავა“ ძალზე ხმაურა ფრაზაა, „ერთ ქარხანაში“ ორმოც  
წელს მუშაობა — ბევრს გამოდის; რევოლუცია იყო, სამოქალაქო  
ომი იყო, ქარხანა ამ დროს ალბათ არ მუშაობდა. იქ, სადაც არ არის  
დაცული აღწერის სიზუსტე — არ შეიძლება იყოს სიმართლე; ჩვენ-  
მა მკითხველმა კი კარგად იცის სიმართლე. ხარატს „ზურგზე ნაწი-  
ბურები“ რომ აქვს, ამას ახსნა ესაჭიროება, — ნაწიბურები შეიძ-  
ლება იყოს ქირურგიული ოპერაციის, ძირმავარების, ჩხუბის დროს  
დანით დაქრის და, რასაკვირველია, გაროზგვის შედეგი.

„საჭაროდ წინააღმდეგია“ — ეს სიტყვები თითქოს გვანიშნებენ,  
რომ პროზოროვს შეუძლია საკმაოდ ორიგინალურად, „თავისებუ-  
რად“ ლაპარაკი; ამასვე გვანიშნებს მისი მიდრეკილება სიტყვისა-  
დმი „სტანდარტული“. მაგრამ ავტორმა, პროზოროვის ამ თვისე-  
ბაზე რომ მიუთითა, არ განავითარა იგი. ეს მან იმიტომ არ  
გააკეთა, რომ ხარატს განიხილავს არა როგორც ცოცხალ ადამიანს,  
არამედ როგორც აზრს, რომელსაც უნდა შეედავო, რომელიც უნდა  
უკუაგდო. მწერალი თავის გამიჯობებს უნდა უყურებდეს, როგორც  
ცოცხალ ადამიანებს. ცოცხალი კი მას მაშინ გამოუვა ისინი, როდეს-



საც თვითეულ მათგანს მოუნახავს, აღნიშნავს, ხაზს გაუსვამს მეტყველების, ექსტის, ფიგურის, სახის, ღიმილის, თვალების ციმციმის და სხვ. დამახასიათებელ, ორიგინალურ თავისებურებას. ყოველივე ამას რომ აღნიშნავს, ლიტერატორი მკითხველს ეხმარება, რათა მან უკეთ დაინახოს და გაიგოს ლიტერატურის მიერ დახატული სურათი. სავსებით ერთნაირი ადამიანები არ არსებობენ; თვითეულ მათგანს აქვს რაღაც თავისი — შინაგანიც და გარეგნულიც.

ანასთან შეხვედრის სურათზე საჭირო იყო უფრო დაწვრილებით შეჩერება. ძველი მუშები მაჩინად იგდებდნენ ანას, ცხადია, უფრო მეტად და უფრო გესლიანად, უფრო დაცინვით, ვიდრე ამას ავტორი გვიჩვენებს. ცხოვრებასა და შრომაში ქალის თანასწორ-უფლებიანობის წინააღმდეგ მიმართულ უკუღმართ რწმენას ღრმად აქვს გადგმული ფესვები მამაკაცთა შორის, თვით „კულტურულ“ მამაკაცთა შორისაც. ჩვენში იგი, ჩვენს სასახელოდ, ნაკლებ მკვეთრად არის გამოხატული, ვიდრე, მაგალითად, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში და გერმანიაში; ქალების მუშაობამ ომის დროს და ომისშემდგომი დროის მძიმე პირობებში რამდენადმე შეარყია ეს ძველი რწმენა. მაგრამ ჩვენშიც ჯერ გველს ტყავი არ გამოუცვლია.

ახალგაზრდობა ალბათ სხვაგვარად უყურებდა „დედაკაცს“. ავტორი არ შეცდებოდა, თუ ერთ ქაბუქს მიაწერდა ანასათვის თავის მოწონების სურვილს; მეორეს გამოიყვანდა მოხუცების მოწინააღმდეგედ და მის დამცველად; მესამეს კი აოხუნჯებდა. ეს ძალიან გამოაცოცხლებდა სცენას.

მკითხველი ვერ ხედავს ანას. როგორია იგი: წითური? მალალი? მსუქანი? პაჭუა? როგორ უჭირავს თავი ამ სცენაში?

არ შეიძლება ყველა უცბად გაოცდეს და დადუმდეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ ყველა გაოცდა, როდესაც „ათამაშდა საჭრისი იგი რაღაც მანქანისათვის ახარატებდა კონუსის კბილანას განაკუთრებული უცნაურობით“. მკითხველი ვერ გაიგებს — რას მიაკუთვნებს ავტორი ამ „უცნაურობას“ — ანას მუშაობის პროცესს თუ კბილანას? და უკეთესი იქნებოდა, რომ „ყველა“ არ „ხედავდეს“ ანას „უნარს, მოხერხებულობას“, არამედ მას თვითონ ავტორი ხედავდეს და შეძლოს მისი ჩვენება მკითხველისათვის. ანა „შეუმჩნევლად იღიმებოდა“ — ვინთვის შეუმჩნევლად? თუ ავტორმა შეამჩნია ეს გაღიმება, — იგი უნდა შეემჩნიათ მუშებსაც; მაშინ რომელიმე მათგანს ამ ღიმილზე პასუხის საბაბი მიეცემოდა და სცენა გამოცოცხლდებოდა. გაღიმება გამართლებული იქნებო-

და. თუ ავტორი დაწერილებით და ხატოვნად ასახავდა ანას რწმენას და სიპარჯვეს მუშაობაში.

ეს სცენაც უნდა განვითარებულიყო, გაფართოებულიყო; საკი-რო იყო მკითხველისათვის პროზოროვის განწყობილებათა ჩვენება, იმის შიშის ჩვენება, რომ თავი არ „შეირცხვინოს“. მას ან მეტი უარყოფითი დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა დედაკაცისადმი ან, პირიქით. — დარცხვენით, გაკვრით ეთქვა მისთვის ამგვარი რამდენიმე სიტყვა: „ნუ გამამელავნებ, ნუ შემარცხვენ!“ ეს მას შეეძლო მისთვის ჩუმად ეთქვა, ხოლო ამხანაგებთან კი თავისას გაიმეორებდა: „დედაკაცი ხომ დედაკაცად დარჩება“.

„სასიკვდილოდ დაჭრილი მგელი“ და „კბილები ჩაარკო მტერს“ — ეს სიტყვები სავსებით უადგილოა და მოთხრობას არ უხდება. ისინი არ შეესაბამებიან მოთხრობის ტონს, რადგანაც მყვირალა ფრაზებია. საერთოდ, მთელი მოთხრობა დაუდევრად არის დაწერილი; არ ჩანს საქმის სიყვარული, თემისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ენა ღარიბია. ორ ფრაზაში ავტორი სამჯერ ამბობს: „დაძაბულად რომ მუშაობდა“, „მთელი ძალების დაძაბვით“. „ძალების დაძაბვით“. ეს ცუდია. იმავე გვერდზე მგელიც „ძაბავს უკანასკნელ ძალ-ღონეს“.

„თითქოს აქ არაფერიაო, გავიდა ორი თვე“ — რას ნიშნავს ეს? ორმა თვემ არავიზე არავითარი გავლენა არ მოახდინა, არაფერი არ შეცვალა? ერთი საათიც კი არ არის ისეთი, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში რაიმე ცვლილება არ შექმონდეს!

„უქმად მოხეტიალენი არე-მარეს აყრუებდნენ მჭექარე სიცილით და მისი მისამართით უხამსად ხუმრობდნენ“. სიცილის მისამართით?

„ხანდახან დედაკაცმაც იცის საქმე და მუჟიკის რეკორდს აჭარბებს“ — ასეთი „ძველი რუსული ანდაზა“ არ არსებობს. რეკორდი — რუსული სიტყვა არაა და თანაც ახალია. «Пришкандынал» — ლაპარაკში გამოდგება, მაგრამ აღწერისას არა; თუმცა ლაპარაკის დროსაც არაა სასურველი ასეთი სიტყვების ხშირად ხმარება, — ჩვენი ენა უამისოდაც საკმაოდ მდიდარია. მაგრამ მას აქვს თავისი ნაკლი, და ერთ-ერთი მათგანია — შიშინა ბგერების შეხამება: „ეში“, „ეშა“, „ეშუ“, „შჩა“, „შჩი“. პირველ გვერდზე ეს „ეშები“ დიდი რაოდენობით გვხვდება: «прибывшую», «проработавший», «говоривших», «прибывшую». ხომ შეიძლება ამდენ მკბენარებს (вши) გვერდი ავუაროთ!

მოთხრობის თემა ძლიერ მნიშვნელოვანი და სერიოზულია, მაგრამ. როგორც უკვე ითქვა, ავტორი ვერ გრძნობს ამ მნიშვნელო-

ბას. რა თქმა უნდა, რედაქცია ამის გამო სრულებითაც არ ადანაშაულებს მას, — ჩვენში აღიარებული და ნიჭიერი ლიტერატორებიც კი ხანდახან ნაჩქარავი, მოუფიქრებელი სიტყვების ნაკვით სახელს უტესენ, აფუჭებენ, ანაგვიანებენ ძალიან საჭირო და დიდ თემებს. მოთხრობა „დედაკაცის“ თემა შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში, ახალი კულტურის, ახალი ყოფაცხოვრების, მშენებლობის ყველა დარგში ქალების მასობრივი და მბრძანებლური შეპქრის ერთ-ერთი ეპიზოდია. ნათქვამია, ქალის აქტიური მონაწილეობის მიუღებლად შეუძლებელია სოციალისტური სახელმწიფოს აგებაო. ეს — უდავო კეშმარიტებაა. იგი ავალებს კეშმარიტ სოციალისტს შეცვალოს თავისი, ჭერ კიდევ ძველი და არა მარტო უხამსი, საზიზლარი დამოკიდებულება ქალისადმი, როგორც მამაკაცზე „დაბლა“ მდგომი არსებისადმი. ამ შეხედულებას ქალზე განსაკუთრებული მონდომებით და წარმატებით ნერგავდნენ ორივე სქესის ადამიანთა შეგნებაში ეკლესია, ბერ-მონაზვნობა.

არსებობს მხოლოდ ერთი და წმინდა ზოოლოგიური საფუძველი ასეთი ცრურწმენისა: ცხოველთა მთელ სამყაროში მამათა სქესი — გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო გამონაკლისისა — ფიზიკურად უფრო ძლიერია დედათა სქესზე. ქალის „დამცირების“ სხვა საფუძველი არ არსებობს. ნიჭიერი და „დიდი“ ქალები უფრო მცირეა, ვიდრე ასეთივე მამაკაცები მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, ქალებს არ უშვებდნენ საზოგადოებრივ სამუშაოზე. მაგრამ აი, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ კავკასიის მთის ტომების, ციმბირის, შუა აზრის, ჩინეთის მკვიდრი ქალები, რომლებიც ჭერ კიდევ გუშინ მხოლოდ მონები იყვნენ და თითქმის მუშა პირუტყვად ითვლებოდნენ, დღეს კულტურულ-რევოლუციური მუშაობის უნარს იჩენენ.

კულტურულ ფასეულობათა შექმნის დარგში ქალის მასობრივი შეპქრის ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს — და ექნება კიდევ. ქალი საუკუნეობით არის მიჩვეული ფაქიზსა და ზუსტ მუშაობას, ამიტომ მეტ სარგებელს მოიტანს იმ საქმეში, რომელზეც სწორედ ზედნიწევნით სიზუსტეს მოითხოვს. მასში იგი შეიტანს თავის. ასევე საუკუნეობით გამოიმუშაებულ მისწრაფებას სილამაზისადმი.

მწერალი მოვალეა ყველაფერი იცოდეს — ცხოვრების მთელი ნაკადი და ნაკადის ყველა პატარა ჭავლი, სინამდვილის ყველა წინააღმდეგობა, მისი ღრამები და კომედიები, მისი გმირობა და უხამსობა, სიყალბე და სიმართლე. მან უნდა იცოდეს, რომ, როგორი მცირე და უმნიშვნელოც არ უნდა მოეჩვენოს მას ესა თუ ის მოვ-

ლენა, იგი ან ნგრეველი ძეგლი სამყაროს ნატეხია, ან ახალი სამყაროს ყლორტი.

მოთხრობა „დედაკაცის“ ავტორმა კი არ იცის ეს. ეს არც ნოველა „სიყვარულის“ ავტორმა იცის.

ვერც იმას გაიგებ, თუ რატომ უწოდა თავის მოთხრობას ავტორმა „ნოველა“. ნოველა მოკლე მოთხრობაა და მოითხოვს მოვლენის მსვლელობის მტკიცე თანამიმდევრობით გადმოცემას. „სიყვარული“ ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. იგიც, „დედაკაცივით“, უხეირო ფრაზით — მნგრეველის შეკითხვით — იწყება.

„თქვენ იცით და ალბათ გახსოვთ“. ამ ფრაზის ერთ-ერთი ზმნა ზედმეტია: ის, რაც ვიცით, გვახსოვს კიდევ, ხოლო იგი, რაც დაგვა-ვიწყდა, ჩვენ უკვე აღარ ვიცით.

მნგრეველის კითხვა უპასუხოდ რჩება. ავტორი იწყებს იმ ადგილის აღწერას, სადაც სხედან მნგრეველი და მისი მსმენელები. სხედან ისინი „საგანრიგოში“; იმ მკითხველისათვის, რომელიც მუშახტის მუშაობას არ იცნობს, თავიდანვე არ არის გარკვეული. რა არის საგანრიგო? შეიძლება სადღესასწაულოდ მორთული\* კაცი შახტში სამუშაოდ წავიდეს? უნდა ვწეროთ ზუსტად, ვერიდოთ ორაზროვანი ზმნების ხმარებას. გადმოცემის თანამიმდევრობას მოვლოდნელად, მნგრეველის შეკითხვისთანავე: წყვეტს კამათი სიყვარულზე. ეს კამათი კი სრულებით არ არის საჭირო; იგი არაფერს აძლევს მკითხველს.

ეს ავტორი „დედაკაცის“ ავტორზე უფრო მარჯვეა. მაგრამ «в английского покроя шинелях»-ის ნაცვლად მაინც აჯობებდა დაეწერა «в шинелях английского покроя».

ნოველაში „მნგრეველი“ ჩერენკოვი ჰყვება ვიღაც განსაკუთრებით იღბლიანი მიშას ამბავს, რომელიც შეაცდენს ხოლმე თეთრების ჭარისკაცთა ოთხ ასეულს — ბატალიონს, „აბრეყებს ყველა მობილიზებულ ჭარისკაცს და უმცროს ოფიცრებსაც კი“.

მკითხველი აღფრთოვანებული უნდა იყოს ვორონოვის გმირობით, მაგრამ მას ეს არ სჭერა.

„ჰმ? თეთრი ოფიცრობა ძალიან დაგეშილი იყო პოლიტიკაში. არსებობდა „ოსვაგი“. ყოველ თეთრ ოფიცერს შეეძლო ბოლო მოეღო მიშასათვის...“

მაგრამ როდესაც მკითხველი ეცნობა, თუ როგორ მოექცა მიწა კონტრდაზვერვის მიერ მიგზავნილ გოგოს და როგორ უნიჭოდ მოქ-

\* რუსულად «парашютист» საგანრიგოსაც ნიშნავს და მორთულ-მოკაზმულს მთარგმნ. შენიშვნა.

მედებდა ეს კონტრდაზვერვა, — მკითხველს იმის სურვილი ებადება, რომ უთხრას ავტორს:

„იტრუე, გეთაყვა, მხოლოდ ისე, რომ მაინც დაგიჭერო“.

ამ „ნოველის“ ბოლომდე წაკითხვა ჭირს. დასასრულს „ნოველას“ დართული აქვს მორალი, ან, როგორც მწკრეველი ჩერენკოვი ამბობს, — ეს არაა მისი „მარლი“: „შესწირო სიყვარულს, ქალს ყველაფერი — პარტია, ამხანაგები, რევოლუცია, — ეს სისულელეა და ისევე დაუშვებელი, როგორც სისაძაგლე“.

ამ მორალს ავტორი სხვადასხვა ვარიანტით იმეორებს სამჯერ. ავტორი მარჯვედ წერს, მაგრამ დაუდევრობას იჩენს. მაგალითები: „...ქალს ისეთი ისტერიკა მოუვლიდა და ისე კიოდა, რომ მან“ — არჩია დამალოდა მას ან ყვირილი დაეწყო? — არა: „რომ მან ხელი ააღებინა ქალს შესანიშნავ გამომუშავებაზე და ახლა, მაშასადამე, უნდა არჩინოს, რომ მას ავიწყლებოდა იმაზე ფიქრიც კი, რომ უნდა მიატოვოს იგი“.

ეს აბდაუბდა მიუტევებელი დაუდევრობაა.

„ჩვენ ვლუმდით. თან გონებას ვიკრებდით და ვაფასებდით ატეხილი დავის მხარეთა სიმართლეს“.

ავტორი საკმაოდ მცოდნეა და, ცხალია, თვითონვე შეეძლო შეემჩნია შეცდომები, ენას რომ საჭირო ყურადღებით ეკიდებოდეს. მაგრამ „ნოველის“ ავტორს არ ეტყობა საქმით გატაცება, მისი სიყვარული; იგი „გულცივად“ წერს. მან ძალიან გულუბრყვალოდ ჯასვა კათხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია — პიროვნების პირადი ბედნიერება თუ მუშათა კლასის ისტორიული ამოცანა — რევოლუცია, ახალი სამყაროს მშენებლობა? ავტორმა არ გვიჩვენა, თვითონ როგორ „აფასებს ატეხილი დავის მხარეთა სიმართლეს“, მან, საერთოდ, არაფერი არ გვიჩვენა. ეს კი მკითხველში იმ შთაბეჭდილებას ბადებს, რომ ავტორმა გულგრილად და მხოლოდ ცნობის-ზოყვარეობის ან „მოსაწყენი ცხოვრების“ გამო დასვა დიდი საკითხი. ფიქრობ, ეს უკანასკნელი უფრო მართალია. ავადსახსენებელ ქველ ღროში დიდი საკითხები საკმაოდ ხშირად ისმებოდა „მოსაწყენი ცხოვრების“ გამო. მაგალითად, ერთი ნაცნობი ტყის-მცველი მეუბნებოდა: „ფულუროში მყოფი მიკიორტივით ვზივარ აქ — ჯიხურში. ირგვლივ კაცის კაქანება არაა, დღისით გამოიძინებ, — ღამე ძილი აღარ გეკარება; წევხარ გულადმა. ვარსკვლავები ცვივიან ძირს, მაგრამ ეშმაკმა უწყის — სად!“

და მკითხებოდა:

— მერე რაღა ვქნა, ძმობილო, ვარსკვლავი სიფათზე რომ დამედვენთოს?

მეორეჯერ იგივე მცველი დაინტერესდა:

— არ გამოინახა მკვდრების გასაცოცხლებელი რაიმე საშუალება?

— რად გინდა მკვდრები?

— ბიცოლაჩემმა შესანიშნავად იცოდა ზღაპრების მოყოლა; ის რომ ახლა ჩემთან იყოს!

მაშინ იგი ორმოცდაათი წლისა გახდა. ისეთი ზარმაცი იყო, ცოლის შერთვაც დაეზარა, თავისი სიცოცხლე მარტობაში გაატარა.

იმ ტყისმცველის მსგავს ადამიანებს ხშირად ვხვდებოდით. „ნაროდნიკი“ მწერლები „მეოცნებებელ“ თვლიდნენ მათ და აღფრთოვანებული იყვნენ. ჩემი აზრით კი, ისინი გამოუსწორებელი უსაქმურები, ზარმაცები იყვნენ. მას შემდეგ გავიდა ოთხი ათეული წელი და აი, უკვე თორმეტი წელია ჩვენი ქვეყნის მუშა-ხალხი ფეხზე წამოდგა, ხელი მოჰკიდა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის დიღსა და ძნელ საქმეს; თანდათანობით ანგრევს ძველს, ქმნის ახალს; ცხოვრება აღსავსეა დრამებით. დიდი და სასაცილო წინააღმდეგობებით; გამოჩნდა ბევრი ახალი ბედნიერება და დაცოცავენ ჩვენს მიწაზე ბედნიერების ჩრდილები. გაჩნდა ახალი მწუხარებანი; ბევრისათვის ძველი ძვირფასია და საყვარელი, ახალი — გაურკვეველია და მტრული; ადამიანები იწვიან და იფერფლებიან, იზრდება ახალი ადამიანი. საოცარია, რომ ასეთ დროს არიან მწერლები, რომელთაც შეუძლიათ გულგრილი „ნოველების“ წერა და ასეთი კითხვების დასმა: რა უქეთესია — მთელი ცხოვრება, ყველა მისი დიდი ამოცანების, მისი დრამებისა და ბედნიერებათა მთელი მრავალფეროვნებით, თუ „ქარგ დედაკაცთან“ ცხოვრება, რომლის გულისთვისაც „არაფერი არ გენანება“?

ასეთი „ნოველისტების“ არსებობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ნათი გამოუცდელი ახალგაზრდობით და სიბეცით, ხოლო სიბეცის მიზეზი მცირემცოდნეობაა.

## II

რადგან თქვენ ჩემთვის არ გამოგიგზავნიათ თქვენი მოთხრობა, რასაკვირველია, მე არ შემიძლია ვიმსჯელო მის ღირსებასა თუ ნაკლებზე.

თქვენს საყვედურს, რომ მოსკოვის ჟურნალები „უსამართლოდ“ ეკიდებიან დამწყებ მწერლებს, ვერ ადასტურებს თქვენი შემთხვევა. „ბედნოტამ“ მიიჩნია თქვენი მოთხრობა „არა ცუდ“ ნაწარმოებად — ეს არის და ეს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მოთხრობა

კარგია. „კრესტიანსკაია მოლოდიოჟმა“ დაადასტურა „ბედნოტის“ შეფასება და მიგითითათ, რომ მოთხრობაზე „უნდა წაიშუშაოთ“. თქვენ კი წერთ: „მეტად საოცარი რამ გამოდის: „ბედნოტა“ მაქვს, „ეკმ“ — მაძაგებს“. ფაქტიურად, თქვენ არც გაქებენ და არც გაძაგებენ, არამედ სამართლიანად გეუბნებიან: ისწავლეთ მუწაობაო!

თქვენ. „დამწყებნი“ ძალიან ხშირად უჩივით რედაქტორებს და, უმეტეს შემთხვევაში — მართლაც რომ უსამართლოდ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ძველ დროში, რევოლუციამდე, ეურნალების რედაქტორები წელიწადში ღებულობდნენ რამდენიმე ასეულ ხელნაწერს, რომელთა უდიდესი უმრავლესობა, მართალია, უნიჭოდ იყო დაწერილი, მაგრამ უფრო გამართული იყო ენობრივად, ვიდრე თანამედროვე დამწყებთა ხელნაწერები. ჩვენს დროში რედაქტორები ღებულობენ ათასობით ხელნაწერს, რომელთა დიდი უმრავლესობა ასევე უნიჭოა და ამასთანავე — უწიგნურად დაწერილიც. ჩემი პირადი გამოცდილებით და ჩემი თაობის მწერალთა გამოცდილებით უნდა ვთქვა, რომ ძველი რედაქტორების დამოკიდებულება ჩვენდამი, „დამწყებთადმი“ შეუდარებლად დაუდევარი და გულგრილი იყო, ვიდრე საბჭოთა რედაქტორებისა. კერძოდ. ჩემს ამ რწმენას ადასტურებს „ბედნოტისა“ და „ეკმ“-ს რედაქციების ამხანაგური დამოკიდებულება თქვენდამი.

ლექსებისა ბევრი არაფერი მესმის და, შესაძლოა, ამიტომაც ვერ წევსჯო თქვენი ლექსები. ლექსის — „წვიმის შემდეგ“ — ერთ სტროფში თქვენ გაქვთ — ტბორი, მეორეში კი იგი ტბად იქცევა. ეს არაფრით არ არის გამართლებული. ვფიქრობ, «над прудом» და «не будет» — არ არის რითმა ან ძალიან ცუდი რითმაა. არ მესმის, რას ნიშნავს სტრიქონები:

Жизнь моя — радость минутная  
Бело свежей мглы.

«Шей» — არ მაყვარს ლექსში, ისევე, როგორც «вшей» და «ужей».

შემდეგ. თქვენ ჩივით იმის გამო, რომ, თქვენი რწმენით „უპარტიო კომუნისტი“ ხართ, მაგრამ არ ძალგიძთ არც კომკავშირში და არც რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, როგორც „ყოფილი მღვდლის შვილს“.

ეს, რა თქმა უნდა, მძიმე მდგომარეობაა და მარტო თქვენ არ აცხადებთ პროტესტს მუშურ-გლეხური ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულების წინააღმდეგ, რასაც იგი ბურჟუაზიული კლასებიდან გამოსულთა მიმართ იჩენს.

მაგრამ, სამწუხაროდ, მუშურ-გლეხური ხელისუფლების უნდობელი და მკაცრი დამოკიდებულება ამ „გამოსულთადმი“ საესებით მართლდება ხოლმე ძალზე ბევრი „გამოსულის“ მოქმედებით. მანამ, სანამ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტების პარტიის წუშაობას „გამოსულნი“ ისე უყურებდნენ, როგორც სოციალურ ცდას, რომელიც დაიღუპება, ისინი ემსახურებოდნენ მუშათა კლასის საქმეს მორჩილად, ვით ოთახის ან დაბმული ძაღლები. მაგრამ ახლა მათთვის სათელი ხდება, რომ სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში უკვე არა მარტო წარმატებითი ცდა, არამედ — დიდი, პრაქტიკულად სწრაფად მზარდი საქმე და მშრომელი ხალხის მასების საყოველთაო მსოფლიო მოძრაობის გაბედული დასაწყისია. მათთვის უკვე ცხადია, რომ უკან, ძველი წესრიგისაკენ გზები გადაკეტილია. ამიტომაც მხდლურად გარბიან ისინი იქით, სადაც ჭერ კიდევ დარჩენილან ძველი პატრონები და კიდევ შეიძლება ძალღური სამსახური, შეიძლება უფრო მსუქანი ლუკმის მიღება. ისინი გაურბიან იმ დიდ პასუხისმგებლობას ყველა ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე, რომელიც გმირულად აიღო საკუთარ თავზე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა.

ისინი გარბიან და მუშებისა და გლეხების დაუძინებელ მტრებს მიჰყიდნიან ხოლმე ყველასა და ყველაფერს, რისი გაყიდვაც კი შეუძლიათ. ასეთი გამცემი — ცოტა როდია. ახლა ორმა მათგანმა აავსო ევროპის ბურჟუაზიის პრესა და ემიგრანტთა გაზეთები საზიზლარი და ბინძური ლაყობით იმაზე, თუ როგორ ძალღურად ემსახურებოდნენ ისინი დედამიწის ერთადერთ კანონიერ ბატონ-პატრონს — მუშებსა და გლეხებს.

საესებით ბუნებრივია, რომ ასეთი საზიზლარი გამცემლობის ფაქტებს არ შეუძლიათ არ გამოიწვიონ გლეხებისა და მუშების უნდობლობა ბურჟუაზიის რიგებიდან გამოსულთადმი. სწორედ ასევე ბუნებრივი და გარდუვალია, რომ ზოგიერთის საზიზლრობის გამო უნდა დაზარალდეს მუშათა კლასის ბევრი გულწრფელი მეგობარი და ამხანაგი. მაგრამ თავისი ტანჯვისათვის მათ უნდა დაადასაშაულონ არა მუშათა კლასი, არამედ მუშათა კლასის გამცემლები.

რაც უფრო ღრმად და ფართოდ განახორციელებს ჩვენი მუშათა კლასი თავის ისტორიულ ამოცანას, მით უფრო ჩამოშორდებიან მას არაგულწრფელი, მასთან და მის მუშაობასთან მექანიკურად შეგუებული ადამიანები. მაგრამ მით უფრო ერთგვაროვანი, უფრო მტკიცე იქნება მუშათა კლასი, მით უფრო გაძლიერდება მისი პარტიის გავლენა მასაზე.



თქვენი მოთხრობები წავიკითხე.

ორი ხელნაწერი გამოგიგზავნიათ; ორივე დაწერილია „ნაჩქარედ“, მოუფიქრებლად და ისე დაუდევრად, რომ მათში სრულებით არ იგრძნობა ძალა იმ ორი ნარკვევის ავტორისა, რომელთა დაბეჭდვასაც მე დაგპირდით და რომლებმაც მომხიბლეს მხნე განწყობილებით.

უფრო უარესიც — „გასწრებასა“ და „გამოწვევაში“ არ იგრძნობა არც სიყვარული ლიტერატურული მუშაობისა და არც პატივისცემა მკითხველისა, ხოლო თუ თქვენ არ გაგაჩნიათ არც ერთი, არც მეორე, ვერ ისწავლით წერას და ვერაფერ სარგებელს მოუტანთ სიტყვიერი ხელოვნების დარგს.

ნიქს ავითარებს საქმის სიყვარულის გრძნობა; შესაძლოა კიდევც, რომ ნიქი — არსებითად — სწორედ მხოლოდ საქმისადმი, მუშაობის პროცესისადმი სიყვარული იყოს. მკითხველის პატივისცემა ლიტერატორს ისევე მოეთხოვება, როგორც მეპურეს: თუ მეპურე ცუდად ზელს ცომს, თუ მის მოზეილ ცომს ჭუჭყი და ნაგავი შეერიოა, — ეს იმას ნიშნავს, რომ პურის მცხობელი არ ფიქრობს ადამიანებზე, რომლებიც პურს ჭამენ, ან საყუთარ თავზე დაბალ არსებებზედ მიაჩნია ისინი, ან კიდევ იგი ხულიგანია, რომელიც ასე ფიქრობს: ადამიანი ღორი არ არის, ყველაფერს შეჭაპსო, და განგებ უმატებს ცომს ჭუჭყს. ჩვენს ქვეყანაში ჩვენს მკითხველს აქვს განსაკუთრებული. ღრმად დასაბუთებული უფლება პატივისცემისა, იმიტომ რომ იგი — ისტორიულად — ქაბუკია, რომელიც ეს არის შევიდა ცხოვრებაში, და წიგნი მისთვის გასართობი კი არ არის, ცხოვრების, ადამიანთა ცოდნის გაფართოების იარაღია.

იმის მიხედვით, თუ როგორ დაამუშავეთ მოთხრობის „გასწრების“ თემა, თვით თქვენ ეკიდებით ჩვენს სინამდვილეს ძლიერ ზერელედ.

მოთხრობის თემა — ახალი და ორიგინალურია: ფეიქარი დედა ეჯიბრება ქალიშვილს; იგი შეჯიბრებაში გამოიწვია ქალიშვილმა, მაგრამ მუშაობაში უფრო გამოცდილმა დედამ დაამარცხა ქალიშვილი. დედის გამარჯვება თქვენგან მოითხოვდა ქალიშვილისადმი იუმორისტულ დამოკიდებულებას; ეს ძალზე ჭკუის სასწავლი იქნებოდა ბევრი ქალიშვილისა და ვაჟიშვილისათვის და უფრო მართალიც იქნებოდა. ამ გამარჯვებას არ შეეძლო არ გამოეწვია ძველი მუშების კვებნა ახალგაზრდობის წინაშე თავიანთი გამოცდილებით, — ეს თქვენ არ შეგინიშნავთ. თქვენ მიხედვით, რომ შეჯიბ-

რებას გავლენა უნდა მოეხდინა დედის ოჯახურ, პირად დამოკიდებულებაზე ქალიშვილისადმი, მაგრამ ბოლომდე ვერ თქვით ეს. თქვენ გქონდათ კარგი შესაძლებლობა იმისა, რომ გეჩვენებინათ ამ, შედარებით მცირე, ფაქტიურ ორი თაობის ურთიერთობა- ეს შესაძლებლობა კი არ გამოიყენეთ. საერთოდ, თქვენ მიაფუჩეჩეთ, გააფუჭეთ ძლიერ საინტერესო თემა, სრულებით ვერ გაიგეთ მისი საარსებო მნიშვნელობა.

როგორ წერთ ყოველივე ამას თქვენ? მოთხრობას იწყებთ ფრაზით:

„სალამო არ ბრწყინავდა სილამაზით“.

მკითხველს უფლება აქვს მოელოდეს, რომ ავტორი აუხსნის მას ამ საოცარი ფრაზის აზრს, მოუთხრობს: მაინც, რატომ „არ ბრწყინავდა სალამო?“ მაგრამ თქვენ არაფერს არ ამბობთ სალამოს შესახებ და რამდენიმე სტრიქონით ლაპარაკობთ დაბაზე, რომელსაც „არ ერგო თავისი მცირე ნაწილი ქოჩორა გაზაფხულისა“. თვითეულ ფრაზას, თვითეულ სიტყვას უნდა ჰქონდეს ზუსტი და მკითხველისათვის ნათელი აზრი. მაგრამ მე, მკითხველს, არ მესმის: დაბას რატომ „არ შეხვდა თავისი მცირე ნაწილი გაზაფხულისა“? როგორ — გაზაფხული სხვა დაბებმა დაინაწილეს? და — ნუთუ გაზაფხული არათანაბრად იყოფა ივანოვო-ვოზნესენსკის ოლქის დაბებს შორის?

ექვსი სტრიქონის შემდეგ თქვენ წერთ:

„აუტანელი სიწყნარე მარწუხებში მოექცია ლურჯ-შავ ცას და იხუთებოდა სივიწროვეში“.

რატომ და ვისთვის არის სიწყნარე „აუტანელი“? ამის თქმა დაგავიწყდათ. რას ნიშნავს „სიწყნარე იხუთებოდა სივიწროვეში“? შესაძლოა, ასეთი გამოთქმა დასაშვებია იყოს საქონლის საწყობში არსებული სიწყნარის გამო, მაგრამ თქვენ ხომ დაბის ქუჩას აღწერთ: მის ირგვლივ ალბათ ველებია, ხოლო ზევით „ლურჯი-შავი“ ცა. ამ პირობებში საკმაოდ ხალვათობაა და სიწყნარის „დახუთვის“ არავითარი საფუძველი არ არსებობს.

მოთხრობის ცხრავე გვერდი დაწერილია ასეთი მოჩმახულ ენით... რას ნიშნავს სიტყვები: „საკმაოდ პასუხისმგებლობით განაცხადა“? „ზრუნვა (рачить) მაინცაღამაინც არავის ქირდებოდა“? შესაძლოა, თქვენ გინდოდათ გეთქვათ „радеть“? ძველებური, არაკეთილშობიანი და იშვიათად ხმარებული სიტყვა „рачить“ — დიდი ხანია უარყოფილია, „рачительный“-ც კი თითქმის დავიწყებულია. სხვა ადგილას თქვენ ამბობთ „ათბობდა მგესლავი“.

მგესლავი გველია. გველს კი ცივი სისხლი აქვს. იფიქრეთ: გამოდგება აქ სიტყვა „მგესლავი“? რა არის „здор“?

ბოლოს ამოვიწერე ასეთი გაუგებარი ფრაზა:

Соревнование последнее время очень нажимала ячейка, к тому же как наяву снилось ей, что через эту победу стать лучшей производственницей в комсомоле получить лишнюю пару недель отпуска в качестве премии дело не сугубо трудное.

ეს არა მართო დაუდევრობა, არამედ სრული უწიგნურობაა, ამხანაგო!

თქვენი წინანდელი ნარკვევების მიხედვით მე ვფიქრობდი, რომ ოცდაათი-ოცდარვა წლისა ხართ. მოთხოვნებს მიხედვით კი მგონია, რომ ორჯერ უფროაი უნდა იყოთ. და გარდა ამისა, ცოტათი დაავ უღლი უნდა ბრძანდებოდეთ გასურჩეველი დამოკიდებულებით ადამიანებისადმი. ცხოვრებისადმი, მისი ისეთი ფაქტებისადმი, როგორცაა, მაგალითად, სოციალისტური შეჯიბრება.

რატომ ვლამბარაკობ ამდენს კარგ თქმაზე დაწერილი თქვენი ძალიან ცუდი მოთხოვნების გამო?

რატომ: ბევრი თქვენგანი, „მსოფლიო დიდების“ კანდიდატი, რომელიც ისწრაფვის „ერთი ნახტომით“ მიაღწიოს ამ დიდებას, ხელს ჰკიდება სერიოზულ, ღრმად სასიცოცხლო მნიშვნელობის თემებს. მაგრამ ამ თემების დაძლევა ბევრი თქვენგანის ძალას აღემატება. და თვევან აფუჭებენ მათ, ამახინჯებთ, სახელს უტეხთ — ავსებთ ცარიელი, უსულგულო ან ცუდად გამოგონილი სიტყვების ნაგვით. ამ თემების უკან კი არიან ცოცხალი ადამიანები, დიდი დრამები, ჩვენი დღეების გვირის — მუშის — წვალბანი. ეს მუშა მადლობას არ გეტყვით თქვენ იმის გამო, რომ ამახინჯებთ სინამდვილეს, რომელსაც იგი თავისი სისხლითა და ხორკით ქმნია.

ღიან. არ გეტყვით. და თუ გეტყვით, ეს იქნება გაცილებილ მკაცრი რამ, ვიდრე ჩემი ნათქვამი.

#### IV

მოთხოვნა „ადმინისტრატორთა აკადემიის“ მიხედვით ძნელია იმის გაგება; გაქვთ თუ არა თქვენ მხატვრულად წერის უნარი, — ძნელია იმიტომ, რომ თქვენ დაწერეთ არა მოთხოვნა. არამედ კორესპონდენცია. რომელშიც მხილებულია ვალაც სპეციალისტის — სამეურნეო მუშაის თავპარიანობა. კორესპონდენცია დაწერილა

წიგნიერად, სავსებით გონივრულად, უახლოვდება ნარკვევის ტიპს; ეს არის მისი ღირსება, მაგრამ მასში მრავალსიტყვაობაა, გაჭიანურებულია. ეს კი ცუდია.

მოთხრობას მოეთხოვება მოქმედების ადგილის მკაფიო გამოხატვა, მოქმედ პირთა სიცხოველე, ენის სიზუსტე და სურათოვნება, — მოთხრობა ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ მკითხველი ხელაღდეს ყველაფერს, რაზეც ავტორი მოუთხრობს. „ფერმწერ“ — მხატვრისა და ბავშვის სურათებს შორის ის განსხვავებაა, რომ მხატვარი ხატავს თვალსაჩინოდ, მისი ნახატი თითქოს ქაღალდის სიღრმიდან იყურება, ბავშვი კი იძლევა ბრტყელ სურათს; იგი სახავს ფიგურებისა და საგნების მხოლოდ კონტურებს, გარეგნულ მოხაზულობას და არ შეუძლია გამოხატოს მანძილი მათ შორის. აი, ასევე გარეგნულად, ერთ სიბრტყეზე დახატეთ თქვენ კომუნარები და სპეციალისტი, — ისინი თქვენს მოთხრობაში ლაპარაკობენ. მაგრამ არ ცოცხლობენ, არ მოძრაობენ, და ვერ ხედავ — როგორი არიან. მხოლოდ სპეციალისტზეა ნათქვამი, რომ იგი „საშუალო ხნისაა“ და ჭაბუკზე „ოდნავ ჩოფურაა“.

მოთხრობის დასაწყისში თქვენ აშკარად აუარეთ გვერდი ცხოვრების სინამდვილეს: სპეციალისტს ჭაბუკისათვის ან კომუნარებისათვის უნდა ეკითხა ბანდიტების თავდასხმის ამბავი, მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა, მეურნეობრივი ზარალი. მას ეს უნდა გაეგო სამი მიზეზის გამო: ჩვეულებრივი, ადამიანური ცნობისმოყვარეობა, ქალაქელი კაცის შიში, მეურნეობრივი ინტერესი. მან არ იკითხა ეს. ამას კი უნდა გაენაწყენებინა ის ადამიანები, რომელთაც სიკვდილი მოელოდათ. ასეთი უდარდელი დამოკიდებულება მათი სიცოცხლისადმი არაბუნებრივი და მიუტყევებელია. თვითონ მათაც უნდა ეამბნათ თავდასხმის ამბავი. — ასეთ რამეს სამ დღეში არ ივიწყებენ. ამ თემაზე რომ აგვლაპარაკებინათ ადამიანები, ეს თვითელი მათგანის დახასიათების შესაძლებლობას მოგცემდათ. სპეციალისტსაც გვიჩვენებდით „მისი ღირსებით“; დახატავდით, როგორ უსმენს, რაზე და როგორ ეკითხება. ამით კი ძალიან გაალოცებდით მოთხრობას. მაგრამ თქვენ ამოცანად დაისახეთ „სპეციალისტის“ მხილება; აჩქარდით და ამოცანა უხეიროდ გადაწყვიტეთ. არსებითად, მოსაწყენი, „მხატვრული“ მოთხრობის თვისებებს მოკლებული ნაწარმოები გამოგივიდათ.

ისე ჩქარობდით, რომ ხანდახან ენაც გავიწყდებოდათ. ამიტომაც მეორე გვერდზე, ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმეჯერ იმეორებთ სიტყვას „წინაშე“. ასეთი რამ არ უნდა გემართებოდეთ.

თემისადმი თქვენი დამოკიდებულებაც არ არის „მხატვრის“

დამოკიდებულება. მხატვარი, რომელმაც ქარაფშუტა ადამიანის მხილება განიზრახა, ამას იუმორის ან სატირის კალოთი გააქეთებდა. მას რომ მოენდომებინა, „უბრალოდ მოეთხრო“ მვენებლობის ამბავი, იგი უფრო დაწვრილებითა და დეტალურად დაამუშავებდა სპეციალისტის ხასიათს. თქვენი მონათხრობით კი მკითხველი ვერ გაიგებს: ვინ არის სპეციალისტი? მხოლოდ ქარაფშუტა ადამიანი, რომელიც ცხოვრობს წიგნებში ამოკითხული მითითებებით. თეორეტიკოსი და მეოცნებე, რომელმაც ცუდად იცის ცოცხალი სინამდვილე? თითქმის მთელს მოთხრობაში თქვენ მას ამოქმედებთ, როგორც გულწრფელ ადამიანს, ხოლო ის ფაქტი, რომ მას გზაკვალი აებნა და ისე გარბის კომუნიდან, რომ ამას არ აღიარებს. თქვენს მიერ ფსიქოლოგიურად გამართლებული არ არის.

სცადეთ კიდევ რაიმეს დაწერა. მაგალითად: დახატეთ თქვენი შრომითი დღე, ყველაზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილებანი, დამახასიათებელი შეხვედრები, ამაღლელებელი აზრები. თუ თქვენ ამას დაწერთ უბრალოდ, ისე, რომ ძალიან არ დაინდობთ და არ შეაღმაზებთ საკუთარ თავს, შეეცდებით თვითეულ ადამიანში იმაზე ნეტის დანახვას, რასაც იგი გიჩვენებთ, ამით თითქოს სარკეს დაიდგამთ წინ და დაინახავთ საკუთარ თავს შინაგანად.

როგორც ჩანს, სერიოზული და თანაც უნარიანი ადამიანი ხარბ, კორესპონდენტი კი არცთუ ისე ცუდი. მეტი იკითხეთ სიტყვიერების კარგი ოსტატები: ჩეხოვი, პრიშვინი, ბუნინის „სოფელი“, ლესკოვი — რუსული სიტყვის უმესანიშნავესი მცოდნე! საერთოდ, ყურადღება მიაქციეთ ენას, გაამდიდრეთ იგი.

მოთხრობა ასე იწყება:

„დილიდან ეინელავდა“.

„ცაზე — შემოდგომაა, გრიშკას სახეზე — გაზაფხული“.

„შავი თვალები ბრწყინავდნენ, როგორც გასულ კვირას ნაყიდი ახალი კალოშების გამობურცული ცხვირები“.

აღბათ ეს პირველი მოთხრობა არაა; ავტორს, როგორც ეტყობა, უკვე დაუბეჭდავს თავისი ნაწერები და, ჩანს, იგი შეუქიათ კიდევ. თუ ასეა, ქებამ ზიანი მოუტანა მას, გამოიწვია მისი თავისდაიმიედება და მიდრეკილება სიტყვებით კომპრობისაკენ ისე, რომ მათ აზრს არ უფიქრდება.

„ცაზე შემოდგომაა“. რას ნიშნავს ეს სიტყვები, რა სულოა

წარმოუდგენენ მკითხველს? ღრუბლიანი ცის სურათს? ასეთი ცა ხომ გაზაფხულზე და ზაფხულშიც არის. შემოდგომა, როგორც ცნობილია, ახალი ფერებით ძლიერ მკვეთრად ღებავს, ცელის პეი- ზაჟს ღედამიწაზე და არა ცაზე.

„გრიშკას სახეზე გაზაფხულია“. როგორ გავიგოთ — სასე გა- დაუმწიფანდა თუ ხის კვირტებით მუწუკები გამოებერა? თვალე- ბის კიდე შედარებულია კალოშების პრიალთან. ასე ხომ შეიძ- ლება გრიშკას ლოყები ახლად შეღებილ სახურავს შეედაროთ! ავტორს, როგორც ჩანს, თავი ოსტატად წარმოუდგენია და ჩირთი- ლიტობს.

მოთხრობის სიუჟეტური — ფაქტიური სიმართლე ძალზე საე- კვოა. ძნელად წარმოსადგენია მუშები, დემონსტრანტები, რომლე- ბიც იმიტომ დასცინიან ამხანაგს, რომ მას მკერდზე კუჭყყიანი ბან- ტი უკეთია. კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია მუშა, რომელიც ისე სენტიმენტალურია, რომ სიკვდილის წინ ვაჟს უგზავნის მის მიერვე საბნიდან მოგლეჩილი ყუმაშის ნაჭერს.

მთელი მოთხრობა ძალიან ნაჩქარევად და დაუდევრად არის და- წერალი. ყველაზე უფრო ცუდი ის არის, რომ მასში იგრძნობა გულ- დაჯერებული ხელოვნური დამოკიდებულება მუშაობისადმი. ასეთი მწერალი-ხელოსნები ძალიან ბევრია პროვინციაში; ისინი წერენ „სათარბლო მოთხრობებს“ — ქტომბრ ს წელისთავთან და სხვა თა- რილი ნ დაკავშირებით — ისევე როგორც ძველად საჯანებლოდ წერდნენ „საბნობაო“ და „საბაღწლო“ მოთხრობებს. ისინი, ჩვეუ- ლებზე, ვ. თითქმის ავადმყოფურად თავმოყვარენი არიან, ვერ იტა- ნენ კრიტიკას და არ შეუძლიათ სწავლა. მათ ჰგონიათ, რომ უკვე ყველაფერი იციან, ყველაფერი შეუძლიათ, მაგრამ საქმის სიყვარუ- ლი არ გააჩნიათ; ლიტერატურული შრომა მათთვის გამოიმუშავებინ საშუალება, „დამხმარე სარეწია“. ასეთ ლიტერატორს ადვილად შეუძლია გულუკეფად თხზას ავგვარი უხამსი ფრაზები:

„ოქტომბერმა ისე უჩქმიტა ვერუნიას გულზე, როგორც ახალ- გაზრდა, ქოჩორა ბიჭმა — ძუძუზე“.

ასეთი ფრაზების უხამსობა მათ სრულებით არ ესმით, და ისინი თითქმის დარწმუნებულნი არიან: რაც უფრო უხეში, ცხოველურაა უხამსობა, მით უფრო რევოლუციურია იგი.

მუშათა კლასის ლიტერატურაში ასეთი „სპეციალისტები“ აზ- უნდა იყვნენ და მათი გამრავლების წინააღმდეგ აუცილებელია მთელი დაუნდობლობით ბრძოლა, რადგან ისინი, არსებითად, ლი- ტერატურის პარაზიტები არიან.

მოთხრობა „წვრილმასის“ მისედვით ვერ გეტყვი, „საჭიროა თუ არა თქვენს მუშაობა ლიტერატურაში“, მაგრამ თქვენს ეს მოთხრობა აოცრად გარკვევით მოწმობს, რომ სუსტად ხართ მომზადებული ამ საქმისათვის.

მოთხრობა არ ვარგა, რადგან იგი დაწერილია ადამიანებისადმი უსულოდღებო და გულგრილი დამოკიდებულების განწყობილებით: ან თქვენს მოთხრობაში უჩინარხი არიან. უსახონი, უფალონი, უფეტონი. შესაძლებელია, ეს საკლი იმით აეხსნათ, რომ ფაქტმა დაეტაცათ. სენთის გამოგზავნილა წვრილში მატყობანებთ, რომ თქვენ „ვაინტერესებთ ფაქტის ლიტერატურა“. ესე იგი ნატურალური სველაზე უფრო უსეში და ცუდი „განხრა“. თვით თავს საუკეთესო მიმწმობშიც კი — ძმების გონკურების შემოქმედებაში — სი მძვინვარე ასახვას ნატურალისტური ბერბი (საგნების პეიზაჟებშია შეუტა და წვრილმანი აღწერა) უფ ღვრად სუსტად და „უაღრუქლოდ“ გამოხატავდა ცოცხალ ადამიანება. გონკურება. თუ თათქმა ავტობიოგრაფიულ წიგნს — „ძმები ზემგანოეში“ — არ მივიღებთ მხედველობაში, თემცა ბეჭითად. მაგრამ უფრუქლად აღწერდნენ ავადანება ადამიანების „ავადყოფობის ისტორიას“ ამ აოცრად-ტიბიურ მნიშვნელობას მოკლებულ შემოხვევათს ფაქტებს. თქვენც ასევე აიღეთ თქვენი გმირის ამბავი, როგორც კერძო შემთხვევა. მიუღებთ მას რეპობლიკური გულგრილობით. და ამ გულგრილობის შედეგად, თქვენი მოთხრობის ანუ ერთი გმირი ცოცხალი არაა.

მამებისა და შვილების შეფრიგებელი უთანხმოების ასი ასეთი შემთხვევადან თქვენ რომ თუნდაც ათიოდე ფაქტი აგელოთ. კარგად გაგეაზრებინათ და შეგვერთებინათ. თქვენ მიერ შექმნილ ფაქტს შესაძლოა სერიოზული და ძლიერ ღრმა მხატვრული და აოცრად-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონოდა. და ექნებოდა ღეც. მხოლოდ იმ პირობით, თუ უფრო ყურადღებით მოკვიდებოდით მოთხრობის ფორმას, ენას და ავრეთვე, თუ არ უკარნახებდით, რა უნდა აკეთოს თერთულმა გმირმა, თავისი გამოცდილებისა და საათის მიხედვით.

მხატვარს განზოგადების — სინამდვილის განმეორებადი მოკლეების ტიპიზაციის — უნარი უნდა ჰქონდეს. თქვენ არა გაქვთ განვითარებული ეს უნარი. ამას მოწმობს თქვენი მეორე მოთხრობის თემაც. მანუაც, პირველი მოთხრობის შუაგესად, კაცა იმიტომ

იტანჯება, რომ იგი მღვდლის შვილია. მამას რომ ჰკლავს, ეს სრულებითაც არ ცვლის თემას; თავისი ძირითადი არსით იგი მამებისა და შვილების წინააღმდეგობას, დრამატულ წინააღმდეგობას ასახავს.

მაგრამ მღვდელს, რომელიც განხილულია არა როგორც შემთხვევითი ერთეული, არამედ როგორც ტიპი, ორი შვილი ჰყავს: ერთი მორჩილად მიჰყვება მამას, მეორე — გადაქრით ეწინააღმდეგება. ორივე ისინი აგრეთვე ტიპიურია.

თქვენ ამბობთ: „ორივე შემთხვევაში ცოცხალი პიროვნებები ავიდეთ“. სრულიად შესაძლოა, რომ შეხვედებით ასეთსავე მესამე, მეხუთე, მეათე შემთხვევასაც. მერე რა? მოდგებით და სულ ასე წერთ მოთხრობებს ერთსა და იმავე თემაზე — მღვდლების უთანხმოებაზე შვილებთან?

გარწმუნებთ, ეს მოსაწყენი იქნება და თქვენს მოთხრობებს არავინ წაიკითხავს. გარდა ამისა, სახელს გაუტეხთ. გააფუკებთ საინტერესო თემას.

აღამიანებს რომ ხატავთ, „ნატურალისტთა“ ხერხებს იყენებთ, მაგრამ აღამიანთა გარემოცვას, ვითარებას, საგნებს რომ ასახავთ, ამ ხერხს აღარ მისდევთ. შვეიცარიის ზანზალაჟი თქვენს მოთხრობაში „ტირის“, ხოლო ზანზალაჟის გამოძახილი „უაზროდ ეღერს“. ნატურალისტი ასე არ დაწერდა. გამოძახილი თავისთავად არ არსებობს; იგი გარკვეული ხმის არეკლვას წარმოადგენს, მის ზუსტად განმეორებას. თუ ზანზალაჟი „ტირის“, რატომ არის გამოძახილი „უაზრო“? მაგრამ ზანზალაჟიც არ ტირის; თუ იგი პატარაა და მას შვეიცარი აწკარუნებს, ამ დროს იგი გამოსცემს ათრთოლებულ ეღარუნა ხმას, მომაბეზრებელსა და ცივს, მაგრამ არა სევდიანს.

„მელერი ტენორი“ თქვენს ნაწარმოებში „თრთის, ვით იალქანი“. ესეც არ არის „ნატურალური“. „ხორცის სისხლიანი სკდომადი ნაჭრის ხმაო“, — წერთ თქვენ. განა ვსმენიათ ასეთი ხმა? „ხორცის ნაჭრად“ ცოცხალი აღამიანის გულს გულისხმობთ. იფიქრეთ: განა აღამიანს შეუძლია გაიგონოს, როგორ სკდება მისი გული? და ასე; მოთხრობაში მისი აღმწერლობითი ნაწილი არ ეხამება, არ ერწყმის თქვენი გმირების უფერულობას, რამაც ისინი დაამდაბლა და მოკლა. შთაბეჭდილება ასეთია: მოთხრობას თითქოს ორი კაცი წერდა; ერთი — ნატურალისტი, ცუდად რომ ფლობს მეთოდს, მეორე კი — რომანტიკოსი, რომელსაც რომანტიკა ვერ შეუთვისებია.

შემდეგ, ისევ უნდა მოგაგონოთ, რომ მხატვრული ლიტერატურა არ ემორჩილება კერძო ფაქტს, იგი მასზე მაღლა დგას. მისი ფაქტი მოწყვეტილი კი არ არის სინამდვილეს, როგორც ეს თქვენს მო-



თხრობაშია, არამედ მტკიცედ არის მასთან შეერთებული. ლიტერატურული ფაქტი გამოყვანილია ერთგვაროვანი ფაქტების წყებიდან, იგი ტიპიზებულია და მხოლოდ მაშინ არის ნაწარმოები ქეშმარიტად მხატვრული, როდესაც სწორად ასახავს ერთ მოვლენაში სინამდვილის მთელ რიგ განმეორებადს მოვლენებს.

## VII

თქვენი წიგნი წავიკიციან, იგი ამ თემაზე დაწერილ სხვა წიგნებზე უარესი როდია. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, უფრო სერიოზულად მოჰკიდებოდათ ენას; უფრო უბრალოდ რომ წერდეთ და არა ასეთი დათაფლული ფრაზებით: «*He упружатся под ситцем груди девичьи*», ასეთი ფრაზები მოვკვაგონებენ ძველებურ დიალექტურ მოთქმას. ზმნა «*упружить*», ვკანებ, არც არის ჩვენს ენაში. ასეთი ფრაზები, როგორცაა: «*Все Наташа пред глазами с освещенным лицом стояла*» — უწიგნურია.

«*Рвется сердце Василия в замороженную жавороночной песней высь*», ეს ძალიან ცუდია და მიუთითებს, რომ პრეტენზია გაქვთ წეროთ „პოეტურად“, ლაპაჯად; და ეს მაშინ, როდესაც თქვენ ასეთ უაზრო რამეს წერთ: «*ცარიზმმა დაუნდობლად გაქვლა ოცნება გადატრიალებაზე, როგორც ქარიზმმა წარიტაცებს ხოლმე ბაბუაწვევრას სათუთ ბუმბულს*».

1905—1906 წლების რევოლუციური მოძრაობა არ შეიძლება და სასაცილოა შევადაროთ „ბაბუაწვევრას“. აქ თქვენ სოციალურ მიტირემელოდინობას ამჟღავნებთ.

ბაბუაწვევრას თესლის გაფანტვას „ქარიზმალი“ რად უნდა, ამას ბავშვის სტულის შებერვაც ეყოფა.

გერმანიასთან იმის გამოცხადების დღეს კიდევ არ იყო ცნობილი ომში ინგლისის ჩაბმის ამბავი.

ტაძრის დეკანოზს არ შეეძლო „მატარებლის დაძვრის“ სიგნალის მიცემა ჯვრით. ეს მისი კი არა, სადგურის უფროსის საქმეა.

თქვენს წიგნში „გახეთქილი საფეთქლიდან“ სისხლი „პატარა ნაკრებად ჩქეფს“. „გაჩეხილი ქუთუთოდან ანათებდა თვალი“, რომ ამზობთ, ცხადია, იმაზე წერთ, რაც არ გინახავთ. ეს არ უნდა ქნათ.

«*He белы снеги в поле забелелися*» და «*Снеги белые, пушистые покрывают все поля*» — ეს ორი სხვადასხვა შინაარსის სიმღერაა. თქვენ კი ისინი გაგიერთიანებიათ.

ბერ-მონაზვნობა არ ირთებოდა ოქრომკვდით, ბუზმენტითა და ზიზილ-პიპილებით.

თქვენს წიგნში ბევრია ასეთი წამონაცდენები, შეცდომები, უაზრობანი და ისინი აფუჭებენ მას.

შემდეგ: თქვენ არ ფიქრობთ მკითხველზე, იმაზე, რომ მისთვის გასაგებად წერათ. თქვენ წერთ: „პროზორის დედაკაცი საფუარზეა“. რას ნიშნავს ეს? გაფიქვინებულია? ან სომ არ გადამყავებულა?

რძალი ეკითხება მამამთილს: „სამოვარი მზად არის — რა დაეყენონ?“ ჩვეულებრივად აყენებენ ჩაის. მაგრამ თუ მირონ უღალღის ოჯახში ავამზენ „ბუკვიცას“, „ზვერობოის“, კაკოს, ყავას, გამხმარი ყოლოს წვენს ან თაფლუქს, მოვალე იყავით ეს გეთქვათ მკითხველსათვის.

«Пускать коловороты зеньками» — ამას ყველა ვერ მისვდება. Коловорот — ინსტრუმენტი, ხოლო «зеньки» — სწორი არ არის, სწორი იქნება «зеники» სიტყვიდან — «зеница».

თუ დიმიტროვის მაზრაში ხმარობენ სიტყვას «хрындуги», სავალდებულო სომ არ არის, რომ დანარჩენი რვასი მაზრის მოსახლეობას ესმოდეს. რას ნიშნავს ეს სიტყვა!

იგივე უნდა ითქვას სიტყვა «дефти»-ის შესახებ. ნაცვლად «девки»-სა.

ჩვენს ყოველ გუბერნიაში და მრავალ მ.ს.რ. შიკ კი აქვთ თავისი «კალოკავები», თავისი სიტყვები. მაგრამ ლიტერატორი უნდა წერდეს რუსულად და არა ვოლგურად, არა ბლახნურად.

თქვენ უდიდესი, მრავალფეროვანი ქვეყნის ადამიანებისათვის წერთ და მტკაცედ უნდა შეიგნოთ უბრალო ჭეშმარიტება: არ არსებობს ისეთი წიგნი, რაიმეს რომ აა ასწავლიდეს ადამიანებს.

მეორე ჭეშმარიტება: ადამიანებს სწრაფად და უყვით რომ ესმოდეთ ერთმანეთსა. ყუ ლა ისინი ერთ ენაზე უნდა ლაპარაკობდნენ.

თქვენს ნაწარმოებში ამბობენ: «Я не из счетливых». რას ნიშნავს ეს?

ასეთი სიტყვები ძალიან ბევრი შეგიტანიათ წიგნში და ისინი ამახინჯებენ მას.

ტყვე მადიარს უკრაინულად ალაპარაკებთ: «Та я не могу». ძლიერ ხშირად მართებულად არ ალაგებთ სიტყვებს: «Горничная, с накрахмаленной на голове наколкой».

თუ „რომანების“ წერას ფიქრობთ, მოვალე ხართ თავი დააღწიოთ ენის აღნიშნულ ნაკლს და დაუდევრობას, რომელიც მუშაობაში გახასიათებთ.

და ერიდეთ „მოჩმავას“. თქვენს წიგნში ორმოცი წლის გლეხი,

რომელსაც მეორე ცოლად ახალგაზრდა ქალი ჰყავს და, საერთოდ, ქალების მუსუსია, ღამე ერთმანეთისაგან ვერ არჩევს თავის თვრამეტი წლის ცოლსა და ორმოც წელს გადაცილებულ, დაღეულ სიდედრს. ეს ისე ნაკლებად სარწმუნოა, რომ არ დაგიჭერებენ.

## VIII

თქვენ გინდათ, დამარწმუნოთ: რომ „ქარლ მარქსი და ლენინი ცდებოდნენ“, და „კატეგორიულად“ აცხადებთ — „სოციალიზმის აშენება დედამიწაზე შეუძლებელიაო“. ამის დასამტკიცებლად იმორჩებით ასეთ ანგარიშს:

დედამიწას შეუძლია გამოკვებოს მხოლოდ 8 მილიარდი ადამიანი. ახლა ორი მილიარდი ადამიანი დედამიწაზე. ამგვარად, 140—180 წლის შემდეგ დედამიწა მიაღწევს ავისმომასწავებელ რიცხვს — 8 მილიარდს. რა მოხდება მაშინ?

გმადლობთ იმ ზრუნვისათვის, რასაც იჩენთ ჩემი გათვითცობიერებისათვის. მე უფრო მიყვარს ვისწავლო, ვიდრე ვასწავლო, და ამას თქვენც სულითა და გულით გისურვებთ. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენ ცუდი მასწავლებელი ხართ.

თქვენი ანგარიში ვერ ამტკიცებს, რომ „სოციალიზმის აშენება დედამიწაზე შეუძლებელია“, არამედ ნათელყოფს, რომ სოციალიზმი იარსებებს მხოლოდ 140—180 წელიწადი. ხოლო რა იქნება შემდეგ? სრული რწმენით შემიძლია გითხრათ: აღარ იქნებიან ბრყვები და უეიცები. უკვე ხუთი თუ ათიოდე წლის შემდეგ აღბათ სულს განუტევებს მცირემცოდნე უბირი ადამიანი, ვინც თქვენ სოციალიზმზე ასე მსჯელობა გასწავლათ.

ამ რეგვენს უნდა ეთქვა თქვენთვის, რომ 130 წლის წინათ, 170მ წელს, ინგლისელმა თომას მალთუსმა დაბეჭდა წიგნი „მოსახლეობის კანონიერების გამოცდილება“. ამ წიგნში იგი ამტკიცებს, რომ დედამიწის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი არსებობის საშუალებანი. მისი საბუთები მთლიანად უარყო არა მარტო კ. მარქსმა, არამედ ბურჟუაზიულმა მეცნიერებმაც — კერიმ, ბასტიამ, ჰერბერტ სპენსერმა. ეს უარყოფა, საერთოდ, იმას ეყრდნობა, რომ რაც უფრო გონიერია — ინტელექტუალურია — ცხოველი, მით უფრო ნელა მრავლდება იგი. სპილო იძლევა ერთ ნაშიერს 20—24 თვის განმავლობაში, ტახი ანაყოფიერებს 40-მდე დედა-ღორს, ხოლო ღორი მკობს მხოლოდ რვა თვეს და იძლევა ათამდე გოქს.

ადამიანთა საზოგადოებაშიც იგივეს ვხედავთ: რაც უფრო ნაკლებ კულტურული არიან ადამიანები — მით უფრო მეტი ბავშვები ჰყავთ; სოფლების მოსახლეობა ყველგან ქალაქის მოსახლეობაზე უფრო ნაყოფიერია. გლეხი ქალები მშობიარობენ თითქმის ყოველწლიურად, ხოლო მდიდარი და შეძლებული ბურჟუაზია სულ უფრო ფართოდ იყენებს „ორი ბავშვის“ სისტემას. აქედან ცხადია, რომ ადამიანების უაზრო გამრავლება შეიძლება რეგულირებულ იქნას და უკვე რეგულირდება გონების მეშვეობით.

მაგრამ საქმე მართლაც ეს როდია, არამედ ისიც, რომ, როდესაც მალთუსი და თვით მარქსიც კი წერდნენ, მათ არ შეეძლოთ მეცნიერებისა და ტექნიკის ზღაპრულად სწრაფი ზრდის განჭვრეტა. მეცნიერება და ტექნიკა განუწყვეტლივ ვითარდება და სულ უფრო ამდიდრებს კაცობრიობას. ავტომობილები ავიწროებენ ცხენს; მიწის ვეებერთელა სივრცეები, რომლებიც შვრიას ეჭირა, ახლა ხორბლით, კვავით ითესება. მიკრობიოლოგიისა და ქიმიის მეცნიერება იჭრება სოფლის მეურნეობაში და მიზნად ისახავს მოსავლის გადიდებას, რასაც წარმატებით აღწევს კიდევ. ქიმია იძლევა სასუქების უდიდეს რაოდენობას, ანადგურებს პურის მავნებლებს, მწერებს — კალიას, „ხოქოს“, „ქესენის ბუზს“ და სხვ., აგრეთვე მღრღნელებს — ციყვს, მინდვრის თაგვს და სხვ. პურის მოსავლის, საკვები საშუალებების გადიდება — ეს უკვე ადამიანის ძალასა და ნებას ემორჩილება. თქვენ, გლეხმა, ყოველივე ეს უნდა იცოდეთ; თქვენთვის ამის ცოდნა გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე მოსახლეობის მატების თვლა და ისიც არასწორად. ეს თქვენი საქმე არ არის და იგი სრულიად ტყუილ-უბრალოდ „შეგპარვიათ გოგრაში“, როგორც იტყოდა ხოლმე გლეხობის ჩინებული მცოდნე, მწერალი გლებ უსპენსკი.

ვინც თქვენ მალთუსის თეორია გაგაცნობთ, არ გითხრათ, რომ ეს თეორია ძალიან მოეწონათ შემამულეებს, ფაბრიკანტებს და, საერთოდ, მდიდარ ადამიანებს. მან საშუალება მისცა, მუშებისა და გლეხებისათვის გადაებრალეზინათ მათ მიერ მშრომელ ადამიანთა გალატაკება; მდიდრები მალთუსს იმოწმებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ გლეხობისა და მუშათა კლასის სილატაკის მიზეზი მიწის უქმარობა, მისი ცუდი დამუშავება, მეტისმეტად მცირე ხელფასი და, საერთოდ, მდიდრების მიერ განხორციელებული ძარცვა კი არ არის, არამედ სწორედ ის, რომ მშრომელი ხალხი სწრაფად მრავლდება. შემდეგ ისინი ამტკიცებდნენ იმასვე, რასაც თქვენ არ არსებობს არავითარი ღონისძიება და საშუალება მშრომელი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მას ვერაფრით დაეხ-

მარები, რომ უკეთ იცხოვროს, და არც არის საჭირო ასეთი დახმარებაო. მალთუსს საზიანოდაც კი მიაჩნდა საზოგადოებრივი დახმარება ღარიბებისადმი, რადგან, როგორც იგი ფიქრობდა, ამგვარი დახმარება მხოლოდ ამრავლებს ლატაკებსო.

აი, როგორ იღებებს ქადაგებთ თქვენ — თქვენივე გამოთქმა რომ ვინმართ, „ლიპმოქცეული“ გუბერნიის გლეხი. ძლიერ მებრალეა ის ადამიანები, რომელთაც თქვენ ამ უბადრუკ იღებებს უნერგავთ. ხოლო ის კაცი, ვინც თქვენ ეს იღებები ჩაგინერგათ, ჩემი შეხედულებით, საზიზღარია და მშრომელი ხალხის მტერი.

სისულელეების ქადაგების ნაცელად, გიჯობთ სხვა რამე საქმეს მოჰკიდოთ ხელი. იფიქრეთ იმაზე, თუ რამდენი არაფრის მაქნისი ბუჩქი და ხე ფიტავს მიწას, რაოდენ ძვირფას წვეწვს წოვს მას სარეველა ბალახები, რა ზიანს აყენებენ ისანი პურეულს. რამოდენა სახნავ-სათეს მიწას ანადგურებენ ხრამები, რა ბევრი ქაობია ჩვენში, რომლებიც უნდა ამოვაშროთ, რა ბევრი ხრიოკი ადგილებია, რომელთა მორწყვაც შეიძლებოდა იმ მდინარეთა წყლებით, უნაყოფოდ რომ ინთქმებიან ზღვებში, — და კიდევ ბევრ რამეზე უნდა ფიქრობდეთ თქვენ, გლეხი. სწავლაც საჭიროა. თორემ მარქსსა და ლენინს აკრიტიკებთ, ამ დროს არც ერთი წაგვიკითაზაუთ, არც მეორე და შეცნიერულ სოციალიზმზე არავითარი წარჩოდგენა არა გაქვთ.

სხვათა შორის, იფიქრეთ იმაზეც, თუ როგორ ფიტავს მიწას წვრილი კერძო მეურნეობა. და გამოიანგარაშეთ, რა დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს უკულტურო, უბნეირო მიწათსარგებლობა.

## IX

თქვენი წიგნი წავიკითხე. იგი საქმის ცოდნით არის დაწერილი, და თუმცა ეს თემა მრავალჯნის დაამუშავეს. გაიცვიოთა. გაუხეშდა, — წიგნს მაინც ინტერესით ვკითხულობდი. შესაძლოა, ეს ინტერესი თქვენთან პირადმა შეხვედრამ აღძრა, ამან იქონია გავლენა თქვენი რომანისადმი დამოკიდებულებაზე. მაგრამ რომანი მაინც არ შემოიძლია მივიჩნიო, საერთოდ, კარგ ნაწარმოებად.

უკვე რომანის ტრატულზე იგრძნობა ავტორის პრეტენზია თავისებურებისა, ხოლო შემდეგ თითქმის ყველა. ორასორმოცივე გვერდი გარწმუნებს, რომ ეს თავისებურება „ბრძნობის“ შედეგია, რასაც დიდი გაკვირვებით მიაღწია ავტორმა; ამან კი ძლიერ შეუშალა ხელი: ავტორს — იმაში, რომ უფრო გულწრფელი ყოფილაყო.

წიგნს კი — იმაში, რომ უფრო დამაჯერებელი იყოს. თქვენ გინდოდათ. ისე არ დაგეწერათ, როგორც „სხვები წერენ“, მაგრამ ამას რომ ესწრაფოდით, თავს ძალა დაატანეთ და გაცილებით ცუდად დაწერეთ, ვიდრე შეგეძლოთ. რასაკვირველია, საქმე ესება არა მარტო ფორმას, თუმცა ფორმასაც შეუძლია ძვირფასი მასალის გაფუჭება.

„მამა“ თქვენ აიღეთ ზერელედ, როგორც იღებს და ხატავს მას ყველა ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატორი: მამა სოციალური არსებაა, ვისაც შეილისაგან განასხვავებს მხოლოდ „აზრთგანწყობილება“, რომელიც შეიქმნა ყოფაცხოვრების ჩვეულებათა, ჩვევათა და ა. შ. ნიადაგზე. მე ვფიქრობ, რომ მამა, როგორც „ტიპი“ უკვე დროა განვიხილოთ უფრო გულისყურით, უფრო ღრმად, არა მარტო როგორც სოციალური, კლასობრივი არსება, არამედ როგორც ბიოლოგიური არსებაც. მაშინაც კი, როცა მამამ უნივერსიტეტი დაამთავრა, ყველა საუკეთესო წიგნი წაიკითხა, — მთელ მის „კოდნას“, უმეტეს შემთხვევებში, გაცილებით ჰარბობს მისი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი სოციალური გამოცდილება, ხოლო ამ „საუკუნოვან გამოცდილებას“ ადამიანთა საზოგადოებაში არ შეეძლო განსაზღვრული ბიოლოგიური მნიშვნელობა არ ჰქონოდა. მე ვლაპარაკობ არა მემკვიდრეობითობაზე, არამედ უფრო დიდ სხვა რამეზე, უფრო კონსერვატიულზე, რაც თავს იფარავს „აზრთგანწყობილებაში“, და რაც მამებსა და შვილებს ერთმანეთის გაგების უნარს აბრუნებს.

როგორც ლიტერატურული ტიპი, მამა ღრმად უნდა გრძნობდეს, რომ იგი იცავს საუკუნეობით დამკვიდრებულ ცხოვრების წესებს, რომლებიც ისევე ორგანულად აუცილებელია მისთვის, როგორც თევზისათვის — წყალი, ჭინთათვის — მიწა; უნდა გრძნობდეს, რომ მისი შვილის რევოლუციური ნებისყოფა მხოლოდ იმიტომ წარმოიშვა, რომ დაანგრის, მოსპოს ნიადაგიც, ატმოსფეროც და ყოველივე ის — უდიდესიდან დაწყებული, უმნიშვნელო მცირეთი დამთავრებული, — რომელშიც ცხოვრებას შეეგუა მამა და ურომლოსოდაც მას არსებობა არ შეუძლია.

შვილი, როგორც ტიპი, უნდა განასახიერებდეს რევოლუციურ ნებისყოფას, რომლის მიზანიც მომავალშია; აწმყოში კი, რომელსაც განასახიერებს და იცავს მამა, ყველაფერი აფერხებს შვილის ნების განვითარებას, აძნელებს მის მუშაობას.

ივანე პიატოვის შეჩახება თავის შვილთან — პეტრე პიატოვთან — კერძო შემთხვევაა, იმ ტრაგედიის უმნიშვნელო ეპიზოდია, რომელიც ჩვენს დღეებში მწიფდება. თუ ჩვენ გვინდა კარგად

ვიგრძნობთ ამ ტრადიციის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, მისი ძირითადი გმირები უნდა დავხატოთ სწორედ როგორც ტიპები, როგორც ორი სრულიად შეუხრივებელი მსოფლშეგრძნების შეჯახება. რასაკვირველია, შეიძლება ამ ძირითადი თემის დანაწილება, მაგრამ ეს დანაწილება ისეა საჭირო, რომ თემის ჰეგემარული და ღრმა აზრი ნათლად გაშუქდეს. ძირითადი აზრი კი უბრალოა: დაუნდობელი ბრძოლა „კერძო საკუთრების წმინდა ინსტიტუტის“ — ცხოვრების ყველა უბედურების, ყველა დანაშაულის, ყველა სიმახინჯის ამ წყაროს — სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ.

წარმოდგინეთ შეილი — შემთხვევითი თეთრგვარდიელი, „მობილიზებული“ კაცი, რომელმაც უკვე შეიცნო ან თანდათანობით შეიცნობს, რომ მისი ხელით სპობენ ადამიანებს — შესაძლოა, მის-სავე მეგობრებს; და სპობენ მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობდეს მამამისის კერძო მეურნეობა, როგორც იგი არსებობდა საუკუნეების მანძილზე.

დახატეთ ეს კერძო საკუთრება როგორც საშინელება, რომელიც შექმნილია მამის მიერ ამ მეურნეობის, როგორც ცხოვრების ერთადერთი მტკიცე საფუძვლის რწმენის ძალით; დახატეთ შვილები, როგორც ამ საშინელი ტყვეობის მსხვერპლნი და მათი ცხოვრება — როგორც საპყრობილე ღია ცის ქვეშ. ასეთი თემა ძალიან ბევრია.

ახლა თქვენი წიგნის სტილის გამო. „უაზრო, რალაც მოდუნებული, მოსაწყენი სიკვდილი ქროდა თანაბარი სუნთქვით“, — წერთ თქვენ 129-ე გვერდზე. ეს თქვენთვის ძალიან დამახასიათებელი ფრაზაა. იგი, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოცემულია ცნება „სიკვდილის“ სამი განსაზღვრა, მაინც ბუნდოვანია. თქვით „მოდუნებული სიკვდილი“ და სიტყვა „მოდუნებულს“ მიუმატოთ „რალაც“, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკვის ქვეშ დააყენოთ ეპითეტ „მოდუნებულის“ სისწორე. შემდეგ თქვენ უმატებთ — „მოსაწყენიო“. რა საჭიროა ასეთი ახუნებულება? „მეჩხერი და უფოთლო ჯერ ცაცხვები“, — რატომ „ჯერ ცაცხვები“ და არა „ჯერ უფოთლო“, რაც გაცილებით უკეთესია? ძლიერ დახლართულია სიტყვები 166—167-ე გვერდებზე. და მათ თქვენ ხლართავთ ორიგინალობის ძიების გამო; საჭირო კი არის ენის უბრალოება და მკაფიოება ექვით.

თქვენს კითხვაზე, შემიძლია თუ არა ვწერო ჩვენს დროში? დადებითად ვუპასუხებდი, წერილში რომ არ გაგეცხადებინათ თქვენს „მსოფლმხედველობასა და მსოფლშეგრძნებას“ შორის არსებულ „უთანხმოებაზე“.

ზევით მოგახსენეთ, თუ როგორ მესმის ეს „უთანხმოება“ — ავადმყოფობა, რომელიც ალბათ იშვიათი არ არის თქვენი თაობისა და სოციალური წრის ადამიანებისათვის. ჩემი აზრით, ადამიანისათვის დამღუპველია, თუ მასში ერთმანეთს უთავსდება — ან ეწინააღმდეგება — რევოლუციური „აზრთგანწყობილება“ და მისი მამის „მსოფლშეგრძნება“; და ალბათ ეს ასეა: ადამიანი „ჰკუთით“ რევოლუციონერია, ხოლო ინსტინქტით, ემოციებით — კონტრ-რევოლუციონერი. სხვაგვარად არ მესმის „უთანხმოება“. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი „უთანხმოების“ პირობებში თქვენ საეკვივა შეძლოთ მუშაობა ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად, ეპოქის ნების გამომხატველი მუშათა კლასის ინტერესების სასარგებლოდ.

შემდეგ, თქვენ აღიარებთ: „არ შემიძლია უბრალოდ წერა, სირთულე მიტაცებს, მიზანი ფრახას ეწირებაო“. ეს ცუდია, ძალიან ცუდი. იფიქრეთ: ვის რად სჭირდება თქვენი ფრახა, რომლის უბრალოდ და გასაგებად დალაგება არ შეგიძლიათ? და რომც შეგეძლოთ, ვის ესაჭიროება ფრახა, რომელიც ალბათ ორაზროვანი იქნება თქვენი აზროვნებისა და თქვენი მსოფლშეგრძნების უთანხმოების შედეგად? თქვენ წერთ: „საფუძვლიანად ვსწავლობდი ფილოსოფოსებსო“, — ნუთუ ისე საფუძვლიანად, როგორც გგონიათ? ვფიქრობ, ცდებით, — ასე რომ არ იყოს, შერეულ ანდერსონს, რომელსაც არავითარი „ფილოსოფია“ არ გააჩნია, და მხოლოდ მის მიერვე ცუდად გაგებული ჩეხოვის გავლენას განიცდის, არ დააყენებდით ჰამსუნის გვერდით, ვინც აღიარა ბედისწერა და მისადმი დამორჩილების აუცილებლობა. ეს კი თვალსაჩინოდ ჩანს მისი უკანასკნელი წიგნების — „მიწის წვენი“, „ტარახუსის სანატორიუმის“, „მაწანწალების“ მიხედვით.

საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თქვენმა წერილმა. თქვენი თაობა ერთი ამბით შევიდა ცხოვრებაში, „ცეცხლსა და ქარიშხალში“. ძველი სამყარო მტრულად, მძულვარებით შეგვეგებათ. ამის გამოწვევა კი მხოლოდ ძლიერ ადამიანებს შეეძლოთ. თქვენ მორ გალასაწყვეტი ამოცანები უდიდესია და მთლიანად უნდა ფლობდეს თქვენს გონებასა და გრძნობებს. საქმე, რომელსაც ყოველდღიურად ემსახურებით, — უდიდესი, არნახული, გაბედულ საქმეა, მიუხედავად მისი მოჩვენებითი წვრილმანებისა და დაქუცმაცებულობისა. თქვენს ხელთ არის არქიმედის ის ბერკეტი, რომლითაც „ქვეყნის გადაბრუნება“ შეიძლება.

და უეცრად, უთანხმოება „აზრთგანწყობილებასა“ და „მსოფლშეგრძნებას“ შორის. საოცარია!



ვფიქრობ, ისეთი ნამუშევრები, როგორცაა „სოფლკორის ენა“, ნაადრევია და შეუძლიათ საკმაო ზიანიც კი მიაყენონ ენის ნორმალურ განვითარებას. თქვენს შრომაში სასურველი წინ უსწრებს არსებულს. საექვო ღირებულების მასალაზე დამკვიდრებული ნაჩქარევი დასკვნების შედეგად, თქვენ ახალ, ორიგინალურ სიტყვათწარმოებად მიგაჩნიათ „ადგილობრივი გამოთქმები“, „პროვინციალიზმები“. ეს იმ დროს, როდესაც თქვენი მასალა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ უშესანიშნავესი, აფორისტული რუსული ენა, ხატოვანი და მარჯვე რუსული სიტყვა მახინჯდება და „ირყვნება“.

მყარად და ჩინებულად ჩამოყალიბებული ენის ვულგარიზაციის ეს პროცესი ბუნებრივი, გარდუვალი პროცესია; ფრანგულმა ენამ იგი განიცადა „დიდი რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც ბრეტონელები, ნორმანები, პროვანსელები და ა. შ. ერთმანეთს შეხვდნენ მოვლენათა ქარტეხილებში; ამ პროცესს ყოველთვის ხელს უწყობს ომები, არმიები, ყაზარმები. თქვენთვის, როგორც ჩანს, სიტყვის გულწრფელი და მგზნებარე მოყვარულისათვის, მეტად სასარგებლო იქნებოდა დემიან ბედნის მიერ უმართებულად ნაძაგები სოფიო ფედორჩენკოს წიგნი — „ხალხი ომში“, აგრეთვე ვოიტოლოვსკის ჩინებული წიგნი — „ომის ნაკვალევზე“.

მეც მუშაოფლკორთა, „დამწყებ“ ლიტერატორთა, მოსწავლე ახალგაზრდობის ბევრ წერილს ეკითხულვ და სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მრჩება: რუსულ ენას ამახინჯებენ, რყენიან, მისი ზუსტი ფორმები ივსება ადგილობრივი გამოთქმებით, იგი იწოვს სიტყვებს ნაცუმცირესობათა ლექსიკონიდან და ა. შ.; მეტყველება ნაკლებად სურათოვანი, ნაკლებად ზუსტი, ნაკლებად მოსწრებული, უფრო მრავალსიტყვიანი, ბლანტი ხდება: სიტყვები ხშირად აზრის გვერდით დგებიან, არ შეიცავენ აზრს. მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ ეს არის ბუნებრივი, გარდუვალი პროცესი და არსებითად, ლექსიკონის გამდიდრების, გაფართოების პროცესია. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ჭერ კიდევ არ აზის სიტყვათა წარმოების პროცესი, რაც სავსებით ენათესავება ჩვენი ენის სულს; ეს მექანიკური პროცესია.

როგორც ვატყობ, თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ. თქვენ ჩქარობთ დაამკვიდროთ და განამტკიცოთ ის, რაც სიტყვათწარმოებად მიგაჩნიათ; ენის წმინდა გარეგნულ გამდიდრებას თქვენ შემოქმედებად მიიჩნევთ. ჩვენი ბურჟუაზიული კლასის ძალიან ბევრი ადამიანი ლაპარაკობდა ფრანგულად, მაგრამ ეს სრულიადაც არ მატებდა მათ კულტურას.

თქვენი ნამუშევარი მეუბნება, რომ თანამედროვე წიგნიერი გლეხი უფრო ცუდად ფლობს ენას, ვიდრე ლევიტოვის, გლებ. უსპენსკის და სხვების მუყეკები, რომ სოფლკორი მტყველება უფრო ღარაბია სახოვნობის, სიზუსტის, სიმახვილის მხრივ, ვიდრე ფედორჩენკოს და ვოიტოლოვსკის ჯარისკაცთა მტყველება.

გოგონას „მომხიბლველ“, „ზარისებრ ელერად“ სიცილს არ შეიძლება დაეუპირისპიროთ „დამცინავი“, „მეფისტოფელური“ სიცილი. გოგონას ჯერ კიდევ არ უსწავლია „დამცინავი“ სიცილი. დამცინავი და მომხიბლველი ეს სრულიად სხვადასხვა ფსიქიკის ადამიანთა ენებია. მომხიბლველი სიცილი ახალი არაა. თქვენ მას იპოვით ალბათ ანდრეი პეჩორსკის „ტყეებში“ და ძველ სიმღერებშიც.

შენ, გოგონავ, გული შემეშფოთე  
ღვარძლნარევი მაგ ღიმილის თაფლით...

ნათქვამია ექვ კარაჯიჩის სიმღერების თარგმანში.

ასევე არ შეიძლება „ცისფერი“ ღვართქაფის დაპირისპირება „სასტაქისადმი“, — თუმცა ეს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებაა ერთი და იგივე მოვლენისადმი, მაგრამ ლირიკულად განწყობილ გლეხსაც ხომ შეუძლია ღვართქაფს „ცისფერი“ უწოდოს, როცა „მზე პირს იბანს“.

„ზარისებრ ელერადი“ სიცილი ძალიან ცუდია იმიტომ, რომ ზუსტი არ არის, ზარები ხომ სხვადასხვაგვარია ზომითა და ხმითაც; „სპილენძისებური“ სიცილი წარმოგიდგენიათ? მართებულად ადარებენ სიცილს ექვანს. განსაკუთრებით — თუ იგი შორიდან მოგესმით.

სიტყვა „милозвучно“ თქვენ ტყუილად მიგაჩნიათ ახალ სიტყვად, იგი ნახმარი აქვს კარამზინს; გარდა ამისა, მას ალბათ შეხვდებით „კანტატებში“, რომლებსაც ყმების გუნდები მღეროდნენ. ამ კანტატებში გვხვდება „შრომანის სახის გოგონები“, „ჭეფირივით ნაზი ხმა“. 1903 წელს პენზის მახლობლად მუყეკები მღეროდნენ, წყნარი ზეფირი შოქრის ველზე ძვირფასი ქვეყნიდან, მშობლიური კოსტრომიდან.

სიტყვა „ცთომილება“ თქვენ აიღეთ სხვადასხვა დარგებიდან: ფეტისა და სხვა პოეტებისათვის იგი „საამო“ და „მშვენიერი“ უმთავრესად რომანტიკულ დარგში, ხოლო სოფლკორებისათვის — სოციალურ ურთიერთობათა დარგში. მაგრამ სოფლკორებიც ხომ ვერ დააღწევენ თავს „საამო“ ცთომილებას.

მე მგონია, თუ სიტყვათწარმოების დარგში მუშაობ, აუცილებლად უნდა იცოდე ჩვენი უმდიდრესი ფოლკლორი, განსაკუთრებით

კ. ჩენი საოცრად დახვეწილი, მოსწრებული ანდაზები და თქმულებები. „ანდაზა საუკუნეებს გაუძლებსო“. ჩენი მეტყველება უმთავრესად აფორიზმულია, გამოირჩევა „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმით“. და შევნიშნავ, რომ მასში ანთროპომორფიზმი ისე ბევრი როდია. როგორც იმ მაგალითებში, თქვენ რომ იშველიებთ: ანთროპომორფიზმი კი: თუშეცა გარდუვალია, მაინც თრგუნავს წარმოსახვას, ფენტაზიას, კვეცავს აზრს.

ყოველივე ამას მალაპარაკებს ასეთი შიში: თუ ჩვენ ვალიარებთ, რომ ლექსიკონის მექანიკური გამდიდრების პროცესი არის სწორედ ახალი მეტყველების შემოქმედების პროცესი, რომელიც თითქოს სავსებით ეთანხმება ახალ აზრებსა და განწყობილებებს, — ამ აღიარებით ჩავაგონებთ მუშსოფლკორებსა და ახალგაზრდა ლიტერატორებს, რომ მათ საკმაოდ მდიდარი სიტყვიერი მასალა აქვთ და სავსებით სწორად „აწარმოებენ სიტყვებს“. ეს უპართებულო, საზიანო იქნება.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე ახალგაზრდა ლიტერატორები, საერთოდ, ცუდად სწავლობენ და ამიტომაც ძნელად იზრდებიან. ერთმა მათგანმა თქვა: „როცა თვითონ დაწერ წიგნს. სხვათა წიგნების კითხვას თავს ანებებო“. ალბათ ეს მართალია: არის მთელი რიგი ისეთი ავტორებისა, რომლებმაც, ერთი წიგნი რომ კარგი დაწერეს, მეორე უარესი გამოსდით. ხოლო მესამე — სულ უფრო ცუდი. კრიტიკა არ ასწავლის, როგორ მოეშაობას მოითხოვს სიტყვა.

## XI

თქვენი მოთხრობა ცუდია, მაგრამ კარგი ის არის, რომ თვითონ გრძნობთ ამას; კარგი კი იმიტომ არის, რომ მოწმობს: მხატვრული სიმართლის ალლო გაქვთ. მოთხრობა კი სწორედ იმიტომ არის ცუდი, რომ თქვენ მხატვრული სიმართლე ვერ დაიცავით.

მხატვრული სიმართლე დაგერღვათ ცუდი ენის გამო. თქვენ გადაწყვიტეთ მოგეთხროთ ხალხისათვის იმ „მუყაითი მუყეის“ გამხატვების ნამდვილი შემთხვევა, სოფლის წურბელად გახდომას რომ ლამობს — ამის გულისათვის გასცემს ხოლმე თანასოფლელებს და საკუთარ კომკავშირულ შვილებს, ხელში ჩაუგდებს მათ თეთრ ბანდიტებს. სავსებით სწორად აღნიშნეთ, რომ თუშეცა თქვენს გვირს ებრალება თეთრების მიერ მოკლული თავისი ცალი და კიდევ უფრო ებრალება მათ მიერვე მოკლული თავისი შვილი, მაგრამ სინანულის ეს გრძნობა მას მაინც არ უშლის ხელს, კიდევ ერთხელ

უმტროს თანამშრომელთა საბჭოურ ჯგუფს და მათ შორის მეორე შეილს, რომელსაც იგი — მამა — უკვე საკუთარი ხელით კლავს.

მამებისა და შვილების იმ დაუნდობელ და გარდუვალ ბრძოლაში, რომელიც დაიწყო, ვითარდება და შეიძლება მხოლოდ ახალი ადამიანია. სოციალისტის სრული გამარჯვებით დამთავრდეს, — თქვენს მიერ მოთხრობილი შემთხვევა, მაინც განსაკუთრებულია მამის მხეტური სისასტიკისა და დრამატიზმის გამო. ეს შემთხვევა ძალიან უბრალოდ, ზუსტი სიტყვებით, ძალზე სერიოზული და მკაცრი ტონითაც უნდა მოგეთხროთ. ასე რომ მოქცეულიყავით, თქვენი მოთხრობა დამაჯერებლად გაიხმინებდა და მხატვრულ სიმართლესთან ერთად სოციალურ-აღმზრდელობით მნიშვნელობასაც მოიპოვებდა.

მრავალსიტყვაობა გახასიათებთ, ძალზე ბევრ ზედმეტსა და არაფრისმთქმელ ფრაზებს ხმარობთ. მაგალითად: „შეერთა მორტირა“. „მორტირამ ციებცხელებიანივით დაიფურთხა ცეცხლი“. „გაიღლეს გაქცეულთა ფიგურებმა. მიიმალნენ სოფელში“.

ამგვარი დაწყვეტილი ფრაზებით მეტყველება არ არის გამოხატვა — მკითხველისათვის აღწერილის ჩვენება. თქვენ გაანადგურეთ მოთხრობის დრამატიზმი ასეთი მშრალი ფორმებით.

„მორტირის“ მონაწილეობა ბრძოლაში ძალზე საეჭვოდ ჩანს. როგორც მასწავლებელმა, უნდა იცოდეთ, რომ: „დაიფურთხა“, საკუთარ სხეულზე დაფურთხებას ნიშნავს.

თქვენი გმირი ლაქლაქაა და ნერვიული. იგი ასე მსჯელობს შვილის გვამთან:

„ჯობს ენახო. შეიძლება, იგი არ არის. შეიძლება... არა, ის არის, ალიოშა. აი, ხალიც ლოყახე და ხუტუჭი თმებიც... ასეთი ქერა, და, აი, სისხლიც, როგორ მიხმობია თმებზე“.

ეს ყალბია. თქვენ ტყუილად მიაწერეთ ასეთი სისათუთე პეტრეს. მისი ტიპის ადამიანები არ მსჯელობენ. პეტრე ნახევარადამიანია; მას შეუძლია საკუთარი შეილის მოკვლა იმიტომ, რომ შეილს არ სურს იცხოვროს მამისებური ველური ცხოვრებით.

როცა მოთხრობის წერას იწყებდით, იცოდით. როგორია მისი დასასრული: პეტრე მოკლავს ალექსანდრეს. ეს გავალბდათ გამცემისა და შეილისმკვლელის ფიგურა სწორედ მკაცრი თავშეკავების ტონით, მკვეთრი შტრიხებით, ზედმეტი სიტყვების გარეშე დაგეხატათ. თქვენ კი ისეთი აზრები და გრძნობები მიაწერეთ პეტრეს, რომლებიც აორებენ მას, ხან „ნაროდნიკი“ მწერლების მიერ გამოგონილ სენტიმენტალურ მუეიკად და ხანაც მხეცად წარმოუდგენენ მკითხველს. ის არც ერთ შემთხვევაში არ არის დამაჯერებელი. მოკლედ რომ ვთქვათ — კარგი მასალა გააფუჭეთ.

ეს იმიტომ დაგემართათ. რომ გაპყევით მხოლოდ ერთ, თქვენ-  
თვის ცნობილ ფაქტს. მაგრამ ისევე, როგორც ერთი ცალი — თუნ-  
დაც ძალიან კარგი — აგუროთ არ შეიძლება მთელი სახლის აგება,  
ერთი ფაქტის აღწერას არ შეიძლება მიენიჭოს ტიპიური და მხატვ-  
რულად მართალი მოვლენის ხასიათი დამაჯერებელი რომ იქნება  
მკითხველისათვის.

როცა მოთხრობაზე მუშაობას იწყებდით, თქვენ რომ გაგხსენე-  
ბოდათ — პეტრე კერინი სწორედ ის მუჟიკია, ვინც ცდილობს  
ისტორიის წინსვლის შეჩერებას, იცავს ჩვენი ქვეყნისათვის მანე,  
უკულტურო, ნიადაგის ფუჭად გამომფიტავ ინდივიდუალურ მეურ-  
ნეობას, და რომელიც ხვრეტს კომკავშირელებს: წევს კოლმეურ-  
ნეობებს და ყველაფრით, რითაც კი შეუძლია, ზიანს აყენებს ახა-  
ლი კულტურის, ახალი ისტორიის განვითარებასა და ზრდას. —  
თქვენ რომ გაგხსენებინათ ამ მრავალმხრივი, მაგრამ ყველგან  
ერთნაირად ველური და გაბოროტებული ადამიანის ამბავი, — მაშინ  
შექმნიდით ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული გამოუსწო-  
რებელი ანარქისტების ტომის წარმომადგენლის მხატვრულად მარ-  
თალ, დამაჯერებელ ტიპს. მხატვრულ სიმართლეს მწერალი ისევე  
ქმნის, როგორც ფუტკარი თაფლს: ფუტკარი ყველა ყვავილისაგან  
ცოტას იღებს, მაგრამ იღებს ყველაზე უფრო საჭიროს.

## სტატიიდან „უკანსუხისმგებლო ადამიანები და ჩვენი ღრვის საბავშვო წიბნი“

...კულტურული შემოქმედების დარგში მუშათა კლასს სავსებით გარკვეული, ნათელი ამოცანა აქვს დასახული: აითვისოს ყველაფერი უდავოდ ძვირფასი, რაც ფიზიკური შრომის საფუძველზე შექმნილა წარსულში. რაც ადამიანის უნარის — მისი გონების, წარმოსახვის, ინტუიციის, მისი შემოქმედებითი ძალების — განვითარებას ემსახურებოდა და მომავალშიც მოემსახურება. გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ყოველივე იმას, რასაც შეუძლია აშკარად თუ ფარულად შეაფერხოს ამ ძალთა განვითარების პროცესი... აღმოჩენათა, გამოგონებათა ისტორია, ადამიანების ცხოვრებისა და შრომის შემამსუბუქებელი ტექნიკის ისტორია, — სწორედ ეს არის კულტურის ისტორია. ხელოვნება, ისევე, როგორც მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, შრომითი, ტექნიკური პროცესია. მეცნიერების მუშაკი, ადამიანის სისხლისა და ორგანოების დამაავადებელ მიკროორგანიზმებს რომ აღმოაჩენს და სწავლობს, ისეთსავე საქმეს აკეთებს, როგორსაც ლიტერატორი; ეს უკანასკნელიც სინამდვილეზე დაკვირვებისას და შესწავლისას, აღმოაჩენს ხოლმე მავნებლებს — იმ ადამიანებს, რომლებიც ასე თუ ისე აძნელებენ და არღვევენ სოციალური „ორგანიზმის“ ნორმალურ განვითარებას.

ყველაფერი ეს დიდი ხანია ცნობილია და ძალიან სამწუხარო და დასანანია, რომ მათი გამეორება გვიხდება, რადგან ზოგიერთებმა დაივიწყეს, ხოლო ზოგიერთებს არც სურთ ამის გაგება. ხშირად გამოხტებიან ხოლმე მხოლოდ იმის სურვილით შეპყრობილი ადამიანები, რომ ისინი დაიანახონ და მათ მოუსმინონ; გამოხტებიან და თითქოს ახალი, მაგრამ არაფრისმთქმელი სიტყვებით აბუნდოვნე-

ბენ შას, რაც უბრალო და გასაგებია. სიტყვების ეს ბუქი აბნელებს ცხოვრებას.

ცხოვრების ყველა მოვლენა საბოლოოდ ერთგან იყრის თავს. ეს არის შემეცნებისა და შრომის ტექნიკის განვითარება, ახალი სამყაროს მშენებლობისათვის საჭირო გამოცდილების დაგროვება. ამ განვითარების პროცესი არის სწორედ კულტურის პროცესი — საკუთარი თავისა და ბუნების, გარემომცველი ყოფის ცოდნით ადამიანის შეიარაღებისა და გამდიდრების პროცესი. შრომა და ცოდნა ქმნიან „მეორე ბუნებას“; ის კი არის კულტურა ამ ცნების ზუსტა და ნამდვილი მნიშვნელობით.

მუშათა კლასი უდიდეს ენერჯიას ახმარს მეურნეობას, სწრაფად ავითარებს ინდუსტრიას და მრეწველობას, მაგრამ თავისი წრიდან ვერ გამოყოფს საკმაო რაოდენობის ძალებს კულტურული მუშაობის ფრონტისათვის. და არა მარტო „ვერ გამოყოფს“, საერთოდ, საკმაო ყურადღებით ვერ ეკიდება ამ ფრონტზე ბრძოლას.

ამის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე ატეხილი ხმაური. ეს ხმაური იმ ადამიანების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებმაც სახელმწიფო გამომცემლობის საბავშვო განყოფილებაში მუშაობის დროს ბავშვებისათვის გამოსცეს მთელი რიგი ნიჭიერად დაწერილი წიგნებისა. შენაძლოა მათ შორის იყოს ორი-სამი უხეირო. მაგრამ „ლიტერატურნაია გაზეტას“ კრიტიკოსები ამტკიცებენ, ყველა წიგნი უხეირო და მავნეც კი არისო, უხეიროა სახელმწიფო გამომცემლობას მთელი მუშაობაო.

თუ საჭიროდ თვლიან „ბავშვთან სერიოზულად ილაპარაკონ“, კეთილ იმებონ და ბავშვის აღზრდის საკითხზეც საესებით სერიოზულად იმსჯელონ. ნახევრადუწიგნურად დაწერილი ფელეტონები და მათი ტონი კი იმას მოწმობს, რომ ამ ადამიანებს არ ესმით საკითხის მთელი სიღრმე და მნიშვნელობა. ამ საკითხზე ბრძანეს, ბავშვის გართობის ტენდენცია მის უპატივემულობას ნაშნავსო.

მე ვამტკიცებ. ბავშვი უნდა „შეიწყო“. მხის სისტემაზე, ჩვენს პლანეტაზე. მის ქვეყნებსა და ადამიანებზე პირველდაწყებითი წარმოდგენა ბავშვს თამაშით, სათამაშოებით უნდა მივაწოდოთ. ასე სხვადასხვაგვარია ჩვენი დამოკიდებულება უდიდეს მნიშვნელობის საქმესადმი — ბავშვების სოციალისტებად აღზრდის საქმისადმი იმ ქვეყანაში, რომელიც წარმატებით ისწრაფვის სოციალისტური გარდაქმნისაკენ. მაგრამ ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა. ეს გარ-

დაქმნა უნდა დაამთავრონ დღევანდელმა ბავშვებმა, რომლებიც წინააღმდეგობრივს ვათარებაში ცხოვრობენ; ისინი იმყოფებიან ყრმა სოციალიზმსა და საუკუნეობით, ათასწლობით ნაზარდი ინდივიდუალიზმის ბუმბერაზს შორის განუწყვეტელი, წვრილმანი, ყოფითი ბრძოლის პირობებში, — შეიგნეთ ეს!

მე ვამტკიცებ ბავშვებს გასართობად უნდა ვუამბოთ კრუპისა და ტისენის საშინელი დანაშაულებანი, მათში ორგანული ზიზღი, მძულვარება უნდა აღძვრათ ბოროტმოქმედებისადმი და არა შიში. კლასობრივი ზიზღი უნდა ჩაინერგოს მტრისადმი, როგორც უმდაბლესი ტიპის არსებისადმი, სიძულვილით და არა შიშით მისი ცინიზმის, მისი სისასტიკის წინაშე, როგორც ამას — შეუგნებლად — აკეთებდა რევოლუციამდე სენტიმენტალური „საბავშვო ლიტერატურა“; იგი სრულებით ვერ იყენებდა ისეთ მოპაკვინებელ ძალას, როგორიც არაა სიცილი.

საესებით დარწმუნებული ვარ, რომ მტერი მართლაც უმდაბლესი ტიპის არსებაა, რომ იგი — დეგენერატია, ფიზიკურად და „მორალურად“ გადაგვარებულია. ამ საკითხში ჩემს მხარეზეა დანაშაულობათა ზრდის სტატისტიკური ცნობები, ფსიქოპათოლოგიის, სექსუალურ გარყვნილებათა ცნობები — „ომის შემდგომი“ დროის ბურჟუაზიის საშინელი გაზრწნის უამრავი ფაქტი.

მე ვამტკიცებ, რომ გოლიათთან დავითის შებმის ბიბლიური ზღაპარი, პერსეას ლეგენდა და ყველა ზღაპარი ამ თემაზე ბავშვებისათვის იყო შექმნილი, მათ ბავშვებს უამბობდნენ და რომ მათი წყალობით გაიზარდნენ სპარტაკები, ფრა-დოლჩინოები და სხვა რევოლუციონერები.

ბავშვებს მსუბუქად და „თავშესაქცევად“ უნდა მოვუთხროთ დიდი აღმოჩენებისა და გამოგონებების ისტორია. ეს ჭეშმარიტად საკაცობრიო ისტორია ბევრ მძიმე დრამას მოიცავს, მაგრამ ამავე დროს მასში იმალება მმართველი კლასების ბევრი სასაცილო ყვეჩობა და საზიზღარი წუწურაქობა.

ბავშვებმა კარგად უნდა იცოდნენ ის სასაცილო ისტორია, თუ როგორ აბრკოლებდა საერთო-საკაცობრიო კულტურის განვითარებას და მბრძანებელი იდიოტების პირად კულტურულ განვითარებასაც იმ ადამიანების იდიოტიზმი, რომლებიც თავიანთი პირადი კეთილდღეობის საუკუნოდ განმტკიცებას ცდილობდნენ.

დიდი ფიზიკოსი ფარადეი მუშა იყო და ხასიათში ჰქონდა ბევრი სასაცილო — საოხუნჯო; ეს უნდა ვუამბოთ ბავშვებს. — დაე, იცოდნენ მათ, რომ „დიდი“ ადამიანები „ჩვეულებრივი ადამიანები“ არიან.



ბავშვები უნდა იცნობდნენ მილიონერის მახინჯ, სასაცილო ცხოვრებას, ეკლესიის ჩინოვნიკთა, ღვთის მსახურთა სასაცილო ცხოვრებას. ცხადაა, ბავშვები გაიცინებენ გენერლის დაკარგვისა და ძებნის ისტორიაზე, და იმის გამოც, თუ ცილინდრებში და ტიარებში გამოწყობილი ახალი პეტრე ამენელეები როგორ აწყობენ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ საბჭოთა ბავშვების მამებისა და უფროსი ძმების წინააღმდეგ. საჭიროა ნიჰიერად და მხიარულად ვუჩვენოთ ბავშვებს წარსულის მანკიერებანი. მანკიერებებზე „სერიოზული“ ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ მოვახდინოთ ბავშვების ყურადღების „ფიქსირება“ მანკიერებებზე, რომლებიც მაინც შეიცავენ რაღაც მაცოთუნებელს, ხოლო მის აღსაქმელად ბავშვებში არსებობს მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიღებული „ნიადაგი“. სოციალური მანკიერებანი ნაჩვენები უნდა იყოს მსუბუქი სატირული ფორმით, როგორც საზიზღარი და სასაცილო სიმახინჯე.

ბავშვებთან უგერგილოდ ლაპარაკი იწვევს შოწყენილობას და შინაგანად განაწყობს მათ ქადაგების თემის საწინააღმდეგოდ, — როგორც ამას ადასტურებს რევოლუციამდელი პერიოდის ოჯახის, სკოლისა და „საბავშვო“ ლიტერატურის გამოცდილება.

დიდი ხანია დადგა დრო, რომ უკუვაგლოთ შეხედულება ბავშვებზე, როგორც სანთელსა და აყალოზე, ისეთ მასალაზე, რომლისგანაც ყველაფრის გამოძერწვა შეიძლება. ეს შეხედულება სამგვარ შედეგს იძლეოდა: ბავშვთა უმეტესობა უპიროვნო, უპასუხისმგებლო და სინამდვილის მორჩილი იზრდებოდა, უმცირესობა კი ორ ჯგუფად იყოფოდა: უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი წარმოშობდა ცინიკოსებსა და კარიერისტებს, მცირერიცხოვანი კი ნაროდნიკების რომანტიკულ რევოლუციაში ებმებოდა.

ბავშვს ახასიათებს ბრწყინვალესაყენ, არაჩვეულებრივისაყენ მისწრაფება. არაჩვეულებრივი და ბრწყინვალე ჩვენში არის ის ახალი, რასაც მუშათა კლასის რევოლუციური ენერჯია ქმნის. აი, აქეთ უნდა წარვმართოთ ბავშვების ყურადღება, ეს უნდა იყოს მათი სოციალური აღზრდის მთავარი მასალა. მაგრამ ეს ნიჰიერად, მარჯვედ და ადვილად ასათვისებელი ფორმით უნდა მოვეუბნოთ და ვაჩვენოთ ბავშვებს.

მუშათა კლასი, რომელიც თავის წრეში აღზრდის და წამოსწყევს აულტურის ოსტატებს, მოვალეა მათგან განსაკუთრებით მკაცრად და გულდასმით შეარჩიოს პედაგოგიური უნარის მოღვაწეობის მქონე ადამიანები. ასეთ ადამიანთა ძირითადი თვისება უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვების სიყვარული, შემდეგ — ფართო განათლება.

ბავშვებს პატიოსნად უნდა მოეპყროთ. უნდა შეგვეძლოს იმის თქმა, რომ ჩვენ, მამებმა, ზოგიერთი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით; თქვენ, ბავშვებო, იმითმ გაჩნდით ამ ქვეყანაზე, რომ ყველაფერი იცოდეთ.

რასაკვირველია, ბავშვების სწავლება აუცილებელი საქმეა. მაგრამ საქირთა გვესმოდეს, რომ ჩვენც უნდა ვსწავლობდეთ ბავშვებისაგან.

## აღაშიანი, რომელსაც ყურში ბამბა უღვს

საბავშვო წიგნზე გამართული  
დისკუსიის გამო

„ლიტერატურნაია გაზეტას“ ოცდამეჩვიდმეტე ნომერში დაბეჭდილია რსფსრ განსახკომის საბავშვო წიგნის კომისიის თავმჯდომარის ე. ფლერინას წერილი. საკმაოდ მყვირალა ტიტულია.

ტიტულიანი ავტორის მკიარე სტატიის მიზანია დაიცვას და გაამართლოს ვიღაც დ. კალმას სამარცხვინო გამოხდომა საბავშვო წიგნების მუშაკთა და საბავშვო ლიტერატურის გამოცემის დარგში სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობის წინააღმდეგ. დ. კალმას უეციობამ და თაღლითობამ საბავშვო ლიტერატურის ყველა მუშაკისა და პროლეტარული მწერლობის ლენინგრადის ასოციაციის პრეზიდიუმის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია... ასე, რომ დ. კალმაზე ლაპარაკი არა ღირს, მან კარგი გაკვეთილი მიიღო და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქცია მომავალში მეტი წინდახედულებით მოეკიდება მის თავაშვებულ მოქმედებას.

გაზეთში, რომელიც თავის თავს „ლიტერატურულს“ უწოდებს, არ უნდა იბეჭდებოდეს ისეთი სისულელები. როგორიც არის კალმას განცხადება: „მარშაკი წიგნში „სამი ნადირთმშვერი“ იმეორებს ილფისა და პეტროვის წიგნის „თორმეტი სკამის“ მანერას“. უნდა ვიცოდეთ, რომ „თორმეტი სკამი“ დაიბეჭდა 1928 წელს, ხოლო „სამი ნადირთმშვერი“ — 1923 წელს.

~~შეგვრამ~~ მეტად საინტერესოა ე. ფლერინას გამოსვლა დ. კალმას დასაცავად. ტიტულიანი ბიუროკრატის სტატიას ასეთი სათაურა აქვს: „ბავშვს სერიოზულად უნდა ველაპარაკოთ“ ხუსტად ასეთი-

ვე სათაური ჰქონდა ყაზანის გუბერნიის სასოფლო სკოლების ინსპექტორის მალინოვსკის წერილს, რომელიც ოთხმოციანი წლების ბოლოს დაიბეჭდა წიგნში „დარიგება ყაზანის გუბერნიის სასოფლო სკოლების მასწავლებლებს“. იგი სასაცილოდ აიგდო, როგორც მახსოვს, შელგუნოვმა თუ დალინ-ლინეევმა. ე. ფლერინას წერილის არსი შემდეგ ფრაზაშია გამოთქმული:

„ბავშვის გართობის ტენდენცია — მახარობა, ანეკდოტი, სენსაცია და ტრიუკები სერიოზულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზეც კი — მეტი არაფერია, თუ არა უნდობლობა თემისა და უპატივემლობა ბავშვისა, რომელთანაც არ სურთ სერიოზული ლაპარაკი სერიოზულ საგნებზე“.

ვამტკიცებ, რომ ეს უწიგნური ფრაზაა. რას ნიშნავს თემის „უნდობლობა“? რატომ არ შეიძლება ჩვენი დროის ბავშვს ეუამბოთ ანეკდოტები სახალხო განათლების მეფისდროინდელ მინისტრებზე — ტოლსტოიზე, დელიანოვზე, თვითმპყრობელური წყობილებისდროინდელ გიმნაზიის მასწავლებლებზე, ხუცებზე, ზოგიერთი ჩვენი თანამედროვის სისულელეზე, ძაღლების „ჰუმანიზმზე“ და ა. შ.? რა აქვს მხედველობაში ავტორს, როცა „ტრიუკსა და სენსაციასზე“ ლაპარაკობს; რა დამოკიდებულება აქვთ ამ ცნებებს თანამედროვე საბავშვო ლიტერატურასთან? თუ უზრნალი „ეჟი“ აცნობებს ბავშვებს, რომ კულტურულ ინგლისში ასობით ბავშვი დაწვეს კინოში და რომ ეს მუშათა ბავშვები იყვნენ, ეს განა „სენსაციაა“?

მაგრამ ამ ფრაზის არსი, რასაკვირველია, ფლერინას ამ აბდაუბდაში კი არა, „ბავშვის გართობის ტენდენციის“ მისეულ უარყოფაში მდგომარეობს. არ მჯერა, რომ განსახკომი უარყოფდეს ამ ტენდენციას. ბავშვს ათი წლის ასაკამდე გართობა ესაჭიროება; ეს ბიოლოგიურად კანონიერი მოთხოვნაა. მას თამაში სურს, იგი ყველაფერს თამაშობს და მის გარემომცველ სამყაროს, უპირველეს ყოვლისა, და უფრო ადვილად სწორედ თამაშით შეიმეცნებს. იგი თამაშობს სიტყვიტაყ. სწორედ სიტყვიტ თამაშის წყალობით ბავშვი ითვისებს მშობლიური ენის სიფაქიზეს, ითვისებს მის მუსიკას და იმასაც, ფილოლოგები „ენის სულს“ რომ ეძახიან. ფლერინა მართლა სერიოზულად და აზრიანად რომ ეკიდებოდეს ბავშვებს, იგი გართობის უფლებას არ წაართმევდა მათ. ფლერინამ რომ უკეთ იცოდეს ის დარგი, რომელსაც საკუთარი სინდისით თუ არა, თანამდებობის გამო მაინც აუცილებლად უნდა იცნობდეს, იგი გაიხსენებდა, რომ მარტო პუშკინს კი არ უსწავლია რუსული ენა თავისი ძიძის სიმღერებისა და ზღაპრების წყალობით, არამედ ლესკოვიც, გ. უსპენსკიც და ბევრი სხვა ბავშვიც, რომლებიც შემდგომში რუ-

სულ ლიტერატურულ ენას ქმნიდნენ, ენის მშვენიერებას, ძალას, მკაფიობას და სიზუსტეს სწორედ ძიძების, ჭარისკაცთა ცოლების, მეეტლეებისა და მწყემსებისაგან გაგონილი გასართობი ნართაულების, ანდაზების, გამოცანების წყალობით ჩაწვდნენ. (ფლერინას არც ის უნდა დაეფიქნოდა, რომ ბავშვებს არასოდეს ისე არ სჭირდებოდათ ენის გამდიდრება, როგორც ჩვენს წლებში, ამ დღეებშია, როდესაც ცხოვრება ყოველმხრივ იცვლება, ბევრი ახალი რამ იქმნება და ყველაფერი ახალ სიტყვიერ ფორმებს მოითხოვს. ის საბავშვო ლიტერატურა, რომელსაც ს. მარშაკის მსგავსი ადამიანები ქმნიან, წარმატებით აკმაყოფილებს ამ მნიშვნელოვან მოთხოვნას, და უწიგნურ კალმებს ნიჭიერი მარშაკების დევნის ნება არ უნდა მივცეთ.)

(ბურჟუაზიული პედაგოგებისა და ბურჟუაზიული ოჯახების დეჟინებიანი ცდები, რომ „სერიოზულზე სერიოზულად ელაპარაკათ“ ხუთი-ათი წლის ბავშვებთან, ან მთელ სიცოცხლეში ორგანულად აძულებდა ბავშვებს სერიოზულს, ან საზოგადოებისა და კაპიტალის მორჩილ და უნებისყოფო მსახურებად ზრდიდა მათ.) პირველ შემთხვევაში ჩანამრთელი ბავშვები, რომლებიც ინსტინქტურად ხედავდნენ „სერიოზულის“ სიყალბეს, განზე გაუდგებოდნენ ხოლმე მას და წყდებოდნენ კიდევ თავისიანებს — საკუთარი ოჯახის, საკუთარი საზოგადოებისა და სახელმწიფოს კლასობრივი მტრების ბანაკში გადადიოდნენ; მეორე შემთხვევაში კი ასრულებდნენ აგურისა და ცემენტის როლს, იმ მასალის როლს, რომლითაც ბურჟუაზია თავის სიმაგრეებს ამაგრებდა და ამაგრებს. ეს იანე კარგად არის ცნობილი, რომ უხერხულიც კია მოაგონო ვისმე. ამაზე ძლიერ დამაჯერებლად ლაპარაკობს არტურ გოლიჩერი თავის წაგნში „თანამედროვის ცხოვრება“. მას „სერიოზულად ელაპარაკებოდნენ სერიოზულზე“; და მან დაწყევლა აღზრდის ეს სისტემა, რადგანაც ამ სისტემამ მთელი მისი სიცოცხლე გააფუჭა.

(ჩვენში სხვა სინამდვილეა; იგი უფრო სასიხარულოა ბავშვებისათვის და მომავალში სულ უფრო ბედნიერ განვითარებას მიიღებს.) ბურჟუაზია იმისაყენ ისწრაფვოდა, რომ კონსერვატორებად, წარსულის მიერ ბოძებული ყოველივეს დამცველებად აღეზარდა თავისი შვილები. ჩვენს ბავშვებს წარსული არა აქვთ, თუ არას ვიტყვიტ მშობლებისაგან მემკვიდრეობით, ~~ზოოლოგიურად მიღებულ თვისებებზე~~. ჩვენი ბავშვები უკვე ~~ოქტომბრელის ასაკიდან იწყებენ~~ მონაწილეობას მომავლის პრაქტიკულ მშენებლობაში. რასაკვირველია, ეს მუშაობა ჭერ კიდევ ნახევრად თამაშობა, ნახევრად გართობაა, თუმცა რამდენადმე მაინც მუშაობაა. მაგრამ მავნე და

დანაშაულებრივიც კი იქნება „სერიოზულით“ შევზღუდოთ ბავშვები, ძალზე უხეშად შოვეპყროთ მათს არაორგანიზებულ, დამყოლ ნებას. ჩვენი სოციალისტური პედაგოგიკის ამოცანაა აღზრდა კულტურის ობტატებისა და არა შავი მუშებისა, როგორადაც წარსულში ზარდიდენ მუშათა კლასის ბავშვებს; არა ყოველდღიურ საქმეთა მონების, არამედ თავისუფალ შემოქმედთა და მხატვართა აღზრდა. შემოქმედს, მხატვარს, მეცნიერული ცოდნის გარდა, უნდა ჰქონდეს განვითარებული წარმოსახვა, ინტუიციის უნარი. „ბავშვის გართობის ტენდენცია“ მისადმი „უნდობლობა, უპატივცემლობა“ როდია. იგი პედაგოგიურად აუცილებელია, როგორც იმის საშუალება და გარანტია, რომ „სერიოზულით“ არ გამოვფიტოთ ბავშვი, „სერიოზულისადმი“ მტრული დამოკიდებულება არ აღვძრაოთ მასში. ამავე დროს ეს ტენდენცია აუცილებელია, როგორც წარმოსახვის, ინტუიციის აღმძვრელი საშუალება.

კარგად უნდა დავინსომოთ, რომ ძველის მძაფრი ნგრევისა და ძხლის ძლევა მოსილი შენების სისწრაფის პირობებში, ის, რაც დღეს „სერიოზულია“, ხუთი წლის შემდეგ ნაკლებად სერიოზული გახდება, ხოლო ათი წლის შემდეგ, ვინ იცის, საერთოდ იქნება თუ არა. ბავშვები მომავლისათვის იზრდებიან. აწმყოში, როგორც ცნობილია, ცოტა როდია ყოველგვარი ძველი ხარახურა, კუქყი, ობა, უხამსობა. ამ ხარახურის დაცინვა, მისი დაგმობა ბავშვების წინაშე, მისადმი ორგანული მძულვარების ჩანერგვა ბავშვის შეგნებაში სასარგებლო და აუცილებელი საქმეა. მაგრამ მავნე და დანაშაულებრივი იქნებოდა, რომ ბავშვების ყურადღება ამაზე, ასეთ „სერიოზულზე“ გაგვემახვილებინა. ეს მოასწავებდა მათ მოწამლვას პაპებისა და მამების მიერ ცხოვრებაში შემოტანილი კუქყით. რაც უფრო ნაკლებად მიიღებენ ისინი წარსულისა და აწმყოს უხამსობას, მით უფრო ჯანსაღი, ნათელი, გონიერი იქნება მომავალი, მით უფრო მალე დადგება იგი.

საკითხი, რომელსაც ფლერინა შეეხო, ბავშვების აღზრდის მეთოდისა და ხერხების მეტად სერიოზული საკითხია. ფლერინა კატეგორიულად წყვეტს მას, მაგრამ ასე ჩეხოვის ბელიკოვი თუ გადაწყვეტდა, ან კიდევ ის, ვისაც ყურში ბამბა უდევს.

## მ. ილინს

(წერილებიდან)

### I

#### ძვირფასო ილინ!

მოსკოვში ოქტომბრამდე დავრჩები. მაშასადამე, საკმაოდ დრო გექნებათ თქვენს მუშაობაზე სალაპარაკოდ. როგორც ჩანს, თქვენ ძალიან ფართოდ, სერიოზულად მოჰკიდეთ სამუშაოს ხელი; სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბრწყინვალედ შეასრულებთ.

სამუელეი აქ არის, მოსკოვში, ჩვენ — კარგ ამხანაგებთან ერთად — საბავშვო ლიტერატურის რესტავრაციის გეგმას ვაღგენთ და დაუინებით მოვითხოვთ საგანგებო საბავშვო გამომცემლობის შექმნას...

ძალიან მახარებს წარმატება „მოთხრობისა დიად გეგმაზე“ — ამ წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს!

29. VI — 80 წ.

### II

#### ჩემო ძვირფასო ილინ!

ძალიან კარგი და თქვენთვის ღირსეული იქნება, თუ უარს იტყვით სცენარზე — „საუბარი ამინდზე“. იგი კარგია მხოლოდ, როგორც იმის ცდა, რომ მოათავსოთ „ახალი ძველ ქურკში“. თქვენ სახელს უტეხთ დიდ იდეას, ჰიპოთეზას, რომელსაც აქტიური ზემოქმედება შეუძლია ადამიანის მუდმივ ბრძოლაში ბუნების

სტიქიურ ძალებზე ბატონობისათვის; აქცევთ მას მხოლოდ იმ თაღლითთა შაბლონურ მხილებად, რომელთა გაკოტრებაც დიდი ხანია ცნობილია. მივიღეთ კაპიტალისტთა იდიოტიზმის, ბურჟუაზიის მიერ მეცნიერების მიღწევათა უაზრო ექსპლოატაციის კიდევ ერთი — ანეგდოტური — დადასტურება, მათი ზოოლოგიური, მხეცური ანარქიზმის დადასტურება. და ამით ამოიწურა ყველაფერი. წინასწარ ვიცი, შემეკამათებით, კინო მასების კულტურული აღზრდის ყველაზე უფრო პოპულარული საშუალებააო და ა. შ. მაგრამ მე კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ მხედველობითი შთაბეჭდილებანი სიზმარივით არამტკიცეა. მაგრამ თუ კინოში მყოფი ადამიანები ტირიან? მერე რა, სიზმარშიც ხომ ტირიან. არა, ნუ გააფუჭებთ თქვენს თემას, ნუ დაამახინჯებთ. ნუ შეამცირებთ მის მნიშვნელობას ეკრანით!

სცენარი, რასაკვირველია, შეიცავს გონებამახვილურად გაკეთებულ ადგილებს. მაგრამ მასში არ არის ნაჩვენები, მაგალითად, ეკლესიის მსახურთა დამოკიდებულება „ამინდზე“ გამარჯვების ფაქტისადმი, ადმინისტრაციის მოქმედება, რომელიც კოკისპირულ წვიმით გაფანტავს ხოლმე დემონსტრანტებს; არ არის ნაჩვენები, თუ როგორ იტანჯებიან ბავშვები, რომელთაც ქარიშხალმა მოუსწრო, თუ როგორ გადაიქცევა კლასის ძალაუფლების თვითნებობა თვით კლასის წინააღმდეგ მიმართულ ძალად. ბევრი რამ არ არის ნაჩვენები, ხოლო, რაც ნაჩვენებია, ყველასათვის კარგად არის ცნობილი და მოსაწყენიც კი გახდა.

ამ თემაზე მოთხრობა უნდა დაწეროთ. დაწერეთ თუ გნებავთ, სცენარის გეგმის მიხედვით, მაგრამ — უპირველესად მოთხრობა! უფრო გვიან შეიძლება მისგან სცენარიც გამოაცხოთ. მაგრამ ეს თემა ჭერ აუცილებლად უნდა წავაკითხოთ ხალხს, გავააზრებინოთ მას, ხოლო შემდეგ დამატებით — ეკრანზეც შეიძლება ვუჩვენოთ. მაშინ ეს უბრალოდ სიზმარი კი არ იქნება, არამედ — სინამდვილე, რადგან წიგნი არის რეალობა, რომელიც კინოს ლენტზე უფრო ქმედითად და ხანგრძლივად ცოცხლობს.

იყავით ჭანმრთელად! ყოველივე კარგს გისურვებთ.

მ. გორკი



## ლიტერატურის შესახებ

როგორია და რით გამოიხატება ჩვენი მიღწევები მხატვრული ლიტერატურის დარგში?

ამტყიებენ, რომ სიტყვიერ-სახვითი ხელოვნების დიდი ოსტატები ჩვენს ახალგაზრდა ლიტერატურას არა ჰყავს. შევასწოროთ: ჯერ-ჯერობით არა ჰყავს. ეს ბუნებრივია. იგი სულ რაღაც ათეულწელიწადია, რაც არსებობს, ხოლო ასეთი ასაკის გოლიათები — არანორმალური მოვლენაა. დავეთანხმოთ იმას, რომ ახალგაზრდა მწერლების ოსტატობა ჯერ კიდევ ვერ არის მაღალი, მაგრამ ნურც მის მიღწევებს შევამცირობთ, რადგან ჩვენ უკვე გვყავს ბევრი ძლიერი ნიჭიერი ლიტერატორი; ჩვენ უფლება გვაქვს ახალი საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლები ვუწოდოთ მათ. საერთოდ, ახალგაზრდა მწერლები, მთლიანად, ფრიად და გასაოცრად ნიჭიერნი არიან. ისინი რომ ისევე მონდომებით სწავლობდნენ, როგორი სიჩქარითაც წერენ, მათი ნიჭი გაცილებით უფრო ჩქარა და ბრწყინვალედ განვითარდებოდა. მაგრამ, ყველა მის ნაკლთან ერთად ჩვენს ახალგაზრდა ლიტერატურას აქვს ის ღირსება. რომელიც ძლიერ მკვეთრად და მისდა სასარგებლოდ განასხვავებს მას „მოხუცთა“ ლიტერატურისაგან.

აღბათ, ლიტერატურის ისტორიკოსები და კრიტიკოსები განინაწყენდებიან, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ, ჩემი აზრით, ჩვენი ძველი ლიტერატურა, უმთავრესად, მოსკოვის ოლქის ლიტერატურა იყო. ჩვენი თითქმის ყველა კლასიკოსი და ბევრი დიდი მწერალი ტულის, ორიოლისა და მოსკოვის ოლქის სხვა მეზობელი გუბერნიების მკვიდრნი იყვნენ. ჟანრი და პეიზაჟი, ყოფაცხოვრება და ბუნება, რომლებშიც იზრდებოდნენ ლიტერატორები, საკმაოდ ერთფეროვანია. ბავშვობის გადაშფუყვები შთაბეჭდილებანი შემოთფარგლული იყო მოსკოვის ოლქის სინამდვილით, და დაკვირვების არეს ამ შეზღუდულობამ შემდგომში უსათუოდ მოახდინა გავლენა კლასიკოსთა შემოქმედებაზე. შეიძლება მოვიყვანოთ კლასიკოსების მიერ

საერთო რუსული ცხოვრების შეზღუდული ცოდნის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი. მათ მუშაობა დაიწყეს ოცდაათიან-ორმოცდაათიან წლებში. ამ დროს ზემო და შუა წელის ვოლგაზე მუშაობდა მრავალი ათასი ბურლაკი. ბევრი მათგანი ტყეში გარბოდა ყაჩაღად; ყმა გლეხები გარბოდნენ სამხრეთში, ნოვოროსიაში; ეწყობოდა „კარტოფილის ბუნტები“, იწყებოდა მოძრაობა სახელმწიფო ქარხნების მუშათა შორის; ფართოდ იკიდებდა ფეხს სექტანტობა; მოსკოვის ოლქის გლეხთაგან ზოგიერთი საფეიქრო საქმისა და, საერთოდ, მრეწველობის ორგანიზატორი გახდა. კიდევ ბევრი რამ ხდებოდა, რაც იმდროინდელმა ლიტერატურამ ვერ შენიშნა.

„გლეხთა განთავისუფლება“ და მათი იმედგაცრუება იმის გამო, რომ ვერ ეღირსნენ დიდი ხნის ნალოდინევე „თავისუფლებას“, არ გამოუხატავს არც ერთ ცოტად თუ ბევრად მხატვრულად დაწერილ წიგნს; ასევე არ აღბეჭდილა ინტელიგენციის „ხალხში გასვლა“. გულგრილად აუარა გვერდი ლიტერატურამ „ნაროდოვოლცების“ შთაბეჭქდავ მოღვაწეობას. კლიუშნიკოვის, ვსევოლოდ კრესტინსკის, პისემსკის, ლესკოვის, გონჩაროვისა და სხვათა ფორმით წარუმატებელი და ტონით მტრული ცდები იმისა, რომ დაეხატათ რევოლუციონერი, „ნიჰილისტი“ — ხსენებადაც არ ღირს. არც პომიალოვსკის კარგი მოთხრობები იმაზე, თუ როგორ იქცეოდა რევოლუციონერი სვებედნიერ მეშინად, არც კუშჩევსკის რომანა „სვებედნიერ რუსზე“ და სლეპცოვის მოთხრობა „ძნელ დროზე“ სათანადოდ დაფასებული არ არის. ამ ავტორებმა კი გამჭრიახობით დახატეს გმირის ლაქიად გადაქცევის პროცესი — ის პროცესი, რომელსაც ჩვენს ბობოქარ დროშიც „აქვეს ადგილი ცხოვრებაში“.

ლევ ტოლსტოის „კაზაკები“ ჩინებული შემთხვევითობაა, როგორც მისივე „სევასტოპოლის მოთხრობები“ და „პაჩი-მურატი“. ლევ ნიკოლოზის ძეს რომ სცოდნოდა ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ მხარისა და სხვა ოლქების მშრომელი ხალხის ცხოვრება, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვაგვარად დახატავდა „პოლიკუშკასა“ და პლატონ კარატაევს; იგი ხომ მხოლოდ ასობითა და ათასობით ტულელ გლეხს იცნობდა, რომელთაც მემამულეებმა და ეკლესიამ სავსებით წაართვა თვითშეგნება. ბონდარევისა და სუტაფევის გაცნობამაც კი ვერ შეარყია ტოლსტოის მტკიცედ დამკვიდრებული წარმოდგენა მუჟიკზე; იგი მას ტანჯვამისჯილ, ღვთის მორჩილ, თვინიერ აღამიანად მიაჩნდა. ასეთი წარმოდგენა ვერ შეურყია ვერც ტულელმა მუჟიკმა — ფაბრიკანტმა და ვერც სამარელმა მუჟიკმა-მემამულემ, რომელთა ცხოვრებასაც თვალნათლივ ხედავდა დიდი მწერალი.

გაგოლმა დახატა მახინჯ და ბრყვე მემამულეთა მთელი წყება.

თუმცა იცოდა, რომ მისი მეგობრები — მემამულე-სლავიანოფილები — ცდილობდნენ სოფლის მეურნეობის კულტურის ამაღლებას, აშენებდნენ ქარხნებს. ეს ადამიანები არ იყვნენ მახინჯები. თუმცა მანილოვი მათი სულიერი მონათესავეა, მაგრამ ისინი სობაკევიჩები და ნოზდრკეები როდი არიან. კირევესკები, აქსაკოვები შალაღი კულტურის ადამიანები იყვნენ და ძლიერ გასაოცარია, რომ ამ ტიპის ადამიანებმა ლიტერატურის ყურადღება ვერ მიიქციეს. ეს ერთ-ერთი ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ობიექტურია კლასიკოსთა მხატვრული შემოქმედება.

ურალი, ციმბირი, ვოლგა და სხვა ოლქები მხედველობიდან გამოორჩა ძველ ლიტერატურას, ისევე როგორც უკრაინა, რომელსაც პირში ბურთს ჩრიდა და ხელ-ფეხს უბორკავდა თვითმპყრობელობა, რითაც უკრაინელში მტრობას აღძრავდა „მოსკალის“ მიმართ. უკვე ამ ჩაგვრის ფაქტს უნდა მიექცია ლიტერატორთა ყურადღება და აღეშფოთებინა მათი ჰუმანური გრძნობები. მაგრამ არ აღაშფოთა. არც ერთ დიდ ლიტერატორს არ უცდია უკრაინისა და ბელორუსიის ცხოვრებაზე წერა. მე თავს არ ვახვევ მხატვრულ ლიტერატურას „მხარეთმცოდნეობის“, ეთნოგრაფიის ამოცანებს. მაგრამ ლიტერატურა ხომ ცხოვრების შემეცნების საქმეს ემსახურება, იგი არის — ყოფის, ეპოქის განწყობილებათა ისტორია, და შეიძლება დავევათ ის საკითხი, თუ რამდენად ფართოდ მოიცვა მან თავისი დროის სინამდვილე. ყველაფერი ზემოთ ნათქვამი შეიძლება გამოიხატოს უბრალო სიტყვებით: სიტყვის ძველი დიდი ოსტატების დაკვირვების არც საოცრად შეზღუდული იყო, და სხვადასხვაგვარი ადამიანური ხასიათებით მდიდარი უდიდესი ქვეყნის ცხოვრება იმ სისრულით ვერ აისახა კლასიკოსთა წიგნებში, როგორცაა შეიძლება ასახულიყო.

ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა, მისი სუსტი გამოსახველობითი საშუალებების პირობებში, გამოირჩევა სინამდვილის ათვისების სისრულით. ათეული წელი ბავშვობის ხანა! და მაინც ამ ათი წლის მანძილზე, უკვე სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე ჩვენმა ახალგაზრდობამ მოგვცა ბევრი წიგნი. მათში გაშუქებულია თვით ყველაზე უფრო გაუნათლებელი და კულტურის ცენტრებს დაშორებული, მიყრუებული კუთხეების ყოფაცხოვრება.

ჩვენ მოგვეპოვება ოსტატურად დაწერილი, შესანიშნავი წიგნები იმ ტომთა ცხოვრებასა და ყოფაზეც კი, რომელთა შესახებ არავინ არაფერი იცოდა და რომლებიც ეს-ეს არის „საუკუნო ძილი-

საგან“ გამოაფხიზლა რევოლუციის ძლიერმა ხელმა. დავასახელებ მილი ეზერსკის რომანებს სამოედთა ყოფაცხოვრებიდან, „პოლარულ მზეს“ — ვსევოლოდ ლებედევის შესანიშნავ მოთხრობას ლოპარტა ცხოვრებაზე, პასინკოვის რომანს „ტაიპას“, რომელიც ოსტატურად ასახავს კავკასიის ერთ-ერთი ტომის ცხოვრებას. შეიძლება დავასახელოთ კიდევ ასეთივე „მაღალი ფორმის“ რამდენიმე წიგნი. ყველა ისინი საჩუქარია, ასეთ წიგნებს ვინ იცოდა, თუ ასე მალე მივიღებდით.

ამეთ წიგნებში, მათი უდავო მხატვრული ღირებულების გარდა, ყურადღებიანი მკითხველი კმაყოფილებით შენიშნავს იმ თვისებას, რომელსაც ძველ ლიტერატურაში ვერ იპოვიდით: იგი მხოლოდ ძალიან იშვიათად, „სხვათა შორის“ და ეპიზოდურად თუ შეეხებოდა „არარუს“ და „უცხო სარწმუნოების“ ადამიანებს; იგი მოწყალებდ ეკიდებოდა, „ზევიდან“ დასცქეროდა მათ. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თათრები, ვოლგისპირეთის ფინური ტომები, კასპიისპირეთის თურქულ-ფინური მოსახლეობა და ყველა სხვა ხალხი, რომლებთანაც ერთად ჩვენ საუკუნეები გვიცხოვრია, სავსებით გამოჩნა ძველ ლიტერატურას მხედველობიდან. თვით ძველი კულტურის მქონე ადამიანებსაც კი — ებრაელებს, ქართველებს, სომხებს — ლიტერატურა, საერთოდ, თითქმის ისევე ჩლუნგად და უმეცრად ეკიდებოდა, როგორც ევროპელი ლიტერატორები გვეკიდებოდნენ და გვეკიდებიან ჩვენ, რუსებს. ეს საძაგელი და უხამსი დამოკიდებულება „სხვა სისხლის“, სხვა ტომების ადამიანებისადმი თითქმის სრულებით არ გვწვდება ჩვენი ახალგაზრდა მწერლების წიგნებში; და თუ მაინც იშვიათად იგი სადმე შეინიშნება, მას ისე ლებულობ, როგორც „შეცდომას“, როგორც ტექნიკური სისუსტის შედეგს. იმ სიჩქარის შედეგს, რომელსაც ახალგაზრდობა იჩენს, რათა მკითხველს მალე გააცნოს თავისი „ყოფის შთაბეჭდილებანი“.

ვოტიაკთა „მულთანური მსხვერპლად შეწირვა“ — ეს „ბეილისის საქმეზე“ არანაკლებ სამარცხვინო პროცესი — კიდევ უფრო საშინელ ხასიათს მიიღებდა, რომ მასში არ ჩარეულიყო ე. გ. კოროლენკო. მან აიძულა პრესა: ყურადღება მიექცა თვითმპყრობელური ხელისუფლების იდიოტური ბნელეთის მოციქულობისათვის. ებრაელთა ბავშვების ჩაბარება „კანტონისტებად“, ჯარისკაცთა სკოლებში — ასევე მსხვერპლად შეწირვა იყო თვითმპყრობელური იდიოტიზმის საკურთხეველზე, მაგრამ ამას თითქმის არ გამოუწვევია პროტესტი ლიტერატურის მხრივ, არ ასახულა მასში\*.

\* [გერცენის „ნაშყოსა და ნაზრევის“ გამოკლებით].

მე, როგორც ძველი მკითხველი, სიხარულით აღვნიშნავ ახალგაზრდა ლიტერატორთა იმის უნარს, რომ ღრმად შეიჭრან იმ ადამიანთა ყოფასა და ფსიქიკაში, რომელთა ცხოვრებიდან ამოშლას ლამობდა რომანოვების „სახელმწიფოებრივი გენია“. ჩვენმა მარქსისტულმა ახალგაზრდობამ მართლაც იცის უზბეკისა და ყირგიზის, ჩეჩნისა და სამოედის გვერდით ამოდგომა; იგი ისე დგება თვითუღლის გვერდით, როგორც ტოლი ტოლთან. ეს ფაქტია, რომლის კულტურული მნიშვნელობაც არ შეიძლება გადაჭარბებით შეფასდეს: ფაქტის არსი ის არის, რომ ლიტერატურა აერთიანებს საბჭოთა კავშირის ყველა ტომს არა მარტო თავისი რევოლუციური იდეოლოგიის ძალით, არამედ აგრეთვე იმის აქტიური მისწრაფებითაც, რომ „შიგნიდან“ გაიგოს ადამიანი, შეისწავლოს და გააშუქოს მისი უძველესი ყოფა, მისი საუკუნეობრივი ჩვევები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა ენერგიულად ემსახურება მთელი მშრომელი ხალხის გაერთიანებას ერთიან კულტურულ-რევოლუციურ ძალად. ეს სრულიად ახალი ამოცანაა; მისი მნიშვნელობა არ საჭიროებს დამამტკიცებელ საბუთებს. თავისთავად ცხადია, რომ ძველი ლიტერატურა არ ისახავდა ასეთ ამოცანას; არ შეეძლო ასეთი ამოცანის დასახვა.

ჰკუის კოლოფებს შეუძლიათ თქვან, რომ ძველი ლიტერატურა „აერთიანებს მთელ კულტურულ სამყაროს“, და დაიმოწმონ დოსტოევსკის სულ უფრო მზარდი გავლენა ევროპაში. მე ვამჯობინებდი, რომ „კულტურულ სამყაროს“ აერთიანებდეს არა დოსტოევსკი, არამედ პუშკინი, რადგან პუშკინის კოლოსალური და უნივერსალური ტალანტი ფსიქიკურად ჯანმრთელი და გამაჯანსაღებელი ტალანტია, მაგრამ დოსტოევსკის შხამიანი ტალანტის გავლენის წინააღმდეგაც არაფერს ვამბობ. რადგან დარწმუნებული ვარ, რომ იგი დამანგრეველად მოქმედებს ევროპელი მეზიანის „სულიერ წონასწორობაზე“.

მიუთითებენ, რომ „საბჭოთა ლიტერატურას არ შეუქმნია დიდი ნაწარმოებები“. სრული უაზრობა იქნებოდა. ახალგაზრდა საბჭოთა მწერლებისაგან მოგვეთხოვა, დაუყოვნებლივ შექმნან, ვთქვათ, „ომისა და მშვიდობის“ თანაბარი მონუმენტური ნაწარმოებები. მაგრამ ზოგიერთი ჰკუის კოლოფი სწორედ ასეთ გმირობას ძოთხოვს. ხანდახან ფიქრობ: ამ მოთხოვნით შენიღბულია იმის პროვოკაციული სურვილი, რომ აიძულონ ახალგაზრდობა, დაამუშაოს ჯერ კიდევ მისთვის დაუძლეველი თემები, ხოლო როდესაც ესა თუ ის ავტორი დაამახინჯებს, სახელს გაუტეხს რთულ თემას, ღვარძლიანად დასცინონ მას და, მასთან ერთად, მთელს საბჭოთა ლიტე-

რატურასაც. უნდა გვახსოვდეს, რომ საფრანგეთის XVIII საუკუნის დასასრულის რევოლუციასზე წერა დაიწყო XIX საუკუნის შუა პერიოდში, მას შემდეგ, რაც არა მარტო ჩაქრა მისი ცეცხლი, არამედ ჩაიფერფლა.

სიტყვიერი ხელოვნების „დიდი“ და „სრულყოფილი“ ნაწარმოებების მოთხოვნა არა მარტო ნაადრევია, არამედ თითქოს განზრახ ესთეტიკურიც არის. საბჭოთა ლიტერატურას არ შეუძლია „ომისა და მშვიდობის“ შექმნა იმიტომ, რომ იგი, საბჭოთა კავშირის შემოქმედებითი ძალების მთელ მასასთან ერთად, ძველ სამყაროს ებრძვის და ახალს დაძაბულად აშენებს. ომში ესთეტიზმი უადგილოა. ომში მხოლოდ გულგრილ ცინიკოსს შეუძლია ესთეტად დარჩენა. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ არასოდეს და არსად ლიტერატურაზე არ მიჰყვებოდა ცხოვრებას „ფენდაფენ“, როგორც იგი მიჰყვება ახლა ჩვენში. ჩვენ კანონიერად შეგვიძლია დავაკეცხოთ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა მთელ რიგ წიგნებში უკვე კარგა ხანია მოასწრეს და შეძლეს 1914—1918 წლების ომის, მთელი მისი საშინელებების დახატვა. ფართოდ, ბევრის მიერ ძალიან ნიჭიერად არის გამოყენებული სამოქალაქო ომის გმირული და ტრაგიკული მასალა. დიდხანს დარჩება ლიტერატურის ახალ ისტორიაში ესეგოლოდ ივანოვის, ზაზუბრინის, ფადეევის, მიხეილ ალექსეევის, იური ლიბედინსკის, შოლოხოვის და ათეული სხვა ავტორის კარგი ნამუშევრები, — მათ ერთად დაგვიხატეს სამოქალაქო ომის ფართო, მართალი და უნიჭიერესი სურათი.

მე ჩვენი კრიტიკის მარცხად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ მან სათანადოდ და აუცილებელი შეფასება არ მისცა სამოქალაქო ომის თემისადმი მიძღვნილ წიგნებს, მწერალთა მთელ მუშაობას ამ მასალაზე. მე ვლაპარაკობ სამოქალაქო ომზე დაწერილი წიგნების მთელი მასის იდეოლოგიურ და ტექნიკურ შეფასებაზე. ეს საჭირო იყო და საჭიროა გაკეთდეს არა მარტო ლიტერატორთა, არამედ აგრეთვე მკითხველების ინტერესებისათვის, რომლებმაც, აქვე შევნიშნავ, წინ გაუსწრეს კრიტიკას ამ ხასიათის წიგნების დადებით შეფასებაში. კრიტიკა იღებს ცალკე წიგნს და ერთგვარ ქირურგიულ ოპერაციას უკეთებს მას. მაგრამ ლიტერატორზე ლაპარაკი ეს კიდევ არ ნიშნავს ლიტერატურაზე ლაპარაკს, და ყველა ავადმყოფობას როდი ჰკურნავს ქირურგები. ლიტერატურის საერთო მასას რომ მოსწყვეტს ამა თუ იმ წიგნს, კრიტიკა აინდივიდუალურად ავტორს და ავიწროებს სხვა ავტორების თანაზიარ თემას. სამოქალაქო ომის თემას სხვაგვარად უნდა მივუდგეთ, უფრო ისტორიულად და ფართოდ.

ყვიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ჩვენი კრიტიკა მკითხველთა მასას ყოველწლიურად მისცემს ლიტერატურის მიმოხილვებს იმ თემების მიხედვით, რომელთაც ლიტერატურა წლის განმავლობაში ამუშავებს. ეს კრიტიკის ძალიან სერიოზული, საპასუხისმგებლო და აუცილებელი მოვალეობაა; ასეთი მიმოხილვების სოციალურ-პედაგოგიური მნიშვნელობა დამამტკიცებელ საბუთებს არ საჭიროებს. ეს მიმოხილვები დაარწმუნებს მკითხველს, რომ როგორც ახალი სამყაროს მშენებლობის ყველა დარგში, ლიტერატურის დარგშიც შესანიშნავი მიღწევები გვაქვს; რომ, როგორც ყველგან, აქაც ქვეყნის ახალგაზრდა პატრონი — მუშათა კლასი ავლენს თავის ტალანტს, თავის ენერგიას.

სხვათა შორის, ჩვენში შეუმჩნევლად შეიქმნა კვამარიტი და ძალაღმსატერული ისტორიული რომანი. წარსულში, ძველ ლიტერატურაში — ზაგოსკინის, მასალსკის, ლაუჩნიკოვის, ა. კ. ტოლსტოის, ვსევოლოდ სოლოვიოვის დაშაქრული, საბაზრო ნაწარმოებები და კიდევ სხვა რამეები ნაკლებფასოვანი და ნაკლებისტორიულია. ახლანდელ ლიტერატურაში — კი ჩვენ გვაქვს ა. ნ. ტოლსტოის ჩინებული რომანი „პეტრე I“, ჩაპიგინის აბრეშუმით მოქსოვილი „სტეპან რაზინი“, გიორგი შტორმის ნიკიერი „მოთხრობა ბოლოტნიკოვზე“, იური ტინიანოვის ორი შესანიშნავი ოსტატური რომანი — „კუხლია“ და „ვაზირ-მუხტარის სიკვდილი“ და კიდევ რამდენიმე ძლიერ მნიშვნელოვანი წიგნი ნიკოლოზ პირველის ეპოქაზე. ყოველივე ეს არის ჰკუის სასწავლი, ჩინებულად დაწერილი სურათები წარსულისა და მისი გადაჭრით გადაფასება. წარსულში შე არ მეგულება იეთი ათეული წელიწადი. რომ ამდენი ძვირფასი წიგნი მოეცა. ვიმეორებ: შექმნილია ისტორიული რომანი, რომლის მსგავსიც არ ყოფილა რევოლუციამდელ ლიტერატურაში; ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა მიიღეს კარგი ნიმუშები. მათზე, შეიძლება იმის სწავლა, თუ როგორ უნდა წარსულზე წერა, თუმცა არა ისე შორეულზე, როგორცაა პეტრე პირველის ეპოქა, მაგრამ ძალიან რომ ჰგავს მას — მე ვლაპარაკობ გუშინდელ დღეზე. საერთოდ, ლიტერატურის დარგში ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს ახალი და ძვირფასი, მაგრამ ისინი ღირსეულად არ არის დაფასებული. ცხადია, არის ბევრი ნაგავიც, ხარახურა, ყოველგვარი ჩმახვა, ნიშნისმოგება შეცდომების გამო და ხელმოცარულთა საძაგელი წუწუნი ეს სავსებით ბუნებრივია — რევოლუციის ქარი გაყვითლებულ, დამკვნარ ფოთლებს აცლის „სიცოცხლის ხეს“.

ამას წინათ წერილი მივიღე. იგი ასეთი ფრაზით იწყება: „გუბნებით თქვენ ძალიან ხმამაღლა, ყურში: დღევანდელი დღის მასალა,

ჩემი ყოველგვარი ცდისა და მონდომების მიუხედავად, ვერ ვტყვამხატვრობის ჩარჩოებში“. ამ ნაწვლები ფრაზის ავტორი პოეტია; მისი ნაწერები იბეჭდება. ფრაზა, ჩემი აზრით, უნიჭოდ არის შედგენილი: რატომღა ყვირი ხმამაღლა, თუ ყურში უნდა მი-თხრა? მე ხომ ყრუ არა ვარ!

მეორე მოწუწუნე მწერალი პროზაიკოსია; მასაც უბეჭდავენ ნაწარმოებებს. ეს მოწუწუნე მაცნობებს, რომ „თანამედროვე სინამდვილე ყოველთვის იყო ცუდი მასალა ქემშარიტი შემოქმედებისათვის“. მერე რა, რომ „ყოველთვის“ იყო; ახლა გადაწყვიტეს, რომ იგი ასეთი არ უნდა იყოს!

ლეონიდ ლეონოვიჩი. — „ქურდის“ ავტორმა („ქურდის“ აგებულებას, „არქიტექტონიკას“ მომავალში სერიოზულად შეისწავლიან) დაწერა წიგნი „სოტი“. ამ წიგნის მასალად მან სწორედ დღევანდელი სინამდვილე აიღო. და წარმოიდგინეთ! — შესანიშნავი ნაწარმოებია, დაწერილი ნამდვილი, ძარღვიანი, ნათელი რუსული ენით, სწორედ რომ ნათელი ენით, რადგან ლეონოვის სიტყვები ანათებს. სინამდვილე კი მან ისე იცის, თითქოს თვითონ ქმნიდა მას. იგი, ლეონოვი, ძალიან ნიჭიერია, ნიჭიერია და თანაც მოწოდებულია დიდი საქმეებისათვის. მან კარგად იცის, რომ სინამდვილე სწორედ ისე უნდა გვესმოდეს, თითქოს თვითონ შეგიქმნია იგი. მოწუწუნეთათვის სინამდვილე უცხო და მტრული საქმეც კია; ამიტომ წუწუნებენ ისინი.

ათი წლის განმავლობაში — 20—30-იან წლებში — რევოლუციის „სულით“ შექმნილ მნიშვნელოვან წიგნებზე რომ ანგარიშს ვწერდე, მომიხდებოდა ამ სტატიის გაგრძელება ერევნიდან არხანგელსკამდე. მინსკიდან ვლადივოსტოკამდე, კიევზე, ხარკოვზე, ნოვოსიბირსკზე გავლით; დამპირდებოდა ტაშკენტშიც, როსტოვშიც და ყველა სხვა პუნქტში შევლა, სადაც მეტნაკლები ენერგიულობით იქმნება ახალი საბჭოთა ლიტერატურა. დამპირდებოდა ათეულობით ისეთი წიგნის დასახელება, რომლებიც კრიტიკას არ წაუეითხავს ან უყურადღებოდ და ნაჩქარევად წაიკითხა და უმართებულოდ არიან დავიწყებულნი.

მე ძალიან როდი ვადანაშაულებ კრიტიკას სიჩქარის და, კერძოდ, მსჯელობის უსაფუძვლობის გამო. ვიცი: ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ „ყველაფერი შეგვიძლია“, რომ აუცილებელია ვიჩქაროთ. მაგრამ ცოტა თავს გაგვივიდა, ვგრძნობთ, სასწაულებს მოვახდენთ და ამ სასწაულების მოხდენას დღესვე მოვი-თხოვთ. ეს ბოლშევიზმის ფსიქიკაა, იგი სავსებით გამართლებულია შემოქმედების ფაქტებით სოციალისტური სახელმწიფოს მო-



წყობისათვის წარმოებული მუშაობის ყველა დარგში, მეცნიერების უდიდესი მიღწევებით, ინდუსტრიის ზრდით, „ბუნების მონის“ — გლეხის გადაქცევით მიწის ბატონ-პატრონად, რომელიც მანქანებით მუშაობს. ყოველივე ეს ასეა. შექმდე კი მოგახსენებთ, თუ რა არ არის, ჩემი აზრით. ასე. აქ კი ორიოდე სიტყვას ვიტყვი ჩემდამი მოსალოდნელ საყვედურზე იმის გამო, რომ არაფერს ვლაპარაკობ პროლეტარული ლიტერატურის თაობაზე. მართლაც, ცნება „პროლეტარიატი“ საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური მასის მიმართ ამოვარდა ჩემი ლექსიკონიდან. ეს იმიტომ, რომ — ჩემი შეხედულებით — როგორღაც უხერხული და უმართებულოა პროლეტარიატი უძახო იმ კლასს, მილიარდობით ოქროს რომ ხარჯავს თავისი მუშური სახელმწიფოს მშენებლობაზე. ხომ არსებობს უკვე უდავო განსხვავება მსოფლიოს პროლეტარიატსა და საბჭოების კავშირის უდიდესი და უმდიდრესი ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონ მუშათა კლასს შორის!

ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა ყოველწლიურად სულ უფრო ძლიერად და სწრაფად აფართოებს თავისი თვალთახედვის არეს. ჯერ კიდევ არასოდეს სიტყვის ხელოვნება ასე ერთგულად და ასე წარმატებით არ ემსახურებოდა ცხოვრების შემეცნების საქმეს. ეს განსაკუთრებით კარგად მოჩანს „ნარკვევებში“.

ნარკვევებს კრიტიკოსები ყოველთვის თვლიდნენ ლიტერატურის უმდაბლეს ფორმად, რაც, საერთოდ, არასწორი და უმართებულოა. გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ ორი ოსტატი ნარკვევისა, რომლებიც სრულებით არ ჰგვანან ერთმანეთს ნიჭითა და მსოფლშეგრძნების ხასიათით: გლებ უსპენსკი და გი დე მოპასანი. შესაძლოა, საჭირო იყოს იმის აღნიშვნა, რომ ი. ს. ტურგენევის „მონადირის ჩანაწერები“ თავისი ფორმით მეტი არაფერია, თუ არ ნარკვევები; რომ ამ ფორმას არ თავილობდნენ: სალტიკოვ-შჩედრინი, პისემსკი, ლესკოვი, სლეპკოვი, პომიალოვსკი, კოროლენკო და მთელი რიგი ძალიან დიდი და სახელგანთქმული ლიტერატორები.

ჩვენმა ახალგაზრდა ლიტერატურამ თავის რიგებში წამოსწიანიჭიერ „მენარკვევთა“ ჯგუფი და ისინი თანდათანობით აძლევენ ნარკვევს „მაღალი ხელოვნების“ ფორმას. უნიჭიერესი პოეტისა და პროზაიკოსის ნ. ტიხონოვის „თურქმენული ჩანაწერები“ ეს ნარკვევია და იგი ჭეშმარიტი ხელოვნებაა სიტყვით ცხოვრების გამოხატვისა. აკულშინმა, სტონოვმა, ლაპინმა, სიტინმა, გ. ალექსიევემა, პავლენკომ, მარტინოვმა, ოვალოვმა, ლუხმანოვმა და კიდევ ათეულობით სხვა ავტორმა შექმნეს და ავითარებენ თავისებურ ლიტე-

რატურას, აშკარად და კანონიერად ცდილობენ მისცენ მას „მალალი ფორმა“. ყველა ისინი, როგორც მგონია, ძალიან კარგად გრძნობენ თავიანთი მუშაობის სოციალურ-პედაგოგიურ მნიშვნელობას, სრულად გარკვევით ხედავენ მის მიზანს. ქებით უნდა მოვიხსენიოთ ივანე ყიგა — ნარკვევების ერთ-ერთი მტკიცე პროპაგანდისტი.

გამოხატონ კულტურულ-რევოლუციური მშენებლობის სხვადასხვაგვარი და საყოველთაო პროცესი, გამოხატონ მასების გაცხოველებული მუშაობა, ჯგუფებისა და ერთეულების გმირობა, წარმატებითი მუშაობა, ყოველგვარი ზარმაცების, იდიოტების, წამგლეჯებისა და მესაბოტაჟეების, პასიური და აქტიური მავნებლებისა და სხვა გარეწრების მხრივ ხელის შეშლის მიუხედავად — ასეთია ნარკვევების მწერალთა მიზანი.

„მენარკვევთა“ ამ მუშაობის ნაკადი თითქოს წარსულის ჭუჭყსა და მტვერს აცლის ჩვენი სინამდვილის სხეულს, ააშკარავენ წარსულის სამარცხვინო სიმახინჯეებს. ამასთან ერთად, იგი ნათელყოფს, თუ როგორ მკვიდრდება ადამიანი იმ ნიადაგზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე უმეცრებითა და უგუნურებით იყო დანაგვიანებული, ცხოვრებისადმი პასიური დამოკიდებულებით და მეშინათა ზოოლოგიური ინდივიდუალიზმით იყო მოშხამული. ეს არის: კომუნისტი, კოლექტივისტი, ადამიანი, რომელიც იწყებს იმის გაგებას, რომ იგი მუშაობს არა მარტო საკუთარი თავისათვის, სახელმწიფოსათვის, სადაც იგი ბატონ-პატრონია, არამედ აგრეთვე მშრომელი ხალხის, პროლეტარიატის მთელი სამყაროსათვის მაგალითის საჩვენებლად.

ნარკვევების დიდი ნაკადი ისეთი მოვლენაა, როგორც აქამდე არ ყოფილა ჩვენს ლიტერატურაში. არასოდეს და არსად საკუთარი ქვეყნის შეცნობის საქმე ასე სწრაფად და ასე კარგად არ განვითარებულა, როგორც ჩვენში. „მენარკვევნი“ მოუთხრობენ მრავალმილიონიან მკითხველებს ყველაფერზე, რასაც ქმნის ადამიანთა ენერჯია საბჭოთა კავშირის მთელ უზარმაზარ სივრცეზე, მუშათა კლასის შემოქმედებითი ენერჯიის შეხების ყველა წერტილში. მაგრამ, როგორც სხვა ბევრი რამ ჩვენში, ნიქიერი ადამიანების ეს კოლექტიური მუშაობაც სათანადოდ არ ფასდება და მისი სოციალისტური პედაგოგიკა კრიტიკას ყურადღებიდან რჩება. სათანადოდ არ ფასდება ეს მუშაობა მატერიალურადაც; „მენარკვევნი“ სამართლიანად მიუთითებენ, რომ ჟურნალებში დაბეჭდილი დაუდევრად შეთითხნილი ბელეტრისტიკა, ისეთი, როგორცაა. ვთქვათ, შიშკოვის „ფილკები და ამელკები“, ნაზღაურდება როგორც „მალალი

ხელოვნება“; თუმცა ასეთ შეფასებას ეს დაუდევრად დაწერილი მოთხრობა, ისევე როგორც სახელმძღვანელო ბელეტრისტიკის ბევრი სხვა ნაწარმოები, სრულებით არ იმსახურებს. ნარკვევი ჩვენში დიდი, მნიშვნელოვანი საქმეა. სამწუხაროდ, ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს ეს არ ესმის; ალბათ იმიტომ არ ესმის, რომ ჩვენს კრიტიკას თავი არ შეუწუხებია, რათა აღენიშნა ნარკვევის მნიშვნელობა. აი, მაგალითად, რას მწერს ერთ-ერთი იმ ყმაწვილთაგანი, რომლებიც ხელოვნების დაბალ ფორმად თვლიან ნარკვევს:

მე სულ ერთიანად ურწანტელი მიელის შემოქმედებითი ძალის დაძაბვისაგან. თქვენ კი მიჩნევთ ნარკვევების ეანრში ვცადო ბედს. რა არის ეს — დაცინვა?

ახალგაზრდაე! თქვენთვის აჯობებდა იმის შეგნება, რომ მუშაობაში გადამწყვეტი როლი ყოველთვის არ ენიჭება მასალას; ხელოვანს კი — ყოველთვის ენიჭება. არყის ხის ნაპობიდან შეიძლება ცულის ტარის გაკეთებაც და ადამიანის მშვენიერი მხატვრული ფიგურის გამოთლაც. მაგრამ ცულის ტარიც კი ყველას როდი გამოუვა საკმაოდ კარგი; აუცილებელია მასალის თვისებათა ცოდნაც. თქვენ კი ისიც არ იცით, რომ წინათ რიგითი პოლიციელი ვერ მიაღწევდა პოლიცემისტერის რანგს და რომ ქალებს ეკლესიის საკურთხეველში არ უშვებდნენ. აუცილებლად საჭიროა, რომ „შემოქმედებითი ძალები დაძაბოთ“ მასალის შესწავლაზე, წარსულისა და — მით უმეტეს — დღევანდელი სინამდვილის შეცნობაზე.

ჩვენი კრიტიკა ცოტა ყურადღებას აქცევს ნარკვევს, და განა აქცევს კი? ნარკვევი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იჭერს ჩვენი ლიტერატურის საერთო მასაში, მაგრამ იგი შესაქმელად დაუთმეს რეცენზენტებს, მომავალ კრიტიკოსებს. რეცენზენტი — ეს არის ახალგაზრდა კაცი, რომელიც რატომღაც დარწმუნებულია, რომ ისტორიამ მას არგუნა ბედი ასწავლოს ადამიანებს, მასავით ახალგაზრდებს, მაგრამ უფრო ნიჭიერთ. თვითონ იგი, საერთოდ, ცუდად სწავლობს და უდარდელად ეკიდება თავის ენას. მაგალითად, იგი წერს ლიტერატორის ენობრივ დაუდევრობაზე; ამავე დროს კი ირკვევა, რომ მას არ შეუძლია ერთმანეთისაგან გაარჩიოს ავტორისა და კორექტორის დაუდევრობა; აიგივეს დაუდევრად აგებულ ფრაზასა და წერით შეცდომებს; ბაიანად ნათლავს „მაიმუნის პროცესის“ გვირს ბრაიანს; რეცენზიას წერს წიგნზე, რომელშიც ცნობილი მეცნიერი უფრუა სენტ-ილერი წოდებულია „წმინდა ილერად“ და ვერც კი ამჩნევს ამ ანეკდოტურ „დაუდევრობას“.

ასეთი „ანეკდოტები“ ჩვენ ათასობით მოგვეპოვება. უნდა შევამციროთ მათი რაოდენობა. ვფიქრობ, ეს კრიტიკის საქმეა. მისივე საქმეა — არ დაუშვას ასეთი სიტყვიერი ლაფსუსები:

«По-веселенному было тепло неожиданной теплотой ростепели». «Он весь заломился от предождидания растаянного мгновения жизни». «В сладостном опьянении жонглировал плавающими в глазах кругами».

ეს დაბეჭდილია ერთი ახალგაზრდა ბელეტრისტის წიგნში. დაძვებ ლიტერატორებს რომ სადად, გასაგებად, წიგნიერად წერა ასწავლოს — ეს კრიტიკის მოვალეობაა. მგონია, რომ ჩვენი ლიტერატურის ზრდის პროცესში კრიტიკა არ წარმოადგენს „წამყვანსა“ და წარმართველ ძალას.

კრიტიკოსი ჩვენში ძალიან ბევრია და მათი ოდენობა იზრდება. ეს ძალიან კარგია, თუ ადვილი სამუშაოსადმი მისწრაფებით არ არის გამოწვეული. კრიტიკოსთა დიდი უმრავლესობა მარქსისტებია; ესეც ასევე კარგია, რადგან ძირითადი ხაზი მათ საერთო ექნებათ.

მიუხედავად ამისა, მექმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ კრიტიკოსები ერთიმეორის აღზრდით უფრო არიან გართულნი, ვიდრე ლიტერატურით. ყველა ისინი „ასწორებენ ხაზს“, მაგრამ მათი მუშაობის შედეგად ხაზი ისე ჭირვეულად არის გაღუნული და დახლართული, რომ ვერც მიხვდები, სადღა არის იგი პირდაპირი და ერთიანი?

კრიტიკოსები დაიყვნენ პატარა ჯგუფებად და გაშმაგებით დავობენ, კიცხავენ ერთმანეთს. საექვოა, ეს ნაყოფიერი საქმე იყოს; ხშირად ვლინდება აშკარა მიკერძოება, თავმოყვარეობა. პირადი სინპათიები, ანტიპათიები და, ბოლოს და ბოლოს, — ინდივიდუალიზმი.

ძალიან საოცარი და დიდად სავალალოა, რომ იმ ადამიანთა დავას, არსებითად თანამოაზრენი რომ არიან, მტრული ტონი ახასიათებს; იგი გამოირჩევა ძლიერ უხეში პირადი თავდასხმებით; ამ დავაში არ არის ამხანაგობის გრძნობა, მთავარი ხაზის ერთიანობის გაგება. ერთმანეთის საყვედურები გადამლაშების გამო, აზრისა და სიტყვისადმი უღირსი დამოკიდებულების გამო, თანამოკამათის დაუნდობლობა, აშკარა მინიშნება მის უაზრობაზე და სიტყვიერ ბრძოლის სხვა ამგვარი გამანადგურებელი ფანდები საექვოა მოსაწონი და საჭირო იყოს იმ ადამიანებისათვის, ვინც „ცხოვრების მასწავლებლთა“ პროფესია აირჩია იმ ქვეყანაში, სადაც სოციალისტური კულტურა შენდება. „სახელმოხვეჭილ“ კრიტიკოსთა ასეთი ქცევა ერთმანეთის დამციროებისა და შეურაცხყოფის ასუთსა-

ვე მანესა და უხეშ ჩვევებს უნერგავს დამწყებ კრიტიკოსებს — ჭერ კიდევე რეცენზენტებს.

კრიტიკა არ განიხილავს ლიტერატურას, როგორც კოლექტივის, საამქროს მუშაობას; ლიტერატურის სწრაფი და მრავალფეროვანი ზრდის მიუხედავად, ჩვენ არ მოგვეპოვება მისი მიღწევების წლიური მიმოხილვები. კრიტიკას ნაკლებად აინტერესებს ლიტერატორი, როგორც ოსტატი; ასე გგონია, იგი მასში, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ ჭკუფის მომხრეებს ეძებს; აღზრდის მას, როგორც თავისი ოცულის ჯარისკაცს და არა როგორც ერთიანი უდიდესი არმიის მებრძოლს. ასეთი დამოკიდებულება მწერალს ინდივიდუალიზმისაყენ უბიძგებს.

კრიტიკოსები აჩქარებით და უყურადღებოდ კითხულობენ ნაწარმოებებს. ხანდახან ავტორის ტექნიკურ სისუსტეს მის იდეოლოგიურ შერყეობად მიიჩნევენ. ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც ჭერ კიდევე არ ძალუძს გამოხატოს თავისი აზრი, თავისი სახე, ხასიათი, პეიზაჟი საკმაოდ ნათელი სიტყვებით, არ შეიძლება ვალიაროთ „ძველი დროის რესტავრატორად“. მას ენა კი არ უნდა ამოვჭრათ ან ხელი კი არ უნდა მოვკვეთოთ. არამედ საქმის ტექნიკა უნდა ვასწავლოთ. საერთოდ, ქირურგია არ გამოდგება აღზრდის მეთოდად. ეუზიანთა ქირურგიული მკურნალობის ცდებმა დაადასტურეს ძველი ანდაზის ჭეშმარიტება: „ეუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო“. მაგრამ იდეოლოგიური თვალსაზრისით ეუზიანის გასწორებაც შეიძლება, ეს — აღზრდის საქმეა.

მაგრამ თუ ახალგაზრდა მწერალს თვითეული კრიტიკოსი იმას ჩასჩინებებს, რომ თორმეტიდან მხოლოდ ის ერთი გვასწავლის ჭეშმარიტებას, დანარჩენი თერთმეტი კი ერეტიკოსია, ამას არ შეიძლება აღზრდა ეწოდოს; ეს ახალგაზრდა ადამიანის ნაღვლიან გოდებას იწვევს:

— წაეკითხე ხუთი წიგნი, — იგი ასახელებს ხუთ ავტორს, — მაგრამ ვერ გამოგია, ვინ არის მართალი. ვინ არის „გალატეია“?

აი, მაგალითად, რა საჭიროა ეს „გალატეია“? რა შეუძლია ამ ნიშნას უთხრას ადამიანს. რომელიც მდინარე კოტოროსლის ნაპირებზე ცხოვრობს; ამ მდინარეში მრავლდება შესანიშნავი დიდი ქორჭილები, ნიშფების ხსენებაც კი არ არის! რასაკვირველია, კრიტიკოსისათვის სანაქებოა მისი წიგნიერება, მაგრამ განა საჭიროა ძველი მითების ცოდნით შევადრწუნოთ ახალგაზრდა კაცი იმ დროს, როდესაც მას სურს ისწავლოს პოლიტიკურად გამართული და ხატოვანი წერა მიმდინარე სინამდვილის კომედიებსა და დრამებზე? ხომ უფრო სასარგებლო საქმე იქნებოდა, რომ ყველანი ჩვენ ვწერდეთ

უფრო უბრალოდ, ეკონომიურად, ისე, რომ „სიტყვები იყვნენ ვიწროდ, აზრები — ფართოდ“ და არა ამგვარად:

...ჩვენ უნდა უარყოთ ტენდენცია დისკუსიის აპოლიტაციისადმი.

ხომ შეიძლება უფრო ნაკლებად დახლართულად ვთქვათ: ჩვენ უარყოფთ იმ განზრახვას, რომ განვდეგნოთ პოლიტიკა ჩვენი კამათიდან. არ მოიპოვება არაფერი ისეთი, რომლის გადმოცემაც არ შეიძლებოდეს უბრალო ნათელი სიტყვებით. ვ. ი. ლენინმა უდავოდ დაამტკიცა ეს. მაგრამ ჩვენი კრიტიკოსები ნაკლებად ზრუნავენ უბრალოებასა და სიცხადეზე, რაც ასე აუცილებელია პედაგოგიკაში.

ცნობილია, რომ „უცეცხლოდ კვამლი არ იქნება“, მაგრამ ჩვენში პოლიტიკის ცეცხლი ძალიან ბევრ სიტყვიერ კვამლს იძლევა. კრიტიკოსთა თვითეულ ჯგუფს ჰყავს თავისი მიჯნური „გალატეია“, ყოველი ნიმფა მდიდრულად არის მორთული გასაოცრად ბრძნული სიტყვებით; ეს კი იმას იწვევს, რომ ახალგაზრდა ლიტერატორი ჩივის:

ტერმინები ბურუსში ახვევენ საკითხების არსს, და ამასთან, ჩვენში წერენ უგრძესი პერიოდებით, თითქმის ყოველთვის ჩართული წინადადებებით. ისე ძნელია წაკითხვა, რომ ჩვენი წრის ორმა წევრმა უარი განაცხადა ერთად მუშაობაზე...

პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს საყვედურები სამართლიანია, რადგან არა მგონია, ჩვენმა კრიტიკამ ათი წლის განმავლობაში წინ წაიწიოს პირდაპირი ხაზით, პლუხანოვთან და ლენინთან შედარებით; ბოლო სხვა მიმართულებით კი — ბევრჯერ წასულა შორს.

უკვე დიდი ხანია, რაც ენაწყლიანად დავობენ იმაზე, უნდა ვისწავლოთ თუ არა კლასიკოსებისაგან?

ჩემი აზრი: უნდა ვსწავლობდეთ არა მარტო კლასიკოსისაგან, არამედ მტრისაგანაც, თუ იგი ჰქვია. სწავლა არ ნიშნავს წაბაძვას, იგი ოსტატობის ხერხების ათვისებას ნიშნავს. მუშაობის ხერხების დაუფლება სრულებითაც არ ნიშნავს მათ შენარჩუნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე: მხოლოდ შეუდექი საქმეს — და მუშაობა თვითონ გასწავლის; ეს თვითეულმა მუშამ იცის. სწავლა რომ მხოლოდ მიბაძვით ამოიწურებოდეს, ჩვენ არ გვექნებოდა არც მეცნიერება, არც ტექნიკა, და ლიტერატურაც ვერ მიაღწევდა იმ სრულყოფას, რომელიც სავალდებულოა ახალგაზრდა მწერლებისათვისაც. არის რაღაც კომიკური იმაში, რომ კლასიკოსებისაგან სწავლისა ეშინიათ; თითქოს კლასიკოსი ფეხში სტაცებს ხელს მოწაფეს და სამარეში ჩაითრევს.

მეგობრულად უნდა ვურჩიო ამხანაგ კრიტიკოსებს, მეტი ყურადღება მიაქციონ ლიტერატურას მთლიანად და არა მის ერთეულ მოვლენებს. თავისთავად ცხადია, რომ მე არ გამოვრიცხავ ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვის აუცილებლობას. მაგრამ ი. ლებედინსკის „გმირის დაბადება“ თავისი თემათი ერთადერთი ნაწარმოებია; ამ თემაზე ჩვენში არაერთი წიგნი დაწერილა, და მეტად სასარგებლოა იმის გარკვევა, თუ როგორ იცვლება თემა წლიდან წლამდე. ლიტერატურის ამგვარად განხილვით შეიძლება მივიღეთ ძალიან ჰკუთის სასწავლ შედეგებამდე. მაშასადამე: საჭიროა ლიტერატურის განვითარების ყოველწლიური მიმოხილვები თემათის მიხედვით.

სავესებით აუცილებელია სერიოზულად მოვეკიდოთ „მენარკვევითა“ მუშაობას; ნულარ ჩავთვლით მას „ხელოვნების უმდაბლეს ფორმად“; ყოველმხრივ დავეხმაროთ ზრდასა და განვითარებაში შესაძლო სრულყოფის ფარგლებამდე. ნუ უგულვებელყოფთ საოლქო ლიტერატურასა და პრესას, — მაგალითად, ყურნალი „სიბირსკიე ოგნი“ სავესებით იმსახურებს კრიტიკის სერიოზულ ყურადღებას; იგი ჩინებული ყურნალია.

უნდა მიმოვიხილოთ ნაცემცირესობათა ლიტერატურა, რომ არაფერი ვთქვათ უკრაინის, ბელორუსიის ლიტერატურათა მიმოხილვაზე.

ხოლო კრიტიკოსების აზრთა სხვადასხვაობა გაცილებით სწრაფად და წარმატებით გამოირკვეოდა არა ქალაქებზე, არამედ მოწინააღმდეგე ჯგუფების პირადი და უშუალო შეხვედრებით კონფერენციებზე, თათბირებზე, ყრილობებზე. ერთიმეორისაგან შორი-შორ დავა ძალიან განყენებულ და წვრილმან ხასიათს იღებს. ამხანაგთა უშუალო ურთიერთობის პირობებში პოლემიკა უფრო ზუსტად დაემთხვეოდა „მოქმედების“ ცნებას.

1930

## „ზარია ვოსტოკას“

მხურვალედ ვულოცავ საბჭოთა საქართველოს მუშებსა და გლეხებს მრეწველობისა და კულტურის დარგში მამაცური, ნაყოფიერი შრომის ათი წლისთავს! ეს არის მშვენიერი დღესასწაული, რომელსაც მეწადა დავსწრებოდი, როგორც მოკრძალებული მაყურებელი და ერთხელ კიდევ მომეგონებინა საქართველო, როგორც იგი მინახავს ორმოცი წლის წინათ, მომეგონებინა თბილისი, ის ქალაქი, სადაც დავიწყე ლიტერატურული მუშაობა.

არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, აი, უკვე ოთხი ათეული წელია რომ ვადგავარ. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სინაზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ შემაგულიანა და მომცა ბიძგი, რომელმაც ყოფილი მაწაწალა ლიტერატორად გამხადა.

მეექვება, ჩემი ლირიკული გამოსვლა უადგილო ხომ არ არის საქართველოს მშრომელი ხალხის დღესასწაულზე იმ დროს, როდესაც ეს ხალხი მრისხანედ უჩვენებს თავის მტრებს საკუთარ შემოქმედებითს ენერგიას, თავის მიღწევებს, თავის მზადყოფნას — კვლავ განაგრძოს კულტურული რევოლუციის მის მიერ დაწყებული დიადი საქმე. მაგრამ, ამხანაგებო, მცირე ლირიკული განწყობილების ნება რომ მივეცი საკუთარ თავს, ამით რამდენიმე სიტყვის თქმა მსურდა ჩემს უშრეტ სიმპათიაზე თქვენსა და თქვენი ქვეყნის მიმართ. მე ვიცი, რომ ჩვენს დღეებში ლირიკული გრძნობებისათვის არავის სცალია.

სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოების კავშირის ზღაპრული წარმატებების დღეები, ევროპის ცხოვრებაში უჩვეულო ძვრებისა და იმ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების დღეები, რომელმაც ძალე უნდა მიაღწიოს თავის ლოგიკურ დასასრულს — კაპიტალიზმზე



მშრომელი ხალხის გამარჯვებას, — ეს დღეები უდიდესი დღესასწაულის წინა პერიოდია. ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მტაცებლებისა და პარაზიტების ბორკილებისაგან განთავისუფლებული ყველა ქვეყნის პროლეტარები.

მეშინურ დღესასწაულებს წინ უსწრებს „დალაგება“ — პროლეტარიატის მსოფლიო ზეიმს კი წარემძღვარება „უკანასკნელი და გადაამწყვეტი ბრძოლა“.

საქართველო მდებარეობს ნავთის აურაცხელი მარაგის მისადგომებზე, და თუ ევროპის მუშები დროზე არ სწვდებიან ყელში ბრძანებს, შესაძლოა ბრძანებმა თავიანთი მილიონობით მუშა და გლეხი გამორეკონ სასაქლაოზე სოციალისტური საბჭოების კავშირის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ომში. საერთოდ, ჩვენს მტრებს არ სძინავთ. მათ არ აძინებს არა მარტო თავიანთი გაუშაძრობა და სიზარბე, არამედ შიშიც. ისინი კარგად ხედავენ ხუთწლედების მიღწევებს, ისინი ხედავენ სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობის გასაოცარ შედეგებს და ყოფილი სოციალისტი ბრძანი არ ფარავს „შიშს“ იმის წინაშე, რომ „ბოლშევიზმს შეუძლია დაეუფლოს მთელ მსოფლიოს“. ძველი რენეგატის შიშს ისიც აძლიერებს, რომ ყველა მტაცებელი როდი ბედავს ინტერვენციაში მონაწილეობას; მათთვის, რასაკვირველია, ცხადია, რომ საბჭოების კავშირი დიდ უსიამოვნებას უმზადებს ბურჟუაზიას, მაგრამ მათ ომს ვაჭრობა ურჩევნიათ.

მათ იციან, რომ აღამიანები ტყვიამფრქვევებისა და ზარბაზნების გამოუყენებლადაც შეიძლება ძარცვო; ჩვეული მშვიდობიანი ძარცვა — ნაკლებად სახიფათო და არცთუ იმდენად სახმაურო საქმეა. კაპიტალისტები, რომლებიც დიდ მოგებებს იღებენ სამხედრო მრეწველობით, მუშებისა და გლეხების მოსპობის საშუალებათა და იარაღთა წარმოებით, რასაკვირველია, მზად არიან მუღმივი, განუწყვეტელი ომისათვის. ნება მიბოძეთ მოგაგონოთ თქვენთვის ცნობილი რამდენიმე უბრალო და უდავო კვშმარიტება. მთელი მსოფლიოს პროლეტარიატმა უნდა იცოდეს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი „კვშმარიტად სამართლიანი, წმინდა ომი“; ეს არის ომი კაპიტალისტთა წინააღმდეგ. მან უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ერთი სამშობლო აქვს — სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა, სსრ კავშირი.

მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ თუ იგი მომავალ ომში კაპიტალიზმის წინააღმდეგ არ შეაბრუნებს იარაღს — როგორც ყოველთვის — თავის თავს გაანადგურებს, მაგრამ უფრო მეტად და უფრო სასტიკი საშუალებებით. ვიდრე სპობდა თავის თავს 1914-18 წლების ხოცვა-ჟლეტის დროს.

მსოფლიოში მხოლოდ ორი ძალა არსებობს: შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე, ხარბი, შურიანი კაპიტალისტების კლასი, იმ ადამიანთა კლასი, რომელთაც გააკეთეს თავიანთი საქმე, მიიყვანეს იგი უაზრობანდე, ანარქიამდე, გადაგვარდნენ, ძალ-ღონე გამოელიათ და უნდა გაქრნენ. ცხოვრებაში მკვიდრდება აღნიშნული კლასის შემცველი მუშათა კლასი — ატლანტი, მას მხრებით უქირავს დედამიწა. ეს არის ძალა, რომელიც ყველაფერს ქმნის და, როგორც საბჭოების კავშირის მუშები ნათელყოფენ, უნარი აქვს შექმნას ის, რაც არასოდეს ყოფილა და შეუძლებლად ითვლებოდა — ქმნის თანაბარუფლებიანთა სახელმწიფოს, სოციალისტურ საზოგადოებას კაპიტალიზმის სამყაროში.

საბჭოების კავშირის მუშათა კლასს, არა მარტო მთელს მსოფლიოში, თავის საკუთარ ქვეყანაშიც ჰყავს მტერი. ეს მტერი — პატარა პარაზიტია, რომელსაც დიდ პარაზიტად გადაქცევა სურს. 17-21 წლებში ამ ყალიბის პარაზიტთა ერთი ნაწილი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კეთილ საქმეს: მონაწილეობას იღებდა მემამულეებისა და მეფეობრივების უღლისაგან გლეხებისა და მუშების განთავისუფლებაში. ამ აუცილებელ საქმეს ისინი მუშებისა და გლეხების განთავისუფლებისათვის კი არ აკეთებდნენ, არამედ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდათ თვითონ მოექცეოდნენ მშრომელებს მხრებზე. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ფრთები შეასხა და განამტკიცა მათი ეს ოცნება. მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკა „შესვენება“ გამოდგა ძლიერი სოციალისტური შეტევის წინ და მშრომელი ხალხის მხრებზე ჯდომის კანდიდატებს იმედი გაუცრუვდათ, ისინი განაწყენდნენ. სოციალიზმი არ მოსწონთ მათ. ჩივიან: ძნელია ცხოვრებაო. მათგან ხშირად ვღებულობ საყვედურის წერილებს, ხელნაწერებს, „უღმერთოებისადმი მიმართვას“, — რასაკვირველია, ღმერთის დასაცავად, — და სხვა ნათითხნს, რომელთა მწვავე თუ ბოროტი ტონი მშვენივრად და ამაღელვებლად ერწყმის გონების სიჩლუნგეს.

აი, მაგალითად, გუშინ მივიღე წერილი ერთი ასეთისაგან... წერილი, არცთუ ისე წიგნიერად არის დაწერილი, მაგრამ მით უფროსაინტერესოა, რადგანაც მკირემცოდნე პარაზიტს „რაც ენაზე შობადება, იმასვე ამბობს“. იგი მეკითხება:

განა აღრე არ არის წესი აუუგოთ შრომითს ინდივიდუალიზმს, რომელიც თერსი არსებობის ფაქტით სავსებით ცვლის პოლიტიკურ ვითარებას?

ძველი ლათაიებია. „შრომითი ინდივიდუალიზმი“, რასაკვირველია, წერილი კერძომესაკუთრული მეურნეობაა — ის დამპალი ნიადაგი, რომელზეც ასე უხვად გაიშალა იმპერიალისტური კაპიტალიზმის შხამიანი ყვავილები და ამოიზარდა მუშებისა და გლეხების მთელი სამყაროს უბედურება და მწუხარება. რატომაა „ადრე წესის აგება“ მეურნეობის ამ ფორმისათვის, მტაცებლურად რომ ფიტავს მიწასაც და მის განძეულსაც პროლეტარიატის წინააღმდეგ კაპიტალიზმის თავდაცვის საზიზღარი საქმისათვის?

თურმე, ნუ იტყვით, იმიტომ, რომ „კომუნისტური შრომის მსოფლიო შეჭახება კაპიტალიზმთან, ბრძოლის ველზე მესამე მებრძოლის არსებობის პირობებში, მითოლოგიური თქმულებაა“, ესე იგი მოგონილი ამბავია. „მესამე მებრძოლი“ ეს „მშრომელი ინდივიდუალისტია“. ძალიან ჰგავს იმას, რომ იგი სწორედ ის კაცია, რომელსაც „უსაქციელო“ საბჭოთა პრესა კულაკს უწოდებს, ხოლო ჩვენი პარტია — არა მარტო უწოდებს. ამ „მესამე მებრძოლს“ ჰგონია იმის ძალა შესწევს, რომ „ბრძოლის ველზე“ წითელ არმიასა და სხვადასხვა ჭურის ბრიანების მიერ გაბრძვიებულ არმიებს შორის ჩადგეს; ჩადგეს და მიმართოს ჩვენს მებრძოლებსა და ფრანგი კაპიტალისტების მიერ მოსყიდულ რუმინელ და პოლონელ ჭარისკაცებს: „ნუ იჩხუბებთ, ბიჭებო! თქვენმა ჩხუბმა შეიძლება დააზარალოს ჩემი საყვარელი ხუტორი, ჩემი პატივცემული ძროხები და, საერთოდ, ჩემი წმიდათა წმიდა კერძო საკუთრება. რომელიც სამოქალაქო ომის წლებში ჩემი ქოხისა და ჩემი ძროხებისათვის ბრძოლით დავემსახურე. ნუ იჩხუბებთ, ბიჭებო!“ როცა ამ გულისამჩუყებელ სიტყვებს მოისწენს, ყოფილი სოციალისტი და ახლა კერძო საკუთრების თავგამოდებული დამცველი, მამაცი ბრიანი სუფთა ფრანგული ენით უბრძანებს თავის დაქირავებულ ჭარებს: „აბა, მოუსვით, ბიჭებო!“

ხოლო კლიმ ვოროზილოვი, მოღვმით მუშა და წითელი არმიის ბელადი... თვითონ მოგეხსენებათ, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში.

კარგად ხედავთ: „მშრომელი ინდივიდუალისტის“ წერილი არცთუ ისე გონივრულია, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უფრო ცუდს აწუელოდეთ. წერილის ავტორი შემდეგ სიტყვასიტყვით ასე წერს:

თქვენ ამბობთ, რომ კომუნისტს სძულს კაპიტალისტი. მაგრამ კაპიტალისტი ხომ მშრომელ ინდივიდუალისტსაც სძულს, რომელიც ამ კაპიტალისტთან საკუთარი თავის დაცვის გამო არის შეკავშირებული.

აი, რა საინტერესო და მოულოდნელი ამბავია, ამხანაგებო! საე-

სებით ნათელია, რომ სიტყვები „კაპიტალისტთან საკუთარი თავის დაცვის გამო შეკავშირებაზე“ „მესამე მებრძოლს“ მისდაუნებურად წამოსცდა. ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა, როცა ლოგიკა თუჯის ქალაშიც კი შეაღწევს ხოლმე. „მშრომელმა ინდივიდუალისტმა“ ამ სიტყვებით სავსებით გააშიშვლა თავისი ნამდვილი არსი: იგი კაპიტალისტის მოკავშირეა, იგი თქვენი მტერია.

შეიძლება მკითხოთ: „განა ღირს ყურადღება მივაქციოთ სულელურ წერილებს“? აუცილებლად საჭიროა, ამხანაგებო! საქმე ის კი არ არის, რომ წერილებს მე მიგზავნიან; საქმე ის არის, რომ პარაზიტები არსებობენ, ჩურჩულებენ და მოქმედებენ სადღაც თქვენს ახლო, თქვენს შორის. პარაზიტთა სისულელე მათი „წმიდათა წმიდა სიმართლეა.“ მათ დაუნდობლად უნდა ებრძოლოთ. ისინი თქვენს სხეულზე ცოცხლობენ და მათი მთავარი განზრახვაა — სისხლი გწოვონ. ბრიანი აცხადებს: „ევროპის ცენტრისა და აღმოსავლეთის ქვეყნები ადვილად შეიძლება ხელში ჩაუვარდნენ ბოლშევიზმს, და ჩვენ ვეხმარებით მათ“. ამ ფრანგის სიტყვები რუსულენაზე შემდეგნაირად ჟღერს: ჩვენ გვსურს ვცადოთ, ნუთუ არ შეიძლება საბჭოების კავშირი ევროპის უმუშევარი კაპიტალის კოლონიად ვაქციოთ; ნუთუ არ შეიძლება ქართველები, სომხები, აფხაზები, უკრაინელები, ბელორუსები და საბჭოების კავშირის სხვა ხალხები გადავაქციოთ მონებად, როგორც აფრიკის ზანგები?

პარაზიტები კითხულობენ ბრიანის სიტყვებს „იზვესტიაში“, „პრავდაში“ და მისი ხმა აცოცხლებს მათ იმედებს, თუმცა ძალიან შესაძლებელია, რომ ძველი ავანტიურისტის საბრძოლო ხმებს მისი პირი კი არ გამოსცემს, არამედ ის ადგილი, ნორმალურ ადამიანებს კეთაზე გაცილებით ქვევით რომ აქვთ. წვრილფეხა პარაზიტებს კი, რომლებიც ამ ხმებს უსმენენ, ჰგონიათ, რომ ბრიანი დაეხმარება მათ, რათა მსხვილ პარაზიტებად იქცნენ. ათი წლის განმავლობაში მათ ზოგი რამ შეიგნეს და საკმაოდ მარჯვედ ერკვევიან, თუ სწორედ რომელი ქარი ან წყალი გამოადგება მათ წისქვილებს. მათ ორგანული მიდრეკილება აქვთ ბურჟუაზიული ჭაობის მღვრიე და აყროლებული წყლით წყურვილის მოსაკლავად. ისინი დაცოცავენ თქვენს შორის და ელოდებიან იმ მომენტს, როცა შეეძლებათ კისერზე შეგახტნენ. ისინი სისინებენ, ჩუმად და ფრთხილად წამლავენ ჰაერს, რომლითაც სუნთქავენ. ისინი კარგად ხედავენ ყველაფერს, რაც ჭერ კიდევ ცუდი და მძიმეა თქვენთვის და ეშინიათ ყოველივე იმ დიდის დანახვისა, რასაც თქვენ ქმნით, რაც მალე მსუბუქსა და მშვენიერს გახდის თქვენს ცხოვრებას.

ცნობილია, რომ, როდესაც დათვი თაფლისათვის ფუტკრების

სკაში მიძვრება, ფუტკრები კბენენ მას და ადვილად ერეკებიან შორს. მაგრამ იმავე დათვის ძალიან უკირს ციმბირის ტაიგაში მუმლისაგან თავის დაღწევა. თქვენს ზეიმზე, ამხანაგებო, ისევე როგორც შრომის დროს, არ დაივიწყოთ მუმლი, „მშრომელი ინდივიდუალისტი“, „მესამე მებრძოლი“ — არ დაივიწყოთ თქვენი მტერი, რომელთანაც ბრძოლას არაუღლებს მისი არაარობა.

მტრის ადვილად მოსპობისათვის ყველაზე საუკეთესო იარაღი წიგნიერება, ცოდნა და თქვენი კლასობრივი და ისტორიული ამოცანის შეგნებაა; თქვენ უნდა იცავდეთ ერთობას მთელი მსოფლიოს პროლეტარიატთან — იმ დაუძლეველ ძალასთან, რომელიც ისტორიის მიერ მოწოდებულია შექმნას „თავისი ახალი სამყარო“.

გაუმარჯოს საბჭოთა საქარუველოს, მის მუშებსა და გლეხებს, მის კომკავშირს, მის პიონერებს! და გაუმარჯოს ჩვენს პარტიას — მუშებისა და გლეხების დაუღალავ, ფხიზელ ბელადს!

## წინასიტყვაობა ალმანახისა „გუშინ და დღეს“

ეს კრებული უფრო საინტერესო შეიძლება ყოფილიყო, ავტორებს რომ არ ეჩქარათ. მათ შეეძლოთ უფრო მეტი მასალის შეგროვება და მისი უკეთ დამუშავება. მაგრამ მათი აჩქარება სავსებით ბუნებრივია, რადგანაც სურთ, რაც შეიძლება მალე მოსწყდნენ თავიანთ წარსულს, განშორდნენ მას. მათ სხვა, ჩემი აზრით კიდევ უფრო სწორი მოსაზრებაც ამოქმედებდა: მათ სურთ, რომ ჩვენი უდიდესი ქვეყნის ათასობით უპატრონო და სოციალურად საშიში პირი — ყველა ეს საპატიმროებში დამწყვდეული, კოლონიებსა და კომუნებში ორგანიზებული პირები — კრებულის გამოცემის ფაქტით დარწმუნდნენ, რომ მათ წინ გადაშლილია პატიოსანი და სოციალურად სასარგებლო შრომის ყველა გზა. „შენიანებს“ რომ ეს უთხრა — ნამდვილად ამხანაგური საქმეა, და იგი ცუდად როდი გაუკეთებიათ. ეს იმიტომ, რომ გულწრფელად უმუშავნიათ. მაგრამ სააგიტაციო, პედაგოგიური მნიშვნელობის გარდა, უპატრონოთა მიერ დაწერილ ამ წიგნს დამოუკიდებელი ღირებულებაც აქვს: იგი მეტყველებს, რომ „ფსკერზე“ ნიჭიერი ადამიანები ცხოვრობენ და მოგვაგონებს, რომ ძველ დროში ისინი ვერ წამოდგებოდნენ ფსკერიდან. კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილ პირობებში ისინი დგებიან და ესმით, თუ ვის უნდა უმადლოდნენ ცხოვრების ზედპირზე ამოსვლას. მათ იციან, რომ უკვე არა ერთმა „თავისიანთა“ ასეულმა დაამთავრა საშუალო და უმაღლესი სკოლა, მუშაობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის აქტიურ მშენებელთა შორის, თავის ენერგიას უერთებს მშენებელთა საერთო დაუცხრომელ ნაკადს.

„ახლა ისეთი დრო დადგა, რომ თუ ადამიანს სურს, თავისი ძალის შესაფერ ადგილს მონახავს დედამიწაზე“, — მწერდა ერთი მათ-

განი. „ძალის შესაფერი“ — კარგად არის ნათქვამი, რადგან ძალა აქ შეფასებულია არა როგორც ცხენის ძალა, არამედ ახლებურად — როგორც გონიერი, ცხოვრების ახალი პირობების შემქმნელი, სოციალური ადამიანის ძალა. ერთ-ერთი პოეტი, ლავროვი, საკუთარი ღირსების კარგი გრძნობით ამბობს:

როდი მრცხენია ჩემი წარსულის  
დღევანდელი კი — შემაყვება!

მორე კი გვიყვება: „ვიპარავდი თავმოყვარეობის გამო, ვფიქრობდი — ეს ყველაზე ძნელი საქმეა-მეტქი. შემდეგ მივხვდი, რომ უფრო საძნელო საქმეებიც არის და მუშაობაში ჩავები“. ამას „რომანტიკოსი“ ამბობს, ის, ვინც „საგმირო საქმეს“ ეძებს.

„რომანტიზმი“ ფსკერის ბევრი ადამიანისათვის მეშჩანური საქყაროს მიერ „განკიცხულთა“ ანარქიზმს წარმოადგენდა, ჩვენს გმირულ დღეებში ანარქიზმს ჩამოშორებული ეს რომანტიზმი — ადვილად მკვიდრდება და გამოიყენება კოლექტიურ შრომაში. ეს საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული სელენიოვის ლექსებში. იგი „თავისიანებს“ მიმართავს ლექსით იმიტომ, რომ „თავი ანებონ ქურდობას და სმას“ და მათთან ერთად „დიდ მშენებლობას შეუერთონ ხმა“.

ბაქოს შრომითი კომუნის წევრი შესტაკოვი ამბობს:

დღეს ჩენი ძალაც  
გეგმას ხმარდება!

მე უკვე ვამბობდი, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებამ „უპატრონოებისადმი“ და „სოციალურად საშიშთადმი“. ჩემი აზრით, მოგვცა ისეთი შედეგები, რომლებითაც მას შეუძლია იამაყოს, როგორც თავისი ჰკვიანური, დიდად ადამიანური მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად საოცარი მიღწევით. ასეთ შედეგებს ეს დამოკიდებულება ახლაც იძლევა. სავსებით უდავოა ის, რომ „დანაშაუვთა სამყაროსთან“ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებამ დიდად გაუხწრო ევროპას, რომელიც, თუმცა, არც ცდილობს სოციალურად საშიშთა აღზრდას, მათ იგი ნელ-ნელა ხოცავს საპატრიოტებსა და კატორღაში. მე, რასაკვირველია, მესმის, რომ ერთიმეორის გაქურდვისა და ძარცვის საფუძველზე აგებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მეტად ძნელია ადამიანს დაუმტკიცო, რომ ქურდობა და ძარცვა დანაშაულია.

ისტორია ვერ დაიტრახებებს, რომ მისთვის ცნობილია ისეთი

რამ, რაც საბჭოთა კავშირში ხორციელდება, კერძოდ, ჩვენში გამო-  
ყენებული შრომითი აღზრდის მეთოდი. ისტორია ეყრდნობა უმ-  
რავლესობის მონურ შრომას, უმცირესობის უპასუხისმგებლო ბა-  
ტონობას; ამ უმცირესობის მიერ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ  
ჩადენილ დანაშაულობებს ისიც უნდა მიემატოს, რომ მან მუშის  
სულში თითქმის ჩაკლა მისი შრომის სიდიადის შეგნება. ეს შრომა  
კი „ცხოვრების ყველა ამოცანის“ გადამწყვეტი და მთელი მისი  
მეშჩანური სისაძაგლის მომსპობი ერთადერთი ძალაა. ამ პირქუშმა  
ისტორიამ, რომელიც მშრომელი ხალხის ძვლებზეა აშენებული და  
გარეგნულად ძალზე შეფერადებულია ცოტად თუ ბევრად პირ-  
მოთხე „ისტორიკოსების“ მიერ, ვერ შეძლო „საკუთრების წმიდათა  
წმიდა ინსტიტუტის“ მოწინააღმდეგეთა დასასჯელად გამოეგონებინა  
რაიმე, საკატორლო სამუშაოებისა და „მკვდარი სახლების“  
გარდა.

აი, ამონაწერი ერთი ბურჟუაზიული გაზეთიდან:

„ნიუ-იორკი, 9 ივლისი“

მცირეწლოვან დამნაშავეთა საპატიმროების გამომკვლევმა კომისიამ ისეთი სა-  
შინელებანი გამოავლინა, რომლებიც შუა საუკუნეებს მოგვაგონებენ. ორივე სქე-  
სის ორი ათასზე მეტ მცირეწლოვან დამნაშავეს გამასწორებელ საპატიმროებში  
უმოწყალოდ სცემენ და სხვადასხვანაირად სჯიან თვით მცირე დანაშაულისთვის.  
საუკი. ბიჭებსა და გოგონებს ამათრახებენ, გაყინულ ყუალში სვამენ, ზნელ კარ-  
ცერებში კეტავენ, მარტო პურსა და წყალს აძლევენ და ყოველმხრივ ამცირებენ,  
რითაც ზოგიერთები თვითმკვლელობამდე მიჰყავთ.“

პრეზიდენტ ჰუვერისათვის კომისიის მიერ წარდგენილ ანგარიშში ნათქვამია,  
რომ „ასეთ გამასწორებელ ადგილებში ყოფნა მცირეწლოვან დამნაშავეებს არა-  
თუ გამოსწორებს, პირიქით, ისინი იქიდან გაბოროტებულნი და გაზრდილნი გა-  
მოდიან.“

„თვითელი ადამიანის მისწრაფება იმისაკენ, რომ სხვების საზიანოდ მიითვი-  
სოს სასურველი საგნები — ადამიანის ბუნების კანონია“. ამ სიტყვებით მოცემუ-  
ლია კაპიტალისტური საზოგადოების მთავარი საფუძვლის ზუსტი და უდავო და-  
ხასიათება. ეს სიტყვები კი თქვა თავის დროზე ცნობილმა ჯემს მილმა თავის შრო-  
მაში „მთავრობის გამო“. ხოლო „ინგლისის ისტორიის“ ავტორმა, არანაკლებ  
ცნობილმა ლორდმა მაკოლეიმ, ინგლისის მეშჩანობის, ესე იგი კლასიკური, ყვე-  
ლაზე მეტად სრულყოფილი მეშჩანობის, „სულის“ ამ უბადლო მცოდნემ, და ამ  
აზრით — მთელი მსოფლიოს მეშჩანთა ქურუმმა — გაჰკიცხა ჯემს მილის ლიბერა-  
ლიზმი:

„ჯემს მილი იმისაკენ მოგვიწოდებს, რომ მდიდარ უმცირესობაზე გაეაბატო-  
ნოთ ღარიბი უმრავლესობა. საერთოდ, არსებობს იმის მიდრეკილება, რომ უმრავ-  
ლესობის ინტერესებისათვის ვმარცხოთ მდიდრები, მაგრამ უარეყოფთ ამ დასკე-  
ნას, მისი ლოგიკურობის მიუხედავად. ჩვენი ამოცანა იმდენად რომელიმე პოლი-  
ტიკური სისტემის დაცვა ან უარყოფა კი არ არის, რამდენადაც ის, რომ მიეუთი-



თით რეზონერობის ცოდნებზე, რომლის გამოყენებაც ადვილად შეიძლება მცდარ შეხედულებათა დასაცავად და რომელიც არ უნდა დაეინდოთ მაშინაც კი, როდესაც იგი შემთხვევით სიმართლეს ემსახურება.

ჯემს მილი ინგლისელი ლიბერალი იყო და, რასაკვირველია, ექსპლოატატორ უმცირესობაზე მშრომელთა უმრავლესობის გაბატონებას როდი ფიქრობდა: იგი ოცნებობდა „წარმომადგენლობითი მმართველობის“ — პარლამენტარიზმის — დაშლაზე წერილი ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ლორდ მაკოლეიმ რამდენადმე „გაამახვილა“ მისი იდეა და, როგორც მსხვილი ბურჟუაზიის ნებასურვილის გამომხატველმა, მისი იდეური დამკველის უტიფრობით განაცხადა: თუშეცა დასკვნა ლოგიკურია, მაგრამ ჩვენ უარვყოფთ მასო.

ეს პატარა დავა 1829 წელს, ასი წლის წინათ, დაიწყო. ამ ასი წლის მანძილზე ერთი დღითაც არ შეწყვეტილა და ყველა პარლამენტში, ევროპის მთელს პრესაში გრძელდება. ჩვენს დროში კაპიტალისტთა ამ დავამ ისტორიის ლოგიკის წინააღმდეგ სავსებით გამოავლინა თავისი არაადამიანური, ანტიკულტურული არსი და უკიდურესად ცინიკური და უტიფარი ხასიათი მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია „ადამიანის ბუნების“ სხვა შეფასებიდან გამომდინარეობენ. მარქსისტები ამტკიცებენ, რომ „ადამიანის შეგნებას ჰქმნის მისი ყოფიერება და რომ, თუ შეიცვლება ცხოვრების ყველა პირობა, ძირფესვიანად შეიცვლება „ადამიანის ბუნებაც“, ესე იგი, ადამიანი თავს დააღწევს ყოველივე იმას, რაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა, უფრო სწორად — ამაზინჯებდა მის გონებას, გრძნობას. კომუნისტური პარტია ძირფესვიანად სპობს კაპიტალისტური საზოგადოების ყველა საფუძველს. იგი ქმნის სახელმწიფოს, სადაც არ მოიპოვებიან მესაკუთრენი, გარდა თვით სახელმწიფოსი: ყველაფერი, რითაც კი მდიდარია იგი, ყველას და თვითთვის ეკუთვნის. სიმდიდრეთა ასეთი განაწილების დროს შეუძლებელია „სასურველი საგნების მითვისება სხვების საზიანოდ“.

ამ პირობებში ყოველგვარი ქურდობა საკუთარი თავის გაძარცვა იქნება, ყოველგვარი სიზარმაცე ზიანს მოუტანს, პირველ ყოვლისა, თვითონ ზარმაცს. მასალისადმი, მანქანისადმი უყიარათო დამოკიდებულება — სახელმწიფოს ყველა წევრის წინააღმდეგ და, მაშასადამე, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია. შესაძლებელია თუ არა ისე გარდაექმნათ „ადამიანის ბუნება“, რომ მან სამყაროს ერთადერთ კანონმდებლად, ყველა საგნის შემოქმედად და მათ ბატონ-პატრონად იგრძნოს თავი? რომ მან გაიგოს: სახელმწიფო ის ურჩხული კი არ უნდა იყოს, უაზროდ რომ ნთქავს მის

ქალ-ლონეს, არამედ ისეთი ორგანიზაცია, მის სიცოცხლესა და პიროვნებას რომ ზოგავს და ყოველნაირად ცდილობს მისი ფიზიკური შრომის უზრუნველყოფას, საკუთარი უნარისა და ნიჭის განვითარების სრულ თავისუფლებას ანიჭებს მას?

ამ კითხვას გარკვევით და დადებითად პასუხობს შრომითი კომუნების საშუალებით „სოციალურად საშიში“ ადამიანების სოციალურად სასარგებლო ადამიანებად გარდაქმნის საბჭოური გამოცდილება. ამ გამოცდილების შინაგან და ღრმა ღირსებას კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ ცდა განხორციელებულია კაპიტალისტური წყობილების პირობების მიერ გაფუჭებულ, უკიდურესად გახრწნილ მასალაზე. ამ ცდის საფუძველზე, რომელიც ბრწყინვალედ ამართლებს იმ აქსიომას, რომ „მდგომარეობა ქმნის შეგნებას“, ჩვენ შეგვიძლია სავსებით დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ კოლექტიური შრომის პირობებში წვრილი მესაკუთრე-ინდივიდუალისტი სწრაფად დაუპოვებს ადგილს კოლექტივისტს, სოციალისტური საზოგადოების წევრს.

## საშუბარი ახალგაზრდებთან

ადამიანთა უმეტესობა იმიტომ კი არ ფიქრობს და მსჯელობს, რომ გამოიკვლიოს ცხოვრების მოვლენები, არამედ ისწრაფვის მყუდრო სავანე მოუნახოს თავის აზრს, ჩქარობს სხვადასხვა „უდავო ქეშმარიტებათა“ დადგენას. უცილობლობის ეს ნაჩქარევი ფაბრიკაცია განსაკუთრებით ახასიათებთ კრიტიკოსებს და ძალზე ვნებს ზელეტრისტების მუშაობას. აქსიომატიზმი, დოგმატიზმი და. საერთოდ, უცილობლობათა „კუსტარული“ წარმოება ლიტერატორთა დიდად საპასუხისმგებლო მუშაობაში აუცილებლად იწვევს შეზღუდულობას, ცოცხალი, სწრაფად ცვალებადი სინამდვილის არსთა დამახინჯებას. ბრძენმა ადამიანმა ენგელსმა სავსებით მართებულად თქვა. ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არაა, სახელმძღვანელოა მოქმედებისათვისა. ხოლო ყველა ჩვენი მოქმედება მათი საერთო არსის მიხედვით „ძველი სამყაროს შეცვლაა“, ახლის შექმნაა. ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ „ძველი სამყაროს“ ნგრევის ზღაპრულად სწრაფი პროცესების ეპოქაში, პროცესებისა, რომელთა მიზეზებიც ყოველმხრივ გულდასმით იყო შესწავლილი და განჭვრეტილი. ინგრევა კლასობრივი საზოგადოებანი — მათ „ამოწურეს საკუთარი თავი“. არცთუ ისე ძველად, შემოქმედებითა ძალების სიჭარბეს რომ მიაწერდნენ სოციალურ მანკიერებათა სიუხვეს, ისინი ტრაბახობდნენ თავიანთი რკინისებური სიმტკიცით. ჩვენს დროში მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია თვალნათლივ ავლენს საკუთარ უღონობასა და უნიკობას და ნათელყოფს თავის ერთადერთ ძალას — პოლიტიკურ ცინიზმს. ყველა ქვეყნის მედუქნეები თავიანთ ბელადებად აყენებენ ავანტიურისტებს და მიმართავენ ტერორს, როგორც თავდაცვის ერთადერთ ღონისძიებას. მათ საკუთარი თავის გამოჩენის ერთადერთ საშუალებად გამოაცხადეს ფაშიზმი, ანუ კაცობრიობის

სხვადასხვაგვარი ნაძირალების (ყალთაბანდების, ისტერიკების, დე-გენერატებისა და შიმშილით დაღუპვის შიშისაგან თავზარდაცემული ადამიანების) დარაზმვა ბანდიტთა არმიად. ამ ბანდიტებმა პოლიციის მეთაურობით უნდა გაანადგურონ სოციალური შემოქმედების უნარის მქონე ჯანსაღი ძალა — რევოლუციური პროლეტარიატი. ჩვენ, საბჭოთა კავშირის ლიტერატორებს, საკმაოდ ნათლად არ წარმოგვიდგენია არსი და მნიშვნელობა ბურჟუაზიის ძალთა დაშლის პროცესისა, მისი ცდისა, რომ ამ გახრწნილი პროდუქტებიდან შექმნას თავისი დამცველი ძალა. პროლეტარიატის ცხოველმყოფელობას, ნიჭიერებას, მისი შემოქმედებითი ძალების დიდ მარაგს უდავო სიცხადით ნათელყოფს მსოფლიოს წინაშე საბჭოთა კავშირის პროლეტართა თექვსმეტი წლის გმირული შრომა და ამ შრომის ფანტასტიური შედეგები. ჩვენ, საბჭოთა კავშირის ლიტერატორებს, ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმაო წარმოდგენა ამ შრომის არც სიძლიერის დონეზე, არც მისი წარმატებების მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეზე. გვავიწყდება, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ბარბაროსულად მცირემცოდნე იყო და ყოველგვარი ცრურწმენებით ძლიერ მოშხამული, რომ მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ძველი სიმახინჯეების — „ძველი დროის გადმონაშთების“ — ხანგრძლივობა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შეცვალა ჩვენში გუთანმა კავი და, როგორც ყველგან მსოფლიოში, ჩვენ დიდ ძალასა და დროს ვხარჯავდით სხვადასხვა მჭრელი ინსტრუმენტების ლესვაზე. და, აი, ჩვენში ახლა აღმოაჩინეს, რომ ყოველგვარი მჭრელი ინსტრუმენტი შეიძლება თვით აიღესოს მისი მუშაობის პროცესში, რაც დროისა და მასალის ასობით მილიონი მანეთის ეკონომიას გვაძლევს. ეს ნაკლებად ცნობილი ფაქტი — როგორც ბევრი მსგავსი ფაქტი — იმის უტყუარი საბუთია, რომ უნარი გვაქვს არა მარტო დავეწიოთ, არამედ გავუსწროთ კიდევ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ძლიერ ტექნიკას. ჩვენ უკვე გავუსწარით ბურჟუაზიას ინტელექტუალური ენერჯის ოდენობით, და ჩვენში უფრო მეტად, ვიდრე სადმე მსოფლიოში, ზრუნავენ მისი ხარისხის ამაღლებისათვის. ბურჟუაზიას გავუსწრებთ არა მარტო იმიტომ, რომ მას უკვე მოყირქდა ტექნიკა და, ადამიანთა განადგურების ტექნიკის გარდა, უარს ამბობს სხვა. საზოგადოებასათვის სასარგებლო საგანთა წარმოების ტექნიკის განვითარებაზე, გამაკოტრებლად მიაჩნია იგი, შეაჩვენებს, წყევლის მას. ხოლო ამ დროს ჩვენში სწრაფად იზრდება ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც იციან, რომ ყოველი ახალი აღმოჩენა ტექნიკაში წარმოადგენს არსებულ, მაგრამ ჩვენს მიერ ჯერ კიდევ აუთვისე-

ბელ ძალთა ურთიერთმოქმედების აღმოჩენას. სრული, ჩვენი შრომითი გამოცდილებით მტკიცედ დასაბუთებული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვმუშაობთ შესაძლებლობათა სამყაროში. შესაძლებლობა უსაზღვროდ აღემატება ყოველივე არსებულს, ყველაფერს, რაც შექმნილია ადამიანის ათასეულობით წლის სხვადასხვა სახის შრომით. ბურჟუაზიას არა აქვს ეს რწმენა, ბურჟუაზიას უკვე აღარც სჭირდება იგი. ბურჟუაზია უკვე ამცირებს თავის წრეში ინტელექტუალური ენერჯის ზრდას. მის ნაცვლად ადამიანებს იგი უნერგავს თავდაცვის, მეშინაური ბუდეების, სოროების. ბუნაგთა დაცვის ზოოლოგიურ ნებისყოფას. ყველა მისი მისწრაფება თეორიასა და პრაქტიკაში მხოლოდ ერთი მიზნისაკენ არაა მიმართული: როგორ შეაჩეროს პროლეტარიატი ხელისუფლებისაგან მიმავალ გზაზე? როგორ დააუძლუროს იგი? აუძლურებენ იმით, რომ აშიშშეილებენ მუშათა მასებს, წვრილი ბურჟუაზიისაგან ქმნიან ბანდიტთა, მკვლელთა ფაშისტურ ბრბოებს, სპობენ პროლეტარიატის ყველაზე უფრო ენერჯიულ ბელადებს. იმისათვის, რომ ჩვენმა ლიტერატურამ შეიგნოს საკუთარი პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნის წინაშე და ისწავლოს თავისი დიადი მოვალეობის ღირსეულად შესრულება, აუცილებელია ჩვენი თანამედროვე სამყაროს სურათების ყურადღებით და სერიოზული შესწავლა. მისწრაფება თვალთახედვის არის გაფართოებისაკენ, თანამედროვე სინამდვილის შეცნობისაკენ და ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ არცთუ ისე შეინიშნება ჩვენს ლიტერატორთა შორის, განსაკუთრებით „აღიარებულთა“ შორის.

რომელი ელემენტებისაგან შედგება მხატვრული ლიტერატურა, როგორ იქმნება სიტყვებით სახეები, ტიპები, ხასიათები, როგორ ხდება სიტყვის საშუალებით სინამდვილის ამბების, ბუნების სურათების, აზროვნების პროცესთა აახვება?

ლიტერატურის პირველელემენტი არის ენა, მისი ძირითადი იარაღი და — ფაქტებთან, ცხოვრების მოვლენებთან ერთად — ლიტერატურის მასალა. ერთ-ერთი ყველაზე მეტად ბრძნული ხალხური გამოცანა შემდეგი სიტყვებით განსაზღვრავს ენის მნიშვნელობას: „თაფლი არ არის, ყველაფერს კი ეწებება“. ამით ნათქვამია, რომ ქვეყანაზე არაფერი მოიპოვება ისეთი, სახელი რომ არ ჰქონდეს. სიტყვა ყველა ფაქტის, ყველა აზრის სამოსელია. მაგრამ ფაქტებში იმალება მათი სოციალური არსი, ყოველი აზრის უკან მიზეზი დგას: რატომ ესა თუ ის აზრი სწორედ ასეთია და არა სხვაგვარი. მხატ-

ვრულ ნაწარმოებს, რომელიც მიზნად ისახავს ფაქტების მიღმა სოციალური ცხოვრების არსის გამოხატვას მთელი მათი მნიშვნელობით, სისრულითა და სიცხადით, მოეთხოვება მკაფიო, ზუსტი ენა, გულდასმით შერჩეული სიტყვები. სწორედ ასეთი ენით წერდნენ „კლასიკოსები“, იანინი თანდათან, საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავებდნენ ხოლმე მას. ეს ქვეშეარტად ლიტერატურული ენაა და თუმცა იგი აღებულია მშრომელი მასების სალაპარაკო ენიდან, მაინც მკვეთრად განირჩევა თავისი პირველწყაროსაგან, რადგან, აღწერილად რომ გამოხატავს, იგი ენის სტიქიიდან უკუაგდებს ყოველივე შემთხვევითს, დროებითსა და არამტკიცეს, ჰირვეულს, ფონეტიკურად დამახინჯებულს, ისეთს, რაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ მიესადაგება საერთოტომობრივი ენის ძირითად „სულს“, ესე იგი წყობას. თავისთავად ცხადია, რომ სალაპარაკო ენა რჩება ლიტერატურის მიერ დახატული ადამიანების ბაასში, მაგრამ რჩება უმნიშვნელოარადენობათ, რაც საჭიროა მხოლოდ დახატული პირის უფრო პლასტიკური, თვალსაჩინო დახასიათებისათვის, მისი უფრო გაცხოველებისათვის. მაგალითად, ტოლსტოის „განათლების ნაყოფში“ მუეიკი ამბობს: «Двистительно». ამ სიტყვის გამოყენებით ტოლსტოი თითქოს გვიჩვენებს. რომ მუეიკს საეჭვოა ესმოდეს სიტყვის აზრი, რადგან გლენის ცხოვრების უკიდურესად ვიწრო პრაქტიკა საშუალებას არ აძლევს მას გაიგოს სინამდვილე, როგორც ადამიანთა ნებასა და გონების მრავალსაუკუნოვანი შეგნებული მოქმედების შედეგი.

ახალგაზრდობაში მეც ვესწრაფოდი ახალი სიტყვების გამოგონებას, ამ მიამიტი მისწრაფების მიზეზი გახდა იურისტთა — აღოკატების, პროკურორების — მკვერმეტყველება. მე მაოცებდა ის, რომ „კეთილი“ და „ბოროტი“ ერთნაირი ლამაზი სიტყვებით იმოსებიან, რომ ადამიანთა ბრალმდებლებიც და დამცველებიც ერთნაირად მარჯვედ იყენებენ ერთსა და იმავე ლექსიკონს. სასაცილოდ ვშრომობდი, ვთხზავდი „საკუთარ სიტყვებს“, მთელ რვეულებს ვავსებდი ამ სიტყვებით. ესეც აგრეთვე ერთ-ერთი „საყმაწვილო სენი“ იყო. მადლობა სინამდვილეს, იგი კარგი ექიმი, მალე განჯკურნა.

კულტურის ისტორია გვასწავლის, რომ ენა განსაკუთრებით სწრაფად მდიდრდებოდა ადამიანთა ყველაზე უფრო ენერგიული საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეპოქაში შრომის ახალი ხერხების მრავალფეროვნებასთან და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწევაებასთან ერთად.

ამას ადასტურებს ფოლკლორიც: ანდაზები, თქმულებები, სიმ-

ღერები. ეს — სალაპარაკო ენის განვითარების ბუნებრივი გზაა. ხელოვნური მოგონილი „სიახლენი“ ამ დარგში ისევე უღონოა, როგორც იმ მოძველებულ სიტყვათა კონსერვატიული დაცვა, რომელთა აზრიც უკვე წარიშალა. აზრის სიციხადისათვის მოგაგონებთ, რომ პუშკინი დიდად აფასებდა „მოსკოველ მესეფისკვერეთა“ ენას, სწავლობდა ენას თავის გამდელ არინა როდიონის ასულისაგან. სალაპარაკო ენის უშესანიშნავესი მკოდნე ლესკოვიც ძიძისაგან, ჭარისკაცის ცოლისაგან, სწავლობდა. და საერთოდ, უბრალო ძიძები, მეეტლეები, მეთევზეები, სოფლელი მონადირეები და მძიმე პირობებში მყოფი ადამიანები გარკვეულ გავლენას ახდენენ ლიტერატურული ენის განვითარებაზე. მაგრამ ლიტერატორებმა საყოფაცხოვრებო სალაპარაკო ენის სტიქიური ნაკადიდან გულდასმით შეარჩიეს უფრო ზუსტი, სხარტი და ყველაზე მეტად გააზრებული სიტყვები. ჩვენი დროის ლიტერატორებს ძალიან ცუდად ესმით ასეთი შერჩევის აუცილებლობა და ეს მკვეთრად ამცირებს მათი ნაწარმოებების ხარისხს. აქედან იზადება წინააღმდეგობანი ენის ღირსებაზე გამართულ დაეაში, და აგრეთვე უქნარებისა და ორპირა ცბიერთა დაჟინებითი ცდები მიაფუჩეჩონ დავა, დაიყვანონ იგი მხოლოდ გრამატიკის საკითხებამდე, მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დავა სიტყვის ხელოვნების შესახებ გარკვეულ ღრმა სოციალურ აზრს შეიცავს.

ლიტერატურის მეორე ელემენტია თემა. თემა არის ავტორის გამოცდილებაში ჩასახული იდეა. იგი მას ცხოვრებამ უკარნახა, მაგრამ ჭერ კიდევ გაუფორმებლად ზის მის შთაბეჭდილებებში. სახეობად ხორცმესხმას რომ მოითხოვს, იგი მწერალს განაწყობს მის გასაფორმებლად მუშაობისათვის.

არსებობენ ეგრეთ წოდებული „მარადიული“ თემები: სიკვდილი, სიყვარული, აგრეთვე ინდივიდუალიზმზე აგებული საზოგადოების მიერ შექმნილი სხვა თემები. ესენია: ეკვიანობა, შურისძიება, სიძუნწე და ა. შ. მაგრამ ჭერ კიდევ ძველად უთქვამთ: „ყველაფერი იცვლება“, „არაფერი სამუდამო არ არის მთვარის ქვეშ“, ისევე როგორც მზის ქვეშ. ჩვენს დედამიწაზე ამოდის რევოლუციის ნათელი მზე და ნათელყოფს, რომ „მარადიული“ თემების წყარო იყო და არის პიროვნების მიერ თავისი ტრაგიკული მარტოობისა და უღონობის შეგრძნება საზოგადოებაში, რომელიც აგებულია კლასების მძვინვარე ბრძოლის, პურისათვის, ძალაუფლებისათვის ბრძოლის საფუძვლებზე. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელი და მოუცილებელი თავისებურება ის არის, რომ მისი წევრების უდიდესმა უმრავლესობამ მთელი თავისი ენერ-

გია ცხოვრების პრიმიტიული, ნახევრადმათხოვრული პირობების მოპოვებას მოახმაროს. ადამიანები მიეჩვივნენ თავისი ყოფის ამ წყევულსა და დამამცირებელ „თავისებურებას“, და თუმცა იგი უხეშად აიძულებს თვითელს „ჩაიკეტოს საკუთარ თავში“, იფიქროს მარტო საკუთარ თავზე — მხოლოდ ძალიან ცოტას. ესმის სოციალური წყობილების სიმანხინჯე. საერთოდ, ადამიანებს დანახული ცხოვრებისა ცოტა ესმით. დანახულის არსზე რომ იფიქროს, კაცს ამისი დრო არა აქვს, იგი ტყვედ შეუპყრია წვრილმან ზრუნვას საკუთარ თავზე, ზრუნვას თავისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საკუთარი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, იმაზე ზრუნვას, რომ უფრო მოხერხებული ადგილი დაიკავოს ცხოვრებაში. ცხადია, ყოველივე ეს აუცილებელია არსებობისათვის, ხოლო გამომუშავებული ჩვევა, რომ არ იფიქროს იმაზე, რასაც ხედავს, ბევრისათვის თავდაცვის მოხერხებული საშუალებაა. ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანებმა რომ გამოიანგარიშონ, თუ რამდენ ენერჯიას ანდომებენ ისინი თავდაცვას, უხამს წვრილმანებს, ალბათ ათჯერ გაიზრდებოდა თვითმკვლევლობათა რიცხვი.

თუმცა ადამიანი არ ფიქრობს იმის არსზე, რასაც ხედავს, მაგრამ დანახული მანც გროვდება სადღაც მის შთაბეჭდილებათა სათავსში, ამძიებებს ადამიანს, იწვევს მასში ცხოვრების უაზრობის, „ყოფის ხრწნადობის“ შეგრძნებას, მიჰყავს იგი სამარცხვინო დაკვენამდე — „სულ ერთია, როგორც იცხოვრებ“; იწვევს მასში მისტრკას, ანარქიზმს, ცინიზმს. ასე გამოიმუშავებს თავის თავში ბურჟუაზიული საზოგადოება შხამებს, რომლებიც წამლავენ და შლიან მას. ჩვენ ვხედავთ, რომ რელიგიურ, მორალურ, სამართლებრივ დოგმებს არ ძალუძთ შეაჩერონ ბურჟუაზიული საზოგადოების ლპობისა და დაშლის პროცესი. იმ პირობებში, რომელთაც ქმნის უკლასო, სოციალისტური საზოგადოება, ლიტერატურის „მარადისი“ თემები ნაწილობრივ სავსებით კვდებიან, ქრებიან, ნაწილობრივ კი იცვლება მათი არსი. ჩვენი ეპოქა იძლევა განუზომლად უფრო მნიშვნელოვანსა და ტრაგიკულ თემებს, ვიდრე ცალკე ადამიანის სიკვდილია, რა დიდიც არ უნდა იყოს მისი სოციალური ღირებულება. ინდივიდუალისტებს ეს ვერ ანუგეშებთ, მაგრამ ინდივიდუალიზმი ისტორიის მიერ სასიკვდილოდ არის განწირული.

ლიტერატურის მესამე ელემენტია სიუჟეტი, ესე იგი ადამიანთა კავშირთა თვითობანი, წინააღმდეგობანი, სიმპათიები, ანტიპათიები და, საერთოდ, ურთიერთდამოკიდებულება — ამა თუ იმ ხასიათის, ტიპის ზრდისა და ორგანიზაციის ისტორიები. მე მგონია, რომ ეს სამი ელემენტი თითქმის სავსებით ამოწურავს ლ ი ტ ე რ ა ტ უ-



რის ცნებას, თუ ამ ცნებას შემოვფარგლავთ ბელეტრისტიკით — დრამით, რომანით, ამბავით, მოთხრობით. შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ხერხებზე, „სტილზე“, მაგრამ ეს უკვე ავტორთა ნიჭის სუბიექტური თავისებურებანია. ცხადია, ამ თავისებურებათა მიღმა და მალულია მათი „გენეზისის“ — წარმოშობის — და განვითარების ესა თუ ის ობიექტური მაჩვენებლები.

ახლა რამდენიმე სიტყვა რეალიზმზე, როგორც XIX საუკუნის ლიტერატურის ძირითად, ყველაზე უფრო ფართო და ყველაზე მეტად ნაყოფიერ მიმდინარეობაზე, რომელიც XX საუკუნეშიც გადმოვიდა. ამ მიმდინარეობის დამახასიათებელი თვისებაა მისი მახვილი რაციონალიზმი და კრიტიციზმი. ამ რეალიზმის შემოქმედნი უმთავრესად იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ინტელექტუალურად გაუსწრეს თავიანთ გარემოს და თავიანთი კლასის უხეში, ფიზიკური ძალის უკან ცხადად ხედავდნენ მის სოციალურ-შემოქმედებით უღონობას. ამ ადამიანებს შეიძლება ეწოდოთ ბურჟუაზიის „უძღვები შვილები“; ისევე, როგორც საეკლესიო ლეგენდის გმირი, ისინიც გაურბოდნენ მამების ტყვეობას, დოგმების, ტრადიციების უღელს, და ამ განდგომილთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ არცაუთუ ისე ბევრი მათგანი დაბრუნებია თავისი კლასის წიაღს შემწვარი ხბოს ხორცის საკმელად. XIX საუკუნის ევროპის ლიტერატორ-რეალისტებისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში თვალსაჩინო როლს ასრულებს ბურჟუაზიული კრიტიკის შეფასებანი. ის კი, ენის, სტილის, სიუჟეტის ღირსებისა თუ ნაკლის განხილვისას სრულებით არ იყო დაინტერესებული, რომ გაეხსნა, გაეშიშვლებინა ფაქტების — წიგნთა მასალის — სოციალური არსი. ბალზაკის მუშაობის სოციალური მნიშვნელობა გაიგეს მხოლოდ ენგელსმა და მარქსმა. სტენდალს კრიტიკამ „დუმილით აუარა გვერდი“. ჩვენში საზღვარგარეთულ ლიტერატურას ორიგინალში ძალიან ცოტას კითხულობენ, და კიდევ უფრო ნაკლებად იცნობენ დასაუვლეთელი ავტორების ნიოგრაფიებს, მათი ზრდის პროცესს, მუშაობის ხერხებს.

ბურჟუაზიის „უძღვები შვილების“ ლიტერატურა მეტისმეტად ძვირფასი იყო თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით სინამდვილისადმი, აუტყა ნოველებისა და რომანების ავტორები, ცხადია, არ მიუთითებდნენ მსუქანი და მაძლარი მეზჩანობის მიერ შექმნილი ბინძური ანარქიისაგან თავის დაღწევის გზებზე. მხოლოდ ძალიან ცოტა და უმთავრესად მეორეხარისხოვანი ავტორები, პოპულარული ფიქციონისტთა და გაულენიანი კრიტიკის მითითებათა თანახმად,

ცდილობდნენ ზოგიერთი ისეთი დოკმატიკური უცილობლობის დამკვიდრებას, რომლებიც შეურიგებელ წინააღმდეგობათა შეთავსების ცდით დაფარავდნენ ხოლმე ბურჟუაზიის საზოგადოებრივი წყობილების აშკარა და საზიზღარ სიცრუეს. XIX საუკუნეში მეცნიერება და ტექნიკა განსაკუთრებით წარმატებით აფართოებდნენ და ანტიციებდნენ კაპიტალისტური სახელმწიფოების მატერიალურ საფუძვლებს, მაგრამ საფრანგეთის ლიტერატურა — ევროპის მბრძანებელი ლიტერატურა — სრულებით არ გამოხატავდა აღტაცებას ევროპის მეშჩანობის ამ მექანიკური მოქმედებით და არ ეძიებდა მისი „მაშინალური“ ზრდის გამართლებას.

XIX საუკუნის ლიტერატურის ძირითადი და მთავარი თემა იყო პიროვნების მიერ მისი არამტკიცე სოციალური ყოფის პესიმისტური შემეცნება, — შოპენჰაუერი, ჰარტმანი, ლეოპარდი. შტირნერი და ბევრი სხვა ფილოსოფოსი განამტკიცებდნენ ამ შემეცნებას სიცოცხლის კოსმიური უაზრობის ქადაგებით, რომლის საფუძველს, ცხადია, წარმოადგენდა პიროვნების სოციალური დაუცველობის, სოციალური მარტოობის იგივე შეგნება. ახალ სინამდვილეში, რომელსაც ქმნის საბჭოების კავშირის პროლეტარიატი-დიქტატორი, არქტიკის ყინულოვან უდაბნოში გადაკარგული პიროვნებაც კი, რომელსაც ყოველ წუთს ემუქრება სიკვდილის საფრთხე, მარტოდ და უმწეოდ არ გრძნობს თავს.

XIX საუკუნე უმთავრესად პესიმიზმის ქადაგების საუკუნეა, XX საუკუნეში ეს ქადაგება, სრულიად ბუნებრივად, გადაგვარდა სოციალური ცინიზმის ქადაგებად; იმ „ჰუმანურობის“ სრულ და გადაჭრით უარყოფად იქცა, რომლითაც ასე კოპწიაობდნენ და ამყობდნენ კიდევ ყველა ქვეყნის მეშჩანები. ძალიან ბევრის მიერ მიღებულს, თანაგრძნობის, შებრალების ეკლესიურ და თვალთმაქცურ შოპენჰაუერულ ეთიკას ისტერიული გაბოროტებით უარყოფს ნიცშე და კიდევ უფრო გადაჭრით, უკვე პრაქტიკულად — ფაშიზმი. პიტლერთა ფაშიზმი — ეს არის პესიმიზმის გამოვლინება მეშჩანობის მიერ იმ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, რომელიც ეცლება მის დასუსტებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მკიდე თათებს.

საჭიროა დაეუმატოთ, რომ ერთეულების სოციალური ყოფის უციდურესი სისუსტის შეგრძნება და გაგებაც კი უცხო არ ყოფილა კაპიტალის თვით ყველაზე ნიჭიერ მსახურთათვისაც. XIX საუკუნის ბურჟუაზიის თითქმის ყველა „დიდი“ და „სახელგანთქმული“ ადამიანი, რომელთაც დაგვიტოვეს ახლა უკვე გამოქვეყნებული მემუარებო, დღიურები, წერილები, აღნიშნავს, თუ როგორ უსაშველოდ ცუდად არის მოწყობილი ბურჟუაზიული საზოგადოება.

საბჭოების კავშირის პროლეტარიატ-დიქტატორის დამსახურებათა შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მისა საოცრად გამირული მოღვაწეობა წმენდს ქვეყანას პესიმიზმის ობი-სა და უანგისაგან.

ბურჟუაზიის „უძღვებ შვილთა“ რეალიზმი კრიტიკული რეალიზ-ში იყო: საზოგადოების მანკიერებებს რომ ამხელდა, პიროვნებათა „ცხოვრებასა და თავგადასავალს“ ოჯახური ტრადიციების, რელი-გიური დოგმატების, სამართლებრივი ნორმების მუხრუჭებში მოჭ-ცეულს რომ ხატავდა. კრიტიკულ რეალიზმს არ შეეძლო ადამიან-სათვის ეჩვენებინა ტყვეობიდან თავის დახსნის გზა. აკრიტიკებდნენ ყოველივე არსებულს, მაგრამ დასამტკიცებელი არა იყო რა, გარდა სოციალური ცხოვრების და, საერთოდ, „ყოფიერების“ აშკარა უაზ-რობისა. ამას ბევრი ამტკიცებდა ხმამაღლა, დაახლოებით, ბაირო-ნიდან მოყოლებული 1932 წელს გარდაცვლილ ტომას პარდიმდე, შატობრიანის და სხვათა „სამარისეული ჩანაწერებიდან“ ბოდლე-რამდე და ანატოლ ფრანსამდე, რომლის სკეპსისი ძალიან უახლოვ-დება პესიმიზმს. ზოგიერთმა ლიტერატორმა პესიმიზმი კათოლი-ციზმით შეცვალა. მაგრამ „პირშუშხა ბოლოჯე ტკბილი როდია“; ყველა ეკლესია თითქმის ერთნაირი დაუინებით უნერგავდა ადამიან-ებს მათი უღონობის შეგნებას ცხოვრებისათვის ბრძოლაში. რელი-გიის მანევობა განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული მისა მისწრაფებით, შეასუსტოს ყოველგვარი ენერჯია, რომელიც კი მი-მართულია ეკლესიის მესვეურთა მატერიალური და ანგარებითი ინტე-რესების საზიანოდ. ერთმა ხუცესმა — „ქრისტეს ერთ-ერთმა ნაც-ვალმა მიწაზე“ — სავსებით სწორად თქვა: „ქრისტიანობა ძალიან სასარგებლოა სამღვდელთებისათვის“. ჩვენში ხალისით და ბევრს წერენ სოციალისტურ რეალიზმზე და ამას წინათ ერთმა ავტორმა გოგოლზე დაწერილ სტატიაში საინტერესო რამე აღმოაჩინა: გოგო-ლი სოციალისტური რეალისტი იყო. ეს აღმოჩენა საინტერესოა იმით. რომ ნათელყოფს, თუ რა სისულელე შეიძლება მოჩმახოს ლიტერატურულ-კრიტიკულ ჭეშმარიტებათა კუსტარულმა წარმო-ებამ. იგი იმაზეც მიუთითებს, თუ რა უპასუხისმგებლობას იჩენს მწერალი მკითხველის წინაშე თავისი სიტყვების გამო.

ლიტერატურულ რეალიზმს საქმე აქვს ადამიანთა სასიცოცხლო მოქმედების რეალურ ფაქტებთან. „რევიზორისა“ და „მკვდარი სუ-ლების“ ეპოქაში, რამდენადაც ცნობილია, არავის არ შეუშინებია რუსეთში სოციალისტური ხასიათის ფაქტები. ამ არამცირე მნიშვ-

ნელოვანი მიზეზის გამო ლიტერატორ ნიკოლოზ გოგოლს არ შე-  
ეძლო აესახა ასეთი ფაქტები ხლესტაკოვის, ჩინიკოვის, სობაკევი-  
ჩის, ნოზდრევის, პლიუშკინის და მისი სხვა ტიპების სოციალურ  
ცხოვრებაში. მაშასადამე, გოგოლი ტყუილად არის გამოცხადებული  
სოციალისტურ რეალისტად; იგი არის რეალისტი-კრიტიკოსი, და  
იბღენად ძლიერი, რომ თვითონვე შეეშინდა თავისი კრიტიციზმისა.  
ეს ერთი შემთხვევა როდია, როცა სიგიჟემ მიიღო დიდად ჰკუისსას-  
წავლი სოციალურ-ფილოსოფიური მნიშვნელობა. ჰკუანაკლებობას  
არასოდეს არ ჰქონია ასეთი მნიშვნელობა და არც შეუძლია ჰქონ-  
დეს, — მეტად საოცარია, რომ ზოგიერთ მწერალს არ ესმის ეს.

სოციალისტური რეალიზმი ლიტერატურაში შეიძლება გამოე-  
ლინდეს მხოლოდ როგორც სოციალისტურა შემოქმედების შრომი-  
თი პრაქტიკის ფაქტების ასახვა. შეიძლება თუ არა იყოს ასეთი რე-  
ალიზმი ჩვენს ლიტერატურაში? არათუ შეიძლება, უნდა იყოს კი-  
დეც, რადგან რევოლუციური შემოქმედების ფაქტები ჩვენ უკვე  
გვაქვს და მათი რაოდენობა სწრაფად მატულობს. ჩვენ ვცხოვრობთ  
და ვმუშაობთ ქვეყანაში, სადაც „დიდების, სახელის, სიმამაცის“  
საგნორო საქმენი იბღენად ჩვეულებრივ ფაქტებად იქცევიან, რომ  
ბევრ მათგანს უკვე პრესაც კი აღარ აღნიშნავს. ლიტერატორები  
მათ არ აღნიშნავენ იმიტომ, რომ ლიტერატორთა ყურადღება ჯერ  
ისევ მიემართება იმ კრიტიკული რეალიზმის ძველი კალაპოტით,  
რომელიც ბუნებრივად და მართებულად „სპეციალდებოდა“ „ცხოვ-  
რების უარყოფით მოვლენებზე“. აქ მართებული იქნება მოგაგო-  
ნოთ, რომ ზოგიერთი სიმახინჯე: მხედველობის სისუსტე, სიცრუე,  
პირფერობა და სხვა ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული მოვლენე-  
ბია და რომ ამ მიზეზთა აღმოფხვრა შეიძლება.

კრიტიკული რეალიზმის კონსერვატული სიმტკიცის ერთ-ერთი  
სერიოზული მიზეზია ლიტერატორთა არასაკმარის პროფესიული ტექ-  
ნიკური კვალიფიკაცია, ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, არასაკმარის ცოდ-  
ნა — „უშეცრება“. დანახვის, „გაგების“, ცოდნის შეძენის უუნარო-  
ბა. ეს მიზეზი ხშირად ერწყმის ემოციურ ლტოლვას წარსულისაკენ,  
მოხუცი პაპისაკენ, რომელსაც ცხოვრებაში ერთი პერსპექტივადა  
შერჩენია — კრემატორიუმი. ამ მიზეზს უნდა მივუმატოთ მუშაო-  
ბაში ნაკლები წინააღმდეგობის ხაზი: ხის დამუშავება უფრო ადვი-  
ლია, ვიდრე ქვისა; ქვის დამუშავება რკინისაზე ადვილია; რკინისა—  
ფოლადზე, ხოლო ცხოვრების დახატვა ხის პატარა ერთსართული-  
ანი სახლის ფარგლებში გაცილებით ადვილია, ვიდრე ქვის ან რკი-  
ნაბეტონის მრავალსართულიანი სახლის ფარგლებში.

მცირეზე, წვრილმანებზე მუშაობის მიჩვევა იმას იწვევს, რომ,

როდესაც ჩვენი ლიტერატორი ხელს ჰკიდებს დიდ სიუჟეტს, მაგალითად, საწარმოო კომბინატის მშენებლობის ამბავა, აზრობრივი იდეოლოგიური თემას გადატვირთავს უაპრაივი წვრილმანის აღწერით და ასამარებს მას თავისი უფერული მჭევრმეტყველებით. დეტალიზაცია ჰქარბობს და ზიანი მოაქვს იქაც კი, სადაც იგი უფრო დასაშვებია, სადაც ადამიანის ახლებურად აღზრდის, ინდივიდუალისტიდან კოლექტივისტად მისი გარდაქმნის პროცესები შედარებით უფრო ნელა ვითარდება, მაგალითად, საკოლმეურნეო მშენებლობაში. დეტალებისაკენ მიდრეკილებითვე ვხსნი მე სამწუხარო, მაგრამ ჩვენში ასევე ჩვეულებრივ ფაქტებს: ლიტერატორი დასაბუქლად გადასცემს ხოლმე თავისი წიგნის პირველ ნაწილს, შემდგომი კი აღარ ჩანს, რადგან მწერალმა უკვე ამოწურა მთელი დაგროვილი მასალა და ახალს ველარაფერს წერს.

დიდი რომანებით მუშაობის დაწყება ძალიან ცუდი მანერაა. სწორედ ამის წყალობითაა, რომ ჩვენში ბევრი სიტყვიერი ხარახურა იცემა. წერა პატარა მოთხრობებით უნდა ისწავლო, როგორც ამას აკეთებდა თითქმის ყველა დიდი მწერალი დასავლეთსა და ჩვენში. მოთხრობა მწერალს აჩვევს სიტყვების ეკონომიით ხმარებას, მასალის ლოგიკურ განლაგებას, ნათელ სიუჟეტს და თემის თვალაჩინობას. მაგრამ როცა მე ვურჩიე ერთ ნიჟიერ ლიტერატორს დროებით თავი გაენებებინა რომანებისათვის და მოთხრობები ეწერა, მან მიპასუხა: „არა, მოთხრობა ძალიან რთული ფორმაა“. გამოდის, რომ ზარბაზანი დამბაჩაზე აღვილი გასაკეთებელი ყოფილა.

საუბრის შესავალი ძალიან გამიგრძელდა, მაგრამ ვფიქრობ, იგი აუცილებელია. ახალგაზრდა ლიტერატორებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა სალიტერატურო მუშაობის სირთულეებზე, ლიტერატორის პასუხისმგებლობაზე მკითხველის წინაშე, იმ მოთხოვნებზე, რომელთაც მათ უყენებს ეპოქა. არაბოდეს წინათ მსოფლიოში არ ყოფილა მკითხველი, ასე დაემსახურებინოს მისადმი სიყვარულისა და პატივისცემის უფლება, როგორც ამას იმსახურებს ჩვენი მკითხველი.

ჰეშმარიტბანი — როგორც იარალი შემეცნებისა, როგორც საფეხურები ადამიანთა წინ და მალლა მიმავალ გზაზე — ადამიანებზე შრომით იქმნება, — ეს არის კაცობრიობის კულტურული ზრდის მთელი ისტორიის მიერ მეტად მტკიცედ დასაბუთებული ჰეშმარიტება.

მე ხშირად ვიმეორებ: რაც უფრო მაღალია ადამიანის მისწრაფებათა მიზანი, მით უფრო სწრაფად და სოციალურად ნაყოფიერად ვითარდება მისი უნარი, ნიჭი; მე ამასაც ვამტკიცებ, ვით ჰეშმარი-

ტებას. ამას ადასტურებს მთელი ჩემი ცხოვრების გამოცდილება, ესე იგი ყველაფერი, რაც დამინახავს, წამიკითხავს, შემიდარებია, მიფიქრია. რასაკვირველია, უფრო შტიციედ და სოლიდურად ამას ამტკიცებს საბჭოთა სინამდვილე.

სსრ კავშირში ვლადიმერ ლენინის რევოლუციურმა გენიამ პროლეტარიატს დაუხაზა ყველაზე უფრო მაღალი მიზანი, და ამჟამად ამ თავბრუდამხვევი მიზნის პრაქტიკულად მიღწევისაკენ ძლიერად მიისწრაფვიან კავშირის მილიონობით პროლეტარები, რომლებიც სულ უფრო შესამჩნევად აღაგზნებენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის რევოლუციურ ენერგიას, იწვევენ პატიოსან ადამიანთა მოკრძალებითს გაოცებას და არამზადათა საზიზღარ სიძულვილს.

„კეთილგონიერი“ ადამიანები, ესე იგი გულგრილი ჭკუისკოლოფები, — რომლებიც ამჯობინებენ მშვიდად დაემორჩილონ ფაქტების ძალას, ტრადიციის, დოგმატების, ნორმების ძალას, — განუხორციელებელს, ფანტასტიკურს უწოდებენ ამ მიზანს და, ბრძოლებისაგან განზე გამდგარნი, მოხერხებულად სარგებლობენ გამარჯვებათა ნაყოფით. დანტეს „ჯოჯოხეთის“ სამყაროში ამ ადამიანებს დათმობილი აქვთ მათ მიერ სავსებით დამსახურებული ადგილი.

„ფანტასტიკური“ მიზნისაკენ მისწრაფება საბჭოთა კავშირში ზღაპრულ საგმირო საქმეთა, თავდადებული შრომის, ყველაზე უფრო გაბედულ შემართებათა წყაროა. მათი ჩამოთვლა აქ საკირო არ არის, მაგრამ ლიტერატორებმა უნდა იცოდნენ ისინი სწორედ როგორც განზრახვა; უნდა იცოდნენ მანამ, სანამ განზორციელებდნენ, ფაქტად იქცევა. უდავოდ სასარგებლოა პურის ქამა, მაგრამ არა ნაკლებ სასარგებლოა იმის ცოდნა, თუ როგორ ცდილობს ადამიანი ხორბლის მრავალწლიან კულტურად გადაქცევით გაათავისუფლოს დიდძალი ენერგია, რაც მინდვრების ყოველწლიურად ხვნაზე იხარჯება.

მაშ ასე, ჭეშმარიტებანი იქმნება ადამიანთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, რომელიც მიმართულია იმ უკლასო, სოციალისტური საზოგადოების შექმნის მაღალი მიზნისაკენ, სადაც ადამიანის ფიზიკური ენერგიის მასა — ამჟამად ზედმეტად რომ იხარჯება — გარდაიქმნება ინტელექტუალურ ენერგიად და სადაც უსაზღვრო გასაქანი მიეცემა პიროვნების მთელ უნარსა და ნიჭს.

ლიტერატურის ამოცანაა: ასახოს, გამოხატოს შრომითი ცხოვრების სურათები და სახეებით — ადამიანთა ხასიათებით; ტიპებით განასახიეროს ჭეშმარიტებანი. ანდაზა ამბობს: „რაც უფრო მაღლა დადგები, მეტს დაინახავო“. აი, ამ მიზნის სიმაღლიდან დაეინახავთ

ჩვენ, ამხანაგებო, თუ რამდენად ემთხვევიან თქვენი ნაწარმოებების თემები და სიუჟეტები რევოლუციის მიერ გაღვივებული შემოქმედებითი ენერჯის ძირითად მისწრაფებებს და რამდენად განიცდიან თქვენ საკუთარ თავზე ამ მძლავრი ფაქტორის გავლენას.

ჩემ მიერ წაკითხული თქვენი თხუთმეტიოდე ხელნაწერიდან ოთხი თუ ხუთი მოგვითხრობს მოხუცთა „რეკონსტრუქციაზე“. რასაკვირველია, მოხუცსაც სურს ცხოვრება. მოთხრობა „შვილში“ ერთბაშად სამი მოხუცის რეკონსტრუქცია ხდება. აექვსმეტი წლის კულტურულ-რევოლუციურ მუშაობას, როგორც მოთხრობიდან ჩანს, არცთუ ისე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია მათზე. მაგრამ მათ, აი, თითქოს „იშვილეს“ ზანგი მუშა. ეს, ცხადია, ძალიან ამაღელვებელი ფაქტია. სასარგებლოც კი იქნებოდა, ავტორს რომ ეჩვენებინა ძველი რუსი მუშის შეგნებაში შავი რასის მშრომელ ადამიანთან მისი ინტერნაციონალური ნათესაობის გრძნობის თანდათანობითი განვითარება. მაგრამ ავტორმა საკმაოდ ვერ გაიაზრა თავისი სიუჟეტი და, მხიარული ანეგდოტის გადმოცემით გატაცებულმა, ასე დაიწყო:

„მე ვიცი. სიცილმა ამივსო ნესტოები, თვალები, პირი...“ არ მესმის, როგორ შეუძლია სიცილს თვალების, ნესტოების ავსება? სიცილი მტვერი ხომ არ არის.

„რა შეიძლება ამ სანახაობაზე უფრო სასაცილო იყოს“. „მე ცირკში არა ვარ“ და ა. შ. ძალიან ბევრს ლაპარაკობს ავტორი ამ სიცილზე, სანამ ზანგზე დაიწყებდეს საუბარს, და ეს სიცილი, ცხადია, წყენას აყენებს შავკანიან ადამიანს.

ყველაფერი, რასაც ამის შემდეგ მოთხრობაში ვკითხულობ, მარწმუნებს, რომ ავტორმა ამოიჩნია შეუფერებელი ტონი და შეუფერებელი ენა. სიუჟეტი სხვაგვარ დაპოკიდებულებას, სხვაგვარ ფერებს მოითხოვს. ქარხანაში დაზვასთან გამოჩნდა შავკანიანი, თმახუჭუჭკა, სქელტუჩა კაცი. მოხუცები ნაკლებად კულტურულნი არიან, ვიდრე ახალგაზრდები; ისინი მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ ნამდვილი ადამიანები—თეთრკანიანებია. ალბათ ზანგს დასცინოდნენ ისე, რომ საწყენი არ ყოფილიყო. მაგრამ ზანგები, საერთოდ, ბუტია ხალხია, განსაკუთრებით — ამერიკელი ზანგები, რადგან ამერიკაში ისინი ადამიანებად არ მიაჩნიათ. შესაძლოა ზანგმა იმ დაზვაზე დაიწყო მუშაობა, რომელზეც ადრე მუშაობდა მოხუცს სვილი, შეჰდევს სამოქალაქო ომში რომ დაიღუპა. დასაშვებია, რომ ზანგმა რაღაც დახმარება გაუწია მოხუცს. ერთი სიტყვით, მას უნდა აღეძრა

მოხუცში რალაც დადებითი დამოკიდებულება შავკანიანი ადამიანისადმი არა თავისი გარეგნობით, რალაც მოქმედებით, საქციელით, თუნდაც იმით, რომ მალე ისწავლა მუშაობა ანდა ლამაზად ცეკვაოდა ჩეჩოტკას. მაგრამ ზანგი უმოქმედოა. ქარხნის კომკავშირიც არაფერს აკეთებს. შეიძლება, რუს მოხუც მუშას მოსწონებოდა ზანგი, არაბი, ინდუსი. მოხუცს, რომელსაც, ვთქვათ, გაუგონია რალაც პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმზე, გონებამ თუ გულმა უკარნახა შავკანიან ადამიანთან დაახლოება. მაგრამ აუცილებელია ამ სურვილის დასაბუთება, იმის ჩვენება, თუ როგორ და რამ გამოიწვია ეს სურვილი, რა ცვლილებები განიცადა ადამიანის შეგნებამ. ავტორმა ეს არ გვიჩვენა და წარმოგვიდგინა უინტერესოდ მოთხრობილი ანეგდოტი. ძალიან სასარგებლო კი იქნებოდა იმის დახატვა, თუ სხვა ტომის ადამიანები როგორ ეჩვენებოდა ჩვენთან ცხოვრებას, ადვილია თუ არა ეს მათთვის და რატომ არის ადვილი ან ძნელი.

მოთხრობა „შენაძენში“ ლაპარაკია ძველ მუშაზე, ვინც საკუთარი სავარძლის ნაცვლად ცემენტი უყიდა ქარხანას. საეჭვოა ეს შექთხვევა ტიპიური იყოს, იგი ანეგდოტურია. ზედმეტი ნივთების შექენისადმი ადამიანის მიწრაფების დაძლევის ჩვენება სასარგებლოა, რადგან საკუთარების ინსტინქტი (ძველად ადამიანის ინდივიდუალური თავდაცვის იარაღი რომ იყო) ამაჟამად იქცა მტრად საზოგადოებისა, რომელსაც სურს უკლასო, სოციალისტურ საზოგადოებად გარდაიქმნას. მაგრამ ავტორმა ცუდად გაიგო მის მიერ არჩეული თემის არსი და ზერელედ მოგვითხრო მასზე; იგი ვერ არწმუნებს მკითხველს ფაქტის სიმართლესა და მნიშვნელობაში. ეს ფაქტი ანეგდოტურ შემთხვევად დარჩა. მასზე მოთხრობაში კი ბევრი ზედმეტი სიტყვაა დახარჯული.

ნარკვევი „წყლის რწყილის დამქერი“ მოგვითხრობს ერთი ავსტრიელი მუშის მძიმე მდგომარეობას. იგი უმუშევარია და იძულებულია ხელი მოჰკიდოს რწყილების დაქერას მეანკესეებისათვის. წყლის რწყილების დაქერაც არასასიამოვნო საქმეა — იგი რევმატიზმით ემუქრება ადამიანს, — მაგრამ არ ამცირებს მუშას. უაზრობა და სისულელეა, რომ კვალიფიციურ მუშას ამ სრულებით უბრალო საქმისათვის მოუკიდნია ხელი უსაქმურთა გასართობად, მაგრამ აქ გამოსტყვივის საზოგადოების უგუნურება, რისი აღნიშვნაც ავტორს დაავიწყდა. სწორედ ეს აზრი კი უნდა მიეცა მას ნარკვევისათვის. უმუშევრებს არ ესაჭიროებათ მათდამი უსარგებლო სიბრაღეულის გრძნობის გაღვიძება. მათ დაახლოებით იციან, თუ რა უნდა გააკეთონ თავისუფალი შრომის უფლების მოსაპოვებლად.



„მოქმედების ადგილია“ ვენა, მაგრამ ვენისათვის არაფერი დამახასიათებელი ნარკვევის ავტორს არ მოუცია. თითქმის წესად შემოვიღა: ჩვენი ავტორები, რომლებიც ევროპის ჩვენებას ცდილობენ, ამ ამოცანას „წინასწარ მოფიქრებული განზრახვით“ უდგებიან, რომელიც, „სასაჩულო დებულების“ მიხედვით, ამძიმებს დანაშაულს. გარეგნულად, ზერელედ რომ აღნიშნავენ ევროპული ცხოვრებას დამახასიათებელ ფორმებსა და მოვლენებს, ავტორებს ამ ცხოვრებაში შეაქვთ თავიანთი მოსკოვეური, ვიატკური, ხერასონული შთაბეჭდილებანი. რევოლუციური პროლეტარიატის მტრები ყველგან ერთნაირია მათი ძირითადი თვისებებით. მაგრამ მაინც თვითველ მათგანს აქვს რაღაც დამახასიათებელი, თავისი, ისევე როგორც მიკრობებს: ერთნი წამლავენ ტუბერკულოზის შხამით, მეორენი იწვევენ ჩირქოვან მოწაშლვას, რომელიც ძალიან ენათესავება ფაშიზმს.

მოთხრობა „გასეირნება“. სადღაც საჭიროა აგურის ქარხნის აგება, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ მახლობლად არ მოიპოვება თიხა. ძველი მხარეთმცოდნე კი ძალიან ადვილად პოულობს მას: დიდი ხანია იცის ამ თიხის ამბავი. მოთხრობა ქარაფშუტულია და არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს თანამედროვეობასთან ძლიერ მკიდრო და ფელეტონური დაკავშირებით. მაგალითად, „ოგონიოკს“ ვაჯობებთო, — წერია იქ. „ოგონიოკი“ — უღრუ ეურნალია და უმარავ ქაღალდს უღაპავს. რომელიც შეიძლებოდა მკითხველისათვის ძალიან სასარგებლო საქმეს მოხმარებოდა. „ოგონიოკი“ უნდა დაიხუროს ან „პროექტორს“ უნდა შეუერთდეს; რომ ორი უღრისაგან ერთი კარგი ეურნალი გამოვიდეს. „ოგონიოკისათვის“ „ჯობნა“ არაფრის მაქნისაა მოთხრობაში, რომელსაც მხატვრულობის პრეტენზია აქვს. ავგვარ მოთხრობაში არც ასეთი გონებადამხვილობაა საჭირო: „ძია კოსტაას ერთი სერიოზული მანკი სჭირდა — პოეტური მოღვაწეობა“.

მე მაკვირვებს ის ამბავი, რომ ადამიანები ჩვენს დროში ხელს ჰკიდებენ ასეთ უმნიშვნელო თემებს. რატომ არ უნდა ავიღოთ უფრო მახლობელი, უფრო ძნელი და უფრო საინტერესო თემა? აიღეთ, მაგალითად, თქვენი დღე და აჩვენეთ, როგორ არის იგი ავსებული სიცოცხლით. კაცმა გაიღვიძა, გაიხედა ფანჯარაში და რაღაც დაინახა. რა მოჰყვა ამას? რა აზრები აღუძრა მან ადამიანს? აი, იგი სადღაც წავიდა, — რა ნახა გზაზე, ვის შეხვდა, რაზე ელაპარაკა? საერთოდ, რა მისცა მას დღემ, რით გაამდიდრა იგი? რა შედეგით დაამთავრა დღე ადამიანმა? უნდა ვიცოდეთ, იმისი პულის რომელ სიმებს შეეხო უფრო მეტად ეს დღე, რატომ სწორედ მათ და არა სხვებს?

შესაძლოა. საკუთარი თავი გაძარცვა. შესაძლოა, შემთხვევით ან თავისი ნებით მიბრუნდა იმ მოვლენისაკენ, რომელიც მისთვის სხვა მოვლენაზე უფრო ძვირფასია?

ასეთი რამ, მიუხედავად მისი წვრილმანი ხასიათისა, ავტორს წარმოადგენს უქმნის მისი შთაბეჭდილებების აღქმის მოცულობაზე.

მე გირჩევთ არა ინტელექტუალურ „თვითნაღიზს“, „თვითქენჯნას“, არამედ დაკვირვების, სინამდვილის შესწავლის უნარის გამოცდას, გირჩევთ თვითაღზრდას.

მე ნატურალასტი როლი ვარ. შინდა, ლიტერატურა ამდღეს სინამდვილეზე, რომ იგი ცოტათი მაღლიდან ხედავდეს მას, რადგან ლიტერატურის ამოცანა მარტო სინამდვილის ასახვა არ არის. არ კმარა ასახო არსებული, აუცილებელია გახსოვდეს სასურველიც და შესაძლებელიც. აუცილებელია მოვლენათა ტიპიზაცია. უნდა აიღო მცირე, მაგრამ დამახასიათებელი და გააკეთო დიდი, ტიპიური — აი, ლიტერატურის ამოცანა. თუ თქვენ აიღებთ თუნდაც მარტო XIX საუკუნის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს, დაინახავთ, რომ ლიტერატურა ამას ესწრაფვოდა; რომ ეს წარმატებით განახორციელეს კიდევ ისეთმა დიდმა ადამიანებმა: როგორცაა, მაგალითად, ბალზაკი, ვისაც ხშირად ახსენებენ, მაგრამ ცუდად იცნობენ.

ჩვენი სიტყვიერი ხელოვნება ყველაფერს ეხება და თუ ადამიანს სურს დაწეროს მოთხრობა მოსკოვის გუბერნიის ბოგოროდსკელ მხარეთმცოდნეზე, მან იმგვარად უნდა დახატოს ეს მხარეთმცოდნე, რომ იგი ჰგავდეს მურმანსკელ, ასტრახანელ, ტამბოველ და სხვა ადგილებში მცხოვრებ მხარეთმცოდნეებს.

შემდეგ — „მეეტლე ტიბერი გრაცხის პროსპექტიდან“. მასში ავტორი წერს: „სუნთქავდა ფატარი გაზაფხული“. შეიძლება იყოს ფატარი თოვლი, ფატარი სხეული, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია ასეთი ეპითეტით შეამკონ გაზაფხული. ჩემი აზრით, ეს არ ვარგა. მოთხრობის დასაწყისში იგრძნობა ხატოვანებისა და სხარტი სიტყვების დაძაბული ძიება. მაგალითად: „ვით შესველებული რაფინადი, იშლებოდა ნესტოვანი თოვლი“, „მალინინი — კალუგის ყველაზე მაღალსაკოვანი მცხოვრები...“ აქ სიმალლე არეულია ასაქთან. შემდეგ: «Забыв». ეს ორგვარად შეიძლება გავიგოთ — როგორც ოკას მიღმა მხარე და როგორც „თვალთა მიღმა“. „უტიფრად მსხვილი მუხუდო“. რატომ — უტიფრად? ან კიდევ — „ენოტი ძვირფასი კი არა, იაფფასიანი ტყავი:“. „ფაფარი შენი — კვამლის ბოლქვები“, — ეუბნება მეეტლე ცხენს. არ მჯერა, რომ მეეტლე კვამლის ბოლქვებს ადარებდეს ცხენის ფაფარს. „ქრცვინ-

ააიოვანი“. აქ ალბათ ნეკარაუდევია წვრილი სახე, მაგრამ ქრცინის ხომ ბლაგვი სახე აქვს და არა წვრილი, ვირთხისებური! შენდევ, გამოთქმა — «На меня чарма нашла». საეჭვოა, მეეტლემ „ჩარმაზე“ რაიმე იცოდეს, რადგან ეს ინდურია. ამ მოთხრობაშიც ხდება მოხუცი კაცის რეკონსტრუქცია.

მოთხრობა „სხვა სამშობლო“ დაუმთავრებელია, იგი ჯერ კიდევ შვედად ნაწერია. ბევრი რამ სავსებით აუხსნელი რჩება: მაგალითად, რატომ ვაქრობს მემანქანის ქალიშვილი ყვავილებით? რა საჭიროა ეს? საკმაოდ გამართლებული არ არის მამისა და შვილის განწყობილებანი ათეულობით წლის განშორების შემდეგ შეზვედრისას. ამ ხელნაწერს, როგორც სხვა ხელნაწერებს, მე გავუკეთე შენიშვნები და აქ ბევრს აღარ ვილაპარაკებ მოთხრობა „წყენია“ საშინელ სიტყვაკომწიობაზე, სადაც საყვირი ათინათებს არის შედარებული. საყვირი ლომვეშაპივით დმუის და როგორ შეუძლია მის ხმას ათინათი მოგვაგონოს! ავტორი ხშირად თავისი გმირების სახეზე გამოხატავს ანატომიურად შეუძლებელ გრიმასებს. ძალიან გირჩევთ, სანამ ასეთ გრიმასებს აღწერდეთ, ჯერ სარკის წინ თვითონ სცადეთ მათი გაკეთება.

ავტორი ძლიერ ცდილობს იპოვოს თავისი სიტყვა, შექმნას საკუთარი ნახატი, მაგრამ ჯერ ამას ვერ აღწევს. ძიება საინტერესოა, იგი უნდა მოვიწონოთ. მაგრამ ავტორი ვერ აღწევს მიზანს. რადგან უბრალოების ნაცვლად იგი ეძიებს სილამაზეს და პოულობს კი მეტად არასასიამოვნო მოჩვენებითობას.

ამავე ავტორის მეორე მოთხრობა „აქტიური გამოსვლა“ გოგოლის „შინელის“ გმირის რაღაც საოცარი გაცოცხლებაა. ჩვენი ავტორის გმირი, არქივის კაცი, აღდგება არა საკუთარი, არამედ უფროსების ნებით. ასეთი „მკვლრეთით აღმდგარნი“ არც დიდხანს და არცთუ ისე სასარგებლოდ ცხოვრობენ.

შემდეგ მოთხრობა „ქორწილი“. აქ იძულებული ვარ გავიშეორო, რომ ყოველივე, რასაც ვხედავთ, ჩვენი ცხოვრების ყველა პირობა, იქმნება წვრილმანებით, ისევე როგორც ორგანიზმი — უხილავი უჯრედებით. ყველა ეს წვრილმანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაგრამ უნდა შეგეძლოს უფრო დამახასიათებლის გულდასმით შერჩევა. ჩვენს ავტორებს სწორედ იმიტომ არ გამოუდით დიდი რომანები მშენებლობაზე, რომ განუკითხავად აღწერენ ათასგვარ წვრილმანებს, გატაცებული არიან დეტალიზაციით და უამრავ წვრილმანებში ველარაფერს არჩევენ. მაგნიტოგორსკი, დნეპრშენი და სხვა როგორღაც განყენებულ ცნებებად იქცევიან. არსებითი მნიშვნელობა ეკარგება ადამიანის უდიდეს ენერგიას — მსოფლიოში

ყველაზე ძვირფას ენერჯიას. მისი ზორცემესმა, მისი რეალიზაცია თავისი არსით უფრო მნიშვნელოვანი პროცესია, ვიდრე მასზე დაწერილი საგაზეთო ქება-დიდებანი და ნაუცბათევაღ შექმნილი წიგნები, რომელთაც ჩვენ ვკითხულობთ. ოღონდაც! ჩვენი ქვეყნის ადამიანთა შემოქმედება ყველა დარგში ქმნის. ვიტყვი, ვეებერთელა — სასწაულებად მათი მოხსენება მიღებული არ არის — მნიშვნელობის პროცესებს. მუშაობს იმ ადამიანთა ენერჯია, ვინც პირველად ახლა იღებს მონაწილეობას თავისუფალ შემოქმედებით ცხოვრებაში, და იმ ადამიანებისა, რომელთაც არ შეხებიათ ძველ სკოლაში გამეფებული დამაჩლუნგებელი წვრთნა და კოჩრები არ გასჩენიათ ტვინში. ისინი თავისუფალი არიან „მწიგნობრული მემკვიდრეობისაგან“, რომლითაც განსაკუთრებით ძლიერი, მწვავე ფორმით იყო დაავადებული ჩვენი ინტელიგენცია — კრიტიკულად მოაზროვნე, მაგრამ, არსებითად, უმოქმედო ინტელიგენცია. რასაკვირველია, ჩვენ მათგან გამოვყოფთ იმ პატარა ფენას, რომელაც ასე თუ ისე აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მუშაობაში. ყველა დანარჩენები კი უნდებოდნენ ხანგრძლივ მსჯელობას იმაზე, რეალურად არსებობს სამყარო, თუ ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ იგი არსებობს; რატომ არსებობს იგი, აგრეთვე რატომ გვგონია, რომ იგი მართლაც არსებობს; მართლა ნამდვილ კიტრებს ვკამთ, თუ მოჩვენებითს; უეცრად ხომ არ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოჩვენებითს წვიმაში გვიკავია რეალურად არარსებული ქოლგები?

თავის ყოფაში დაეჭვებული ადამიანების ეს ფილოსოფია იმით აიხსნებოდა, რომ მათი ყოფა არ იყო განმტკიცებული რეალიზაციით, ქმედობით. ისინი ლაპარაკობდნენ და წერდნენ ენით, რომლის ნიმუშებსაც ასახელებს ჭკვიანი გერცენი „ნამყოსა და ნაზრევში“: „აბსტრაქტული იდეების კონკრეტიზება პლასტიკის სფეროში თვითმაძიებელი სულის ის ფაზაა, რომლის შემდეგაც, თავის თავს რომ გამოარკვევს, ბუნებრივი იმანენტობიდან უკუშემეცნებითს სფეროში პოტენციურდება სილამაზედ“.

თითქმის ასობით წლების მანძილზე ადამიანები ეწეოდნენ ფუქსიტყვაობას, აოცებდნენ და ხიბლავდნენ ერთმანეთს თავისი სიბრძნით. ხოლო როდესაც აბსტრაქციის სარეველებით ხშირად მოთესილი, გაუგებარი სინამდვილე გაიშალა მათ წინაშე როგორც სოციალური რევოლუცია, მათ მაინც ჰპოვეს საკუთარ თავში რაღაც ძალა ზოოლოგიური წინააღმდეგობისა სამყაროს უდიდესი და ერთადერთი ჭეშმარიტებისადმი. ისინი სასტიკად დამარცხდნენ, გაიქცნენ ან განდევნეს ჩვენი ქვეყნიდან და ახლა, გადაშენებამდე მის-  
ლნი, განაგრძობენ ჩვეულ ლაყბობას, გამსკვალულს იდიოტური

სიკრუითა და ცილსწამებით პროლეტარიატ — დიქტატორის წინააღმდეგ, ვინც ახორციელებს კაპიტალიზმის ბორკილებისაგან შრომის ადამიანების განთავისუფლების დიად საქმეს.

ჩვენ, საბჭოების კავშირის ლიტერატორებმა, მივიღეთ უფლება ვთქვათ, რომ ამ ქვეყანაზე მოვიდა სხვა ადამიანი — „შეურყვნელი ტვინის“ ადამიანი. იგი გამსჭვალულია თავის გამოჩენის, საკუთარი ნიჭის გამოვლენის მძაფრი სურვილით. ინტელექტუალური ენერგია, რომელიც არსებობდა პოტენციაში, მაგრამ აქტიურად არ მოქმედებდა, ახლა ჩინებულად მოქმედებს. ჩვენი გლახობის უდიდესი უმრავლესობა ექვეი გოჯის სიღრმეზე ჩიჩქნიდა მიწას. ახლა კი მას ისე ვხნაეთ, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტ სიმდიდრეს გვთავაზობს. ჩვენ ბუნების მექანიკური გონების წინააღმდეგ აქტიურად ორგანიზებული გონების სულ უფრო ინტენსიური და დიდი წარმატებითი ბრძოლის მოწმენი ვართ. ამ ბრძოლაში იბადება ქეშმარიტად ახალი ადამიანი. ხოლო ჩვენ, ლიტერატორებს, ჯერ კიდევ ვერ გვიპოვნია, ვერ დაგვიხატავს იგი. სამაგიეროდ, ვყვებით ანეგდოტებს ან გრძელ მოსაწყენ ისტორიებს, თუ როგორ მუშაობენ ადამიანები და ვერ გვიჩვენებია, რა მაღალი მიზნები აქვთ მათ.

ვუბრუნდები ხელნაწერებს. მოთხრობა „იპონელის აღსასრულის“ ავტორი ძალზე ნიჭიერი კაცია. მაგრამ ძალიან უყვარს „კოკობზიკობა“, რამაც, ჩვენი აზრით, შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მას. ავტორი დაუდევარია ენის მიმართ; მისი ენა არა ზუსტია და უხეში. „გამხდარი ებრაელი, როგორც გამომშრალი „ზენჩიკი“. რა არის „ზენჩიკი“? „ძონძები ჟღარუნებდნენ“ — სისულელეა, ძონძები არ ჟღარუნებენ! „უძღები დედაკაცი, რომელსაც შეეძლო მთელი ესკადრონი მიეღო“. ასეთ დედაკაცზე უკვე მოგვითხროვროტულმა მწერალმა პიერ ლუისმა და საჭირო აღარ არის მისი მოგონება. „დარტყმა იმ ადგილას, რომელზეც ადამიანებმა თავისი აზრი შეიმუშავეს“. ვფიქრობ, ადამიანებს ყველა ადგილზე აქვთ შეიმუშავებული თავისი აზრი. „ოცნებები და სურვილები, რომლებიც ოქროდ აქცევენ სიბინძურეს“. აქ თითქოს პესიმისში ჟღერს. ძალიან ცუდია, თუ იგი ორგანულია, მაგრამ ვფიქრობ, ეს პესიმისში ლიტერატურულია, ამონაკითხი.

ავტორმა თავი უნდა მიანებოს ასეთ წერას, თორემ გზა-კვალი აებნევა.

შემდეგ, საჭიროა ავტორმა უკუთავდოს აშკარა მწიგნობრულა რომანტიკა. იგი ამერიკელებმა გაავრცელეს. განსაკუთრებით ბრეტ-ჰარტმა და ო, ჰენრიმ. მათი სოციალური რომანტიკა თავის

დროზე მიმართული იყო პურიტანთა — ამერიკის პირველ მოსახლეთა — მკაცრი მორალის წინააღმდეგ. იგი პირფერულ სენტიმენტალიზმად იქცა დღემდე. შემორჩა და მავნე როლს ასრულებს იმ ლიტერატურულა შემრიგებლობის ფორმით, რომელიც ქმნას „ბედნიერ დასასრულიან“ ათასობით მოთხრობას.

მოთხრობაში — „სალოცავად წასვლა“ — საჭირო იყო იმის ჩვენება, თუ როგორ ერწყმის მწიგნობრულა, ამოკითხული რომანტიზმი ბუნებრივ რომანტიზმს, რომელიც ჩვენთვის — „სოციალისტური რეალიზმის“ ფსევდონიმით — აუცილებელია. საჭიროა იმის ჩვენება, თუ როგორ ეწინააღმდეგებიან ისინი ერთმანეთს, როგორც დილობს ერთი განგვარიდოს „ადამიანის გასაჭირს“, გადაგვიყვანოს „მომნიბლველსა და გამოგონილ“ სამყაროში; საჭიროა ჩვენება იმ სინამდვილისა, რომელიც აქსხვრევს მისადმი პასიურ დამოკიდებულებას და აიძულებს ადამიანს ან იმოქმედოს. ან დაიღუპოს.

„მოთხრობა ახალგაზრდა მეურნეზე“. იგი ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ საჭიროა მისი გადაშუშავება, ამ სახით არ გამოდგება, ბევრი რამ გაუმართლებელია. ავტორი უნდა ჩაუფიქრდეს მთელ რიგ ადგილებს.

მოთხრობების — „გედის სიმღერა“, „ფენიქსი“, „სიყვარულსა და სიკვდილზე“, „თავადაზნაურების აბანო“, „სემირამიდის ბაღები“ — ავტორი, როგორც ჩანს, რომანტიკოსია. მისთვის ნიშანდობლივია აქტიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და პასზე თხრობის მაჟორული ტონი. მაგრამ მას ბევრი წიგნური სიტყვადვარკნილობა ახასიათებს, რაც ასუსტებს ჭეშმარიტ გრძნობას და ძალზე აბუნდოვნებს ენას. მას ემუქრება საფრთხე ლეონიდ ანდრეევის გავლენისა, იმ ადამიანის გავლენისა, რომელიც მხოლოდ იპიტომ უარყოფდა ცოდნის ძალას, რომ არ ცდილობდა თავისი არასაკმარო ცოდნის გამდიდრებას. იგი იყო „ემოციური“ რომანტიკოსი, სწამდა, რომ „ქვეცნობიერი“ და „წარმოსახვა“ ყველაფერია. რაც კი ლიტერატურას სჭირდება. იგი ფიქრობდა, რომ ადამიანების დამოკიდებულებაში სამყაროსადმი ინტუიციას გონებაზე მეტი როლი ენიჭება. ცოტა როდია ისეთი კაცი, რომელთა გონებაც მხოლოდ ლიტერატურით იკვებება და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაში განებივრებული ბავშვის ხასიათს იძენს. იგი თავს იმანინჯებს იმ რეალური მოვლენების უგულებელყოფით, რომელთა გავლენის ძალითაც არის შექმნილი და მხოლოდ ამ ძალის შემწეობით შეუძლია განვითარება. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ გონებას ისე ეპყრობიან. ვით ბატონს; მის ჭირვეულობას უქვემდებარებენ თავის ნიჭს, თავის უნარს მაშინაც კი, როდესაც მათი გონება

უმნიშვნელოა და მხოლოდ აბეზარობით არის ძლიერი. მხატვარი ხელოვანია, რომელიც ფორმასა და სახეს ანიჭებს სიტყვას, ბგერას, ფერს. მხატვარი უნდა იცავდეს წარმოსახვისა და ლოგიკის ძალათა — ინტუიციური საწყისისა და რაციონალურის — წონასწორობას. ეს ნიშნავს — ადამიანს იმგვარად უნდა შეეძლოს თავისი უნარის გამოყენება, რომ იგი არ ამოიწუროს, ჰარმონიულად ვითარდებოდეს.

ეს ძალიან დაკვირვებული რეალისტია, მაგრამ აჯობებდა მიაი „საშკა“ ორჯერ მეტად რომ იყოს შეფერადებული. მან აიღო კულაკის შვილის, წამგლეჯის, ზარბაძის ძალზე საინტერესო ტიპი და კარგად ხედავს მას. დიაკვანი კი ტყუილუბრალოდ გარია საქმეში. იგი შეიძლება დატოვოს მხოლოდ შვილის მონათხრობში, დასაწყისში კი სულ უშლის თხრობის მსვლელობას. თხრობა საკმაოდ სწრაფად და მარჯვედ მიედინება, მაგრამ მასში ძალზე ბევრია გაუგებარი, ზედმეტი სიტყვა. ისინი აღიზიანებენ მკითხველს. რადგან წყვეტენ მოვლენათა ლოგიკურ მსვლელობას, აბუნდოვნებენ აღნიშნულ სახეებს და. საერთოდ, არაფრის მაქნისნი არიან.

აუცილებელია. ვავიჯოთ ფაქტი. რომელსაც უღრმესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლიტერატორებისათვის: ცხოვრება სულ უფრო მდიდრდება სხვადასხვაგვარი და უჩვეულო მოვლენებით, ხოლო მკითხველი — ამ მოვლენათა უშუალო შემოქმედი. იგი მუშაობს და ფიქრობს გაცილებით უკეთ, ვიდრე თავის აზრებს გამოთქვამს სიტყვებით; მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ზეიძლება მისი ტვინი ავავსოთ ზედმეტი, მახინჯი, შეუმოწმებელი სიტყვებით; საჭიროა, ლიტერატურა უფრო მჭიდროდ და უშუალოდ დაუკავშირდეს ცხოვრებას.

დარჩა მოთხრობები: „112-ე ცდა“, „ბორბალი“. „გამარჯვებულის ლაშქრობა“. ავტორი წიგნიერა კაცია: მას უბრალო, ნათელი ენა აქვს; ჩანს ჩეხოვისგან უსწავლა — ოსტატურად იყენებს ჩეხოვის „დაბოლოებებს“; ფლობს იუმორს და, საერთოდ, ნიჭიერია. იგრძნობა, რომ მონღოლებით ეძიებს საკუთარ გზას. „თავისი სულის“ კუშპარიტ „სახეს“.

კოლდუნოვის მოთხრობა „P. S.“-ზე მე ცალკე მივწერ ავტორს. აი, მოგახსენეთ ანგარიში ჩემ მიერ წაკითხულ ხელნაწერებზე. დასკვნა თვითონ გამოდის: ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა სწრაფად და ძლიერ იზრდება. მაგრამ უპასუხებს თუ არა იგი ჩვენი სინამდვილის მიერ დასმულ კითხვებს? პირდაპირ უნდა ვთქვათ: ჯერ ვერ უპასუხებს. რით უნდა ავხსნათ ეს? ჩემი აზრით. ახალგაზრდა ლიტერატორთა სუსტი იდეოლოგიური და ტექნიკური შეიარაღე-

ბით: თავისი ქვეყნის ისტორიისა და ადამიანების უცოდინარობით. იმის უცოდინარობით, თუ როგორი იყვნენ ისინი რევოლუციამდე; უცოდინარობით, რომელიც საშუალებას უსპობს ავტორებს გაიგონ აწმყოსა და წარსულის მკვეთრი შინაგანი განსხვავება და ღირსეულად შეაფასონ აწმყო; არასწორი დამოკიდებულებით ცხოვრებასადმი, რომელშიც მათ ყურადღებას უმთავრესად იქცევს უარყოფითი მოვლენები და არა ის, რაც დამკვიდრებას, განვითარებას საკუთრებს; მცირე ანეგდოტური თემების არჩევით, დეტალებისადმი გამოდევნებით დიდ ნაწარმოებებში და, საერთოდ, მასალისადმი დამოკიდებულებაში „მცირე წინააღმდეგობის გზის“ პრინციპით.

ეს არ არის საყვედური დამწეები ლიტერატორებისადმი, ეს მეგობრული რჩევაა, რომელიც დაეხმარება მათ სწრაფ და ძლიერ ზრდაში. საყვედური შეიძლება ვუთხრათ იმ სახელმძღვანელო ლიტერატორებს, რომელთა ნიჟიცი უკვე აღიარებულია. მათ შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ თექვესმეტი წლის მანძილზე ისინი არ შეხებიან ჩვენი ცხოვრების მთელ რიგ საინტერესო მოვლენებს. ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა რელიგიის კვდომის პროცესი, რელიგიისა, რომელიც წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის მილიონობით მცხოვრებლების დასვენებასა და გართობას. არავის უჩვენებია, თუ როგორ ქრებოდა ხუცესისა და ღმერთის შემწეობის იმედი და როგორ იკავებდა გამჭრალი ილუზიის ცარიელ ადგილს იმის შეგნება, რომ ადამიანი დამოუკიდებელია „უცნობი, უხილავი, ყველგანმყოფი ძალისაგან“. არავის უჩვენებია, თუ როგორ იგრძნო თვითონ ადამიანმა თავი ყველგანმყოფ და ყოვლისშემქმნელ ძალად. არ არის ნაჩვენებო რწმენისა და გონების, ემოციისა და აზრის ბრძოლა. ჩვენ კი ხომ არც ისე დიდი ხნის წინათ ვცხოვრობდით ათასობით ეკლესიის, მონასტრის, საეკლესიო სკოლების ქვეყანაში; იმ ქვეყანაში, რომლის სასოფლო გზებზეც ზამთარ-ზაფხულ დაეხეტებოდა ათასობით მწირი, „ღვთისმლოცველი“, ცრურწმენათა მთესველი, „ღვთის ნების“ მქადაგებელი, ადამიანის ნებისყოფის ჩაშლად. ჩვენს დროში შესამჩნევია რელიგიური ემოციის რეციდივი. მისი მიზეზი და პრაგანდისტია მიწას მოწყვეტილი, ადამიანზე ბატონობის უფლება-აყრილი კულავი. ყოფილი მესაკუთრე ცდილობს მოაგონოს ადამიანებს სამყაროს შემქმნელისა და მფლობელის არსებობა, ანუ ძველი ზღაპრით გააცოცხლოს მესაკუთრეთა ინსტინქტი. ახალ „სარწმუნოებათა“ დამახასიათებელი თავისებურებაა ის ფაქტი, რომ ეს სარწმუნოებანი მომდინარეობენ არა საეკლესიო მისტიკიდან, არა საეკლესიო დოგმატებისა და წესჩვეულებათა მიღებისა თუ უარყოფიდან, არამედ მკაცრი რეალური სინამდვილიდან. მათი მიზანია



წინააღმდეგობა გაუწიონ ამ სინამდვილეს. „ქრისტე კრძალავს მუშაობას უქმე დღეებში“, — ლაღადებენ ახალი სარწმუნოების მქადაგებელნი, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ — სახარების თანახმად — ქრისტე არ იცავს უქმე დღეებს. საერთოდ, ახალი ქადაგება თითქმის მთლიანად ერთ მიზანს ემსახურება: არავინ ამუშაოს, და არა მარტო უქმე დღეებში, არამედ არასოდეს, რომ ამით ჩაშალოს ახალი სამყაროს აგების საქმე. მისტიკური დოგმატიკა კონტრრევოლუციურ პოლიტიკად იქცევა, და ეს ძალზე საინტერესო მასალაა ლიტერატორისათვის. არანაკლებ საინტერესოა წამგლეჯის, „ფრენიას“ თემა. ფრენია პარაზიტის, „მაწანწალას“ და ზარმაცის ძველი. „ისტორიული“ ტიპია. მაგრამ ძველად ბევრი იწყებდა „რუსეთში ხეტიალს“ „მოსაწყენი ცხოვრების“, გაჭირვების, უუფლებობის გამო, იმის გამო, რომ უფროსები „თავ-პირში სცემდნენ“. თანამედროვე „ფრენია“ თავს გრძნობს სრულუფლებიან მოქალაქედ; იგი უტიფრად მომთხოვნელია, ზუსტად იცის სიტყვისა და საქმის ზღვარი, რომლის მიღმაც მას ვერაფერს შეეხება. ეს ძველ „მაწანწალაზე“ უფრო მაგნე პარაზიტია და ტიპიც — უფრო გამორკვეული.

არავის დაუხატავს ქალი თანამედროვე ვითარებაში; ქალი-ადმინისტრატორი, რომელიც საკუთარი პასუხისმგებლობით ცხოვრობს; ქალი არა ისეთი, რომელსაც უყვარს ან რომელიც უყვართ, არამედ ის, ვინც გატაცებულია სოციალისტური მშენებლობის კულტურული საქმით; ქალი მეცნიერებაში, ხელოვნებაში და ცხოვრების ყველა სფეროში.

ჩვენში თითქმის სულ არ წერენ ბავშვებზე. გულმხურვალედ მივესალმები „ლიტერატურნი სოვრემენიკის“ რედკოლეგიას იმის გამო, რომ მან მე-12 წიგნში გამოაქვეყნა რამდენიმე კარგი მოთხრობა ბავშვებზე.

საკმაო ყურადღებით არ ეკიდებიან ლიტერატორები გლეხობას გარდაქმნის პროცესს. არავის დაუხატავს, როგორ ქრება მასში სტიქიური, ნახევრადმისტიკური დამოკიდებულება მიწისადმი დღეს, როდესაც ათობით და ასობით ათასი გლეხი ფიზიკურად მონაწილეობს მიწის განახლებაში, მისი წიაღიდან სხვადასხვა განძეულის მოპოვებაში. გლეხი მიწიდან იღებდა იმას, რასაც მიწა, ჩვეულებისამებრ, აძლევდა მას. მიწის ახალი ბატონ-პატრონი კი მრავალმხრივ ამაღლებს მის ნაყოფიერებას, ნერგავს ახალ კულტურებს, მბრძანებლურად მოითხოვს მისგან ყველაფერს, რისი მოცემაც კი მიწას შეუძლია. XVII საუკუნის გონებრივი დონის ადამიანთა მასისაგან სწრაფად და უხვად იზრდებიან XX საუკუნის მოწინავე ადამიანებუ, და ამ უდიდეს პროცესში იმალება ასობით სხვადასხვა დრამის, რო-

მანის, პომის, კომედიის მოთხრობის თემები და სიუჟეტები. ჯერ კიდევ არასოდეს ყოფილა ეპოქა, როდესაც ხელოვნებას ექნებოდა ასეთი მრავალგვარი მასალა, როგორსაც მას აძლევს ჩვენი ქვეყანა. ლიტერატორს წინათ არასოდეს არ ჰქონია მკითხველთან უშუალო ურთიერთობის ასეთი ფართო, თავისუფალი შესაძლებლობა, როგორც მას ჩვენს ქვეყანაში აქვს.

მე ვამთავრებ და გულწრფელად გისურვებთ თქვენ, ამხანაგებო, იგრძნოთ და გაიგოთ იმ პასუხისმგებლობის მთელი ძალა, რომელსაც გაკისრებთ რევოლუციური ეპოქა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ქვეყანა.

## წერილი ჟურნალ „მოდერნი ბოლშევიკის“ რედაქციას

(სსრ კავშირის ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი მიძღვნილი სპეციალური  
ნომრის გამოშვების გამო)

თქვენ, ამხანაგებო, სრულიად დროულად დაისახეთ ძალიან კარგი პრაქტიკული ამოცანა. თქვენ, საბჭოების კავშირის ახალგაზრდა ბატონ-პატრონები, მოვალენი ხართ იცოდეთ საკუთარი ქვეყნის უდიდესი ტერიტორიის ზედაპირზე გაფანტული და მის წიაღში ჩამალული ბუნებრივი განძეული.

თუ არ იცი — ვერ ფლობ. ფლობა გამოყენებას გასწავლის; ხოლო რაც უფრო უკეთ იყენებს ადამიანი ბუნების ძალებს, მით უფრო მეტი და უკეთესი იარაღი მოეპოვება მას სიცოცხლისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თქვენი სახით დედამიწაზე ახალი ადამიანი იზრდება. — კაცობრიული ადამიანი. ამას რომ ვამბობ, სლავებზე, სემიტებზე, თურქებზე, ფინელებზე და. საერთოდ, სოციალისტური საბჭოების კავშირის ტომებზე, ევროპის ტომებზე კი არ ვფიქრობ. — მე ვლანა-რაკობ იმ დიადი იდეის ბავშვებზე, რომელსაც თქვენი მამები ემსახურებოდნენ და რომელიც მარქსმა და ლენინმა გამოიმუშავეს მთელი კაცობრიობის ცხოვრების გამოცდილებიდან.

ქეშმარიტად იზრდება ახალი ადამიანი. იგი უდავოდ ნათელყოფს თავის ზრდას წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით, თავისი დიადი მიზნისაკენ დაუოკებელი მისწრაფებით, თავისი ქვეყნის ახალი კულტურით შეიარაღებისათვის გასაოცარი გმირული შრომით. მისი გრიგალისებური ენერჯია სულ უფრო მეტად იზიდავს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს.

მისი ამოცანაა — კაპიტალიზმის მოსპობა და მშრომელი კაცობ-

რიობის აღორძინება. ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილან მსოფლიოში აღამიანები. ასე რომ ჰყვარებოდეთ, ან სძულებოდეთ, როგორც უყვართ და სძულთ ბოლშევიკები. ქრისტიანულ ეკლესიასაც კი, რომელიც ესოდენ დახელოვნებული და სასტიკი იყო კაცობაძულეობაში, არ შეუძლია თქვას, რომ ბოლშევიკებზე მეტად სძულებოდეს ოდესმე ვინმე.

კაპიტალისტური სამყარო ალბათ შეეცდება ბრძოლა გაგვიმართოს ჩვენ. ეს ბრძოლა მისთვის უკანასკნელი იქნება. მანამდე კი, თავისი ძირითადი ძალით — მოგების უნით — რომ ხელმძღვანელობს, იგი ნაწილობრივ მისგან თავდაცვისათვის შეიარაღებაში გვეხმარება. გვეხმარება, და ეს ფაქტი ყველაზე მკვეთრად ნათელყოფს მოვაჭრეთა სამყაროს იდიოტიზმს. ვაქართა სამყარომ ცინიზმის აშკარა ჰიგიენის ზღვარს ჰიაღწია. მაგრამ მას მაინც სჯერა, რომ შეძლებს თავისი არმიების გამოყვანას ჩვენს წინააღმდეგ, სჯერა და ეშინია ამისი.

მის იდიოტიზმსა და შიშს რომ ვითვალისწინებთ, არც ჩვენდამი მისი სიძულვილი და მისი რწმენა არ უნდა დავივიწყოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არა მარტო თავდაცვისათვის, მთელი დედამიწის მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ვიარაღდებით. ჩვენ დაუღალავად უნდა ვავითარებდეთ ჩვენს ძალებს და თავს ეუყრიდეთ მათ. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი ჩვენი მუშაობა გამარჯვებისათვის მუშაობაა.

„მოლოდინი ბოლშევიკი“ მიზნად ისახავს თავისი ძალების შეცნობას, იგი თვითშემეცნებას ემსახურება. ჩინებული მიზანია!

## საუბარი ლიტერატურაში მოსულ ახალგაზრდა დამკვერძეებთან

მოგესალმებით გულითადად. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი, თუ რა ამოცანები დგას დამკვერძელის წინაშე და რა სიახლის შემოტანა შეუძლია მას ლიტერატურაში. მაგრამ მანამდე იმას მოგახსენებთ, თუ როგორ უნდა შემოვიდეს ლიტერატურაში დამკვერძელი.

ამას წინათ შევიტყვე, რომ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დამკვერძეებს განზრახული აქვთ ჟურნალის ან რაღაც კრებულის გამოცემა. ვფიქრობ, ეს არ არის საჭირო; უნდა ვერიდოთ იზოლირებას; უარი ვთქვათ ლიტერატორთა კიდევ ერთი ორგანიზაციის შექმნაზე.

საჭიროა მზადება ლიტერატურული სიმაღლეების დასაყრობად; საჭიროა ყველა ჟურნალში მონაწილეობა, იქ თვალსაჩინო ადგილის მოპოვება; ამ ჟურნალებში ბეჭდვა თქვენთვის ორგვარად მოსახერხებელი და სასარგებლო იქნება: ჭერ ერთი, იმიტომ, რომ იქ, ლიტერატურული ტექნიკის თვალსაზრისით, უფრო განვითარებული რედაქტორები არიან და მათი კრიტიკა სარგებელს მოგიტანთ; მეორეც, იქ მკითხველთა უფრო ფართო წრეებთან გექნებათ საქმე, ვიდრე დამკვერძელთა კრებულში თუ ჟურნალში.

შემდეგ, რა უნდა მოგვცეს თქვენმა მოსვლამ ლიტერატურაში? ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას ხშირად გზა-კვალი ებნევა. თქვენთვის ცნობილი მთელი რიგი თემები გაშაბლონდა, გაუხეშდა, ჩაკვდა.

ასეთია, მაგალითად, „შეუფერებელი“ ქალიშვილისადმი კომუნისტის სიყვარულის გავრცელებული თემა. შეიძლება პირიქითაც: კარგი ქალიშვილი და ცუდი კომუნისტი. ამ თემაზე ახალს ვერაფერს გვეუბნება; ძლიერი ნაწარმოები კი არ შექმნილა. თემა დააქუცმაცეს,

დააწვრილმანეს, სახელი გაუტეხეს; მას ნაჩქარევად მოჰკიდეს ხელი, როგორც ჩვეულ „ლიტერატურულ“, უფრო მოსახერხებელ თემას.

მე, რასაკვირველია, არ ვიფიქსებ, რომ ჩვენი უფრო ნიჭიერი ლიტერატორები, ეგრეთ წოდებული თანამგზავრები, ცდილობენ ფართო განზოგადებათა მოცემას—მაგალითად, ლეონოვი „სოტში“ ან ლებედევი წიგნში „ტინ ტინ-ხოს საჩუქრები“, ან ციმბირელი პეტროვი, მშენებლობის თემაზე რომ დაწერა წიგნი „ბორელი“. შეიძლება ჩამოვთვალოთ კიდევ ათეული ასეთი საინტერესო წიგნი. მეტად საინტერესო წიგნია, მაგალითად, პასინკოვის „ტაიპა“. პასინკოვმა ჩვენს ლიტერატურაში პირველად მხატვრულად ასახა ჩვენთა ერთ-ერთი გვაროვნული ყოფა.

არ უნდა დავეშვათ ჩვენს რიგებში დიდმპყრობელური განწყობილებანი და ტენდენციები. მიუხედავად ამისა, ჩვენ ათთქმის არა გვაქვს ისეთი წიგნები, რომლებიც ნაკუმპირესობათა ყოფა-ცხოვრებას გაგვაცნობდა. ამიტომ ამ თემაზე დაწერილ ყოველ კარგ წიგნს გარკვეული და დიდი სოციალური ღირებულება აქვს. ჩვენ ისევე კარგად უნდა ვიცნობდეთ მეგობრებს, როგორც კარგად ვაჩინევთ და ვიცნობთ მტრებს.

მუშა-დამკვრელები გაიფანტებიან საბჭოების კავშირის მთელ სივრცეზე, ვით უდიდესი კოცონის ნაპერწყლები ძლიერ ქარში. ეს საშუალებას აძლევს მათ ფართოდ შეისწავლონ ტომებისა და მხარეების ყოფა-ცხოვრება და ფსიქოლოგია, ასახონ იმ ტომებში მოხდარი ცვლილებები, რომელთაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ დამწერლობაც კი არ ჰქონდათ, ხოლო დღეს უდიდესი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს წყვეტენ.

შემდეგ, არსებობს ერთი, სავესებით სათქვენო თემა. ეს არას ძველი ქარხნების ისტორია. რით არის მნიშვნელოვანი და ჰკუთის-სასწავლი ეს თემა? თუ მას სერიოზულად მოვეკიდებით, გულდასმით შევისწავლით, იგი საშუალებას მოგვცემს მკითხველს, სოფლიდან მოსულ ახალგაზრდა მუშას, ვუჩვენოთ მრეწველობის ზრდისა და განვითარების სურათი, უდიდესი და ხშირად სისხლიანი დრამები, რასაც განიცდიდა მუშათა მასა მრეწველობის შექმნის პროცესში; ვაჩვენოთ ქარხანა, როგორც რევოლუციონერთა სკოლა, ხოლო ხანდახან — როგორც მუშათა კლასის ციხე-სიმაგრე, რომელიც მეფეს ჭარბებით უნდა აედო. მე მგონია, ამ თემის უდიდესი სოციალური მნიშვნელობა არ მოითხოვს ხაზგასმას.

ჩვენ საინტერესო და ძალიან სასარგებლო ნარკვევების წიგნები გვაქვს. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის ის, რაც გვჭირდება. თვით დიდ მწერლებს, შედარებით გამოცდილ ლიტერატორებ-

ააც კი, არ ჰყოფნით ძალა, რომ მოგვეცნა ფართო განზოგადება, სინამდვილის სინთეზი — მჩქეფარე სინამდვილისა, რომელიც გამსჭვალულია სასწაულების ჩამდენი ჩინებული ადამიანური ენერგიით. კულტურულ უცხოელებსაც კი, ვინც ცოტად თუ ბევრად პატიოსნად გაეცნო ჩვენს სინამდვილეს, ძლივს სჯერათ, რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით გამოწვეული ნგრევის შემდეგ ცაპეტ წელიწადში შეიძლებოდა ასეთი გიგანტური საქმეების გაშლა ყველა დარგში — არა მარტო ინდუსტრიაში, რევოლუციის იმ მობრუნებაშიც, მშრომელ მუშად რომ გარდაქმნის „მუფიკს“, მიწის ამ ყოფილ მონას. ეს ისეთი ფაქტია, რომლის მნიშვნელობის გათვალისწინებაც ჯერ-ჯერობით მეტად ძნელია.

ასეთი ხასიათის ყველა მოვლენა რომ ავიღოთ, ცხადი გახდება: ლიტერატურას ეს მოვლენები, რასაკვირველია, არ აუხსახავს. ამის გამო ვერავის დაეადანაშაულებთ.

სინამდვილე არ ასახულა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მისი ასახვა — თქვენი თაობის საქმეა. თქვენ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოთ. უნდა ისწავლოთ სინთეზების მოცემა და არა ნაწყვეტების, ნაფლეთების ხატვა. საკიროა ფართო განზოგადებანი. დიდი სურათები. ეს გარდუვალად მოითხოვს სერიოზულ სწავლას.

კიდევ რა თემების შემოტანა შეგიძლიათ ლიტერატურაში? ვფიქრობ, ასეთი თემები საკმაოდ ბევრია: პირველი მათგანი, რომელიც ახლა აზრად მომდის, ძალიან საინტერესო და საკვირბოროტოა. გლეხის ბიჭი მოდის ფაბრიკაში. აღწერეთ იგი, როგორც სწორედ გლეხის ბიჭი, როგორც მიწის ადამიანი — მიწას დაქვემდებარებული; როგორც საუკუნეობრივი მონური შრომის ჯაჭვით, თაობათა ჯაჭვით შებოროკილი ადამიანი. იგი მიწას იმ ძალად მიიჩნევს, რომელიც მას კვებავს, რაღაც საიდუმლო საშუალებით აძლევს პურს, კარტოფილსა და ა. შ. იგი არასოდეს არ დაფიქრებულა. თუ როგორ აკეთებს ამას მიწა, ბუნება.

აი, ეს, ბუნებას დამორჩილებული. ტოროლების გალობას შეჩვეული, ველებზე გაზრდილი კაცი მოდის ქარხანაში. უპირველესად, აქ იგი ხედავს მისთვის უცნობ რაღაც დაზგებს, რომელთაც იგი, მაგალითად, „სელმაშში“, გამოუცდლობის გამო, ამტკრევს. და, აი, ასეთი კაცი იღებს მატერიის უფორმო ნაჭერს. ამ ნაჭრისაგან ურთულეს აპარატებს, საოცარ საგნებს აკეთებს.

ამ თემაზე შეიძლება „დაატრიალო“ ძლიერ საინტერესო სურათები, თუ გაითვალისწინებ, რომ შეიცვალა, როგორც ადამიანის დამოკიდებულება მატერიისადმი, რომელიც ძველად თრგუნავდა ადამიანს, ასევე მატერიის დამოკიდებულებაც ადამიანებისადმი. ამ

ადამიანებს სურთ შეცვალონ სამყაროს ბედი. გარდა ამისა, ისინი ემოციურად სრულებით აღარ ჰგვიანან იმ ადამიანს, გლებ უსპენსკიმ „მიწის ტყვე“ რომ უწოდა. ძველი ადამიანის ეს შეჯახება ახალ კულტურასთან — ის დიდი თემაა, რომელსაც ჭერ კიდევ არავინ სერიოზულად არ შეჰხებია. იგი უნდა ასახონ ლიტრადამკვრელებმა.

გარდა ამისა, აიღეთ თემა სოციალიზმის მშენებელი ქალისა. აქაც იგივე მდგომარეობაა. ეს თემაც ხელუხლებელია, თუმცა ჩვენში უკვე გაჩნდა აქტიური საზოგადოებრივი მუშაი ქალის ახალი ტიპი.

თავისთავად ცხადია, რომ თემები ძალიან ბევრია. როცა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დამკვრელები წერენ ბრიგადების, საამქროების ორგანიზაციაზე და ა. შ., ეს ნიშნავს, რომ ამით ისინი უკვე ხელს ჰკიდებენ ახალ თემებს,—ეს უქვევლია.

და მაინც, ბევრი მათგანი, ტექნიკური უღონობის გამო, არცთუ ისე მოხერხებულად უდგება ამ თემებს. ისინი წერენ თავიანთი საამქროსთვის. თუ ავტორი ზეინკალია, წერს როგორც ზეინკალი. მაგრამ სამსხმელო საამქროში მისი არა ესმით რა: წარმოების სხვა დარგში ხომ სრულებით ვერ გაიგებენ. ტექნიკური სიტყვები მკითხველთა ფართო წრისათვის გაუგებარს ხდის მის ნარკვევს. ასეც ხდება, რომ წერენ მთელ თავიანთ ქარხანაზე. თავისთავად ცხადია, რომ სამ-ხუთკაპიციან წიგნში ამ ქარხანას ვერ „ჩატევ“. ამიტომ თემას ყოველმხრივ აწვალებენ და ნაწარმოებიც უვარგისი გამოდის. მთავარი ის არის: ჩვენ საკმაოდ ვერ შეგვიგნია, რომ წიგნებზე მოთხოვნილება ახლა მილიონობით განისაზღვრება. მკითხველიც სავსებით სსვავა. ზოგიერთ შემთხვევაში ახლა მკითხველმა მეტი იცის, ვიდრე ჩვენ, ძველმა მწერლებმა, ვიცოდით. ჩემი თაობას ადამიანებმა არ იცოდნენ მთელი რიგი არა მარტო საგნები, არამედ საგანთა სახელებიც, რადგან ისინი არ არსებობდა. ოთხმოცდაათიანი წლების მწერალს ხომ არ შეეძლო წერა აეროპლანზე, რადიოზე, კინოსა და მათი გავლენის შესახებ ადამიანის ფსიქიკაზე. ღან არ იცოდა, რა არის ბლუმინგი, რა არის კრეკინგი.

ტექნიკა უკანასკნელ წლებში ძლიერ გაიზარდა. და შეუძლებელია ყოველივე ამას გავლენა არ ჰქონდეს ადამიანზე. აქ საჭიროა რაღაც განსაკუთრებული ხერხების გამოხატვა. მაგრამ არ შეიძლება ტექნიკური ტერმინებით გატაცება.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ თქვენ მილიონებისათვის წერთ. ეს გავალებთ მკაცრად მოეპყროთ საკუთარ მუშაობას, პატიოსნად ეკი-



დებოდათ სიტყვას, ნათლად და გასაგებად გამოხატვის პრინციპს. ყველა იმ ხერხს, რომელიც საშუალებას მოგცემთ. რაც შეიძლება ზუსტად გადასცეთ თქვენი გამოცდილება, თქვენი შთაბეჭდილებანი მრავალ მილიონ მკითხველს; მისთვის წიგნის კითხვა ჯერ კიდევ ძნელად დასაძლევია სწავლა და არა ხელოვნური ტკბობა.

ახლა ვილაპარაკოთ სხვადასხვა ამხანაგის მიერ აქ დასახელებულ თემებზე.

აი, მაგალითად, ამხანაგი ბიკო-იანკო იმ კითხვაზე, თუ რა ნაწარმოების დაწერა სურს, უპასუხებს: სურვილი მაქვს შევექმნა საპირბოროტო თემაზე დაწერილი სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებო. ამისათვის მას აურჩევია ნარკვევის ფორმა.

მხატვრულად სრულფასოვანი და ამავე დროს საპირბოროტო თემაზე ნარკვევის დაწერა უკიდურესად ძნელი საქმეა. ამხანაგებო! ამას ახერხებდნენ ისეთი მწერლები, როგორც იყვნენ, მაგალითად, მოპასანი ან ტურგენევი. მაგრამ მათი ნარკვევები — ვთქვათ, მოპასანის „წყალზე“ — ეს არის ლირიკა განმარტოებული პოშეხონელი-სა, იმ მეოცნებისა, რომელსაც არ მოსწონს ეიფელის კოშკი, პარიზი და პესიმისტურ აზრებს შეუპყრია. ხოლო როგორ აღწერთ თქვენ სადღეისო ქირ-ვარამს, როგორ ჩატევთ მას ნარკვევში — თავისი მოცულობით ამ მოკლე ნაწარმოებში — ეს მე არ მესმის, ვერ წარმომიდგენია. ეს შეიძლება მხოლოდ ძალიან დიდი ოსტატობის შედეგად, ძალიან დიდი მხატვრული დაძაბვის პირობებში, რაც ახასიათებდათ, ვთქვათ, ფლობერს, ტოლსტოის, ჰამსუნს — განუმეორებელი ოსტატობის ლიტერატორებს. მაგრამ თქვენ ასეთი ნაწარმოები არ გამოგივათ, რადგანაც მხატვრულად გაწაფულნი ვერა ხართ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს ნარკვევებზე უარის თქმას. ნარკვევები უნდა ვწერთ. ეს ჩვენი საბრძოლო ლიტერატურაა. მაგრამ საჭიროა გარკვეული საზღვრების დაცვა: უნდა გქონდეს რაღაც ნახაზი, ნათლად უნდა წარმოიდგინო იმის ფორმა, რაც გინდა გააკეთო, რისი გაკეთებაც გსურს.

მეკითხებიან: რით უნდა დაიწყოს დამწყებმა მწერალმა? ვიპასუხებთ: იმით, რითაც იგი იწყებს; იმით, რაც მისთვის მახლობელია. საერთოდ, გირჩევთ, დაიწყოთ პატარა მოთხრობებით და შეეცადოთ თვითნებულ გვერდში ჩატიოთ, რაც შეიძლება მეტი შინაარსი. მჭიდროდ, მყარი სიტყვებით წერა, ისე მოთხრობა. რომ ყველაფერი უბრალო, გასაგები იყოს — აი, რას უნდა ესწრაფოდეთ.

ამხანაგ სმირნოვის სურვილია რომანის დაწერა. საქმე ის არის, რომ დიდი რომანი მოითხოვს ჩვენი ეპოქის საფუძვლიან შესწავლას. კვლავ უნდა დაუებრუნდეთ იმას, რაზეც უკვე გელაპარაკეთ.

ჩვენი ეპოქის საფუძვლიანი შესწავლა ძალიან ძნელია. მე გუშინ ვიყავი აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში. აი, იქ არის წარმოდგენილი ჩვენი ეპოქა: იქ სწავლობს ხუთასზე მეტი ზანგი, სამოელი, ინდუსი, არაბი და ა. შ. იქ სიტყვით გამოვიდა ტუველი ქალი: მას ტელეგრაფის ბოძზე უფრო მაგარი ფეხები აქვს და, ეშმაკმა უწყის, რამდენ წელიწადს გასძლებს ამ ფეხებზე მდგარი. მან მოგვითხრო, რომ ტუველებს ექვსი წლის წინათ სრულებით არ ჰქონდათ დამწერლობა, ხოლო წერა-კითხვის მკოდნეთა რაოდენობა 1/10-ს უდრიდა; ახლა კი მათი რაოდენობა 26 პროცენტს აღწევს. ეს ქალი პოლიტიკურად ორგანიზებული ადამიანია, რომელიც საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობს რუსულად, ზოგიერთ „მჩხვლეტავ“ სატყვებსაც კი იყენებს საუბარში. ამის შემდეგ ილაპარაკა სამოედმა იმაზე, რომ მათ თავიანთ შორის მოსაპეს შეირმე კულაკები. და ეს წყნარად. უბრალოდ იყო ნათქვამი, ისე უბრალოდ — ჩემს გულში მადლობა ვუთხარი ბუნებას, რომ მე კულაკი არა ვარ.

დიდი რობანი რომ დაწერო ეპოქის ძირფესვიანი ცოდნით, ბევრი რამ უნდა შეისწავლო; უნდა მოიარო სსრ კავშირის ყველა კუთხე. ამ ეპოქას ხომ ას სამოცი მილიონი ადამიანი ქმნის მარტო საბჭოების კავშირში. მისი შესწავლა საჭიროა საფუძვლიანად და ხანგრძლივად.

ამხანაგი მალინოვსკი სავსებით სწორად უპასუხებს საკუთარ კითხვას, თუ რა არ ყოფნის თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის: არ ყოფნის მარქსიზმისა და ლენინიზმის ღრმა ცოდნა. ცოდნა შეიძინება და მე ვფიქრობ, რომ თუ ადამიანს სურს რაიმე იცოდეს, იგი ამას მიაღწევს. მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური აგების ტექნიკაზე მე ვერაფერს გირჩევთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წიგნების სუჟეტურად აგება არ მეხერხება. ყველა ჩემი წიგნი აგებულია ძალიან შაბლონურად. ეს თქვენ სხვებისაგან უნდა ისწავლოთ — კლასიკოსებისაგან და ჩვენი თანამგზავრებისაგან. მე ვფიქრობ, არქიტექტონიკის, მასალის განლაგების თვალსაზრისით, რუსულ ლიტერატურას ლეონიდ ლეონოვამდე საინტერესო მწერალი არ ჰყოლია. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგრამ იგი ისეთი კაცია. რომ ყველაფერს შეძლებს.

ამხანაგ ბოლხოვიტინოვს სურს ჩვენი საყოველთაო შეტევის ცალკეულ მონაწილეთა აღწერიდან გადავიდეს ამ შეტევის მხატვრულ-განზოგადებულ აღწერაზე. ეს სწორია — აღწერო თანდათან, საფეხურების მიხედვით, ამასთან ისე, რომ ყოველი შემდგომი საფეხური წინანდელზე ფართო იყოს. მას სურს ლექსად წეროს და

ძალიან ბევრი ლექსი აქვს დაწერილი; შესაძლოა, ეს შინაგანი მოთხოვნილება იყოს, მაგრამ მე ვამჯობინებდი პროზას — ეპიკურ, უბრალო, ნათელ, თუნდაც მკაცრ პროზას. ჩემი აზრით, ჩვენს ლექსებს, უპირველეს ყოვლისა, არ ყოფნის შთაგონება, პათოსი. ვაი, რომ ჩვენი უმეტესი ლექსების ნაკლი ეს არის: ისინი იწერება არნახული სისწრაფით; და თუმცა მათში იგრძნობა დღევანდელი სადმი გამოხმაურების სურვილი, მაგრამ ჩვენი დღეების ჰეროიზმს ისინი არ ასახავენ. ესენია მეტნაკლებად საინტერესო კუპლეტები; მაგრამ ეს არ არის იმ გამარჯვებული კლასის შესაფერი პოეზია, რომელიც ქმნის უდიდეს სულიერ და მატერიალურ ფასეულობას და რომელმაც ივისრა უდიდესი ამოცანა — წინ წარუძღვეს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს.

ამხანაგ ჩურსინს სურს წეროს დონბასზე, სადაც იგი ერთი წელი მუშაობდა, და საკოლმეურნეო მოძრაობაზე, რადგანაც მას მოუხდა კოლმეურნეობების ორგანიზება 1929-30 წლებში. ეს ძალიან კარგი ამოცანაა. მაგრამ ვფიქრობ, ამის ერთბაშად გაკეთება შეუძლებელია; თანაც ეს ის არ არის, რაზეც აქ ლაპარაკი იყო; ამასთანავე ასეთ რამეს ბევრი აკეთებს და მას ავტობიოგრაფიული ნაწყვეტის ხასიათი აქვს. მე მგონია, თქვენ უნდა ისწავლოთ სხვა რამ. უნდა ეძებოთ ახალი თემები. იწერება წიგნები სოციალისტურ შეჯობებაზე, იმაზე თუ როგორ მოაწყვეს საამქრო, ბრიგადა, მაგრამ ამას სხვაგვარად უნდა ვაკეთებდეთ. ეს თემები უფრო ღრმა შესწავლისა და, ცხადია, უფრო მნიშვნელოვანი ძალითა და ფორმით გამოხატვის ღირსია.

მეკითხებიან. შეუძლია თუ არა დამწყებ მწერალს, რომელსაც ძალიან ცოტა რამ დაუბეჭდავს, დაწეროს დიდი ნაწარმოები? უნდა მოგახსენოთ — ნაწარმოების ბეჭდვა ყოველთვის როდი ნიშნავს მისი დაბეჭდვის აუცილებლობას. ჩვენში ძალიან ბევრი რამ იბეჭდება გაუგებრობის ან რედაქტორთა სისუსტის გამო და ა. შ. ცხადია, დამწყებს შეუძლია დაწეროს დიდი ნაწარმოები: მე უკვე მოგახსენეთ, რომ ეს საჭიროც არის. მაგრამ ჯერ საჭიროა სწავლა, კარგად სწავლა.

ამხანაგ პლასტინინს სურს ახალი სტუდენტობის დახატვა. ძლიერ საინტერესო ამოცანაა. მით უმეტეს. რომ ამას წინათ გამოვიდა ვოსკრესენსკის წიგნი; მასში ახალი სტუდენტობა არცთუ ისე სანაქებოდ გამოიყურება, რასაც, ჩემი აზრით, იგი არ იმსახურებს.

ამხანაგ ბარანოვს უნდა დაწეროს „პოემის მსგავსი რამ“. ამ სიტყვებში მოისმის, ჩემთვის განსაკუთრებით უკანაქანელ წლებში კარგად ცნობილი, დამწყებ ლიტერატორთა უკმაყოფილება, რო-

გორც ლექსის, ისე პროზის ფორმის გამო: ეძებენ რაღაც საშუალოს, ისევე, როგორც რაღაც საშუალო სურთ გამონახონ რომანტიზმსა და რეალიზმს შორის. არის ნაწარმოებები, რომელნიც წინათ არ შემხედრია და არც მოველოდი. კაცი იწყებს წერას მართლმადიდებლური პროზით, მისთვის შეუმჩნევლად გადადის რიტმულ პროზაზე, ხოლო შემდეგ ეს რიტმული პროზა ლექსად იქცევა. ცხადია, ეს ადამიანი დამუხტულია ისეთი მნიშვნელოვანი შინაარსით, რომელსაც უბრალო სიტყვებში ვერ ათავსებს. სიტყვები ცოტაა და თანაც მონედლოა ჩვენი დღეებისათვის. ენასაც ისეთივე რამ ემართება, რაც ჩვენს კოსტუმებს. ჩვენ არ ვიცვამთ საჭიროებისამებრ. საჭიროა უფრო ნათელფერებიანი ტანსაცმელი. რად გინდათ ეს ნაცრისფერი და შავი პიჯაკები? ცისფერი, მწვანე, წითელი, ლურჯი ტანსაცმელი უნდა ჩაიცვათ, რომ დემონსტრაციაზე იგი ცისარტყელად ელავდეს. ეს კარგ გუნებაზე აყენებს ადამიანს. ჩვენი კოსტუმები არ ეხამება შინაგან განწყობილებას, შემოქმედების იმ გაქანებას, რომლითაც ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა. ზუსტად ასეთი რაჲ მოსდის ენასაც: ენა ჩამორჩენილია.

შემიძლია. როგორც ანეგდოტი, ასეთი მაგალითი დაგისახელოთ: მომინდა საბჭოთა ცხოვრების ერთ-ერთი ჩვეულებრივი მოვლენის ასახვა. ამ მოვლენაში პირადად მე სავესებით სხვა შინაარსს ვხედავ, ვიდრე ეს მიღებულია. ეს არის ახალი ადამიანის ზრდის პროცესი. ეს ადამიანი თავს აღწევს რომელიღაც ძალიან ძნელსა და მაგარ ნაჭუქს, დიდი გაჭირვებით ამსხვრევს მას.

ცხრაჯერ ვცადე ამის დაწერა და არაფერი გამომივიდა. იმ შინაგან მუხტს, იმ უდიდეს შინაარსს, რომელიც უნდა გამოიხატოს ძალიან უბრალოდ, ძალიან ნათლად, ვერ ამოწურავენ ჩემი სიტყვება.

როგორც ხედავთ, ასეთი რამ ძველ ლიტერატორებსაც ემართებოდა. და ეს სრულებით ბუნებრივია. არ იფიქროთ, გეთაყვა, თქვენი დაშინება მინდოდეს სიძნელებით. ასეთი რამ არ მჩვევია და, გარდა ამისა, ვიცი, რომ თქვენ ვერავითარი სიძნელე ვერ შეგაშინებთ.

საინტერესო ამოცანას ისახავს კარსევი. მას სურს ასახოს მოტუცების დამოკიდებულება რევოლუციისადმი, მათი ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიაში, ყოველივე ახალს რომ ებრძვის. ეს ძალიან საინტერესოა. მოთხრობა მას, უეჭველია, შინაგანად მზად აქვს, ხოლო საჭიროა მისი დაწერა.

ამხანაგ იუდინს კი სურს წეროს ახალგაზრდობაზე, რომელიც ცხრაწლედში სწავლობს. სწორია. ჩვენში ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი და თემა მოიპოვება, რომელთაც ლიტერატურა არ შეხებია. ჩვენ სრულებით არ ვიცით, როგორ ცხოვრობენ პიონერები. ისინი

კი უღარესად საინტერესო ხალხია. დღეს მესტუმრა ოთხი მათგანი; მათ შორის ერთი ინგლისელი იყო.

ვისაუბრეთ და გამოიჩვენა, რომ ისინი სავსებით მოწიფული ადამიანები არიან. შრომობენ კიდეც; მაგალითად, მათ კაშხალი აუფიათ რომელიღაც კოლმეურნეობაში, რითაც სახელმწიფოსათვის რამდენიმე ათასი მანეთი დაუზოგავენ. აი, ასეთი ყმაწვილების დახატვა მეტად საინტერესო საქმეა.

მე ვნახე საბავშვო წიგნის გამოფენა. რა სიღარიბეა! ეს საქმე ჩვენს შესაძლებლობაზე დაბლა დგას, იმ მოთხოვნილებებზე დაბლა, რასაც ამჟამად წიგნს უყენებენ. ოქტომბრელებს არ მოეპოვებათ მათი შესაფერისი ლიტერატურა. ეს ნაწილობრივ იმის შედეგად არის, რომ არ გავაჩნია საბავშვო ლიტერატურის საქმალად ნათელი და ფართო ხასიათის კრიტიკა, რომ კრიტიკა ავიწროვებს ამ დარგში მწერლის წარმოსახვას. მას არ ესმის, რამდენად საჭიროა ბავშვების წარმოსახვის განვითარება და ამ განვითარების პროცესის სწორი ორგანიზაცია.

ამ მხრივ ბედნიერი გამოწყობის საბავშვო ლიტერატურაში ცოტაა, მაგალითად, ლენინგრადელთა — მარშაკისა და სხვების — წიგნები და ილინის შესანიშნავი წიგნი ხუთწლედზე.

აქ წამოიჭრა ერთი მეტად რთული და ძნელი საკითხი — ლიტერატურის დამოკიდებულება სიმართლისადმი. ვფიქრობ, ამ საკითხში ერეტიკოსი გამოვლდები.

უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: ჯერ ერთი, რა არის სიმართლე? და მეორეც, რატომ გვინდა სიმართლე და როგორი სიმართლე გვინდა? რომელი სიმართლე უფრო საჭიროა? ის, რომელიც კვდება, თუ ის, რომელსაც ჩვენ ვამკვიდრებთ? ხომ არ შეიძლება ჩვენს სიმართლეს მსხვერპლად შევწიროთ იმ, ძველი სიმართლის რაღაც ნაწილი? ჩემი აზრით, შეიძლება. ჩვენ ვეომებით ძველ უდიდეს სამყაროს: ეშმაკსაც წაუღია იგი თავისი ძველი სიმართლით! ჩვენ ჩვენი სიმართლე უნდა დავამკვიდროთ

თუ თქვენ აღწერთ რომელიმე ზარმაც, წამგლეჯ ლოთ ივანოვს, უნდა განაზოგადოთ: მართო ივანოვი ხომ არ არის წამგლეჯი, ზარმაცი, ლოთი; სხვებიც არიან. მაშასადამე, ერთისაგან უნდა აიღოთ ცხვირი, მეორისაგან — ყური, მესამისაგან კიდეც სხვა რამე.

დახატეთ ტიპი, დახატეთ ისე, რომ ყველა წამგლეჯმა ამ ტიპში თავისი თავი დაინახოს. მათ ხომ საერთო ნიშნები აქვთ? უეჭველია, აქვთ. აი, სწორედ ისინი შეარჩიეთ. რას ნიშნავს ტიპი დიდი მწერლისთვის, ძველი მწერლისთვის, ჩვენი კლასიკოსებისთვის? ეს არის

რძიდან გამორჩეული ხაჭო, ეს არის რალაც შედედებული, რალაც შეკუმშული.

ობლომოვი, მაგალითად, ტიპია. მას აყავდა წინაპრები — უმწიფარა და სხვები. დასავლეთის ლიტერატურაშიც იპოვიოთ ასეთ რამეს.

ტიპი ეს არის ეპოქის მოვლენა. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიის II ინტერნაციონალის ბელადები, ეპოქის გავლენის წყალობით, აღარ არიან სოციალისტები; ისინი ბურჟუაზიას ემსახურებიან, ვით მისი მინისტრები, ჩინოვნიკები. ბევრი ჩვენი „რევოლუციონერი“-ემიგრანტი რევოლუციურმა ეპოქამ კონტრრევოლუციონერად აქცია; მაშასადამე, შეიქმნა ახალი ტიპი, რომელსაც ჩვენ „რენეგატს“ ვუწოდებთ.

თუ თქვენ აღწერთ მდელქნეს, ეს ისე უნდა გააკეთოთ, რომ ერთ მდელქნეში მოჩანდეს ოცდაათი მდელქნე, ერთ ხუცესში — ოცდაათი ხუცესი, რათა ხერსონელმა მკითხველმა მასში ხერსონელი ხუცესი დაინახოს, არზამასელმა კი — არზამასელი. დასავლეთის მთელი ლიტერატურა და XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურა. არსებითად, აგებულია ერთ ტიპზე; მისი მთავარი ნაწარმოებები ასახავენ ამ ბურჟუაზიული კლასის პირშო ახალგაზრდა ადამიანს, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ჩელისუფლების სათავეში მოექცა. მაგრამ ეს ადამიანი, რომელიც მიზეზის გამო ვერ ეგუება გამარჯვებულთა საზოგადოებაში ცხოვრებას. შესაძლოა, იგი იმიტომ ვერ პოულობს თავის ადგილს, რომ ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე; სხვებზე მაღლა აყენებს მას. იგი შთაგონებს სხვებს თავისი განსაკუთრებულობის რწმენას და მთელი მისი ცხოვრება მიმდინარეობს უმნიშვნელო დრამებში. ამ ტიპზეა აგებული თითქმის მთელი XIX საუკუნის ლიტერატურა. ჩვენშიაც ასეა; გვყავს სხვადასხვა ონეგინები, პეჩორინები, რუდინები, ჩერევიანინები და სხვები. ისინი არიან ფრანგულ ლიტერატურაშიც, სტენდალით რომ დავიწყოთ და რომელიც გნებავთ მწერლით დავამთავროთ. ჩვენში ეს ადამიანი ახლა გადაგვარდა. პირველი რევოლუციის მონაწილე, ეს ძალიან ხმაურა, მყვირალა ადამიანი, ამ რევოლუციის შემდეგ, გადაიქცა სანიხად (არციბაშევის გმირი), შინაგანად ცარიელ, შიშველ ადამიანად, რომელიც მხოლოდ გრძნობადი ემოციებით ცხოვრობს. ეს უკვე ისეთი უკიდურესი ინდივიდუალიზმია, სრულ ანარქიზმად რომ გადაიზარდა, როდესაც ადამიანი თითქმის ცხოველად იქცა.

ყველა დიდი ნაწარმოები მუდამ შეიცავს განზოგადებას. „დონ-კიხოტი“, „ფაუსტი“, „კამლეტი“ — ყველა ესენი განზოგადებაა.

თქვენ ცხოვრობთ მასაში; ტოლსტოივით, ტურგენევივით სოფელში კი არ ზიხართ და კაბინეტში არა წერთ. ყველა პროცესი თქვენს თვალთა წინაშე ხდება. უნდა შეგეძლოთ მათი დანახვა, მათზე დაკვირვება, აწონ-დაწონვა, შედარება; უნდა ეძებოთ მთლიანობა, უნდა ეძებოთ დაპირისპირებულობა. იგი მოიცავს ყველაფერს.

ლიტერატურაში მიმდინარეობს იგივე მუშაობა, რაც მეცნიერებაში. მეცნიერი, უპირველესად, ათასობით ექსპერიმენტს ახდენს ძაღლებზე, ბოცვრებზე, მცენარეთა ორგანიზმებზე. შედეგად იგი აკეთებს განმაცვიფრებელ რევოლუციურ დასკვნებს, რომლებიც ხშირად სრულებით სხვა მიმართულებას მისცემენ ხოლმე მეცნიერებას. ასეთივე გზით მიდის ლიტერატურაც.

როდესაც თქვენ საკმაოდ დააგროვებთ შთაბეჭდილებებს, ხოლო ამ დროს წააწყდებით ერთ-ერთ ყველაზე ნათელ შთაბეჭდილებას, ყველა ისინი გაცოცხლდებიან თქვენს წინაშე — თქვენს წინაშეა მკვეთრი სურათი, ნათელი პორტრეტი.

ა მ ხ ა ნ ა გ ი პ ლ ა ს ტ ი ნ ი ნ ი. მე ბევრ სხვასავით, ვინც შემოქმედებითს მუშაობას იწყებს, მაქვს ყველაზე მთავარი კიოხვა. ეს არის მხატვრული რეალიზმის საკითხი. როცა წერ, გგონია, რომ ყოველგვარი მოვლენა, რომელიც გაღელვებს, ასევე აღელვებს მკითხველსაც და იგი შესატანია ლიტერატურულ ნაწარმოებში. მაგრამ როდესაც დაწერ და სხვებზე აღრე წაიკითხავ შენსავე ნაწარმოებს, აღმოჩნდება, რომ იგი უკვე აღარ გაღელვებს. საინტერესოა, რა არის მხატვრული რეალიზმის საიდუმლოება, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ნაწარმოები საინტერესო იყოს?

გ ო რ კ ი. ის ამბავი, რომ მოთხრობა მოგწონთ, სანამ მას წერთ, დაწერის შემდეგ კი აღარ მოგწონთ, საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა ლიტერატორებისათვის. იგი იმით აიხსნება, რომ ამა თუ იმ თემაზე მიღებულ მთელ გამოცდილებას ეს თემა ვეღარ იტევს, რადგან არ გყოფნით ტექნიკა. არ გყოფნით სიტყვები.

ენის საქმე ჩვენთან კარგად ვერ არის. ეს ბუნებრივია. ჩვენ ვცხოვრობთ რევოლუციის ეპოქაში, როდესაც ენაში შემოდის ახალი სიტყვები. სიტყვა „უნივერსალი“ ჩვეულებრივ სიტყვად იქცა. იგი რომ თხუთმეტი წლის წინათ წარმოგეთქვათ, თქვენ მოგაშტერდებოდნენ. და რამდენი ასეთი სიტყვა გაჩნდა ახლა! ახალი სიტყვები მომავალშიც წარმოიშობიან.

მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ძირეული სასაუბრო რუსული ენა. დროდადრო საჭიროა ბილინების, ზღაპრების წაკითხვა და, ერთი სიტყვით, მასის სალაპარაკო ენის კარგად ცოდნა. მასში ძალიან ბევრია ძღერადი, ტევადი.

ახლა ჩვენი უდიდესი ქვეყნის ყველა უბანზე მიმდინარეობს ენის რეორგანიზაციის ეს პროცესი, ზოგიერთი სიტყვების გაქრობის, მათი სრული მოსპობისა და მათ ადგილას ახალი სიტყვების აღმოცენების პროცესი.

ამასთან ერთად, იქმნება სრულიად ახალი სიტყვიერი ფორმები, ახალი ანდაზები. ხალხური სიმღერები, იგაეები, ანეგდოტები და სხვ. ყოველივე ამას უნდა ვაგროვებდეთ. ჩვენი მხარეთმცოდნეები უნდა შეეცადონ ამის გაკეთებას. კარგი იქნება, თუ მუშეორ ლავრუხინის მაგალითს მიბაძავთ: ჩაიწერთ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია თავისი ქლერადობით, ტრევადობით, სიმახვილით.

ჩვენში ნაცუმციირესობებსაც შემოაქვთ თავიანთი სიტყვები და ჩვენ მათ ვითვისებთ, რადგანაც ისინი მისაღებია თავისი ქლერადობით, ტრევადობით, მხატვრულობით. ასეთი ურთიერთობა ძალიან გამდიდრებს ჩვენს ენას. გარდა ამისა, თვითონ ჩვენ, ლიტერატორები, აუცილებლად ვიმუშავებთ ახალი სიტყვების შექმნაზე. ლიტერატურული ენის რეორგანიზაცია ჩვენი ბუნებრივი საქმეა. ამას თვით სინამდვილე მოითხოვს. იმ ლექსიკონში, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, იგი ვერ თავსდება. ეს ლექსიკონი უნდა გავაფართოვოთ, აგრეთვე ტონიც უნდა ავამაღლოთ, რომ გამოვხატოთ სინამდვილის ჰეროიკა. ეს, რასაკვირველია, ასე უტბად — ერთსა და ორ წელიწადში — არ გაკეთდება.

**პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ი ს გ ა მ ო .** რადგანაც თქვენ გიზიდავთ სინამდვილის წმინდა მხატვრული ასახვა, ხოლო მხატვრული მუშაობა — მოყოლა კი არ არის, არამედ სინამდვილის სახეებით, სურათებით გამოხატვაა, სჯობს გზიდან ჩამოიშოროთ პუბლიცისტიკა, პარალელურად წეროთ იგი, გამოიტანოთ ხელნაწერის გვერდებზე. მოსალოდნელია, თქვენ შეძლოთ ისეთი ფრაზის თქმა, მისი ისე აგება, რომ შემდგომში რომელიმე გმირისათვის გამოგადგეთ.

**შ ე ვ ე ლ ი ო ვ ა .** მე მინდოდა ენის გამო მელაპარაკა. ვცდილობ მოთხრობის დაწერას. მისი გმირია ბიჭი, რომელმაც ცხრაწლელი დაამთავრა და სტაჟისათვის ქარხანაში მუშაობს. აქ აუცილებლად უნდა ავწერო მდინარე მოსკოვი, ავწერო ბუნება. მე წყალი ფოლადისფერი მეჩვენება, იგი კი მარგალიტს ადარებს. და არ ვიცი, როგორ დაწერო: როგორც იგი ფიქრობს, თუ როგორც მე ვფიქრობ.

**გ ო რ კ ი .** თქვენ, ყოველ შემთხვევაში, ვალდებული ხართ მისი თვალებით იხედებოდეთ. მიეცით მას იმის სრული თავისუფლება, რომ იოცნებოს და წარმოიდგინოს ყველაფერი ისე, როგორც სურს.

თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ წერა წვიმასა და რუხი ფერის ცა-



ზე, მაგრამ მოთხრობებში უნდა დაიკვათ გმირთა თვალსაზრისი. თუ მათ თქვენი საკუთარი შეხედულებებით აღჭურვათ, ეს უკვე თქვენ იქნებით და არა გმირი. იგი იტყირება ფანჯარაში — გარეთ წვიმს, თქვენ კი აიძულებთ მოიგონოს მზე, ნათელი დღეები.

კ ი თ ხ ვ ა. რა უნდა ავიღოთ კლასიკოსებისაგან და რა უნდა უარვეყოთ?

გ ო რ კ ი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კლასიკოსთა ტექნიკის გამოყენება. რას აიღებთ თქვენ დოსტოევსკისაგან, გარდა ტექნიკისა? მის ადამიანები ჩინებულად ლაპარაკობენ, მაგრამ თვითონ დოსტოევსკი ხანდახან ასე წერს: „შემოვიდა ორი მანდილოსანი, ორივე — ქალიშვილი“.

ასეთი წამონაცდენი მას ბევრი აქვს, მაგრამ მისი რომანების ადამიანები ლაპარაკობენ ჩინებულად, დაძაბულად და ყოველთვის თავისი ენით. დიმიტრი კარამაზოვის ენა არ აგერევიათ ივანე და ალექსი კარამაზოვების ენაში.

როცა მის წიგნში გამოჩნდება ავტორის საყვარელი ლოთი, თქვენ გრძნობთ, რომ ამ ადამიანს მხოლოდ ისეთი ენით შეუძლია ლაპარაკი. როგორიათაც იგი დოსტოევსკიმ აღჭურვა.

დოსტოევსკი თავდაპირველად გოგოლს ბაძავდა, ხოლო შემდეგ პეტრაშევსკის წრეში მოხვდა, სადაც სოციალისტ-უტოპისტთა წიგნებს კითხულობდნენ. შემდეგ აღმოჩნდა საპურობილეში, მოედანზე და ბოლოს — კატორღაში. იგი ძლიერ გაანაწყენა ყოველივე ამან.

პეტრაშევსკის წრე ეს მისი ცხოვრების „ცოცხალი სახლი“ იყო. კატორღაში რომ არ მოხვედრილიყო, იგი ალბათ ისეთი არ იქნებოდა, როგორიც, „მკედარ სახლში“ — კატორღაში ცხოვრების შემდეგ გახდა. მას აღეძრა შურისძიების გრძნობა ყველა სოციალისტ-რადიკალის მიმართ. ეს გრძნობა მან კატორღიდან დაბრუნების შემდეგ ძირითადად გამოხატა თავის ნაწარმოებში — „წერილები იატაკქვეშეთიდან“, სადაც ჩვენ ვხედავთ ყველა მისი შემდგომი ნაწარმოების, რომანების იდეათა ჩანასახს.

ამ ძალიან მგრძნობიარე კაცს, სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის რომ იცხოვრა, განსაკუთრებული ინტერესი აღეძრა დამნაშავეის ფსიქოლოგიისადმი. მისი რომანები მეტწილად აგებულია სწორედ ამ ფსიქოლოგიაზე. საერთოდ, მისი ფილოსოფიური იდეების უმეტესობაც უცხოა ჩვენთვის, რადგან უფალ ღმერთს, როგორც მე ვფიქრობ, უკვე გავუსწორეთ ანგარიში სერიოზულად და სამუდამოდ, ჩვენ ღმერთებზე ჰკვიანები გავხდით, გაცილებით მეტი ვიცით. მაშასადამე, ამ მხრივ დოსტოევსკი ჩვენთვის საინტერესო არ არის, მისგან ვერაფერს ვაღმოვიღებთ, და ფსიქოლოგიურა-

დაც არ შეიძლება, მუშათა კლასის ადამიანმა აღიაროს სახელმწიფოებრიობის დოსტოვესკისებური იდეა: ეს შეუძლებელი რამაა, ეს ორგანული წინააღმდეგობაა.

ტოლსტოისაგან შეიძლება ისწავლოთ ის, რაც მე მხატვრულ შემოქმედების ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად მიმაჩნია — პლასტიკურობა, გამოსახულების საოცარი რელიეფურობა.

როდესაც მას კითხულობ, თითქოს გრძნობ — მე არ ვაპარებ, ვლაპარაკობ პირადი შთაბეჭდილების მიხედვით — მისი გმირების ფიზიკურ არსებობას, იმდენად მარჯვედ აქანდაკებს იგი სახეს; ეს გმირი თითქოს თქვენს წინაშე დგას, გინდათ კიდევ ხელით შეეხოთ მას.

აი, ეს არის ოსტატობა. მაგალითად, მისი მოთხრობა „ჰაჯი მურატის“ ერთი გვერდი პირდაპირ გაოცებთ. ძალიან ძნელია სივრცეში მოძრაობის გადმოცემა სიტყვებით. ჰაჯი მურატი თავისი ნუკერების — აღიუტანტების — თანხლებით ხეობაში მიდის. ხეობას ისე ადგას თავს ცა, ვით მდინარე. ცაზე ვარსკვლავებია. ვარსკვლავებია ხეობის ხვეულთა მიხედვით ინაცვლებენ ადგილებს ცისფერ მდინარეში. სწორედ ამით მწერალი გადმოგვცემს, რომ ადამიანები მართლაც მიდიან.

შემდეგ, ენის სიმსუბუქე, სიზუსტე შეიძლება ისწავლოთ ჩეხოვისაგან: მისი ფრაზა მოკლეა; ვერსად შეხვდებით ჩართულ წინადადებებს, — ამას იგი ყოველთვის მეტად მარჯვედ გაუბობდა.

ბუნინი ძალიან კარგი სტილისტია. მას ყველა მოთხრობა ისე აქვს დაწერილი, თითქოს ნახატებს კალმით ასრულებსო. ბუნინის სტილი ძალიან უდგება ნარკვევს ენის თავისი მშრალი სიზუსტით. იგი კარგად იცნობს ორიოლის ბუნებას. ყველა დიდი მწერალი კარგად იცნობდა მხოლოდ ტულის, ორიოლის და კალუგის გუბერნიებს, რადგანაც თითქმის ყველა ისინი იქაურები არიან.

ახლა შემოდის სხვაგვარი ლიტერატურა: არიან ციმბირელი მწერლები, ურალელები და სხვები. ნაცუმციირესობათა გარდა ჩვენ ავლავ გვექნება კუთხური ლიტერატურა. მაგალითად, ასეთია შოლოხოვის „წყნარი დონის“ მესამე ტომი. შოლოხოვი წერს, როგორც დონზე, კახაკთა ყოფა-ცხოვრებაზე, ბუნებაზე შეყვარებული კახაკი. ასევე აღტაცებით აღწერენ ციმბირელები თავიანთ ციმბირს.

შეკითხვა. მე ვწერ ახალგაზრდების, კომკავშირის ცხოვრებაზე. კომკავშირს აქვს ძალიან ბევრი უშუალო სპეციფიკური, კომკავშირული, ახალგაზრდული სიტყვები. როდესაც მათ ხმარობ, კრიტიკოსები ქოქოლას გაყრიან, რა საჭიროაო, — ამბობენ:

გ რ კ ი. რასაკვირველია, ყველაზე უფრო დამახასიათებელი,

ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული სიტყვების გამოყენება საჭიროა. ისინი ახასიათებენ გარემოსა და ადამიანებს. ხომ არსებობდა ამქრული ენა. მაგალითად, ზოგიერთი ადგილების ფეიქრები თავიანთი ენით ლაპარაკობდნენ; საკუთარი ენა ჰქონდათ აგრეთვე მკენტავებსაც, სოფელ თერძებსაც და სხვ. განსაზღვრული კოლექტივი თავის წრეში ქმნის და პოულობს რომელიღაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, სიტყვებს. ამ სიტყვებით, ამ ენით ხელოსნები თავიანთ საიდუმლოს ფარავდნენ.

ახალგაზრდული ლიტერატურის შესახებ. ახალგაზრდობაზე ბევრი იწერებოდა. ბევრი ნაწარმოები, შესაძლოა, არც მოვიგონოთ — მაგალითად, გუმბელევის „ძაღვის შუკა“, ან კიდევ — „მთვარე მარჯვენა მხრიდან“. „პირველი ქალიშვილი“ და სხვა ასეთი წიგნები — რომლებმაც უჩვეულო ყურადღება მიიპყრეს და ხანგრძლივი დავა გამოიწვიეს.

როდესაც კაცი პირველი პირით წერს, უნდა ახსოვდეს, რომ ამ „მეს“ თვალთახედვის არე შეზღუდულია. მას არ შეუძლია დაინახოს ის ამბები, მისი ოთახის გარეთ ან მისი სოფლის მიღმა რომ ხდება. ბოგდანოვს კი ასეთი შეცდომები აქვს.

მე ეს ნაწარმოები მიმაჩნია ქალის შეურაცხმყოფელად. რადგან მასში მოჩანს გაუმართლებელი და უხამსი დამოკიდებულება ქალისადმი. განა იგი დამნაშავეა, რომ მას სიფილისი შეჰყარეს? თუ მართლაც იყო ასეთი კერძო შემთხვევა, იგი ასეთად უნდა დავინახოთ: რა საჭიროა მისი ტიპიზაცია. იყო შემთხვევები, რომელთაც ტრაგიკული ფინალი ჰქონდათ. არ შეიძლება კერძო შემთხვევა ტიპიურ მოვლენად გავასაღოთ, როგორც ეს ბოგდანოვმა ქნა. ახლა რომ ვინმე თქვენგანმა სკამი შესროლოს, განა თქვენ ყველანი დამნაშავენი იქნებით? დამნაშავე მხოლოდ ის იქნება, ვინც მესვრის.

ბოგდანოვი ჭერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა; იგი ოცდასამი წლისაა. უეჭველია ნიჭიერი. მას ნეაპოლში ვესაუბრე. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. რომ ვუთხარი, აჩქარებულხარ-მეთქი, დამეთანხმა.

ასეთი ნაუცბათევად დაწერილი წიგნი ჩვენში ძალიან ბევრია. და ყოველთვის ცუდია, როცა ადამიანს საკუთარივე კლასის, თავისი კოლექტივის, თავისი ჯგუფის, თავისი წრის მსაჯულად მოაქვს თავი. ბოგდანოვი კი, ამ შემთხვევაში, სწორედ ასეთი მსაჯული და კანონმდებელიც კი აღმოჩნდა.

მისი წიგნი, ძირითადად, ამ წიგნის იდეა, სასაცილო შემთხვევის გამო, გამოხატავს ფრანგულ ბურჟუაზიულ კანონს: თუ ქალმა გიდალატა, მოჰკალ იგი. ვფიქრობ, ჩვენს პირობებში ასეთი ფრანგულ-

ლი კანონები, ისევე როგორც ფრანგული ავადმყოფობა, — საერთოდ შეუფერებელია. ამ შემთხვევაში კი სწორედ ასეთი რამ გამოვიდა.

აღნიშნული წიგნი არ მომეწონა. საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ აქამდე არ წამიკითხავს ახალგაზრდობის ყოფისადმი მიძღვნილი რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი წიგნი. რასაკვირველია, მე ნაკლებად ვიცნობ ახალგაზრდობას, მაგრამ რამდენადაც ვიცი, მას არ ახასიათებს ის თვისებები, ჩვევები, ჩვეულებანი, რომელიც თქვენ მემკვიდრეობით, ან ხრწნადი, მომაკვდავი სამყაროს გავლენით მიგიღიათ.

ჩვენ არ შეგვიძლია ცამეტი წლის განმავლობაში გარდავიქმნათ არათუ ანგელოზებად, არამედ სრულიად ახალ ადამიანებადაც კი: თვითვე ჩვენგანს ძველიდან შემორჩენია ზოგიერთი რამ. თქვენ კი არ გამოირჩევით, იმით კი არა ხართ საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ თქვენში ცოცხლობს წარსულის გამოძახილი. არამედ იმით, რომ ახალი სინამდვილის შემოქმედნი ხართ: ამასთან. შემოქმედება გამოსატულია იმ ფორმებით, რომლებიც არა მარტო ისტორიული. არამედ თითქმის გეოლოგიური პროცესების განხორციელების საშუალებასაც კი იძლევიან. ჩვენ საკმაოდ უბრალოდ მივეჩვიეთ მსჯელობას იმ საგანზე, რომ მესაკუთრეთა კლასის ნახევარი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეებად გარდაიქმნა. ფაქტიურად კი ეს ძალიან რთული და ძნელი საქმეა. მომავალში, როდესაც თქვენს შვილებს თავისუფალი დრო ექნებათ, რათა ჩაუფიქრდნენ ამას, შესაძლოა მათ დიდხანს ახამხამონ თვალები იმით გაოცებულებმა, თუ როგორ გახდა შესაძლებელი ყოველივე ეს.

მე სრულებითაც არ უარვყოფ თვითკრიტიკას. მაგრამ რატომ არის აუცილებლად საჭირო ასეთი გულმოდგინებით უკან მოხედვა, როგორადაც ამას სჩადიან? რა საჭიროა ადამიანის ნაკლის, მისი ცუდი თვისებების აუცილებლად აღნიშვნა? სოციალურად და სოციალიზატურადაც უფრო სასარგებლოა იმ კარგის, იმ ნამდვილად მნიშვნელოვანისა და ძვირფასის დანახვა, რაც მას შეაქვს ცხოვრებაში. ეს კიდევ უფრო მეტი სწრაფი ზრდის საშუალებას მისცემს მას. კარგი უნდა მკვიდრდებოდეს ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვნად, რომ მან მოახლოვოს ის გამარჯვება, რომელსაც ჩვენ ვესწრავით და აუცილებლად მოვიპოვებთ.

მე სრულებითაც არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ ადამიანი შევახუროთ. მაგრამ საქმე ეს კი არა, არამედ ის არის, რომ ავსახოთ სიცოცხლისადმი, გამარჯვებისადმი, გასაოცარი მშენებლობისადმი. მთელი სამყაროს ათვისებისადმი მისწრაფების ნათელი სურათები:

ჩვენი ცხოვრებისა. ის, რაც ჩინეთში, იტალიაში, ესპანეთში, მთელ  
ქსოფლიოში ხდება, აიხსნება არა მარტო ეკონომიური კრიზისითა  
და უმუშევრობით, არამედ იმ ენერჯის მოქმედებითაც, საბჭოების  
კავშირიდან რომ გამოდის.

პატარა ქალაქ სორენტოში 1924 წელს ერთ ქუჩაზე ეწერა: „ვი-  
ვა! ლენინ“. პოლიციამ ყვეთელი საღებავი გადაუსვა წარწერას.  
ისევ დაწერეს ახლა უკვე წითლად: „ვივა ლენინ“. პოლიციამ გადა-  
შალა მურა საღებავით. ახლა თეთრად დაწერეს: „ვივა ლენინ“.

ახლაც არის ეს წარწერა.

ხომ ხედავთ, იქაც, შორს, იგრძნობა იმ ეპოქის სუნთქვა, რომე-  
ლიც ჩვენში იწყება; აქ მისი ტენდენციები ყველაზე უფრო ნათლად  
არის გამოხატული. რაც უფრო წინ მივდივართ, უფრო მეტ გავლენ-  
ას ახდენს და მოახდენს იგი. აი, რა არის საყურადღებო: აქ იგრძ-  
ნობა ენერჯის ძალა. ენერჯია პატარ-პატარა ნაკადულებად  
მიედინება საჭირო მიმართულებით და აღწევს თავის მიზანს.

გუშინ, აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსი-  
ტეტში მე ენახე ბუთასი კაცი. თვითული მათგანი ხომ აქედან თა-  
ვის სამოედურ, ინდურ და სხვა ქვეყნებში გაემართება. რას წაიდუ-  
ბენ თან ისინი? სწორედ იმ ენერჯიას, აქ რომ შეითვისეს ამ ორი-  
სამი წლის მანძილზე.

აი, რა არის საქმე, აი, რა არის ჩვენი ყოფის აზრი.

მე ხომ რამდენადმე ერეტიკოსი, იდეალისტი ვარ, რადგანაც ის  
ადამიანები, რომლებთანაც ცხოვრებას მივეჩვიე, რომელთა შესახე-  
ბაც გარკვეული აზრი მაქვს, ბევრ შემთხვევაში უკეთესებად მიმაჩ-  
ნია, ვიდრე ისინი თვლიან საკუთარ თავს. ამაში მე არა ვცდები.

## [(ოზორ ვწერი]

1. მგონი, თორმეტი წლისა ვიყავი, წერა რომ დავიწყე. საამისო ბიძგი მომცა „გამოცდილებით გადამეტჯერებამ“. თავდაპირველად ვიწერდი ანდაზებს, ანდაზურ თქმებს, არაკებს, ისინი აყალიბებდნენ ჩემს პირად შთაბეჭდილებებს: «**Эх, жить, весело, да — бить некого**», ან კიდეც — მომწონდა თავისებური დაღვლარკნილობის გამო: «**Кишка кишке кукиш кажет**». მე რასაკვირველია, ვიცოდი, რა არის ბრანწი (кукиш), მაგრამ მარცვალი „კუ“ ბოლოდან მეორეში და ასო „ტ“ უკანასკნელ სიტყვაში ზედმეტად მეჩვენებოდა და ანდაზას ასე ვკიახულობდი: «**Кишка кишке — кишка же**». შემდეგ თვითონ დავიწყე ანდაზური თქმების შეთხზვა: «**Сел дед, поел дед, вспотел дед, спросил дед: скоро ли обед?**» ვიწერდი წიგნებიდან გაუგებარ ფრაზებს: „არსებითად — თოფის წამალი არავის არ გამოუგონია“. დიდხანს არ მესმოდა, რას ნიშნავს „არსებითად“, ხოლო სიტყვა „არავის“ (никто) ისე გავიგე, როგორც „ვინმე, ვილაც“ (некто). ეს გაუგებრობა ისე ძლიერ ჩაეკედა ჩემს გონებას, რომ 1904 წელს პიესა „მოაგარაკეების“ ერთ-ერთი გმირი კითხვაზე „არაინ ყოფილა?“ უპასუხებს: „არაინს არ შეუძლია ყოფნა ან არყოფნა“. ვთხზავდი ლექსებს და, მახსოვს, დიდხანს ვფიქრობდი ერთი ლექსის სიტყვებზე:

„კარეტა შიღის“—

ვინ შიღის — კარეტა თუ ცხენი? ვკითხულობდი ბევრს, განსაკუთრებით თარგმანებს. მიყვარდა ბიბლიის კითხვა, აგრეთვე კუროჩკინების ყოველკვირეული სატირული ჟურნალის „ისკრის“ კითხვა, რომელსაც მოიჭარე კოკორევი სცემდა. ნაწარმოებების ბეჭდვა დავიწყე 1892 წლიდან, მაგრამ 1895 წლამდე არ მჭეროდა, რომ ლიტე-

რატურა ჩემი საქმე იყო. პატარა საგაზეთო მოთხრობებს სერიოზულ საქმედ არ ვთვლიდი, და ეს შეცდომა იყო, — წერა სწორედ პატარა მოთხრობებზე უნდა ისწავლო, პატარა მოთხრობა აჩვენებს ავტორს სიტყვების ეკონომიურად ხმარებას, უფრო მკიდროდ წერას.

2. უპირატესად ავტობიოგრაფიულ მასალას ვიყენებდი, მაგრამ ჩემს თავს მოვლენების მოწმედ ვახაზვდი; ვერიდებოდი მოქმედ პირად გამოსვლას, რომ ხელი არ შემეშალა საკუთარი თავისათვის, ცხოვრების ამბების მომთხრობისათვის. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მეშინოდა შემეტანა წარმოსახულ სინამდვილეში რაიმე „ჩემი“ ის „მონაგონი“, რომლის შესახებაც უთქვამს ტურგენევის და ურომლისოდაც არ არსებობს ხელოვნება. მაგრამ როდესაც ავტორი წარმოსახვის დროს თავს იწონებს — თავისი ნიჭით, ცოდნით, მოზღვნილი სიტყვით, თვალის სიმახვილით, — იგი თითქმის გარდუვალად აფუჭებს, ამახინჩებს მას, რასაც „მხატვრული სინამდვილე“ ეწოდება. თავის მასალას აფუჭებს იგი მაშინაც, როდესაც ძალას ატანს თავისი გმირების სოციალურ ბუნებას და აიძულებს მათ სხვისი სიტყვებით ილაპარაკონ, ისეთი საქმეები ჩაიღინონ, რომლებიც ორგანულად შეუძლებელია მათთვის. ყოველი გამოსახული ადამიანი მადანსა ჰგავს — იგი ფორმას იღებს ან იშლება განსაზღვრული იდეოლოგიური ტემპერატურის დროს. „იგი დამუშავებით“ ადამიანს ვერაფერს უზამ, მხოლოდ გააფუჭებ. ამიტომ მწერალს ცოტა უნდა უყვარდეს თავისი მასალა — ცოცხალი ადამიანი — ან თუნდაც შექმნაროდეს მას, როგორც მასალას.

3. თითქმის ყოველთვის, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ გმირის ხასიათი იქმნება მისი სოციალური ჯგუფის, მისი რიგის სხვადასხვა ადამიანებისაგან აღებული მრავალი ცალკეული თვისებით. აუცილებელია ძალიან კარგად დააკვირდე ორ ასეულამდე ხუცესს, მელუქნეს, მუშას, რომ მიახლოებით სწორად დახატო ერთი მუშის, ხუცესის, მელუქნის პორტრეტი.

4. ცხადია, უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილება, რომელიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს მსოფლშეგრძნებაში, მსოფლგაგებაში უკვე განმტკიცებულ გამოცდილებაზე, ესე იგი იდეოლოგიაზე. ორი შემთხვევა მქონდა, როდესაც სხვა მასალით ვსარგებლობდი: ეს არის მოთხრობები „აღსარება“ და „ზაფხული“. „აღსარება“ შექმნილია ერთი ნიყეგოროდელი სექტანტის ნამშობლისა და ნიყეგოროდის სემინარიის მასწავლებლის კულრინსკის — „ბოგდან სტეპანცის“ — მიერ ამ სექტანტზე დაწერილი სტატიის მიხედვით;<sup>1</sup>

<sup>1</sup> თუ არ ვცდები, სტატია დაბეჭდილი იყო ჟურნალ „იუნში“.

„ზაფხული“ კი — მარტოხელა ესერი პროპაგანდისტის ჩანაწერების მიხედვით, რომელიც, როგორც ჩანს, რიაზანის სოფელში მუშაობდა და 910 აუ 9 წელს გარდაიცვალა ქ. მცენსკის საავადმყოფოში.

5. ვმუშაობ დილით, 9-დან პირველ საათამდე, საღამომობით 8-დან 12 საათამდე. უფრო წარმატებით — დილით.

6. არ ვიცი. არასოდეს არ დამითვლია. იყო შემთხვევები, როდესაც მაგიდიდან აუღგომლად ვწერდი მთელი დღე-ღამისა და მეტა ხნის განმავლობაში. ასეა დაწერილი: „იზერგილი“, „ოცდაექვსი მამაკაცი და ერთი ქალი“. ხოლო „ადამიანის დაბადება“ დაწერილია სამ საათში. მგონი, უფრო ნაკლებ დროშიც.

7. პაპიროსს ვეწევი. ბევრს. ახლა — მუშაობის დროს ათიქმას განუწყვეტლივ.

8. კალამი. საწერი მანქანა, ვფიქრობ, უნდა ვნებდეს ფრაზის რიტმს. ხელნაწერებს ვასწორებ ორჯერ, სამჯერ. საბოლოო რედაქციის დროს ეშლი მთელ გვერდებს, სცენებს.

9. გეგმას არასოდეს არ ვადგენ, გეგმა თავისთავად იქმნება მუშაობის პროცესში, მას გამოიმუშავენ ხოლმე თვითონ გმირები. მიმაჩნია, რომ მოქმედ პირებს არ შეიძლება უკარნახო, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი. თვითეულ მათგანს აქვს მოქმედების თავისი ბიოლოგიური და სოციალური ლოგიკა, თავისი ნებისყოფა. ამ ღირსებებით იღებს მათ ავტორი სინამდვილიდან, როგორც თავის მასალას, მაგრამ როგორც „ნახევარფაბრიკატს“. შემდეგ იგი „დაამუშავებს“ მათ, ხვეწს თავისი პირადი გამოცდილების, თავისი ცოდნის ძალით; მათ მაგივრად ამბობს იმასაც, რაც ველარ ტქვეს, გააკეთებინებს იმ საქმეს. რომელიც მათ არ გაუკეთებიათ, მაგრამ თავიანთი „ბუნებრივი“ და „კეთილშენაძენი“ თვისებების მიხედვით უნდა გაეკეთებინათ. აქ ადგილი ეთმობა „გამონაგონს“ — მხატვრულ შემოქმედებას. იგი ცოტად თუ ბევრად სრულყოფილი იქნება მაშინ, როდესაც ავტორი ბოლომდე დაასრულებს თავიანთი გმირების მოქმედებას მათი ძირითადი თვისებების ზუსტი შესატყვისობით. დოსტოევსკის თიაქმის ყველა გმირი, განსაკუთრებით კი ივანე და დიმიტრი კარამაზოვები, თავადი მიშკინი, სტავროგინი, გრუშენკა — ბოლომდე დამთავრებულია, ისინი ტიპებია. მაგრამ რასკოლნიკოვს მან თავი მოუქცია უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად, რათა წამების შენდობის ქრისტიანული, არაადამიანური იდეისათვის დაექვემდებარებინა. სავსებით დამთავრებულ ტიპებად მიმაჩნია მე, ცხადია, ჰამლეტი, ფაუსტი, დონ-კიხოტი, რობინზონ კრუზო, ვერთერი, მადამ ბოვარი, მანონ ლესკო. ეს ჩემთვის უკვე მონუმენტური შემოქმედებაა, როგორც ალბათ ყველასათვის, ვინც ოდნავ



მაინც გრძნობს სრულყოფილ ჰარმონიას, გამოხატულს თუნდაც ხანდახან უარყოფით სახეშიც. მაგალითები: გოგოლის „შეკვდარულულებისა“ და „რევიზორის“ ტიპები, სალტიკოვ-მჩეღრინის „იულუშკა“ გოლოვლიოვი, დიკენსის დომბი-მამა და სხვა ხასიათები, პიუგოს ქვაზიმოდო და სხვ. ვიმეორებ: ოსტატმა არა მარტო კარგად უნდა იცოდეს, არამედ უნდა უყვარდეს კიდევ თავისი მასალა, უფრო ზუსტად — შეჰხაროდეს მას. მარმელადოვი, კარამაზოვი-მამა და ბევრი მათი მსგავსი გმირი დოსტოევსკისა — საზიზღარნი არიან, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ისინი დოსტოევსკიმ უდიდესი სიყვარულით შექმნა, აუშკა სინამდვილეში, როგორც მგონია, მას არ უყვარდა ადამიანები.

10. ყველაზე ძნელია დასაწყისი, სწორედ პირველი ფრაზა. იგი, როგორც ეს მუსიკაშია, ტონს აძლევს მთელ ნაწარმოებს, და, ჩვეულებრივ, მას ძალიან დიდხანს ეძებ. ეს არის მე-12 კითხვის პასუხიც.

11. რასაკვირველია — ყველა აღქმას.

13. იშვიათად ვკითხულობ ხმამალა ჩემს ნაწარმოებებს, მაგრამ მიყვარს სხვათა კარგი ნაწარმოების ხმამალა კითხვა.

14. როცა ნაწარმოებს ვამთავრებ, ვკითხულობ მთლიანად მას გაკვირვებით. და თითქმის მუდამ — მარცხის შეცნობის მძიმე გრძნობით.

15. ვცადე ტექსტის შემცირება 23 წელს, თხზულებათა კრებულის პირველი გამოცემის დროს. ეს სამუშაო არ დამიმთავრებია, აღმეძრა სოკრავალი ნაწერების ნახევრის განადგურებისა.

16. რეცენზიებს არასოდეს და არავითარი გავლენა არ ჰქონიათ ჩემზე. თანამედროვე რეცენზიებს ხომ განსაკუთრებით არ შეუძლიათ გავლენის მოხდენა, რადგან ხელავ, რომ რეცენზენტები უყუარადღებოდ, უუნაროდ კითხულობენ წიგნებს და ხშირად არ ესმით წაკითხული. ეს, ცხადია. მარტო ჩემს წიგნებს არ შეეხება, არამედ რეცენზენტთა საერთო მანკია. იგი განსაკუთრებით ძლიერ ზიანს აყენებს ახალგაზრდა, „დამწყებ“ მწერლებს. საჭიროა აღვნიშნოთ რედაქტორთა დაუდევარი დამოკიდებულება რეცენზიებისადმი: როგორც ჩანს, რედაქტორებიც უყუარადღებოდ კითხულობენ მათ; შესაძლოა, არც კი კითხულობენ.

## „პოეტის ბიბლიოთეკის“ თარგანე

ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად უნდა იცოდეს, რა ადგილი ეჭირა და რა მნიშვნელობა ჰქონდა პოეზიას კულტურის ისტორიაში, რა როლი შეასრულა მან ბურჟუაზიული საზოგადოების ზრდის, დაქვეითებისა და გახრწნის ისტორიაში. რატომ გაჩნდა „გამარჯვებული“ კლასის — ბურჟუაზიის — რიგებში XIX საუკუნის დასაწყისიდან ამდენი დიდი პოეტი-პესიმიტი? რატომ დაისახეს სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ენის ამ ადამიანებმა თითქოს და ის საერთო ამოცანა, რომ შეერიგებინათ გამარჯვებულნი და დამარცხებულნი ყოფიერების უაზრობის ქადაგებით, იმის ქადაგებით, რომ ადამიანთა გონება და ნება უძლურია გადაჭრას ცხოვრების „წყვეთი კითხვები“? რატომ ვერ შექმნა „გამარჯვებულმა“ ბურჟუაზიამ ვაჟკაცური, გმირული ხასიათის პოეზია? იმიტომ ხომ არა, რომ იგი მშრომელი ხალხის დამონებაზე აგებდა თავის ცხოვრებას, ხოლო ამას აღწევდა მექანიკური სიადვილით, ენერჯის ძლიერი დაძაბვის გარეშე? იმიტომ ხომ არა, რომ მისი საზოგადოებრივი წყობილების მთელი არსი მოგების არაადამიანური, ბინძური საქმე და ვულის დაგროვების უგუნური პროცესია? XIX საუკუნემ კი განსაკუთრებული სიციხადით გამოავლინა ეს თავისი არსი იმავე ბურჟუაზიის ყველაზე ნიჭიერი და პატიოსანი შვილების წინაშე და აქედან განუვითარდათ შვილებს ცხოვრების არსის უარყოფა, მისი სიძულვილი, „მსოფლიო სევდის“, პესიმიზმისა და მიზანთროპიის მიდრეკილება.

როგორც ცნობილია, ამ განწყობილებებით დაავადებულნი იყვნენ ბაირონი და ლეოპარდი, ლენაუ და ალფრედ მიუსე, ბორატინსკი, ლერმონტოვი, ბოდლერი, სოლოგუბი და ბევრი სხვა; არც „ოლიმპიელ“ გოეთესა და მგზნებარე შილერისათვის ყოფილა ეს განწყობილებები უცხო ხილი.

ყველა ამ კითხვას ჩინებულად გასცემდა პასუხს ევროპის XIX საუკუნის პოეზიის ისტორია. მაგრამ გამომცემლობას, რომელიც იტოვებს იმის უფლებასა და მოვალეობას, რომ მომავალში მიუბრუნდეს ამ ისტორიას, საჭიროდ მიაჩნია საბჭოების კავშირის აპალგაზრდობას ჯერ XIX საუკუნის რუსული პოეზიის ზრდა-განვითარება გააცნოს.

ჩვენი ახალგაზრდობა — მზარდი, აღმავალი ძალაა და იგი ისტორიის ლოგიკით მოწოდებულია შექმნას ცხოვრების ახალი ფორმები და პირობები. იგი უნდა იცნობდეს ბურჟუაზიის განვითარებისა და გახრწნის ისტორიას. მან უნდა იცოდეს, რა მიზეზებმა გამოიწვიეს ბურჟუაზიის დაცემა, რატომ წაიბოროცია ევროპისა და რუსეთის მემჩანობამ, როგორი სისრულითა და სიმართლით გამობატეს ბურჟუაზიის შეიღმა პოეტებმა თავიანთი მამების გამოფიტვის პროცესი და პირადი დრამები — მამების მხერ შექმნილი სინამდვილით უკმაყოფილო „ზედმეტ აღამიანთა“ დრამები. ყოველივე ეს აუცილებლად უნდა გაიგონ ჩვენმა ახალგაზრდა მკითხველებმა.

ხოლო ჩვენმა პოეტებმა, ყოველივე ამას გარდა, კარგად უნდა იცოდნენ რუსული პოეზიის ისტორია. მათ უნდა იცოდნენ, სიტყვის ტექნიკის რა ხერხებს იყენებდნენ წარსული დროის პოეტები. როგორ ვითარდებოდა, მდიდრდებოდა რუსული პოეზიის ენა, როგორ მრავალფეროვანი ხდებოდა ლექსის ფორმები. საჭიროა შემოქმედების ტექნიკის ცოდნა. საქმის ტექნიკის ცოდნა — ეს საქმის ცოდნაა. ტექნიკა, აღებული მთლიანად — შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში — კულტურული ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ძალაა, კულტურის მთელი პროცესის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძალაა. შეიძლება ბევრი რამ დაინახო, წაიკითხო. ზოგიერთი რამ წარმოისახოს, მაგრამ გაკეთებას უნარი სჭირდება. უნარი კი ტექნიკის ცოდნაზე დამოკიდებული. სიტყვაზე მუშაობის პროცესში მონაწილეობს გამომგონებლობის უნარი, — ჩვენ კარგად ვიცით, როგორ მტანჯველი და უნაყოფოა იმ გამომგონებლის შრომა, ვინც ტექნიკას არ იცნობს და როგორ ხშირად ხელახლა გამოიგონებენ ხოლმე კარგახნის წინათ ცნობილ საგნებს.

ბევრ ჩვენს პოეტს როდი შეუძლია დაიტრახოს თავისი საქმის ისე კარგად ცოდნა, როგორც ეს საჭიროა. და მათგან მხოლოდ ერთას თუ ესმის, რაოდენ დიდად აღელვებს მთელ მშრომელ სამყაროს საბჭოების კავშირის მუშათა კლასის მიერ შექმნილი სინამდვილე; როგორ გამსჭვალავს ამ სამყაროს ოქროთი მდიდარი, მაგრამ სულით დატაკი მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საკუთრების უქონელი, მაგრამ რევოლუციური ენერგიით მდიდარი პროლეტა-

რიატის მსოფლიო ბრძოლის უდიდესი იმედები და გარდუვალი ტრაგედიის წინაგრძნობა. ცხოვრება მოითხოვს გმირულ პოეზიას, მზარდი ტრაგედიის არსში ჩამწვდომ პოეზიას. ცხოვრებას ჭერ კიდევ არასოდეს არ მოუთხოვია პოეტისაგან, საერთოდ, ლიტერატორისაგან, ასე ბევრი რამ და არასოდეს არ იძლეოდა ლიტერატურა ასე მცირედს, როგორც დღეს; არასოდეს არ ყოფილა იგი ასე ძუნწი. ეს მხოლოდ ლიტერატორთა თვალთახედვის შეზღუდულობით, ცხოვრებისადმი მათი არასაკმაო ყურადღებით, მისი არასაკმაო ცოდნით შეიძლება აიხსნას. კულტურული კაცი ვერ გახდება, თუ არ იცო კულტურის ისტორია; აწმყოს ჭეშმარიტ არსსა და მომავლის მიზნებს ვერ გაიგებ, თუ წარსული არ იცი.

ჩვენი, საბჭოების კავშირში, ჩვენი გმირული, რთული სინამდვილე პოეზიაში ჭერ კიდევ ვერ პოულობს ძლიერ გამოძახილს, თუმცა საამისო დრო უკვე დადგა! ჩვენმა პოეტებმა ხელი უნდა მოჰკიდონ ახალ თემებს — იმ თემებს, რომელთაც გასული საუკუნის პოეზია აღარ ეხებოდა. არის თუ არა ცხოვრებისადმი პოეტების ყურადღების გაფართოების ცდები? არის, მაგრამ ამ ცდებში ელინდება სამწუხარო ტექნიკური უღონობა, პოეტური კულტურის უქონლობა. აი, დამახასიათებელი ნიმუში — „მისაბაძი“ თავისი არსით, მაგრამ სავალალო თავისი უხეირო ფორმითა და კიდევ უფრო სამწუხარო, როგორც თანამედროვე პოეზიის მიზნების გაუგებლობის ნიშანი. ამ ზაფხულს ჩვენს ერთ-ერთ უურნალში დაიბეჭდა ასეთი ლექსი:

### (ბეჰნიკა) X (ალლო)

ფუტკარს შეუძლია თავისი ცვილის უკრედეზის აგებით შეარცხვინოს კიდევ ზოგიერთი ადამიანი — არქიტექტორი. მაგრამ ყველაზე ცუდი არქიტექტორიც კი დასაწყისშივე სჯობს ყველაზე უკეთეს ფუტკარს იმით, რომ, სანამ ცვილის უკრედეზს ააგებდეს, მას იგი უკვე აშენებული აქვს თავის გონებაში.

კ. შ ა რ ქ ს ი

ჩვენ კაპიტალი გვასწავლის, თურმე  
(პირველი ტომის მეხუთე თავში)  
ახალი სახლი თავდაპირველად  
აღმოცენდება ჭერ კაცის თავში.  
თუმც ჭერ ნამცეცა და ჭუჭა ტანის,  
მაგრამ მთლიანად დამთავრებული,

ის იბადება იწყინებთ ტკინში—  
კალის ქალღმერთ მოფიქრებული.  
რომ ააშენოს ფიჭის ღრმულები.  
ფუტკარს—ამ მხატვარს არა სკირდება  
წინასწარ შექმნას მონახაზები,  
მიახლოებით რიცხვთა ძაბა.  
ხუროთმოძღვრის და მწერის წინაშე  
ორი გზა არის—შედგევი ერთი  
(ზოგი ალღოს ცვლის თავის დიპლომით  
ზოგისთვის ალღო არის თავი ღმერთი...)  
შენ კი, ვინც ტკბილი გარმონის ხმებით  
სოფლიდან მოხვეწ, ყველას უთხარი,  
შენ ვინ გსურს გახდე, სეზონის მუშავე,  
არქიტექტორი თუ ეს ფუტკარი.  
როცა ფაბრიკას აშენებ, ზიდაე  
ფისსა და ცემენტს ფიტრული კიბით,  
ამით არ ავსებ და არა პოხავე  
მაგ ხარაჩოებს თაფლით და ფისით.  
შექმენ, რომ იყოს ნართი, ქსოვილი,  
თუმცა ჯერ არ გესმით საქმის სირთულე,  
იქნებ ჯერ კიდევ ხარ უწიგნურიც—  
სახლის მხურავი, ხურო, მელუმლე.  
ჩვენ მარტოდ, ბრძოდ და მელდებურობით  
ვერ ავაშენებთ შრომის საფუტკრეს,  
უნდა ტექნიკა ძრავდეს თითისტარს  
და ქალაქს წიგნი ძარღვში გაუჭდეს!  
ხედავ?—ყვავილნი თაფლს იწურავენ,  
ხედავ? — ციფრთ ცეცხლი ჰქრის ჩაუმქრალი,  
მაშ, შეატყუებ შენში ორთავე—  
არქიტექტორი და ეს ფუტკარი!

ეს ხმელეთზეა, მაგრამ ზღვაზე კი  
ვიღაც იძახის — „მარცხნივ!“ და „მარჯვნივ!“  
ვიღაცა მართავს ომახიანად  
და თან უსწორებს ეკიბაქს ნაბიჯს.  
მხიარულია თუმცა კაბიტანზე,  
მაგრამ უვიცი და უგუნურიც—  
ნაფოტა თევზი, ვისაც ნისლისგან  
და ქარიშხლისგან არ უკრთის გული.  
შენ კი, მატროსო, სეკლის ნაკეცმა  
მაგ ლურჯ ტილოზე ასე დაგხატა,  
ხედავ ვინ იქნები, წითელფლოტელო,  
ნავიგატორი თუ ეს ნაფოტა.  
თევზის ჯოგებით სავსე ეს წყალი,  
ხედავ, საქემ თუ როგორ გაფატრა?  
მაშ, შეატყუებ შენში ორთავე—  
ნავიგატორი და ეს ნაფოტა!

ეს—ზღვაში, მაგრამ მადლა ლაქვარდში  
შეხე, საწვავი ვით ექიმება  
მიწიერ წონას, რომ ზეცას ასწვდეს  
ჯიუტთა ნება და გამარჯვება.  
თუმც არა ნაკლებ ზეცაში აქრა  
მსუქან ხოქოსაც ხომ შეუძლია,  
თუმც გაზრდილია მხოლოდ გუბეში,  
თან უსწავლელი და უგნურია.  
შენ, თვითნაკეთებ მოტორს ვინც გაეხარ,  
პირველად ბავშვურ ბიძგით ნათრთოლი,  
სთქვი, მეოცნებე, ხვალ ვინ იქნები,  
მარტო ხოქო თუ ავიატორი?  
ხელავე?—ცვივიან დაბლა რაიტნი,  
მალლით დაჭურვებთ ზეცის ნათოვი,  
მაშ, შეატყუებ შენში ორთავე  
ერთად ხოქო და ავიატორი!

ეს ჰაერშია, მაგრამ აღრეულ  
განლაგებაში ხალხთა ფენების  
ჩვენ ვართ ის მხეცნი, ვინც თავი იცხო,  
ვინც მიწას მართავს თავის ხელეებით.  
მაგრამ, იმავ დროს, სადაც ნეშოთი  
დაფარულია ძეწნის ფესვები,  
შეუგნებელი მაგრამ ძლიერი  
ცხოვრობს ლაშქარი კიანკველების.  
შენ, ვინაც ღმერთი სულ დაივიწყე  
და მოძალადე გამოხარ ყველა,  
სთქვი, მშენებელო, ხვალ ვინ იქნები  
შენ მოქალაქე თუ კიანკველა?  
მათ სახელმწიფო წყობაში ვერსად  
ვერ ნახავთ, მართლაც, თავადებს, გრაფებს.  
მაშ, შეატყუებ შენში ორთავე—  
ეს კიანკველა და მოქალაქე!

ასე ტექნიკას ვამყნობთ ალღოზე  
და ვათასებთ მშრომელი მასა,  
ჩვენ ასე ვსწავლობთ ბუნებისაგან,  
და, თუკი ვსწავლობთ, ვასწავლით მასაც.

რამდენიმეჯერ წავუკითხე ეს ლექსი სხვადასხვა ადამიანებს.  
მსმენელები ან გულგრილი დუმილით ისმენდნენ ლექსს, ან ზერე-  
ლედ აკრიტიკებდნენ მის ტექნიკურ სისუსტეს. უნდა ითქვას, რომ  
ამ დიდაქტიკურ ჰკუისდარიგებათა სისუსტე ძლიერ აშკარაა და მი-  
სი დანახვა ძნელი როდია. მაგრამ არავის არ აღუნიშნავს ის, რომ  
ქვეშაარითად რევოლუციური ფილოსოფიის ფუძემდებლის ერთ-  
ერთი უძვირფასესი იდეა პოეზიის საკუთრებად იქცა. ეს იდეა ცუ-

დად არის დამუშავებული, დიახ. მაგრამ მაინც, ლექსის ავტორი ოლაპარაკდა მასზე, რაზეც მანამდე არც ერთ პოეტს არაფერი უთქვამს. ეს კი მისი აქტივია. უკანასკნელი ორი სტრიქონი მცდარია: ჩვენ „ვისწავლობთ ბუნებისაგან“, მაგრამ კი არ „ვისწავლით მას“, არამედ, სულ უფრო გაბედულად ვუმორჩილებთ მის სტიქიურ ძალებს ჩვენს გონებასა და ნებისყოფას, ვეუფლებით მას, ვქმნით ჩვენს „შეორე ბუნებას“.

გარდასულ დროთა პოეტები აღტაცებულნი იყვნენ ბუნების მშვენიერებითა და სიუხვით, ვით მიწათმოქმედნი და მიწათმოღობელნი, ვით „ბუნების შვილები“, ფაქტიურად კი — როგორც მისი მონები. პოეზიის დამოკიდებულებაში ბუნებისადმი უფრო ხშირად და გარკვევით უღერდა და უღერს მორჩილება და პირფერობა. ბუნების ქება დესპოტის ქებაა და თავისი ტონით ყოველთვის მოგვაგონებს ლოცვას. პოეტები თითქმის ერთსულოვნად ჩქმალავენ ბუნების ისეთ საზარელ მოვლენებს, როგორცაა, მაგალითად: მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, გვალვა და, საერთოდ, მისი ბრძაძალების სხვადასხვაგვარ აფეთქებასა და მრისხანებას, რომლებიც ანადგურებენ ათასობით ადამიანს, სპობენ მათი შრომის ნაყოფს. არცთუ ისე წარმატებით ცდილობენ პოეტები „სიტყვით აანთონ ადამიანთა გულები“, ხოლო მათი ის ცდა, რომ ადამიანებს გაუღვიძონ „კეთილი გრძნობა“ — სავსებით წარუმატებელია. ამავე დროს, მათ ჯერ კიდევ არასოდეს არ მოუწოდებიათ ადამიანისათვის ბუნებასთან ბრძოლისაკენ, მასზე ბატონობისაკენ; ისინი — არცთუ ისე ხშირად — თავის თავს ორფეხა დესპოტებისადმი გულისწყრომის ნებას აძლევდნენ, მაგრამ არასოდეს არ განრისხებიათ ბრმა ტირანს.

ერთხელ უთქვამთ ისევე სწორად, როგორც გადაქრით: ფილოსოფოსები განმარტავდნენ სამყაროს, ჩვენ გარდაექმნით მას. მართლაც რომ სახეს ვუცვლით ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ბუნების სილამაზეს რომ უმღეროდნენ, პოეტები თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ უნაყოფო ქვიშიან და ჭაობ ადგილებს. აუტყა, ჭაობებზე მე მახსოვს ორი ლექსის დასაწყისი:

ქაობნი, ქაობნი, ქაობნი  
და მქნარი, გამხმარი არყნარი,  
ამ ადგილს ბეჩაი, ნაჭაფი  
ესწრაფვის შესაფარს მაშვრალი.

ძალიან საცოდავი და ცუდია.

შემდეგ ფოფანოვი წერს:

შენ რაც მითხარი — არ გამიგია...  
რალაც კი ნაზი მითხარი გრძნობით.  
ზეცაზე მთვარე ვამოჩნდა გვიან  
და გადავერცხლა უბად ქაობი.

ეს ლექსები უფლებას მაძლევენ მეც ვთქვა ორიოდ სიტყვა ქაობებზე. ჩვენში 67 მილიონი ჰექტარი უჭირავს ქაობს. ჩვენ ვეარაუდობთ მათგან 40 მილიონი ტონა მშრალი ტორფის საწვავის მიღებას, ხოლო შემდეგ, ქაობისაგან განთავისუფლებული მიწის ვეებერთელა ფართობზე გავაკეთებთ გუბურებს, მოვაშენებთ თევზს, გავაშენებთ ტყეებს, შევქმნით საძოვრებს; შესაძლოა სახნავი ადგილებიც გამოვნახოთ. ჩვენ არხებით დავაკავშირებთ თეთრსა და ბალტიის, კასპიისა და შავ ზღვებს; ციმბირი მიიღებს ხმელთაშუა ზღვაში გაასვლელს. ყველაფერი ეს უდიდესი ამოცანებია და, რასაკვირველია, მარტო ამით როდი შემოიფარგლება მუშათა კლასის ხელისუფლების — საბჭოების კავშირის ბატონ-პატრონის — განზრახვები და საზრუნავი. თუ სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის ჩვენს ქვეყანაში პირველად განხორციელებული მთელი მიმდინარე მუშაობა პოეტების ყურადღების გარეშე რჩება, ნუთუ ეს იმას ნიშნავს, კულტურის ძირითადი ბერკეტი — ადამიანთა შრომა — პოეტიზაციის ღირსი არ იყოს?

შე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს დროს პოეზიაში შეაქვს სავსებით ახალი თემები, მაგალითად: კოლექტიურად ორგანიზებული გონების ბრძოლა ბუნების სტიქიური ძალების წინააღმდეგ და, საერთოდ, არა კლასობრივი, არამედ კაცობრიობის საყოველთაო ადამიანის — თავისი ნების, გონების, წარმოსახვის ენერჯით შექმნილი „მეორე ბუნების“ ამ შემოქმედის — „სტიქიური“ აღზრდის წინააღმდეგ.

ძველი პოეზია უმღეროდა „სიყვარულს“, როგორც ცხოვრების ძირითად შემოქმედებითს ძალას. იგი თითქოს ივიწყებდა, რომ ეს ძალაც გამრავლების ასევე ბრმა, სტიქიური ინსტინქტია; იგი წარმოშობს აურაცხელი რაოდენობის პარაზიტებს, რომლებიც არღვევენ ადამიანთა ჯანმრთელობას; წარმოშობს კოლოებს, ბუზებს, თაგვებს, ვირთხებს და ყოველგვარ მღრღნელებს, რომლებიც უდიდეს ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობასა და მეურნეობას.

კაპიტალისტური სახელმწიფო, არსებითად, საკმაოდ გულგრილად ეკიდება ავადმყოფობის გამომწვევი მრავალგვარი ბაცილები, მავნე მწერებისა და ცხოველების არსებობას, რადგან ეპიდემიური დაავადებანი ანადგურებს მშრომელ ხალხს, ხოლო იგი მრავალრიცხოვანია: კაპიტალისტების მეურნეობისათვის სხვადასხვა მავნებლების მიერ მიყენებული ზარალი ადვილად ნაზღაურდება — შრომა იაფი ღირს. კაპიტალისტი ხარბია. ეს მისი ძირითადი თვისებაა. ამიტომაც იგი ბარბაროსულად კონსერვატულია. ამიტომ არის, რომ მდიდარი პარიზის მთელ რიგ კვარტალებს არ გააჩნიათ კანალიზაცია, ხოლო მთელ რიგ სახლებს — საპირფარეშოები. კაპიტალისტი



მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს მეცნიერის შრომას, როცა ეს შრომა მოგებისა და ფულის მეშინური სიხარბის დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს. ავადმყოფობის გამავრცელებელი ბაქტერიების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი გამომუშავებულია მეცნიერების მხოლოდ პირადი ინიციატივით და მას არასოდეს არ აქცევდნენ საკმაო ყურადღებას კაპიტალისტური სახელმწიფოები. მაგრამ ის სახელმწიფო, სადაც ბატონ-პატრონი თვით მშრომელი ხალხია, განურჩევლად, გულგრილად ვერ მოეციდება თავისი მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; იგი მოვალეა შეებრძოლოს ბუნების უაზრო, ადამიანებისათვის მავნე, ძალიან „თავისუფალ“ შემოქმედებას. სრულებითაც არ ვაპირებ მოვუწოდო პოეტებს: თავები დაიჭირეთ მეთქი. მე მხოლოდ იმის აუცილებლობაზე მსურს მივუთითო, რომ საჭიროა გადაისინჯოს პოეზიის დამოკიდებულება ბუნებისადმი, გადაისინჯოს ძველი პოეზიის ყველა უმთავრესი თემა.

ბუნება, სიყვარული, სიკვდილი პოეზიის ეგრეთ წოდებული „მუდმივი“ თემებია. მაგრამ როცა სიყვარულზე ვფიქრობთ, ძნელი დასაშვებია, რომ სოციალისტურად ორგანიზებულ სახელმწიფოში ადამიანთა გამრავლება შეინარჩუნებს მხოლოდ სხვისი ფიზიკური ძალის ხარჯზე მცხოვრები პარაზიტებისათვის სასარგებლო სტიქიურ ფორმებს. სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ ჩიტ-ბატონები, კიუკაეები. ბულბულები და სხვა მგალობელი ჩიტები გვასწავლიან: უპირატესად სიყვარული ბადებს სიმღერებსო; ისიც უდავოა, რომ „სიყვარულმა“ მისცა ბიძგი არა მარტო ხელოვნებას, ქალებისათვის განკუთვნილ წარმოებასაც. ინდივიდუალური სიყვარულის რომანტიზაციას ღრმა კულტურულ-აღმზრდელობითი აზრი აქვს. იგი გამოხატავს მამაკაცის სურვილს, ქალის მიმართ გამოიჩინოს ისეთი დამოკიდებულება. რომელიც ხეადისაგან გამოარჩევს მას. ამ სურვილის საფუძველზე, წარმოსახვის ძალა დაეხმარა ორივე სქესის ადამიანებს გამოემუშავებინათ საკუთარ თავში ბიოლოგიური მისწრაფება ფორმის სრულყოფისაკენ — სექსუალური ესთეტიკა.

მაგრამ ჯერ კიდევ ანარქიული საზოგადოების პირობებში ეს მისწრაფება მხოლოდ ლამაზ სიტყვებად რჩება და ფაქტიურად სოცოცლემოყირკებულთა ბინძურ გარყენილებასა და აღვირახსნილობაში გამოიხატება. მიუხედავად ქალის ძლიერი, ხანდახან გამაბეზრებელი პოეტიზაციისა, მას მაინც პირუტყვეულად ეპყრობიან: ისე ექცევიან, როგორც „მეორე ხარისხის“ ადამიანს. ჩვენ ვიცით, რომ ეკლესიამ სიყვარული ძველთაგანვე მონათლა „მრუშობად“ და ცოდვად; ისიც ვიცით, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოველ გარეწარ მეშჩანს სურს მონათმფლობელობა, ხოლო ეკლესიის შემ-

წეობით ადვილად ისწავლეს ქალისაგან ძალიან ხელსაყრელი მონის გამოზრდა. მაგრამ „ყოველი მოქმედება იწყებს საწინააღმდეგო მოქმედებას“; დღევანდელ პირობებში ქალი უკვე იწყებს შურისძიებას: გერმანელი მედიკოსების აღრიცხვით, ქალების სულ ცოტა 50 პროცენტი „სქესობრივი უვნებობის“ გამო სექსუალურად პასიურია, ამავე დროს ფართოდ ვითარდება ლესბიანობა და არსებობს მეშჩანთა გამრავლების შემამციკრებელი კიდეც რამდენიმე მიზეზი. საერთოდ, მთელ ევროპას მოედო ოჯახის—„სახელმწიფოს ფუძის“—ნგრევის პროცესი. ეს, რასაკვირველია, ძალიან კარგია.

საბჭოების კავშირში ქალი მამაკაცის თანასწორუფლებიანია და მამაკაცზე უარესად როდი მუშაობს. სულ უფრო ხშირად ხედავ და გრძნობ: მან დაივიწყა, რომ იგი ქალია და თავის მთელ ძალ-ღონეს, მთელ ემოციას ახმარს მშენებლობის, გამომგონებლობის, პრობაგანდის საქმეს, ქვეყნის მართვის ძნელ საქმეს. მაგრამ მაინც—შეიძლება ვცდებოდეთ—მგონია, რომ საბჭოთა პირობებშიც ქალისადმი დამოკიდებულება თავისი არსით ხშირად არცაუ ისე მკვეთრად განსხვავდება ევროპელი მეშჩანებას მიერ დადგენილი დამოკიდებულებისაგან.

ჩვენი ახალგაზრდა პოეზია ჯეროვნად ვერ ამჩნევს ქალის სულიერი ზრდის, მისი შინაგანი თავისუფლების ზრდის პროცესს; ეს, ცუდია, რადგან იგი ძველი, მეშჩანური კონსერვატიზმის ნიშანია. ახალი ქალი, რომელიც სინამდვილეში არსებობს, არ ჩანს პოეზიაში; პოეზიას კი შეეძლო გამოეხატა ნამდვილი ქალი, ახალგაზრდაობაში დაენერგა ახალი და უფრო ღირსეული დამოკიდებულება მისადმი. სიყვარული, როგორც პოეტის თემა, აშკარად მოითხოვს სხვა საღებავებს; მაგრამ ჩვენი პოეზია, როგორც ყველგან, აქაც ჩამორჩება სინამდვილეს.

სიკვდილის თემა, ისევე როგორც სიყვარულისა, „მუდმივი“ თემაა. ჩვენში არ არის მიღებული ამ თემაზე ლექსების წერა, არ ვიცი—რატომ? ჩემი აზრით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიკვდილისაგან თავის დაუღწევლობის რწმენა ძალიან სასარგებლო და სანუგეშო რწმენაც კი არის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც ადამიანები ერთმანეთს არ უფრთხილდებიან, სადაც ძალიან ბევრმა ზედმეტმა ადამიანმა მოიყარა თავი და მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდება. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ აინტერესებს მუშის ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე. მეცნიერებას ისე სერიოზულად და გადაჭრით არ დაუსვამს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების საკითხი, როგორადაც იგი უნდა დაისვას სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის შეფასება ღირსეულ ადგილს

იკერს და სადაც ერთეულის ჯანმრთელობის დაცვა ზელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული ამოცანა იქნება.

მეცნიერება, მისი აღმოჩენები და მონაპოვარნი, მისი მუშაკები და გმირები — ყოველთავე ამას უნდა ასაბუდეს პოეზია. აღამიანთა მოღვაწეობის ეს — სამეცნიერო — დარგი. შენაძლოა, ყველა ახვა დარგზე მეტად იყოს ალტაცების, განცვიფრების, პათოსის ღირსი.

ჩვენი დღევანდელი გმირებია: მეცნიერი, გამომგონებელი, მშენებელი, კომკავშირელი, პიონერი. პოეტები ვერ ამჩნევენ მათ, ხოლო თუ შეამჩნიეს, „უსულგულო“ სიტყვებით ამკობენ. მე არ მოეყვები უდიდესი რაოდენობის იმ ახალი თემების, ახალი მოვლენების ჩამოთვლას, რომელნიც „ხოტბის შესხმას“ საჭიროებენ. მაგრამ მაინც მივუთითებ, რომ ოქტომბრის რევოლუციას ჯერ კიდევ არ მოუცია თავისი რუჟე დელილი და რომ ჩვენში, საერთოდ, არ შექმნილა ჩვენი დროისა და შრომის ღირსი სიმღერები. ჩვენდამი შეურიგებელი მტრული ბურჟუაზიული სამყარო ჩვენს პოეტებში არ აღძრავს სათანადო აშკარა სატირულ დამოკიდებულებას მისადმი, მისი საზიზღარი ცინიზმისა და მრავალგვარი სისაძაგლისადმი. ჩვენში ძალზე ბევრი ლექსი იწერება და ალბათ პოეტის შრომას ადვილ საქმედ თვლიან. ეს მეტად მავნე გაუგებრობაა. ამის შედეგია გარიჟმულ სიტყვათა დაუსრულებელი ლენტები. სტრიქონებად და სტროფებად აგებული ეს სიტყვები კი, ჩვეულებრივ, სრულებით არ გამოხატავენ პოეტის სრულ გულწრფელ შერწყმას მის თემასთან.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ — კვლავ ვიმეორებ — ჩვენს პოეტებს კულტურა არ ჰყოფნით, ტექნიკურად სუსტად არიან შეიარაღებულნი, ცოტას სწავლობენ. XIX საუკუნის რუსული პოეზიის ზრდის, განვითარების ისტორია, ვაჟკათ, დერჟავინიდან მოყოლებული ნეკრასოვამდე, მისი დაქვეითებისა და დაცემის მიზეზები ნეკრასოვიდან ნადსონამდე, ლექსის ფორმალური აღორძინების მიზეზები XIX საუკუნის თვით დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, პოეზიის მკვეთრი განსხვავება სინამდვილისაგან 1905-ის წლებამდე და პოეზიის განვითარების მთელი შემდგომი ხაზი — ყოველივე ეს ნაკლებად არის ცნობილი, ცუდად არის გაგებული, ან სრულებით არ არის ცნობილი ჩვენი ახალგაზრდობისა და ჩვენი ახალგაზრდა პოეტებისათვის.

„პოეტის ბიბლიოთეკა“ მიზნად ისახავს გააცნოს ახალგაზრდობას რუსული პოეზიის ისტორია და დამწყებ პოეტებს აჩვენოს ლექსის წერის ტექნიკა. ამ შენიშვნებს დავამთავრებ ვ. ი. ლენინის სიტყვებით (მე ისინი ავიღე „კუბუჩის“ მიერ 1926 წელს გამოცე-

მული წიგნიდან „ლენინი ხელოვნების შესახებ“): „რატომ უნდა ვაქცავთ უარი კემზარიტად მშვენიერზე, როგორც შემდგომი განვითარების ამოსავალ პუნქტზე, — მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძველია?“

„კემზარიტად მშვენიერის, როგორც შემდგომი განვითარების ამოსავალ პუნქტზე“ უარის თქმას ვლადიმერ ილიას ძემ „უაზრობა, სრული უაზრობა“ უწოდა. ლენინი კი არნახული, გიგანტური გაქანების რევოლუციონერი და ახალი, სოციალისტური კულტურის ფუძემდებელია. მისმა მძლე აზრმა, რომელიც ყოველთვის უბრალო, გასაგები სიტყვებით არის გამოხატული, მოგვიხაზა ახალი კულტურის გზა და გვასწავლა მისი მშენებლობის ტექნიკა.

## საბავშვო ლიტერატურის ბამო

წერილობითი მოხსენებიდან. მე-4 რედაქცია

ც. კ.-ის დადგენილებაში აღნიშნულმა ჩვენი სკოლის ნაკლოვანებებმა და სამწერლო ორგანიზაციების მუშაობის მცდარმა მეთოდებმა ძალზე არაჯანსაღი გავლენა მოახდინეს საბავშვო ლიტერატურაზე. ამ ლიტერატურას პედაგოგიკის პროექტორების რეცეპტებით ამზადებდნენ. ქალზრდისა და განათლების ფართო ამოცანებს ივიწყებდნენ წითელი კალენდრისა და მრავალრიცხოვანი კამპანიებისათვის მზადების ფუსფუსში.

საბავშვო წიგნი გამოფიტეს. დააწესეს ტრაფარეტები და სქემები, რომელთა მიხედვითაც ერთნაირი სიმსუბუქით შეიძლებოდა ნარკვევების, მოთხრობების, ლექსების წერა. ავტორს მოეთხოვებოდა ყველა წიგნში პოლიტკოდნის ანაბანას გადმოცემა...

უარი უნდა ვთქვათ პრიმიტიულ უტილიტარიზმზე, უხეშ დიდაქტიკაზე და ტენდენციურობაზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აძნელებს ბავშვის დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარებას. ეს უნარი კი განსაკუთრებით ძვირფასია და აუცილებელი იმ ქვეყანაში, სადაც ახალი ცხოვრების ფორმებს ჩრდილავს ძველი მეშჩანობის კონსერვატიზმი...

ჩვენს სკოლას დასახული აქვს მიზნად მუშათა კლასის მიერ შექმნილი ჰემმარიტად სოციალისტური სიმართლის დამკვიდრება და მეშჩანობის საუკუნოვანი, წარმავალი, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოველი სოციალური სიკრუის დაუნდობელი მხილება.

ჩვენ მოვალენი ვართ, გავაცნოთ ბავშვებს მუშათა კლასის შემოქმედების ყოველგვარი ნიმუში...

8-12 წლის ბავშვებს შეიძლება არც გავაცნოთ ჰემარჯვენე და ჰემარცხენე გადახრები პოლიტიკის დარგში, მაგრამ მათ ძალიან კარგად უნდა გაიგონ და შეიძლონ მეშჩანური ცხოვრების წერილმანთა შხამიანობა, რომელშიც ზოგი რამ ტკბილიც მოიპოვება...

ზოგიერთი წიგნი, როგორც გამონაკლისი, შეიძლება პირდაპირ არ შეესაბამებოდეს ჩვენი სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის პროგრამის ამა თუ იმ პუნქტს, მაგრამ გეგმა მთლიანად იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ კაცობრიობის ცოდნისა და შრომის მრავალგვარი დარგების მომცველი ლიტერატურა კომუნისმას მსოფლმხედველობით აიარაღებდეს ბავშვებს.

ამ გეგმის განსახორციელებლად საბავშვო ლიტერატურის ხელმძღვანელებმა დიდი ტაქტი, აღზრდის ამოცანების ღრმა და პრინციპული გაგება უნდა გამოიჩინონ.

გეგმის დამუშავებისას საჭიროა გადავსინჯოთ მხატვრული ხერხებისა და ქანრების ბევრი დამკვიდრებული კანონი. კერძოდ, თავი უნდა დავაღწიოთ შიშს პოეტურ შედარებათა, გარდუვალი ანთროპომორფიზმისა და თვით ფანტასტიკის წინაშეც, თუ იგი ეხმარება გონებას წარმოსახვასა და წინასწარგანჭვრეტაში...

კრიტიკამ ხელი უნდა მოჰკიდოს საბავშვო ლიტერატურის შემოქმედებითი საკითხების დამუშავებას კონკრეტული და დაკვირვებული ანალიზის საფუძველზე; კრიტიკა არ უნდა იყოს უხეში, დამტუქსავი. საბავშვო ლიტერატურის დარგში უნდა შეიქმნას საგანგებო კრიტიკული ჟურნალი. საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტების მუშაობის მთელი პროგრამა და გაუქმდეს სარეკომენდაციო იარაღთა ბიუროკრატიული სისტემა...

საბავშვო ლიტერატურაში კვლავ უნდა მივიზიდოთ ის ავტორები, რომლებიც ჩამოაშორეს აჰ საქმეს, ან სათანადოდ არ იყენებდნენ სალიტერატურო ორგანიზაციების, კრიტიკისა და გამომცემლობების მცდარი პოლიტიკის გამო (პრიშვინი, გრიგორიევი, ჩუკოვსკი და სხვ.). უნდა გადაისინჯოს დამოკიდებულება პედანტური კრიტიკის მიერ უარყოფილი მთელი რიგი წიგნებისადმი (ეიტკოვის, მხატვარ ლებედევის და სხვ. ზოგიერთი წიგნი)...

მართალია, ჩვენ გვყავს მწერლები, რომლებიც იცნობენ ბავშვს და შეუძლიათ მასთან უბრალოდ და დამაინტერესებლად საუბარი (ილინი, ეიტკოვი, პანტელეევი, მარშაკი, ბიანკი, გაილარი, კოჟეენიკოვი, ჩარუშინი და სხვ.). ჩვენი საბავშვო ბიბლიოთეკების თაროებზე მაინც რიდისა და სეტონ-თომპსონის გვერდით გამოჩნდა საბჭოთა ავტორების წიგნები. ეს ავტორები არა მარტო კონკურენციას უწევენ თავიანთ ბურჟუაზიულ წინამორბედებს ამბის გადმოცემის სიცხოველითა და დამაინტერესებლობით, არამედ უპირისპირებენ კიდევ მათ ახალ მორალსა და სინამდვილისადმი ახალ დამოკიდებულებას...

## კოლმეურნი ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეებს

### ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ო !

თქვენი წერილი მივიღე, დიდად მადლობელი ვარ მოკითხვისა და თქვენი წრის წევრად არჩევისათვის.

ძალიან კარგია, რომ შაირების, სიმღერების, ზღაპრების, თქმულებების და ანდაზების შეგროვება დაგიწყიათ და, საერთოდ, დაინტერესებულხართ ფოლკლორით: ეს — სოციალური სასარგებლო საქმეა. თქვენც სარგებელს მოგიტანთ იგი: გაიგებთ, როგორ აზროვნებდნენ თქვენი მამა-პაპანი, რა ცრუმორწმუნენი იყვნენ ისინი. როგორ გაუნათლებელი იყო მათი გონება.

მაგრამ — აი, რა უნდა გითხრათ: თქვენი მუშაობა რომ ნამდვილად სასარგებლო იყოს, აუცილებელია ჭერ ცოდნა მიიღოთ. ზეპირი ხალხური შემოქმედების ჩაწერა ზედმიწევნით სიზუსტეს მოითხოვს; აუ ამ სიზუსტეს არ დაიცავ, ფოლკლორულ მასალას გააფუჭებ.

ყმაწვილებო, თქვენ ძალიან ცუდად იცით რუსული ენა. Юношеский-ს ნაცვლად თქვენ წერთ «юнушеский-ს», президиум-ის ნაცვლად «призидиум-ს», «частьшки поющие» — რომ წერთ, ისე გამოდის, თითქოს „შაირები თვითონ მღერაინ“.

საერთოდ, იმ საინტერესო და გონიერი მუშაობისათვის, რომლის დაწყებასაც თქვენ აპირებთ, თქვენი ცოდნა საკმარისი არ არის და, მაშასადამე, უპირველესად, რაც შეიძლება, უკეთ უნდა ისწავლოთ ენა.

შემდეგ: არსებობს მეცნიერი ფოლკლორისტების მიერ შემუშავებული პროგრამები და წესები, თუ როგორ ჩავიწეროთ ანდაზება.

სხვადასხვაგვარი შელოცვები და ა. შ. ეს პროგრამები უნდა იცოდეთ. მისწერეთ წერილი მოსკოვში, ისტორიის მუზეუმში პროფესორ იური სოკოლოვს, რომ გამოგიგზავნოთ პროგრამები და თან რჩევა-დარიგებაც მოგცეთ.

უპირველეს ყოვლისა, იცოდეთ: ამ საქმისათვის საჭიროა დიდი განათლება! თქვენ მიერ ჩემთვის გამოგზავნილი ბარათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — ენერგიული ბიჭები ხართ, მგზნებარედ ეკიდებით სწავლასა და მუშაობას. მაშასადამე, ცოდნის შეძენა თქვენთვის არცთუ ისე ძნელი საქმეა.

იმოქმედეთ!

მაგრად გართმევთ ხელს!



## სოციალისტური რეალიზმის შესახებ

ლიტერატურული მუშაობის ტექნიკა არის, უპირველეს ყოვლისა, ენის — ყოველგვარი წიგნის და განსაკუთრებით კი ბელეტრისტული წიგნის ამ ძირითადი მასალის — შესწავლა. ფრანგული „ბელეტრ“ რუსულად ლამაზ სიტყვას ნიშნავს. ეს სილამაზე კი სხვადასხვა მასალების — და აგრეთვე ბგერების, საღებავების, სიტყვების — ისეთი შერწყმაა, რომელიც ფორმას აძლევს ოსტატი ადამიანის მიერ შექმნილ — დამუშავებულ მასალას; ხოლო ფორმა მოქმედებს გრძნობასა და გონებაზე, ვით ძალა, ადამიანთა გარეგნობას, სიამაყესა და სიხარულს რომ იწვევს მათი შემოქმედებითი უნარის გამო.

ძალასავით მოქმედს ენის ნამდვილ ეშხს სიტყვების სიზუსტე, სიცხადე, უღერადობა ქმნის, — სიტყვებით იქმნება წიგნებში სურათები, ხასიათები, იდეები. მწერალი — „მხატვარი“ აუცილებლად ფართოდ უნდა აცნობდეს ჩვენი უმდიდრესი ლექსიკონის სიტყვათა მთელ მარაგს და აუცილებლად უნდა შეეძლოს ამ მარაგიდან უფრო ზუსტი, ნათელი, ძარღვიანი სიტყვების ამორჩევა. მხოლოდ ასეთი სიტყვების შეხამებას და აზრის მიხედვით წერტილებს შუა მათ სწორ განლაგებას შეუძლია ავტორის ჩანაფიქრის სანიმუშოდ ჩამოყალიბება, ნათელი სურათების შექმნა, ადამიანთა ცოცხალი ფიგურების ისე დამაჯერებლად გამოძერწვა, რომ მკითხველმა დაინახოს ავტორის ნახატი. ლიტერატორს უნდა ესმოდეს, რომ იგი კი არა წერს, არამედ სიტყვებით ხატავს. თანაც არა ჰგავს ფერმწერს. ფერმწერის დახატული ადამიანი არ მოძრაობს. ლიტერატორი კი ცდილობს დახატოს ადამიანები განუწყვეტელ მოძრაობაში, ნოქმედებაში, დაუსრულებელ ურთიერთშეჯახებებში, კლასების, ჯგუფების, ერთეულების ბრძოლაში. მაგრამ სამყაროში არ არსე-

ბობს ისეთი მოძრაობა, რომელიც წინააღმდეგობას არ ხედებოდეს. მაშასადამე, ცხადია, ენის გულდასმით შესწავლის აუცილებლობის გარდა, იმის უნარის განვითარების გარდა, რომ შეარჩიო უფრო უბრალო, ზუსტი და სურათოვანი სიტყვები ჩინებულად დამუშავებული ლიტერატურული ენისა, რომელიც ამასთანავე მონდომებით ნაგვიანდება უშინაარსო, მაჩინჯი სიტყვებით, — ამის გარდა მწერალმა კარგად უნდა იცოდეს წარსულის ისტორია, იცოდეს ახამედროვეობის სოციალური მოვლენები. ამ თანამედროვეობაში კი იგი მოწოდებულია ერთდროულად შეასრულოს ორი როლი: ბეზიაქალისა და მესაფლავისა. უკანასკნელი სიტყვა თუმცა სევდის მომგვრელია, მაგრამ იგი მაინც სწორედ თავის ადგილას არის ნახმარი. ახალგაზრდა მწერლების ნებაზე, მათ უნარზეა დამოკიდებული მხნე და მხიარული აზრით გამსჭვალონ იგი. ამისათვის საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა ისტორიის ნიერ მოწოდებულია ბოლო მოუღოს და დაასამაროს ყოველივე, რაც ადამიანის მიმართ მტრულად არის განწყობილი, დაე, თუნდაც უყვარდეთ კიდევ იგი ადამიანებს.

რა თქმა უნდა, მიამიტური და სასაცილოა ლაპარაკი „სიყვარულზე“ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რომლის მორალის ერთ-ერთი მცნებაც ამბობს: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, და, მაშასადამე, ადამიანის მიერ საკუთარი თავის სიყვარულს სიყვარულის ძირითად ნიმუშად წარმოგვიდგენს.<sup>1</sup> კარგად არის ცნობილი, რომ კლასობრივი საზოგადოება ვერ აშენდებოდა და ვერ იარსებებდა, რომ დამყარებოდა მცნებებს: „არა იპარო“ მოყვასისა და „არა ჰკლა“ იგი.

სოციალისტური საბჭოების კავშირში უკვე პიონერმა ბავშვებმაც კი იციან ის საზიზღარი აშკარა ჭეშმარიტება, რომ: ბურჟუაზიის ცივილიზაცია და კულტურა ემყარება უმცირესობის — მაძღარ „მოყვასთა“ განუწყვეტელ მხეცურ ბრძოლას უდიდესი უმრავლესობის — მშვიერ „მოყვასთა“ წინააღმდეგ. სრულიად შეუძლებელია „მოყვასის სიყვარული“, როცა აუცილებელია მისი ძარცვა, ხოლო, თუ იგი ამ ძარცვას წინ აღუდგება — მისი მოკვლაც. დიდი ხნიდან მოყოლებული, ბურჟუაზიული „წყობილების“ განვითარების პროცესში, ღარიბნი და დამშეულნი თავიანთი რიგებიდან გამოჰყოფდნენ ხოლმე ყაჩაღებს ხმელეთზეც და ზღვაზეც, აგრეთვე ჰუმანისტებსაც — არასაკმაოდ მაძღარ ადამიანებს, რომლებიც მაძღარებსა

<sup>1</sup> „საკუთარი თავის სიყვარული შეადგენს საღვთო სჯულის დადებითს მოთხოვნას და წარმოადგენს იმ ამოსავალ პუნქტს, საიდანაც ვითარდება ჩვენი სიყვარული მოყვასთადმი“. „ეერკოვნი ვესტნიკი“, № 45, 1909 წ. სტატია „გვამთა დაწვის გამო“. ხელმოუწერელია — ალბათ პროფ. ეესევიისა.

და მშვიკრებს თავმთონეობის შეზღუდვის საჭიროებას უმტკიცებდნენ.

რადგანაც ყაჩაღთა მოქმედებამ ძლიერ აშკარად ნათელჰყო მდიდართა სახელმწიფოს ნამდვილი საფუძველი, მდიდრებმა გადაწყვიტეს, ზოგი გაენადგურებინათ, ზოგი სახელმწიფოს მართვაში ჩაებათ. ძველ დროს, მაგალითად, შუა საუკუნეებში, მელქენეები და მეშჩანები ხელოსნებისა და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში ყაჩაღებს აქცევდნენ ხოლმე თავიანთ „ბელადებად“: ჰერცოგებად, დიქტატორებად, „საეკლესიო მთავრებად“ და ა. შ. მუშებისაგან ჩარჩაა თავდაცვის ეს ფანდი აქამდე ცოცხლობს, როდესაც სახელმწიფოს მეთაურობენ ბანკირები, იარაღის დამამზადებელი მეფაბრიკეები, გაბედული ავანტიურისტები და სავრთოდ „სოციალურად საშიშნი“.

ჰუმანისტებიც ხელს უშლიდნენ მელქენეებს წყნარ ცხოვრებაში. ამიტომ მათ, ვინც უფრო ჭიუტად ამტკიცებდა თავმთონეობის შეზღუდვის აუცილებლობას, ბურჟუაზია ან სპობდა სხვადასხვა საშუალებებით — ცოცხლადაც კი წვადა მათ კოცონებზე — ან, როგორც ახლა ხდება — აიძულებდა გამცემი გამხდარიყო და სანაცვლოდ მაღალ თანამდებობას სთავაზობდა. თანამდებობაზე აფორთხებული ჰუმანისტები იწყებენ ბურჟუაზიული წყობილებისა და წესების დაცვას, როგორც ამას სჩადიან მუშებიდან, ყოფილი სოციალისტებიდან მელქენეების მიერ აღზევებული ევროპელი მინისტრები.

მაგრამ ყოველივე ეს როდი უზრუნველყოფს ბურჟუაზიისათვის „კლასთა მშვიდობიან თანამშრომლობას“, მისთვის სასურველ „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰარმონიას“, რომლის აზრიც ას არის, რომ „მთელი პოლიტიკური ძალაუფლების“ მფლობელი მაქლარ „მოყვასთა“ უმცირესობა ყველაფერს აკეთებს, რაც მისთვის სასარგებლოა, ხოლო უმრავლესობა — მშვიერი „მოყვასნი“ — მორჩილად ასრულებს ყველაფერს, რასაც მისგან მოითხოვენ ყველაერის მაძლარი მელქენეები — ეს მაძლარი და საკუთარი დანაშაულებრივი ცხოვრების მოყირვებული „ბედნიერებისაგან“ გამოყვეჩებული ადამიანები. ისტორია ნიდაგ და თავზარდამცემად უმტკიცებს მათ, თუ როგორ სასაცილოდ არამყარია ისეთი ოქროთი ავსებული საქმოსან ავანტიურისტთა მდგომარეობაც კი. როგორივე ცნობილი „ასანთის მეფე“ ივანე კრეიგერი და მისი მსგავსნი იყვნენ.

მელქენეთა მდგომარეობის შერყევას შესანიშნავად ადასტურებს მათ წრეში სულ უფრო განშირებული თვითმკვლელობა. მაგრამ თვითმკვლელები სრულებითაც ვერ გარდაქმნიან ცოცხლებად დარ-

ჩენილთ; ეს უკანასკნელი მექანიკურად, იდიოტური თანმიმდევრობით განაგრძობენ თავიანთ საძაგელსა და გიჟურ საქმეს, — აწყობენ სისხლიან ახალ სასაქლაოს. ეს სასაქლაო კი ალბათ მოსპობს იმ ადამიანთა კასტას, ვისი თავმოთნეობაც არის მშრომელი ხალხის ყველა უბედურების, ყველა მწუხარების მიზეზი.

ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატორი ძლიერ დაეხმარება საკუთარ თავს სინამდვილის — ამ თავისი მასალის — აზრის ათვისებაში. თუ თავს წარმოადგენს ორ ძალას შორის მოქანავედ, რომელთაგან ერთი მოქმედებს მის გონებაზე, ხოლო მეორე — გრძნობაზე. სწორედ ამ მდგომარეობაში ჩააყენა იგი ისტორიამ კაპიტალიზმის ნგრევის ეპოქაში, ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის სულ უფრო ხშირი და სისხლისმღვრელი შეტაკებების წლებში, მსოფლიო კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმის გარდუვალი გამარჯვების წინაპერიოდში. მაგრამ, თუმცა დაწყებული ბრძოლის ხმაური დიდია, — მას მაინც ჯერ კიდევ ანშობს პატარა მეშხანთა ყოველდღიური ყაყანი. ეს მეშხანები, რომლებიც ფეხქვეშ ეგებიან ბურჟუაზიას, ძველთაგანვე მიეჩვივნენ წვრილ ვაჭრობასა და ქურდობას. ისინი, თავიანთი ბუნებით, გამოუსადეგარნი არიან ომისათვის; როდესაც დიდი უფროსები ომს იწყებენ, პატარები — მაროდორებად იქცევიან, კლავენ, ქურდავენ დაკრილებს, ძარცვავენ მკვდრებს და ამ ხელობით ხშირად დიდ კარიერასაც აღწევენ. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული „ომები გვირებს წარმოშობენ“, მაგრამ ვაცილებიო უფრო მეტი გაიძვერები ჩნდებიან და თან გვირები, ჩვეულებრივად, ბრძოლის ველზე იღუპებიან, ხოლო გაქნილი გაიძვერები ცხოვრებაში უფროსებად, კანონმდებლებად შემოდიან. ადამიანთა მასობრივი უღეტის სარფიანობას რომ იგემებენ, ისინი კვლავ იწყებენ ასეთივე სარფიანი საქმის მოპზადებას, რადგან ომისათვის მომუშავე მრეწველობა მათ დიდ მოგებას აძლევს. არსებობს ღმერთი — მას მოგება ჰქვია სახელად. მხოლოდ იგი სწამს ბურჟუაზიას, მას სწირავს სისხლიან მსხვერპლს — მილიონობით მუშასა და გლეხს.

წვრილი მეშხანობა, — და მის მეზობლად მცხოვრები, მისი შხამით მოწამლული ბევრი მუშაც — ჭაობში ყელამდეა ჩაფლული და სანესტეს კი უჩივის. ეს უაზრო ჩივილი უერთდება და ანშობს რევოლუციური პროლეტარიატის გვირულ მოწოდებებს. ასეთი ადამიანები წუწუნებენ აშშორებულსა და ვიწრო ჭაობში ძნელ ცხოვრებაზე და საკმაოდ არ ატანენ თავს ძალას, რომ მაღალსა და მშრალადგილზე ამოვიდნენ, ხოლო ბევრი დარწმუნებულიც კი არის. რომ სწორედ ჭაობია „ამქვეყნიური სამოთხე“.

ვილაპარაკოთ ნაკლებად „ხატოვნად“, თუმცა „ხატოვნება“ სა-  
ყალღებულოა ლიტერატორისათვის.

ჩვენმა საბჭოთა მწერალმა მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ მის  
თანამედროვეთა — მისი სამუშაო მასალის — უმრავლესობა ისეთი  
ადამიანებია, რომლებიც აღზრდილნი არიან ნატეხი პურისათვის  
ერთიმეორის წინააღმდეგ დაუნდობელი საუკუნეობრივი ბრძოლით,  
და რომ ყველა მისი „მოყვასი“, თვითეული მათგანი, შეპყრობილია  
მატერიალური კეთილდღეობისადმი მისწრაფებით. ეს სრულიად  
ბუნებრივი მისწრაფებაა; მისი საფუძველია იმის ბიოლოგიური აუ-  
ცილებლობა, რომ — იყვებო, გქონდეს კარგი ბინა და ა. შ. — ეს  
აუცილებლობა ყველა ცხოველსა და მწერს ახასიათებს: მელა და  
ძერა, თხუნელა და ობობა იკეთებენ ბუდეებსა და სორობებს; მაგ-  
რამ ზოგიერთი მტაცებელი და პარაზიტი იმაზე მეტს კლავს, ვიდრე  
შეკმა შეუძლია. მატერიალური კეთილდღეობისაკენ ადამიანების  
მისწრაფებაზეა აგებული კაცობრიობის მთელი კულტურა. მაგრამ  
მისმა პარაზიტმა ბურჟუაზიამ, რომელიც ძალაუფლებასა და მუშე-  
ბისა და გლეხების ექსპლოატაციის სრულიად შეუზღუდველ შე-  
საძლებლობას ფლობს, აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყო-  
ფილების ნიადაგზე შექმნა ის მაცთუნებელი ზედმეტობა, რომელ-  
საც „ფუფუნება“ ეწოდება. ამ სიჭარბის გამრყენელ გავლენას თვი-  
თონ ბურჟუაზიაც აღიარებდა: მაგალითად, ფუფუნების საწინააღ-  
მდეგო კანონები ჰქონდა ძველ რესპუბლიკურ რომს: შუასაუკუნე-  
ებში ფუფუნების განვითარების წინააღმდეგ იბრძოდა შვეციის,  
საფრანგეთის, გერმანიის ბურჟუაზია. ბურჟუაზია სხვის სამუშაო  
ძალას ყოველთვის იმაზე მეტს ყლაპავდა, ვიდრე ეს საჭირო იყო  
ნისი ყველაზე უფრო ფართო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებ-  
ლად; იგი დაავადდა იოლი მოგების, ფულისა და საგნების დაგრო-  
ვების ვნებით, დაავადდა თვითონ და დაავადდა მთელი მსოფლიო.  
სწორედ ამ სენმა შექმნა ჩვენი დროის იდიოტური სურათი: ევრო-  
პის დედაქალაქებში ოქროს ნაქეთობათა, ძვირფასი თვლების, „ფუ-  
ფუნების ფუჭე საგნების“ მალაზიათა მთელი ქუჩები. ამ ნივთების  
შექმნას ხმარდება მუშათა კლასის დიდი და უპვირფასესი ენერჯია,  
ხოლო თვითონ მუშათა კლასი ნახევრად შშიერ-მწყურვალაა. მას  
საესებით წართმეული აქვს თავისი მოთხოვნილებების, უნარის, ნი-  
ჰის განვითარების საშუალება. საგანთა უაზრო დაგროვებით მეშ-  
ჩანური გატაცება, პირადი საკუთრების სენი მასაც გასჭდომია  
ძვალსა და რბილში.

არ იფიქროთ, რომ მე, საერთოდ, არ მომწონდეს ფუფუნება.  
არა, მე მხარს ვუჭერ ფუფუნებას ყველასათვის, მაგრამ წინააღმდე-

გი ვარ საგნებისადმი კერპთაყვანისმცემლობისა. აკეთე საგნები, რაც შეიძლება, უკეთესი; ისინი უფრო გამძლე გამოვა, გაგათავისუფლებს ზედმეტი შრომისაგან; მაგრამ „ნუ აქცევ კერპად“ შენ მიერ გაკეთებულ ჩექმას, სკამს თუ წიგნს,—აი ჩინებული „მცნება“. და ძალიან კარგი იქნება, თუ ამ მცნებას ჩვენი მუშა ახალგაზრდობა შეითვისებს.

„ყოველგვარ ფასად მოპოვებული“ მატერიალური კეთილდღეობის, მოსვენებისა და მყუდროების კერპთაყვანისმცემლები ბურჟუაზიული კულტურის საყოველთაო დაშლის დღევანდელ ვითარებაშიც კი არ კარგავენ პირადი, მყარი, იოლი და „მშვენიერი“ ცხოვრების შესაძლებლობის რწმენას. ალბათ ზედმეტია იმის გამეორება, რომ ამ რწმენის საფუძველია თავმოთნეობა, რომელიც ადამიანებს ჩაუნერგა წარსულის ისტორიამ და განუმტკიცა ეკლესიამ,— მისი „წმინდანები“ ხომ ტიპური თავმოთნენი და კაცთმოძულენი არიან! თავმოთნეობას, სხვაგვარად — ინდივიდუალიზმს, განსაკუთრებული მონღომებით ნერგავდა ფრიად ბრძენი გერმანელი მეშჩანინი ემანუილ კანტი — სანიმუშოდ მექანიკურად მოაზროვნე და სიცოცხლისათვის ცხედარივით უცხო ადამიანი.

ეს დაგვიანებული რწმენაა და, ვით ყოველგვარი რწმენა, ისიც ბრმაა. მით უმეტეს, იგი ბორკავს ადამიანებს იმით, რომ უნერგავს სულელურ და ცრუ მრწამსს, თითქოს თვითეული ჩვენგანი — სამყაროს „დასაბამი და დასასრულია“, „ერთადერთია“, ყველაზე უკეთესია, უძვირფასესია. ამ თვითშეფასებაში განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული კერძო საკუთრების გავლენა: მხოლოდ ფიზიკურად და მექანიკურად რომ აერთიანებს ადამიანებს თავდასხმისათვის — სუსტად შეიარაღებულთა და უიარაღოთა ექსპლოატაციისათვის, იგი საჭიროების გამო — კონკურენციის „კანონით“ — თავდაცვის მღვდმარეობაში აყენებს თვითეულს „მოყვასი“ მესაკუთრისა და თანამოაზრის წინააღმდეგ. საკუთრება, გარეგნულად რომ აერთიანებს მეშჩანებს თავდასხმისათვის, შინაგანად თიშავს მათ ერთმანეთისაგან თავდაცვისათვის, რადგან—თვითეული „იცავს თავის თავს“. ამით იქმნება ნამდვილად მგლური ცხოვრება. ნათქვამი — „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ სწორედ მესაკუთრეთა მორალით არის შექმნილი.

ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი ეს არის ავადმყოფობა, რომელიც მთელ მსოფლიოს მოსდო ბურჟუაზიამ და რომელიც, — როგორც ამას ვხედავთ,—ლუპავს ბურჟუაზიას. რა უქმა უნდა, რაც უფრო მალე დაიღუპება იგი, მით უკეთესია მშრომელი ხალხისათვის, ვის ძალასა და ნებასაც შეუძლია ამ დაღუპვის დაჩქარება.

ახალგაზრდა საბჭოთა მწერლისათვის მეშხანობის თემა ძნელი მასალაა და საშიშიც; მას შეუძლია დაავადება, მოწამლეა. ჩვენს ახალგაზრდა „დამწყებ“ მწერალს არ უნახავს მეშხანეები მათი „ძლიერებისა და დიდების“ დროს; მეშხანთა მახლობელ წარსულს იგი მხოლოდ წიგნებით, ცუდად იცნობს; ევროპის ბურჟუაზიის საგანგაშო, ხრწნადი, ავადმყოფური ცხოვრების შესახებაც ცოტა რამ იცის და ისიც მხოლოდ წიგნების, გაზეთების საშუალებით. მის ქვეყანაში განადგურებული მეშხანობის კიდევ ბევრი ნაშთია შემორჩენილი; მეშხანეები ხშირად ახერხებენ „სოციალურ ცხოველვად“ მოგვიჩვენონ თავი, კომუნისტთა რიგებშიც კი შეადწმენენ ხოლმე; საკუთარ „მეს“ მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან მექვიდროებით მიღებული მზაკვრობის, ცბიერების, სიცრუის მთელი ძალით იცავენ. ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად ეწევიან საბოტაჟს, ზარმაცობენ, წამგლეჯობენ; მათი რიგებიდან გამოდიან წუნისმკეთებელნი, მკენებლები, ჯაშუშები და გამკემლები.

ჩვენი ქვეყნისათვის უცხო ადამიანთა ხარახურის ამ ნაშთებზე ჩვენში დაწერილია და იწერება საკმაოდ ბევრი წიგნი, მაგრამ თითქმის ყველა ისინი არცთუ ისე ძლიერად არის დაწერილი; ზერელედ და ბუნდოვნად გვიხატავენ მტერს. ისინი ეყრდნობიან „კერძო შექთხვევებს“ და ანეგდოტურ ხასიათს ატარებენ; მათში არ იგრძნობა მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელი „ისტორიზმი“. ამ წიგნების სოციალისტური აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძალზე დაბალია. რა თქმა უნდა, 15 წელიწადში ვერ შექმნი მოლიერებსა და ბალზაკებს, ვერ გამოზრდი „რევიზორის“ ან „ბატონ გოლოლიოვების“ ავტორს. მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ამ წლების მანძილზე მუშათა კლასის ენერგიამ შექმნა ახალი ქალაქები, გიგანტური ფაბრიკები, სახეს უცვლის თავისი მიწა-წყლის ფიზიკურ გეოგრაფიას, არხებით აერთებს ზღვებს, რწყავს და ასახლებს უდაბნოებს, საოცრად ამდიდრებს სახელმწიფოს მიწის წიაღში უამრავი განძეულის აღმოჩენით. იმ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასმა თავისი წრიდან დააწინაურა ასობით გამომგონებელი, მეცნიერების ათობით გამოჩენილი მუშაკი, ყოველწლიურად ცხოვრებაში აბაძს უმაღლესი განათლების მქონე თითქმის ნახევარ მილიონ ახალგაზრდას, — ამ ქვეყანაში შეიძლება მაღალი მოთხოვნები წავუყენოთ ლიტერატურას.

მას — ახალგაზრდა ლიტერატურას — უკვე ცოტა როდი აქვს ფრიად ძვირფასი ფორმალური მიღწევა: იგი სულ უფრო ფართოდ ითვისებს სინამდვილეს და უნდა ეუსტრევოთ. რომ უფრო ღრმად ჩაიხედოს მასში. ეს ასეც მოხდება, თუ ახალგაზრდა ლიტერატორები შეიგნებენ. რომ მათ აუცილებლად უნდა ისწავლონ, გააფართო-

ვონ თავიანთი ცოდნა, განავითარონ თავისი შემეცნებითი უნარო, შეიწავლონ მათ მიერ ამორჩეული მეტად საჭირო და საპასუხის-მგებლო რევოლუციური საქმის ტექნიკა.

ისტორიის ორი ძალის — მეშჩანური წარსულისა და სოციალისტური მომავლის — მიზიდულობას რომ ექვემდებარებოდნენ, ადამიანები შესამჩნევად მერყეობენ: ემოციური საწყისი მათ წარსულისაკენ ეზიდება, ინტელექტუალური — მომავლისაკენ. ბევრს ყვირიან და ხმამაღლა, მაგრამ არ იგრძნობა დამშვიდებული რწმენა იმისა, რომ გადაჭრით და მტკიცედ არჩეულია ისტორიის მიერ ნაჩვენები საესებით გარკვეული გზა.

გაკოტრებული, მიხრწნილი ინდივიდუალიზმი ისევ ცოცხლობს და მოქმედებს; იგი ვლინდება მეშჩანური თავმოთნეობის ფაქტებით, წინ, შესამჩნევად ადგილზე რაც შეიძლება მალე გამოხტომის სურვილით, არაგულწრფელი, დაუდევარი „მოჩვენებითი“ მუშაობით, რომელიც სახელს უტეხს პროლეტარიატს, და განსაკუთრებით ისეთი მუშაობით, რომელიც „ნაკლები წინააღმდეგობის გზით“ ვითარდება. ლიტერატურაში ეს არის წარსულისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ხაზი. როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ახალგაზრდა ლიტერატორები წარსულის საზიზღარ სახეს ზერეღედ, თეორიულად იცნობენ. წარსულის კრიტიკული დანატვის სიადვილე ავტორთა ყურადღებას აშორებს დღევანდელი დღის უდიდესი მოვლენებისა და პროცესების ასახვას.

ახალგაზრდა ავტორებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ იმის საკმაოდ ძლიერი ძალა, რომ წარსულის სიძულვილი ჩაუნერგონ მკითხველს. ამიტომაც ხშირი როგონებით ისინი არა იმდენად აშორებენ მკითხველს წარსულს, რამდენადაც, ჩემი შეხედულებით, ამტკიცებენ, ამავრებენ, აღბეჭდავენ მას მკითხველის მეხსიერებაში.

კარგად გაშუქებული და გაგებული რომ იქნას წარსულის შესამიანი, კატორღული საშინელებანი. უნდა შეგვეძლოს, მას აწმყოს მიღწევათა სიზალიდან. მომავლის დიადი მიზნების სიმაღლიდან შევხედოთ. ეს მაღალი თვალსაზრისი უნდა აღძრავდეს — და აღძრავს კიდევ — იმ ამაყ, სასიხარულო პათოსს, რომელიც ახალ ტონს მისცემს ჩვენს ლიტერატურას; დაეხმარება მას ახალი ფორმების გამომუშავებაში, შექმნის ჩვენთვის აუცილებელ ახალ მიმართულებას — სოციალისტურ რეალიზმს, რომელიც, თავისთავად ცხადია. შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სოციალისტური გამოცდილების ფაქტებზე.

ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერ ქვეყანაში, სადაც არის ის, ვინც უნდა გვიყვარდეს და პატივსაც ვცემდეთ. ჩვენში ადამიანის სიყვარული უნდა წარმოშვას — და წარმოშობს კიდევ — მისი საოცარი შემოქ-



მედებიანი ენერჯის შეცნობის გრძნობამ, ადამიანთა ურთიერთ პა-  
ტივისცემამ მათი უსაზღვრო შრომითი კოლექტიური ძალისადმი,  
რომელიც ცხოვრების სოციალისტურ ფორმებს ქმნის, სიყვარულ-  
მა პარტიისადმი, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალ-  
ხის ბელადი და ყველა ქვეყნის პროლეტართა მასწავლებელია.

## ლიტერატურა — ბავშვებს!

„იზვესტიის“ 23 და 27 მაისის ნომრებში დაიბეჭდა სტატია „ლიტერატურა — ბავშვებს!“. სტატიის ავტორმა, საბავშვო ლიტერატურის ნიჟიერმა და გამოცდილმა მუშაკმა ს. მარშაკმა საესეებით მართებულად მისცა თავისი სტატიის სათაურსა და თემას მოთხოვნის ხასიათი, საბრძოლო ლოზუნგის ხასიათი.

სახელმწიფოში, სადაც ქვეყნის უფროსისა და დიქტატორის—მუშათა კლასის მოწინავე რაზმმა—სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობით გატაცებულმა კომუნისტმა მამებმა და დედებმა აამოქმედეს და სულ უფრო აძლიერებენ სასწაულებრივ: უმაგალითოდ დაძაბულ ენერგიას, — ბავშვების სოციალისტური აღზრდა ჯერ კიდევ არ დგას პირველ პლანზე. თითქოს, ამ საქმისათვის, რომლის უპირველესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა საესეებით ცხადია, ჩვენ უკვე აღარ გვყოფნის ყურადღება, დრო, შემოქმედებითი ძალა.

წერა-კითხვას ვასწავლით შვიდი-რვა წლის ასაკის ბავშვებს. მაგრამ მათ საკითხავი არა გააჩნიათ რა. ყოველწლიურად გვემატება ასობით ათასი ახალი მკითხველი, წიგნები კი არ არის. ყოველ კოლმეურნეობაში, ყოველ მუშათა დაბაში, სადაც კი ბავშვთა კერა და ბაღი ეწყობა, იბადება მოთხოვნილება საბავშვო წიგნზე. კამჩატკა, შორეული აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ მხარე მოითხოვენ წიგნებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. მაგრამ რა უნდა ვუპასუხოთ შორეულ განაპირა მხარეებს, როცა მოსკოვსა და ლენინგრადში ბავშვებს არ გააჩნიათ მათი განვითარებისათვის მეტად აუცილებელი წიგნების კომპლექტი?

„წიგნები არ არის“. ეს სიტყვები მარტო იმას კი არ მოწმობენ, რომ 15 წლის მანძილზე უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის დაწერი-

ლი ორი ათეული კარგი წიგნი უმნიშვნელო რაოდენობით იცემა, არამედ იმასაც ნათელყოფენ, რომ ჩვენში არ შექმნილა ისეთი საბავშვო წიგნები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ცოდნისადმი ბავშვთა ინტერესისა და მათი გემოვნების განვითარებას, გაუადვილონ მათ მეცნიერების ათვისება, გააცნონ მამების მიერ დანგრეული ძველი ყოფა და ის ახალი სინამდვილე, რომელსაც მამები შეილებისათვის ქმნიან (აუცილებელია, მოვითხოვოთ შევექმნათ ბავშვებისათვის ახალი, საბჭოთა, სოციალისტური პოპულარულ-მეცნიერული და მხატვრულად შესანიშნავი წიგნი) ბავშვები ახალი სამყაროს ფუძემდებელ თავიანთ მშობლებზე უფრო კულტურული და უფრო აქტიური უნდა იყვნენ. მყვირალა სიტყვებს არ უნდა მოვერიდოთ და უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი შეილები მათფლით პროლეტარიატის კიდევ უფრო აქტიურ ბელადებად უნდა აღიზარდონ. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, პატარაობიდანვე შევიაჩაროთ ისინი იმ ცოდნის მთელი ძალით, რომელიც აუცილებელია ძველი ყოფაცხოვრების კონსერვატიზმის, დამყაყებელი მეშჩანური გარემოს გაუღენის წინააღმდეგ.

რევოლუციამდელი ბურჟუაზიული საბავშვო ლიტერატურა, მისი თვისების მიუხედავად, მაინც აძლევდა სამყაროზე ბავშვებს ერთგვარ წარმოდგენას: უმცროსი ასაკის ბავშვი ამას ლებულობდა ზღაპრითა და სურათით, უფროსი ასაკისა — ორიგინალური ან თარგმნილი მოთხრობების საშუალებით. საბავშვო ბიბლიოთეკებში ქარბობდა ბელეტრისტიკა. მაგრამ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურაც იყო — ათობით წიგნი ფეზიკის, ასტრონომიის, ზოოლოგიის დარგში, ასობით წიგნი — ისტორიის დარგში.

ჩვენს ამოცანას ის ართულებდა, რომ ამ ბურჟუაზიული მემკვიდრეობიდან მხოლოდ ცოტა რამის მიღება შეგვიძლია, გაცილებით ცოტაში, ვიდრე მოზრდილთა ლიტერატურამ გამოიყენა: კლასიკოსთა და მსოფლიო ხალხური ეპოსის ზოგიერთი ნაწარმოებისა (ისიც ხელახლა თარგმნილი და მონათხრობი), ზოგიერთი რამ კი უფროსი ასაკისათვის გამოცემული ლიტერატურიდან (ტიმირიაზევის „მცენარის ცხოვრება“, ფარადეს „სანთლის ისტორია“ და ა. შ.).

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაწერილი ჩვენი წიგნი არა მარტო უნდა იძლეოდეს კაცობრიობის აზრისა და გამოცდილების საბოლოო შედეგებს, არამედ კვლევითი მუშაობის თვით პროცესში უნდა შექყავდეს მკითხველი, აჩვენებდეს მას სიძნელეთა თანდათანობით გადალახვას და სწორი მეთოდის ძიებას.

უნდა დაიწეროს — და არა ერთი, არამედ რამდენიმე წიგნი იმაზე, რაც უკვე მისცეს ფიზიკამ და ქიმიამ აღამიანებს და რისი მო-

ცემაც შეუძლიათ მათ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პირობებში.

შეიძლება და სასურველიც არის წიგნებიც აგრეთვე უფრო ვიწრო და კონკრეტულ თემებზე.

ასეთი თემები ხშირად სერიოზული მასალის ჭკუამახვილურა, ორიგინალური გააზრების საშუალებას იძლევიან. ასეა ჩაფიქრებულნი, მაგალითად, ერთი ახალგაზრდა მეცნიერის წიგნი „ბაყაყების როლი მეცნიერებაში“. აი, რამდენიმე სანიმუშო თემა:

1. წიგნი იმაზე, თუ საიდან გაჩნდა კერძო საკუთრება და როგორ უშლის იგი ხელს ჩვენს დროში კაცობრიობის განვითარებას, როგორ ამუხრუჭებს მეცნიერული აზრის განვითარების თავისუფლებას.

ოსტატები, გმირები და ღმერთები. იმაზე, თუ როგორ გადააკეთეს ქურუმებმა განყენებულ ღმერთებად ოსტატთა, შრომის გმირთა ხალხისათვის რეალური სახეები. წიგნი ხუცებსა და ქურუმებზე. რა არის ცილა?

რა არის ფილოსოფია? ამ წიგნმა სიტყვების თაშაშით უნდა მოგვეცეს აზროვნების ტექნიკის ელემენტარული წარმოდგენა, მოგვითხროს, თუ როგორ იბადება ცნებები.

მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ. წიგნი გეოლოგიაზე, რომელსაც დაერთვის გასაშლელი გეოლოგიური გლობუსი.

წიგნი ფიზიკურ გეოგრაფიაზე სათანადო მოდელების დართვით. მასალათა გამძლეობა. უმარტივესი კონსტრუქციები, მათი შემწეობით ბავშვი ეცნობა მასალების გამძლეობას.

სიცარიელის მნიშვნელობა ტექნიკაში („რას სჭირდება არაფერი?“).

ზომა და წონა. წიგნი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანებისათვის სივრცის, სიმძიმისა და დროის გაზომვის სიზუსტეს. ამ სიზუსტის დარღვევის შედეგები — მატარებელთა შეჩახება, მანქანათა ნაწილების შეცვლის შესაძლებლობა, ადამიანთა მოწამლევა წამლებში არსებული შხამებით და ა. შ. (ამ თემას ნაწილობრივ შეეხო ახალგაზრდა მწერალი მერკულიევა თავის წიგნში „სიზუსტის ფაბრიკა“).

წიგნი ადამიანის აგებულებაზე (თავის ქალის, საყლაპავი მილის, კუჭის და სხვ. სქემების დართვით).

როგორ იქცა ადამიანი გოლიათად? წიგნი იმაზე, თუ მეცნიერებამ და ტექნიკამ როგორ გააფართოვეს ჩვენი ხედვა (ტელესკოპი, ტელევიზია), სმენა (ტელეფონი, რადიო), როგორ დააგრძელეს ჩვენი ფეხები (მიმოსვლის თანამედროვე საშუალებანი), ხელები (შორ მანძილზე მართვა) და ა. შ.

საბავშვო წიგნებში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს კულტურის ისტორიას. ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს სასწავლო ხასიათის დამაკავშირებელი და თანმიმდევრული კურსი. ეს უნდა იყოს შრომის სხვადასხვა სახის ისტორიასთან და საგანთა (გუთნის, ზომალდის, საქსოვი დაზვის და ა. შ.) ისტორიასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი თემებისადმი მიძღვნილი წიგნებისა და ალბომების სერია.

ამასთან ერთად ბავშვებს უნდა მივაწოდოთ ცნობები, თუ რა წარმოდგენისაა თანამედროვე მეცნიერება სამყაროზე. აი, უოლესის წიგნი რომ არის „ადამიანის ადგილი სამყაროში“, იმის მსგავსი.

ჩვენ უნდა მივალწიოთ იმას, რომ საუკეთესო მწერლებმა და მხატვრებმა მოგვცენ მსოფლიოს ხალხებისადმი მიძღვნილი წიგნები და ალბომები. სსრ კავშირის ხალხებზე ყველაზე უკეთ შეუძლიათ მოთხრობა მხარეთმცოდნეებს და მთელი კავშირის ტერიტორიაზე გაფანტული მრავალრიცხოვანი ექსპედიციების მონაწილეებს. ისინი გვიჩვენებენ ეროვნულ ყოფას ცვლილებებისა და განვითარების პროცესში. ასეთი წიგნები ეპოქის ძლიერ მნიშვნელოვანი დოკუმენტები იქნება.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ უკლებლივ ყველა საბავშვო წიგნმა შემეცნებითი მასალა მოგვცეს. ჩვენი წიგნი არ უნდა იყოს დიდაქტიკური, უხეშად ტენდენციური. იგი უნდა მეტყველებდეს სახეების ენით, მხატვრულად. ჩვენ გვესაჭიროება მზიარული, გასართობი წიგნებიც, რომლებიც იუმორის გრძნობას განუვითარებენ ბავშვს. უნდა შევქმნათ ახალი იუმორისტული პერსონაჟები, რომლებიც საბავშვო წიგნების მთელი სერიების გმირები იქნებიან.

საკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის საჭიროა უბრალო, მაგრამ ამავე დროს დიდი მხატვრული ოსტატობით დაწერილი ისეთი ლექსები, სათამაშო, სათელელ, ენის გასატეხ მასალად რომ გამოადგებოდეს მათ. საბავშვო წიგნის თანაშემდროვე ოსტატების ლექსებთან ერთად აუცილებელია ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებით შედგენილი რამდენიმე კრებულის გამოცემა.

ყველაფერს, რაც კი საბავშვო ლიტერატურას სჭირდება, ვერ ჩამოთვლი.

ეს არ არის გასაკვირი.

რევოლუციამდელი რუსული ლიტერატურა დაახლოებით 150 წელიწადს ითვლიდა. საბჭოთა საბავშვო წიგნი ზუსტად ათჯერ უფრო ახალგაზრდაა — იგი 15 წლისაა. მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო შეექმნა წიგნების საკმაო მარაგი ყველა იმ მრავალრიცხოვან საკითხზე, ბავშვს რომ აინტერესებს სამყაროს გაცნობის პროცესში.

მაგრამ გადამწყვეტი ზომები უნდა მივიღოთ, რათა ჩვენი ბავშ-

ვები უახლოეს ხანში მოვამარაგოთ საკირო ლიტერატურით, ეს აუცილებელია მათი კულტურული ზრდისათვის.

ამას მივალწევთ მსოფლიო და საბჭოთა როგორც საერთო, ისე საბავშვო ლიტერატურების ყველაზე უფრო ძვირფასი წიგნების ოსტატური და გულისხმიერი შერჩევით, აგრეთვე მწერლების, მეცნიერებისა და მხატვრების მრავალრიცხოვანი კადრების შერჩევითა და ამ საქმეში ჩაბმით.

1. ასეთი ამოცანის დაძლევა შეუძლია მხოლოდ საბავშვო ლიტერატურისათვის გამოყოფილ, საგანგებო გამომცემლობას — საბლიტგამს.

2. ეს გამომცემლობა უნდა უზრუნველევდეს კომპეტენტური და ამ საქმის ერთგული ადამიანებით, აგრეთვე სათანადო მატერიალური ბაზით.

3. გამომცემლობის საკიროებისათვის უნდა გამოიყოს ფაბრიკა, რომელიც გამოუშვებს საბავშვო მხატვრული წიგნისათვის გამოსადეგი ხარისხის ქაღალდსა და მუყაოს; აგრეთვე გამომცემლობასთან უნდა მოეწყოს კარგად აღჭურვილი სტამბა და თვალაჩინო ხელსაწყოთა სახელოსნო.

დროა დავაყენოთ საბავშვო ლიტერატურის საკითხი ფართოდ და სერიოზულად, ისე როგორც ჩვენში, საბჭოების ქვეყანაში, აყენებენ ხოლმე ყველა დიდ საკითხს, რომელიც კი სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებს.

## საბავშვო ლიტერატურის შესახებ

(მოხსენებებიდან)

პირველ რიგში ჩვენ გვესაჭიროება ბავშვების და მოზრდილთა ცხოვრებაზე დაწერილი მოთხრობები, ისეთი მოთხრობები, რომლებიც როგორც „პატარა ლორდ ფაუნტლერის“, ისე დე ამიჩიანს „მოსწავლის დღიურისა“ და „ძია თომას ქოხის“ მაგიერობას გაუწევენ ჩვენს მკითხველებს.

ისეთ წიგნებს, როგორცაა ბელიხისა და პანტელეევის „ჭკიდის რესპუბლიკა“, პანტელეევის „საათი“, ჟიტკოვის, გრიგორიევის და სხვათა მოთხრობები, მცირე რაოდენობის გამო, მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლიათ საბავშვო ლიტერატურით ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. საჭიროა ამ საქმეში ჩაებათ მწერალთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. ნიკოლოზ ტიხონოვმა, მიხ. ზოშჩენკომ და მიხ. პრიშვინმა საბავშვო პროზის შექმნის თავისი გამოცდილებით კიდევ ერთხელ ნათელყვეს, რომ უბრალო და გასაგები სტილის გამომუშავება შესაძლებელია კვემარტი ოსტატობით და არა ლიტერატურული ღირსების შემცირებით...

მაგრამ ჩვენი ლიტერატურა მარტო იმისათვის კი არ არის მოწოდებული, რომ ასახოს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. მას უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა აქისრია. მის მკითხველს უნდა ასწავლოს წარმოსახვა წინასწარკვერტა და შექმნა. ამიტომ ვანიკებთ ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ლიტერატურის იმ ნაწილებს, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოსახვის განვითარებას — ზლაპარს, რომანტიკულ მოთხრობას, მეცნიერულ ფანტასტიკას, ხვალისდელ დღეზე დაწერილ წიგნს.

## მიმართვა სსრ კავშირის პიონერებს

მოგმართავთ გაზეთ „პიონერსკაია პრავდის“ და პირადად ჩემი სახელით. გადაწყდა, შეიქმნას საგანგებოდ საბავშვო წიგნების გამოცემლობა. საჭიროა ვიცოდეთ: რას კითხულობთ თქვენ? რომელი წიგნები შოგწონთ? რომელი წიგნების წაკითხვა გსურთ?

უკანასკნელი კითხვა ასე გაიგეთ: განსაკუთრებით რა გსურთ იცოდეთ, რა საკითხები გაინტერესებთ.

გვიპასუხეთ უბრალოდ, გულწრფელად, ნურაფერს ნუ გამოიგონებთ, ნუ მოგვაჩვენებთ თავს უფრო ჰკვიანად, ვიდრე ხართ. თქვენ ისედაც საკმაოდ ჰკვიანები ხართ.

წერილები გაუგზავნეთ „პიონერსკაი პრავდის“ რედაქციას. ხოლო ვისაც სურს — შეუძლია პირდაპირ მე გამომიგზავნოს ასეთი მისამართით: მოსკოვი, მალაია ნიკიტსკაია, 6.

ჩვენ შევეცდებით ყველა თქვენს წერილს, წავიკითხავთ და გვეცოდინება, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, რაზე დაეწეროთ ახალი წიგნები, რომელი ძველი წიგნები გამოვცეთ ხელახლა. იყავით კარგად!

მ. გო რ კ ი



## თემების გამო

საბავშვო წიგნთა თემების საკითხი, თავისთავად ცხადია, ბავშვთა სოციალური აღზრდის საკითხია.]

აღზრდა ჩვენს ქვეყანაში ნიშნავს ბავშვის აზროვნების გარეყოფილებას, ესე იგი მის განთავისუფლებას მამაპაპისეული წარსულის ტექნიკური აზრის წინააღმდეგ განსაზღვრული სიახლეებისაგან, ამ აზრის შეცდომებისაგან, რომელთა წყაროა კონსერვატიული ყოფის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. ეს ყოფა კი ემყარება კლასობრივ ბრძოლას და ერთეულთა მისწრაფებას თავდაცვისაკენ, ინდივიდუალიზმისა და ნაციონალიზმის, როგორც სოციალურა ყოფის „საუკუნოვანი“ ფორმებისა და კანონების, დამკვიდრებისაკენ.

ბავშვთა აღზრდა იხე უნდა მოეწყოს, რომ ისინი პატარაობიდანვე, თამაშის პროცესშიც კი გადაჭრით მოვწყვიტოთ შეგნებულ თუ შეუგნებელ სწრაფვას წარსულისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს აუცილებლად დავანახვოთ წარსული ამას ვერ მივალწევთ მხოლოდ ფაქტების, იდეების, თეორიების გაცნობით; ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ შრომითი პროცესების მოთხრობით, იმის მოთხრობით, თუ როგორ ქმნიდნენ ეს პროცესები ფაქტებს და როგორ გამომდინარეობდა ამ ფაქტებიდან ცნებები, იდეები, თეორიები. უნდა ნათელვყოთ, რომ აზრის თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ შრომითი მოღვაწეობის სრული თავისუფლების პირობებში. ასეთი თავისუფლება სრულებით უცხოა საზოგადოების კაპიტალისტური წყობილების პირობებისათვის და თვითულისათვის სავალდებულოა სოციალისტურ წყობილებაში.

არ უნდა დაივიწყოთ ფაქტებისა და პროცესების სხვადასხვაგვარი გავლენა აზრზე. ეს მარტო ყოფა-ცხოვრებაში კი არ ხდება, არამედ მეცნიერებაშიც, სადაც ეგრეთ წოდებული „მტკიცედ დადგენილი ფაქტები“ ხშირად ასრულებენ კონსერვატიულ როლს,

„სიციხადის“ ტყეობაში აქცევენ აზრს და ამით აბრკოლებენ შემოქმედებითი პროცესის ტემპსა და თავისუფალ განვითარებას. „კეშმარიტება“ — შემცნების იარაღი, მისი ღრობებითი ამოსავალი წერტილი — ძალიან ხშირად გამოხატავს კეშმარიტების „მწარმოებლის“ შეგნებულს თუ ინსტანქტურ პირად მისწრაფებას სიმშვიდისაკენ, სხვათა გონებაზე ბატონობისაკენ. ამ შემთხვევაში უკუაგდებენ კრიტიკას და ასეთ „კეშმარიტებას“ ურყევ, „სამარადისო“ კანონად, „რწმენად“ აცხადებენ.

სავსებით დასაშვებია, რომ „ენტროპიის“—სიმშვიდისაკენ ენერჯის სწრაფვის—ჰიპოთეზა მოქანტული აზრის დასვენებისაკენ, სიმშვიდისაკენ სწრაფვის გამოხატულებაა მხოლოდ. ასევე „ზეკომპლექტურობის“ მოძღვრებაც — მოძღვრება იმაზე, რომ თითქოს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ დეფექტებს ანაზღაურებს ინტელექტუალური უნარის გაძლიერება — წარმოადგენს თეორიას, რომლის ძირითადი იდეა, თუ მას სოციოლოგიის დარგში გადავიტანთ, მალთუსასა და სხვა ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა მსგავსად, გაამართლებს საზოგადოებრივი ურთიერთობის სამარცხვინო სიმახინჯეს. ყველა ისინი ფაქტებს ეყრდნობოდნენ, მაგრამ მხოლოდ მარქსმა ამოხსნა გენიალურად ფაქტების შემოქმედების პროცესი, მხოლოდ მან ნათელჰყო უდავოდ, რომ კაცობრიობის ტრაგიკული ცხოვრებისა და ყველა ტანჯვის ძირითადი მიზეზი ჰეგელის მუშურ ხელსა და გონიერ თავს შორის განხეთქილებაში მდგომარეობს.

ახალგაზრდობაში მატერიალისტი, ხოლო მოხუცებულობაში მისტიკოსი ბიოლოგი ოლივერ ლოჯი ერთ-ერთ თავის პირველ წიგნში ამტკიცებდა, რომ აზროვნება წარმოიქმნა როგორც ნერვული უჯრედის ქიმიური რეაქცია გარე სამყაროს ბიძგებისა და დარტყმების შედეგად გამოწვეულ ტკივილებზე. რომელიღაც პრიმიტიული ორგანიზმის ხანგრძლივმა და განუწყვეტელმა შეტაკებებმა მის გარემომცველ სამყაროსთან წარმოქმნეს ნერვულ-გონებრივი სისტემა, რომელიც შემდგომ შეხებად, მხედველობად, სმენად, გემოდ. ყნოსვად განვითარდა და, ბოლოს, ადამიანის შორეულ წინაპარში თვითდაცვის ინსტინქტად გარდაიქმნა — იმ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შეიარაღება უკარნახა, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. განვითარების რომელიღაც უძველეს საფეხურზე ადამიანები დღევანდელ მგლებზე მეტად როდი იყვნენ „სოციალურნი“. მაგრამ მაიმუნის ნათესავმა — ადამიანმა — უფრო ოსტატურად განივითარა წინა კიდუ-

რები, და მისი ეს ქვეიანი ხელები იქცა სწორედ იმ ძალად, რომელმაც ცხოველებსაგან გამოჰყო ადამიანი. ამ ძალამ სწრაფად განავითარა მისი აზრი და საბოლოოდ ჩამოაყალიბა იგი ისეთად, როგორც დღეს არის: ლითონის დამმუშავებელი და უზუსტესი ხელსაწყოების, აპარატების, მანქანების დამამზადებელი დახელოვნებული ოსტატი; უნიციერესი პიანისტი, სასწაულმოქმედი ქირურგი და ა. შ.

ეს სრულიადაც არ ამცირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა გავლენის ძალას აზრის ზრდასა და განვითარებაზე. მაგრამ — ეს უფრო მოგვიანო მომენტია. ჩვენ ბუცილებლად უნდა ვაჩვენოთ ბავშვებს ისტორიული ადამიანი, როგორც „საუეუნეთა ბურუსიდან“ გამოსული. ვაჩვენოთ მისი ნახევრადშეგნებული შრომითი პროცესების თვით დასაწყის სტადიაში; საჭიროა, რომ ბავშვებს ერთგვარი წარმოდგენა ჰქონდეთ იმ გზაზე, რომელიც განვლო კაცობრიობამ ქვის ნაჯახის გამოგონების შემდეგ სტეფენსონსა და დიზელამდე, ზღაპრის — ამ ფანტასტიკური ჰიპოთეზის — შემთხვევიდან მარქსის დიად მოძღვრებამდე; რომელმაც მშრომელი კაცობრიობის ნათელი მომავლის ფართო და პირდაპირი გზა გვიჩვენა. ახალი სამყაროს, თავისუფალი, ტექნიკით გაადვილებული შრომის სამყაროს, უკლასო საზოგადოების ბავშვებმა უნდა იცოდნენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ შრომას. როგორც ცვლის იგი მატერიის არა მარტო ფორმებს, არამედ თვისებასაც, მისი სტიქიური ძალების დამორჩილებით როგორ ქმნის იგი „მეორე ბუნებას“

უდავოა, რომ აზროვნება მეტი არაფერია, თუ არ მატერიის ობიექტური, რეალურად არსებული სამყაროს უკუფენა ადამიანის ტვინში; ადამიანის ნერვებისა და ტვინის ქსოვილი თვით წარმოადგენს მატერიის ყველაზე უფრო რთულ და განაოცარ პროდუქტს. მაგრამ ბავშვებმა უნდა იცოდნენ: შრომითი საქმიანობის თავისუფლებას ისტორიის მთელ მანძილზე მბრძანებელი კლასების ანგარიშა და სიხარბე რომ არ ავიწროებდეს, არ ზღუდავდეს, მშრომელი კაცობრიობა მშრომელი ხალხის ძვლებზე აგებული და მისი სისხლით შედუღებული „საერთო-საკაცობრიო კულტურის“ თანამედროვე საფეხურზე გაცილებით მაღლა იქნებოდა. თავისთავად ეხადია, რომ „ყოველივე გაპირობებულია“. მაგრამ ისტორია ჩვენთვის უკვე ფეტიში როდია, ჩვენ მას გეგმის მიხედვით ვქმნით. განსაკუთრებით მკვეთრად უნდა ვაჩვენოთ შრომის თავისუფლების გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბურჟუაზიული სამყაროს მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალიზმი სულ უფრო გადაჭრით უარს ამ-

ბობს თავის „კულტურაზე“, რადგანაც იგი მის მტრად იქცევა. ჩვენ უდავო უფლება გვაქვს სოციალისტური საბჭოების კავშირის თავისუფალი შრომითი ენერჯის ცხოველმოქმედების მაგალითით ნათელყოთ, თუ როგორ სწრაფად, მრავალფეროვნად, მტკიცედ ამდიდრებს კოლექტიური შრომა ჩვენს უზარმაზარ ქვეყანას, თუ 15 წლის განმავლობაში როგორ შეიქმნა ახალი კულტურის მტკიცე საფუძვლები. ობიექტური სამყაროს მოვლენების ბურჟუაზიისეული არასწორი, დამახინჯებული შემეცნების მრავალი მაგალითით ბავშვებს უნდა ვუჩვენოთ, როგორ და რისი გულისათვის ამახინჯებდნენ სამყაროს სწორ, კანონზომიერ შემეცნებას. ვიმეორებ: აუცილებელია შევქმნათ სათანადო წარმოდგენა სამყაროს მარგანიზებული და გარდამქმნელი ძალის მქონე ისტორიულ მშრომელ ადამიანზე, რომელიც თავის „მეორე ბუნებას“ — სოციალისტურ კულტურას — ქმნის.

ბავშვებს უნდა ჩავაგონოთ, რომ სამყაროს მომწყობი ენერჯის, „მეორე ბუნების“ — კულტურის — შემქმნელი ენერჯის მატარებელი ადამიანი — ბუნების მიერ თითქოს თავისი თვითშემეცნებისა და გარდაქმნისათვის გაჩენილი ორგანოა. მათ ექვსი-შვიდი წლის ასაკიდან უნდა გავაგებინოთ აზრის მუშაობა სასწაულებრივი ძალა; ისინი უნდა სწვდებოდნენ სოციალისტური მოვლენების არსს, ეჩვეოდნენ თავიანთი უნარის შეცნობას. ზმითომ ბავშვებისათვის ცხოვრების გაცნობა შორეულ წარსულზე, შრომის პროცესების საწყისებზე და აზრის მარგანიზებელ მუშაობაზე დაწერილი მოთხრობებით უნდა დავიწყოთ.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურის შექმნის ისტორია უმწეო, უცოდინარმა ადამიანებმა დაიწყეს, რომლებიც მთელ თავიანთ ცხოვრებას თავისი სიცოცხლისათვის ბრძოლას, ბუნების მტრული მოვლენებისა და მტაცებელი მხეცების წინააღმდეგ ბრძოლას ანდომებდნენ. კულტურის ბურჟუაზიული ისტორიკოსები პირველყოფილ ადამიანს, გვაროვნული კოლექტივის წევრს, ჩვეულებრივად, ისეთ მოაზროვნედ გვისახავენ, რომლებსაც აწუხებდა კითხვები: რა არის ძილი, სიკვდილი, რა ძალამ შექმნა დედამიწა, რატომ არის გაჩენილი ადამიანი და ა.შ. მაგრამ იმდროინდელი ადამიანი განუწყვეტელ ფიზიკურ შრომასა და განუწყვეტელი თავდაცვის მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი, პირველ ყოვლისა, რეალური ფაქტების შემოქმედი იყო და განყენებული აზროვნებისათვის არ ეცალა. „რეალური“ იმგვარად „გადაიზარდა იდეალურში“, როგორც ეს შეიცნო მარქსის უნივერსალურმა გონებამ: შრომის პროცესების გავლენით. პირველყოფილი ადამიანის თვითაღზრდის ზერხები ძალიან მარტივი იყო: ადამიანს ესმოდა, რომ იგი მხეცზე

ძლიერი უნდა იყოს და, სანამ მხეცების დამარცხებას ისწავლიდა, ამის შესაძლებლობას უშვებდა, ჰქმნიდა ზღაპრებს ლომთა დამმარცხებელ სამსონზე, ჰერკულესზე. ღმერთების შექმნას მას მხოლოდ თავისი ძალისა და უნარის ფანტასტიკური განვითარების შესაძლებლობა უკარნახებდა. იგი არ ცდებოდა თავის ამ ვარაუდში: პირველყოფილი ხელოსნობის საუკეთესო ოსტატებს იგი ბუნების, მატერიის მხრივ მისი ნებისადმი სასტიკი წინააღმდეგობის დამმარცხებლად ხატავდა. უძველესი მითები არ იცნობენ ისეთ ღმერთებს, რომლებიც ოსტატები არ იყვნენ: ესენია გაწაფული მჭედლები, მონადირეები, მწყემსები, მეზღვაურები, მუსიკოსები, ღურგლები; ქალღმერთებიც ოსტატები არიან: მრთველები, მზარეულები, მკურნალები. ის, რასაც „პირველყოფილ ადამიანთა რელიგიური შემოქმედება“ ეწოდება, თავისი არსებით, მისტიკის ნიშნებს მოკლებული მხატვრული შემოქმედება იყო. მისტიკა მაშინ შეიპრა მასში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით კოლექტივს მოწყვეტილი ინდივიდუალობა თავისი ყოფის უაზრობისა და ბუნების წინაშე, განსაკუთრებით კი კოლექტივის მბრძანებელი ძალის წინაშე, თავისი უღონობის შეცნობას იწყებდა: კოლექტივი კი მისგან მოითხოვდა — არ შეეძლო არ მოეთხოვა — შრომის თანაწორუფლებიანობას. ძალიან ძნელი დასაშვებია, რომ პირველყოფილ ოჯახსა და გვარს თავის წრეში მოეთმინა უსაქმურები, ზარმაცები და, საერთოდ, ისეთი სუბიექტები, თავს რომ არიდებდნენ საკმლის მოპოვებისა და სიცოცხლის დაცვისათვის კოლექტიურ შრომას; ასეთ ადამიანებს ალბათ სპობდნენ.

განყენებულ და მისტიკურ აზროვნებას ადამიანი სიბერეშიც იწყებდა, როცა მის აზროვნებაში იჭრებოდა სიკვდილის გარდუვალობით აღძრული შიში. შეიძლება შიშმა პანიკა გამოიწვიოს კოლექტივში, მაგრამ პანიკა დიდხანს ვერ გასტანს. იგი ვერ თრგუნავს კოლექტივის ბიოლოგიურ ენერგიას. სტიქიური კატასტროფები, მაგალითად ვულკანთა მოქმედება, მიწისძვრები, პერიოდული წყალდიდობანი, არასდროს არ გამხდარა ხალხთა გადაახლებების მიზეზი. ყველაზე უფრო პესიმიზტურ რელიგიას ინდუიზმი — ვედოიზმი, ბუდიზმი — წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ცნობილია, იგი ცხოვრებასა და გამრავლებას ვერ უშლის ინდუსებს. შოპენჰაუერის, პარტმანის ინდურ-გერმანულ ფილოსოფიას ბურჟუაზიულ დაქუცმაცებულ საზოგადოებაშიც კი შესამჩნევად არ გაუზრდია თვითმკვლელობათა რაოდენობა.

შიში ცხოვრების წინაშე — „შეუცნობელის“ წინაშე და ა. შ. — ინდივიდუალისტიკის თვისებაა და, როგორც ცნობილია, იბადება ადა-

მიანის მიერ საკუთარი არარაობის შეგრძნების შედეგად. ინდივიდუალისტებმა ისწავლეს თავიანთი შიშის უტილიზება და შრომის ადამიანებს უნერგავენ მას, როგორც ყველაზე დიდ სიბრძნეს, როგორც გონებისათვის მიუწვდომელ საიდუმლოებათა ზეგონიერ წვდომას. ადვილი შესაძლებელია, რომ მისტიკურ რელიგიათა პირველი ფუძემდებლები, კულტთა ორგანიზატორები, ქურუმები სწორედ დაშინებული უსაქმურები და დაჩაჩანაკებული ადამიანები იყვნენ.

აზრის ნაადრევი მოღლის, საკუთარივე დასკვნების წინაშე შიშის შემთხვევები შეიძლება აღმოვაჩინოთ ბურჟუაზიის მთელი ისტორიის მანძილზე. რაც უფრო უახლოვდებოდა იგი ჩვენს ეპოქას, მით უფრო ხშირად იყო ასეთი შემთხვევები. XIX. XX საუკუნეებში განსაკუთრებით მდიდარია მეცნიერულ-რევოლუციური და მატერიალისტური აზრის ნახტომებით რეაქციულობასა და მისტიკაში...

ბავშვებისათვის განკუთვნილი მხატვრული და საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნაში წარმატებების მოპოვებისათვის ჩვენ გვესაჭიროება ისეთ ნიჭიერ მწერალთა კადრები, რომელთაც უბრალოდ, საინტერესოდ და შინაარსიანად წერა შეუძლიათ, გვესაჭიროება სათანადო პოლიტიკური და ლიტერატურული ცოდნით აღჭურვილ კულტურულ რედაქტორთა კადრები. საჭიროა ტექნიკური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბავშვო წიგნის დროზე გამოსვლასა და ხარისხს. ასეთი ამოცანები ერთ დღეში როდი გადაიჭრება.

მაშასადამე: მათ გადაწყვეტს ახლავე უნდა მოვკიდოთ ხელი: შესაძლოა, რამდენიმე დასამუშავებელი თემის განსაზღვრით ერთგვარად ხელი შევეწყოთ ახალი საბავშვო წიგნის შექმნას:

#### დ ე დ ა მ ი წ ა

გეოქიმიური და გეოფიზიკური წარმოდგენები დედამიწაზე; მისი შექმნის ისტორია; ლითონები, მინერალები, ნაყოფიერი ნიადაგის წარმოშობა. დიდი ტემპერატურის როლი, რომლის დაუფლების წყალობითაც ძირითადი მადნის — რკინისაგან მეცნიერება ქმნას ფოლადს და ამა თუ იმ ლითონთან შედუღებით სულ უფრო მდგრად, მაგარ ლითონს ამზადებს. პრაქტიკული დასკვნები.

#### მ ა ე რ ი

მისი ქიზია, გაზები, განსაკუთრებით ქანგბადი და წყალბადი; ჰაერის ნაკადთა ფიზიკური მოქმედება. სიმკვავის, მარლის, ტუტის წარმოშობა. წვა, ლპობა. მოძრაობა, როგორც ფიზიკისა და ქი-

ნიის ყველა მოვლენის საფუძველი. ჰაერის მოძრაობის უტილიზაციის ჩვენი ცდები.

### წყალი

მისი ფიზიკური და ქიმიური მოქმედება. წყლის მოძრაობა — ვარდნა — როგორც ელექტროენერჯიის წყარო.

ეს სამი თემა იმგვარად უნდა დამუშავდეს, რომ ნორჩმა მკითხველმა შეძლებისდაგვარად საკმაოდ ნათელი წარმოდგენა მიიღოს მატერიის ცვალებადობის ყველა პროცესზე და მეცნიერების მიერ ბუნების სტიქიური ძალების თანდათანობითს დამორჩილებაზე.

შემდეგ აუცილებელია კიდევ ასეთი თემების დამუშავება:

### მცენარე

განვითარებისა და ადამიანის მიერ მისი ათვისების ისტორია.

### ცხოველი

ორგანული სიცოცხლის ზრდის ისტორია მზარდი უჯრედიდან ადამიანამდე.

### როგორ გაჩნდნენ ადამიანები დედამიწაზე

მითოლოგიური ახსნა: ადამიანები გამოდიოდნენ წყლიდან, ტყიდან, მხეცების სამეფოდან, საერთოდ, ბუნების ძალებით არიან შექმნილნი. საეკლესიო და ქურუმთა ახსნა: ადამიანები ღმერთების მიერ არიან შექმნილნი.

ორგანული ევოლუციის თეორია.

### როგორ იხწყავდეს ადამიანებმა ფიქრი

ნერვის უჯრედის წარმოშობის თეორია. კანის რეაქცია შეხებისას და ხუთი გრძნობის განვითარება. მსგავსებათა და განსხვავებათა როლი ბუნების მოვლენებში, რეალური სამყაროს ცვლილებებში. სასიამოვნო და უსიამო შეგრძნებები. თავდაცვის ინსტინქტი. ცნებათა გამომუშავება მსგავსებებსა და განსხვავებებზე დაკვირვების შედეგად. სინათლისა და წყვდიადის როლი საცვების მოპოვებაში. ხმამობაძვა, როგორც მეტყველების გამომწვევი ერთ-ერთი შესაძლებლობა. ჰრიკინი, ღრიალი, გრუხუნის, ქყვირილი, ფაჩუნის, შრიალი და ა. შ.

### როგორ დაეფუძნენ ადამიანები ცეცხლს

ნაპერწყლები ქვის დამუშავებისას. ხმელი ხის ანთება ხახუნით. (ბუშმენის ახსნა: „ღიღი ხნის ხახუნის შემდეგ ხე გაოფლიანდება“ 21. შ. გორკი

აკვამლდება და ბრაზობს — ინთება“. თანამთხვევა: სლავური სიტყვები — Огонь — гнев, гневаться, огневаться), ელვა. პრომეთეს მითი.

**როგორ შეიმსუბუქეს ადამიანებმა შრომა და ცხოვრება**

შრომის პირველყოფილი იარაღების გამოგონება და გამოყენება. ფრინველთა ბუდეები, როგორც დაწენის ნიმუში; ფრინველის ნისკარტს, რომლითაც იგი ბუდეს წნავს, შეედლო ადამიანისათვის ნემსის იდეა ჩაესახა; ფრინველის კვერცხის ნაჭუჭი ან კაკლის ნაჭუჭი — ნავის პროტოტიპია, აბლაბუდა — ქსოვილისა. თხუნელაზე, მინდვრის თავგებასა და ფრინველებზე დაკვირვებას შეედლო ადამიანისათვის მიეცა პურეული მარცვლოვნების გამოყენების იდეა.

**რა მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანებისათვის რკინისა და სხვა ლითონების ათვისებას.**

**ტკბილის, მუავის, მლაშის, მტენარის შესახებ**

გლუკოზები, სიმჟავეები, მარილები, ტუტეები. მათი როლი ადამიანის ორგანიზმში, მნიშვნელობა მრეწველობაში და ა. შ.

**მეცნიერების სასწაულებრივი მიღწევები**

უმთავრესად — ქიმიაში. მინის დამზადება: არაგამპყვირვალე მატერია პაერივით გამპყვირვალე ხდება. ძნელადღნობადი, ღრეკადი და სხვა მინა.

შეიძლება მოვეთხროთ კარტოფილის კაუჩუკად გარდაქმნის ამბავი და მთელი რიგი სხვა პროცესები, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერ მოქმედებენ წარმოსახვაზე, როგორც ისეთ ძალაზე, ხელს რომ უწყობს შესაძლებლის დასაშვები ზღვარის გაფართოებას.

**აზრი და საქმე**

მათი ურთიერთკავშირი, წინააღმდეგობა, წინააღმდეგობათა გადაწყვეტა შრომითი გამოცდილების პროცესში.

**მომავლის ტექნიკაზე**

ჰელიოტექნიკა, რადიოტექნიკა, ქარის ძალის უტილიზაცია, ტემპერატურის სხვაობა და ა. შ.

**რისთვის და როგორ ქმნიდნენ ადამიანები ზღაპრებს**

არ არსებობს ფანტაზია, რომლის საფუძველსაც რეალობა არ შეადგენდეს. არსებული და სასურველი: მხეცი ადამიანზე ძლიე-



რია — ადამიანი უნდა გახდეს მხეცზე ძლიერი. დიდ მხეცებს არ შეუძლიათ ფრინველის დაჭერა ჰაერში, აქედან — ფრენის სურვილი, მიწაზე სწრაფი მოძრაობის სურვილი — „სწრაფმავალი ჩექმები“, „მფრინავი ხალიჩა“ და ა. შ. პირველყოფილი ადამიანის ფანტაზია, როგორც მის მიერ სასურველის გამოხატვა, მისთვის შესაძლებლის წარმოდგენა. პტეროზავრთა ჩონჩხები და მფრინავი ხვლიკი — „მფრინავი ურჩხული“ — როგორც გველეშაპის პროტოტიპი. ზღაპარი როგორც ჰიპოთეზის პროტოტიპი.

**რა არის რელიგია და რისთვის არის იგი გამოგონილი**

ვინ შექმნა რელიგია? ქურუმთა მისტიკური ღმერთები ოსტატი-ღმერთების: ვულკანის, თორის, ბალდურის, ვაინემეინენის, აპოლონის, იარილის და სხვ. ტიპის მიხედვით იქმნებოდნენ. ანგელოზები — ფრინველებია. წმინდანთა თავგადასავალი აგებული იყო ხალხური ზღაპრების საფუძველზე. ქურუმები — ღმერთების შემოქმედნი, ხალხი — ღმერთებთან მებრძოლი. ღმერთებთან ბრძოლის უძველესი დადასტურება: პრომეთე, კალევი — ესტონური „კალევიპოეგის“ გმირი, ლოკი — ღმერთების მტერი და სხვ., — ეკლესიამ სატანად შერისხა ღმერთებთან მებრძოლნი. მატერიალიზმი და წარმართობის სკეპსისი. ქრისტიანული ეკლესიის მისტიკა, მისი სისასტიკე. ინკვიზიცია, მისი განუწყვეტელი ბრძოლა ერეტიკოსებთან და მიუხედავად ამისა, — ჭიშკრებისა და ეშმაკის გამოსახვა პარიზის ტაძრის კოშკებზე, ადამიანის დუნდულების წყალსადინარად წარმოსახვა შვარცვალდის ფრეიბურგის ტაძარზე და ბევრი სხვა მისთანანი. ეკლესიის საწინააღმდეგო ზღაპრები, ლეგენდები. რა მისცა რელიგიამ ადამიანებს?

**როგორ აქცია მეცნიერებამ ადამიანები გოლიათებად**

ტელესკოპმა, ტელეხედვამ გაათართოვეს მხედველობა, მიკროსკოპმა გააღრმავა იგი. ტელეფონი, რადიო სმენის გაძლიერებაა. დედამიწაზე, წყალში, ჰაერში მოგზაურობის თანამედროვე საშუალებანი — გრძელი ფეხები; მანძილზე მართვა — გრძელი ხელები.

**ძრავის ისტორია ორთქლის მანქანიდან დიზელამდე,  
„რა საჭიროა არაფერი?“**

სიცარიელის მნიშვნელობა ტექნიკაში. ზომა, წონა. სიერცის, დროის, სიმძიმის გაზომვის სიზუსტის მნიშვნელობა. სიზუსტის დარღვევის შედეგები: მატარებლების შეჭახება, სიზუსტის აუცილებლობა მანქანის მოძველებული ნაწილების შეცვლის დროს, მოწმლვა წაშლების არასწორი აწონის დროს და ა. შ.

პირველი ნაწილი

ბუნების ბატონობა ადამიანზე. ადამიანის მტრები: ქარი, ქექა-ქუხილი, ქაობება, სიცავე, სიცხე, მდინარეთა ქორომები, უღაბლოები, მტაცებელი მხეცი, შხამიანი მცენარეები და სხვ.

მეორე ნაწილი

ადამიანის ბრძოლა მტრულ ბუნებასთან და ახალი ბუნების შექმნა. ქარის, წყლის, ელექტრონის დამორჩილება. ქაობები ადამიანს აძლევენ ტორფს — სათბობსა და სასუქს. მცენარეები და ცხოველები ადამიანის სამსახურში და ა. შ.

მესამე ნაწილი

ადამიანის ბატონობა ბუნებაზე. სოციალისტური საზოგადოების გეგმიანი, ორგანიზებული შრომა. სტიქიის, ავადმყოფობისა და სიკვდილის დამარცხება.

განაკუთრებით მნიშვნელოვანი და სერიოზულია ამოცანა — მივცეთ ბავშვებს წიგნები იმაზე, თუ როგორ გაჩნდა კერძო საკუთრება და როგორ იქცევა იგი ჩვენს დროში ადამიანის განვითარების მთავარ დაბრკოლებად. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მთელი რიგი ისტორიული წიგნებითაც, მწვავე პოლიტიკური პამფლეტებითაც, საბჭოთა პირობებში მოზარდთა და ბავშვთა შორის აერძომესაკუთრული გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართული ყოფითი სატირითაც.

რევოლუციამდე რუსეთში დასავლეთის ქვეყნებისადმი მიძღვნილი საკმაოდ ბევრი წიგნი მოიპოვებოდა, მაგალითად ვოდოვოზოვას წიგნები. ამ წიგნების დიდი ნაწილი საკმაოდ ზერელედ იყო დაწერილი. სხვადასხვა ქვეყნების ყოფა გარეგნულად იყო აღწერილი, ხალხებს განასხვავებდნენ ხასიათის უცვლელი ნიშნებით, ვთქვათ, ფრანგებს — იუმორით, ინგლისელებს — დარბარსლობით, პოლანდიელ ქალებს — თავსაბურავებით. ამ წიგნებში ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები კლასობრივი ბრძოლა.

მაგრამ მაინც, ისინი დასავლეთის ქვეყნების ყოფისა და კულტურისადმი ინტერესს უღვიძებდნენ ბავშვს, უცხო ენების შესწავლით აინტერესებდნენ მას.

ჩვენ უნდა შევიძლოთ, რომ საუკეთესო მწერლებმა და მხატვრებმა მოგვცენ მსოფლიოს ხალხებისადმი მიძღვნილი წიგნები და:

აღბომები. სსრ კავშირის ხალხებზე ყველაზე უკეთ შეუძლიათ მოთხრობა მხარეთმცოდნეებსა და მთელი კავშირის ტერიტორიაზე გაფანტული მრავალრიცხოვანი ექსპედიციების მონაწილეებს. ისინი გვიჩვენებენ ეროვნულ ყოფას მისი ცვლილებებისა და განვითარების პროცესში, ინტერნაციონალიზმს ჩაუნერგავენ ბავშვებს.

ფრიად მნიშვნელოვანი იქნება, რომ წიგნების შექმნის ამ საქმეში ჩავაბათ ნაცუმციერესობათა წარმომადგენლებიც — ეგრძოდ, საერთო უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, აგრეთვე ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ინსტიტუტებში მოსწავლე სტუდენტები.

— ერთი სიტყვით, აუცილებელია, რომ მთელი საბავშვო ლიტერატურა ავაგოთ სავსებით ახალ პრინციპზე, რომელიც მეტად ფართო პერსპექტივებს გადაშლის ხატოვანი მეცნიერულ-მხატვრული აზროვნებისათვის; ეს პრინციპი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ადამიანთა საზოგადოებაში ჩაღდება ბრძოლა მუშათა მასების შრომითი ენერჯის გასათავისუფლებლად მესაქუთრეობის უღლისაგან, კაპიტალისტების ბატონობისაგან, ბრძოლა ადამიანთა ფიზიკური ენერჯის გონების — ინტელექტუალურ — ენერჯიად გარდაქმნისათვის, ბრძოლა ბუნების ძალებზე ბატონობისათვის, მშრომელი კაცობრიობის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის, მისი მსოფლიო ერთიანობისათვის და მისი უნარის, ნიჭის თავისუფალი, მრავალმხრივი, შეუზღუდველი განვითარებისათვის. აი, ეს პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლად მთელ საბავშვო ლიტერატურას, თვითეულ წიგნს, თვით უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გათვალისწინებულ წიგნებსაც კი. უნდა გვახლოვდეს, რომ უკვე აღარ არსებობს შრომითა და მეცნიერებით გაუმართლებელი ფანტასტიკური ზღაპრები და ბავშვებს უნდა მიეცეთ თანამედროვე მეცნიერული აზრის მოთხოვნებსა და პიპოთეზებს დამყარებული ზღაპრები. ბავშვებმა არა მარტო თვლა, გაზომვა, არამედ წარმოსახვაც და განკვერტაც უნდა ისწავლონ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ ადამიანთა შინაგანი ფანტაზიაც კი განკვერტდა ჰაერში ფრენის, წყალქვეშ ცხოვრების, მიწაზე მოძრაობის უსაზღვროდ გაძლიერების, პატერიის გარდაქმნის და სხვ. შესაძლებლობებს ადამიანისათვის. ჩვენს დროში კი ფანტაზია და წარმოსახვა შეიძლება მეცნიერული ცდების რეალურ მონაცემებს დაეყრდნოს და ამით უსაზღვროდ გააძლიეროს გონების შემოქმედებითი ძალა. ჩვენს გამომგონებელთა ნორის არიან ადამიანები, რომლებიც, იმის მიუხედავად, რომ სუსტად იცნობენ მექანიკას, ახალი დაზგების, მანქანების, აპარატების შექმნის სწორ

იღებებს გვთავაზობენ. მეცნიერება უნდა მოვიშველიოთ ბავშვების ფანტაზიის გასაშლელად, მომავალზე ფიქრი უნდა ვასწავლოთ ბავშვებს.

ვლადიმერ ილიას ძისა და მისი მოწაფეების ძალა სწორედ მომავლის წინასწარ განჭვრეტის საოცარ უნარში მდგომარეობს. ჩვენს ლიტერატურაში მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული წიგნები მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. როგორ გვაკეთოთ ეს? როგორ ვაქციოთ საგანმანათლებლო წიგნი მოქმედად და ემოციურად?

უპირველეს ყოვლისა — და კიდევ ერთხელ! — მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაწერილმა ჩვენმა წიგნმა ადამიანის გონებისა და გამოცდილების მხოლოდ საბოლოო შედეგები კი არ უნდა მისცეს მკითხველს, არამედ შეიყვანოს კიდევ მკითხველი კვლევითი მუშაობის თვით პროცესში და თანდათანობით აჩვენოს სიძნელეთა დაძლევა, სწორი მეთოდის ძიება.

მეცნიერება და ტექნიკა უნდა წარმოვსახოთ არა როგორც მზამზარეულ აღმოჩენათა და გამოგონებათა სათავსო, არამედ როგორც ბრძოლის ასპარეზი, სადაც კონკრეტული ცოცხალი ადამიანი სძლევეს მასალისა და ტრადიციის წინააღმდეგობას.

ასეთი წიგნის ავტორები უნდა იყვნენ საუკეთესო მეცნიერი მუშაკები და არა უცოდინარი შუამავლები — კომპილატორები, რომლებიც მზად არიან გამომცემლობათა დაკვეთით შეითხონ ნარკვევი, სტატია, ან მთელი ტრაქტატი ყოველგვარ თემაზე. საბჭოთა სინამდვილე წარმოებიდან განდევნის შუამავლებს, ლიტერატურიდანაც უნდა განიდევნონ ისინი.

მხოლოდ მეცნიერების ჭეშმარიტ მუშაკთა და სიტყვიერების მაღალი ტექნიკის ლიტერატორთა უშუალო მონაწილეობით შეგვიძლია განვახორციელოთ მეცნიერული ცოდნის მხატვრული პოპულარიზაციისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემა.

იმ რამდენიმე ავტორის გაზედული და წარმატებითი ცდა, რომელთაც ბავშვებისა და ჭაბუკებისათვის შექმნეს წიგნები ჩვენი მშენებლობის პერსპექტივებზე (ილინის „მოთხრობა დიად გეგმაზე“, პაუსტოვსკის „ყარა-ბოლაზი“ და სხვ.). გვარწმუნებს, რომ ბავშვებს შეიძლება თვით ყველაზე უფრო სერიოზულ თემებზეც კი უბრალოდ და დამაინტერესებლად, ყოველგვარი დიდაქტიკის გარეშე ელაპარაკო.

სტილის უბრალოებას და სიცხადეს ლიტერატურულ ღირსებათა დაკვეთებით კი არა, ჭეშმარიტი ოსტატობით აღწევენ. საბავშვო წიგნების მწერალმა მკითხველის ასაკის ყველა თავისებურება უნდა

გაითვალისწინოს. ასე თუ არ მოიქცა, მისი წიგნი უმცაარაოდ გამოვა, იგი არ გამოადგება არც ბავშვს, არც მოზრდილს.

საბავშვო ლიტერატურამ სიტყვის ოსტატ მწერლებთან ერთად უნდა გამოიყენოს „ბუერის მნახველი ადამიანების“ — მონადირეების, მეზღვაურების, ინჟინრების, მფრინავეების, აგრონომების, მტს-ების მუშაყებისა და სხვ. — ცხოვრების გამოცდილება.

სხვადასხვა პროფესიების ადამიანთა წიგნები ჩინებულად აცნობენ ბავშვს ჩვენი მშენებლობისა და ბრძოლის კონკრეტულ ვითარებას, მთელ მრავალფეროვან საბჭოთა სინამდვილეს.

თავისთავად ცხადია, რომ მე მოვხაზე მუშაობის მხოლოდ საერთო სქემა და რომ იგი გულდასმით, დეტალურად უნდა განვიხილოთ. ამ მიზნით დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ახალგაზრდა მეცნიერთა და ლიტერატორთა ჯგუფი.

## სახალისის ბავშვებს

გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა თ, ბ ა ვ შ ვ ე ბ ო !

მივიღე თქვენი წერილი. 10 იანვარს გამოგიგზავნიათ და მხოლოდ 17 მარტს მოაღწია ჩემამდე, აი, რა შორს ვიმყოფები თქვენგან. ძალიან კარგად მოიქეცი, რომ წერილი მომწერეთ. თქვენი წერილი საჩუქარია, რომლითაც ორდენივით ვამაყობ.

ევროპელი ბავშვებისაგანაც მიმიღია წერილები; რასაკვირველია, მათი წერილებიც მახარებდა, მაგრამ ამგვარად არაა, როგორც თქვენი წერილი მახარებს, გილაკების, ტუნგუსების, ოროჩონთა ბავშვებო! გასაკვირი არ არის, რომ ევროპელი ბავშვები წერა-კითხვის მცოდნენი არიან, — გასაოცარი და სამწუხარო ის არის, რომ მათ შორის უწიგნურები მოიპოვებიან. თქვენ კი — იმ ტომთა შვილები ხართ, რომელთაც დამწერლობა არ ჰქონდათ, თქვენს მამებს სცემდნენ, ძარცვავდნენ რუსი და იაპონელი ვაჟრები, ორფეხა მხეცები, თქვენს მამებს ატყუებდნენ და გონებას უხშობდნენ შამანები — ისევე მატყუარები, როგორც არიან ევროპელი მღვდლები. და, აი, თქვენ სწავლობთ, რამდენიმე წლის შემდეგ კი თვითონ იქნებით მასწავლებლები და თქვენი ტომების ბელადები, ფართო, ნათელ გზას გაუხსნით მათ მთელი დედამიწის მუშა ხალხთან საყოველთაო ძმობისაკენ. აი, ეს არის უდიდესი ბედნიერება ჩემთვის და თქვენთვისაც.

რა უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს განსაკუთრებით კარგად, რომ გონივრულად ვიცხოვროთ? უპირველესად ის უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ყველაფერს ამ ქვეყანაზე შრომა ქმნის და რომ მთელი დედამიწის და ყველაფრის, რაც მასზეა შექმნილი, ჭეშმარიტი, კანონიერი ბატონ-პატრონი არის მუშა ხალხი, მუშათა კლასი. მუშათა კლასისათვის არ უნდა არსებობდეს არც ოროჩო-

ნება, არც ტუნგუსები, არც გილაკები, არც ჩუჩები და იაკუტები. არც იაპონელები, ამერიკელები და რუსები, — მთელი მსოფლიოს მუშა ადამიანები ამხანაგებია; ეს არის დედამიწის ბატონ-პატრონთა და ახალი სამყაროს მშენებელთა უდიდესი ერთიანი ოჯახი. ამ სამყაროში არ იქნება მდიდარი და ღარიბი, მატყუარა და მოტყუებული, მძარცველი და გაძარცული, მკვლელი და მისი მსხვერპლი.

ვის შეუძლია იმგვარად მოაწყოს სამყარო, რომ მასში გაქრეს მდიდარი ადამიანების მტრობა, რომლებიც ფულის მოხვეჭისათვის სისხლისმღვრელ ომებს აჩაღებენ და დაუსჯელად ძარცვავენ ერთმანეთს, როგორც იაპონელები ჩინელებს?

ასეთი სამყაროს აგება მხოლოდ მუშებს შეუძლიათ. მხოლოდ მუშებს შეუძლიათ შეწყვიტონ უნაყოფო შრომა თოფების, ზარბაზნების, სამხედრო გემების გაკეთებას რომ ხმარდება. თქვენ ხედავთ, ბავშვებო, რომ თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი რუსი მუშები თავისუფალი სწავლის საშუალებას აძლევენ რუსეთის მიწაზე მცხოვრები ყველა ტომის ადამიანებს; ასწავლიან მათ, არ დაუჭერონ ხუცების სიკრუესა და უმეცრებით გონებადაბნელებული მოხუცების შეგონებებს.

რუსი მუშების მაგალითს ბაძვენ მთელი მსოფლიოს მუშები და თანდათანობით ირახმებიან კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. და თქვენც, სახალისის ტომების ახალგაზრდობას, სისხლსა და ხორცში უნდა გაგიჭდეთ დედამიწის მთელი მშრომელი ხალხის გამათავისუფლებელი ეს მოძღვრება.

როგორც ყველამ, თქვენც უნდა შეივნოთ, რომ სწავლობთ არა მარტო საკუთარი თავისათვის, არა მარტო იმისათვის, რომ ბნელი წარსულის ტყვეობიდან გაათავისუფლოთ თქვენი თანამემამულენი და თვისტომნი, — იმიტომ სწავლობთ, რომ თქვენი თავისუფალი ვნერგია შეუფრთოთ დედამიწის მთელი მშრომელი ხალხის მუშაობას, — მსოფლიოში მშრომელთა ბატონობისათვის, მჩაგვრელების, მძარცველების, პარაზიტების მოსპობისათვის გაჩაღებულ მუშაობას.

გისურვებთ, ბავშვებო, სულის სიმხნევს და დაულალავ შრომას ცოდნის შექმნისათვის!

1900 წლის 31 მარტი.

ხორენტო. იტალია

## კიევის „მოზარდი მაყურებლის“ თეატრს

უარს ვაცხადებ, რომ თქვენმა თეატრმა დადგას გასცენიურებული „ბავშვობა“.

საერთოდ, წინააღმდეგი ვარ „ინსცენირებისა“, რადგან იგა ასუსტებს მაყურებელთა მოთხოვნას დრამატული ხელოვნებისადმი, ხოლო მწერალთა შორის პარაზიტობისა და „ხალტურაჟს“ ნერგავს. თუ ძველ დროში დასაშვები იყო ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის სამიკიტნოდ ან კიდევ უფრო უარეს რამედ გადაკეთება; ჩვენს დროში ასეთი ფოკუსები დაუშვებელია.

„ბავშვობის“ „გადაკეთებელ“ პირს უვიტური, სენტიმენტალური „ნათავისარი“ ჩაურევია. 70-იანი წლების ყოფითი პირობები მისთვის უცნობია, ხოლო მათი გაცნობისათვის თავი არ შეუწყუხებია. ამიტომაც ჩივის მისი მატროსი, გემი „ნელა დადისო“. გემები ახალი შემოღებული იყო და მათი სწრაფი სვლა ყველას აოცებდა. საბუქსირო გემებში მგზავრები, რასაკვირველია, არ სხდებოდნენ. „ბავშვობაში“ არ წერია, რომ გემს კარქაპი მიჰყავდა. „აღნიშვნა“ საჭირო არ იყო: პირველი გემები ღრმად არ ჩადიოდნენ წყალში, ხოლო იმდროინდელი ვოლგა საკმაოდ ღიდი იყო.

პირველი გვერდიდან ბოლომდე მთელი ინსცენირება მონაჩ-მახითაა სავსე. განსაკუთრებით გამაღიზიანებელია „ინსცენირებას ავტორის“ „ნათავისარის“ უხამსი სენტიმენტალობა.

მხატვარ შკლიაევის ესკიზები იმას მოწმობს, რომ მეშჩანურ სახლზე მას გარკვეული წარმოდგენა არა აქვს. კაშირინის სახლი აქამდე დგას ნიჟნი, უსპენსკის ჩასასვლელზე, მისი სურათები მრავალჯერ იყო გამოქვეყნებული წიგნებსა და გაზეთებში. მხატვარს ანგარიში უნდა გაეწია ამ ფაქტისათვის და თვითნებურად, უცოდინრად არ უნდა გამოეგონებია რაღაც ისტორიამდელი საც-



ხოვრებლები. ძალიან მწყინს, რომ ამ წამოწყებაში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ხელოვნებასთან, ჩამბულნი არიან პიონერები მათ პრესის საშუალებით ვუპასუხებ.

1933 წ. 17 სექტემბერი, მოსკოვი.

„მოსწავლის მკვლევარების“ თეატრის კაბეტი

## ირპუტსკის მმ-6 საფაბრიკო-საქარხნო ათწლედის პიონერთა წრეს

მივიღე და წავიკითხე თქვენი წიგნი „პაქუათა ბაზა“; ძალიან საინტერესო წიგნია, ბიჭებო.

ცხადია, ეს ჯერ კიდევ არ არის ლიტერატურა, მხოლოდ მიახლოებაა მასთან და მიახლოება ძალიან შორი მანძილიდან. მე არ ვილაპარაკებ ამ წიგნში დაბეჭდილი თვითოეული ავტორის ლიტერატურული მუშაობის უნარზე, — ამაზე ლაპარაკი ნაადრევია და შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს თქვენთვის: მოზრდილი ლიტერატორებივით დაავადლებით ტრაბახის სენით, დაუწყებთ ერთმანეთს ლაპარაკს:

„გორკიმ მე შენზე მეტად შემაქო“.

ერთმანეთს წაეჩიშპებით, იჩხუბებთ. განა ეს საჭიროა? ადამიანებზე. ცხოვრებაზე იმგვარად უნდა ისწავლოთ წერა, რომ თვითოეული სიტყვა მღეროდეს და ანათებდეს, რომ ფრაზაში ზედმეტი სიტყვა არ იყოს, რომ თვითოეული ფრაზა სავსებით ზუსტად და ცოცხლად უხატავდეს მკითხველს სწორედ იმას, რისი ჩვენებაც გასურთ. ჩვენებისა და მოთხრობის უნარს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა; თქვენ ჯერ კიდევ არ იცით ეს განსხვავება და მისი ახსნაც თქვენთვის ძალიან ძნელია. ამას მაშინ გაიგებთ, როცა მეტსხვადანსხვა შთაბეჭდილებებსა და ლიტერატორებისათვის აუცილებელ სიტყვიერ მირაგს დააგროვებთ.

სონია ყივოტოვსკაია, გრინია ლიაუფმანი, ობა შარაკშენე, ალა კანშინა, ანია ხოროშიხი, ადა როზენბერგი, ტომა გურკინა, კოფეკინა. გუნდინა, არა მანუელესი, როსტოვშიკოვა, პერსიკოვი, რაფა ბუილილიშვილი, ეენია ბეზუგლოვა — ყველანი სასაუბრო ენით წერენ და თითქმის სრულებით არ გვიჩვენებენ სახეებს, ფიგურებს,

უესტებს, ხასიათებისა და განწყობილებათა სხვადასხვაობას, მოქმედების ადგილს. ეს აუცილებლად უნდა ვისწავლოთ. არა მანკეულესმა ხატვა უნდა ისწავლოს; ვფიქრობ, მას ამის უნარი აქვს.

მე ისე სერიოზულად და მომთხოვნელად გელაპარაკებით. როგორც მოზრდილებს. მეც ხომ თორმეტი წლისამ დავიწყე წერა, მაგრამ სხვა პირობებში ვცხოვრობდი, სად მყავდა მასწავლებლები და სწავლის დროც ძალიან ცოტა მქონდა. ბევრს ვწერდი პროზადაც და ლექსადაც, მაგრამ იმას, რომ ლიტერატურა ჩემი საქმეა, მხოლოდ 30 წლის ასაკში მიხვდი. თქვენმა მშობლებმა თქვენთვის მოიპოვეს ძალაუფლება, ლენინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. თქვენთვის ქმნიან სოციალურად თანასწორი ადამიანების უკლასო საზოგადოებას, განუწყვეტლივ ამდიდრებენ ჩვენს უდიდეს სამშობლოს — თქვენ ადვილად და ბედნიერად იცხოვრებთ. სოციალისტური საბჭოების კავშირის ქვეყანაში საოცრად ბევრია ნიჭიერი ადამიანი, რადგანაც ყველა მშრომელ ადამიანს მინიჭებული აქვს თავისი ნიჭის განვითარების თავისუფლება. იქ, სადაც შრომა თავისუფალია, იგი პატიოსანი უნდა იყოს და ხელოვნებად იქცეს.

უნდა შეიგნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს პატარა და დიდი საქმეები. ყოველი საქმე, ყოველი მუშაობა — მსოფლიოში პირველი, აქამდე არნახული სახელმწიფოს — ყველა ტომისა და ერის მშრომელთა ამ სამშობლოს — მშენებლობის დიდი საქმეა.

ძალიან სასიხარულოა, რომ თქვენს კოლექტივში მრავალი ტომის წარმომადგენელია; მწამს, რომ რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო ძლიერად შეგაკავშირებთ ერთ შემოქმედებით ძალად მეგობრული თვითაღზრდა.

ჯანმრთელად იყავით, ყმაწვილებო. მეგობრულად იცხოვრეთ, პატივისცემით მოეპყართ ერთმანეთს!

მომწერეთ წერილები.

## პროლეტარული ჰუმანიზმი

„მსოფლიო ავადა“, — ამას მარტო ბოლშევიკები როდი ამბობენ; ამას აშტკიცებენ ლირიკულად განწყობილი ჰუმანისტებიც, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ „კატოქოყვარეობა“, „კეთილმოწყალება“, „სულგრძელობა“ და სხვა გრძნობები, რომელთა წყალობითაც ორფეხა მხეცები თავიანთი მკლური „ხასიათის“ შენიღბვას ცდილობდნენ, სინამდვილეში გამოუყენებელია; ძნელია მათი გარდაქმნა საქონლად, მათ მომხმარებელი არა ჰყავთ და ცუდ გავლენას ახდენენ სავაჭრო-სამრეწველო მოგებათა ზრდაზე.

„მსოფლიო გაგიჟდა“, — ამას სულ უფრო ხმამაღლა გაიძახიან ის ადამიანები, რომლებმაც ხელობად გაიხადეს მშრომელთა სამყაროზე კაპიტალის უპასუხისმგებლო, არაადამიანური ბატონობის დაცვა და გამართლება, — დაცვა მეპატრონეების მიერ მუშათა ენერჯის განუსაზღვრელი და უკვე უგუნური ექსპლოატაციისა.

კაპიტალიზმის „ავადმყოფობის“ ისტორია დაიწყო თითქმის მაშინვე, როცა ბურჟუაზიამ დასუსტებული ხელიდან ძალაუფლება გამოგლიჯა ფეოდალებს. შეიძლება ვთქვათ, რომ პირველი, ვინც ეს ავადმყოფობა შენიშნა და სასოწარკვეთილი ყვირილი მორთო, — იყო კარლ მარქსის თანამედროვე ფრიდრიხ ნიცშე. შემთხვევითობა არ არსებობს; ცხოვრების ყველა მოვლენა დასაბუთებულია. და შემთხვევითი როდია, რომ იმ წლებში, როცა მარქსმა მეცნიერულად და უდავოდ დაასაბუთა კაპიტალიზმის დაღუპვის გარდუვალობა, პროლეტარიატის ძალაუფლების გარდუვალობა, — ნიცშე, ავადმყოფი და შეშინებული ფანატიკოსის გაშმაგებით ქადაგებდა „ქერთიან ბესტიათა“ ძალაუფლების კანონიერებასა და უსაზღვროებას. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რელიგიას, მორალს ნიცშემდე უარყოფდა და პიროვნების შეუზღუდველი ეგოიზმის უფლე-

ბას ამტკიცებდა მაქს შტირნერი. ანარქისტის ამ უარყოფაში იმა-  
ლებს, არსებითად, იმ „ჰუმანიზმის“ უარყოფა, რომლის გამოუმუშა-  
ვებაც ბურჟუაზიამ დაიწყო ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, ფეოდა-  
ლიზმისა და ეკლესიის — ფეოდალთა ამ იდეური ბელადის — წი-  
ნაალმდეგ თავისი ბრძოლის დასაწყისში. ბურჟუაზიის ყოველდღი-  
ური ცხოვრების პრაქტიკისათვის ამ „ჰუმანიზმის“ მოუხერხებლო-  
ბა და წინააღმდეგობრიობა მან ძალიან ადრე გაიგო, რასაც მოწმობს  
ლუთერის, კალვინისა და სხვათა საეკლესიო რეფორმა. არსებითად,  
ამ რეფორმამ „ჰუმანიტარული“ სახარება შეცვალა ბიბლიით, რო-  
მელსაც არათუ საეკლესიო ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია ტომთა  
მტრობა, ადამიანთა გაქვითა, ძარცვა, მოტყუება და სხვა მისთანანი,  
ურომლისოდაც არსებობა არ შეუძლიათ ბურჟუაზიულ სახელმწი-  
ფოებს, არამედ ხოტბას ასხამს კიდევ ყოველივე ამას. ლუთერამდე  
ეკლესია კულტურის მშენებელ შავ მუშებს ასწავლიდა ტანჯვასა და  
მოთმენას ქრისტეს გულისთვის; ლუთერი კი XVI საუკუნეში —  
რევოლუციური აჯანყების წლებში — ხუცებისათვის უჩვეულო  
პირდაპირობით ასწავლიდა გლეხებსა და ხელოსნებს: იცხოვრეთ და  
იმუშავეთ ისე, რომ მეფეებისა და ბარონებისათვის ადვილი, სასია-  
მოვნო იყოს თქვენი მართვა. „ითმინეთ, აიტანეთ, დათმეთ სხეუ-  
ლი და ქონებაც თქვენი; ნუ აღუდგებით უფროსებსა და მოძა-  
ლადეს“.

საკირო არ არის ვამტკიცოთ ბურჟუაზიული „ჰუმანიზმის“ სი-  
ყალბე და თვალთმაქცობა ჩვენი დროში. ახლა ბურჟუაზიზმ, რო-  
მელიც ფაშიზმს ამკვიდრებს, თვითონ იშორებს ხოლმე თავის ჰუ-  
მანიზმს. როგორც გაცხეტილ ნიღაბს, რადგან ეს ნიღაბი უკვე ვე-  
ღარ ფარავს მტაცებელი მხეცის დინგს, — იშორებს იმიტომ, რომ  
ჰუმანიზმში დაინახა თავისი გაორებისა და ლპობის ერთ-ერთი მი-  
ზეზი. ზემოთ მოყვანილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ყო-  
ველთვის, როდესაც სამყაროს სისაძაგლით შეშფოთებული მგრ-  
ძობიარე ადამიანები გულუბრყვილოდ ქადაგებდნენ კაცთმო-  
ყვარობას, რათა შეემსუბუქებინათ ეს სისაძაგლენი ან დაეფარათ  
ისინი მშვერმეტყველებით, ცხოვრების განმგებელნი, მედუქნეები  
ამ ქადაგებას სილატაკით, უუფლებობით, ჩაგვრითა და მედუქნეთა  
მსოფლიო „კულტურული“ მოღვაწეობის სხვა გარდუვალი შედე-  
გებით გაღიზიანებული ადამიანების დამშვიდების მხოლოდ ცდად  
მიიჩნევდნენ. მაგრამ როგორც კი მუშათა მასების ეს გაღიზიანება  
სოციალურ-რევოლუციურ ფორმებს მიიღებდა, ბურჟუაზია „აქ-  
ციას — რეაქციით“ უბასუხებდა.

ამ კანონს სიამოვნებით დაექვემდებარა ჩვენი ლიბერალური

ბურჯუაზიაც. რომელმაც 1905-1906 წლების ამბების შემდეგ მომ-  
ნანიებლობითს კრებულ „ვეხში“ საქვეყნოდ განაცხადა: „ჩვენ  
უნდა ვუმაღლოდეთ ხელისუფლებას იმისათვის, რომ იგი ხიშტებით  
გვიცავს ხალხის მიძინეარებისაგან“. ძალაუფლება მაშინ ხელთ ეპ-  
ყრა მინისტრ სტოლიპინს, რომელიც დიქტატორულად მოქმედებდა  
და ხუთი ათასზე მეტი მუშა და გლეხი ჩამოახრჩო.

ჩვენს დროში ხელისუფლების წინაშე მრისხანედ აღიმართა ის-  
ტორიულად და მეცნიერულად დასაბუთებული. ქეშმარიტად ზო-  
გადსაკაცობრიო პროლეტარული ჰუმანიზმი მარქს-ლენინ-სტალი-  
ნისა. — ჰუმანიზმი, რომლის ამოცანაა ყველა რასისა და ერის  
მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლება კაპიტალის რკინის  
კლანჭებისაგან. ამ ქეშმარიტად კაცთმოყვარე მოძღვრებამ უცილო-  
ბლად დაამტკიცა, რომ კაპიტალის რკინის კლანჭები მუშების ხე-  
ლით იქმნება და რომ სწორედ პროლეტარები ქმნიან კაპიტალი-  
სტისათვის „ლამაზ ცხოვრებას“, თვითონ კი უუფლებო ლატაკებად  
რჩებიან.

ეს რევოლუციური ჰუმანიზმი პროლეტარიატს ანიჭებს კაპიტა-  
ლიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ისტორიულად დასა-  
ბუთებულ უფლებას, ბურჯუაზიული სამყაროს ყველა საზიზღარი  
საფუძვლის დანგრევისა და მოსპობის უფლებას. ქეშმარიტი კაცთ-  
მოყვარეობა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ირავმება რო-  
გორც შემოქმედებითი ძალა; იგი ამოცანად ისახავს ასობით მილიონ-  
ნი მშრომელის განთავისუფლებას უმნიშვნელო უმცირესობის არა-  
ადამიანური და უგუნური ბატონობისაგან; იგი ასწავლის ფიზიკური  
შრომის ასობით მილიონ ადამიანს, რომ სწორედ ამ შრომის ნაყო-  
ფია კულტურის ფასეულობა და რომ მათზე დაყრდნობით პროლე-  
ტარიატმა უნდა შექმნას სოციალიზმის ახალი ზოგადსაკაცობრიო  
კულტურა, რომელიც მტკიცედ დაამკვიდრებს მსოფლიოში მშრო-  
მელი ხალხის ძმობასა და თანასწორობას.

პროლეტარიატის ეს ჰუმანიზმი ფანტაზია, თეორია კი არ არის,  
არამედ სოციალისტური საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის საბრ-  
ძოლო, მამაცური და გმირული პრაქტიკაა. მან უკვე ცხადყო, რომ  
ყოფილ ბურჯუაზიულ, „მუეიკურ“, „ბარბაროსულ“ და ეროვნუ-  
ლად ჭრელ რუსეთში ნამდვილად განხორციელებულია ტომთა ძმო-  
ბა და თანასწორობა. ქეშმარიტად და უდავოდ ვითარდება უდიდე-  
სი რაოდენობის ფიზიკური ენერგიის ინტელექტუალურ ენერგიად  
გარდაქმნის პროცესი.

რას უპირისპირებენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები მუშათა  
კლასის მზარდ რევოლუციურ მართლშეგნებას?

მილიარდ მშრომელზე თავიანთი ძალაუფლების შესანარჩუნებლად უკანასკნელ ძალ-ღონეს რომ დაბავენ, შრომის უგუნური ექსპლოატაციის თავიანთ უფლებას რომ იცავენ, კაპიტალისტები ამკვიდრებენ ფაშიზმს. ფაშიზმი არის კაპიტალიზმის მიერ მობილიზება და დარაზმვა გამოფიტული ბურჟუაზიული საზოგადოების ფიზიკურად და მორალურად არაჯანსაღი ფენებისა, მობილიზაცია ალკოპოლიკებისა და სიფილიტიკების ახალგაზრდა შთამომავლებისა, 1914-1918 წლების ომის შთაბეჭდილებებით დაშინებული, ისტორიული ბავშვებისა, — წერილი ბურჟუაზიის შვილებსაა, რომლებიც „შურს იძიებენ“ დამარცხებისათვის და იმ გამარჯვებისათვისაც, რომელიც არანაკლებ დამანგრეველი აღმოჩნდა ბურჟუაზიისათვის, ვიდრე დამარცხება. ამ მოზარდთა ფსიქიკის დამახასიათებელია ასეთი ფაქტები: გერმანიაში, ქალაქ ესენში მიმდინარე მაისის პირველ რიცხვებში

14 წლის ჰაინც ჰრისტენმა მოკლა თავისი მეგობარი — 13 წლის ფრიც ვალკენორსტი. მკვლელი გულგრილად მოჰყვა მკვლელობის ამბავს: მან წინასწარ გათხარა თავისი მეგობრის საფლავი, ცოცხლად ჩააგდო იგი ამ საფლავში, ზევიდან დააწვა და დაახრჩო. მკვლელობა მან იმით დააახებუა, რომ ძლიერ უნდოდა ვალკენორსტის კუთვნილი ჰიტლერული ფორმის ხელში ჩაგდება.

ვისაც ფაშისტთა პარადები უნახავს, მან იცის, რომ ეს არის რაქიტიანი, სურავანდიანი, კლეჭიანი ახალგაზრდების პარადი, რომელთაც სურთ იცხოვრონ ავადმყოფი ადამიანების მთელი სიხარბით, შეუძლიათ დათანხმდნენ ყველაფერს, რაც კი თავიანთი მოშხამული სისხლის ჩირქოვანი დუდილის გამოვლენის თავისუფლებას ანიჭებს მათ. ათასობით უფერულ, გამხდარ სახეთა შორის ჯანსაღი, სისხლსავსე სახეები განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩევა, რადგანაც ისინი ცოტაა. რასაკვირველია, ეს არის სახეები პროლეტარიატის შეგნებული კლასობრივი მტრების ან წერილი ბურჟუაზიიდან გამოსული ავანტიურისტებისა, გუშინდელი სოციალ-დემოკრატებისა, წერილი მედუქნეებისა, რომელთაც სურთ მსხვილი მედუქნეები გახდნენ და რომელთა ხმებსაც გერმანიის ფაშიზმის ბელადები იმით ყიდულობენ, რომ მუქთად, ესე იგი მუშებისა და გლეხების ხარჯზე აძლევენ მედუქნეებს მცირეოდენ სათბობსა და კარტოფილს. ობერ-კელნერებს სურთ თავიანთი პატარა რესტორნები ჰქონდეთ; ქურდბატაკებს სურთ გაერიონ დიდი ქურდების ხელისუფლების მიერ დაკანონებულ ქურდობაში, — აი, ფაშიზმის „კადრები“. ფაშისტთა პარადი — ეს ერთსა და იმავე დროს კაპიტალის როგორც ძალის, ასევე სისუსტის პარადია.

ნუ დაეხუქავთ თვალებს: ფაშისტთა შორის ცოტა როდია მუ-  
22. მ. გორკო 337

შაც. ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია რევოლუციური პროლეტარი-  
ატის გადამწყვეტი ძალა. ნუ დაეუმაღავთ საკუთარ თავს, რომ კა-  
პიტალიზმი — მსოფლიოს ეს პარაზიტი — ჯერ კიდევ საკმაოდ  
ძლიერია იმიტომ, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც საშუალე-  
ბას აძლევენ მას ფლობდეს იარაღსა და პურს, განაგრძობენ მის გა-  
მოკვებას თავისი სისხლითა და ხორციით. ეს მღელვარე თანამედ-  
როვეობის ყველაზე უფრო სამწუხარო და სამარცხვინო მოვლენაა.  
საზიზღარია მტრის ეს მორჩილებითი კვება; ეს მორჩილება კი  
მუშათა კლასს ჩაუნერგავს მისმა სოციალ-დემოკრატმა ბელადებმა,  
რომელთა სახელებიც აწ და მარადის თავლაფდასხმულია. გასათოცა-  
რია უმუშევარი, მშვიერი ადამიანების მოთმინება ისეთი ფაქტების  
წინაშე, როგორიც არის, მაგალითად, კვების პროდუქტების განად-  
გურება, რათა შეინარჩუნონ მათი საბაზრო ფასები გარკვეულ დო-  
ნეზე; და ეს იმ დროს, როდესაც უმუშევრობა იზრდება, ხელფასი  
მცირდება და სყიდვითი უნარიანობა წერილი ბურჟუაზიის რიგებ-  
შიც კი ეცემა.

კაცმა რომ თქვას, ინგლისის პროლეტარიატის ადამიანურ ღირ-  
სებას ძლიერ და აქტიურად უნდა აღაშფოთებდეს მათი უმუშევარი  
ძმებისადმი ცინიკური დაცინვა, აი, მაგალითად:

ინგლისის ქალაქ სერეიში გაიხსნა ძაღლების საკონდიტრო, რომელიც პარ-  
ეულია მსოფლიოში. ყველა ქოფაკს შეუძლია მიიღოს ამ საკონდიტროში ტვილ-  
ღეზელა, ხოლო უპატრონო და მშვიერ ძაღლებს აქ აძლევენ საქმელსა და ბინას.  
ეს საკონდიტრო მოწყობილია რამდენიმე კვირის წინათ ბროკპორსტში გარდაც-  
ლილი მისტერ ჯემს პატერსონის სახსრებით.

ასეთი ხასიათის სამარცხვინო ცინიკური მოქმედება სულ უფრო  
„ხშირდება ინგლისში, — „არისტოკრატიული რასის“ სახელმწიფოში.  
სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ ფაქტებში იმალება პატერსო-  
ნების მიერ მათი დაღუპვის გარდუვალობის შეგრძნება; რომ ასეთი  
საქციელი ნიშნავს პატერსონთა არისტოკრატიულ შურისმძიებლურ  
მისწრაფებას, რაც შეიძლება მეტად წაბილწონ ცხოვრება, რომე-  
ლსაც ისინი ეთხოვებიან.

კაპიტალისტები მოზარდებსა და ჭაბუკებს აიარალებენ როგორც  
რევოლვერებით, ასევე ნაციონალიზმისა და რასიზმის დრომოქ-  
მული იდეებით; ისინი სოციალურ ცინიზმს, მკვლელობისადმი,  
ნგრევისადმი სადისტურ გზნებას უნერგავენ ახალგაზრდობას. ამ  
ახალგაზრდობისაგან მათ გამოჰყავთ არა მარტო პოლიციის თანა-  
შემწეები რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლი-  
სათვის, არამედ აგრეთვე მათგან ამზადებენ შხამს, რომელსაც სის-  
ხლში შეუშაბუნებენ ადამიანთა განადგურების თანამედროვე ტე-



ქნიკით შეიარაღებული მუშებისა და გლეხების არმიას. კაპიტალისტებს კარგად ახსოვთ ის, რაც მხეცური ყაზარმით დისციპლინიზებულიმა მუშებმა და გლეხებმა ნათელჰყვეს 1918-1920 წლებში: მათ თვითშეკვლეობით, უგუნურ ავტორიტურ სამსახურს კლასობრივი მტრისადმი თავისი საზღვარი აქვს და ამ საზღვრის მიღმა, — მას შემდეგ, რაც მილიონობით მუშა და გლეხი ერთმანეთს გაჟღეტს, დაასახიჩრებს, — ხიშტები და ზარბაზნები აღარ ემორჩილებიან კაპიტალის ინტერესებს. რასაკვირველია, „სჯობს გვიან, ვიდრე არაოდეს“, მაგრამ ამ შემთხვევაში კლასობრივი მტრისაგან უნდა სწავლობდე: კაპიტალისტი მანამდე სპობს მუშას, სანამ იგი მოასწრებდეს თავისი წმინდა ხელის კანონიერად აღმართვას მის წინააღმდეგ.

არათუ ათეული, არამედ ასეული ფაქტები ნათელყოფენ იმ დამშლელ, გამხრწნელ გავლენას, რასაც ფაშიზმი ევროპის ახალგაზრდობაზე ახდენს. ეს — გულისამრევი ფაქტებია და მეხსიერებასაც არ სურს დაიტვირთოს უამრავი სიბინძურით, რომელშიც სულ უფრო გულმოდგინედ ეფლობა ბურჟუაზია. მაინც მივეუთითებ, რომ იმ ქვეყანაში. სადაც გმირულად და წარმატებით მოღვაწეობს პროლეტარიატი, ახალგაზრდობის გამხრწნელი ჰომოსექსუალიზმი მიჩნეულია სოციალურ დანაშაულებრივ მოვლენად და ისჯება, ხოლო დიდი ფილოსოფოსების, მეცნიერების, მუსიკოსების „კულტურულ“ ქვეყანაში იგი თავისუფლად და დაუსჯელად მოქმედებს. უკვე შეიქმნა სარკასტული ანდაზური თქმა: „მოსკეთ ჰომოსექსუალისტებო და ფაშიზმიც გაქრება“. საჭიროა აღინიშნოს, რომ სემიტებს, იმ რასის ადამიანებს, რომელსაც — თუ ეს საჭირო იქნება — შეუძლია იტრაბახოს თავისი სიწმინდით, ადამიანებს, რომლებმაც კაცობრიობას მისცეს კულტურის ანუ ბევრი ჰუმანარტად დიდი ოსტატი და მათ შორის უდიდესი, პროლეტარიატის ნამდვილი მესია კარლ მარქსი, — დევნის გერმანიის ფაშისტური ბურჟუაზია, ხოლო ინგლისშიც, სადაც ცოტა სემიტი როდი მდგარა „ხელისუფლების საჭესთან“, და ცოტა როდი დამკვიდრებულა ამ ქვეყნის არისტოკრატიაში, — ინგლისელი ფაშისტები სამარცხვინო ანტისემიტისმს აჩაღებენ.

იმ დროს, იმ ქვეყანაში, სადაც ძალაუფლება მუშათა კლასს ეკუთვნის, შექმნილია ებრაელთა დამოუკიდებელი რესპუბლიკა — ებრაელთა ავტონომიური ოლქი.

კაპიტალისტთა ნაციონალური ჯგუფები გამალებით ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის. მათ სურთ ხელახლა გადაანაწილონ მსოფლიო მუშებისა და გლეხების შრომის უფრო ფართო და მოხე-

რხებული ექსპლოატაციისათვის. პატარა ქვეყნებს კვლავ ემუქრება: „დიდთა“ რკინის მარწუხებში ჩაყარდნის საფრთხე; დიდ ქვეყნებს კვლავ სურთ წაართვან მათ კულტურის თავისუფალი განვითარების უფლება.

სხვადასხვა ენის, სხვადასხვა ტომის პროლეტართა მანებში იმპერიალიზმი და ფაშიზმი თესენ ნაციონალური შუღლის, რასული უგულვებელყოფისა და სიძულვილის თესლს. ეს კი შეიძლება რასობრივ მძულვარებად გადაიზარდოს და გაანელოს მშრომელთა სამყაროში მისი კლასობრივი ინტერესების შეგნების განვითარება, — დამხსნელი შეგნებისა, რომელსაც — და მხოლოდ მართომას — შეუძლია მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების განთავისუფლება გაგიჟებული მეღუქნეების უმწეო, უუფლებო მონების ნდგომარეობისაგან. მათი ნაციონალური საეპრო-სამრეწველო მტრობა აღვილად შეიძლება გადაიქცეს — და უკვე გადაიქცა: კიდევ — რასობრივი მტრობისა და რასობრივი ომების ქადაგებად. დღეს ისინი ქადაგებენ — და უკვე ახორციელებენ კიდევ საზიზღარი პრაქტიკით — ანტისემიტიზმს, ხვალ დაუბრუნდებიან ანტისლავიანიზმის ქადაგებას, გაიხსენებენ მომზენის, ტრეიჩკეს და სხვათა სამარცხვინო აზრებს სლავებზე; იმას კი დაივიწყებენ თუ რამდენი ნიჭიერი ადამიანი მისცეს გერმანულ კულტურას პოლონელებმა, ზღვისპირელებმა; ჩეხებმა. რადგანაც ევროპის ყველა მექარხნე და მეღუქნე აწარმოებს ერთსა და იმავე საქონელს და ვაჭრობს ამ საქონლით, სავსებით ბუნებრივია გერმანელთა რასის მტრობა და ომი რომანული რასის, ისევე როგორც ანგლოსაქსთა რასის წინააღმდეგ. ცხადია, არსებობენ კავშირები, მაგრამ თუ აუცილებელია გაყიდვა, რაღა შეუშლის ხელს დალატს? მაგალითად, არსებობს ინგლის — იაპონიის კავშირი, მაგრამ იაპონელები ლონდონში ქალის აბრეშუმის წინდებს ყიდნიან სამ პენსად — ანუ შაურად წყვილს; ეს, ცხადია, წვრილმანია, მაგრამ იაპონური „დემპინგი“ ყვითელი რასისადმი მტრობისა და სიძულვილის აღმოცენების სავსებით საკმაო მიზეზია. იაპონელ იმპერიალისტთა დაუსჯელი მოქმედება მანჭურიაში — ჩინეთში — მეტად მაცდური რამ არას. ევროპის იმპერიალისტებისათვის.

რასობრივი თეორია სულთმობრძევი კაპიტალიზმის უკანასკნელი „იდეოლოგიური“ რეზერვია, მაგრამ მის გამხრწნელ სუნს შეუძლია მოწამლოს ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებიც კი, რადგანაც ადამიანები საერთოდ შერყვნილნი არიან ძლიერ შეიარაღებული ევროპელი თეთრკანიანების მიერ უიარაღო ინდუსების, ჩინელების, ზანგების დაუსჯელი დამონების ხანგრძლივი სანახაობით.

მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს შესწევს ძალა თავისი ერთიანი ფრონტით წინააღმდეგს მისი კლასობრივი ძმების საზიზღარი და დაუსჯელი ძარცვის ცთუნებას.

ამ პროლეტარიატმა, აღზრდილმა მარქს-ლენინის იდეოლოგიით, რომელსაც რეალურად და ბრძნულად ახორციელებს მისი ბელადი სტალინი, დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ მის მრავალეროვან ქვეყანაში ყველა ტომსა და რასას ცხოვრების, შრომის, თავიანთი კულტურის განვითარების საკვებით თანაბარი უფლება აქვს. რუსმა მუშამ ფართოდ გაუღო ცოდნის კარი უწიგნურ, დამწერლობაუქონელ, ნახევრად ველურ ადამიანებს. სოციალისტურ საბჭოთა კავშირში არ მოიპოვება არც ერთი რიცხობრივად უმნიშვნელო ტომიც კი, რომელიც არ ავლენდეს კულტურისადმი თავის წყურვილსა და მისი ათვისების უნარს...

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კულტურული ზრდის სისწრაფე აღიარეს მსოფლიოს პარტიოსანმა ადამიანებმა. კაცმა რომ თქვას, მათ აღიარეს ეს ფაქტი და უნდა გამოიტანონ მისგან სათანადო, ძალიან უბრალო, მორალურად ჰიგიენური დასკვნა: სუბიექტურადაც და ობიექტურადაც გაცილებით სასარგებლო, გაცილებით პარტიოსანი იქნება ჯანსაღ გარემოში ცხოვრება, ვიდრე სოციალური სენით სასიკვდილოდ დაავადებულ და დასაღუპავად განწირულთა შრეში ყოფნა. პროლეტარიატში რომ აღმოაჩენ სოციალური შეპოქმედების უნარს, გაცილებით სასარგებლოა ყოველმხრივ გაადვივო მასში ცოდნის წყურვილი. დაეხმარო მის ნიჭიერ ადამიანებს, დაეხმარო პროლეტარიატის მასას მისი იმ ისტორიული დანიშნულების გაგებაში, რომლის განხორციელებაც მან უკვე დაიწყო 170 მილიონი ადამიანით დასახლებულ ქვეყანაში. თითქოს და, კულტურის ოსტატთა, „ჭუმანისტთა“ საკუთარი ღირსების გრძნობა ღრმად აღშფოთებული უნდა იყოს მედუქნეების მიერ კულტურის უარყოფის ფაქტებით, მათი გალაშქრებით ყოველგვარი ტექნიკის ზრდის წინააღმდეგ, გარდა ადამიანთა გასანადგურებლად განკუთვნილი სამხედრო ტექნიკისა. მაგრამ არ შეინიშნება, რომ ბურჟუაზიული კულტურის ოსტატებს აღაშფოთებდეს ფაშიზმისათვის არასასურველი წიგნების დაწევა, კაცთმოძულეობის ის ქადაგება, რასაც შეიცავს ნაციონალური და რასობრივი თეორიების არსი, ახალი სასტიკი ომის მომზადება. ამ ომის შედეგი კი იქნება მილიონობით ყველაზე უფრო ჯანმრთელი ადამიანის უგუნური განადგურება, საუკუნოვან კულტურულ ფასეულობათა მოსპობა, ქალაქების დანგრევა, იმ მასების მძიმე შრომის შედეგთა გაჩანაგება, რომელთაც შექმნეს ფაბრიკები და ქარხნები, დაამუშავეს ველ-მინდვრები.

ააგეს ხიდეები, გზები. მტაცებელთა სიგიჟეს მშვერმეტყველები-  
ვერ მოარჩენ, ვეფხვეები და აფთრები ტკბილღვეზელებს არ ჰამენ.

არ იგრძნობა, რომ „პუმანისტებს“ ახასიათებდეთ ნამდვილი-  
კაცთმოყვარეობა; არა ჩანს, რომ ისინი გრძნობდნენ ეპოქის უდი-  
დეს, გმირულ ტრაგიზმს და ესმოდეთ, ვინ არის მისი გმირი. ახლოვ-  
დება დრო, როდესაც რევოლუციური პროლეტარიატი სპილოსავით-  
დაადგამს ფეხს მელუქნეთა უგუნურ, ფუსფუსა ჰიანჰველების ბუ-  
ღეს, — დაადგამს და გასრესს მას. ეს გარდუვალია. კაცობრიობა არ  
შეიძლება დაილუპოს იმის გამო, რომ რომელიღაც უმნიშვნელო  
ჩისი უმცირესობა შემოქმედებითად დაჩაჩანაკდა და იხრწნება  
ცხოვრებისადმი შიშისაგან და გამორჩენის ავადმყოფური, უკურნე-  
ბელი წყურვილით. ამ უმცირესობის დაღუპვა უდიდესი სამართ-  
ლიანობის აქტია, და ამ აქტის შესრულებას ისტორია პროლეტა-  
რიატს უბრძანებს. ამ დიდი აქტის შემდეგ დაიწყება მსოფლიოს ხალ-  
ჩების საყოველთაო, ერთსულოვანი და ძმური მუშაობა, — ახალი  
ცხოვრების თავისუფალი, შესანიშნავი შემოქმედებითი მუშაობა.

ეს რწმენაა? პროლეტარიატისათვის წარსულს ჩაბარდა ის დრო,  
როდესაც რწმენა და ცოდნა ერთმანეთს მტრობდნენ, როგორც სი-  
ცრუე და სიმართლე. სადაც პროლეტარიატი ბატონობს, სადაც  
ყველაფერს ქმნის მისი მძლე ხელი, იქ ადგილი არა აქვს შუღლს  
ცოდნასა და რწმენას შორის, იქ რწმენა ადამიანის მიერ თავისი  
გონების ძალის შემტყნების შედეგია. და ეს რწმენა, რომელიც  
ქმნის გმირებს, არ ქმნის და არც შექმნის ღმერთებს.

## [საბჭოთა ბავშვები]

### 1. ბ ი ჳ ი

გამაფრთხილეს: მოვა სტუმარი, პოეტი, ბიჭი. მერე რა? ლექსების მთხზველი ბიჭები და გოგონები ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენში. მათთან შეხვედრა ყოველთვის ცოტა ძნელია. იმიტომ, რომ, უჩეტეს შემთხვევაში, მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ლექსების წერა. ხშირად გრძნობ, რომ ისინი არც უნდა ჰკიდებდნენ ხელს ამ ძნელ საქმეს, რადგანაც არ გააჩნიათ სიტყვათა უღერადობის ეს სრულყოფილი სმენა, რომელიც პოეტს, ისევე ესაჭიროება, როგორც მუსიკოსს. ბავშვებს კარგი ლექსებიც აქვთ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შთაგონებულა. წარსულის რომელიმე დიდი პოეტის ან დღევანდელი „მოდური“ პოეტის მიერ. და აჩაბთუ შთაგონებული, თითქმის პირდაპირ გადმოწერილიც კი აქვთ ხოლმე. სასიამოვნო სიტყვებს ვერ ეტყვი ასეთ, ძალიან ნორჩ პოეტებს; მათში კი უკვე გაუღვიძნია თავმოყვარეობის გრძნობას: ნათესავეებმა, ნაცნობებმა, თანატოლებმა, სკოლის ამხანაგებმა უკვე მიანიჭეს მათ „ნიჭიერი შემოქმედის“ სახელი. რადგანაც ჩვენ, საერთოდ, „ვესწრებით ყოფას, შეგრძნებას ვჩქარობთ“, ვცდილობთ ნაადრევად შევაქოთ ადამიანი, ხოლო ნაადრევი შექება შრომის გამირთა განუწყვეტელი შეჯიბრების უამს კეთილსასურველ გავლენას როდი ახდენს ბავშვებზე; პირიქით ძალიან ცუდად მოქმედებს. ჩვენი ბავშვები ჩინებული ბავშვებია! მაგრამ ისინი იმსახურებენ განსაკუთრებით ყურადღებანსა და სერიოზულ დამოკიდებულებას.

და აი, მოვიდა პოეტი. ჯანიანი, ლამაზი ბიჭია. ცხრა წლიანხევრისაა, მაგრამ სამი წლით უფროსი გეგონება. მის სალამში ვიგრძენი რაღაც უცხო და ძნელად გასაგები მანერა. საკუთარ ნიჭიერებაში დარწმუნებულნი, ისევე როგორც მორცხენი, ასე არ გე-

სალმებიან. იგი არ ამქლავნებდა იმ მოურიდებლობას, რომელიც თითქოს გეუბნება:

„აი ასეთი გახლავართ მე!“

ვერ შეატყობდი მორცხვობასაც, რაც იმ ჭაბუკ პოეტებს ახასიათებთ, რომლებიც ისე მიდიან მწერალთან, თითქოს გამოცდაზე გადიოდნენ. იფიქრებდი, რომ ეს ცხრა წლის ყმაწვილი შშვილად თვლის თავის თავს მოზრდილის თანაბარ ადამიანად...

— განსაკუთრებით ვინ მოგწონთ წარსულის პოეტებიდან? — ვკითხე.

— რასაკვირველია, პუშკინი, — უყოყმანოდ მიპასუხა მან.

— პროზაიკოსებიდან?

— ტურგენევი.

ტურგენევი უყოყმანოდ არ დაუსახელებია და უმაღვე დაუმატა:

— მაგრამ იგი დიდი ხნის წინათ წავეიკითხე.

— რამდენი ხნის წინათ?

— ექვსი თვის წინათ...

უნებურად მომაგონდა, რომ მის ასაკში ძლივს ვიცოდი წერაკითხვა, მხოლოდ „დავითს“ ვკითხულობდი საეკლესიო სლავურ ენაზე და რომ უფრო გვიან ისეთი დროც მქონდა, ექვსი თვე ერთხელაც არ ამიღია წიგნი ხელში. მე ვკითხე პოეტს:

— ლირიკულ ლექსებს წერთ?

— არა, პოლიტიკურს. მაგრამ ლირიკულსაც ვწერდი. მგონი, ჩემს არქივში შემორჩა ორი-სამი ასეთი ლექსი. გერმანულიდან ვთარგმნიდი შილერს, ჰაინეს.

და თითქოს ცოტა დარცხვენით თქვა:

— ჩემი ლექსების პატარა წიგნი გამოცემულიც კი არის.

მე ვიგრძენი, რომ არ ვიცი, რაზე და როგორ ველაპარაკო ამ ადამიანს; უხერხულად ვგრძნობ თავს. ეს სტუმარი მისტიფიკაციას ჰგავს. გვერდით დედა უზის, და ასე მგონია, შვილი მასაც უხერხულ დღეში აყენებს. დედა აჩქარებით ყვება შვილის ამბავს და ჩემს ვარაუდს ამართლებს:

— ძალიან დაინტერესებულია პოლიტიკით. როცა მამამისი სამსახურიდან შინ ბრუნდება, უპირველესად გაზეთებს გამოართმევს ხოლმე. პიონერთა რაზმის ხელმძღვანელია. ეს დიდი საზოგადოებრივი დატვირთვაა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, არ იღლებს! საერთოდ, საოცარი ბავშვები არიან ახლა. მისმა დამ მეშვიდე თვეზე დაიწყო ლაპარაკი; ახლა ის წლინახევრისაა და ჩინებულად ლაპარაკობს! არც კი იცის, რა მოუხერხო ასეთებს...

პოეტს მისი ლექსების წაკითხვა ვთხოვე. რამდენიმე წამს დუმდა და ამან მაიძულა მეტყვა, რომ „არის შემთხვევები, როდესაც არ უნდა გრცხვენოდეს შენი ნიჭისა“.

— ეს პოტიომკინის მიერ რაევსკისადმი მიწერილი წერილიდანაა, — შენიშნა ამ ათიოდე წლის კაცმა.

— პოეტ-პოტიომკინისა? — შევეკითხე.

— არა, ეკატერინე მეორის ფავორიტისა. განა არის პოტიომკინი?

— იყო.

— წავიკითხავ პატარა პოემას ჰიტლერსა და გებელსზე, — თქვა პოეტმა.

მე კი გავიფიქრე, რომ ახლა ალბათ რაღაც სასაცილო უნდა მოხდეს და „არაჩვეულებრივის“ გაკოტრებაც ნათელი იქნება. მაგრამ ეს არ მოხდა. არაჩვეულებრივი უფრო გაიზარდა; მასში სასაცილოს ნატამალიც არ იყო. ბიჭი ცუდად კითხულობდა, იმ დასანანი ჯმულით, რასაც მოზრდილი პოეტები პათოსად ასალებენ. მაგრამ მთავრისადაც დაწერილი მისი ლექსი ტექნიკურად კარგი ჩანდა. შესაძლოა, ვცდებოდე, რადგანაც სრულებით გამაოცა ბიჭის ემოციის საკვირველმა ძალამ, მისმა ღრმა და მწუხარ სიძულვილმა ავაზაკებისა და მათი ბოროტმოქმედებისადმი. ეს ფიზიკურად ჯანმრთელი ბიჭი ისეთი ძლიერი ძალით კითხულობდა, რომ ორი წუთის განმავლობაში ვერ გადამეწყვიტა მისთვის შეხედვა — არ მსურდა მისი დაღმეჭილი სახის ხილვა. მაგრამ სახე მხოლოდ წითლად ანთებოდა და შავი თვალები მკვეთრად უელავდა — ეს იყო არა ცხრა წლის ბავშვის, არამედ მოზრდილი ადამიანის თვალები. იგი თავის ყოველ სიტყვას გამსჭვალავდა სწორედ იმ ადამიანური მძულვარების მწველი და დამდაგველი ძალით, რომელიც შეიძლება აღძრას მხოლოდ შრომის ადამიანთა უღრმესმა სიყვარულმა, იმ ადამიანების სიყვარულმა, ვინც არამზადებისა და მკვლელების ხელით იღუპება; ეს იყო სასტიკი სიძულვილი იმათ მიმართ, ვინც დინიტროვის მოსპობას ცდილობდა და ტელმანის მოკვლა სურს, ვინც მოსპო პროლეტარიატის თავისუფლებისათვის მრავალი მებრძოლი.

ძნელია, შეუძლებელია იმ პატარა მომღერლის რევოლუციური გრძნობის ძალის გადმოცემა, რომელმაც გვიმღერა ჩვენ, — მე, ბებელს და სხვებს, ვინც მას უსმენდა, — გადმოცემა სიყვარულისათვის მებრძოლი მისი ღიალი მძულვარებისა. თითქოს შემზარავი კი იყო იმის შეგრძნება, რომ ამ სიმღერას ბავშვი მღერის და არა მოზრდილი, ხოლო როცა მან დაამთავრა, სამწუხარო იყო იმაზე ფიქრი, რომ მოზრდილი პოეტები იმ ძალით ვერ ფლობენ სიტყვას,

როგორადაც ეს ძალუძს ამ პატარა ადამიანს. მართალია, თავისი ზანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მას არ განუცდია წვალება, მაგრამ ასე ღრმად სძულს იმათი ტანჯვა, ვისაც მეტი წამება მოაქვს გარედან კაპიტალიზმის ხუნდებით შებორკილ, ხოლო შიგნიდან საყოველთაო მეშხანობის შხამით მოწამლულ მშრომელთა სამყაროსათვის.

ლექსის კითხვა რომ დაამთავრა, პოეტი ორიოდე წუთს წყნარად იქდა საერთო გაოცებით გამოწვეულ სიჩუმეში, შემდეგ ბავშვებთან წავიდა ბურთის სათამაშოდ. თამაშის დროს ხარხარებდა, ყვიროდა; ის გატაცებით თამაშობდა, როგორც ეს ჯანმრთელ, ნორმალურ ათი წლის ბავშვებს სჩვევიათ. საერთოდ, იგი ოდნავაც არა ჰგავს იმ „ეუნდერკინდებს“, აქამდე რომ მინახავს და ორმოცდაათი წლის ასაკშიც „მიტიებს, მიშებს, იაშებს“ რომ ეძახიან.

ძალიან ვნანობ, რომ არ ჩამიწერია მისი პოემის თუნდაც რაღდენიმე სტრიქონი.

გამომშვიდობებისას ვუთხარი, რომ არ დავეუწყებ მას ქებას და არავითარ რჩევას არ მივცემ, გარდა ერთისა: ისწავლეთ, მაგრამ ნუ გადაიღლებით; ნუ დაივიწყებთ, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ხართ.

მადლობა მომახსენა და ჰკვიანური ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ეილაც პროფესორები კი სულ მარწმუნებენ, არ გაყოყოჩდეო. მაგრამ სულელი კი არა ვარ. ისწავლა ძალიან მიყვარს და მინდა. ბედნიერებაა ყველაფერი იცოდე და კარგად მუშაობდე!

## II. ბიჭები და გოგონები

რასაკვირველია, პოეტი-პუბლიცისტი ბიჭი — განსაკუთრებული ფიგურაა. შესაძლოა, იგი ბევრს აგონებდეს მოცარტს, ექვსი წლისამ რომ დაიწყო მუსიკის თხზვა. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ბიჭმა ცხრამეტი ან ოცდაცხრა წლის ასაკში უღიღესი მნიშვნელობის სოციალური ძალა გამოამჟღავნოს. ეს იმდენად მასზე კი არ იქნება დამოკიდებული, რამდენადაც მოზრდილთა მზრუნველ დამოკიდებულებაზე მისი განვითარების პროცესისადმი. ამ მომენტში ეს ბიჭი ჩვენი ბავშვთა მასების გაფურჩქვნის თვალსაჩინო ნიმუშია.

კრიტიკულად განწყობილი კოლექციონერები ცხოვრების უარყოფითი მოვლენებისა ეძებენ — და პოულობენ კიდევ — უარყოფით მოვლენებს ჩვენს ბავშვთა შორის. ცნობილია, რომ „ყოველ ოჯახშია თითო მახინჯი“; ამას ადასტურებს ხულიგან ბავშვთა ფაქტები, აგრეთვე უხამსობისა და სისაძაგლის იმ მეტაბელეთა, აღმრიცხველ-რეგისტრატორთა არსებობის ფაქტი, რომლებიც სიამოვ-



ხებით აღნიშნავენ ძველ უხამსობასა და სისაძაგლეს, როგორც რალაც დაუძლეველ მოვლენას უკლასო საზოგადოებაშიც კი. კრიტიკა ეს პოლიტიკის მეორე სახელია. მეშჩანთათვის ძალიან სასიამოვნოა საბჭოთა ხელისუფლების ნაკლის აღმოჩენა. ამასთან, გაცილებით ადვილია თქმა: „ასე არ ვარგა“, ვიდრე მითითება: „ასეა საჭირო“.

ემიგრანტებს, რომლებიც კვლავ მცირემცოდნე ბარბაროსებად თვლიან მამებს, უყვართ ჩვენი ბავშვების მცირემცოდნეობაზე მითითება. მაგრამ მათსავე გაზეთებში შეიძლება ნახოთ, მაგალითად, ასეთი შენიშვნები:

ინგლისის გაზეთებს მოჰყავთ ასეთი მარგალიტები მოსწავლეთა წლევეანდლო წერითი ნამუშევრებიდან:

- კეისარი პომპეუსმა მოკლა.
- თევზის ქერცილი ინგლისელთა სამხედრო ფორმა იყო.
- კროშველი 15 მარტს მოკლეს.
- კოლუმბმა 1892 წელს აღმოაჩინა ამერიკა.
- რუზეველტი — საბჭოთა რესუტის პირველი მინისტრია.

(„პოსტდენიე ნოვოსტი“, 0. VIII. 34)

ჩვენმა ყველა ბავშვმა, ალბათ აგრეთვე არ იცის, თუ ვინ რომელი მოკლა ძველად, მაგრამ მათ ჩინებულად იციან — როგორ სპობენ ერთმანეთს თანამედროვე ევროპის ორფეხა ღორები და ობობები. მებრძოლ, რევოლუციურ თანაქედროვეობას რომ იცნობენ, ისინი მთელი შეგნებით ეკიდებიან მომავალს.

კახანში გამართულ თათარი ლიტერატორების კონფერენციაზე თოთხმეტი წლის პიონერი ეუბნებოდა მწერლებს, რომ ისინი ცუდად თარგმნიან რუსულიდან თათრულად, რომ პიონერები ადარებენ თარგმანებს რუსულ ტექსტს და საჭიროდ არ მიაჩნიათ ახალი სიტყვების გამოგონება „მზვერავეთა რაზმის“, „ყარაულის“, „დაზვერვის“ და სხვათა ნაცვლად. „ჩვენ, პიონერები — მომავალი წითელარმიელები ვართ, — თქვა მან, — ამიტომ საჭირო არ არის სამხედრო-ტექნიკური და საკომანდო სიტყვების შეცვლა“.

„ნამდვილად უსარგებლო ან მავნეა ყველა სარეველა ბალახი?“ — კითხულობს თორმეტი წლის გოგონა და მიუთითებს, რომ „ძიძო“ მავნე ბალახად, ხოლო ბაბუაწვერა — კაუჩუკოვანი „კრიმსალიზი“ — უსარგებლო მცენარედ მიაჩნდათ.

მათე დუდაკოვი (თავისი მისამართის აღნიშვნა კი დავიწყებია) გვთხოვს ვუპასუხოთ: მართალია თუ არა, რომ „მშობიარე ქალს ხუცები ექვს კვირას არ უშვებდნენ ეკლესიაში, და რა სარგებელი ჰქონდათ მათ ამისაგან?“ შეიძლება დავასახელოთ ათობით და ასო-

პით ანუთი კითხვა; პიონერთა დაინტერესება ძალიან დიდია და ბუნებრივი.

ყაზანში ლიტერატორთა წინაშე გამოვიდა ორი პიონერი: ერთი იყო თორმეტი, ხოლო მეორე — თოთხმეტი წლისა. პირველმა გააკრიტიკა ერთ-ერთი თათარი მწერლის — ამიროვის — მოთხრობა.

მოთხრობაში გამოყვანილია თავის რაზმში აქტიურობით ცნობილი პიონერი. ეს პიონერი კრებიდან თორმეტ საათზე ბრუნდება შინ, შემდეგ დაჭდება და კორესპონდენტის წერას იწყებს. თუ პიონერი თორმეტი საათის შემდეგ აპირებს ლექსების წერას, როდისღა უნდა დაიძინოს მან? პიონერი არ უნდა დარჩეს საღმე საღამოს 8 საათის შემდეგ. ავტორი ამბობს: „აღრე დაწეი, აღრე აღეი“. თვითონ კი ამ თავის პიონერს გვიან ნაშუალამევეს მუშაობას აიძულებს. (სიცილი). — ჩვენ ვთხოვთ ამხანაგ მწერლებს ისეთი წიგნები მოგვცენ, რომლებიც სწავლაში დაგვეხმარება. ხოლო ჩვენთვის სასარგებლო წიგნი ჯერ ძალიან ცოტაა. ჩვენ გთხოვთ მოგვცეთ მხატვრულად, კარგად დაწერილი წიგნები.

— ახ. კავი ნაწი დაგვიჩრდა თავისი მოთხრობის „მეკოხეთა სიმღერების“ დამთავრებას. მაგრამ აგერ უკვე ორი წელი გდის და დაპირებული მოთხრობა არსად ჩანს.

მეორემ, თოთხმეტი წლის პიონერმა საკმაოდ დიდი სიტყვა წარმოთქვა. აი, ამონაწერები ამ სიტყვიდან:

ჩვენს მეცამეტე სკოლაში არსებობს ლიტწრე. იგი საკმაოდ კარგად მუშაობს. წრის წევრი პიონერები დაინტერესებულნი არიან ლიტერატურით. ისინი ცდილობენ ცოდნის ამაღლებას, ლიტერატურის უფრო ღრმად შესწავლას. მაგრამ ლიტწრის ხელმძღვანელი არა გვყავს. ჩვენს წრეებს ხელმძღვანელობენ ლიტერატურისა და ენის მასწავლებლები. მაგრამ ჩვენმა მასწავლებლებმა თვითონ ცუდად იციან ლიტერატურა. (სიცილი, ტაში).

— ნაწარმოებებში ვერ იპოვით საინტერესო თავგადასავალს, იუმორს. პიონერთა სახელით გთხოვთ, რომ ნაწარმოებებში შეიტანოთ სასაცილო მომენტები.

— რუსულ ლიტერატურას ბევრი კარგი საბავშვო წიგნი მოეპოვება. მე მინდა ვთხოვოთ, რომ განსაკუთრებით საინტერესო წიგნები ითარგმნოს თათრულ ენაზე.

— არის ერთი წიგნი. ლიტწრეში გავარჩიეთ იგი. ერთ ამ პატარა წიგნში ჭუთი არაწერი სიტყვაა. სიტყვა „ილიაკი“ (საცერი) შეცვლილია „ჩილიაკით“ (ვედრო) და ა. შ.

— ჩვენ, პიონერებს, ფული არა გვაქვს. წიგნები კი ძვირია. მიუხედავად ამისა, წიგნებს მაინცადამაინც კარგი ყდები არა აქვთ. ჩვენ ვთხოვთ გამომცემლებს და ორგანიზატორებს, რომ საბავშვო წიგნები ტექნიკურად და კარგად გამოცენ და რომ მათი ფასები ხელმისაწვდომი იყოს. (სიცილი, ტაში).

— ამხანაგმა რიზვანოვმა თავის მოხსენებაში თქვა, რომ მოთხრობა „ტაშ-ბაიში“ არის ბავშვებისათვის გაუგებარი სიტყვები. ამ მოთხრობაში არის წითლარმიჯლი სიტყვები. ჩვენ, პიონერები, მომავალში წითლარმიჯლები გავხდებით და ამიტომ მასში ჩვენთვის გაუგებარი სიტყვები არ არის. ჩვენმა პიონერებმა უკვე იციან წითლარმიჯული სიტყვები. (მქუხარე ტაში).

— ამხანაგო მწერლებო, მე მინდა შეეჩერდე აგრეთვე თარგმანის საკითხზე.

მერვე კლასისათვის გამოვიდა გეომეტრიის სახელმძღვანელო. მასში არის თეორემები. ამ თარგმნილ წიგნში ძალიან ბევრი წინადადება რუსული სიტყვებით არის დაწერილი. მერვე კლასის მოსწავლეები კითხულობენ, კითხულობენ, მაგრამ ვერაფერს ვერ გებულობენ. შემდეგ მოსწავლეებს რუსულ წიგნს გამოართმევენ ხოლმე და იმის მიხედვით ამზადებენ გაკვეთილს. მე აღვნიშნავ, რომ ჩვენმა მთარგმნელებმა და მასწავლებლებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ თარგმანს.

— ამხანაგო დიღო მწერლებო, გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს გაზეთებსა და ჟურნალებში. (მქუხარე ტაში). ჩვენი სერვილია, უფროსი მწერლები დაგვიხლოვდნენ. (მქუხარე ტაში).

ვფიქრობ, ბავშვების ამ სიტყვებს არ ესაჭიროება კომენტარები. საესებით ბუნებრივია, რომ ბავშვები მამებზე უფრო მცოდნე და კვიანები ხდებიან. მაგრამ, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლებ ბუნებრივია, რომ ბიჭები სოციალურად ლიტერატორებზე უფრო მცოდნენი არიან, და საესებით შესაძლოა, რომ ეს უკანასკნელთა განუვითარებლობის სამწუხარო ნიშანი იყოს.

ჩვენი ბავშვები ცხოვრობენ ფანტასტიკური მოვლენების ქვეყანაში. მათ ბევრი რამ აღეღებეს: სტრატოსფეროში მომხდარი გაფრენები, პარაშუტის დახმარებით მაღლიდან დაუჭერებელი გადმოხტომები, პლანეტების ფრენა, „ჩელუსკინელთა“ ეპოპეა, მფრინავთა გმირობა, „ცნობილ ადამიანთა“ შრომითი სიმამაცით და მათი მამების განთავისუფლებული ენერჯით შექმნილი სხვა მსგავსი მოვლენები. ლენინგრადში ჩატარებული ბავშვთა ნიჭიერების შემოწმება კომკავშირის „ცვლის“ სწრაფი და ბედნიერი განვითარების უდავო დადასტურებაა. სხვათა შორის: პრესამ ვერ შეძლო ამ ცდის მნიშვნელობის აღნიშვნა.

ხელთა მაქვს ირკუტსკში გამოცემული წიგნი — „პაქუათა ბაზა. პიონერები თავიანთ თავზე“.

„პაქუათა ბაზა“ ათიდან თხუთმეტი წლის ასაკის ოცდაათორვეტი პიონერი ბიჭისა და გოგონას კოლექტიური ნაშრომია. თხუთმეტი წლის ასაკისა ერთია. მათი „ხელმძღვანელი“ თვრამეტი წლისაა. დაწერეს მათ ორი სასტამბო თაბახი; თვითთულ თაბახში 56 ათასი სასტამბო ნიშანია, წიგნი დასურათებულია, მოკლე წინასიტყვაობაში „მათთვის, ვინც წაიკითხავს“, ნათქვამია:

ჩვენი წიგნის თავისებურება ის არის, რომ მასში ყველაფერი სიმართლეა. არაფერი არ გამოგვიგონია. ასეთი გადაწყვეტილება გვქონდა.

„სიმართლე“ გაყოფილია 60-ზე მეტ პატარა თავად და მოგვითხრობს პიონერთა სასკოლო მუშაობაზე, აღწერს მათ დასვენებას და კუზბასის ექსკურსიას.

„რატომ ვლაპარაკობთ ჩვენ ძირითადად სწავლაზე?“ — კითხულობს ნორჩი კოლექტივი და უპასუხებს: „პარტიის ცკ-ის გადაწყვეტილებამ გავლენა იქონია ბაზაზე. ჩვენ მოგვეცეს კარგი ხელმძღვანელი, თანხები, უფრო ხშირად მოდიოდნენ ფაბრიკის კომკავშირელები, რაიკომის მუშაკები“. ჩვიდმეტი ბავშვი დააჭილდოვეს ნოვოსიბირსკის საგზურით. დასავლეთ ციმბირის დედაქალაქი ასეა აღწერილი:

აი, ეს კი ნამდვილი ქალაქია, ნოვოსიბირსკი; სახლები ერთმეორეზე ლამაზია, ქუჩები — ფართო; არა ჰგავს ირკუტსკს. ბოლოს „დინამოს“ მოედანს ეეწვიეთ. აქ ჩინებული საწყლოსნო სადგური, ლამაზი კლუბი აქეთ; ეს კია, მდინარე ობი არ მოგვეწონა. ძალიან წყნარია — ვერც მიხვდებით რომელ მხარეს მივლინება. კუკუიანიც არის; ანგარასთანა როდია.

აი, ჩავიდნენ კუზნეცკ-სტალინსკში:

ქალაქი ჯერ მხოლოდ შენდება, მაგრამ ქვის სახლების კვარტალი გამოირჩევა. მალე მთელ ქალაქში ერთი ბარაკიც კი აღარ დარჩება; აქ მალე დაიწყებს მსუბუქად და სწრაფად სრიალს ტრამვაი... მარცხნივ, დიდი შთის მახლობლად, გაცხოველებული მუშაობაა; უცბად მიხვდები, რომ იქ დიდი ქარხანაა. მკაფიოდ გამოიყოფა ორი ბრძმედით. ცოტა მოშორებით ბოლავს ელექტროსადგურის მილები. აქ-იქ მოჩანს კვამლი, როგორც ეტყობა, ორთქლმავლებისა. აი, ქარხნის თაეზე გამოჩნდა ორთქლის ღრუბელი. ძალიან დაეინტერესლით — საიდან უნდა გაჩენილიყო. გოგონები თუმცა ამშვიდებდნენ პეტისა, მაგრამ მან მაინც, როგორც ყოველთვის, ახლაც ადრე გაიღვიძა. სხვების გაღვიძებაც მას მოუხდა.

— რას ჩამციებობხართ? მომეცით ბალიში, ძალი მინდა.

— ეჰ, შე მძინარა, ქარხანაში არ წამოხეალ?

— რაო! ქარხანაშიო? ახლავე.

ასე მოსდიოდა უველას. არ სურს ადგომა. მაგრამ საკმარისია უხსენოთ მაგიური სიტყვა „ქარხანა“, რომ მაშინვე იღვიძებს. როგორ არ გაიღვიძებ; ჩვენ ხომ ახლა ხუთწლედის ერთ-ერთი გიგანტის სანახავად წავალთ: ჯერ ხომ არავის არ უნახავს ნამდვილი ბრძმედი, მარტენი.

ქარხნისაკენ მიმავალ ფართო გზატკეცილზე მეგობრულად და ფეხზეწყობით მიიბიჯებს წითელ ყელსახვევიანი მზემოკიდებული თხუთმეტი ყმაწვილი.

ჯერ კიდევ კიშკართან გაგვაყრუა ხმაურმა, ორთქლმავლების კვიღმა, სწრაფად მიმავალი მატარებლების გუგუნმა, რაღაც ზარებმა, ხალხის ხმამალაქმა ლაპარაკმა. ხოლო როცა შევედით, ყურადღების დაძაბვა დაგვეკირდა, რომ საღიე თხრილში არ ჩავვარდნილიყავით ან ელმავლები არ დაგვეჩახებოდა.

აი, მიდის ბელმძღვანელი გალია; თავი ცოტა მაღლა აუწევია.

— ოი, ბიჭებო, რა მშვენიერებაა; აი, სად არის მუშაობა საინტერესო.

— უუურეთ, უუურეთ, ეგონეთი თვითონ... — თხლაშ! და გალია კირზე გაიშლართა; კიდევ კარგი, რომ კირი მშალი იყო.

— გალია, შენ თუ ასე თავდავიწყებას მიეცემი, აღარსად გავიშვებთ, — გააფრთხილა იგი კლავამ, — თორემ ბრძმედშიც შეგიძლია ჩაეარდე.

— ახლა საკოქსე ბატარეა ენახოთ, — თქვა ძია საშამ.  
პატარა ვიწრო კიბით საკოქსე ლუმელთან გავედით.  
უჰ, როგორ ცხელა.

— ფეხსაცმელები დაშვწვა.

აქაც ფრთხილად უნდა იყო.

გაისმის ზარის წკრიალი; ჩვენ სწრაფად გავედქით განზე.

მეშა იატაკს რამდენიმე სარკველს ხდის. გვერდით ჩაგვიქროლა განსაკუთრებული მანქანამ, რომელსაც ქვანახშირის ვაგონი ჰქვია და სწორედ სარკველებთან გაჩერდა. მოისმა ხმაური, მილიდან ამოვიდა კვამლი და ალი. კიდევ უფრო დაეცა. ორი წუთის შემდეგ ისევ ზარის ხმა გაისმა და ვაგონი უკან დაბრუნდა. სარკველებზე მაშინვე დახვრეს და თიხით ამოგლისეს, რომ ჰაერს არ შევიდეს, თორემ მთელ კოქსს გააფუჭებს.

— ახლა აქ მოდით, ვმაწვილებო, — და ჩვენც ხელმძღვანელთან ერთად ბატარეასთან მივედით. ამ დროს დაბლა ელმავალმა გააგორა მ მეტრის სიგრძის „ურია“, ხოლო მეორე მხრიდან მოვიდა უდიდესი მანქანა, გაალო ლუმელის კარი — ეს „კარი“ კი აღაშინაზე ბევრად მაღალია — და რკინის ხელით გამოაგორა ცხელი კოქსი. მთლიან ცეცხლოვან ზედად ჩაინთქა იგი ელმავლის ურიაში.

ელმავალმა სწრაფად გააქანა იგი წყლისაკენ. ბატარეის მახლობლად აიშარათა ორკუთხის თეთრი ღრუბლები, რომლებმაც ასე გაგვაოკა ჯერ კიდევ საღვურზე ყოფნისას და დიდი დავაც გამოიწვია. ახლა ჩვენ ვიციით მისი ისტორია, ეს კოქსის წართობაა.

ქარხანა რომ დაათვალიერებს, ასეთი პრაქტიკული გადაწყვეტილებები მიიღებს:

იკუტცკში დაბრუნებისთანავე შევაგროვებთ რაც შეიძლება მეტ რკინის ჭარბს და „ეოსტოჩნოსიბირსკი კომსომოლცის“ საშუალებით მოწოდებით მიემართათ ჩვენი მხარის ყველა პიონერს და მოსწავლეს.

— ჩვენ კი, — გვითხრა მდივანმა, — პირველი ფოლადით რამეს ჩამოვასხამთ და გამოვიგზავნით.

— მიმოწერა გვექნება.

— მტკიცე კავშირს დაეამყარებთ!

უკან დაბრუნებულებმა გზაში სიმღერა შეეთხზეთ:

გზა არის წინ — გატყორცნილი გზა,

მკერდში გული კი — ნაკვერცხალსა ჰგავს, და ა. შ.

ამ პატარა წიგნში ბევრი რამ არის მოთხრობილი. ორ-ნახევარ თაბახში ბიჭებმა შექლეს მოეცათ სკოლასა და ოჯახში თავიანთ ცხოვრებაზე მსიარული ნარკვევი, ამასთან, ოჯახს გაცილებით ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე სკოლას. სხვათა შორის, მასში არის თავი „მწერლები კი...“ და ამ თავში ისინი გვიამბობენ:

ჩვენს ბანაკებში მწერლებს უნდოდათ ჩამოსვლა. სიხარულით ველოდათ მათ, — ხუმრობაა, ციმბირელ მწერლები გაეწვევიან! მოვამზადეთ ლექსები, მივღაგეთ საერთო საცხოვრებელი, დავსუფთავეთ ეზოები, დავწერეთ პლაკა-

ტყეი და შ. აი, მოვიდა მწერლების ჩამოსვლის დღეც. მოუამენლად ველით! აოა, არ ჩამოვიდნენ მწერლები. იქნებ ხვალ ჩამოვიდნენ?! ვხედავთ, ბანაკს მანქანა უახლოვდება.

— ვაშა, მწერლებს! ვაშა! — ყოველი მხრიდან ყვიროდნენ ბავშვები. და რას ვხედავთ; მანქანა კირის წასაღებად მოსულა. ძალიან დაწყდათ გული ბავშვებს. „წესაძლოა, ხვალ ჩამოვიდნენ“, — ფიქრობდნენ ისინი. „ალბათ მანქანა ვერ იწოვეს ქალაქში, გზაც ცუდია. კეთილი, ხვალ იყოს“.

მწყობრში ვდგებით საღილისათვის. და ვხედავთ, შოდის მსუბუქი მანქანა. „მწერლები“ — ჩაუარა ხმამ მწყობრს თავიდან ბოლომდე.

— დიახ, მწერლები!

ბავშვები მოწყდნენ ადგილს და გაეკანენ მანქანისაკენ. ხელმძღვანელებმა დაგვიძახეს: „დაეჩუვეთ!“

მაგრამ ბავშვები არ უსმენენ მათ და გარბიან. აი, გარს შემოკრტუნენ მანქანას, გზა გადაუკრეს. მანქანიდან კი გამოდიან გააღენძილი დედილო და მამილო.

— ესეც შენი მწერლები! საერთოდ, არ გვეჩვივნენ მწერლები ბანაკში. ტუილად უხაროდათ ბავშვებს.

რასაკვირველია, „ისეთი არაფერი მომხდარა“, მაგრამ ცუდია. თუ ციმბირელი მწერლები, ბავშვების ამ ძალიან თავაზიან საყვედურს რომ წაიკითხავენ, დაირცხვენენ, მე შემიძლია ვუთხრა მათ, რომ მოსკოველი მწერლებიც ასე უყურადღებოდ და გულდასაწყვეტად ეკიდებიან პიონერებს. ამას ციმბირელთა დასამშვიდებლად როდი მოგახსენებთ.

მგონი, ეს წიგნი პიონერთა პირველი ცდაა იმისა, რომ მოგვითხრონ თავიანთი ამბები. და ჩემი აზრით, განსაკუთრებით ძვირფასია ის, რომ კოლექტიური მუშაობის ცდამ ინდივიდუალურად შეზღუდულ დარგში არ დაჩრდილა ზოგიერთი ავტორის თავისებურება. მათ ნიჭიერებაზე ლაპარაკი ჭერ ნაადრევია, მთელი კოლექტივის ნიჭიერება კი უღავოა. და მე მგონია, საჭიროა ყოველმხრივ მივესალმით ირკუტსკის მე-ნ საფაბრიკო-საქარხნო ათწლედის ლიტწრის დამოუკიდებელი „ლიტერატურული სწავლის“ ამ მეტად საინტერესო ცდას.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვისწავლით ძალიან კარგად მუშაობას, თუ შევიგნებთ შემეცნების კოლექტიური მუშაობის მნიშვნელობას, და აგრეთვე ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებით რთული მოვლენების ასახვის მნიშვნელობას; კოლექტიურად შევისწავლით ამ მოვლენებს გულწრფელი, მეგობრული ურთიერთობის ვითარებაში, ხოლო შემდეგ ინდივიდუალურად, სახეებში, სურათებში, რომანებში, მოთხრობებში ჩამოვაყალიბებთ შექნილ გამოცდილებას.

საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე  
ბაკმთავრული მოხსენებიდან

1934 წლის 17 აგვისტო

ახალი აღამიანის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია ბავშვების მაგალითზე, ისინი კი სავსებით ლიტერატურის ყურადღების გარეშე არიან; ჩვენი მთხზველები თითქოსდა არც კადრულობენ ბავშვებზე და ბავშვებისათვის წერას.

მე მგონია არ ვცდები, როცა ვფიქრობ, რომ მამები სულ უფრო მზრუნველობითა და ალერსით ეკიდებიან ბავშვებს. ჩემი აზრით, ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან კაცობრიობის მთელ ისტორიაში ბავშვები პირველად არიან არა მშობლების ფულის, სახლებისა და ავეჯის, არამედ ჰეშმარიტი და უძლიერესი ფასეულობის — მამებისა და დედების შრომით შექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს შემკვიდრები.

## ბ. ი. ჩუკოვსკის

ძვირფასო კორნეი ივანეს ძე, ვფიქრობ, თქვენ მიერ არჩეულ თემაზე ნაწარმოები აუცილებლად პროზით უნდა დაწეროთ, იგი საშუალო ასაკის ბავშვებისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. პატარები ამ თემას ვერ გაიგებენ, დაე, თუნდაც თქვენ მოუთხროთ იგი „ძნელ საგნებზე გასაგებად ლაპარაკის“ თქვენი განსაკუთრებული უნარით. იმ სიადვილის პირობებშიც კი, რომლითაც თქვენ წერთ ლექსებს, ძნელი იქნება თქვენი თემის მთელი სირთულის, მთელი ნაირსახეობის განზომილ სტრიქონებში მოქცევა. წარმოიდგინეთ: თქვენ უნდა ილაპარაკოთ არქტიკის ყინულებზე, ჩრდილოეთის ტყის მასივებსა და ტუნდრებზე, „მარად გაყინულობაზე“ და სხვა ამგვარ რამეებზე ჩვენს დროში, როდესაც ჰიპოთეტური აზროვნება სულ უფრო ჩვეულებრივი და „საშინელი“ ხდება. აი, კაპიტანი ჰერნეტი მოითხოვს გრენლანდიის ყინულოვანი ლიქენის მოსპობას და ციმბირისა და კანადის მიბრუნებას მიოცენური პერიოდისაკენ; კიდევ ვილაც ფიქრობს თავისი ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვის უტილიზებას, ხოლო სხვა ვინმე მცენარეულობისა და ცოცხალი უჯრედის წინაპარს ეძიებს. ყოველივე ამას კი თქვენ უნდა „შეეხოთ“.

როდი „გაშინებთ“: თქვენი განზრახვა ძალიან მომწონს. ვფიქრობ, თქვენ განახორციელებთ მას. რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად და რა სარგებელი შემიძლია მოგიტანოთ? შემიძლია გიშოვოთ ფული. რამდენიც გხებავთ, რომ დამშვიდებით იმუშაოთ ერთი-ორი წელიწადი.

მეტეოროლოგებზე მითითება არ შემიძლია — არავის ვიცნობ. მაგრამ ვფიქრობ, თქვენთვის ზედმეტი არ უნდა იყოს სლუცკის, სამარყანდის პელიოტექნიკოსებთან, აგრეთვე პოლარელებთან



ჭაუბარი. ჩვენი ატმოსფეროს საკითხზე კი თქვენ საინტერესო  
აზრებს იპოვით ვერნადსკის „გეოქიმიაში“. საერთოდ, ქიმიკოს-  
ელექტიკოსები დაგვირდებათ. ყველაზე საუკეთესონი კი თქვენ-  
თან, ლენინგრადში არიან; იოფეს გვერდით არის ღორფმანი. მას  
ვგონებ, საკმაო „ფანტაზია“ აქვს. ეს კი თქვენი დიდი თანაშემწე  
იქნება.

გულითადად გისურვებთ წარმატებას.

გ—VII 84 წ.

ა. პეშკოვი

## მოსკოვის ოლქის პიონერებს

### ბ ა ვ შ ე ე ბ ო !

გასულ წელს გკითხეთ: რომელი წიგნების წაკითხვა გსურთ? ამ კითხვას ათასობით პიონერმა უპასუხა და ახლა „დეტიზდატმა“ იცის, რა უნდა გააკეთოს თქვენთვის. მე პირადად კი ასეთმა ერთსულოვანმა გამოსმაურებამ ჩემს მომართვაზე გამაგებინა, რომ თქვენ იზრდებით ცხოვრების მტკიცე და ძვირფას ბატონ-პატრონებად, უკლასო, სოციალისტური საზოგადოების მშენებლებად.

შეძლებისდაგვარად თვალყურს ვადევნებ თქვენს ზრდას და ვხედავ, როგორ სწრაფად მატულობს თქვენს შორის ნიჭიერ ბავშვთა რაოდენობა.

თქვენი ზრდა-განვითარების სისწრაფე მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ცხოვრებას მარტო სკოლაში კი არა, თქვენი მამების, დედების, უფროსი ძმებისა და დების ყოველდღიური შრომითი ცხოვრებითაც სწავლობთ. ასეც უნდა, ბავშვებო!

აი, ახლა თქვენი უფროსი ამხანაგი, კომკავშირი, მოწოდებით მოგმართავთ, რათა მონაწილეობა მიიღოთ შინაური პირუტყვისა და ფრინველის სანიმუშო მოვლაში. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და დარწმუნებული ვარ, ისევე მგზნებარედ და მარჯვედ მოკიდებთ მას ხელს, როგორც ახლო წარსულში შინდერის სარეველების წინააღმდეგ იბრძოდით.

მაშ, წინ, პიონერებო! სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, მტკიცე მეგობრობას და მჯერა თქვენი ახალი საქმის ჩინებულნი წარმატება.

ბოლშევიკურად მოგესალმებით!

## ხელოვნების შესახებ

ცნობილი და დადგენილია, რომ სიტყვის ხელოვნება შორეული წარსულში დაიბადა; იგი იშუა ადამიანთა შრომის პროცესში. ამ ხელოვნების წარმოშობის მიზეზი იყო ადამიანთა მისწრაფება იმისაკენ, რომ სიტყვიერი ფორმებით — ორტაეპედის, „ანდაზების“, „თქმულებების“, ძველებური შრომითი ლოზუნგების ფორმებით — გადმოეცათ შრომის გამოცდილება. ამ ფორმებს უფრო ადვილად ითვისებდა და იმახსოვრებდა გონება. სიტყვის ხელოვნება ფეხდაფეხ მოჰყვებოდა შრომას; სიტყვაში შექონდათ მეცნიერების საწყისები ადამიანთა შრომითი საქმიანობისადმი ბუნების მტრულ წინააღმდეგობებთან ბრძოლის ხერხებზე. ეჭვს გარეშეა, რომ სიტყვის ხელოვნება ყველა პირველყოფილ რელიგიაზე ათეული საუკუნეებით ადრე უნდა გაჩენილიყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ძველი ადამიანები სიტყვას გარეულ მხეცებზე და ბუნების მოვლენებზე ზეგავლენის მაგიურ ძალას ანიჭებდნენ.

თუ იმ ლოგიკური პატიოსანი პირდაპირობით ვიმსჯელებთ, რომელსაც გონებას მისი უპატიოსნესი მასწავლებელი და ორგანიზატორი — შრომა შთააგონებს, ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ უკვე იმ ხანაში, როცა ადამიანებმა დანაწევრებული მეტყველება ისწავლეს, მათ შეიცნეს საკუთარი თავი როგორც ყველა ცხოველზე უფრო ბრძნული და სრულყოფილი არსება. შრომა, ცეცხლი და სიტყვა — აი, ის ძალა, რომელიც მეორე ბუნების — კულტურის შექმნაში დაეხმარება ადამიანებს. ენა პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების ადამიანთა მხოლოდ ურთიერთგაგებისა და მჭიდრო კავშირის წყარო როდი იყო. ამასთან ერთად, იგი ადამიანებში იწვევდა სიამაყესა და სიხარულს მათი შრომის წარმატებებით და, ცხადია, გავლენას ახდენდა შრომის პროდუქტიულობაზე.

ჩვენ, სოციალისტური საბჭოების კავშირის ადამიანები, ყოველ-

დღიურად ვრწმუნდებით, რომ რაც უფრო პროდუქტიულია ჩვენი თავისუფალი შრომა, მით უფრო სწრაფად, ძლიერად, მიმზიდველად იზრდება ადამიანი — ნივთიერების, მატერიის ყველაზე უფრო რთული და სრულყოფილი შეერთება.

კულტურის ბურჟუაზიული ისტორია პირველყოფილი ადამიანების ყოფას ხატავს, როგორც მუდმივ შიშსა და ძრწოლას შეუცნობელისა და გაურკვეველის წინაშე; იგი ადამიანს სიზმარზე, სიკვდილსა და ცეცხლზე ღრმად ჩაფიქრებულ პიროვნებად წარმოგვიდგენს. ეს აზრი გადასინჯვასა და შემოწმებას საჭიროებს ისევე, როგორც ბურჟუაზიული მეცნიერების ყველა სხვა მოსაზრება კაცობრიობის კულტურული განვითარების თაობაზე.

იქელი ზღაპრები და მითები არ გამოხატავენ ადამიანის შიშს ბუნების წინაშე; პირიქით, ისინი უჩვენებენ ადამიანთა გამარჯვებას ბუნებაზე; მეტყველებენ სიტყვის ჯადოსნურ ძალაზე, რომელიც სძლევედა ბუნების ნივთიერებათა და მოვლენათა ბოროტ წინააღმდეგობას შრომითი მიზნების, შრომის პროცესებისადმი. მიწისძვრა, წყალდიდობა და, საერთოდ, ფიზიკური კატასტროფები ყოველდღიურად როდი ხდებოდა და ყველა თაობაც კი როდი განიცდიდა მათ. ის ცხოველები, რომლებმაც არ იციან, რომ ადამიანი მათ ხორცზე ნადირობს, არ უფრთხიან მას; აფრიკის, ავსტრალიის, ზელანდიის „ველურები“ ნდობითა და მშვიდობიანად ეკიდებოდნენ ევროპელებს პირველად შეხვედრის დროსაც.

სოციალური ყოფის ტრაგიზმმა და საშინელებამ თავი იჩინა მაშინ, როცა ადამიანები ბატონებად და მონებად გაიყვნენ; ამავე დროიდან წარმოიშვა რელიგიაც.

ცხოვრების ტრაგიზმის თეორეტიკოსები, გამომერთებლები, მქადაგებლები იყვნენ კოლექტივის მოწყვეტილი ერთეულები. ისინი ჩვენს დროშიც განავრცობენ ქადაგებას, რომელიც ამართლებს ადამიანთა გაყოფას ბატონებად და მონებად, იმ ცოდვილებად და წმინდანებად, ვინც იმსახურებს ჯოჯოხეთში წამებას ან სამოთხეში ნეტარებას. სწორედ მათ გამოიგონეს ქრისტეს გულუბრყვილო ეშმაკური და უბადრუკი რელიგია, რომელიც მოხერხებულად შეუფერადებიათ პრიმიტიული კომუნიზმის მათხოვრული არსით.

ადამიანებს არ შეეძლოთ უსიხარულოდ ცხოვრება, ისინი იცინოდნენ, თხზავდნენ მხიარულ სიმღერებს, უყვარდათ ცეკვა. თავიანთი შრომითი წარმატებებით გახარებულებს ქურუმთა რელიგიურ ცერემონიებშიც კი შეჰქონდათ სიმღერები, ცეკვები, გართობანი; შავბნელი, ინკვიზიტორული ქრისტიანული ეკლესიაც კი იძულებული იყო თავის დღესასწაულებში შეეტანა მხიარული საგალობლები.

განსაკუთრებით დიდი მხიარულება შექონდა მონების მძიმე, კატორღულ ცხოვრებაში ხელოვნებას. და სწორედ ისინი, მონები იყვნენ იმ მშვენიერების შემოქმედნი, რომელსაც ვხედავთ ეტრუსკულ ვაზებზე, ვიცნობთ ოქროს უძველესი სამკაულებით, იარაღით, ქანდაკებებით, ეგვიპტის, საბერძნეთის, მექსიკის, პერუს, ინდოეთის, ჩინეთის ძველი ტაძრების ნანგრევებით, ევროპის შუასაუკუნეების ტაძრებით, აღმოსავლური ხალიჩებითა და ფლანდრიის გობელენებით და ა. შ.

ვინ გარდაქმნიდა მძიმე, ყოველდღიურ შრომას ხელოვნებად ჯერ — თავისათვის, ხოლო შემდეგ — ბატონებისათვის? ხელოვნების ფუძემდებელნი იყვნენ მეჭურჭლენი, მკედელნი, ოქრომჭედელნი, მქსოველნი, კალატონი, ღურგალნი, ხისა და ძვლის მჩუქურთმენი, მესაკურვლენი, მღებავნი, თერძები და საერთოდ — ხელოსნები, ის ადამიანები, რომელთა მიერ ოსტატურად გაკეთებული ნივთები, ასე რომ ახარებს ჩვენს თვალს, ავსებენ მუზეუმებს.

რა აიძულებდათ ადამიანებს ლამაზი ფორმით, ნათელი ფერებით, თავსატეხი ჩუქურთმით შეემკოთ საშინაო ნიადაგსახმარი სასარგებლო ნივთები, ჰურჭელი, ავეჯი, საერთოდ, რა აიძულებდათ ადამიანებს. მორთულიყვნენ თვითონ და მოეკაზმათ ყველაფერი? მისწრაფება ფორმის სრულყოფისაკენ ბიოლოგიური მისწრაფებაა; მას საფუძვლად უდევს ადამიანის სურვილი, შეიძინოს კუნთებას მოქნილობა და ძალა, მოძრაობის სიმსუბუქე და სისწრაფე. ეს არის მისწრაფება ტანის ფიზიკური კულტურისადმი. იგი განსაკუთრებით თვალნათლივ იყო ხორცშესხმული ძველი ბერძნების ქანდაკებების სწორუპოვარ ნიმუშებში. ადამიანებმა იციან, რომ ჭანმრთელობას თან ახლავს ცხოვრების სიხარულის სრული შეგრძნება; ნივთიერებების, მატერიათა და ცხოვრების პირობების შეცვლაზე მომუშავე ადამიანებისათვის ხელმისაწვდომია ყველაზე უდიდესი ბედნიერება — ახლის, არაჩვეულებრივის შემოქმედება ბედნიერება.

ადამიანებს უყვართ მელოდიურად შეწყობილი ხმები, ნათელი საღებავები; ისინი ესწრაფვიან იმას, რომ უფრო უკეთესი, უფრო საზეიმო გახადონ მათი გარემომცველი სამყარო, ვიდრე არის. ხელოვნება მიზნად ისახავს გადაქარბებულად აჩვენოს კარგი, რათა იგი უკეთესი გახდეს; გადაქარბებულად აჩვენოს ცუდიც — ადამიანისადმი მტრული, მისი დამმახინჯებელი; — რათა იგი ზიზღს იწვევდეს, აღანთებდეს ადამიანის ვნებას, რომ ადამიანმა გაანადგუროს უხამსი, ხარბი მეშჩანობის მიერ შექმნილი სამარცხვინო საქაგლობანი ცხოვრებისა. თავისი არსით ხელოვნება არის ბრძოლა სასარგებლოდ ან წინააღმდეგ; გულგრილი ხელოვნება არ

არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ადამიანი ფოტოგრაფიული აპარატი როდია; იგი კი არ „ალბეჭდავს“ სინამდვილეს, არამედ ან ამკვიდრებს, ან ცვლის, ანგრევს მას.

თავისი კულტურული ჩვილობის ეპოქაში ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უკეთესად მორთვაში. შემდგომ საზოგადოება კლასებად დაიყო. შრომა იქცა მონურ, იძულებით საქმედ, შემოქმედება — ყიდვა-გაყიდვის საგნად, პატიოსანი შეჯიბრება შეცვალა ლუკმაპურისათვის ბრძოლით გამოწვეულმა ოსტატთა კონკურენციამ. კონკურენციამ. რომელიც ზრდიდა „ბატონთა“ ნივთების რაოდენობას, დასცა ამ ნივთების ხარისხი. პირვანდელ, პრიმიტიულ მანქანებს მუშა ადამიანები თავიანთი შრომის გასაადვილებლად ჰქმნიდნენ. მეპატრონეებმა კი დაჭირავებულთა ძალით გააუმჯობესეს მანქანები, რათა თავიანთი მოგება გაეზარდათ. მეპატრონის ხელში მანქანა მუშების მტრად იქცა, მუშის ხელში კი იგი — მისი მოადგილეა. ზოგავს მის ძალ-ლონეს, ამცირებს მუშაობის დროს.

აი, ჩვენ მოვესწარი იმ დროს, როცა ვხედავთ: ტექნიკის ზრდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში წარმოშობს უმუშევართა მილიონებს და შიშით შეპყრობილი ევროპელი მეშჩანები გაჰკვივიან: „ძირს ტექნიკა! დაუბრუნდით ხელით შრომას!“ ეს არის მოწოდება კულტურის ზრდის შეჩერებისაკენ, მოწოდება იმისაკენ, რომ დაუბრუნდეთ მონობის შუასაუკუნეობრივ ფორმებს. ეს არის აგონიაში გადასული კაპიტალიზმის გოდება.

მშრომელი ადამიანის თავისუფალ შემოქმედებას წინ ეღობებოდა გადაულახავი დაბრკოლებანი. მაგრამ მუდამ იყვნენ და ჩვენს დღეებამდეც კი მოაღწიეს დონ-კიხოტებმა. მათ სურთ რაღაც უნდა დაუჯდეთ. გააკეთონ ლამაზი, არაჩვეულებრივი ნივთი. ასეთი ადამიანები ბევრნი არ არიან, მაგრამ მე მაინც შევხვედრივარ მათ ჩვენს შინამრეწველთა შორის. განსაკუთრებით კარგად დამამახსოვრდა დაბა კუკარკის მცხოვრები ვიატიჩი. მას გემზე შევხვდი ყაზანსა და ნიჟნს შორის. იგი სრულიად რუსეთის 1896 წლის გამოფენაზე მიემგზავრებოდა. პატარა იყო, გამხდარი, მელოტი; ჰქონდა თავივით შავი თვალები, მოღუშული სახე და ყვითელი გაჩეჩილი წვერი. გაცვეთილი ლაფანის ქალამნები ეცვა, მესამე კლასის გემბანზე დადიოდა, ფრთხილად იხედებოდა და ხმადაბლა მიმართავდა მგზავრებს:

— იყიდეთ სათამაშო!

სათამაშო ღვიის ფესვიდან გაეკეთებინა. კაცის ფიგურა იყო. თავზე ქუდი ეხურა, „ჩამოშვებული“ შარვალი ეცვა, მხარით ხეს

მცურდნობოდა, ხელში ჯოხი ეჭირა, მოღუშული და პირმოღრეცილო ტუჩს იკვნიტდა. სახე მეტად ფაქიზად, მკაფიოდ გამოეთალა მოხუცს, ტანი კი დაუდევრად მოეჩორკნა, გეგონებოდათ კაცი ხეს შეზრდიო, მაგრამ ამ დაუდევრობაშიც ნათლად ჩანდა შრომის უნარი, გემოვნება და ანატომიის ცოდნა. ფიგურა ოთხი გოჭის ზომადლისა იქნებოდა. ხელსანი ორ მანეთად ყიდდა. დასცინოდნენ, „სამ შაურს“, აბაზს სთავაზობდნენ; იგი მღუმარედ გაეცლებოდა ხოლმე ასეთ მუშტარს.

ვილაცამ მიაძახა:

— ფუჰად შრომობ, მოხუცო!

— კარგადაც ვერ გაგიყეთებია, — დაუმატა მეორე მგზავრმა.

მანეთნახევიარი მქონდა. მაგრამ არ მინდოდა მეც მეწყენინებინა მოხუცისათვის.

— თვითონ გააკეთე? — ვკითხე. იგი გაოცდა და კითხვითვე მიპასუხა:

— აბა, როგორ?

შემდეგ ჩაიბუტბუტა:

— სხვისი ნახელავით არ ვვაჭრობ.

გაემართა გემის კიჩოსაკენ, ჩამოჭდა ტაბტის კიდეზე, ტომრიდან ფესურა ამოიღო, ჯიბიდან — პატარა დანა. გვერდით მიეფუჭეჭა, საუბარი გაეუბი; მიჩვენა კიდეც ოთხი ფიგურა: ერთი ლიპიანი, დრუნჩიანი მუყიკი იყო, მოციქულივით დიდი წვერი ჰქონდა, ფეხნიშველას უქამრო ხალათი ეცვა; თვალეზი მალა აღეპყრო და პირჯვარს იწერდა, ხელი მარცხენა მხარზე მიებჯინა, პირი დაეღო. შემდეგ მიჩვენა: მალალი, დადცხვარა ბერი. ბერს თვალეზი მოეჭუტა და ნეტარივით იყურებოდა. მესამე თავშიშველა, თმაგაჩეჩილ, კუდიან დედაბერს გამოხატავდა. იგი ვილაცას მუშტით ემუჭკებოდა; მეოთხე ფიგურა მთვრალი მეზატონისა იყო. მეზატონეს ქუდი ეფთაზე მოქცეოდა. ყველა ფიგურას ერთი რამ ჰქონდა საერთო — ყველა დამაჯერებლად მახინჯი იყო, ვკითხე: რატომ გამოაახანებ იგი — ოსტატი — ადამიანებს თითქოს დაცინვით? აღმაცერად შემომხედა და გაბედულად მომიგო:

— მე ნატურალურად ვკვებთავ. ვისაც ვიცნობ, იმას ვკვებთავ. ცამეტი წლის ასაკიდან ვეწყევი ამ საქმეს, ახლა კი უკვე თითქმის ორმოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ. ხალხს ბრიყვი ვგონივარ. მაგრამ ეს არაფერს მიშლის, პირიქით, სასარგებლოა: ჩვენში ბრიყვებს ცხოვრებას არ უშლიან.

შემდეგ მითხრა:

— ზოგიერთებს იმაზე უარესს ვაკეთებ, ვიდრე არიან; ზოგიერ-

თი კი ნაშღვილზე უკეთესი უნდა გამოკვეთო. კარგს უფრო სასიამოვნოს ვაკეთებ, ხოლო რაც არ მომწონს, იმას კიდეც უფრო ვუმატებ სიმახინჯეს და ამისა არც მეშინია.

მას თითქოს ლაპარაკი არც უნდოდა, მაგრამ ჯაგარა წარბების ქვემოდან აღმაცერად თვალს მადევნებდა, მამოწმებდა: ყურადღებით ვუსმენ თუ არა? ვგრძნობდი, რომ იგი მსმენელს ეძებდა, და ბევრი ხვეწნა არ დასკირვებია, რომ ეამბნა ჩემთვის „ბუშის“ — მიგდებული ბავშვის — მწარე, დამცირებით აღსავსე ცხოვრება. თავისი ცხოვრება მან მწყემსობით დაიწყო, შემდეგ უმწყობრობა ასეულის ჯარისკაცი იყო, და წელიწადნახევარს დისციპლინარულ ბატალიონში ყოფნა დაიმსახურა, დროდადრო საღურგლო სახელოსნოებშიც მუშაობდა.

— მაგრამ ვერ ვეწყობი ადამიანებს, არ შემიძლია ჩემი მხრებით სხვების ტარება.

საერთოდ, ეს იყო ხელოვნების გზნებით შეპყრობილი მარტოხელა არტისტის სრულიად ჩვეულებრივი ცხოვრება, ხელოვნებისა, რომელსაც დამფასებელი არა ჰყავს.

ასეთი ადამიანები ბევრი მინახავს და ალბათ მათ შთამინერგეს იმის რწმენა, რომ პროლეტარიატს ბურჟუაზიის ტყვეობაშიც კი შეუძლია შექმნას თავისი ხელოვნება, თავისი კულტურა. რამდენ ნიჭიერ ადამიანს უნაყოფოდ დაუხარჯავს თავისი ორიგინალური ნიჭი გროშის ფასად, მათხოვრული ლუკმა-პურის ფასად გონების დამჩლუნგებელ შრომაში! ბევრი ასეთი ადამიანი იყო ვოლგისპირეთის ხისდამშუშავებელ შინამრეწველთა შორის, კავკასიური ტომების მესაკურვლეთა შორის, ველიკი უსტიუგის ოქრომკედელთა შორის, ოქრომკედლი მქარგველთა, მემანქანეთა შორის, იმ ასობით ათას მუშას შორის, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს ახმარდნენ დიდი და პატარა მედუქნების მდიდრული ყოფის დასამშვენებლად განკუთვნილ „მხატვრულ მწერლობას“. ვინ იფიქრებდა, რომ ხატწერის გზით, ხელოვნების ყველაზე უფრო კონსერვატიული დარგის — ფერწერის უკონსერვატიულესი ხელობის გზით, პალესისა და მსტერის ოსტატები მიაღწევდნენ მათ დღევანდელ ჩინებულ ოსტატობას, რომელიც აღტაცებას იწვევს ფერმწერთა მიერ განებივრებულ ადამიანთა შორისაც კი.

ფერწერას იმიტომ ვუწოდებ კონსერვატიული ხელოვნება, რომ იგი საუკუნეობით ემსახურებოდა და ჯერ კიდევ მლიქვნელურად ემსახურება უმთავრესად ეკლესიის ინტერესებს, ასურათებს მის ნაღვლიან ლეგენდებს, მის იეზუიტურ მორალს, მოთმინების, თვინიერების, ტანჯვის აუცილებლობის ქადაგებას, ქრისტეს გულისა-



თვის წამების უაზრო პერიოდში. ფერწერა ემახურობოდა და ემახურობა ათასობით პორტრეტით მეფეების, გენერლების, ბანკირების, მეძავე დიაცების, მეღუქნეების უკვდავყოფას.

ლენინის პარტიის მიერ ორგანიზებულმა ოქტომბრის რევოლუციამ კაპიტალისტების არაადამიანური ტყვეობიდან დაიხსნა მუშათა კლასი და გლეხობა, მშრომელი ხალხის მთელ მანას მიანიჭა თავისთვის შრომის მისი ბუნებრივი უფლება. გმართა ამ მამაცობის შედეგები გამოვლინდა იმით, რომ მეფის, მემამულეების, ფაბრიკანტების, ბანკირების დატაკი, გაუნათლებელი, უღონო, განადგურებული რუსეთი ორ ათეულ წელზე უფრო ნაკლებ დროში გადაიქცა მოძმე რესპუბლიკების მძლავრ ქვეყნად, რომელიც ბურჟუაზიას სძულს, მაგრამ პატივს სცემს, რადგან მისი ეშინია.

ნაკლებ დამაჩერებელი გავლენა როდი აქვს ბავშვებზე რევოლუციური პროლეტარიატის გამარჯვების, პარტიის ხელმძღვანელობისა და სოციალისტური საბჭოების კავშირის რესპუბლიკათა მოსახლეობის მთელი მასის დაულალავე მუშაობის შედეგებს. საოცარი ძალით იფურჩქნება ჩვენი ბავშვების მასობრივი ნიჭიერება. ყოველწლიურად ვლინდება ასობით ნორჩი მუსიკოსი, პლანერისტი, გამომგონებელი, მოლექსე და პატარა გმირი. ისინი გაბედულად ებმებიან მტრებთან ბრძოლაში და უკვე უნერგავენ ჩვენს ქვეყანას იმის მოვალეობას, რომ მონუმენტებით უკვდავყოს მათი ხსოვნა, ვინც მტერთან ბრძოლაში დაიღუპა.

## ზღაპრების ბაგო

თქვენ მეკითხებით: რა მომცა ხალხურმა ზღაპრებმა, სიმღერებმა?

ფერწერულ სიტყვას, მშრომელი ხალხის ძველ პოეზიასა და პროზას — მის ლიტერატურას, რომელიც დამწერლობის გამოგონებამდე აღმოცენდა და „ზეპირი“ იმიტომ ეწოდა, რომ ზეპირად ვრცელდებოდა, — ამ ლიტერატურას ადრე — ექვსი-შვიდი წლისა რომ გახლდით — მაშინ გავეცანი. ორმა მოხუცმა ქალმა გამაცნო იგი: ბებიაჩემმა და ძიძა ევგენიამ. ძიძა ტანმორჩილი, ბურთივით ჩამრგვალებული ქალი იყო, გეგონებოდათ, ორი თავი კომბოსტო ერთმანეთზე აუკოკოლავებიათო. დიდ თავს კიდევ უფრო უმსხვილებდა სქელი და ხუჭუჭი ქალარა თმა. ევგენიას თმებში ორი ცხენის კუდი მაინც გამოვიდოდა თუ მეტი არა. თავზე ორ თავსაფარს იკრავდა, შავსა და ყვითელს, მაგრამ უხეში და ურჩი თმები მაინც ეჩეჩებოდა. პატარა, წითური სახე ჰქონდა. ცხვირპაჭუა იყო. ახალშობილივით წარბები არ აჩნდა. აფუებულ სახეზე მოლურჯო თვალები ჩასმულივით უციმციმებდა.

ბებიაჩემსაც უხვად ჰქონდა თმა, მაგრამ მულამ ჩაჩის მსგავს აბრეშუმის პატარა ქუდს იხურავდა და თმები არ უჩანდა. ძიძა ოცდახუთ წელიწადს ცხოვრობდა ბაბუაჩემის სახლში, „ზრდილა“ ბებიაჩემის მრავალრიცხოვან ბავშვებს, ასაფლავებდა მათ, დასტიროდა დიასახლისთან ერთად. მანვე აღზარდა მეორე თაობა — ბებიაჩემის შვილიშვილები, და ჩემს მესხიერებაში ეს მოხუცი ქალები დიასახლისად და მოსამსახურედ კი არა, მეგობრებად დარჩნენ. ისინი ერთად დასცინოდნენ პაპაჩემს. ორივე ტიროდა, როცა იგი ერთ მათგანს აწყენინებდა, ერთად შალულად გადაჰკრავდნენ ხოლმე ორ-სამ სირჩა სასმელს. ბებიაჩემი „ენიას“ ეძახდა ძიძას, ძიძა კი — „აკულას“. როცა წაიჩხუბებდნენ, ძიძა უყვიროდა:

— აკულკა, შე შავო სატანა!

— ქალარა კუდიანო, ბანჯგვლიანო საფრთხობელავ, — გამოეპასუხებოდა ბებიაჩემი. ჩხუბობდნენ ხშირად, მაგრამ ცოტა ხანს,

ერთ საათს; შემდეგ შერიგდებოდნენ და გაკვირვებით კითხულობდნენ:

— რას ვყვიროდით? გასაყოფი რა გვაქვს, რა გვაყვირებს?! სულელები ვართ...

თუ მათ მონანიებას ყურს მოჰკრავდა პაპაჩემი, მაშინვე დაუდასტურებდა:

— მართალს ამბობთ: სულელები ხართ.

და ხშირად, ზამთარში, საღამოობით, როდესაც გარეთ ქარბუქი იდგა და ფანჯრებს ეხატუნებოდა, ან ყინვა სუსხავდა ყველავერს, სამზარეულოს გვერდით მდებარე პატარა ოთახში ბებიაჩემი მაქმანის ქსოვას ჩაუჭლებოდა, ხოლო ევგენია კუთხეში, კედლის საათის ქვეშ მოიკალათებდა და ძაფს ართავდა; მე ძიძის უკან სკივრზე ავსოცდებოდი და ყურს ვუგდებდი მათ საუბარს. სპილენძის ქანქარა კი ისე ქანაობდა ძიძის კეფასთან, თითქოს მისი ჩამოთლა უნდაო. ჩხაკუნობდნენ ჩხირები, ბზუოდა თითისტარი; მოხუცი ქალები ჭორაობდნენ. ამბობდნენ, მეზობლებს ღამით მეექვსე ბავშვი შეეძინათ და მამამისი ჭერ კიდეც „უადგილოდ“ არისო: დღით მისმა უფროსმა ქალიშვილმა პური გვთხოვაო. ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ საქმელზე: სადილობისას პაპა ბუზღუნებდა — შიი საქმოდ მსუყე არ არის. ხორცი კი დაგიწვავთო. ვილაცის დღეობაზე მღვდელს გიტარა დაუმტვრიეს. მე ვიცნობ ამ მღვდელს. როცა პაპაჩემს ეწვევა, იაკობ ბიძიას გიტარაზე უკრავს; უზარმაზარია, ფაფარაანი, ელაღწვერიანი, მსხვილი თეთრი კბილებით გამოქედნილი დიდი ხახა აქვს. იგი ნამდვილი მღვდელია, სწორედ ის, ვისზედაც ძიძა ევგენიას უამბია ჩვენთვის. აი, რას გვიამბობდა ის: დაპირა ღმერთმა ლომის გაკეთება, გამოძერწა ტანი, მიაწება უკანა ჟეხები, მიაბა თავი, მიაწება ფაფარი, ხახაში კბილები ჩაუდგა და უკვე — მზადაა! ხედავს — წინა ფეხებისათვის მასალა არ ჰყოფნის. დაუძახა ეშმაკს და ეუბნება: „ლომის გაკეთება მინდოდა — არ გამომივიდა, სხვ: დროს გავაკეთებ, ეს საძაგელი კი შენთვის მიჩუქნია, ბრიყვო“. ეშმაკს გაუხარდა: „მომეცი, მომეცი, ამ ნეხვისაგან მღვდელს გავაკეთებ“. მიაწება ეშმაკმა იმ საძაგელ არსებას გრძელი ხელები და — მღვდელი გამოვიდა.

პაპაჩემის სახლში „ღმერთის“ სახელი ღილიდან საღამომდე გაისმოდა: ღმერთს შემწეობას თხოვდნენ, მოწმედ იშველებდნენ. ღმერთით გვაშინებდნენ — დაგსჯითო! მაგრამ სიტყვიერს გარდა ღმერთის ვერავითარ სხვა მონაწილეობას ჩვენს საქმეებში მე ვერ გვრძნობდი, ხოლო სახლში ყველას ღმერთი კი არა პაპაჩემი სჯიდა.

ძიძის ზღაპრებში ღმერთი ყოველთვის მოისულელებდა. იგი დედამიწაზე ცხოვრობდა, სოფლად დადიოდა, ადამიანთა საქმეებში ერეოდა, მაგრამ ყველაფერში ხელმოცარული იყო. ერთხელ გზაში მოუსწრო ბინდმა, არყის ხის ქვეშ დაისვენა, ხედავს — ცხენიანი გლეხი მოდის. ღმერთს ლაპარაკი მოუნდა, გააჩერა გლეხი და ჰკითხა: ვინა ხარ, საიდან მოდიხარ, სად მიდიხარო. შემოალამდათ. ღმერთმა და გლეხმა გადაწყვიტეს, არყის ქვეშ გაეთიათ ღამე. დილით რომ გაიღვიძეს, რას ხედავენ — გლეხის ცხენს კვიცი მოუგია. იგი სიხარულით ცას ეწია, მაგრამ ღმერთმა უთხრა: „დაიცა, ეს კვიცი ჩემი არყის ხის მოგებულია“.

შეკამათდნენ. არც გლეხმა დაუთმო და არც ღმერთმა. მოსამართლეებს მივმართოთო, — თქვა გლეხმა. მივიდნენ მოსამართლეებთან. გლეხმა სთხოვა, გამოიტანეთ მსჯავრი, სიმართლე თქვითო. მოსამართლეებმა უთხრეს. სიმართლის ძიება ფული ღირს, მოგვეციოთ ფული და სიმართლეს გეტყვითო! გლეხი ღარიბი იყო, ღმერთი კი — ხარბი, ფული არ ემეტებოდა და გლეხს უთხრა, მთავარანგელოზ გაბრიელს მივმართოთ, იგი უფასოდ გააჩერებს ჩვენს საქმესო. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ მთავარანგელოზს. მოუსმინა მათ გაბრიელმა, ჩაფიქრდა, კეფა მოიფხანა და ღმერთს უთხრა, ეს უბრალო საქმეა, უფალო, მისი გადაწყვეტა ადვილია, მე უფრო ძნელი საქმე მაქვს მოსაგვარებელი: ზღვა-ოკეანეში ჰკვაი დავთესე და არ ამოვიდაო. რა სულელი ხარ, — მიუგო ღმერთმა, — როდის იყო, რომ ჰკვაი წყალში იზრდებოდაო, აქ კი გაბრიელმა სიტყვა მოუჭრა, განა არყის ხეს შეუძლია კვიცის გაჩენა?

ხანდახან ღმერთი ბორბოტი ხდებოდა. მაგალითად, ერთხელ ღამით იგი, წმინდა იურის თანხლებით, ერთ სოფელში გზად მიდიოდა. ყველა ქოხში სინათლე ჩამქრალი იყო, მხოლოდ ერთში ენთო; ძონძებაფარებული ღია ფანჯრიდან თითქოს კვნესა მოისმოდა. ღმერთმა ხომ ყველაფერი უხდა იცოდეს. წავალ, ვნახავ, რას შერებიან იქო, — თქვა მან. იურიმ ურჩია, ნუ წახვალ, არ ვარგა მშობიარე დედაკაცის ცქერაო! ღმერთმა არ დაუჯერა, ფანჯარას ძონძები მოგლიჯა და ქოხში თავი შეჰკყო. ბებიქალმა ისე სთხლიშა წუბლში რძის ქოთანი, რომ კინალამ ტვინი დაანთხევიანა. ხომ ასე, — თქვა ღმერთმა და შუბლი მოისრისა, — ახლა დაბადებული კაცი უბედური იქნება, ამის პირობას გაძლევთო. გავიდა კარგა ხანი, ოცდაათი წელიწადი; ღმერთი და იური კვლავ ესტუმრნენ იმ სოფელს. იურიმ ღმერთს დაანახა მინდორზე ერთი ნაკვეთი, სადაც სხვა ნაკვეთებზე უფრო ხშირი და მაღალი ჭეჭილი იყო. შეხედე, უფალო, რა უხვი მოსავალი მიუცია მიწას გლეხკაცისათვისო!

ღმერთმა კი დაიტრახა: როგორც ეტყობა, გულით ლოცულობდა ჩემზე ის გლეხიო. იურიმ უთხრა, ეს ხომ სწორედ ის გლეხია, მისი დაბადებისას შენ რომ ქოთანი ვთხლიშეს თავშიო. დიახ, გამახსენდაო, — თქვა ღმერთმა და ეშმაკებს უბრძანა, გლეხის ნაკვეთი დაღუპეთო. პური დაიღუპა, გლეხმა ტირილი მორთო, იურიმ ურჩია, აწი ბორბალი არ დათესო, პირუტყვი მოაშენეო. გავიდა კიდეც ხუთი წელიწადი. ისევ ჩაუარეს ღმერთმა და იურიმ იმ სოფელს. ხედავს ღმერთი, ჩინებული ნახირი ბალახობს და კვლავ ტრახახს მოჰყვა, როცა გლეხი პატივსა მცემს, მეც დოვლათით ვაქებ მის ოჯახსო. ახლაც ვერ მოითმინა იურიმ და უთხრა, ეს იმ გლეხის ნახირიაო... ღმერთმა შავი ჰირი დამართა პირუტყვს და გააუბედურა გლეხი. იურიმ ისევ რჩევა მისცა გაუბედურებულს, ფუტკარი გააჩინეო. გაკიდა კიდეც ორი წელი. გზად მიდის ღმერთი, ხედავს, ჩინებული საფუტკრეა, ტრახახობს, შეხედე, იური, რა ბედნიერი მეფუტკრე მყავსო. არაფერი უპასუხა იურიმ, გლეხს მოუხმო და წასჩურჩულა, მიიპატივე ღმერთი, თავლით გაუმასპინძლდი, იქნებ თავი დაგანებო! გლეხმაც მიიპატიეა ისინი. გოლეულით გაუმასპინძლდა, ჩინებული კალაჩები მიართვა, სანთლის არაყი დაუღდა. ღმერთი არაყს წრუპავს და სულ ტრახახობს, გლეხს ვუყვარვარ, პატივს მცემსო! ახლა იურიმ მესამედ მოაგონა მას შუბლზე დასმული კობი. თავი ანება ღმერთმა თავლის კამას, სანთლის არაყის სმას; შეხედა გლეხს, ჩაფიქრდა და თქვა, კარგი, დაე, იცხოვროს. ხელს აღარ ვახლებო! გლეხმა კი უთხრა, დიდება შენ, ღმერთო! მე კი მალე ფეხებს გაქვიმავ. ფუჰად დაეხარჯე მთელი ჩემი ძალღონეო.

ასეთი ზღაპრები ბებიაჩემს სიცილს ჰკვრიდა, ხანდახან ხარხარიც აუტყდებოდა და გაიძახოდა:

— ოი, როგორ ტყუი, ენკა! განა ღმერთი ასეთია? ის ხომ გულკეთილია, შე ბრძიყვო!

განაწყენებული ძიძა კი ბუზღუნებდა:

— ეს ზღაპარია და არა ნამდვილი ამბავი. ასეთი ღმერთიც არის. თუნდაც პაპა ვასილის ღმერთი ავილოთ...

და ისინი მოჰყვებოდნენ კამათს. ეს ძალიან მწყინდა: ჩემთვის არც საინტერესო და არც გასაგები იყო დაეა იმაზე, თუ ვისი ღმერთია ნამდვილი; ბებიასა და ძიძას ვთხოვდი ემღერათ, მაგრამ დამიჯაჭლანებდნენ:

— თავი დაგვანებე! მოგვეშვი!

რვა წლის ასაკში მე უკვე ვიცნობდი სამ ღმერთს: პაპაჩემის ღმერთი მკაცრი იყო. იგი ჩემგან მოითხოვდა, უფროსებს დაუჭერე. მათი მორჩილი და გამგონე იყავიო. მე კი სწორედ ეს მაკლდა, და

თავისი ღმერთის ბრძანებით პაპაჩემი მონღოლებით მინერგავდა ამ თვისებებს; ბებიაჩემის ღმერთი გულკეთილი, მაგრამ უღონო, უვარგისი იყო; ძიძის ზღაპრების ბრიყვი და ქირვეული გამართობა ღმერთიც არ იწვევდა ჩემს სიმპათიებს, მაგრამ ყველაზე მეტად საინტერესო იყო. თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ დიდი სიხარული განვიცადე, როდესაც ღმერთზე ძიძის რამდენიმე ზღაპარი წავაკითხე რომანოვის „ბელორუსული ზღაპრების“ კრებულში. ძიძის ზღაპრების მიხედვით, დედამიწაზე ყველაფერი სულელურია, სასაცილოა, თაღლითურია, მოუწესრიგებელია; მოსამართლენი — მექრთამეებია, სიმართლით ისე ვაქრობენ, როგორც ხბოს ხორკით; თავადები და აზნაურება მკაცრი ადამიანებია, მაგრამ ასევე უპკუოები; ვაქრები ისე ხარბები არიან, რომ ზღაპარს თუ დაეუჭვრებთ, ერთმა ვაქარმა, რომელსაც ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი მანეთი და ათი შაური ჰქონდა, ნოღაელ თათრებს ათ შაურად მიჰყიდა და ცოლ-შვილი. თათრებმა ცოტა ხნით ხელში დააქერინეს ათშაურიანი, შემდეგ ცოლშვილიანად და თავის ათას მანეთიანად ტყვედ წაიყვანეს ყირიმში. ფეიქრობ, უკვე მაშინ ძიძის ზღაპრებმა და სიმღერებმა ბუნდოვნად მიმახვედრეს, რომ არსებობს ვიღაც, ასე ჩინებულად რომ ხედავდა და ხედავს ყოველივე სულელურს. ბოროტს, სასაცილოს; ეს ვიღაცა უცხოა ღმერთებისა, ეშმაკებისა, მეფეებისა და ხუცებისათვის; ეს ვიღაცა ძალიან ჰკვიანი და გამბედავია.

აღრე, ალბათ, რვა წლის ასაკში ვიგრძენი ამ ძალის არსებობა; ამ გრძნობას მინერგავდა ის მკვეთრი განსხვავება, რომელიც არსებობდა ზღაპრებს, სიმღერებსა და მკაცრ ცხოვრებას შორის; ეს ცხოვრება მამწყვდევედა, მახჩობდა, მაჩანჩალებდა, ყოველმხრივ მამცირებდა. ეს ძალა, რასაკვირველია, ძიძა ევგენიები როდია; მას ჩვენს სახლში ყველა „გასულელებულს“ ეძახდა, მისი ერთგული ჩეგობარი ბებიაჩემიც კი ხშირად ეტყოდა ხოლმე:

— ეხ, სულელი ხარ, ენკა!

ეს ძალა ზღაპრებისა და სიმღერების მიღმა იგრძნობოდა. ისინი კი ბებიაჩემმა უამრავი იცოდა. პაპაჩემს არ უყვარდა მისი სიმღერა.

— რას ყმუი! — გულმოსულად უყვიროდა იგი. — ერთი ლოცვაც არ იცი, შე სულელო, სიმღერები კი იმდენი იცი, რაც მაგ თავზე თმა გაყრია! შეგაჭრი მაგ თმებს და მაშინ ნახავ...

მაგრამ როცა იგი სადმე წავიდოდა ან სახელოსნოში მუშაობდა, ეზოში გამოსული ბებიაჩემი, განუწყვეტლივ რომ აჩხაკუნებდა საქსოვ ჩხირებს, უბრძანებდა ხოლმე ძიძას:

— აბა, ენკა, წამოიწყე.

და ძიძაც მწყემსის სალამურივით წვრილი ხმით შემოსძახებდა:

ჰოი, გაუდგნენ ჩვენი მატყლის მენტიანნი

ბებიაჩემი უფრო დაბალი ხმით მიაყოლებდა:

ავსაშოვარის შორეულ გზებს...

თითქმის ყველა სიმღერა მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ძიძის, ბებიაჩემისა და სხვების ნალაპარაკებს ჩვეულებრივი ცხოვრების თემებზე, — იმაზე, რომ სარდაფში მოთავსებული კარტოფილი ამოსვლას იწყებს; საჭიროა მისი გადარჩევა, ნაცრის ხელახლა შოყრა, რომ ვიღაცამ ბაბუაჩემს დაუვირავა ქაშმირის შალი და ვერცხლის კოვზები, რომ ცალთვალა მეაათე იაკოვლევს დედაჩემის შერთვა სურს, დედაჩემს კი არ უნდა მისი ცოლობა, თუშცა ცალთვალას სამი ათასი მანეთი აქვს ბანკში შენახული. — საერთოდ. ლაპარაკობდნენ მდიდარ, შეძლებულ ცხოვრებაზე. სიმღერებს კი მძიმე, დატაკურ, უსიხარულო ცხოვრებაზე მღეროდნენ. აქამდე ჩინებულად მახსოვს, როგორ ხმადაბლა, განსაკუთრებით ნაღვლიანად მღეროდნენ მოხუცები ბურლაკურ სეედიან სიმღერას:

ჰოი-ჰეი, ჰოი-ჰეი,

დაპქრის ქარი ზევით-ქვევით!

მოვლივა-ართ და გეშია ყველას,

სისხლი დაგვიდი-ის ფეხშიშველათ.

მიკოლა-ავ, შენ შეგვეწიე!

სალამომდი-ის მიგვაწიე!

ჰეი, გასწი და ჰოი გასწი!

ფეხი წა-ადგი, გაიქირვე,

თასმა მაგრა-ად მოიქირე!

ჰოი-ჰოი, ჰეი-ჰეი...

ეს ყმული მალიზიანებდა, ვლრიალეზი და ვთხოვდი მათ, აღარ ემღერათ ეს გაუთავებელი სიმღერა. ძიძა ჯავრობდა, მაწყნარებდა:

— რისა გეშინია. სულელო? მგლებზე ხომ არა ვმღერით.

— მოდი, უფრო მხიარული რამ ვიმღეროთ, — ამბობდა ბები-ჩემი. „უფრო მხიარული“ სიმღერაც არ მეჩვენებოდა მხიარულად:

აჩენდა შეილებს უსტიუშა — არას ფიქრობდა,

და როცა შეიდი შეილი შობა — მაშინ დაღონდა.

ვაიმე, ამდენს რა ვაკამო, თაეო საწყალო.

ვაიმე, ახლა ვით გავზარლო, როგორ ვასწავლო?

დასაწყისში სიმღერა თითქოს მხიარული ჩანდა, მაგრამ თანდათან სულ უფრო ნაღვლიანი და გულის წამლები ხდებოდა. მე, რა-

საკვირველია, მთლიანად აღარ მახსოვს ეს სიმღერები, მეხსიერებაში მხოლოდ ნაწყვეტები, ცალკეული სტრიქონები შემოჰჩა. თხუთმეტი წლისამ დავიწყე ისეთი სიმღერების ჩაწერა, ყველაზე მეტად რომ მომწონდა. მაგრამ ხეტიალში ხშირად ვკარგავდი ჩანაწერებს, ჩანაწერთა ორი რვეული კი, რომლებშიც ყაზანის, ვიატკისა და სხვა ბევრი სიმღერა იყო ჩაწერილი, დაჭერისას ჩამომართვეს ნიუეგოროდელმა ჟანდარმებმა და უკან აღარ დაუბრუნებიათ. ძალიან ხშირად მოხუცი ქალები მღეროდნენ ყაჩაღების მხიარულ სიმღერას. იგი მთლიანად აღარ მახსოვს, ხოლო რაც მეხსიერებაში ჩამრჩა. შესაძლოა: მთლად ზუსტი ვერ იყოს, მაგრამ სხვა სიმღერებზე მეტად იგი დამამახსოვრდა. ეს იმიტომ, რომ ბებიაჩემი, როცა ამ სიმღერას მღეროდა, ფეხს სასაცილოდ აბაკუნებდა, მარჯვედ აყოლებდა ხმას ჩხირების ჩხაკუნს:

ჰოი, ბიჭებო, საით წავიღეთ?  
ან სად ვაჩვენოთ ჩვენ სიჩაუქე?  
ყველა ქალაქში ვოევოლა ჴის,  
გლეხს ვოევოლად არავენ გახდის,  
ფარჩის ხიფთანებს არენ ჩააცმევს.  
ტრამალებში კი თათრები ძრწიან,  
თავის საკბილოს ალბათ უცდიან,  
ნოლაელებს კი ჩვენ ვერ გავწვდებით,  
ხელს გაგვისუამენ — ამოგეხოცავენ,  
ვინც გადარჩება, ტყვედ წაიყვანენ.  
სოფლად ცხოვრობენ სულ მათხოვრები,  
ვინც ჩვენ მამუბად თვით გვერგებთან.  
მოუქნევ თუ არ შენ ბოიარინს,  
წამსეე რატომღაც გლეხს მოახედრებ!  
ჰოი, ბიჭებო, მწარე დღე გვიღვას.  
სჯობს გადვიკარგოთ უღრან ტყეებში,  
გავინადიროთ ჩვენ შარა-გზებზე,  
ავუწვაეთ ვაპრებს ზერგს კისტანებო!  
რომ მოგვწყინდება — მოვინანიებთ,  
მონასტრის კედლებს შევეხიზნებით,  
ბერის ბარტყულებს წამოვინუტრავთ.  
დღე, ატამანი გახდეს მოძღვარი,  
იასაულმა სწიროს საყდარში, —  
ბერნი მონაზვნებს ვეტრფივლებით!

ყაჩაღები მიყვარდა; პაპაჩემი ისე ჩინებულად და ქებით ჰყეზობდა მათ ამბებს, რომ მეგონა: ალბათ ნანობს, რომ ყაჩაღად არ გავარდა და მთელ თავის ცხოვრებას მღებავობას ანდომებს. ერთხელ ვკითხე კიდევ: „ნანობ ხომ?“

— ყაჩაღებს სიკვდილით სჯიან, ამათრახებენ, — მიპასუხა მან,



მაგრამ ჩემთვის ეს დამაჯერებელი საბუთი არ იყო: მეც მწკეპლავდნენ ურჩობისათვის, ურჩობა კი ვერ მომამშლევინეს, და ვერა. პირაქით, მძიმე და ყოვლად მოსაწყენი ცხოვრება ურჩობისაქენ მიბიძგებდა. ზღაპრებისა და სიმღერების სასწაულები არც ყოველდღიურად და არცთუ ისე ხშირად ხლებოდა, სამაგიეროდ, ჩვენს გულნამცეცა, მაცდური და ფლიდი „აქი სულებით“ აღსავსე სახლში ყოველდღე სხვა სასწაულების მოწმენი ვიყავით.

სამზარეულოში, ღუმელს ქვეშ, ცხოვრობდა „პატრონი“, „სახლის სული“: ბებიჩემი გვეუბნებოდა, რომ იგი — პატარა, ბანჯგულიანი, მწვანეთვალეა არსებაა, ზღარბსა და კნუტს ჰგავს, მაგრამ ორფეხაა. დღისით წყნარად იჯდა, ღამით კი გამოდიოდა, დაბობტებდა ყველა ოთახში, დაფათურობდა სხვენზე, ერეკებოდა ვირთხებსა და თავგებს იატაკქვეშ და, ერთი სიტყვით, წვრილმანით ირთობდა თავს: ცეცხლის საჩხრეკი ისე ეჭირა ღუმელს ქვეშ, რომ უცბად ვერ გამოიღებდი, იატაკზე ფანტავდა სატაცებს, ამტვრევდა ქურქელს — ბზარავდა ქოთნებს, ღამბაქებს, თეფშებს; ხმაურით კრიჭინით, ტკაცატკუცით ავსებდა სახლს და საერთოდ, მცირედ, მაგრამ განუწყვეტლივ და მომბებზრებლად მაგნებლობდა.

მე მჯეროდა სახლის სულის არსებობა. ღამ-ღამობით გამეღვიძებოდა ხოლმე და გასუსული ვუგდებდი ყურს ყრუ ხმაურს; ველოდი, საცაა, სკივრზე შემობტება და შემიღიტინებს ან ცხვირს მომკენეტს, ყურს ამახევს. ფრიად არასასიამოვნო განცდაა ასეთი რამეების მოლოდინი და ერთ ხანს ბალიშის ქვეშ გირვანქიანი საწონიც კი მქონდა დამალული „პატრონისაგან“ თავის დასაცავად. მაგრამ ერთხელ დილით, როცა ჩაის ვსვამდით, სხვენზე რაღაც ჩამოვარდა, შემდეგ დარტყმა ისეე რამდენჯერმე განმეორდა. ვილაცამ დაიყვირა:

— ვაი, რა არის ეს?

პაპაჩემმა წარბები შეიკრა. პირვეარი გადაიწერა, აიღო რკინის არშინი და სხვენზე ავიდა, მას მიჰყვა ოსტატი გრიგოლი. შიში-საგან სულგანაბულნი მიჰყვნენ სხვებიც. პაპაჩემი ძალიან მალე დაბრუნდა და გულმოსულად თქვა:

— სახლის სული ანცობს, საკვამურიდან სამი აგური გამოუტეხია. კარგ რამეს არ უნდა მოასწავებდეს ეს.

ეს აგურები მე გამოვაძვრე. გამოვაძვრე კი, მაგრამ ძირს რომ არ ჩამოვარდნილიყო, პატარა ღვეუჭით დავამაგრე. იმ ხანებში მარხვა იყო, შინ ღვთისმოსავობით ჰამდნენ სამარხვო საჭმელებს — კამხპარი სოკოებისაგან შემზადებულ შჩის, ქუმელს. კომბოსტოს მწნილს. მე არ მომწონდა ეს საჭმელები. ვირთხასავით ვიპარავდი

ქათმის კვერცხებს და იმით ვიკვებებოდი. მაგრამ მოუხარშავე. კვერცხები უგემური იყო. გადავწყვიტე საკვამლე მილში პატარა ქურის მოწყობა, იმედი მქონდა, რომ იქ კვერცხებს შევწვავდი. მაგრამ „სახლის სულმა“ არ დამაცალა, გამოცდამდე დამინგრია. ამით თავი მოიკლა — მე უკვე აღარ მწამდა მისი არსებობა.

სახლის სული გაქრა, დარჩნენ ეშმაკები. ისინი ყველგან გაბოროტებით მოქმედებდნენ: იატაკქვეშ, სარდაფში, სხვენზე და სახლის ყველა ოთახში. ისინი ღვრიდნენ ბურახს, მწილის წვენიში, ახრჩობდნენ ვირთხებსა და თაგვებს, ადამიანებს ფეხებში აჩრიდნენ კატებს, იპარავდნენ და მალავდნენ სხვადასხვა პატარა საგნებს — მაკრატლებს, გასაღებებს, სათითურებს; უნდა გველო ოთახებში და შეხვეწნოდი:

„წათამაშე, ეშმაკო, და უკან დამიბრუნე!“

სახლის სასწაულების ეს ფანტასტიკა უინტერესო და უფერული იყო; იგი მალე მომბეზრდა. ეშმაკები მართობდა და მომწონდა მხოლოდ მაშინ, როცა მათზე ზღაპრებს მიაშობდა ბებიჩემი, მაგრამ მას შეეძლო ყველაფერი ისე ეამბნა, რომ მისი სიტყვები ყოველთვის აღძრავდნენ ფრთაშესხმული სიხარულის აქამდე დაუვიწყარ გრძნობას. მისი სიმღერებისა და ლექსების სასწაულები იმის სურვილს აღმიძრავდნენ, რომ თვითონ მომეხდინა სასწაულები. ძიძა ევგენიას ეშინოდა ეშმაკებისა და „უწმინდურებივით“ — ბაყაყებავითა და თაგვებივით — ეზიზღებოდა ისინი. პაპაჩემიც სიამოვნებით და გულაჩუყებითაც კი ჰყვებოდა წმინდანთა სასწაულების ამბავს; გვიამბობდა, თუ როგორ იჭერდნენ ისინი ხელსაბანში მიმალულ ეშმაკებს, ლაგამს ამოსდებდნენ მათ, მოასხდებოდნენ და მოსკოვიდან პალესტინაში, იერუსალიმში მიფრინავდნენ წირვის მოსასმენად; ამასთან, იქით-აქეთ მგზავრობას სულ რაღაც ერთი საათი დრო სჭირდებოდა.

/ || რა მომცეს სიმღერებმა და ზღაპრებმა? უკვე მოვიხსენიე, რომ ზღაპრებისა და სიმღერების მიღმა რომელიღაც ზღაპრულ არსებას ვხედავდი, რომელიც ყველა ამ ზღაპარსა და სიმღერას ჰქმნიდა. იგი არცთუ ისე ღონიერია, მაგრამ ჰკვიანი, ფხიზელი, გაბედული, ჭიუტია და თავისი სიჭიუტით ყველას ამარცხებს. არსება-მეთქი, ვამბობ, რადგან ზღაპრების გმირები, ერთიდან მეორეში რომ გადადიოდნენ და მეორედებოდნენ, ერთ სახედ, ერთ ფიგურად მესახებოდნენ.

ეს არსება სრულებით არ ჰგავდა ჩემს გარშემო მცხოვრებ ადამიანებს და, რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო მკვეთრად და ნათლად ვხედავდი განსხვავებას ზღაპარსა და გაუმადლარი, ხარბი,

შურიანი ადამიანების მოსაწყენ, სავალალო ყოველდღიურ ცხოვრებას შორის. ზღაპრებში ადამიანები „მფრინავი ხალიჩით“ დაფრინავდნენ პაერში, დადიოდნენ „მალემსრბოლი ჩექმებით“, უკვდავების წყლის დასხურებით აცოცხლებდნენ მკვდრებს. ერთ ღამეში აშენებდნენ სასახლეებს; საერთოდ, ზღაპრები სხვა სამყაროს გადამიშლიდნენ, სადაც რომელიღაც თავისუფალი, უშიშარი ძალა არსებობდა და მოქმედებდა უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად. თავისთავად ცხადია, რომ ზეპირი პოეზია იმ პერიოდის მშრომელი ხალხისა, როდესაც პოეტი და მშრომელი ერთ პიროვნებას წარმოადგენდა, წიგნური ლიტერატურის ფუძემდებელი ეს უკვდავი პოეზია ძალიან დამეხმარა ჩვენი ენის მომჭადოებელი სილამაზისა და სიმდიდრის გაცნობაში.

თორმეტი წლისა ვიყავი. როდესაც პაპაჩემს ვკითხე: რატომ სხედან ეშმაკები ხელსაბანებში? ეშმაკი ხომ თევზი არ არის, წყალში უოფნა გაუქირდება. თუ ეშმაკი უხილავია, როგორღა შეიძლება მისი დაქერა, რომ ზურგზე მოაჯღე და იმოგზაურო? ეს გაუგებარია ჩემთვის. ზღაპრებში კი ყველაფერი გასაგებია: იქ ხალიჩით ფრინავენ, მალემსრბოლი ჩექმებით დადიან...

— ბრიყვო, — ღიმილით მითხრა პაპაჩემმა, შემდეგ წარბები მოწყურა და დაუმატა: — რეგვენო!

მაგრად მითავაზა კეთაში და ოთახიდან გამავლო. ამ დროს მე უკვე გამოვდიოდი „ხალხში“, რამდენიმე ხანს „ხელზე მოსამსახურედ“ ვიყავი ფენსაცმლის მაღაზიაში; ცხელი შჩით დამდუღრული ხელები მიჩჩებოდა, ბეზიაჩემმა ჩერებით შემიხვია და ახლა აუტანლად მექავებოდა.

მახსოვს წინა ოთახში გავედი და ეზოდან შემოსასვლელ კარებში ჩაედექი. გზა კოკისპირულმა წვიმამ გადამილობა; ღვარ-ღვარად მოდიოდა, თანაც ყმუოდა, უსტვენდა. მეც მომინდა მგელივით ყმული. შეხვეული ხელები წვიმას შევეუშვირე, ქაელიც დამიცხრა და წყენაც. შეიძლება ამ დღიდან დამეკარგა პაპაჩემის პატივისცემა და წმინდანთა სასწაულებისადმი ყოველგვარი ინტერესი. ზღაპრების გმირები კიდევ უფრო მეტად შევიყვარე. მოგვიანებით, როცა ყურადღებით წავიკითხე სასულიერო ლიტერატურა — „წმინდანთა ცხოვრება“, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეკლესიის მიერ მოთხრობილი სასწაულები ძველი ბრძნული ზღაპრებიდან არის ნასესხები; როგორც ხედავთ, აქაც, — როგორც ყველგან და ყველაფერში, — ეკლესიის მსახურნი მშრომელი ხალხის ჯანსაღი, გონების გამომათხიზლებელი შემოქმედებითი ძალის ხარჯზე ცხოვრობდნენ.

## ფორმალისმის შესახებ

კლასობრივი, იერარქიული წყობილების ქვეყნებში მძვინვარებს ფაშიზმი, მისი არსით, ყველაზე უფრო საზიზღარი არამზადებისა და სალახანების ორგანიზაცია, რათა დაიმონოს ყველა დანარჩენი ადამიანი, კაპიტალისტების შინაურ ცხოველებად აქციოს ისინი.

კლასობრივი სტრუქტურის ქვეყნებში ძალაუფლება ხელთ უპყრიათ ზემოხსენებულ არამზადებსა და სალახანებს. ისინი მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ გაათართონ და განამტკიცონ ურცხვი და აშკარა დესპოტიზმი, უმაგალითო არაადამიანური მონობის უღელი დაადგან მშრომელ ხალხს. ტერმინებს „არამზადებსა“ და „სალახანებს“ მხოლოდ იმიტომ ვხმარობ, რომ უფრო ძლიერი ტერმინები ვერ მიპოვნია.

დაახლოებით 500 წელს ქადაგებდა ბურჟუაზია ჰუმანიზმს, ლაპარაკობდა და წერდა — აუცილებელია ადამიანებს ჩაეუნერგოთ კეთილი გრძნობები: მოთმინება, თვინიერება, მოყვასის სიყვარული და ა. შ. ახლა მთელი ეს პირის ჩასატკბარუნებელი სავსებით გამოვიდა ხმარებიდან; იგი დაწუნებულია და შეეცვლილია ჭიუტთა მორჩულების ყველაზე უფრო უბრალო ფორმით: ჭიუტებს ნაჭახით კრიან თავებს. ეს, რასაკვირველია, ყველაზე უკეთესი ფორმაა იმისა, რომ ადამიანს პატიოსნად აზროვნების უნარი წაართვა.

ეგრეთ წოდებული საერთაშორისო სამართალი, რომელიც საექვოა, ოდესმე არსებულყო, ახლა სავსებით მოსპობილია. იტალიის ფაშიზმი არაადამიანური მოქმედების რეკორდებს ამყარებს; იგი ბომბებით ანგრევს „წითელი ჯვრის“ ლაზარეთებს, ხოცავს დაჭრილებს, სპობს სამედიცინო პერსონალს, გაზით ახრჩობს მშვიდობიან მოსახლეობას, შხამებით წაშლავს პირუტყვს, ნიადაგს, წყალს, მცენარეულობას. გერმანული ფაშიზმიც გულმოდგინედ ემზადება ასე—

თივე რადიკალური მოქმედებისათვის; ამბობენ, მან ისეთი შხამი გამოიგონა, რომლის ძალაც რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედებსო. ესე იგი, ამ შხამით მოწამლული მიწა მოსაველს აღარ იძლევა ხუთი წლის განმავლობაში. ეს კი შიმშილით სრულ ამოწყვეტას უქადის მოსახლეობას. მალთუხები, მალთუხიანელები და უელსები კმაყოფილი უნდა იყვნენ: ნაპოვნია მოსახლეობის შემცირების ადვილი საშუალება. ზოგიერთი რასისა და ტომის სრული განადგურების აუცილებლობაზე ჭერ კიდევ არ ლაპარაკობენ, მაგრამ ამ გოჟური მიზნისათვის უკვე აკეთებენ ზოგიერთ რაღაცას.

ძალიან კარგია, ადამიანს ისეთი ჭეშმარიტება გააჩნდეს, მის მოქმედებას რომ გაამართლებდა. ამ მხრივ მეტად ხელსაყრელია ღვთის რწმენა, რადგან ქრისტიანული ეკლესია გვასწავლის: ღმერთი არის ერთიანი ჭეშმარიტება უუნიითი უუუნისამდე; მასშია მთელი ძალა და სიბრძნე; თუ არ არს ნება მისი, ღერი თმაც არ მოსწყდება კაცის თავს. მაშასადამე: რაც არ უნდა მოვიმოქმედო — ეს ღვთის, ჩემი სულის მმართველის, ნება იქნება, მე კი არა შეკითხება რა; მაშინაც კი არ ვაგებ პასუხს, როდესაც ჩემს წინაშე, თმას კი არა, მასთან ერთად თავსაც ნაჭახით წააცლიან ადამიანს, თუნდაც იმიტომ, რომ კაცი ესე აზროვნებს არა იმგვარად, როგორც ვაზროვნებ მე. შემოძლია მშვიდად და არხეინად ვიცხოვრო, საშუალო ღირსების ლექსები და რომანები ვწერო. ამ საქმისაგან თავისუფალ დროს ვიმსჯელო ფორმის მნიშვნელობაზე, ფორმალისმზე და ამ სხვა საკითხებზე, რომელთაც ერთგვარი დამოკიდებულება აქვთ ჩემს, ესე იგი, მთხზველის, პროფესიასთან.

ფორმის საკითხი ძველი საკითხია. იგი არა მარტო ლიტერატორებს აინტერესებთ. გერმანელმა ფაშისტებმა, რომელთაც სურთ გამოკლენის სრულიად ახალი ფორმა მოუწახონ სადიზმს, უარყვეს რევოლუციური გილიოტინა, ყასბის ნაჭახით შეცვალეს იგი. ყველაფერი ამ ქვეყანაზე ასე თუ ისე გაფორმებულია ან ფორმდება.

ამას ჭერ კიდევ იდეალიზმის ფილოსოფიის ფუძემდებელმა მოხუცმა პლატონმა მიაქცია ყურადღება, რომელიც ჩვენს ერამდე, დაახლოებით, 2366 წლის წინათ ცხოვრობდა. როგორც ცნობილია, იგი გვასწავლის, რომ ფორმა ერთადერთი და მოქმედი ძალაა; რომ რეალურად მხოლოდ იგი არსებობს; ყველა რეალობა — ბუნების მოვლენები, ადამიანის შრომით შექმნილი საგნები და, საერთოდ, მთელი

ატერია მხოლოდ ფორმის შევსებას ემსახურება. მაშასადამე, პლატონის მიხედვით, ფორმა არის ყოველივე არსებულის სრულყოფილი იდეა; ფორმის იდეა რომ არაა, არც არაფერი იქნებოდა; სამყაროში უხილავად და შეუგრძნობლად იმოდრავებდნენ მხოლოდ პლანეტების, მზეთა, ღრუბელთა, არწივთა იდეები. ბაღლინჯოები, ხოქოები და საერთოდ პარაზიტები არ იქნებოდნენ, რადგანაც მათი დაუდევარი კულტივატორი — ადამიანი — ასევე შეუგრძნობელი და უხილავი იქნებოდა. არსებობს ლიტერატორი, მაგრამ მას ხელით ვერ შეეხები რა თქმა უნდა, ეს ძალიან მოსახერხებელია მისთვის.

იდეალისტურ მსოფლშეგრძნებას ყველა როდი ითვისებს ადვილად. ფორმის მნიშვნელობაზე ამიტომ დაობენ ორი ათას სამას სამოცდაექვსი წელიწადია, თვით 1936 წლის მარტამდე. ლიტერატურაში ფორმის საკითხი ესთეტიკის, მშვენიერების საკითხია. ჰეგელისათვის, ისევე როგორც პლატონისათვის მშვენიერება იდეების გამოხატულებაა. სამართლის დარგში ფორმალიზმი იმით არის გამოხატული, რომ კანონის სიტყვასიტყვით დაცვას უპირატესობა ენიჭება. ესთეტიკაში — ფორმალისტები ამტკიცებენ, რომ მშვენიერება უდრის და გამოიხატება ბგერათა, საღებავთა, ხაზების ჰარმონიული შეხამებით, ისინი სასიამოვნოა მხედველობისა და სმენისათვის თავისთავად, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა გამოიხატება მათი საშუალებით.

ხაზთა შეთავსება არქიტექტურაში, ხაზების შესიტყვება ჩუქურთმაში, საღებავთა შეხამება ჩვენი ტანსაცმლის ქსოვილში, ჭურჭლისა და საოჯახო მოხმარების სხვადასხვა საგანთა აღნაგობა, მოხდენილობა, მოხერხებულობა, ხანდახან ისევე საუცხოო და მშვენიერია, როგორც მელოდია მუსიკაში. ლიტერატურაში ზედმეტი ორნამენტულობა და დეტალიზაცია გარდუვალად იწვევენ ფაქტებისა და სახეების გაბუნდოვნებას. ვისაც სურს ამაში დარწმუნდეს, მან ერთდროულად უნდა წაიკითხოს ეკლეზიასტის, შექსპირის, პუშკინის, ტოლსტოის, ფლობერის ქმნილებანი და მარსელ პრუსტის, ჯოინის, დოს-პასოსის და სხვადასხვა ჯურის ჰემინგუეების ნაწარმოებნი.

ფორმალიზმი, როგორც „მანერა“, როგორც „ლიტერატურული ხერხი“, უფრო ხშირად სულის სიციარიელის ან სილატაკის შენიღბვის საშუალებაა. კაცს სურს ელაპარაკოს ადამიანებს, მაგრამ სათქმელი არაფერი აქვს და მომქანცველად, გაჭიანურებულად, თუმცა ხანდახან ლამაზი, მარჯვედ შერჩეული სიტყვებით, იგი ლაპარაკობს ყველაფერზე; რასაც ხედავს, მაგრამ რისი გაგებაც კი არ შეუძლია, არ სურს ან მის არსში გარკვევისა ეშინია. ფორმალიზმს იყენებენ უბრა-

ლო, ნათელი, ხოლო ხანდახან უხეში სიტყვებისადმი შიშით, იმის გამო, რომ გაურბიან ამ სიტყვისათვის პასუხისმგებლობას. ზოგიერთი ავტორი ფორმალისმის საშუალებით ისეთ საბურველში ახვევს თავის აზრს, რომ უცბად ვერ გაიგოთ მისი მახინჯი, მტრული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მისი განზრახვა — დაამახინჯოს ფაქტებისა და მოვლენების აზრი. მაგრამ ეს უკვე არა სიტყვის, არამედ ყალბბანდობის ხელოვნებაა.

დავა ყოველთვის უნდა დავიწყოთ იმ ცნების ან საგნის ზუსტი განსაზღვრით, რომელზეც ვდავობთ. ზუსტი განსაზღვრებანი ძლიერ ძნელი საქმეა, თუ ამ განსაზღვრებებს მათი ისტორიული განვითარების თვალსაზრისით არ შევხედავთ. ისტორია ერთადერთი საჩუქეა, რამდენადმე რომ ეხმარება ადამიანს იმაში, რომ შორიდან, იმ ადგილიდან დაინახოს საკუთარი თავი, როდესაც მას ხილული და ზელშესახები კუდი ჰქონდა, ხოლო ახლა ალბათ თავის ქალის კეფის ნაწილში უხილავად გამობმია რაღაც ასეთივე კუდი, ეკლესიამ და მამულმა, ესე იგი კლასმა რომ უბოძა. შორეულ წარსულში, როდესაც ადამიანმა აზროვნება დაიწყო, იგი ტექნოლოგიურად აზროვნებდა, ესე იგი, მხოლოდ და მხოლოდ თავის შრომით გამოცდილებას ეყრდნობოდა. ტექნოლოგია ეს არის ადამიანთა შრომითი მოღვაწეობით შექმნილი ფაქტების ლოგიკა, იდეოლოგია იდეების ლოგიკაა, ესე იგი, ფაქტებიდან გამოტანილი აზრების ლოგიკა, აზრებისა, რომლებიც წინასწარ მიუთითებენ ახალი ფაქტების შემოქმედების ხერხებისა და ფორმების გზებს. აზროვნება დიალექტიკური იყო თავის თვით დასაწყისში და არ შეიძლებოდა მატერიალისტური არ ყოფილიყო. ადამიანები პეშვით სვამდნენ წყალს, ეს მოუხერხებელი იყო. და მათ გააკეთეს მერქნის, ხის, თიხის, ლითონის, შუშის ჭამები. ცა მას შემდეგ მიამსგავსეს თასს, რაც დედამიწაზე თასი დაამზადეს. არ შეიძლება დავასახელოთ არც ერთი განყენებული ცნება, რომლის საფუძველიც რეალობა არ იყოს.

იდეოლოგიური აზროვნება იმიტომ მოწყდა ტექნოლოგიურს, რომ შრომას წაართვეს აზროვნების უფლება. ამით დაირღვა, დამახინჯდა მშრომელი კაცობრიობის დიალექტიკური აზროვნების პროცესი. შეიქმნა რელიგიურ-მორალური იდეები. მათი მიზანია ადამიანთა დაშინება, მათი დაქვემდებარება იმ იდეებისადმი, რომელთაც თითქმის საერთო არაფერი აქვთ შრომითს ცხოველმომქმედებასთან. იმ იდეებს, რომელთა ნიადაგს კვლავ შრომა წარმოადგენდა, უნდა მიეღოთ — და მიიღეს კიდევ — ზღაპრული, ფანტასტიკური ხასი-

ათი, მაგრამ მაინც შრომითი ღარჩნენ, მაინც შრომის ძლევამოსილების რწმენისაგან გამომდინარეობდნენ. მე მხედველობაში მჭკვს იდეები: პაერის დაპყრობა, ნივთიერებათა გარდაქმნა, სივრცეებში მოძრაობის დაჩქარება, მდინარეების ძალის დამორჩილება, ცოცხალი და მკვდარი წყლის იდეა და ა. შ. ფილოსოფია არ დაინტერესებულა ფოლკლორის ამ იდეებით. მე ძალიან ხშირად და ბევრს ეწე-რდი ამ თემაზე და ზედმეტად მიმაჩნია რამდენიმეჯერ ნათქვამის განმეორება.

კამათს ფორმალიზმის თაობაზე, რასაკვირველია, მივესალმები. ლიტერატორთა ყრილობის შემდეგ ცხრამეტი თვე გავიდა და უკვე კარგა ხანია საჭირო იყო რამეზე დაეა. მაგრამ მგონია, რომ ფორმა-ლიზმს ძალიან სწრაფად გაუსწორეს ანგარიში. და რამდენადაც ეს კამათი კავშირის შიგნით კი არ წამოჭრილა, არამედ გარედან არის ნაკარნახევი, იბადება ეჭვი: ხომ არ შემოიფარგლენ ამ საქმეში მარ-ტო სიტყვით? ვფიქრობ, შეიძლება ფორმალიზმის გამო კამათის გაღრმავება და გაფართოება, მასში ჩვენი ყოფაქცევის ფორმების თემის შეტანაც, რადგან ჩვენს ყოფაქცევაში ბევრი უცნაურობა შეიმჩნევა.

მაგალითად, საზღვარგარეთის ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელსაც ესმის ფაშიზმის სისაძაგლე და ხედავს, რომ საბჭოთა კავ-შირის პროლეტარიატი წარმატებით აკეთებს უდავო ინტერნაციონა-ლური მნიშვნელობის საქმეს, რწმუნდება კლასობრივი ბრძოლის სარგებლიანობასა და აუცილებლობაში და თანამშრომლობას იწ-ყებს თავისი ქვეყნის პროლეტარიატთან. როგორ ვენმაურებით ამას ჩვენ, საბჭოების კავშირის ლიტერატორები? რა აზრებს ალგვი-ძრავს ეს მოვლენა, რას ვამბობთ ამაზე ჩვენს ლექსებსა და პრო-ზაში?

ჩვენი ლიტერატურის რომელიდაც, ძალიან მცირე ნაწილი უკვე გახდა ინტერნაციონალური. დროა გავფიქროთ. რომ ეს მისი გზა, მისი დანიშნულებაა. ჩვენს წიგნებს მოელოან, მოელოან მეტად რეალის-ტურ წიგნებს, მაგრამ ისეთებს, განათებული და გამთბარი რომ იქ-ნება იმ გმირული შრომის პათოსით, ჩვენს სინამდვილეს რომ აღავ-სებს.

აქედან სავსებით ნათელია — ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ მუ-დამ გვახსოვდეს ჩვენი ხალხის შრომითი მოღვაწეობის ინტერნაცი-ონალური არსი; რაც შეიძლება ზუსტი წარმოდგენა შევუქმნათ საზ-ღვარგარეთელ პროლეტარიატს ჩვენი პროლეტარიატის გმირობაზე. რატომ დუმს ასე თავმდაბლად ან ამაყად ჩვენი ლიტერატურა,



როდესაც ისმენს, ეცნობა ფაშიზმის საზიზღრობას? რატომ არ ვამ-  
ულავენებთ მრისხანებას, როცა ვკითხულობთ, თუ როგორ უშენენ  
ბომბებს იტალიელი მფრინავები „წითელი ჯერის“ კოსპიტლებს,  
ჰკლავენ დაჭრილ აბიზინიელებს, ხოცავენ ექიმებს, ქალებს, ბავშ-  
ვებს, წამლავენ წყალს, მიწას, პირუტყვს, მცენარეულობას? განა  
ჩვენი ლიტერატორების მთელი ყურადღება ისეა მიპყრობილი მათი  
ქვეყნის სინამდვილისადმი, რომ დრო აღარ რჩებათ და ძალა აღარ  
შესწევთ საზღვარგარეთული საპყაროს ცხოვრებაშიც გაერკვნენ?

თუმცა ჩვენში წიგნებს წერენ ისევე სწრაფად, როგორც დაუდე-  
ვრად, მაგრამ მაინც ყრუობის შემდეგ გასული ცხრამეტი თვის  
განმავლობაში მწერალთა კავშირის 3000-მა წევრმა ძალიან ცოტა  
შემოქმედებითი პროდუქცია მოგვცა. კიდევ არა უშავს რა, თუ ეს  
სიმძლავრე გულდასმითი მუშაობით არის გამოწვეული.

საჭიროა სერიოზული ლაპარაკი იმაზე, თუ რა და როგორი ფორ-  
მით შეგვიძლია მივაწოდოთ საზღვარგარეთელ მკითხველს. სერი-  
ოზულად უნდა ვიფიქროთ აგრეთვე „თავდაცვითი“ ლიტერატურის  
შექმნის აუცილებლობაზე, რადგან ფაშიზმი გულმოდგინედ ილ-  
სავს კბილებსა და კლანჭებს ჩვენს წინააღმდეგ; იტალიელი ფაშის-  
ტების მიერ აბიზინიელთა საყოველთაო ამოწყვეტა გერმანელი ფა-  
შისტები, ცხადია, ისე განიხილავენ, როგორც საპყოთა კავშირის  
პროლეტარებისა და კოლმეურნეების გაააყლეთაუ ნავარაუდები  
„ხმლის გამოცდას“.

აქ მართებული იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ გერმანელმა ლი-  
ტერატორებმა — ლ. ფოიბტვანგერმა, ა. ლებლინმა და ბევრმა  
სხვამ — უკვე გამონახეს დრო ფაშიზმის სისაძაგლეთა სათანადოდ  
დახატვისა და მხილებისათვის. ჩვენში კი თვრამეტი წლის მანძილზე  
კიდევ არ შექმნილა არც ერთი წიგნი, რომელიც იმ ძალითა და სიმ-  
შვენიერით ასახავდეს ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის გრანდიოზულ  
პროცესს, რაც მას შეაქვს მსოფლიოს ცხოვრებაში. ჩვენგან მსოფ-  
ლიო სწორედ ასეთ წიგნებს მოელის და ჩვენ უნდა მივცეთ მას ისი-  
ნი, მაგრამ ჯერ ვერ ვაძლევთ. რატომ? მე მგონია, იმიტომ, რომ რო-  
გორც ერთმა ლიტერატორმა მარტში გამართულ კრებაზე განაცხა-  
და, „ჩვენს შორის საშინელი გათიშულობაა, ჩვენში მეფობს ერთ-  
მანეთისაგან განცალკევებულობა“. მეორე ლიტერატორმა კი მიუთი-  
თა, რომ „ავტორს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა“.

აუცილებელია ჩვენს წრეში დავნერგოთ კოლექტიური, კოლექ-  
ტიური პასუხისმგებლობის გრძნობა მკითხველისა და ლიტერატუ-  
რის წინაშე. მაგრამ ეს გრძნობა შეუძლებელია გავიციდეს „გათი-  
შულობისა“ და „განცალკევებულობის“ პირობებში. თუ მწერლები

ფსიქოლოგიურად ისე გაეთიშებიან ერთმანეთს, როგორც „ერთი-მეორისაგან“ ფიზიკურად გათიშულნი არიან მაჩვენებელი და რვაფეხები, რასაკვირველია, ეს ხელს ვერ შეუწყობს ლიტერატორთა მიერ მათი მუშაობის არსის შეგნებისა და ქვეყნის წინაშე კოლექტიური პასუხისმგებლობის გაზრდის გაძლიერებას.

წარსულში ლიტერატორი თავის ლოზუნგად, თავისი „ცხოვრების წესად“ აცხადებდა: „შენ მეფე ხარ და იცხოვრე მარტო!“ იგი ასე უნდა მოქცეულიყო, რადგანაც მისადმი მტრულად განწყობილ წრეში, კლასობრივ საზოგადოებაში ცხოვრობდა. ეს საზოგადოება ვერ იტანდა თავისი უგუნური, პარაზიტული ცხოვრების მხილებას. მაგრამ თვით ალექსანდრე პუშკინიც კი — ეს გენიოსი, რომლის ბადალიც არ ყოფილა და არ არის — ცდილობდა თავის გარშემო შეექმნა კოლექტივი და ემყარებოდა პირადი მეგობრობის გრძნობას.

ცხრამეტი თვის წინათ ჩვენმა ქვეყანამ მისი ახალგაზრდობის სახით — კომკავშირის, მუშებისა და კოლმეურნეების სახით, — უჩვენა ევროპის მწერლებს, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არასოდეს და არსად ასე ძლიერ არ აფასებდნენ ლიტერატურას, როგორც საბჭოთა კავშირში; რომ ჯერ კიდევ არასოდეს არ ესმოდათ ასე ნათლად ხელოვნების ისტორიული, კულტურული როლი.

კაცმა რომ თქვას, მშრომელი ხალხის ასეთმა შესანიშნავმა და, მოკიდებულებამ ლიტერატურისადმი უნდა გააერთიანოს ლიტერატორები, აღძრას მათში სწორედ პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნის წინაშე, უნდა აიძულოს ისინი იზრუნონ თვითგანათლებისათვის, მათი პერსონალური კულტურულობის განვითარებისათვის. მაგრამ მოსკოვის მართის საუბრების სტენოგრაფიას რომ კითხულობ, ღრმა მწუხარებით ხედავ, თუ რა სუსტად იცის საბჭოთა ლიტერატორმა თავისი საქმე, როგორ ცუდად იცნობს იგი ლიტერატურულ „მიმდინარეობათა“, მოდების, გატაცებათა და სხვა თვალთმაქცობათა ისტორიას, რომელთაც წარმოშობს ან იმის უღონობის შეცნობა, რომ სინამდვილე აისახოს დრამისა და ტრაგიკომედიის სახეებში, ან მანიაკური თამაში სიტყვებით, ან კიდევ — მიმიკრია, იმის უნარი, რომ გარემომცველ სინამდვილეს ფერით შეეხამოს. ჩვენი მწერლების ისტორიულ-კულტურული მცირემცოდნეობა ტექნიკურ მცირემცოდნეობასთან ერთად, ჩვენს პირობებში საფრთხეს უქმნის მათ. როგორც ბიბლიოთეკების ცნობები ადასტურებენ, რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფოებრივ ბევრ წიგნს უკვე აღარ კითხულობს ახალი მკითხველი. სავსებით ბუნებრივი იქნება, თუ თვით ის ავტორები, რომლებიც სავსებით დარწმუნებულნი არიან თავი-

ანთს გენიალობაში, მალე ახალგაზრდობის გულწრფელ სიცილს გამოიწვევენ. ამას წინათ ერთმა ასეთმა ავტორმა თავის ინტერვიუში განაცხადა: „მე მაინტერესებს ანტიკური აპოკრიფების საკითხი. გადავიკითხე ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, პლაეტი. ვფიქრობ, ყოველივე ეს დაწერილია გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ. აიღეთ, მაგალითად, არისტოტელე. მასში გამოხატულია მთელი შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკა...“

მწერალმა ეს სიბრძნე ერთი მანიაკისა და უკვე თითქმის გრაფომანის სასაცილო ლაუბობიდან ამოკრიფა. საერთოდ, მთელი ინტერვიუ უპასუხისმგებლო და ტრაბახა აბდაუბდაა. კიდევ კარგი, რომ ინტერვიუ დაბეჭდილია ყურნალში, რომელსაც, ალბათ, არავინ კითხულობს.

მაგრამ ძალიან სიამოვნებითა და ლაქლაქით რომ გამოთქვამენ თავიანთ ზრახვებს, ჩვენი მწერლები ხშირად ისეთ სამარცხვინო აბდაუბდას ბეჭდავენ, რომ მას სავსებით შეუძლია სახელი გაუტეხოს ჩვენს ლიტერატურას დასავლელი მწერლების თვალში — ისტორიის მცოდნე და ტექნიკურად დახელოვნებული ამ ადამიანების თვალში.

დიდ მასალაზე კოლექტიური მუშაობა სემინარების მაგივრობას გაუწევდა ჩვენს მწერლებს და ჩინებულად დაეხმარებოდა მათ წარსულისა და აწმყოს ცოდნის შეძენაში. მაგრამ წიგნზე — „ორი ხუთწლელი“ — მუშაობამ, იმ ქვეყნის ოცი წლის გმირობის მხატვრულ ანგარიშზე მუშაობამ, საღაც შენდება ახალი ცხოვრება, ვერაფერი სარგებელი მოუტანა ლიტერატორებს. ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურის ისტორია, არა გვაქვს ქალაქის კულტურის ისტორია, და საერთოდ, ძალიან ბევრი რამ გვაკლია.

ამ დღეებში გაიხსნება კომკავშირის — პარტიის რეზერვის — ყრილობა. ჩვენი გაბედული, შემმართებელი, გმირი ახალგაზრდობა ალბათ არ დაივიწყებს თანამედროვე ლიტერატურას, თავის სიტყვას იტყვის მასზე. თუ ეს სიტყვა მოაგონებს ლიტერატორებს, ვინ არიან ისინი და რას მოელოან მათგან, — ეს სავსებით შესაფერისი სიტყვა იქნება. მე მგონია, მას შეუძლია სხვა, უფრო აქტიური, განწყობილების გამომწვევა ძალის როლი შეასრულოს ჩვენს ლიტერატურაში.

## მ. ი. ღანკოს

„ფაიფურის ქარხნის ისტორია“ თქვენ ვინოგრაფიის ბიოგრაფიად აქციეთ. ამ სახით — თუ შეამცირებთ მასის ძიებისა და წრთობის საშუალებათა ტექნიკურ აღწერას, და ვინოგრაფიის ფიგურასაც საღებავებს მიუმატებთ — თქვენი წიგნი კარგი იქნებოდა „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების“ სერიისათვის.

„ქარხნის ისტორია“ კი ვერ გამოგივიდათ, — ქარხანაზე, მის მუშებზე ძალიან ცოტას და თანაც მშრალად მოგვითხრობთ. ვფიქრობ, ამ სახითაც იგი საინტერესო იქნება იმ ადამიანებისათვის, მხატვრული მრეწველობის და — სხვათა შორის — ფაიფურის წარმოების ზრდას რომ სწავლობენ. მაგრამ ამ ადამიანებსაც უფლება აქვთ იმაზე მეტი მოგთხვონ, რასაც თქვენ იძლევით, — ამის განცხადების უფლებას მაძლევს თქვენს მიერ ნაჩვენები, მაგრამ ცუდად დამუშავებული მასალა. თქვენ თვითონაც ხვდებით, რომ ხელნაწერს „დამუშავება აკლია“.

მამასადამე, საჭიროა დაამუშაოთ; ამას მეც გირჩევთ. კარგი წიგნი უნდა გააკეთოთ. ამისათვის საჭიროა მეტი ფაქტები, მათი დრამატიზება; უნდა დაიწყოთ ზორბა დედაკაცის ელისაბედის მეფობის ეპოქის აღწერით — მასზე კარგად მოგვითხრობს საფრანგეთის ელჩი შეტარდი, ვინც იგი რუსეთის სახელმწიფოს ტახტზე დასვა.

არ არის სწორი, ვითომ თქვენ „მთელი ძალ-ღონე, მთელი გონება მოახმარეთ, რომ კარგი წიგნი დაგეწერათ“. თქვენ ძალიან კარგი საბავშვო წიგნი დაწერეთ; ესეც იმგვარად უნდა გააკეთოთ.

მ. გორკი

შენი ნიშნები

ამ წიგნში მოთავსებული წერილები თარგმნილია კრებულიდან «М. Горький. О детской литературе» (დეტგოზი, 1958 წ. მე-2 გამოცემა) და მაქსიმ გორკის თხზულებათა ოცდაათომეულის 23-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე ტომებიდან («ხულოქესტვენაია ლიტერატურა». 1953 წ.)-

**აღექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი, ფსევდონიმი მაქსიმ გორკი**

გვ. 7

მაქსიმ გორკის ეს ავტობიოგრაფია დაუწერია 1897 წელს ლიტერატურის-  
ოღნე და ბიბლიოგრაფის ს. ა. ვენგეროვის თხოვნით. პირველად დაიბეჭდა  
14 წელს წიგნში „XX საუკუნის რუსული ლიტერატურა“.

ქართულად ითარგმნა მაქსიმ გორკის თბზულებათა 23-ე ტომიდან.  
დაეიბაღე 1869 წლის 14 მარტს... დოკუმენტებით დად-  
ნილია, რომ მაქსიმ გორკი დაიბადა 1868 წლის 16 (28) მარტს.

**ბიბლიოგრაფიული შენიშვნა**

გვ. 11

პირველად გამოქვეყნდა 1899 წელს გაზეთ „ნიუეგოროდსკი ლისტოკში“.  
რთულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**დ. გ. აღექსევიის გამოცემები**

გვ. 13

გამოქვეყნდა 1900 წელს გაზეთ „ნიუეგოროდსკი ლისტოკში“ 1900 წელს,  
36 წელს — „ლიტერატურნი კრიტიკში“. ქართულად ითარგმნა კრებულიდან  
„საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**ცხოვრების ზღაპარი**

გვ. 14

ეს ღია წერილი მაქსიმ გორკიმ გაუგზავნა ოქაბერი აღზრდისადმი მიძღვნაღ  
სამე საერთაშორისო კონგრესს ბრიუსელში 1910 წელს. ქართულად ითარგმნა  
ეზუღლიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

სიტყვა „სოციალური აღზრდის ღივის“ საჩარო სხღომაზე  
1917 წ. 25 ივნისს

გვ. 18

„სოციალური აღზრდის ღივა“ მაქსიმ გორკის ცნიციადივით ჩამოყალიბდა.  
იგა მიზნად ისახავდა, დაედგინა, როგორი სახის იქნებოდა ახალი სოციალური  
ოღლა, როგორ იმეშაეებღა იგი.

ეს სიტყვა პირველად გამოქვეყნდა 1917 წელს ლიტერატურულ, მეცნიერულ  
5. მ. გორკი 385

და პოლიტიკურ ეურნალ „ლეტოპისში“. ქართულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

სტანისლავ თეოფაღუს ძე შაკუი (1878—1934) — რუსი პედაგოგი, სახალხო განათლების აქტიური საზოგადო მოღვაწე.

### წერილები რომენ როლანს

გვ. 29

მაქსიმ გორკიმ ჭერ კიდევ იმპერიალისტური ომის დროს გადაწყვიტა, მწერლებისა და მეცნიერების დახმარებით გამოეცა წიგნები გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაზე. ამ საკითხზე ის მოელაპარაკა რომენ როლანს, კლიმენტ ტიმიჩიანოვი, ფრიტიოფ ნანსენს და სხვებს. ეს იდეა რევოლუციის შემდეგ განხორციელდა და შეიქმნა სერია „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“. მაქსიმ გორკიმ შესთავაზა რომენ როლანს, დაეწერა ბავშვებისათვის ბეთოვენის ბიოგრაფია, რადგან როლანს მიღებული ჰქონდა საგანგებო მუსიკალური განათლება, კითხულობდა მუსიკის ისტორიას სორბონში, დაწერა რამდენიმე წიგნი ბეთოვენზე. წიგნებში ხაზს უსვამდა ბეთოვენის რევოლუციურობას, გმირობას, მაღალიდურობას, მამაცობასა და ღრმა ადამიანურობას. თანაც „ქან ქრისტოფში“ კარგად ჩანდა როლანის მიერ ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა.

რომენ როლანმა მიიღო წინადადება, დაეწერა ბავშვებისათვის ბეთოვენის ბიოგრაფია და მაქსიმ გორკის სთხოვა, შემატყობინე, რამდენი თაბახი და რა სახით (საუბარი თუ მოთხრობა) დაეწერათ. თან ურჩია, ვისი ბიოგრაფია შეიძლება დაწერილიყო კიდევ. ასახელებდა სოკრატეს, ფრანცისკ ასიზელს და სხვ. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

### პერბერტ უელსს

გვ. 34

ითარგმნილია კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

### როგორ ვსწავლობდი (ნაწევრებში)

გვ. 36

ამ მოთხრობას საფუძვლად დაედო მაქსიმ გორკის სიტყვა 1918 წლის 28 მაისს პეტროგრადში საზოგადოება „კულტურა და თავისუფლებას“ შიგინგზე. ერთდროულად გამოქვეყნდა გაზეთ „ნოვაია ეიზნი“ სათაურით „წიგნების შესახებ“ და გაზეთ „კნიგა ი ეიზნი“ ქვესათაურით „მოთხრობა“ 1918 წელს.

ქართულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

### [წერილობითი მოხსენება რუსული მხატვრული ლიტერატურის გამოცემის თაობაზე]

გვ. 40

ეს მოხსენება დაწერილია 1918 წლის დეკემბერში. გამოქვეყნდა ჟურნალ „კრასნი არხივი“ 1936 წელს. ქართულად ითარგმნა კრებულიდან „მაქსიმ გორკი საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

სანდრეშო პაროსპექტი ჭერჭერობით აღმოჩენილი არ არის.



## სტატიიდან „სიტუეა მოზრდილებს“

გვ. 43

ეურნალი „სევერსოე სინიე“ გამოდიოდა 1919—1920 წლებში პეტროგრადში. ეურნალის სარედაქციო კოლეგიას ხელმძღვანელობდა მაქსიმ გორკი. ეურნალი მიზნად ისახავდა გამხდარიყო შემოქმედებითი ლაბორატორია ახალი საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად. ამ მიზნით სარედაქციო კოლეგია თავს უყრიდა მოწინავე მწერლებს, ეხმარებოდა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს.

გამოცემასთან დაკავშირებული სიძნელების გამო ეურნალის მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოვიდა და ფართოდ ვერ აისახა საბჭოთა სინამდვილე.

სტატია ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

## ზ. ი. გრეებინის გამომცემლობის კატალოგი

გვ. 44

ზ. ი. გრეებინის გამომცემლობა შეიქმნა 1919 წელს. გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო მაქსიმ გორკი. ვარაუდობენ, რომ ეს კატალოგი მაქსიმ გორკიმ შეადგინა. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

## [ფენიმორ კუპერის წიგნის „ქეალის მაძიებლის“ წინასიტუევობა]

გვ. 49

1923 წელს ზ. გრეებინის გამომცემლობამ გამოსცა ფენიმორ კუპერის წიგნი „ქეალის მაძიებელი“. ეს ნარკვევი მაქსიმ გორკიმ სპეციალურად ამ წიგნისთვის დაწერა. ქართულად ითარგმნა კრებულადან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

## წერილები ა. ს. შაკარენკოს

გვ. 51

ითარგმნილია კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

## ნიკოლსკ-უხუროსკის რკინიგზის სახელოსნოებთან არსებული საფაბრიკო შეიდწლიანი სასწავლებლის ლიტერატურულ წრეს

გვ. 57

გამოქვეყნდა გაზეთ „კრასნოე ზნამიაში“, ელადიეოსტოკს 1928 წელს. ითარგმნა ქართულად კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

ახლა ვწერ კიდევ ერთს, ძალიან დიდ წიგნს... ლაპარაკია „კლიმ სამგინის ცხოვრებაზე“.

## მ. მ. პრიშვინის შესახებ

გვ. 58

პირველად დაიბეჭდა ეურნალ „კრასნაია ნოვის“ მე-12 ნომერში 1926 წელს. 1927 წელს წინასიტუევობად წაუშტოლარს მ. პრიშვინის მოთხრობებს. ქართულად ითარგმნა მაქსიმ გორკის თხზულებათა 24-ე ტომიდან.

გვ. 64

კურიაეის კოლონიის აღსაზრდელებმა მაქსიმ გორკი მიიწვიეს 1927 წლის 13 მარტს კურიაეში; იგი ვერ ჩავიდა და წერილი მისწერა.

დიდ სამუშაოს მოვკიდე ხელი... იგულისხმება რომანი „კლიმ სამგინის ცხოვრება“.

ორმა ასეთმა ადამიანმა ამას წინათ დაწერა და გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი... ლაპარაკია გ. ბელიხის და ლ. პანტელეევის წიგნზე „შვილის რესპუბლიკა“.

წერილი ქართულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

სტატიიდან „მკითხველის შენიშვნები“

გვ. 66

1927 წელს გამოქვეყნდა ალმანახში „კრუგ“. ქართულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

სტატიიდან „ახალსა და ძველზე“  
(ნაწევებში)

გვ. 68

ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

კომკავშირულ გაზეთ „სმენას“ რედაქციას

გვ. 69

კომკავშირულ გაზეთ „სმენას“ რედაქციამ 1927 წელს გორკის სთხოვა, მოგეწერეთ თქვენი ნაწარმოებებიდან რომელი ვურჩიოთ ახალგაზრდებს, წაიკითხოთო. წერილთან ერთად რედაქციამ გორკის გაუგზავნა გაზეთის პირველი ნომრები. გორკიმ ამ წერილით უპასუხა.

წერილი გამოქვეყნდა 1927 წელს „სმენაში“, 1928 წელს გაზეთ „კომსომოლსკია პრავდაში“. ქართულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

წერილი რედაქციას

გვ. 71

1928 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“. ქართულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

სტატიიდან „წიგნიერების სარგებლიანობაზე“

გვ. 73

ეს წერილი პირველად დაიბეჭდა 1928 წელს გაზეთ „ჩიტატელ ი პისატელის“ მე-11 ნომერში. შეტანილია მაქსიმ გორკის ყველა კრებულში, რომელიც კი გამოიცა ლიტერატურის საკითხებზე. ქართულად ითარგმნა გორკის თხზულებათა 24-ე ტომიდან.

„ჩქეფს. იფურჩქნება სამშობლო“... — ი. უტკინის სერგეი ესენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსის „სიტყვა ესენინს“ ნაწყვეტია.

რედაქტორი... ასწავლის მწერალს, ზრდის მას... — მაქსიმ გორკის მხედველობაში აქვს მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის მოღვაწეობა „ოტეჩესტ-ვენე ზაპისკის“ რედაქტორობის დროს. ასევე — ვ. გ. კოროლენკოს მუშაობა ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ ბელეტრისტული განყოფილების რედაქტორად. აქვე ასახელებს ჟურნალ „დეტსკოე ჩტენიეს“ რედაქტორს ე. ოსტროგორსკის, ჟურნალ „მირ ბოიის“ ერთ-ერთ რედაქტორს ა. ბოგდანოვიჩის და „ჟურნალ დღა ესეის“ გამომცემელს ვ. შიროლოუბოვს.

### მაქსიმ გორკის წერილი „რაბოჩი კრაის“

გვ. 80

გამოქვეყნდა 1923 წელს გაზეთ „იენი ტექსტილშიკში“. გაზეთი „რაბოჩი კრაი“ იყო სკპ (ბ) ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო. ქართულად ითარგმნა მაქსიმ გორკის კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

### პროლეტარული მწერლის შესახებ

გვ. 82

1928 წლის 13 მარტს პოკროვსკის პროფტექნიკური სკოლის ლიტერატურულა წრის წევრებმა გორკის გამოუგზავნეს წერილი. სწერდნენ, რომ მაქსიმ გორკის შემოქმედება არის „პროლეტარული იდეოლოგიის შემოქმედება“; რომ მაქსიმ გორკი „ნამდვილი რევოლუციონერია“. პოკროვსკელები უნდაპლად ეციდებოდნენ ზოგიერთ კრიტიკოსს, რომლებიც გორკის „პროლეტარული მწერლობის თანამგზავრად“ თვლიდნენ. წერილში ნათქვამი იყო, სახელდობრ, რა ნიშნებით უნდა დავადგინოთ, ვინაა ნამდვილი პროლეტმწერალი. მაქსიმ გორკის ეს სტატია ამ წერილის პასუხია.

ითარგმნა მ. გორკის თხზულებათა 24-ე ტომიდან.

### ხტატიიდან „ისევ წიგნიერებაზე“

გვ. 86

ეს სტატია რუსულად რამდენჯერმეა გამოქვეყნებული. ითარგმნა თხზულებათა 24-ე ტომიდან.

### ა. ვ. პიკულს

გვ. 89

ანა ვაილაის ასული პიკული იყო 1928 წელს ქალაქ ორეხოვო-ზუევოში № 3 სკოლის შემწეთა საბჭოს წევრი. წერილი 1932 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კოლოტუშკაში“. (ორეხოვო-ზუევო). ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**განდიდებულია და „დამწყებთა“ შესახებ**

გვ. 92

1928 წელს, 28 მარტს მაქსიმ გორკი 60 წლისა გახდა. სწორედ ამიტომაა ნათქვამი: „გულთად მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მომილოცა“.

ეს წერილი დაბეჭდილია მაქსიმ გორკის ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილ ყველა კრებულში. ქართულად ითარგმნა თხზულებათა 24-ე ტომიდან.

[სიტყვა თბილისის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომაზე]

გვ. 99

თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომაზე გორკიმ ეს სიტყვა წარმოთქვა 1928 წლის 27 ივლისს. შემოკლებულად დაიბეჭდა გაზეთ „ზარია ეოსტოკაში“ 29 ივლისს, მთლიანად — 1937 წლის 30 აპრილსა და 1 მაისს. ქართულად ითარგმნა გორკის თხზულებათა 24-ე ტომიდან.

სიტყვა კუხმისტიკოვის სახელობის კლუბში გამართულ კომკავშირელთა კრებაზე, 1928 წ.

გვ. 104

გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიაში“ 1928 წელს. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**როგორ ვსწავლობდი წერას**

გვ. 106

მაქსიმ გორკის ხშირად ეკითხებოდნენ, როგორ ისწავლა წერა. თვითველ მკითხველთან წერილის მიწერას მწერალმა არჩია, ყველასთვის ერთად გაეცა პასუხი. ეს მოთხრობა ამ მიზნით დაიწერა და რამდენჯერმე დაიბეჭდა ცალკე წიგნად, კრებულებში. ქართულად ითარგმნა მაქსიმ გორკის თხზულებათა 24-ე ტომიდან.

...სტრინდბერგის... თავის რომანში „კაპიტანი კოლი“... იგულისხმება შეედი მწერლის ა. სტრინდბერგის ნოველა „სინდისის ქენჯანა“.

„ლეგენდა ანთებულ გულზე“ — იგულისხმება ლეგენდა დანკოზე.

„რომ სიტყვები იყვენენ მჭიდროდ, აზრები — ფართოდ.“ — ნ. ა. ნეკრასოვის ლექსის „ფორმის“ ნაწყვეტი.

„არ არის ქვეყნად ტანჯვა უმეტეს — ოღენ სიტყვისა.“ — ს. ი. ნადსონის ლექსიდან „ძვირფასო მეგობარო, მე ვიცი, კარგად ვიცი“.

„ცივი და უბადრუკი ლატაკი ჩვენს ენა“ — ს. ი. ნადსონის იმავე ლექსიდან.

**დამწყებ მწერლებზე**

გვ. 141

სტატია რამდენჯერმე გამოქვეყნდა სხვადასხვა კრებულში. ქართულად ითარგმნა თხზულებათა 24-ე ტომიდან.

მუშათა კლასმა უნდა აღზარდოს თავისი  
კულტურის ოსტატები

გვ. 152

ეს სტატია რუსულად რამდენჯერმეა გამოქვეყნებული კრებულებში „ლიტერატურის შესახებ“. ქართულად ითარგმნა მაქსიმ გორკის თხზულებათა 25-ე ტომიდან.

ახალგაზრდა ლიტერატურა და მისი ამოცანები

გვ. 160

სტატია დაწერილია ახალგაზრდა მწერლების მოთხოვრებითა კრებულისათვის წინასიტყვაობად. კრებული არ გამოსულა. სტატია გამოქვეყნდა გორკის სიკვდილის შემდეგ. ქართულად თარგმნილია თხზულებათა 25-ე ტომიდან.

[ზ ლ ა პ რ ე ბ ზ ე]

გვ. 166

თარგმნილია მაქსიმ გორკის თხზულებათა 25-ე ტომიდან.

წერილები დამწეებ ლიტერატორებს

გვ. 169

„წერილები დამწეებ ლიტერატორებს“ გამოქვეყნებულია რამდენჯერმე. ქართულად ითარგმნა თხზულებათა 25-ე ტომიდან.

სტატიიდან „უპასუხისმგებლო ადამიანები და ჩუენი დროის საბავშვო წიგნი“

გვ. 200

გამოქვეყნდა გაზეთ „პრავედაში“ 1930 წელს. ქართულად ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

ადამიანი, რომელსაც უურში ბამბა უდევს

გვ. 205

1929 წლის ბოლოს ჩატარდა დისკუსია საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე. „ლიტერატურაში გაზეთში“ დაიბეჭდა საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე რამდენიმე წერილი. 1930 წლის იანვარში გაზეთ „პრავედაში“ გამოქვეყნდა ეს წერილი.

ითარგმნა გორკის თხზულებათა 25-ე ტომიდან.

მ. ილინს

გვ. 209

საბავშვო მწერალს მ. ილინს მაქსიმ გორკი ეხმარებოდა იემეზის შერჩევაში, მასალების შეგროვებაში. ეს წერილიც ამის დამადასტურებელია. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

## ლიტერატურის შესახებ

გვ. 211

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნაში დოსტიენიაში“ 1930 წლის დეკემბერში. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

„წარია ვოსტოკას“

გვ. 226

პირველად დაიბეჭდა „პრავდაში“ სათაურით „საბჭოთა საქართველოს ათი წლისთავი“ 1931 წლის 25 თებერვალს. 1931 წლის 1 მარტს დაიბეჭდა გაზეთ „წარია ვოსტოკაში“ სათაურით „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ითარგმნა თხზულებათა 25-ე ტომიდან.

წინასიტყვაოთა ალმანახისა „გუშინ და დღეს“

გვ. 232

ალმანახი „გუშინ და დღეს“ გამოსცეს ყოფილმა დამწავლებელმა და უპატრონოებმა 1931 წელს. გორკის ეს წინასიტყვაობა ქართულად ითარგმნა თხზულებათა 26-ე ტომიდან.

საუბარი ახალგაზრდებთან

გვ. 237

საუბრის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ერთდროულად გაზეთებში: „პრავდა“, „იზვესტია“, „ლიტერატურნაია გაზეტა“ 1934 წლის 22 აპრილს. მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურნაია უჩობას“ 1934 წლის მე-4 ნომერში. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

წერილი ჟურნალ „მოლოდოი ბოლშევიკის“ რედაქციას

გვ. 261

ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

საუბარი ლიტერატურაში მოსულ  
ახალგაზრდა დამკვირვებთან

გვ. 263

1931 წლის 11 ივნისს მაქსიმ გორკი მოსკოვში, ესაუბრა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ლიტერატურული წრის წევრებს, ახალგაზრდა მუშებს. შემდეგ ეს საუბარი გამოაქვეყნა რამდენჯერმე სხვადასხვა სათაურით.

ქართულად ითარგმნა თხზულებათა 26-ე ტომიდან.

## [როგორ ვწერ] ]

გვ. 280

1930 წელს „ლენინგრადის მწერალთა გაერთიანებამ“ გამოჩინილ მწერლებს გაუგზავნა ანკეტა ასეთი კითხვებით:

1. მოსამზადებელი პერიოდი. მისი ხანგრძლივობა.
2. უმეტესად რა მასალით სარგებლობთ (ავტობიოგრაფიული, მწიგნობრული, დაკვირვებები, ჩანაწერები)?
3. ხშირად იყენებთ თუ არა მოქმედ პირთა პოტოტიპებად ცოცხალ ადამიანებს?
4. რა გაძლევთ პირველ იმპულსს მუშაობაში (გაგონილი ამბავი, შეკვეთა, სახე და ა. შ.)? ცნობები თქვენს ცალკეულ ნაწარმოებებზე.
5. როდის მუშაობთ: დილით, საღამოს, ღამით? დღეში რამდენ საათს — მაქსიმუმში?
6. საშუალოდ რამდენ თაბახს წერთ თვეში?
7. ნარკოტიკები მუშაობის დროს; რა რაოდენობით?
8. წერის ტექნიკა: ფანქარი, კალამი თუ საწერი მანქანა? თუ ხატავთ მუშაობის დროს სურათებს? რამდენჯერ გადაწერთ ხოლმე ბელნაწერს? ბევრს ასწორებთ საბოლოო რედაქციის დროს?
9. ადგენთ თუ არა წინასწარ ვეგმას და როგორ იცვლება იგი?
10. რა უფრო ძნელია თქვენთვის: დასაწყისი, ბოლო თუ შუა ნაწილი?
11. რომელ აღქმას ეყრდნობა ყველაზე უფრო ხშირად სახე: მხედველობითს, სმენადს, შეხებითს და ა. შ.?
12. უყენებთ თუ არა საკუთარ თავს რაიმე მესიკალურ, რირმულ მოთხიანას?
13. ხმამალა კითხვით (მარტო ან სხვებთან ერთად) თუ ამოწმებთ ნამუშევარს?
14. რას გრძნობთ მუშაობის დამთავრების შემდეგ?
15. ცვლით თუ არა ტექსტს შემდგომ გამოკვებებში?
16. რა გავლენას ახდენს თქვენზე რეცენზიები? გორკის ეს წერილი ამ კითხვების პასუხებია.

„პოეტის ბიბლიოთეკის“ თაობაზე

გვ. 284

სერიას „პოეტის ბიბლიოთეკა“ სცემდა 1932 წლიდან „ლენინგრადის მწერალთა გაერთიანება“. 1931 წლის დეკემბერში მაქსიმ გორკიმ დაწერა ეს სტატია და გამოაქვეყნა გაზეთებში („პრავდა“, „იზვესტია“). სტატია უპასუხებდა კითხვაზე, რატომაა აუცილებელი „პოეტის ბიბლიოთეკის“ გამოცემა. სტატია წაუშმღვარეს წინასიტყვაობად გ. რ. დერჟაინის ლექსებს. იბეჭდებოდა მაქსიმ გორკის ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილ ყველა კრებულში. ითარგმნა თხზულებათა 26-ე ტომიდან.

საბავშვო ლიტერატურის გამო

გვ. 295

ეს წერილობითი მოხსენება მაქსიმ გორკიმ დაწერა მწერალთა ჯგუფთან ერთად. ამ წერილს ფართოდ გამოეხმაურნენ მწერლები, პედაგოგები, საზოგადო

მოღვაწეობა. ისინი შესწავლობდნენ საბავშვო ლიტერატურის ძირეულ საკითხებზე. თარგმნიდა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**კომპიურნე ახალგაზრდობის სკოლის მოხწავლეებს**

გვ. 297

გამოქვეყნებულია პირველად გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ 1946 წელს. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**სოციალისტური რეალიზმის შესახებ**

გვ. 299

1933 წელს გამოქვეყნდა ეჟურნალ „ლიტერატურნაია უჩობაში“. დაიბეჭდა მაქსიმ გორკის ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილ ყველა კრებულში. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

**ლიტერატურა — ბავშვებს**

გვ. 308

პირველად ერთდროულად დაიბეჭდა გაზეთებში „პრავდა“ და „იზვესტია“ 1933 წლის ივნისში. წერილში გორკიმ ამხილა ოც-ოცდაათიან წლებში საბავშვო ლიტერატურისა და გამოცემის არსებითი ნაკლოვანებანი. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

**საბავშვო ლიტერატურის შესახებ**

გვ. 313

ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**შიმართვა სსრ კავშირის პიონერებს**

გვ. 314

პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს გაზეთ „პრავდაში“. ითარგმნა კრებულშიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

**თემების გამო**

გვ. 315

წერილი დაწერილია 1933 წელს. ერთდროულად გამოქვეყნდა „პრავდაში“, „იზვესტიაში“ და „ლიტერატურნაია გაზეტაში“ 1933 წლის 17 ოქტომბერს. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.



სახალინის ბავშვებს

გვ. 328

წერილი მაქსიმ გორკის დასახლება ნეგლინის მოსწავლეებისათვის გაუგზავნია სორენტოდან 1933 წლის 31 მარტს. დაიბეჭდა პირველად 1937 წლის 17 ივნისს საბაროესკში გაზეთ „ზნამია პიონერაში“.

ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

კიევის „მოზარდი მკურებლის“ თეატრს

გვ. 330

ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

ირკუტსკის მე-8 საუბარო-საქარხნო ათწლეულის პიონერთა წრეს

გვ. 332

ერთდროულად გამოქვეყნდა გაზეთებში „პრავდასა“ და „იზვესტიასში“ 1934 წელს.

ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

პროლეტარული კუშანოში

გვ. 334

1934 წლის 23 მაისს ერთდროულად გამოქვეყნდა გაზეთებში „პრავდა“ და „იზვესტიასში“. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

[საბჭოთა ბავშვები]

გვ. 343

1934 წლის 8 აგვისტოს ერთდროულად დაიბეჭდა გაზეთებში „პრავდასა“ და „იზვესტიასში“. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებიდან

გვ. 353

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1934 წლის 17 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. პირიქითი მოსახერხებელი ყრილობაზე გააკეთა მაქსიმ გორკომ. ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საბავშვო ლიტერატურას. საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე სპეციალური მოხსენება წაიკითხა ს. ი. მარშაკმა.

მაქსიმ გორკის მოხსენების ეს ნაწყვეტი ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

კ. ი. ჩუკოვსკის

გვ. 354

კორნეი ჩუკოვსკის გადაუწყვეტია, დაწერა მეცნიერულ-პოპულარული მოთხრობა ამინდსა და კლიმატზე რჩევისათვის მიუშარათვის გორკიანთვის. გორკის ეს

წერილი მიუწერია. წერილი 1936 წელს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოაქვეყნა კორნეი ჩუკოვსკიმ სათაურით „გორკი და საბავშვო ლიტერატურა. ნაწყვეტები მოგონებებიდან“. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

#### მოსკოვის ოლქის პიონერებს

გვ. 356

გამოქვეყნდა გაზეთ „პრაედაში“ 1934 წელს. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

#### ხელოვნების შესახებ

გვ. 357

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „ნაში დოსტიენია“ 1935 წლის მე-5 და მე-6 ნომრებში. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

#### ზღაპრების გამო

გვ. 364

გაზეთ „პიონერსკაია პრაედას“ რედაქციას შეუგროვებია 500-ზე მეტი ხალხური ზღაპარი. ზოგიერთი გამოუქვეყნებია. გამოქვეყნებული ზღაპრები გაუგზავნიათ გორკისთვის და უთხოვიათ, ბავშვებისათვის მოეთხრო, ბავშვობაში რა მისცა ხალხურმა ლექსებმა და ზღაპრებმა და რა მნიშვნელობა აქვს ხალხურ შემოქმედებას მის მუშაობაში. მაქსიმ გორკის საპასუხოდ ეს წერილი დაუწერია და გამოუქვეყნებია 1935 წელს 29 და 30 იანვარს გაზეთ „პრაედაში“.

ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

#### ფორმალისმის შესახებ

გვ. 374

პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „პრაედაში“ 1936 წლის 9 აპრილს. ითარგმნა თხზულებათა 27-ე ტომიდან.

#### ე. ი. დანკოს

გვ. 382

ელენე დანკო იყო მხატვარი და მწერალი. დიდხანს მუშაობდა მხატვრად ლენინგრადის ლომონოსოვის სახელობის ფაიფურის ქარხანაში. მან დაწერა საბავშვო წიგნი „ჩინური საიდუმლო“, იმ დროს მოზარდიღებისათვის წერდა წიგნს „ფაიფურის ქარხნის ისტორია“. სწორედ ამ წიგნებზეა საუბარი წერილში.

წერილი თვითონ ელენე დანკომ გამოაქვეყნა 1938 წელს ჟურნალ „ლიტერატურნი სოვრემენიკში“. ითარგმნა კრებულიდან „საბავშვო ლიტერატურის შესახებ“.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

აღექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი, ფსევდონიმი მაქსიმ გორკი	7
ბიბლიოგრაფიული შენიშვნა	11
ღ. გ. ალექსეევის გამოცემები	13
ცხოვრების ზღაპარი	14
სიტყვა „სოციალური აღზრდის ლიგის“ საჯარო სხდომაზე	18
წერილები რომენ როლანს	29
ჰირბერტ უელსს	34
როგორ ვსწავლობდი	36
[წერილობითი მოხსენება რუსული მხატვრული ლიტერატურის გამოცემის თაობაზე]	40
სტატიიდან „სიტყვა მოზრდილებს“	43
ზ. ი. გრეეიონის გამოცემლობის კატალოგი	44
[ღენიმორ კუპერის წიგნის „კვალის მაძიებლის“ წინასიტყვა- ობა]	49
წერილები ა. ს. მაკარენკოს	51
ნიკოლსკ-უესერისკის რკინიგზის სახელოსნოებთან არსებული საფაბრიკო შვიდწლიანი სასწავლებლის ლიტერატურულ წრეს	57
მ. მ. პრიშენინის შესახებ	58
გორკის სახელობის კერძაიის კოლონიის აღსაზრდელებს	64
სტატიიდან „მკითხველის შენიშვნები“	66
სტატიიდან „ახალსა და ძველზე“	68
კომკავშირულ გაზეთ „სმენას“ რედაქციას	69
წერილი რედაქციას	71
სტატიიდან „წიგნიერების სარგებელიანობაზე“	73
მაქსიმ გორკის წერილი „რაბოჩი კრაის“	80
პროლეტარული მწერლის შესახებ	82
სტატიიდან „ისევ წიგნიერებაზე“	<u>86</u>
ა. ვ. პიკულს	89
განდიდებულთა და „დამწყებთა“ შესახებ	92
[სიტყვა თბილისის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომაზე]	99
სიტყვა ექსპოზიტორების სახელობის კლუბში გამართულ კომ- კავშირელთა კრებაზე, 1928 წ.	104
როგორ ვსწავლობდი წერას	106
დამწყებ მწერლებზე	111

მუშათა კლასმა უნდა აღზარდოს თავისი კულტურის ოსტატები	152
ახალგაზრდა ლიტერატურა და მისი ამოცანები	150
[ზღაპრებზე]	166
წერილები დამწყებ ლიტერატორებს	169
სტატიიდან „უმახუხისმგებლო ადამიანები და ჩვენი დროის სა- ბავშვო წიგნი“	207
ადამიანი, რომელსაც ყურში ბამბა უდევს	209
მ. ილინა	209
ლიტერატურის შესახებ	211
„ზარია ვოსტოკას“	226
წინასიტყვაობა ალმანახისა „გუშინ და დღეს“	252
საუბარი ახალგაზრდებთან	237
წერილი ჟურნალ „მოლოდინი ბოლშევიკის“ რედაქციას	261
საუბარი ლიტერატურაში მოსულ ახალგაზრდა დამკვრელებთან	253
[როგორ ვწერ]	230
„პოეტის ზიბლიოთეკის“ თაობაზე	284
საბავშვო ლიტერატურის გამო	285
კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეებს	297
სოციალისტური რეალიზმის შესახებ	299
ლიტერატურა — ბავშვებს	303
საბავშვო ლიტერატურის შესახებ	315
მიმართვა სსრ კავშირის პიონერებს	317
ტ. ემების გამო	315
სახალისის ბავშვებს	328
კიევის „მოზარდი მაცურებლის“ თეატრს	330
ირკუტსკის მე-6 საფაბრიკო-საქარხნო ათწლეულის პიონერთა წრეს	332
პროლეტარული ჰუმანიზმი	334
[საბჭოთა ბავშვები]	343
საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე გაკეთებული მოხსე- ნებიდან	353
კ. თ. ჩუკოვსკის	354
მოსკოვის ოლქის პიონერებს	356
ხელოვნების შესახებ	357
ზღაპრების გამო	364
ფორმალისმის შესახებ	374
ე. თ. დანკოს	382
შენიშვნები	353

რედაქტორები ლ. გოგობია, ო. პაქკორია  
მხატვარი მ. კიკნაველიძე  
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე  
ტექნორედაქტორი ლ. ქვარცხავა  
კორექტორი დ. ქალანდარიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X-67 წ.  
ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
ნაბეჭდი თაბახი 25  
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 20,13  
ტირაჟი 5.000 შევ. № 2144  
ფასი 1 მან. 62 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5  
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5  
სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5  
Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5